

რ ე ვ ა ზ

ე პ ა ბ ა ლ ა ბ

საქართველოს მთავრობის

ოფიციალური დოკუმენტი

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგა-
ხანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის უანრულად უალრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანა-
ხული მსოფლიოც.

2012



6 3 3 0 5 1 7 0

ცოტი

V

გამოცემა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-252-7 (V ტომი)

გვანჯი

დიდი მადლობა ბატონებო, ჩემი დღეგრძელობისთვის. ძალიან კი გამათამამეთ ეს დროული კაცი. განა არ ვიცი, რაც მიწოდეთ, იმის ნახევარიც არ მექუთვნოდა, მაგრამ მაინც მესიამოვნა. თქვენმა სიტყვებმა ნელში გამმართა, თითქოს ძალაც მომემატა. სადლეგრძელო სურვილია, მეტი ხომ არაფერი... სურვილები მაინც რაღამ შეახარბა ზოგიერთს, აქამდა ქართველები სუფრაზე ერთმანეთს გადაჭარბებულად აქებენო. არა, ბატონი, ეს ქება კი არა, უფრო მოწოდებაა. სადლეგრძელოს ასეთი ქვეტექსტი აქვს: ნეტამც, ასეთი და ასეთი იქნებოდეო. მეც ასე გავიგე. ღმერთმა აგაშენოთ მოწყენილობის თეთრი დღეებიდან ჩემი გამოხმობისთვის. რისი ლირსიც ვიყო, ისე გამიმარჯოს. ანგელოზივით სუფთა კაცი ხარო, დღეს აქ ვიღაცამ მითხრა. არა, ჩემო ბიძია, იქნებ ოდესლაც მეც მქონდა სურვილი სუფთად შევრჩენოდი ამ წუთისოფელს, მაგრამ სულ ტყუილია. პირველ პერანგს რომ გაცვითავ, იმის შემდეგაც კი შენი ცოდვა ბეჭებს გიმძიმებს. რაკი კაცი ხარ, ვერსად გაეძცევი ამ ცოდვას. იქნებ როგორმე ყველამ ვეცადოთ, ნაკლებად დავამძიმოთ სული ჩვენი საამქვეყნო ცდუნებებით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვთავაზობს ცხოვრება. ვცდილობდი-მეთქი, მოგახსენეთ, ვცდილობდი და მეტი არაფერი. წუთისოფლის ჯაჯგურიდან წმინდად გამოსვლა მაინც ვერ შევძელ. რა სუფრაზე მოსაყოლი ამბავი ეს არის, მაგრამ მაინც უნდა გიამბოთ. თქვენს მიხაკო გობეჩიას კაცის ცოდვაც კი აძევს კისერზე. არ არის, არა, ჩემო კარგებო, ადამიანი ანგელოზი. რაც უნდა გავალამაზოთ, იგი მაინც ადამიანია და, კაენის ღალატი საფლავამდე მისდევს.

ის დრო იყო, გერმანელები კავკასიონზე რომ მოხოხავდნენ და მარუხ-ვლადიკავკაზში დარხეული ზათქის ხმა სოხუმს

რედაქტორი

ნანა სუხიტაშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა:

მავრა ბანცური
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, რჩეული თაზულებანი ოცდახუთ ტომად

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

წვდებოდა. რაიკომში ვმუშაობდი მაშინ. იმ დღეს, სადილობის უამს, სამ საათზე სოხუმი დაბომბეს. ჯერ ისედაც არ გვქონდა მოსვენება პარტიულ მუშაკებს და ამ ზათქმა (პირველი დაბომბვა იყო) დიდ გასაჭირში ჩაგვაგდო. მოდი და აუხსენი ხალხს, რომ გერმანელები ჯერ კიდევ შორს არიან და ჩვენები კავკასიონის დათმობას არ აპირებენ.

დილიდან შუადღემდე დავწანნალებდით ქალაქად და სოფლად. მოხალისეთა რაზმებს ვადგენდით, თავშესაფრებს ვამაგრებდით და ვაკომპლექტებდით, სურსათის განაწილებას ვამონმებდით, პანიკით მოცულ მოხუცებთან და ხეიბრებთან სიტყვით გამოვდიოდით და ჩვენი ჯარის უძლეველობაზე ვეს-აუბრებოდით. მართლა ისე კი არ იყო საქმე, კინოში რომ გინახავთ. მშიშარა და გამცემი ბევრი გვყავდა. ჩემმა მეზობელმა, სახდაზღვევის აგენტმა, ცალთვალა ჯგეთიამ აივანზე ფარდა-გი გამოკიდა წარწერით: „Дюнро пожаловать!“ შევუვარდი მაშინვე, რას შერები, შე, პროვოკატორო-მეთქი. ჯოხი მომიქნია, მე გერმანელებს კი არა, ჩვენი დამხმარე ჯარის ნაწილებს ვეს-ალმებიო. რას ეტყვი. გულში რა აქვს, რას გაუგებ. პლაკატი მაინც ჩამოვასხნევინეთ, მაგრამ დაჭერით არ დაუჭერიათ. შიშნარევი სიფრთხილეა, მეტი არაფერი, არ შეიძლება კაცს ბრალად დასდო – რატომ გეშინიაო.

შუალამისას დავბრუნდი შინ და ის იყო თვალი მივლულე, ჭიშკართან მანქანის რახრახი შემომესმა. ხმაზე ვიცანი – ერთადერთი დანჯლრეული ვილისი გვყავდა (მაშინ, მგონი, „ჯიპი“ თუ რაღაც ამის მსგავსი ერქვა) რაიკომში და ერი თუ ბერი იმით დადიოდა. საოლქო კომიტეტში მიხმობდნენ სასწრაფოდ.

მოსაცდელში ოცდაათ კაცამდე მოვგროვდით: რაიკომთა და აღმასკომთა პასუხისმგებელი მუშაკები, სამხედრო კომისარიატის და უშიშროების თანამშრომლები, რწმუნებულები. ვეკითხებით ერთმანეთს, არავინ იცის, რა ხდება, რისთვის წამოგვყარეს ამ შუალამისას საწოლებიდან. გაკვირვებით არაფერი გვიკვირდა მაშინ. წუთი წუთზეა ყველაფერი მოსალოდნელი, ვის აქვს შენი ფერებისა და ლოიალობის თავი. საოლქო კომიტეტის მდივნის კაბინეტის კარი ღია იყო. მაგი-

დას სამნი უსხდნენ. პირველი და მეორე (პარმენ ესვანჯია – შარშან მოკვდა საწყალი) მდივნების შუაში მაზარამოსხმული სათვალიანი კაცი ვერ ვიცანი. ორს აღარაფერი აკლდა, როცა გვიხმეს. საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი წამოდგა, ჯერ ჩვენი გვარები ამოიკითხა, შემთხვევით ვინმე ხომ არ გამომრჩაო, შემოგვხედა, მერე ერთხანს სტუმარს შესცეკროდა და სათვალიანმა უსიტყვილ თავი რომ დაუქნია, დაიწყო: „დასამალი არ არის, მძიმე მდგომარეობაა ფრონტზე, ამხანაგებო. დრო არ ითმეს. იმ ხალხს დაგიძახეთ დღეს აქ, ვისაც მოწოდებები და გრძელი ლაილაი არ სჭირდება. ასე მგონია მე. ტრანსპორტი ვერ მოძრაობს მთებში და რომც მოძრაობდეს, სადა გვყავს (აქ მდივანს გაეცინა და ისევ სათვალიანს შეხედა)... ჩვენს ჯარისკაცებს საკვები და თოფ-წამალი შემოაკლდათ. ოთხფეხა გამწევმა ძალამ უნდა გვიშველოს. ახლავე, დაუხანებლივ, ამ კაბინეტიდანვე გაემგზავრებით სოფლებში, განრიგი უკვე შედგენილი გვაქს. აბსოლუტური მობილიზება უნდა მოხდეს გამწევი პირუტყვის – ცხენის, ვირისა და ხარის. მხოლოდ (აქ ისევ სტუმარს შეხედა) თხას და ძროხას დაანებეთ თავი. ამაღამვე უნდა იმუშაოთ მაქსიმალურად. სოფლის აქტივი გაფრთხილებულია, ყველანი კანტორაში დაგხვდებიან. ზუსტი აღწერა და კონტროლი ჩემგან არ გესწავლებათ. ორი თავი არავის აბია დღეს“. სხვა დროს სიტყვას ასე ამთავრებდა: პროვოკატორებს და გამცემებს ადგილზე დახვრეტაო, მაგრამ ახლა, რატომდაც, არ უთქვამს, განრიგი გაგვაცნო და წარმატება გვისურვა. იმ დროს სიტყვებით გამოსვლა და შეკითხვები („რომ ვერ მოვასწროთ“, ან „რა ტრანსპორტით მოგვიწვევს წასვლა“) მოდაში არ იყო. როგორც ამბობენ, ძუკუს საქმე, ძუკუს უნდა სცოდნოდა.

წებელდაში წასვლა მომინია. იმ ჯოჯოხეთურ ღამეზე რა გიამბოთ, თვითონაც მიხვდებით, რა გასაჭირი დაგვადგებოდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დილის ცხრა საათზე კანტორის ეზოში თოხმოცამდე პირუტყვი ბლაოდა, ჭიხვინებდა და ყროყინებდა, ისე ერთგულად – ვიმუშავეთ, რომ ამ სოფელში თვით მამაზეციერიც კი ვერ აღმოაჩენს ახლა გამწევ ძალას-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ შევმცდარვარ. ბატალიონის რწმუნებუ-

ლის მოლოდინში მაგიდაზე პირქვედამხობილს ვიღაც მხარზე შემეხო, თავი ავწიე, წვერგაუპარსავი, ხელჯოხიანი წითური კაცი დგას ჩემ წინ. წულამესტებზე უშნოდ ჩაჩაჩული გალიფე აცვია, ჩინური ოთხჯიბიანი ხალათი ბეჭებზე ჩამოსცრეცია, „ლ-ს“ ასატანზე უფრო რბილად გამოთქვამს.

— პატივცემულო გობერია, პარტიის წევრი არა ვარ, მაგრამ გარკვეული სიფხიზლე მაქვს მეც. გეთიას ქვრივს, სკოლას-თან რომ ცხოვრობს, მარჯვნივ, იყავით თქვენ წუხელის მის ოჯახში, ჭის გასწვრივ, შუა ყანაში, ცხენი ჰყავს გადამალული. მე ჩემი გითხარით და აწი თქვენ იცით. თუ სადმე რამე იყოს, ერთი პატარა მადლობა მეც მაღირსეთ. ვმუშაობთ ჩვენ აქ ადგილზე, ამხანაგები. ბეჭვაია გახლავართ მე, გვანჯი, ინვალიდობის გამო ვერ წამიყვანეს ჯარში. გული კი მწყდება ძალიან. თქვენი კარგად ყოფნა აბა, ამხანაგო გობერია...

ჩემ პასუხს არ დაელოდა, თითქოს ეშინოდა, ვინმემ არ შემომისწროსო, ქუდი დაიხურა და ჯოხის კაკუნით გაჩხარკალდა.

ბევრი არ მიფიქრია, საბჭოს თავმჯდომარე გავიძლოლე და გეთიას სახლისკენ წავედი. ისლის ქოხის პარმალზე ყვავივით იჯდა შუბლნაკული, მაღალი ქალი. ეზოში უბოდიშოდ ჩასულები რომ დაგვინახა, ფერი ეცვალა. თქმით არაფერი უთქვამს. პირდაპირ ჭისკენ წავედით, რომ იცოდეთ, როგორ მინდოდა დამსმენი ბეჭვაიას ნათქვამი ტყუილი ყოფილიყო, ან ქვრივს ცხენის გადამალვა მოესწრო. ოციოდე ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს, მაღალ სიმინდში ულამაზესი შავი ცხენის კანჭები დაჩნდა. გამოვიყვანეთ ცხენი და სიტყვის უთქმელად მიგვყავს ჭიშკრისკენ. ვინ დამლუპა, ვინ მოიკიდა ჩემი ობლების ცოდვა, ვინ გამომჭრა ყელი. ღმერთმა ჩემსავით უსახსროდ და უილაჯოდ მოაქციოს ჩემი დამლუპველიო. ზურგს მიხვრეტდა, ყურებში მიწიოდა გეთიას ქვრივის წყევლა, მაგრამ ვერაფერს უუშველიდი. დიდი სურვილიც რომ მქონოდა, ცხენს ველარ დავუბრუნებდი. „ფხიზელი“ ბეჭვაიას ცნობა ყურად რომ არ მეღო, დამსმენი სხვას აცნობებდა და დოყლაპიობისთვის პანდური არ ამცდებოდა. ახლა რომ მეთქვა საბჭოს თავმჯდომარისთვის, დავუტოვოთ, ცოდოა, ეს ერთი ცხენი არ

ააშენებს წითელ ჯარს-მეთქი, არც ეს ივარგებდა. არ ვენდობიდით ერთმანეთს. დრო იყო ისეთი.

ერთი სიტყვით, გავუყენეთ ფრონტის გზას გამწევი ძალა და იმ საღამოსვე სოხუმში დავბრუნდი. გეთიას ქვრივის შეძრნუნებული სახე და სასონარკვეთილი თვალები საოლქო კომიტეტის მდივნის მოსაცდელთან ფეხზე ცხენივით ჩამოძინებულს რამდენჯერმე მომელანდა, მაგრამ მაღლე ისიც წაიშალა მეხსიერების დაფიდან — უფრო შემზარავ სურათებს დაუთმო, ალბათ, ადგილი.

ერთი თვის მერე კვლავ მომიხდა წებელდაში ასვლა. ამჯერად სამხედრო კომისარიატის საექიმო კომისიას ვახლდი. თუ გახსოვთ, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება, ხელახლა შემოწმდეს ჯარიდან გათავისუფლებულთა ჯანმრთელობაო. იმ წელს ყველაზე მეტად გვიჭირდა. რაოდენობითაც გვჭარბობდა მტერი.

ვატარებთ კომისიას და გვანჯი ბეჭვაია არ შემოფშლატუნდა? თავის განუყრელი ჯოხით, მუხლში გაქვავებული მარჯვენა ფეხით და კურდღლის თვალებით, შეშინებულივით რომ აცეცებდა აქეთ-იქით. დიაგნოზი? ათი წლის წინ ცხენიდან გადმოვარდნილა, მენისკი გასწყვეტია, სოფლის ექიმბაშს არასწორად უმეურნალია, დაზიანებული სახსარი ნელ-ნელა მოშლილა, ამას მარილების დაგროვებაც დართვია და გამოსულა ფეხი მწყობრიდან. „თქვენს გახარებას, ნეტავ ეს ფეხი მომირჩებოდეს და, ვინ მამაძალლი, მთლად მოხალისედ წავალ, სისხლს გამოვნოვ კისრიდან მამალ ფაშისტს. ჯანმრთელობას რა ვუთხარი მე. მაინცდამაინც მე უნდა მომსვლოდა ყველაფერი, — ჩაინუნუნ-ჩაისინანულა, მერე თავი აიღო, კურდღლის თვალებით დამაშტერდა და დაუმატა: „ისე, კაცმა რომ თქვას, ადგილზეც საჭირო ვართ, ამხანაგები. ჩემნაირ ხეიბარსაც შეუძლია სარგებლობის მოტანა. სიტყვიზლეა ამ ეტაპზე მთავარი“.

ბეჭვაიას ჯავშნის ქაღალდს ხელი უგემურად მოვაწერე და სიტყვის უთქმელად ფანჯრისკენ შევბრუნდი. მაშინაც არ შემოვბრუნებულვარ, კოჭლმა სამედიცინო ექსპერტის მიმართ მოკლე სამადლობელი სიტყვა რომ დაამთავრა და ჯოხის ბაკუნით გავიდა, არ მომწოდა ეს კაცი.

ვიღაცამ „მახორკა“ მომაწოდა. დიდი მწეველი არც მაშინ გახლდით და „მახორკას“ ასეთი თვისება აქვს, თუ შეჩვეული არა ხართ, უსათუოდ დაგახველებს. ისეთი ხველება ამიტყდა, კინაღამ გავიგუდე. „რა გაწევინებთ ამ სისაძაგლეს-მეთქი“, ვთქვი და ანთებული პაპიროსი ფანჯრიდან მოვისროლე. ერიჲა, აღმართს არ მიუყვება ჩვენი ხეიბარი? ხელჯოხი მხარზე გაუდევს, ზედ ხელები გადაუწყვია და მიდის ბილიკზე არხეინად. არც დავფიქრებულვარ, კომისარს ვუხმე: ხომ ხედავ, როგორ გვატყუებენ შენი ექიმები, ახლავე დააბრუნეთ უკან ეგ მელაძეა, დეზერტირი ბეჭვაია-მეთქი.

დააბრუნეს. მკვდრის ფერი ედო გეთიას ქვრივის ფხიზელ მეზობელს. ნუ დამლუპავო, მკლავზე ჩამომეკიდა, „მადლობა თქვი, ტრიბუნალს რომ არ გადაგეცით. ახლა ხმა არ გაიღო, შენი აღარაფერი გვჯერა. წახვალ და შენს მოქალაქეობრივ ვალს მოიხდი-მეთქი“. გამშრალი, ნირწამხდარი გავიდა. აღელვებულს ხელჯოხიც კი დარჩა. სულო ცოდვილო, კომისარი საბუთებს რეზოლუციებს რომ ადებდა, გულმა არ მომითმინა და ჩავულაპარაკე – ბეჭვაია პირდაპირ ფრონტზე გაგზავნეთ-მეთქი.

აღარც მახსოვს, რამდენი თვე გავიდა ამის შემდეგ. ბიუროს დაწყების წინ კომისარიატის წარმომადგენელი ომში დაღუპულთა გვარებს გვიკითხავდა. „ბეჭვაიას“ რომ მოვკარი ყური. ვიკითხე, ეგ რომელი ბეჭვაია-მეთქი; გვანჯი მანუჩარის ძე ბეჭვაია, წეპელდიდანო, დამიზუსტა კომისარიატის წარმომადგენელმა. გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ არ შევიმჩნიე. სიკვდილს შეჩვეული ვიყავი. სიკვდილი ისე ახლოს იყო იმ წლებში ჩვენთან, რომ ძალიან ახლობელი უნდა დაგკარგვოდა, რომ ცრემლი გადმოგედო. გამშრალი გვქონდა კაცებს ცრემლი.

ბიურო რომ დამთავრდა, „ჯიპის“ შოთერი შინ მივიყვანე, ჩემი ბარათით მიღებული ერთი ტომარა პურის ფქვილი და ორი ბათმანი ლობიო მანქანაზე დავუდე და ვთხოვე, წეპელდაში, ბეჭვაიას ქვრივისთვის აეტანა.

იმ დროს შოთერები ათას მამაძალლობას სჩადიოდნენ, მაგრამ ჩვენი მძღოლი წესიერი ბიჭი იყო, უსათუოდ მიიტანდა.

სოფლის მაღანები

სოფლის ბოლოს, ჯიხას რომ გაცდებით, სანამ ბონდის ხიდთან ჩაუხვევდეთ, ყავრით დახურული ორთვალიანი ფიცრული ოდა დგას. ამ სახლში მაყვალა ზამბახიძე ცხოვრობს. სოფელს კი სახელად ჰქვია... თუმცა რა საჭიროა გამხელა, ალბათ, ყველა სოფელში ცხოვრობს თითო მაყვალა.

ახალი შეღამებულია. მაყვალამ ყველი ეს-ესაა ამოიყვანა, კატას წაქი დაუსხა, ოთახი მიალაგ-მოალაგა, ხელ-პირი დაიბანა, ფართო ტუჩებზე სისხლისფერი პომადა წაიცხო, თავი კეფასთან წაქარგი ხილაბანდით მაგრად წაიკრა, გაზქურაზე ჩაიდანი შემოდგა და ფანჯარასთან დაჯდა.

ზაფხულია. წიავს სიმინდის ფოჩის სუნთან ერთად, ჭრიჭინობლების გაუთავებელი ნანინა და მდინარის ბუტბუტი შემოაქვს.

მაყვალა მარტოხელა ქალია. თვრამეტი წლისას მშობლები სახადით დაეხოცა. თვით, მისდა იღბლად, ქუთაისში იყო წასული და გადარჩა. მაშინ აბრეშუმსაქსოვში მუშაობდა, სკოლის დამთავრების შემდეგ, სტაუისათვის. მაყვალამ მშობლები დაასაფლავა, სახლს დიდი ბოქლომი დაადო და მეორე თუ მესამე დღესვე კვლავ ქალაქს მიაშურა. ამ სოფელში ლვიძლი ნათესავები არა ჰყავდა. ათი წელი არავინ იცოდა მაყვალას ასავალ-დასავალი. შარშანნინ გამოჩნდა. თან ვიღაც მელოტი, შუახანს გადაცილებული, კოჭლი კაცი ჩამოჰყვა. ქმარიაო ჩემი, გააცნო სოფელს. ქმარი სამიოდე თვე იდგა მაყვალასას, მერე რაღაც არ მოეწონა, აიკიდა გუდა-ნაბადი და იქეთ გაეშურა, საიდანაც მოვიდა.

მაყვალას ქმრის წასვლის მიზეზი არ გაუმხელია. არც მეზობლებს უკითხავთ. ვის რა ესაქმება, ქმრები სად და რატომ გარბიან.

ერთხანს მეფრინველების ფერმაში იმუშავა. ახლა, ეს ორი თვეა, სოფლის „მოძრავი ბიბლიოთეკარია“. ეს თანამდებობა საბჭოს თავმჯდომარემ შემოილო თავისი ინიციატივით. მაყვა-

ლას, როცა მოეგუნებება, ფოსტალიონივით კარდაკარ წიგნები დააქვს და თანაც კვირაში ერთ დღეს კლუბში კინოს ბილეთებს ყიდის. სოფელში ფილმს მხოლოდ შაბათობით უჩვენებენ.

ჭიშკარმა გაიჭრიალა. მასპინძელი არც კი წამომდგარა შესაგებებლად, ფანჯარაშიც არ გაუხედავს, მაგრამ კირილეს ნაბიჯების ხმას ათას ხმაში გამოარჩევს. აჩაბაჩა სიარული იცის ფერმის გამგემ და ფეხს ღონივრად ურტყამს კიბეს. აი სტუმარი შემოსასვლელშია, ჭილაფის ქუდს დივანზე მოისვრის, სარკეში თმას გაისწორებს და კარს მხრით მიაწვება.

— უ! — მაყვალას შეკრთმამ კირილე ღიმილის გუნებაზე დააყენა, — შენ რა გითხრა, რა იცი მაინც, ასე დაუკაუნებლად შემოსვლა.

კირილემ ოთახში გაიარ-გამოიარა, ნანდაურს შიშველ მკლავზე ჩამოუსვა ხელი და კედელს მხრით მიეყრდნო.

— გავალ, აბა, ისევ და „მასპინძელო, მასპინძელოს“ ძახილით შეგიყრი მეზობლებს.

— ჩახველე მაინც, ბოშო, ეგებ სტუმარი მყავს და...

— სტუმარი?! — რისი ჩაუდგა ხმაში კირილეს.

— ქალი ვინმე, შე გადარეულო, დღე ერთია და, კვირიკაძის ძლაბი ხუთჯერ მაინც შემოდის.

— ნამეტანს ნუ შეიჩვევ, მაგრენს გრძელი ენა აქვთ, საერთოდ, მამიან-შვილიანად.

— ენა თვარა ფარსაგი არ დამმართოს. ამ სახლში შენს მეტი არავინ შემოდის.

— მე არ ვკმარვარ?

— რაზე ამბობ?

— ხომ შეგვიყრის სოფელს.

— რა მოხდა მერე. უქმრო ქალი ვარ. ერთი კაცის სიყვარულის უფლება ყველასა აქვს.

— მაყვალა!

— ჰო, კაი, კაი, ნუ ხართ ასე ერთნაირად მხდალი სუყველა. ნუ გეშინია.

კირილემ ხალათი გაიხადა და მაისურისამარა დადგა ფანჯარასთან.

— პირსაბანში წყალი არის?

— კი. დაჯექი რა, მაყურებინე შენთვის ცოტა ხანს, — ამ სიტყვებს მაყვალა საოცარი სინაზით და სევდით ამბობს.

— დღეს მთელი დღეა წამოსული ვარ სახლიდან, — კირილემ მხარზე პირსახოცი გადაიკიდა და მაჯის საათი მოიხსნა.

— სად იყავი?

— რაიონში. არ მკითხო, რაზე იყავიო.

— თათბირი იქნებოდა.

— რა ჰქანან მაგენმაც. გვიმატებენ და გვიმატებენ გეგმას. არ მოიგო ერთ ხბოზე მეტი ძროხამ და რა ვქნა, ბატონო.

— დღეს შენი ცოლი ვნახე.

— სად? — კირილე შუშაბანდის კარში გაჩერდა. მოხედვით არ მოუხედავს.

— სად? — გააჯავრა მაყვალამ ფერმის გამგე, — სად იქნებოდა, ბადრი გამოჰყავდა სკოლიდან. ლამაზი ცოლი გყავს.

— რა უჭირს.

— როგორ წაგყვა კამეჩს ასეთი ანგელოზივით ქალი?

— იცის ბიჭმა.

კირილემ ხელ-პირი დაიბანა, სასტუმრო ოთახში შევიდა, გაიხადა და გაქათქათებულ ლოგინში შეგორდა.

— მაყვალ!

— რა იყო?

— მოდი, აგერ, მელაპარაკე.

მაყვალა ადგა, ფანჯარა მიხურა, აივნის კარს იფნის ურდული გაუყარა, სარკეში ჩაიხედა, ხორბლისფერი თმა გაიშალა, სინათლე ჩააქრო და ლაპარაკ-ლაპარაკით ჩამოუჯდა კირილეს საწოლზე.

— მაცალე... ჰო... მოგეფერო ცოტა ხანს... სად გავრბივარ... კისერი ნუ მომტეხე... შე დათვო...

ასე, ერთი საათის შემდეგ მაყვალას ფანჯრებში ისევ გაჩნდა სინათლე. ფერმის გამგემ ჭიშკარი ფრთხილად გაიხურა და სიბნელეს შეერია.

მასპინძელი ერთხანს იზმორებოდა საწოლში. არ იქნა დაძილი არ მოეკიდა. ცხელოდა. შუალამისას ჰერანგისამარა გამოვიდა, კონდარში ფეხშიშველამ გაიარა, კორკიმელს ზურგით მიეყრდნო და მთვარეს გახედა.

– მაყვალა! – თითქოს ყურისძირში მოესმა.
– უი, ღმერთო მომკალი, – ქალი არცთუ ისე საგანგაშო
ნაბიჯით სახლისკენ გაიქცა.

– მე ვარ, მაყვალა, ვარლამი ვარ, არ შეგეშინდეს.
– შენ რა გითხრა. არ გადამიტრიალდა გული? – მაყვალა
შედგა და ავინის ბოძს მკლავი შემოხვია, – კურსებზე მივდი-
ვარო?

– ხვალ მივდივარ, – ჩურჩულით ამბობს სტუმარი და აივან-
ზე კატის ნაბიჯით ადის. ეტყობა, კარგად ერკვევა მაყვალას
აპარტამენტებში.

ვარლამი რვანწლიანი სკოლის დირექტორია. ისტორიის
სპეციალისტი გახლავთ. ამ ოთხიოდე თვის წინ საარჩევნო
პუნქტში შეხვდნენ ერთმანეთს. ვარლამი აგიტატორი გახლ-
დათ. საუბარს რომ ატარებდა, მაყვალამ რაღაც ჰქითხა. დი-
რექტორმა დინჯად, სერიოზულად უპასუხა, მაგრამ ერთი
გაფიქრება გაიფიქრა – აქ რაღაცაშია საქმე, თორემ არა მგო-
ნია, ასეთი ლამაზი ქალი ამგვარი საკითხით იყოს დაინტერე-
სებულიო. საუბარი რომ დამთავრდა, მაყვალამ (როგორც
ეს საერთოდ ხდება) ფეხი აითრია, ყოველ შემთხვევაში ისე
მაინც, რომ არცთუ მიამიტი დირექტორი ცაცხვთან, ავტობუ-
სის გაჩერებაზე წამოსწეოდა. „ქალბატონო, თუ თქვენ პორ-
ტუგალიის საარჩევნო სისტემა სერიოზულად გაინტერესებთ,
შემიძლია ლიტერატურა დაგისახელოთ“. არ დაიბნა ვარლამი.
მაყვალამ გაოცებით შეხედა „მომზადებულ“ აგიტატორს და
ამით დაიწყო ყველაფერი. იმ საღამოს რვანწლიანი სკოლის დი-
რექტორმა ქმარგაყრილი ამომრჩეველი სახლამდე მიაცილა და
ორთვალიან ოდაში გაცილებით მეტ ხანს დარჩა, ვიდრე ახალ-
გაცნობილი მამაკაცისათვის გახლავთ დასაშვები მარტოხელა,
მოხდენილი ქალის ბინაში ყოფნა.

ის დღე იყო და ის დღე, კვირაში ორჯერ მაინც აივლის მაყ-
ვალა ზამბახიძის სახლის დაბალ კიბეს სკოლის დირექტორი,
მიუხედავად იმისა, რომ სარაიონო საბჭოს არჩევნები კარგა
ხანია დიდი წარმატებით დამთავრდა, ხოლო მომავალ არჩევ-
ნებამდე, სულ მცირე, ორი წელი მაინც დარჩა.

– რას დაბორიალობ მთვარეულივით ამ შუალამისას ეზოში?

– მართალია, ამ სიტყვებში საალერსო ცოტა რამ გახლავთ, მა-
გრამ ვარლამმა სიყვარულით გამობარი ხმით წარმოსთქვა და
მაყვალამაც სწორედ ისე გაიგო, როგორც გახლდათ თქმული.

– არ დამეძინა. ცხელა.
– მელოდი? მოინი ახლოს.
აივნის ტახტზე ჩამომჯდარმა ვარლამმა ქალს ხელი გაუწი-
და, ახლოს მოსწია და ხელები მოხვია. მაყვალა ფეხზე იდგა და
ისტორიის სპეციალისტს გრუზა ქოჩორს უვარცხნიდა.

– რა კურსები აუტყდათ. რა გაძლებს ორი თვე უშენოდ.
– რატომ, წახვალ, თვალს წყალს დაალევინებ.
– რაღა დროს ჩემი კურსებია. გადამზადება მინდა მეე?
– უყურე, ნამეტანი არ გადაგამზადონ, – მაყვალა იკინის.
– ნუ გეშინია. ჩამოხვალ თბილისში?

– თუ მოგენატრები, კი.
– დეპეშას გამოგიგზავნი შარშანდელივით: „ჩამოდი, თექვს-
მეტში ავტობუსზე დაგხვდები, ლამარა“. გახსოვს?

– რა დამავინყებს. მთელი დღე გადარეულს ვგავდი. ვი-
ნაა-მეთქი ეს ლამარა. შენ არც კი გითქვამს, რომ მიდიოდი.
სკოლამი დავრევე ეჭვით და რომ მითხრეს, თბილისშიაო,
ძლივს მივუსწარი ავტობუსს.

– რას იზამ. ხომ იცი, რამხელა ყურები აქვთ ჩვენი ფოსტის
გოგონებს. ახლაც ლამარას სახელით გამოგიგზავნო დეპეშა?
თუ შევცვალო სახელი.

მაყვალა მუხლზე ჩამოუჯდა დირექტორს და შუბლზე აკო-
ცა.

– როგორც შენ გაგეხარდება. მძიმე ვარ?
ვარლამმა ყურისძირში აკოცა ასატანად მძიმე ქალს და
ტახტის ბოლოსკენ ხელი გაიწვდინა.

– ნახე რა გიყიდე.
– ვარლამ! – ქალი წამოხტა და სტუმარს ზურგი შეაქცია.
– დამიწყე ახლა იმდღევანდელივით, – ვარლამი წამოდგა,
ქალს მიუახლოვდა, მარცხენა ხელი წელზე შემოხვია, ხოლო
მარჯვენათი ყელზე შემოხვია იაპონური ცისფერი დარაია.

– რატომ შვრები ამას, ვარლამ? – ქალს ხმაში აშკარა წყენა
გაერია.

– რას?

– გამიშვი ხელი, თუ გიყვარდე. საჩუქრის ქალი ვარ მე? არ მინდა, შენს თავს ვფიცავარ. სხვანაირი ხასიათი მაქვს და მომკალი, თუ გინდა, ერთი სიკვდილი უნდა გავათავო, ამ და-რაით შენს სახლთან რომ ჩავივლო.

– რატომ, ვითომ? – კაცს ვნებამორეული ხმა ჰქონდა.

– რატომ, რატომ, მერამდენედ აგიხსნა. ჩენ გარდა არავინ იცისო, მეტყვე ახლა. მე მეცოდინება, რომ ეს დარაია შენი ცოლ-შვილისთვის დაკლებული ფულით მიყიდე.

– ნუ ლაპარაკობ სისულელეს.

– წაიღე, რა, თუ გიყვარდე, წაიღე ახლა ეს და სხვა ვინმეს აჩუქე.

– იქნებ გამიყიდო სარფიანად აქვე, მეზობლებში? რატომ ვერ გაიგე, ქალო, ამ დარაიას რომ ვყიდულობდი, წარმოუდგენლად მიხაროდა. შენ გხედავდი აი ასე, როგორც ახლა გაქვს კისერზე შემოხვეული და ღვთისმშობელს ჰგავხარ. რა სერიოზულად დამიწებ ხოლმე ჭკუის დარიგებას. ამას საჩუქარს ეძახი? ორკაპიკიან დარაიას? თვითონ მსამოვნებს შენთვის რაღაცას რომ გავაკეთებ და ძალიან გთხოვ, შენი წაფილოსოფოსებით ნუ მომაკლებ ამ სიმოვნებას. სად წახვედი, გესმის ჩემი?

– ნუ ყვირი. – სააბაზანოდან ისმის მაყვალას იდუმალი ჩურჩული, – დაწექი და ახლავე მოვალ.

აივნის სვეტზე ჩამოკიდებულ რადიოში ჰიმნი რომ გაისმა, ვარლამი უკვე ჭიშკარს გაცილებული იყო და წკვარამ ღამეში ჯოხით მიიკვლევდა გზას, რომ ორმოში არ ჩავარდნილიყო, ან უადგილო ადგილას დაგდებულ მორს არ წამოდებოდა.

მაყვალა კარგა ხანს იდგა ჭიშკართან და შინ მიმავალის ფეხის ხმას უსმენდა. „რა ერთგულად, რა ღონიერი დაჯერებული ნაბიჯებით მიდის შინისკენ. ნეტა ჩემკენაც თუ ასე ჩქარა და საქმიანად მოდიოდა?“

მკლავებზე შუალამის გრილი სიო იგრძნო, სახლისკენ გამოტრიალდა, აივნის კარს ურდული გაუყარა და ჯერ ისევ თბილ საწოლში თავისი სწორი, ლამაზი ფეხები შეიკეცა.

მამლის პირველ ყივილს აივნის კარზე ფრთხილი კაკუნი მოჰყვა.

მაყვალა ადგა, ხალათი მოიხურა, ფეხაკრეფით გამოვიდა, ყური მიადო კარს და კაკუნი რომ განმეორდა, ჩურჩულით იკითხა:

– რომელი ხარ?

– მე ვარ მაყვალა, ხუხია ვარ.

– რა გინდა, ხუხია? – მაყვალა კარს ზურგით მიეყრდნო და თავი მაღლა ასწია, – ხომ გითხარი, ნუ მოხვალ-მეთქი.

– გამიღე ერთ წუთას, – ბიჭს გამშრალი ხმა ჰქონდა.

– არ გაგიღებ. წადი ახლა სახლში.

– გასაჩერებლად არ მოვსულვარ, სიტყვა მაქვს სათქმელი.

– დედა დაიფიცე.

– გამიღე. ერთ სიტყვას გეტყვი და წავალ, მაყვალა.

– ასე მითხარი. მშვენივრად მესმის.

– გამიღე თორემ, იცოდე, აქვე მოვიკლავ თავს.

მაყვალამ კარი გააღო თუ არა, ხუხიას ღონიერ მკლავებში მოექცა.

– შენ გენაცვალე... შენი ჭირიმე... შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე... – ლუღლუღლებს ხუხია და გაშმაგებით კოცნის მხრებზე, ტუჩებზე, ყელზე, ხელის თითებზე.

– გამიშვი ხელი. ნუ დამახრჩვე... რამ გადაგრია, ბიჭო, მთვრალი ხარ? უი, ჩემი სიკვდილი...

– რაის მთვრალი, მთელი დღეა ლუქმა არ ჩამსვლია პირში. შუალამემდე ვმუშაობდი ქვევით, ბრონეულებთან.

– რას აპირებენ იმ ძექვებში?

– მინას ვაბრუნებთ, ტუნგო უნდა ჩაყარონ.

– ივარგებს?.. გამიშვი ხელი... იხარებს, ვითომ?

– რა ვიცი.

– გამიშვი ხელი, ერთ წუთს, ბიჭო, ჭადს გავაფიცხებ. წაიხემსე ცოტა.

– არ მინდა არაფერი, – ხუხია კოცნის, კოცნის, გაგიგონიათ მაინც სულის შემხუთავი კოცნა? ისე კოცნის მაყვალას ხუხია.

– ლობიო მაქვს, ახალი ლობიო.

– არ მინდა, შენს თავს გეფიცები.

– ხუხია!

– რა იყო?

– გამიშვი ხელი. დაჯექი აგერ ცოტა ხანს და ადამიანურად ვილაპარაკოთ.

ხუხია ხელს უშვებს. ერთგულად შეკრული პერანგის ღილს იხსნის, კუთხეში დოქს წაწვდება და პირზე მიიყუდებს. დიდხანს, შეუსვენებლივ სვამს. წყალი მკერდზე ეღვრება.

– თბილი იქნება. ამდილანდელი წყალია.

– კარგია, – ამბობს ხუხია, მაყვალას წელს და ტუჩებს ისევ მოუძებნის და აივნის ბოძიანად იხუტებს გულში.

– სირცხვილი არ იცი, ბიჭო, შენ? – მაყვალა კარისკენ იწევს.

– ვინ დაგვინახავს. ახლა მგლის და ტურის მეტი არაფერია გარეთ.

– რა გელაპარაკე გუშინწინ, ეს გითხარი?

– მიყვარხარ. მაყვალა, არ შემიძლია უშენოდ.

– კარგი, ჰო, გავიგე, ბატონო. მერე? მერე რაი.

– შენთან მინდა, სულ შენთან მინდა ყოფნა.

– რანაირად, ბიჭო, რანაირად?

– იმნაირად, რანაირად და, ცოლად უნდა გითხოვო.

– ხუხია, გამიშვი ხელი, დაჯექი ერთი და მომისმინე. თუ კიდევ იტყვი, მიყვარხარო, ხუხია, იცოდე, ხმას არ გაგცემ და სულ გავიპარები ამ სოფლიდან ისე, რომ ჩემი ასავალ-დასავალი კაციშვილმა ვერ გაიგოს.

– რატომ?

– იცი შენ რატომ, ნუ გამამეორებინებ, რაც გითხარი.

ხუხია მანაგაძეა. კანტორასთან მესამე მოსახლე. ოცდაშვილი წლისა გახლავთ. ტრაქტორისტია. შინ მოხუცებული ბებია ჰეთავს, სხვა არავინ. მშობლები ადრე გაიყარნენ. დედა ხონელ ექიმს გაჰყვა, ხუხია სამი წლის იყო მაშინ. მამამისმა, კარპე მანაგაძემ, ამ ამბიდან წლისთავზე ცოლი შეირთო და რაიონის ცენტრში გადასახლდა. ცდა არ დაუკლიათ ცალკე დედას და ცალკე მამას, მაგრამ ხუხია ვერაფრით გამოწინკენს ბებიამისს ხელიდან. თავს ურჩევნია გამზრდელი ბებია ტრაქტორისტს, ხოლო ბებიებს კი როგორ უყვართ შვილიშვილი, ამის მტკიცებას მე ნუ დამანყებინებთ. მარჯვე ბიჭია ხუხია. შარშან მასალა მოზიდა, ოდა წამოიწყო და ამ შემოდგომაზე ცოლის

შერთვას აპირებდა (დაავალა კიდეც მაშვლებს, შემირჩიეთო ვინმე, ხეირიანი).

ეს ამბავი, ღმერთის წინაშე ვერ დავმალავ, ცოტა მაყვალას ბრალიც გახლავთ. თვითონ გაულიმა ადრე გაზაფხულის ერთ ღრუბლიან დღეს მის ჭიშკართან ჩავლილ ხუხიას ზამბახიძის ტურფა ქალმა და იზაბელას ხეივნის გასხლვა სიხოვა. დაუზარელი ყმაწვილი გახლავთ ხუხია.

– შენთან როცა ვარ, ყველაფერი მესმის. გავალ ამ სახლიდან და ამერევა ჭკუა. ხორცს ვიჭამ ხანდახან, ისე მომინდები. შენ არ გესმის.

– რა არ მესმის, ბიჭო, მე. რომ მესმის, იმიტომ გეუბნები. არ შეიძლება ასე.

– რომ არ შემიძლია უშენოდ? – თვალებში კოცნის.

– შეძლებ... შეძლებ... უნდა შეძლო. შენ ბალანა ხარ ჯერ, ახლა ინყებ ცხოვრებას. ვაჟუაცი არ ხარ? არ შეიძლება ჩვენი სიყვარული. ხვალ თუ ზეგ ცოლი უნდა ითხოვო და ოჯახს მოეკიდო. ხომ მოიკლავს თავს ბებიაშენი, მე რომ მიმაყენო კარზე? ჩემთვის გაგზარდა? მე ჩემი ცხოვრება მოჭმული მაქს უკვე. დამთავრებულია ჩემი ბედნიერება, რად გინდივარ ორმოცი წლის ბებერი ქალი. ბავშვი მე არ მეყოლება და არაფერი. გესმის ჩემი ლაპარაკი?

– კი მესმის...

– ჰოდა, ჩემი ბიჭი, თუ ხათრი გაქვს, ოდნავ თუ გიყვარვარ, მეტს ნულარ მოხვალ ჩემთან.

– შენც ხომ გიყვარვარ?

– ვინ გითხრა. არ დაიჯერო, მაგ ამბავი. სიყვარული შემიძლია, ბიჭო, მეე? რაღა დროის ჩემი სიყვარულია...

– რა ვენა, აბა? – ხუხიას სასოწარკვეთილი ხმა აქვს.

– მოდი ახლა, მოგეფერები, ჩემი ბიჭი, და წაი სახლში.

მეტს ნულარ მოხვალ, ხომ აღარ მოხვალ?

– ვეცდები, – არცთუ დარწმუნებით ამბობს ხუხია, მაყვალას ხელში აიტაცებს და საწოლისკენ მიჰყავს. – აბა, არ გიყვარვარ?

– არა, ნუ დამახრჩე...

– ახლა... ახლა... ახლა?

— არა... არა... არა...

გათენებისას, როცა ხუხია სველ კონდარს გაირბენს და ჭიშკრის მიხურვაც დაავიწყდება, მაყვალა საწოლზე პირქვე დაემხობა და გულამოსკვნით ტირის.

მაყვალას ლამე ასე თენდება.

დილით „მოძრავი ბიბლიოთეკარი“ წიგნებიან ჩანთას აიკიდებს და სოფელს ჩამოივლის.

სათოხარს ჩამორჩენილ, ბოგირთან შეკრებილ კაცებს ამაყად, წელში გამართული, ტანის რხევით ჩაუვლის. „მაყვალა, ნუ მოგვკალი, მაყვალა“, — დაადევნებს ღლაბუცის მოყვარული. „შენს ცოლს მიხედე, კოკიელა, რო დაგიბჩენია მავ პირი“, ნაზად, ღიმილით ესვრის მაყვალა და უფრო გემრიელად მიაბიჯებს.

თითო შესვლა კირილეს და ვარლამის ოჯახშიც შევა. დიასახლისებს წიგნებს გაუშლის. ავინისკენ თვალს გააპარებს, მაგრამ პიჯაკმოხურულ ოჯახის უფროსებს ზედაც არ შეხედავს.

— რა გეჩქარება, მაყვალა, ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინა, შექალო?

მაყვალას ეჩქარება, ათასი საქმე აქვს მოძრავ ბიბლიოთეკარს.

არის ერთი სახლი, სადაც არ მივა დღეს. გერსამიების ღობეზე გადავა, შორიდან მოუვლის, რომ ხუხიას ჭიშკართან არ ჩაიაროს.

„რაც დროზე გაუვლის ქარები და დროზე ჩახვდება ჭკუას, მით უკეთესია ხუხიასთვის“, — ასე ფიქრობს მაყვალა.

თავის თავს აჯერებს ბიბლიოთეკარი, რომ სწორად ფიქრობს.

ცრემლად და სიკვდილად რომ უჯდება ეს ფიქრი?



სიკვდილის წინა დღე

დილის ცხრა საათზე უნივერსიტეტის ბალს, მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან, საშუალო ტანის, ჭალარათმიანი და შავთვალება, ლურჯი დრაფის გაცვეთილპალტოიანი, გამხდარი კაცი მოადგა. ერთხანს მონუსხულივით შესცეკროდა ჭადრების ქვეშ აუივუივებულ ბელურებს თავიანთ ურთიულეს ფიქრებში გართულ მოქალაქეებს ფეხებში რომ უძვრებოდნენ, მერე კრაველის ნაცრისფერი საყელოდან მტვერი წკიპურტით გაიფერთხა, პირთან მუშტის მიდებით ხრინწიანად ჩაახველა, ბალში შევიდა, მელიქიშვილის ძეგლის გვერდით ლურჯ ხის სავარძელს ხელი დაუსვა (ახალი შელებილი ხომ არ არის, ან ნამი ხომ არ ადევსო), შემოტრიალდა, პალტოს კალთები აიქნია და დაჯდა.

თუ რაიმე ჰქონდა მიმინოსებური — მხოლოდ და მხოლოდ თვალები. იცქირებოდა შორს და ჯიუტად. ხანდახან უცნაურად ჩაიცინ-ჩაიხრინწ-ჩაიხითხითებდა, გვერდზე ჩავლილ ნახევრადუცნობ სტუდენტს თავს დაუქნევდა და მერე ისევ მონუსხულივით, კისერაწეული და თვალგაქცეული, გაუნძრევალად იჯდა.

დაახლოებით ასე, თორმეტ საათზე, სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტის ბალს მაღალი, თმაგაჩერილი ბობრი პირი-სახის, აგურისფერულვაშა, მსუქანი კაცი მოადგა, ბობრსახიანს მაკინტოშის გრძელი, დაახლოებით, სამი-სამანახევარი ზომით მის სარგოზე დიდი მოსასხამი ეცვა. ხელები ჯიბეში არ ეწყო, ზურგზე ჰქონდა შემოსალტული, კოჭლი როდი გახლდათ, მაგრამ ისე აჩაბაჩად დადიოდა, დაინტერესებულ კაცს რომ გაეზომა განიგან მისი ტანის რხევის ამპლიტუდა, ასე სამოცი-სამოცდახუთი სანტიმეტრი მაინც იქნებოდა. თავზე წაადგა კარაკულის საყელოიან, გამხდარ კაცს და როცა ამ უკანასკნელმა აბეზარი ფიქრისგან წუთით მოიცალა და თვალი შეავლო, მიესალმა. კაცმა-მიმინომ კითხვაგარეული ღიმილით დაუქნია თავი.

- უკაცრავად, თქვენ გიგა არა ხართ? – ჰეთხა.
- „დიას გახლავარ, რა გნებავს შენა“, – კულტსახლის მსახ-იობის თეატრალური დახვეწილობით მიუგო დამხვდურმა.
- აქ რას აკეთებთ?
- ხომ ხედავთ, ვთვლემ.
- თუ შეიძლება, დავჯდები თქვენ გვერდით.
- ვთვლემ-მეთქი, მგონი გასაგებად გითხარით, გნებავდათ რამე?
- ერთად ვითვლიმოთ, – უცნობი არც ისე მორცხვი ჩანდა, როგორც გიგას ერთი შეხედვით მოეჩვენა, მაკინტოშის პლაში არ აუკეცავს, სავარძელს სული შეუბერა, ჭადრაკულად მოქა-რგული ცხვირსახოცი ამოიღო, გაიფინა და დაჯდა.
- მზე რომ ჭადრებს დასავლეთის მხრიდან მოექცა და გუმ-ბათის ჩრდილი ვერის გზატკეცილს დაეხატა, მაკინტოშიანმა მოსასხამის კალთები მუხლებზე აიწია და გიგას მიუბრუნდა:
- ვარლამი მქვია მე.
- გიგამ კარგა ხანს უყურა, მერე გაულიმა და მარჯვენა ხე-ლით მხარზე რბილად შეეხო.
- შევმცდარვარ. ჩემი შეტყობით, ჯურლაი უნდა გრემეო-დათ.
- რატომ ჯურლა?
- იცით, ადამიანები ძალიან ხშირად ჰგვანან სახელებს. ან მერე ემგვანებიან. აი, ეგერ რომ ბიჭი გარბის, სვიტრიანი, არც მეტი, არც ნაკლები – კოკა ერქმევა. თუ გნებავთ, დაეწიეთ და ჰეთხათ.
- თქვენ იცნობთ, ალბათ. – დაეჭვდა ვარლამი.
- ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.
- გიგა, თქვენ?
- რა მე?
- თქვენ ჰგავხართ თქვენს სახელს?
- გიგამ თვალები ეშმაკურად მოწკურა და თითქოს საიდუმ-ლოს ანდობსო, განუცხადა:
- მე გენიოსი ვარ. გენიოსისთვის ყველა სახელი პატარაა. უკეთეს შემთხვევაში, გენიოსი სახელს იმგვანებს, თვითონ არ ემგვანება.
- ააა, ჰოოო, – ვარლამმა კეფა მოიფხანა, მიხვედრით კი, რასაკვირველია, ვერ მიხვდა ნათქვამს და, კაცმა რომ თქვას, იქ მისახვედრიც არა იყო რა.
- მითხარი, მითხარი, მკითხე. მერე, რა ვუყოთ, რაღაც-რაღაცებს მეც ვერ ვხვდები ხოლმე ზოგჯერ. გენიოსს სახელი არ სჭირდება-მეთქი, ეს მინდოდა მეთქვა. უბრალოდ და მარ-ტივად თუ გინდა, ეს არის.
- ვარლამს მოეჩვენა, რომ ამ „უბრალოდ და მარტივად“ ნათქ-ვამზე უფრო გასაგები მისთვის, წელანდელი რთულად ნათქ-ვამი იყო, მაგრამ ამის შესახებ არაფერი უთქვამს.
- მართალი ყოფილა. – თქვა სტუმარმა და განზე გაიხედა.
- რა ყოფილა მართალი? – გიგა რეზინისმილიან მეეზოვეს შესცემოდა.
- თქვენზე რომ ამბობენ, ერთი შეხედვით, დამთხვეული გეგონებათო.
- მეორე შეხედვით? ეგ მეორე უფრო საინტერესო უნდა იყოს.
- რომ იცოდეთ, ბატონო გიგა, სამასი კილომეტრიდან თქვენს გასაცნობად ჩამოვედი.
- შენ გგონია გამიკვირდებოდა, ეგ რომ მართალი იყოს? დროც კა, დაიწყოს ყოველი მხრიდან ხალხმა დენა ბრძენთა-ბრძენის ბაგეთაგან ცხოვრების აზრის მოსასმენად.
- თქვენ ხუმრობთ და ეს ნამდვილად ასეა.
- არა, მართლა.
- ჩემმა ძმიშვილმა, სამტრედიელი გახლავართ მე, გოჩა-ჯიხაიში, თუ გაგიგონიათ. დიდი არაფერი, ბუოლის დამყნობა ვიცი კარგად. ჩემმა ძმიშვილმა-მეთქი, შარშან დაამთავრა. ჩამოვიდა. ხომ იცი, ნასწავლი კაცი. მიხაროდა გვერდით მისი ამოყენება. აბა, რავა არი საქმე, რა გასწავლეს-მეთქი. მთლად ასე არ უთქვამს, მაგრამ ლაპარაკში შევატყვე; ყველაზე მე-ტად ამ ხუთ წელიწადში თავი გიგა შაბრაძემ დამამასოვრაო. რა მოხელე-ჩიქვანია-მეთქი, ვკითხე. დიდი არაფერი, უნირ-ვერსიტეტის ბალში ზის დილიდან საღამომდე. თუ იქით არ გამოელაპარაკე, აქეთ ხმას არ გაგცემს. პირველად უცნაური გეგონება, მერე და მერე ისე გაგიტაცებს, ვერ მოშორდებიო.

იმდენი რამ მიამბო თქვენზე, სიმართლე გითხრათ, სიზმარშიც მყავხართ ერთი სამჯერ ნანახი. სად მეცალა სათბილისოდ, მაგრამ ვერ გავძელი და წამოვედი. დაიჯერებთ ამ ამბავს? თქვენ გასაცნობად, თქვენთან სალაპარაკოდ ჩამოვედი.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი ზოოპარკთან, სალობიეში ისხდნენ. არსად არ ეჩქარებოდათ. იცი, მკითხველო, რა დიდებული რამ არის, როცა სალობიეში ზიხარ და არსად გეჩქარება?

– ბავშვობა თუ მოგნატრებია, – სხვათა შორის ეკითხებოდა ვარლამი.

– მომნატრებია, მაგრამ ახლა რომ ბავშვად გადავიქცე, არ მინდა. რატომ თუ იცი?

– ?

– რა სანატრელია თავიდან, ახლა, ქუნთრუშას თუ წითელა ბატონების გადატანა. ყურებზე ხელის აფარება სკოლის დირექტორის დანახვისას. ლურჯი ტრუსიკით და წითელი მაისურით ქუჩაში გასვლა. სიგარეტის თავიდან მიჩვევა და არყის სმის დაწყება. იცი, რა ძნელი იყო? დამანებე თავი, თუ კაცი ხარ, ძლივს მივეჩვიი, ძლივს ჩამოვყალიბდი.

– ძმაკაცები თუ გყავთ?

– როგორ არა. ერთი სამი გენიოსი ძმაკაცი მყავს, – ისევ გაიცინა და ეშმაკი ჩაუსახლდა თვალებში, – ხომ იცი, გენიოსის გენიოსი ნაკლებად უძმაკაცდება. გენიოსი უფრო სულელისკენ მიუწევს გული. ამიტომ კანში ვძვრებოდი, თავს უბრალო მოკვდავად ვაჩვენებდი, რომ, როგორმე, მათი ნდობა მომეპოვებინა. ამ ბოლო დროს, მგონი, შემატყვეს, რომ თავს ვისულელებდი, გურულები ამას თავის გააბდლებას ეძახიან, შემატყვეს, რომ მეც გენიოსი ვარ და ჩამომშორდნენ.

უცებ მოიწყინა და დაამატა:

– ხუმრობა იქეთ იყოს. ღმერთმა კარგად მიმყოფოს ჩემი მეგობრები, მაგრამ ყველას ურჩევნია რომ მკვდარი ვიყო.

– რას ლაპარაკობ?

– ცუდი რამ არ იფიქრო, ვარლამ. ესეც ზედმეტი სიყვარულით მოსდით. ჩვენ ხომ ერთმანეთი მკვდარი უფრო გვიყვარს, ბალდახინზე გაჭიმული. გალაკტიონი გახსოვს? „მიცვალე-

ბული სახელოვანი წევს ბალდახინზე გამოწყობილი“, თუმცა გენიოსი ვარ, მაგრამ რაც ამ წუთში გითხარი, არ ჩაიწერო, სისულელეა, წუწუნია. მეგობრებისაგან იმაზე მეტი არ უნდა მოითხოვო, რაც გეკუთვნის. მე, ალბათ, მეტი არ მერგება, და საერთოდ, შენ მაგივრად ვერავინ იცხოვრებს. ეს მართლაც კარგად ვთქვი, შეგიძლია ჩაიწერო.

– ჩემმა ძმიშვილმა მითხრა, ლექსებს წერსო.

გიგამ გაიცინა, მუშტი მიიდო ტუჩებთან და ჩაახველა.

– ტყუილი უთქვამს. ლექსი იმდენად სერიოზული რამეა, რომ, თუ დაწერ, აი როგორ მდგომარეობაში უნდა დაწერო: დიდხანს გხეხეს შიმუნვარებმა თუ რა ჰქვიათ? – პირისფარებებმა, ბოლოს ვარდის წყალი გადაგავლეს ტანზე. შემოგიყვანეს მაღალჭერიან დარბაზში, ჯიბა-ატლასით შეგმოსეს, ხელთ ოქროს კალამი მოგაწოდეს და თვითონ უკანსვლით გაუჩინარდნენ. დამავიწყდა, შანდალზე ინდური ბალახი იწვის, ჰამო სურნელს რომ გამოსცემს. აბა, მე რა ლექსი უნდა დავწერო სახლმმართველი რომ თავში მიჩაჩუნებს, კომუნალური გადასახადი არ შეგიტანიაო. შუა რთახში ნავთქურა რომ ხრიოლავს და შავად თოვს, ყველაფერ ამას ის სიკეთეც დაუმატე, შენ რომ არ ჩამოსულიყავი დღეს, საიდან ხარ?

– გოჩა-ჯიხაიშიდან.

– შენ რომ არ ჩამოსულიყავი დღეს, ჩემო ვარლამ, გოჩა-ჯიხაიშიდან, ლობიოს და არყის ფული ათასი დამამცირებელი საშუალებით უნდა მეშოვნა. ასე რომ, ტყუილი უთქვამს იმ შენს ძმისშვილს, ლექსებს წერსო. რა ერქვა, არ იტყვი ბოლოს და ბოლოს?

– ბეჟუნი სხირტლავა.

– უი, ბეჟანი, ბეჟანი! ჩემი ძმა. ჭამა ძველებურად უყვარს? ძილი? ძილის გიჟია. უნდა იამაყოს თქვენმა გვარმა. ეგ ისეთი კარგი ჩამოსხმაა, შორს წავა. ნახავთ მალე. ხუთი წელი ვწვრთნიდი, ვერაფერ სიგლახეს ვერ მივაჩვიე. მერე ჩავიქნიე ხელი. რომ დამინახავდა, სულ მშერი ვეგონე, სამ მანეთს ამოიღებდა და ჯიბეში ჩამიკუჭავდა. თან ხელს ხელზე მომიჭერდა და თვალს ჩამიკრავდა. ერთხელ რაღაცაზე შემეკამათა, ვუთხარი: „ნუ მანერვიულებ, თორემ გავბრაზდები შენზე და სამ მანეთს

აღარ გამოგართმევ-მეთქი“. მაშინვე გაჩუმდა. ასეთი ბიჭია, ხალასი, სუფთა. მოეწყო სამსახურში?

- არა ჯერ.
- ცოლი არ შეურთავს?
- არა.
- რა ეჩქარება? ეგ ისეთი ბიჭია, ყველაფერს მოასწრებს.

მე ყველაფერი დამიგვიანდა, კაცო, ამ ქვეყანაზე. ვერ გეტყვი, რისი ბრალია. ახალი რაღაცის დაწყება ბავშვობიდანვე მიჭირდა. სიახლის მეშინია. რა მინდა ამ ბალში ამ ხნის კაცს, შენ გვონია, მე არ ვფიქრობ ამაზე? ვფიქრობ, მაგრამ თავი ვერ დამიღწევია.

ჯიბეში ხელი ჩაიყო. „პრიმას“ თავი მოუსრისა და ასანთს გაჰკრა.

ვარლამი შესცექოდა რიდით და სიყვარულით. „რაც უფრო თვრება, უფრო უბრალო და გულწრფელი ჩანს. საოცარია, უცნაურობა, თითქოსდა, ნიღაბივით აუფარებია. კაცს ეგონება მართლა რაღაცას მაღავსო“.

– შენ მითხარი, – გიგა განაგრძობდა, – რომ არ დაგხვედროდი დღეს ჩემს ადგილას, ბალში, სად უნდა გეძებნე? ესე იგი, ხომ ჭირდება ვიღაცას ჩემი აქ ყოფნა? გითხრა სიმართლე, ერთი პირობა წავედი აქედან და მუშაობა დავიწყე. ხერიან სამსახურს ვინ მომაშავებდა. პატარა ჩინოვნიკის ადგილი მომცეს. შემოვივლიდი ყოველ სალამოს ბალში და, გაგიკვირდება, თითქოს ჩემს თავს დავეძებდი. კაცს ვეძებდი, რომელიც აქ უნდა მჯდარიყო. არავინ არ იკისრა, ძმაო, ეს როლი. ისევ მე დავანებე სამსახურს თავი და დავპრუნდი. ჩვენ ჩვენი ადგილი უნდა შევავსოთ. ყველას რომ იმაზე მეტი გვინდა, რაც ბუნებამ გვარგუნა – ესაა ჩვენი უბედურების თავი და თავი. როგორც ჩანს, ჩემი საქმე ეგ არის, ისე როგორც რობერტ მელქაძის საქმეა კაცის გალახვა რინგზე.

სვამდნენ პლასტმასის თეთრი ჭიქებით. არაყზე ლუდს აყოლებდნენ. დეკემბრის სუსტიანი სალამო იყო. მარჯვენა მხრიდან მანქანების ღრიალი ისმოდა, ზოოპარკში ცივი ხმით ჰკიოდნენ მნახველთაგან თავგაბეზრებული მაიმუნები.

კარგად შეზარხოშებულები დაბრუნდნენ უნივერსიტეტის

ბალში. სიმთვრალე მხოლოდ იმაზე ეტყობოდათ, რომ ჩვეულებრივზე ცოტა ხმამაღლა და დიდი პაუზებით ლაპარაკობდნენ.

– ა, ბედნიერი ხალხი, – გიგამ უნივერსიტეტის ბალში გამნერივებულ ძეგლებს გახედა. – ანგარიში გასწორებული აქვთ ამ ქვეყანასთან. ო, რომ იცოდე, ვარლამ, რა ძნელია სხეულის ტარება. რაც მალე იქცევი ქვად, მით უკეთესია.

– საქმე უნდა გააკეთო. ქვად ყველა ვერ იქცევა.

– ბალახად ხომ უეჭველად გინევს გადაქცევა. ესეც საქმეა. შენ იკითხე, თორემ მე რა, მე უკვე მოწყენაც მომეწყინა. ესე იგი ძალიან ახლოს ვარ ბალახად ქცევასთან. მარტო ერთ რამეზე მწყდება გული.

– რაზე?

– რას იტყვიან, ნეტა, ჩემი გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ მოგონებათა სალამოს რომ გამართავენ. ვინ რას მოიგონებს, რას დამაბრალებენ. მიცნობდა ვინმე? დაინტერესდა ვინმე ჩემით?

– შენ არ მოკვდე, თორემ მაგ მხრივ ყველაფერი კარგად იქნება. სიტყვებს ისეთს იტყვიან, შენვე აგატირებენ, ცოცხალი რომ იყო.

– მაგის იმედიც აღარ მაქვს.

– რატომ დავიწყეთ ეს ცუდი ლაპარაკი?

– გავჩუმდები, ბატონო, რაკი არ მოგწონს, გავჩუმდები. შუალამისას დასცილდნენ ერთმანეთს.

გიგამ შესთავაზა; აქვე ვცხოვრობ, ჩემს ჭერქვეშ გაათიე ღამეო, მაგრამ სტუმარმა იუარა, ფალიაშვილის ქუჩაზე ნათე-სავი მყავს, მიუსვლელობა არ იქნებაო.

მოდიოდა ვარლამი სახლისკენ და ფიქრობდა:

– „სხვა კაცია, რად უნდა ამას ლაპარაკი. სხვა თიხისგან ყავს გამჩენს შექმნილი, ხანდახან ავი მუსაიფი გაერევა სიტყვაში. რაღაც დიდი ნაღველი აქვს. ღმერთო, შენ მოუმართე ხელი“.

...არასამედიცინო ტერმინი რომ ვიხმაროთ; ბრმა ნაწლავის გასკდომა იშვიათი შემთხვევაა. და ამ „იშვიათ შემთხვევაშიც“ კი ადამიანები იშვიათად კვდებიან.

საქმე

კოხტად გაკეცილ კონვერტში ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი გრძელი მოსაწვევი ბარათი იდო: „პატივცემულო ამხ. (მრავალნერტილის ადგილზე გაკრული ხელით ენერა „ჯამლეთ ფურცხვანიძე“) გინვევთ სახალხო დღესასწაულ პლატონობაზე, რომელიც გაიმართება 14 და 15 ოქტომბერს დაბა კიმონაანთში“. წასვლაზე არც უფიქრია, მაგრამ ბარათის მიღება მაინც ესიამოვნა. „ვის გავახსენდი“, ჩაილაპარაკა და მოსაწვევი სამზარეულოს წითელ მაგიდაზე დადო, რომ სამსახურიდან მობრუნებულ ცოლს ენახა.

დილით არტემ ხასიამ დაურეკა.

- ჯამლეთი ხარ?
- ყოფილ ოტელოს თუ იკითხავთ, დიახ, გახლავართ.
- მოსაწვევი თუ მიიღე? – არტემს არაჩვეულებრივად დაწმენდილი, პიონერივით წერიალა ხმაც კი ჰქონდა ამ დილით.
- კი. ეტყობა ძველი ინერციით, – „ყოფილ ოტელოს“ ხმაში ნაღველი გაკრთა.
- ხომ მოდიხარ?
- არა.

– რატომ? – შეიცხადა არტემ ხასიამ. ტელეფონში რადიო ჩაერთო. უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ.

– ალო, ალო, არტემ, გესმის? ვერ მოვდივარ, ვერ ერთი, მანქანა ალარ მაქვს და მეორეც... საერთოდ...

– არ გრცხვენია, ჯამლეთ, შენ?.. ჩაგვერთო ვიღაც! ყვირილზე გადავიდა ხასია – ნახევარ საათში გამოგივლი, მზად იყავი, თუ კაცი ხარ. შენთან ლაპარაკი მომენატრა. ყველას ძალიან გაეხარდება. ჩავიდეთ და ხვალ წამოვიდეთ, რა დროსაც გინდა. ახალი შოთერი მყავს. სერიოზული ბიჭია. ნოუ პრობლემ! შევთანხმდით!

არტემმა ყურმილი რომ დადო, ტელეფონში უფრო გამოკვეთილად გაისმა რადიოს დიქტორის ხმა. ჯამლეთს ყურმილი კარგა ხანს ეჭირა, მაგრამ რადიოს კი არ უსმენ-

და, თავის საფიქრალს ფიქრობდა: „ვეცოდები ალბათ და ჩემი გამხიარულება გადაწყვიტა. მეც ასე მოვიქცეოდი მის ადგილას. წავიდე? თეთრ ყვავად ხომ არ გამოვჩნდები. თანაგრძნობით ალსავსე სახეებს ვერ ვიტან. ზოგს ჰგონია, ვითომ დიდი რამ დამაკლდა. მე ხომ ისევ მე ვარ“. ბოლოს დაასკვნა; „თუ არ წავალ, თეთრ ყვავად სწორედ მაშინ გამოვჩნდებიო. პირიქით, მხიარული უნდა წარვუდგე საზოგადოებას, უნდა შევაგნებინო ზოგიერთს, რომ ჩემთვის ბევრი არაფერი შეცვლილა!“

მთელ გზაზე ჩახჩახა ამინდი იდგა.

ნაწვერალებს თაგვისფერი დაპკრავდა, ტყებზე კი ოქროს-ფერი გაპატონებულიყო. ყვითლად მოჩითულ ზღაპრულ დარბაზს ჰგავდა ქვეყანა. აქა-იქ იელი და კუნელი ღუოდა წითლად და მგზავრს აფხიზლებდა, თორემ შეიძლებოდა სამოთხეში გვონებოდა თავი და აფრენის სურვილი გაგჩენოდა.

საუბრობდნენ იმ ლალი და შეუბოჭავი საუბრით, მარტო მგზავრობაში რომ იციან ადამიანებმა და ისიც მაშინ, უცხო თუ არავინაა ახლომახლო. იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა პეიზაჟი და რა გასართობს სთავაზობდათ ბუნება, არტემ ხასია და ჯამლეთ ფურცხვანიძე საუბრობდნენ დაშაქრულსა და ნატურალურ ღვინოს შორის განსხვავებაზე, მიწერებზე, შამპანურის ცარიელი ბოთლების პრობლემაზე, ისტორიულ ძეგლთა დაცვაზე, ქართული ენის მოვლა-პატრონობასა და გზების კეთილმოწყობაზეც კი. სურამის უღელტეხილს რომ გაცდნენ, არტემ ხასიას გულმა ალარ მოუთმინა და ჰკითხა:

– ჯამლეთ ჩემო, თუ გიყვარდე, ერთი დაწვრილებით მიამბე შენი იქედან წამოსვლის ამბავი. რა მოხდა, როგორ მოხდა. ქალაქში ხმა გავრცელდა, ჯამლეთ ფურცხვანიძემ თვითონ ითხოვა განთავისუფლებაო. გამარკვიე ერთი, თუ კაცი ხარ.

ჯამლეთმა მელოტ თავზე ცხვირსახოცი გადაისვა, მარჯვენა ლოყაზე თხილისოდენა ხალი საჩვენებელი თითოთ მოისინ ჯა და გამოკვეთილი ლენტეხური კილოთი დაიწყო:

– არტემ ბატონო, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, არავინ არსაიდან თავისი სურვილით არ მიდის. რომ გითხრა, გული არ დამწყვეტია-მეთქი, არ იქნება მართალი, მაგრამ არც ისაა სწორი, ზოგი ენაჭარტალა რომ გაჰყირის თურმე – ჯამლეთ ფურცხვანიძემ ისე განიცადა ეს ამბავი, რომ წინასაინფარქტო მდგომარეობამდეა მისულიო. რა მოხდა, ოცდაორი წელი ვი-

ჯექი იმ ერთ ადგილზე, სკამს ხომ არ გამოვეკერები, შე კაცო. კაკაბაძე რომ დაჯდა მინისტრად, გამეხარდა, ჩვენ ერთმანეთთან ყოველთვის ახლოს ვიყავით, რამდენჯერ შემოსულა ჩემთან და უთხოვია, ბატონო ჯამლეთ, კვალიაშვილთან შემაწიეთ ორიოდე სიტყვაო, იმდენი სიკეთე ჩემს ოჯახს. არ დავმალავ, კიდევ მინდოდა ცოტა ხანს მუშაობა, მაგრამ რაკი არ ინდომეს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მე იმაზე ვარ ნაწყენი რომ ცოტა უმადურად მომექცნენ. მაგრამ ამაზეც სისულელეა ლაპარაკი, მე ჩემს ქვეყანას ვემსახურებოდი, როგორც შემეძლო და ჩინტემლაკებზე არასოდეს გამქცევია თვალი. იმ დღეს სამივენი ერთად დაგვიბარეს. ცოდვას ვერ ვიტყვი, მინისტრი კარში შემოგვეგბა, მიგვიღო თბილად, გემრიელად, რა ამბებია, როგორი განწყობილებაა, ახლებურად ხომ მუშაობთო. ერთი-ორი სახუმარო ფრაზაც გვესროლა და საქმიანი იერით გვითხრა: ბატონებო, არის წინადადება, რომ თქვენ შორის ერთ-ერთი შეიცვალოს. ასე ვთქვათ, უნდა გავაახალგაზრდავოთ ხელმძღვანელობაო. გადავხედე ჩემს კოლეგებს. გრივერს არ შეცვლის, მმართველია და თანაც ვიცი, ოჯახებითაც ახლოს არიან ერთმანეთთან, ნესტორ ტულუში, სანამ ცოცხალია, არსად წამსვლელი არ არის, სხვა მინისტრებმაც დაუპირეს გადაყვანა, მაგრამ ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ კუდით ქვა ასროლინა. ეს წინადადება მხოლოდ და მხოლოდ მე მეხება-მეთქი, გავიფიქრე და არც შევმცდარვარ. ვთქვი თუ არა, რა გაეწყობა, რაკი ასეა, მე წავალ-მეთქი – მინისტრს ნათელი გადაფინა სახეზე, აგაშენათ ლმერთმა, მიმხვედრი და კაცური კაცი ყოფილხართ, ჯამლეთ ბატონოო. ოც წუთს ილაპარაკა ჩემს დამსახურებაზე (ვის აცნობდა ჩემს თავს, არ ვიცი), მერე მხარზე ხელი დამარტყა: გული არ დაგწყდეს, ყოველგვარ პირობებს შეგიქმნით, მზრუნველობას არ მოგაკლებთო, მითხრა და გამოცილებისას მხოლოდ მე გადამეხვია. ეს იყო და ეს.

ჯამლეთის ამ ნაამბობზე არტემ ხასიამ თავისი აზრი გამოთქვა. ეს აზრი მხოლოდ იმდენადაა საინტერესო, რომ უცნაური ლოგიკა მოიშველია: მინისტრის საქციელიც გაამართლა და ფურცხვანიძის ნაბიჯსაც ბრძნული უნოდა. მერე სიტყვა რატომლაც ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაიტანა და ამასობაში კიმონაანთის გადასახვესაც მიადგნენ.

გზა, რასაკვირველია, გადაკეტილი იყო. მილიციელმა მოტოციკლიდან გადმოუსვლელად დახედა ხასიას საბუთს და თავი დაუქნია.

– მიბრძანდით, ბატონო.

– გზა რატომ გადაკეტეთ? – წასვლას არ აპირებდა არტემი. მოტოციკლისტი დაიხარა და ჩუმად უთხრა:

– არ იცით, ბატონო? მე თქვენთვის უნდა მეეითხა და!

– მაინც? – ლეონარდოს „საიდუმლო სერობის“ ერთი პერსონაჟის სახე მიიღო ხასიამ.

– მგონი მინისტრი ჩამოდის პლატონობაზე.

– მერე? ეს მანქანები რომ დააგროვეთ, უარესი არ არის? იქნებ შაბათ-კვირას თავის ცოლ-შვილში მიდის კაცი. არ უნდა გაატაროთ?

– მანქანებს ქე ვცნობთ, ბატონო, მთლად ისე კი არაა ჩვენი საქმე, – მაჯის მოძრაობით მოტოციკლი ააღრიალა და სწრაფად გაშორდა ცნობისმოყვარე მოქალაქეს.

დაბა, მართლაც რომ, საზეიმოდ იყო მორთული.

გზის ორივე მხარეს სახელდახელო ფაცხები მოეწნათ. ფაცხებზე ჩურჩელები და სიმინდის ტაროები ჩამოეკონიალებინათ. ყოველ მეორე ფაცხაზე თითო ლოზუნგი იყო გაკრული. მანქანის სრბოლაში ჯამლეთ ფურცხვანიძე ლოზუნგების წაკითხვას ძლიერს ასწრებდა. ფაცხების გასწვრივ მორიალენი მანქანისკენ მეყვსეულად შემოტრიალდებოდნენ. ბავშვები ტაშს უკრავდნენ და წამდაუწუმ „ვაშას“ გაჰყიროდნენ. ჯამლეთმა შენიშნა, რომ მოზარდები მარტო ამ მანქანას როდი ხვდებოდნენ ოვაციით, წინ მიმავალი სასწრაფო დახმარების მანქანა „03“-ც ასევე „ვაშა-ურათი“ და ტაშით გააცილეს. სერიოზული მოქალაქენი მანქანის გამოჩენისთანავე ადგილზე გაქვადებოდნენ, უცნაურად დაფიქრებული მიაჩირდებოდნენ ეკიპაჟს, თითქოსდა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის სტუმართა ამოცნობას. ხეივნის შესასვლელთან წითელყელსახვევიანი ვეტერანი პიონერები ჩამწკრივებულიყვნენ და შეკითხვამოძალებულ ბავშვებს მოკლე, ბუნდოვანი პასუხებით იგერიებდნენ. სახეზე დაღლილობა ემჩნეოდათ, მაგრამ მაინც ამაყად იდგნენ და მედალ-ორდენებით დაჯავშნული მკერდები გზისკენ გამოეშვირათ. მანქანა ჩელუსკინელთა მოედაზე გააჩირეს და თემსაბჭოს ახალი შენობის კიბეს აუყვნენ. ჯამლეთი და არტემი შენობის მუ-

ცელში რომ გაუჩინარდნენ, მათ „ვოლგასთან“ შავსათვალიანი, მაღალი კაცი მივიდა, მძლოლს რაღაც ჰყითხა, მერე თუთის ქვეშ თავის ადგილს დაუბრუნდა, უბის წიგნაკი ამოილო და რაღაც ჩაინერა. რა ჩაინერა, ვინ იცის.

თემსაბჭოს თავმჯდომარის ალკაზარ შვანგირაძის კაბინეტში ხალხმრავლობა იყო. სახეგაბადრული მასპინძელი სათამადო ადგილას იდგა და სიტყვის დასაწყებად ემზადებოდა. კედლების გასწვრივ გრძელ მაგიდებს ერთი მხრიდან მისხდომოდნენ, მაგიდაზე ხილი და ვერცხლის ქალალდით თავშეხვეული ლიმონათის ბოთლები იდო. დაგვიანებული სტუმრები ფეხზე იდგნენ და ვინაიდან კაბინეტში შემოსვლის მსურველთა რიცხვი დიდი იყო, უკნიდან მსუბუქი ბიძგის წყალობით შეუმჩნევლად მიინევდნენ წინ, კაბინეტის შუაგულისაკენ.

ალკაზარ შვანგირაძემ სტუმრებს დაშოშმინება აცალა და რაკი შეატყო, რომ სამარისებური სიჩუმის მიღწევა ამ ხალხში ზღაპარი იყო, უბოდიშოდ ითხოვა ყურთასმენა. ჩამოსულთ მოკლედ გააცნო საერთოდ სახალხო ზეიმების და კონკრეტულად პლატონობის ამოცანები. ვრცლად ილაპარაკა მიმდინარე ხუთწლედში რაიონის მიღწევებსა და წარმატებებზე და ის იყო, სტუმრებისთვის მადლობა უნდა გადაეხადა ჩამობრძანებისთვის, რომ კარისკენ გაექცა თვალი და აღტაცებული ყვირილი აღმოხდა:

— ბატონო საურმაგ!

ალბათ ასე ხვდებიან ადამიანები ოცი წლის უნახავ, საკუთარ მამას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ლვიძლ ძმას, რომელიც ფიცხელ ოში ჩაიკარგა განთიადისას და ყველას რომ დაღუპული ეგონა, აგერ გამოცხადდა პირზე ოფლგადმომდინარე, სახელიანი და უვნებელი.

ალკაზარი ადგილს მოწყდა, რამდენიმე წახტომით კართან გაჩნდა და მინისტრს გადაეხვია.

მერე ყველაფერი აირია, ან იქნებ ყველაფერი თავის ადგილას დადგა. კედელთან მსხდომნი წამოდგნენ და კაბინეტში უაზრო ბორიალს მოჰყვნენ. მინისტრი და მისი თანმხლები თემსაბჭოს თავმჯდომარის მაგიდას მიუახლოვდნენ. საურმაგ კაკაბაძე დაღლილი იყო და წინ ჩამხტარ, სულწასულ სტუმრებს ხელის ჩამორთმევით იგერიებდა. ვილაცამ კაბინეტის ფანჯრები გააღო, მაგრამ თვითონვე სწრაფად დახურა. ვერ

გეტყვით, რატომ გადაიფიქრა. ხალხი თემსაბჭოს ოთახში ნელ-ნელა შეთხელდა. ფეხზე მდგომნი უკანსვლით ისე ოსტატურად გავიდნენ მოსაცდელში, რომ სახეზე ლიმილი არ მოუშორებიათ. საურმაგ კაკაბაძემ და ალკაზარ შვანგირაძემ ხმადაბალი ლაპარაკი რომ დაიწყეს, ჩვენ ახლა აქ საჭირო აღარ ვართო, და სხვებიც შეუმჩნევლად, დამშვიდობებისა და კოცნა-ხვევნის გარეშე გამოლაგდნენ კაბინეტიდან.

ზოგი, იქნებ ისევ დაგვიძახონო, მოსაცდელში დარჩა. უმეტესობა ქვევით ჩამოვიდა და თავიანთ მანქანებს მიეყუდა.

- არტემ, — შეეხმიანა მეგობარს ჯამლეთი.
- ბატონო?
- საით არის ის, ჩვენ რომ ვიცით?
- არ დავინტერესებულვარ. ადი მაღლა, დერეფანს გაყევი და ენერება ზედ.
- წავედი აბა, თორემ გამისკდა ბუშტი.

ჯამლეთი კიბეს აუყვა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ხელის მშრალებით რომ ჩამობრუნდა, არტემ ხასია ადგილზე აღარ დახვდა. ჩელუსკინელთა მოედანზე ტევა აღარ იყო.

ხელიხელჩაკიდებული სახალხო რაზმელები ფაცხებს ძლივს იფარავდნენ ცნობისმოყვარეთაგან.

ჯამლეთ ფურცხვანიძემ კიდევ ერთხელ აიარა თემსაბჭოს შენობის კიბე, მაგრამ ალკაზარ შვანგირაძის კაბინეტში არავინ იყო. საით წავიდნენ, მდივან გოგონას ჰერიტა, მაგრამ ამ უკანასკნელმაც არაფერი იცოდა.

მიღეთის ხალხში ძლივს მოძებნა არტემ ხასიას მძლოლი. მძლოლმა მხრები აიჩეჩა: ჩემთვის არაფერი უთქვამს უფროსს, ეტყობა, სხვა მანქანით წაიყვანეს, თქვენ თუ ნახოთ, გადაეცით, მე ახლა წავალ და სასტუმროს წინ დავუცდი, მერე გზებს დაკეტავენ და ვერ გავაღნევო.

ჯამლეთ ფურცხვანიძე მარტო დარჩა.

ნაცნობებს როგორ არ ხვდებოდა — ხელს ჩამოართმევდა, მოიკითხავდა, ცოტა ხანს გაყვებოდა ლაპარაკ-ლაპარაკით, მაგრამ შეკედლებით ბოლომდე არც ერთ ჯგუფს არ შეკედლებია.

დაბა ზეიმობდა.

ენგელსის ქუჩის მთელ გაყოლებაზე სანახაობათა ფერვერკი მოგჭრიდათ თვალს. ერთგან ჭიდაობა გაეჩაღებინათ,

მეორეგან თვითშემოქმედებითი კოლექტივები გამოდიოდნენ, მესამეგან თეატრონი გაემართათ და რაიკულტსახელის დრამატული წრე თავის ხელოვნებას უჩევნებდა, მაგრამ მაყურებელი მეტნილად საჭიდაო არენას და თვითშემოქმედებას ეტანებოდა. ალბათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თეატრონი უმიკროფონო გახლდათ და მსახიობთა ხმა სახალხო ზეიმის ღრიანცელში უკვალოდ იკარგებოდა.

სანამ ქალაქიდან ჩამოსული ილუზიონისტი ბალაზე თავის ხელსაწყოებს ალაგებდა, ჯამლეთს ვიღაც თეთრხალათიანი, მკერდზე დურბინდჩამოკიდებული ქალი მიუახლოვდა და ჰქონდა:

– თქვენ არტემ ხასიას არ ჩამოჰყევით?

– დიახ, – მიუგო ფურცხვანიძემ და იმედიანად გაულიმა.

ქალს მეტი არაფერი უთქვაშს, ამოიოხრა და არტემ ხასიას მომყოლს საქმიანი ნაბიჯით გაშორდა.

ყველაზე დიდხანს ილუზიონისტმა შეიქცია ჯამლეთი.

ვერაფრით ვერ მიხვდა, როგორ მოახერხა ამ დარბასისელმა კაცმა, რომ ფურცხვანიძის მაჯის საათი იქვე, ვერცხლისფერ ყუთში ჩააგდო და დიდი ძებნის მერე დეკორატიულ ურემზე წამოსკუპებულ გოგოს ამოულო უბიდან.

ავტომანქანები დაბის ხან ერთ თავში გაგრიალდებოდნენ, ხან მეორეში. ჯამლეთმა უკვე იცოდა, რომ არტემ ხასია ერთ-ერთ მათგანში იჯდა, მაგრამ მანქანები ისე სწრაფად მიმო-ქროდნენ, სახეებს ვერ არჩევდა.

სალამოს პიონერთა შეკრებას დაესწრო და ის იყო, თანამგზავრის ნახვის იმედი საბოლოოდ გადაეწურა, რომ ცაცხვის ქვეშ, რკინის გრძელი სავარძლის კუთხეში მორჩილად ჩამო-ჯდარს მძლოლმა დაადო მხარზე ხელი.

– ვახშმობას არ აპირებთ, ბატონო ჯამლეთ?

– ა, კი, ხო... არტემი არ გამოჩენდა?

– რად გვინდა არტემი, სასტუმროს პირველ სართულზე უზარმაზარი სუფრაა გაშლილი, სპეციალურად, ჩვენთვის, სტუმრებისთვის.

– არ გამაგიქო, მერე რანაირად, ასე დაუბატიუებლად...

– ხომ გეუბნებით, – მძლოლს გაეცინა, – ჩვენთვისაა, ჩამოსულებისთვის. ვისაც უნდა, შედის და გამოდის, ბაირამობაა ნამდვილი.

– მაინც... იქნებ მოვიცადოთ, ვინმემ გვითხრას... უხერხულია...

– ახლა აქ ჩვენი თავი არავისა აქვს. ხომ გეუბნებით, გამოგვიცხადეს, მობრძანდითო.

სხვა შემთხვევაში, შეიძლება, არ გაჰყოლოდა, ჯამლეთი, მაგრამ ახლა სხვა გზა არა ჰქონდა, შეიძლო.

ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. ისე მხიარულად, რომ ჯამლეთს გუნება აუმღვრია აღტკინებულ თანამესუფრეთა ტკარცალ-ხორხოცმა და უადგილო გადაძახება-გადმოძახებამ. ცოტა წაიხემსა. პლატონის სადლეგრძელო რომ ჩამოთავდა, ახლავე მოვალო, დაუგდო გვერდით მჯდომს და საბანკეტო დარბაზის უკანა კარიდან ქუჩაში გავიდა.

კარგა ხანს ისეირნა ოვალური ბალის ირგვლივ. როცა დაიღალა, სასტუმროს ადმინისტრატორთან მივიდა და აუქსნა, თქვენი დაბის სტუმარი ვარ და, თუ შეიძლება, დამაბინავეთო.

ადმინისტრატორი ტელევიზორის ცქერით იყო გართული, მაგრამ მაინც გამოძებნა დრო და ჯამლეთს ზრდილობიანად განუმარტა: აქ, სასტუმროში, მხოლოდ სტუმრები ათევენ დამეს, ჯერ არ მახსოვს ჩვენთან, დაბაში მცხოვრებს ლამის გასათევი ეთხოვოს. უარს როგორ გეტყოდით, მაგრამ მთელი სასტუმრო ისეა გავსებული, რომ დირექტორის კაბინეტშიც კი ტელევიზიის ბიჭები წვანანო. ადმინისტრატორისაგან სხვანაირ პასუხს, მე მგონი, არც ჩვენი მკითხველი ელოდა.

იქნებოდა თორმეტის ნახევარი, როდესაც ჯამლეთ ფურცხვანიძე ჭიშკარგანათებულ, იმერულ ოდას მიადგა და „მაინძელოს“ დაძახებას აპირებდა, მაგრამ ძალლმა ყეფა ასტეხა და სტუმარმა გაჩუმება ამჯობინა. რა დაძახება უნდა, თუ შინ არიან, არ შეიძლება ძალლს არ გამოხედონო.

– ვინ არის?! – აივანს მოადგა თეთრნიფხავპერანგისამარა კაცი.

– გვნახეთ ერთი აქეთ, თუ შეიძლება.

მასპინძელს მეტი არაფერი უკითხავს. საწოლ ოთახში შებრუნდა. ფურცხვანიძემ იფიქრა, ალბათ, ჩაიცვამს და გამოვაო, მაგრამ მასპინძელს მარტო ჭილოფის ქუდი დაეხურა თავზე; სხვა მხრივ ისევ ისე მიაბიჯებდა კოინდარში, ინდიელი-ვით თეთრად გამოწყობილი.

ღამეს ხომ ვერ გამათევინებთო, მოახლოვებისთანავე ეს-როლა ჯამლეთმა.

— აბა, რას ვიზამთ! — დაუფიქრებლად შესძახა თეთრპერანგიანმა. თითქოს ელოდაო, ხელი მაგრად ჩამოართვა. არც უკითხავს ვინ ხარ, რას წარმოადგენო. ჭიშკარი ჩაკეტა, ეზოში სინათლე გამორთო და გახარუბული სტუმარი წინ გაიძლოლა.

ფანჯარას მომდგარმა მზემ გამოაღვიძა. სწრაფად ჩაიცვა. და მასპინძლებს დაუწყო ძებნა. ჩაახველა, გაიარ-გამოიარა, მორილებულად ოთახებშიც შეიხედა. ოდაში არავინ იყო. წუ-ხელ მასპინძლისთვის სახელიც არ უკითხავს. არც კი იცოდა, რა დაეძახნა. ცოტა ხანს „დოროშის“ ძველი ნომერი ფურცლა, რომ არავინ გამოჩნდა, სასტუმრო ოთახის კარი გამოაღო და აივანზე გამოვიდა.

— ადგა! — იყვირა აივნის რიკულს მიკრულმა ბიჭმა. იქნებ ვერ გაიგონონ, მოაჯირს გადაეკიდა და უფრო ხმამაღლა ჩასძახა ქვემოთ: — ადგა!

ატყდა ფაციფუცი. გამორბოდნენ სტუმრის შესახვედრად. მწვანეებიან გოგონას დოქით წყალი და მკლავზე ფაქიზად გადაგდებული პირსახოცი მოჰქონდა, დიასახლისი მაგიდას ეცა და აივნის შუაში გამოათრია. ქვევით ვიღაცამ ქათამს ჭოლოკი ესროლა, დედაბერმა პირსახოცში შეფუთული, კე-ცზე გამომცხვარი ცხელი ხაჭაპურები ამოაწოდა შვილიშვილს, კოკამომარჯვებული ოჯახის თავი მარნისკენ გაიქცა.

შემკრთალ-შეჩევიფებული სტუმარი ციბრუტივით დატრიალდა. ინდივიდუალური ხელით შეჩერებანი რომ არ გაუვიდა და არც ათასჯერ გამეორებულ „ნუ შეწუხდებითს“ ათხოვა ვინმემ ყური, მაგიდაზე ხელები აატყაპუნა და მუდარაგარეული ხმით დაიძახა:

— ღვთის გულისათვის, ნუ წუხდებით! ხუთ წუთში მივდივარ!

მაღალ მასპინძლურ ძაბვაზე ჩართული ოჯახის წევრები უცებ შედგნენ, გაქვავდნენ. ბიჭი აივანს გადაეკიდა და მარანს გასძახა: — მიდის!

მერე ცოტა მასპინძლებმა დათმეს, ცოტა სტუმარმაც და დაახლოებით ერთ საათში კარგად დანაყრებული ჯამლეთ ფურცხვანიძე სასტუმროსკენ მიაბიჯებდა.

ზეიმი დღესაც გრძელდებოდა, მაგრამ ჯამლეთს ესიამოვ-

ნა, რომ ფაცხები გუშინ მოზღვავებული ხალხისაგან ყოჩაღად დაეცვათ. ჩურჩელებიც ისევ ისე, ხელუხლებლად ეკიდა და სიმინდის ტაროებიც.

გამოძინებული მოქალაქენი ზანტად მიმოდიოდნენ. ჯგუფებად გროვდებოდნენ და წუხანდელ თავგადასავლებს ერთმანეთს საქმიანად უზიარებდნენ.

ერთ ჯგუფთან ჯამლეთს ქალის უკმაყოფილო ხმა შემოესმა და შეჩერდა. კულტმასობრივი სასწავლებლის დირექტორი, ქალბატონი ევა ცხარედ საუბრობდა:

— ხხვა რომ არაფერი ვიყო, ქალი ვარ ბოლოს და ბოლოს. ერთადერთი ქალი ვიყავი. ჯენტლმენბა იციან მაგენმა? რა შუაშია სტუმრების შუაზე გაყოფა, ვინ მოიფიქრა, ვინ მოიგონა. ამ ხნის ქალი ვარ და ეს არ მომსწრია ჯერ. მე თუ დავვჯექი მაგენთან, იქეთ უნდა უხაროდეთ. ღმერთო კი მომკალი. არ ვარ მართალი? მითხარი ახლა შენ?

ქალბატონ ევას ირგვლივ ხუთი ჯიბეშიხელჩანურბილი მამაკაცი იდგა. ევა კი ერთ-ერთს, საშუალო ტანის, კოხტად ჩასხმულ, ბუკლესკოსტუმიან, თმაჭალარა მამაკაცს ესაუბრებოდა, რასაკვირველია, ხუთივეს გასაგონად. ჯამლეთი რომ დაინახა, განაწყენებულმა მანდილოსანმა ხმას მოუმატა:

— ხალხი არიან მაგენი? ბატონი დათო არ უნდა წაეყვანათ? ამ ხნის კაცი ჩამოვიდა პლატონობაზე, ან ბატონი ფრიდმანი, ავტონომიური ოლქიდანაა, რაც არ უნდა იყოს.

— ბატონი კახი, — შეაშველა ჯამლეთ ფურცხვანიძემ.

— ბო, ბატონი კახი, — სულ დამავიწყდა, — მაშინვე აიტაცა ქალბატონმა ევამ, — ან თქვენ, ბატონო ჯამლეთ, თქვენ არ უნდა ყოფილიყავით?!

ჯამლეთს შერცხვა და სწრაფად გაშორდა იქაურობას.

ოციოდე ნაბიჯი არც კი ჰქონდა გადადგმული, მისკენ საქმიანი იერით წამოსული არტემ ხასია რომ შენიშნა.

— სად ხარ, კაცო, შენ? — დაასწრო ხასიამ.

— აქეთ მეკითხები? — აშკარად ჩანდა, ჯამლეთი გამწყრალი იყო.

— მთელი დღე გეძებე გუშინ. სად გამიქრი ხელიდან?

— დაანებე გალმა შედავებას თავი. გუშინდელი არც შენ ხარ და არც მე.

— შენს თავს ვფიცავარ. მარტო დავრჩი. მერე ვიღაცამ თა-

ვის მანქანაში ჩამისვა. დაგვაფრიალებდნენ იქით-აქეთ. ცას და ქვეყანას ვეკითხებოდი, ჯამლეთ ფურცხვანიძე ხომ არ გინახავთ-მეთქი.

– სად ივახშმეთ?

– შვანგირაძესთან ბინაში. ისე ვიყავი შენზე ნაწყენი, რომ ყელში არაფერი გადამსვლია, რა იყო, შე კაცო, არ გვკადრულობ? თუ ჩემთან წამოხვედი, ჩემთან უნდა იყო, სად გეძინა ქე მაინც?

– თქვენ სად გეძინათ?

– იქვე შვანგირაძესთან. რომელი საათია?

ფურცხვანიძემ საათზე დაიხედა.

– თერთმეტი სრულდება

– წავიდეთ ჩქარა. თერთმეტზე ძეგლის გახსნაა. შენ არ მომიკვდე, მე შენ გვერდიდან არ მოგიშორო, მაინც ვინ წაგვართვა შენი თავი წუხელის, არ იტყვი?

– კაი ერთი, თუ კაცი ხარ, მე რომელ ჯგუფშიც ვიყავი განაწილებული, იმ ჯგუფში გახლდით.

– რა ჯგუფი, რისი ჯგუფი. ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. მარტო რომ დავრჩი, შემთხვევით მომკიდა ვიღაცამ ხელი და ჩვენთან დაბრძანდითო, დღესაც არ ვიცნობ სახეზე, თემსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო, მგონი.

– მაშ აგრე გეგონოს. შემთხვევით, – ეს უკანასკნელი სიტყვა ჯამლეთ ფურცხვანიძემ ხაზგასმულად, გრძლად წარმოსთქვა.

სახელდახელო ფიცარნაგზე საპატიო სტუმრები იდგნენ და მიტინგის დაწყების მოლოდინში ყრუდ ახველებდნენ, იქვე, მარჯვნივ, ქამარ-ხანჯალზე ხელდანყობილი მომღერალთა გუნდი ლურჯად ათიმთმებულ ჰორიზონტს გაჰყურებდა.

– გაგვატარეთ, თუ შეიძლება, – ყველაზე სუსტ ადგილას გაარღვია წრე არტემ ხასიათ და უკმაყოფილო მოქალაქეთა ბუზლუნში ჯამლეთი ბავშვივით ხელჩაკიდებული გაიყოლია.

ფიცარნაგს უკანიდან შემოუარეს და, მიუხედავად ჯამლეთის ენერგიული წინააღმდეგობისა, პრეზიდიუმს შეერივნენ.

მიტინგი დაიწყო.

ცხელოდა, მზე პირდაპირ სახეში სცემდათ და საპატიო სტუმრებს მოღუშული სახეები წელა, მაგრამ შესამჩნევად უნითლდებოდათ.

ჯამლეთს სიმხურვალისგან შუბლის მთავარმა ძარღვ-

მა საეჭვო ფეთქვა რომ დაუწყო, ე მანდ მზემ არ დამკრას და პლატონობის მსხვერპლი არ გავხდეო, შიშით გაიფიქრა. ჯერ ხელი დაიფარა თავზე, მერე ოთხად გაეცილი ცხვირ-სახოცი, მაგრამ გვერდით მდგომთ მრისხანე სახეებით რომ გადმოხედეს („თუ მეტი ამტანობა არა გაქვს, რას დგებოდი პრეზიდიუმში“, მეტყველებდნენ მათი თვალები), შეუმჩნევლად დაიხია უკან, ფიცარნაგიდან მსუბუქად ჩამოხტა და იქვე, ახლოს, ლამაზად გაბარჯლულ ცაცხვს შეეფარა.

– ფრთხილად! ფეხი არ წამოჰქორათ! – მოესმა ზემოლან, აიხედა. ცაცხვზე ტელეკამერას და სამ ოფლში გახვითქულ მძიმე წონის მამაკაცს მოჰქორა თვალი.

– რას არ წამოვკრა ფეხი? – ყურადღებიანი მოწაფის კილოთი იკითხა ჯამლეთმა.

– კაბელს! – ერთხმად უპასუხეს ტელეოპერატორებმა.

მიტინგი რომ დამთავრდა, ახლა ხალხი აირევა და არტემი არ დავკარგოო, ჯამლეთმა ფიცარნაგთან მიირბინა და სიცხისგან გაბრუებულ არტემს ხელი შეაშველა.

– სად ხარ, კაცო, სად? – მზრუნველი მამის ყურადღებიანი კილოთი ჰკითხა ხასიამ.

– შენს გვერდით არ ვიდექი? – იცრუა ჯამლეთმა.

– მერე სიტყვა რატომ არ თქვი?

ფურცხვანიძეს უნდოდა ეთქვა, ვინ მთხოვა სიტყვის თქმაო, მაგრამ გადაიფიქრა.

– აღარ იყო საჭირო, ხალხი ისედაც გადაიღალა.

– არ შეიძლება, ჯამლეთ, არც ასეთი ნამეტანი თავმდაბლობა ვარგა. შენ თვითონაც ხომ იცი, მე რომ არ გითხრა, რომ შენს სიტყვას სხვა ფასი ექნებოდა, შენ მაინც სხვანაირად იტყვოდი.

ზეიმის მონაწილეთა მხიარული მდინარე ჩელუსკინელების მოედანზე, ფაცხების წინ იშლებოდა.

– იმ ჩურჩელებს, სხვათა შორის, სულ ბოლოს დაარიგებენ!

– ხუმრობის გარეშე ჩაილაპარაკა წვერ-ჯინსოსანმა ჭაბუკმა, როცა მეგობრები ტელეცაცხვს გაუსწორდნენ.

– ჯამლეთ, – არტემი შედგა და მიიხედ-მოიხედა, – ხომ არსად ჩანს?

– რა?

– ჩვენ რომ ვიცით.

– ჩადი ეგერ ლელის პირას, თხმელებში, – გულწრფელად ურჩია ფურცხვანიძემ,

არტემ ხასიათ ჯიბეში ხელები ჩაიყო და თავაწეულმა, ლირ-სეულად გააბიჯა თხმელებისაკენ.

ფართოხელება, ზორბა ატეტივისტმა ქუჩაში მასიური ფერხული-საზეიმო წამოიწყო და გრძელი მწკრივით პირდა-პირ ჯამლეთისკენ წამოვიდა, მაგრამ ფურცხვანიძემ ბოდიში მოუხადა, კაცს ველოდები და ვერ ვიცეკვებო.

მზე რომ გადაიწვერა და ხასია მაინც არ ჩანდა, ჯამლეთ ფურცხვანიძე ყველაფერს მიხვდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩაირბინა ლელესთან და იქაურობა მოათვალიერა.

თითქოს ცამ ჩაყლაპაო.

– მთელი ტექნიკა დამუშავებული, როგორ აგაფცქვნან გვერდიდან კაცი, ყოჩალ, ყოჩალ, ჩემმა მზემ, – ჩაილაპარაკა ჯამლეთ ფურცხვანიძემ და ჩქარი ნაბიჯით გასწია იმ მხარეს, სადაც მისი გუმანით დაბა კიმონაანთს რესპუბლიკის მთავარი მაგისტრალი ჩაუდიოდა.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, ოცდათორმეტადგილ-იანი, ცისფერი ავტობუსი ხელის აუწევლად გამოეცხადა.

– თბილისი! – დაუძახა მძღოლმა,

ფურცხვანიძემ თავი დაუქნია.

ავტობუსი რომ დაიძრა, გვერდით მჯდომმა ულვაშე-ბაწკეპილმა მამაკაცმა, რომელსაც ჭოტის თვალები და კრუხ-ის ხმა ჰქონდა, ცნობისმოყვარეობა ვერ დაიოკა და ალალად ჰკითხა:

– აქეთ სად ბრძანდებოდით, ბატონო?

– კიმონაანთში.

– რაზე, თუ საიდუმლო არ არის?

– საქმეზე, – მოკლედ მოუჭრა ჯამლეთ ფურცხვანიძემ და განზე გაიხედა.



გოლო

– გესმის?!

კაცს ზოლებიანი ფლანელის კვართი აცვია, შუბლზე, სათვალემდე, ჩაჩი ჩამოუფხატავს, ფეხები ცხვირგადაჭრილ ფოსტლებში წაუყვია, აივნის მოაჯირს ფრთხილად ეყრდნობა და ჩასძახის:

– გესმის?!

პასუხს არავინ აძლევს.

საღამოსპირია. ცხელა.

ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებს.

სამარისებური სიჩუმე იქნებოდა, ტრიფოლიატის ღობეს შერჩენილი ერთადერთი ჭრიჭინობელა რომ არ უკრავდეს დაუზარებლად.

– კატუშა, არ გესმის შეენ?

სამზადიდან თავი გამოყო ჩითისხალათმოსხმულმა მოხუც-მა ქალმა, ფანჯარა ბოლომდე გამოაღო და მაღლა აიხედა.

– რა იყო?

– ამოდი ერთი, ამოდი, ნუ გადაყევი მაგას მთელი დღე.

– მაცადე, შე კაცო, დაუოხრებიათ თაგვებს აქაურობა.

– ამოდი, ამოდი, ვერ ვარ რაღაცა კარგად.

ქალმა ქირურგის ხელთათმანები წაიძრო, ფანჯარა მიხურა და დიდხანს ხვნეშით ამოდიოდა კიბეზე.

– მაჩვენე მაჯა.

ისინი აივანზე ისხდნენ და ჭიშკართან საცოდავად გაფარ-ჩხულ, გამხმარ ბალს შეჰერებდნენ.

– ცოტა აჩქარებული გაქვს. არაფერია, წნევის წამალს მოგ-ცემ.

– არ მინდა. იჯექი აქ ცოტა ხანს.

– მაინც რა მშიშარა გახდი, პარმენ, შეიძლება ასე?

– შიში რა შუაშია, შე ქალო, მთელი დღე ბუჯური გამი-გონია? ერთ საათს მაინც დავჯდები, ხმას გავიღებ, ადამიანი ვარ, გამოყურუვდი კაცი, ასე უნაირო იცი ყველაფერი.

– ჩადი და ნახე, ამოუტრიალებიათ თაგვებს ყველაფერი, გადაირევა ის გოგო.

– ნუ გეშინია, თაგვის დაქცეული ოჯახი ჯერ არ მინახავს. თაგვს მისი წილი მიაქვს.

– ასე ყოვლად გლახა, ჩვენი კატა რომაა, თუ ეყოლება ნეტავი ვინმეს. ორჯერ დავამწყვდიე სამზადში, კარს მოაწყდება მაშინვე და კნავილს იწყებს. მე მგონი თვითონ ეშინია თაგვების, ვაი, – ქალბატონმა კატუშამ გულზე ხელი მიიღო, – შენ რა გიჭირს, პარმენ, გული ჩამოვარდნაზე მაქვს. ისე ამიჩქარდა, შენ რომ დამიძახე, კიბეზე თუ ამოვასწრებდი, არ მეგონა.

– თაგვების ბარე არ ეშინია, მაგრამ რატომ შეიწუხებს თავს. გამზადებული ურჩევნია მაგასაც. თაგვს მაინც დევნა უნდა, ჩასაფრება, დაიჭერ, არ დაიჭერ, ლმერთმა იცის, შენ მოუგებ კატას ჭკუაში? – პარმენმა კატაზე გადაიტანა სიტყვა და თან ცოლს სახელოს აკაპინებაში შველოდა.

კატუშა დიდხანს აფათურებდა ხელს წნევის აპარატში. საბერველს რომ ააქშუტუნებდა, ხრახნს ნელა მოუშვებდა და ცალ ხელს ყურებთან მიიჭერდა, ფონენდოსკოპი რომ არ გამოვარდნოდა.

– რამდენია? – კაცს სახელო ეჭირა და იღიმებოდა, – წასული ვარ ლმერთთან?

– მაცალე, შე კაცო, ვერ გავიგონე, აღარ ვარგა, დაძველდა ეს ოხერი, გამოსაცვლელია.

– ეგ კი არა, ჩვენ დავძველდით ჩემო კატუშა, თორემ სათვალიანი გოგო რომაა, ჩვენი პოლიკლინიკის ექიმი, მივალ თუ არა, ერთს ჩაბერავს და მეტი არ უნდა, თვალისწამას ზომავს წნევას.

– მაცალე, კაცო, არ მეყურება, რა ლაპარაკად გადაიქეცი. ბევრი იცის იმ შენმა ექიმმა, ხომ გახსოვს, შარშან, ფილტვები ვერ მოგისმინა წესიერად და ანთებიანი კაცი კინაღამ გაგისტუმრა იმ ქვეყანას, მე რომ არ დამეწყო, ჩემით, პენიცილინის კეთება.

– რამდენია?

– მომატებულია ცოტა.

– მაინც?

ასორმოცი გაქვს ოთხმოცდაათზე, პაპაზოლს მოგცემ და წამოწექი ცოტა ხანს, – კატუშამ იცრუა. სინამდვილეში ვერცხლის სვეტი ასსამოცზე იწყებდა კაკუნს და ასზე წყდებოდა.

პარმენს მაღალი წნევა ამ ბოლო დროს იშვიათად როდი აქვს, მაგრამ მეუღლე უმაღავს ხოლმე. აფორიაქდება, ინერვიულებს, უფრო ცუდად გახდება, არიქა ექიმიო, ვკვდებიო, სანერ-კალამი მომიტანეთ, ანდერძი უნდა დავწეროო, ასე უკეთესია, რომ არ იცის, უფრო მშვიდად არის. პაპაზოლი დაალევინა და მუთაქა თავთით დაუდო, „დღეს რაღატო აუნია ნეტავ? წუხელის რომ კარგად ეძინა, შუიძლება ამინდის ბრალიც იყოს“.

– კატუშა, – პარმენი დივანზე პირალმა წევს, ჭერს შესცეკრის, მეუღლე ფერხთით უზის.

– ბატონი.

– ხომ ჩავრიხინდით ბოლომდე მაინც, კატუშა?

– რა ბოლომდე?

– სიბერემდე.

– რა დროს სიბერეა, ანი მინდა გახარება ჩემს შვილებში და შვილიშვილებში, ქებულაძის გაიანე ოთხმოცდაექვსი წლისაა და იმ დღეს ბაზრიდან ბათმან სიმინდს მოათრევდა, რა ასაკი ჩვენ გვაქვს ჯერ, სამოცდათორმეტის ხდები ახლა, ოცდაერთ ენკენისთვეს.

– სამოცდათორმეტის კი?

– აბა იანგარიშე, ათში ხარ დაბადებული.

– შენ?

– სამი წლით შენზე უმცროსი რომ ვარ, დაგავიწყდა?

– აბა, შენ ბავშვი ყოფილხარ მთლად, – კატუშამ გაიღიმა და ფეხზე ნაზად დაუსვა ხელი.

ჭიშკართან ღრიალით ჩაიქროლა „უიგულიმ“.

– რას შოულობს ამდენს ეს სანდუხაძის სიძე, იმის ტურად გადამაქცია და არ მინდა არაფერი.

– რაო?

– ახალი მანქანა უყიდია, გუშინწინ,

– ის ძველი რა უყო?

– გაყიდდა, ალბათ, რა ვიცი.

- ღმერთმა მისცეს.
- ღმერთმა მისცეს, კი მართალია მარა, შეიძლება ისე ჩქარა მიაღწიალებდე მანქანას ამ ვიწრო შუკაში? კაი, და ვთქვათ, ბავშვი გამოვარდა, სად მიდის მერე?
- ძუკუს საქმე ძუკუმ იცის.
- ძუკუმ იცის, აბა, მაგნაირებს მოსვლიათ ავარია. გაგიარა?
- ჩასვლა გინდა თაგვებთან ხომ?
- რა უნაირო ლაპარაკი იცი, მივატოვო შუა გზაში საქმე?
- მაინც, რავა არ შეგიძლია ადამიანთან ლაპარაკი, შე მამაცხონებულო, ეგება რა მაქვს სათქმელი.
- კარგი ა, ბატონო, ვიქნები მთელი დღე ასე, - კატუშამ ხელები მკერდთან ჩაიმწყვდია და გაბუტულივით განზე გახედა. ერთხანს ჩუმად იყვნენ.
- კატუშა.
- ბატონო.
- ხომ ხედავ, ბოლოს მაინც მარტო რომ დავრჩით?
- რა არეულად ლაპარაკობ. ვინაა მარტო. სამი შვილი გავზარდეთ და რვა შვილიშვილი გვყავს. ღმერთო, კაი ყურით გაიგონე, ყველა წალმართ გზას ადგას და სალსალამათია, მარტო ყოფნა სხვების იყითხე.
- მაინც... რა ვიცი... ახლა, ამ წუთას, არც ერთი შვილი არ უნდა იყოს სახლში?
- შენ თვითონ არ უთხარი ლევანს, წადით ცოტა ხანს, დაისვენეთ და მეც დამასვენეთ პატარაო?
- ვუთხარი, მარა ცოლ-შვილს გავგზავნიდი და წნევიან კაცს არ დავტოვებდი მარტო.
- ჩამოვა სამ დღეში, ნუ იცი გადარევა, არაფერი გვიჭირს საგანგაშო.
- მოკლედ, ჩვენ თუ ერთმანეთს არ ვეყოლეთ, გლახათ წავა, თურმე, ჩვენი საქმე.
- ეს ასეა, არ იცი? ღმერთმა კარგად მამყოფოს და შვილ-რძალს ყველას თავისი საქმე, თავისი ცხოვრება აქვს.
- ასე ყოფილა, კი.
- ისევ სიჩუმე.
- კატუშა.
- ბატონო,
- გულზე ხელი დაიდე და მითხარი, კმაყოფილი ხარ?
- რითი?
- საერთოდ... ისე... როგორი ქმარი ვიყავი?
- ცოტა გადარეული ბრძანდებოდი, თორემ ისე არა გიშავდა.
- რა გადარეული?
- უკეთესი შეგეძლო ყოფილიყავი და იმაზე მწყდება გული.
- არ შემეძლო, ალბათ, რაც ვიყავი, ეს ვიყავი.
- რა არ შეგეძლო, პარმენ? გათახსირებულ უუჟუნას რომ არ გამოკიდებოდი, არ შეგეძლო?
- დააყენე ის ქალი მინაში.
- მკვდრის გინება აუგია, მარა ჩემმა ცოდვამ უწია. სამი ბავშვის მამას რომ უუჟუნებდა თვალებს, რას ფიქრობდა?
- მარტოხელა ქალი იყო, შევუყვარდი, რა მოხდა მერე. სიყვარული ბრმაა.
- ბრმა შენ იყავი, შე გლახა, თორემ უუჟუნამ ქე იცოდა, რას აკეთებდა, ხვადი კატასავით გაგიტყუა სახლიდან და გათამაშა ოთხი თვე მის ჭკუაზე.
- მერე, ხომ დავპრუნდი ისევ?
- სად ჯანდაბაში წახვიდოდი, აბა, სამი შვილის მამა. ვინ გირჩენდა ბალნებს. მე მომჭერი საქვეყნოდ თავი და მერე დაბრუნდი კი.
- არაფერი თავი არ მომიჭრია, ასეთი ამბავი ყოველ მეორე კაცს გადახდომია, მარა არავის მოუკლავს თავი, კიდევ?
- რა კიდევ?
- სხვა რა ნაკლს მატყობ?
- კატუშამ მკლავზე ბუზს აუქნია ხელი, თავსაფარი ფრთხილად მოიხსნა, კოხტად გაკეცა და ისევ წაიკრა მუბლზე.
- ჩავედი ახლა, კარგად ხარ უკვე.
- მოიცა ცოტა ხანს, კიდევ მითხარი რამე და წადი, რა გიყო ახლა.
- „კიდევ“, ხომ გითხარი, სხვა მხრივ არა გიშავდა, მაგრამ ძალიან ცუდი სიმთვრალე იცოდი.
- მაინც?

– რა მაინც, არ იცი, რა გადარევა იცოდი სიმთვრალეში? ჭკუას რომ კარგავდი და ღობე-ყორეს ედებოდი? რა ნერვები მიძლებდა მაინც შენს შემყურებს. არა, არა, მგელივით ქალი ვიყავი, მარა შენ გატეხე ჩემი ჯანმრთელობა, შენ მომიღე ბოლო.

– მაგ ღვინიდან მაინც დამასვენა გამჩენმა.

– ჰო, აბა, ზოგი ჭირი მარგებელია, რომ არ ეთქვათ, წნევა მაქვსო, სმას თავს არ გაანებებდი, ჩავალ ახლა, გამაცდინე ამ უსაქმო ლაილაით.

– კარგი, წადი და მალე მორჩი, თუ ქალი ხარ, თვითონ ჩამოვა და დაალაგებს, შენი დალაგებული მაინც არ მოწონს, ხომ ხედავ.

ქალბატონი კატუშა მოაჯირზე დაყრდნობით, ნელა, სვენებ-სვენებით ჩავიდა კიბეზე.

რას ეტყოდა ქმარს, როგორ მოიქცეოდა, კატუშა. ნეტავ, რომ სცოდნოდა – ეს მათი უკანასკნელი დიალოგი იყო, დაალაგებდა სამზადს, გამართავდა სათაგურს, ამოვიდოდა აივანზე და პარმენი ალარ დახვდებოდა ცოცხალი.

კიდევ კარგი, რომ ადამიანებიც ჩიტებივით ჩუმად, უხმაუროდ ქრებიან, თორემ ქვეყანას სიკვდილის საშინელი ზარი წალეკავდა.



ღორი ქალაქში

გაზეთში ეწერა: მართლა და მართლა, ეს მიღეთის ხალხი – ქალაქელები რომ გვქვია, მთლად სოფელს კი ნუ შევაჩერდებით ხელშიო, შიგა და შიგ ჩვენც შევემარქაფოთ, ღმერთი როდი გვიწყენსო, ვისაც ცოტა სანძრავობა მაინც აქვს, თითო ღორი რომ გაზარდოს, რა ჩინ-ტემლაკებს ჩამოართმევენო. ჭკუაში დამიჯდა, ხომ იცი შენ. პირველ სართულზე ვცხოვრობ, ერთი საგარაუისხელა შემოლობილიც მაქვს. შარმანინ მანქანა უნდა მეყიდა, მაგრამ ფული ალარ დამრჩა ხელზე, საგარაუიზე საზამთროს გახარება მინდოდა და არაფერი გამომივიდა, ამოსვლით ამოდის საზამთრო ქალაქში, ფოთლებსაც ჩვეულებრივს დაიყრის, ნაყოფს კი არ ისხამს. რაშია საქმე, ვერ გეტყვით. არც რწყვა-ნაკელი დამიკლია, სურო და ფა-თალო არ გავაჭაჭანე, ვუბერე, ვუწრუწუნე, მაგრამ შენ არ მომიკვდე, რაღა გავაგრძელო, ოცდაერთ ენკენისთვეს, მარ-ნეულის ბაზარზე ვიყიდე შავხალებიანი გოჭი და გავუშვი ამ ჩემს საგარაუე შემოლობილში.

ტომარას თავი რომ მოვხსენი, უკან გადავხტი და კარი მი-ვუგდე, არ გამექცეს-მეთქი. შენც არ მომიკვდე, არც ადგილი იუცხოვა, არც ჭყვირილი მორთო. გვერდი გაუსვ-გამოუსვა მავთულის ბადეს და მიწის თხრა დაიწყო. ჩვენ (ჩემი ოჯახის წევრებს და დაინტერესებულ მეზობლებს), მავთულებლართს მიჭიჭინებულებს, ზედაც არ შეგვხედა, აქაოდა, მე ჩემი საქმე ვიცი, ყველამ თქვენს ჩახლართულ ყოფას მიხედეთო. რა მოძრავი და მოხერხებული, რა ღონიერი დინგი აქვს ღორს. ერთ ნახვად ღირს ამ დალოცვილი პირუტყვის საქმიანობის ყურება, რა ენერგიით, მონდომებით, მოთმინებით ჩიჩქნის მიწას. თუ ახლომახლო სულიერს იგრძნობს, ხანდახან გაქვავდება, მიაყურადებს და ისევ თავის საქმეს განაგრძობს. თხრის დაუზარებლად, ყრულრუტუნით, შუადლისას თუ ტლაპოს მიაგნო, გაგიხარია, ჩაწვება და სიამოვნებისგან თვალებს მილულავს. თუ ძალიან არ შეაწუხე, ვერ გამოიყვან იმ სიამ-სიმთვრალის-

აგან, თუ ტლაპო არსადაა, თავისსავე ამოთხრილ გრილ მინაზე წანვება ლაბაბგაშვერილი, წანვება და ღრუტუნებს. ამ ღრუტუნში იგრძნობა, რომ მთლად ისე ვერაა მოწყობილი, როგორც სურდა, მაგრამ რას იზამს. მე მგონი, არ არსებობს ღორზე უფრო უპრეტენზიო ცხოველი. არც პატრონის ამოჩემება იცის, არც სალორეს დაგინუნებს, მადა? ეს „არ მომწონს, ამას არ მივირთმევ“ – საერთოდ არა აქვს თავის ღორულ ლექსიკონში. რომ მოშივდება, სალაფავს კი არა, წყალში გახსნილ ნახერსს ისე მადიანად შეჭამს, რომ შენვე დაგაეჭვებს. ამას რომ თავი დავანებოთ, დაკვირვებისართ, შესახედავად რა ლამაზია? გოჭი ხომ დახატულია და დახატული, რომ გაიზრდება, ლაბაბს რომ დაიდებს, ყურებს რომ დაიმშვენებს, კოხტა ჩლიქებზე რომ აიწევა, როცა მიუახლოვდები. თუ არ გააპრაზე და არ ააჭყვირე, რა მშვიდად ღრუტუნებს, ხორხისმიერად, სადღაც შიგნით. ერთ ქცევა მინას ამოაპრუნებს და ერთს არ დაიკვინესებს. თავს არავის ესხმის, არავის ანუხებს. დინგი მუდამ სუფთა აქვს. მერე და რა მიმნდობია, რა მიმტევებელი. ათი წუთის წინ სახრით რომ სცემო, მაინც არ განირავს, არ დაგემდურება. გულში არ ჩაიხვევს წყენას. რომელი ცხოველი გაგიგორდება ერთცახე მოფხანვაზე, მითხარი ერთი შენ. ღორს რომ მუცელზე მოუსვამ ხელს, ჯერ თვალებს მილულავს, თუ კედელი ახლოსაა, კედელს მიეყრდნობა და ნეტარებით აღრუტუნდება. თუ ვერაფერს მიეყრდნო, ერთორს შექანდება და გაიშოტება შენს წინ. მიდი და გამოუსვი იმ დროს დანა ყელში. რა გული მოგცემს, რა ჭკუა გაგიჭრის. ჩვენ? დამანებე თავი, თუ კაცი ხარ, ადამიანი რომ არ ისაშუალებს, ისეთი არის რამე? ხბოს კლავს, უშობელს კლავს, მტრედის ხორცს ჭამს ადამიანი და ღორს დაინდობს?

რაღა ბევრი გავაგრძელო, სახელდახელოდ სალორეც შევუჭედეთ და ის დღეც ამით დამთავრდა. მეცხოველეობის ხაზით ჩემს დაინტერესებას მეზობლები საუცხოოდ შეხვდნენ. სურმანიერ ცხოვრობს მესამე სართულზე, ყველაფერზე მიჩინდა, ჩემი ფანჯარა რომ გამეღლო უდროო დროს, დილით მილიციას ეცოდინებოდა. ღორზე: რატომდაც არ უჩივლია. მეტიც, ერთი სამჯერ დილაუთენია სალაფავით ხელში დავ-

ლანდე სალორესთან. ღვთის წინაშე, არაფერი მითქვამს. ვის რა არ მოჰქონდა, რას ალარ აქმევდნენ, მთელი სადარბაზო ჩემი ღორის გასუქებაზე მუშაობდა. ხომ იცი, ოჯახში ყოველთვის რჩება ცოტა რამ წასუფრალ-წამუსრალი. რომ იტყვიან, ქერის ორმოში ჩავარდა. ჯანმრთელი პირუტყვის ამბავი ხომ მოგეხსენება. შაქრად ერგებოდა ყველაფერი. დღითიდღე სუქდებოდა და მშვენდებოდა. სხვას რომ მოვუყვე დამცინებს ალბათ, შენ უნდა გამიგო, რაღაცნაირად გამოგვცვალა ამ ღორმა ყველანი. ერთი სული მქონდა, სანამ სამსახურიდან მოვიდოდი, თვალს შევავლებდი და თავს შევახსენებდი. ერთს გვერდულად ამომხედავდა, ჩაიღრუტუნებდა და თავის საქმეს განაგრძობდა. აქაოდა, ჩემი დარდი ნუ გაქვს, კარგად ვარო. ახლა ჩემი ბიჭები? ორი საცოლე ბიჭი მყავს. ერთმა შარშან დაამთავრა საფეიქრო და ჯერ სამსახური ვერ ვუშოვე, მეორე სპარსულზე აბარებდა, ვერ მოენყო. კერძოდ მომზადების საშუალება მე არ მაქვს, არადა წელს ჯარი უნევს, მოკლედ, არ ვიცი, როგორ იქნება ამ წელს ჩემი საქმე. რას ვამბობდი? ჰო, ეს ჩემი ბიჭები დილიდან საღამომდე ღორზე რომ ალაპარაკო, არ მოსწყინდებათ. შუალამისას ასტეხენ ხითხითს ხანდახან, რა მოგივიდათ-მეთქი, შევუღებ კარს: ისევ ღორზეა მსჯელობა; დედას სალაფავი გააგდებინაო, სურმანიერების ძალლი შეაშინაო, წვიმაში ორმოს თხრიდა, რომ წყალი დაეგროვებინაო. ერთი სიტყვით, რას არ იგონებენ და კვდებიან სიცილით. „ღორის თემა“ ჩვენს ოჯახში ძალუმად დამკვიდრდა.

რა გადასარევიც არ უნდა იყოს, ღორი მაინც ღორია და ღორის ბოლო, მოგეხსენებათ. საშვიდნოებროდ უნდა დაგვეკლა. საღამოს გამოვუცხადე ბიჭებს, ხვალ ღორს ვკლავთ-მეთქი. ორივემ უგემურად ივახშმა და უბრად შეიკეტნენ თავიანთ ოთახში. ერთი-ორი ნათესავიც დავპატიუეთ ტელეფონით. კარგა გათენებულია, ვწევარ, გაზიეთებს ვათვალიერებ, სამზარეულოში პუტუნი მესმის. როდის-როდის ჩემმა ცოლმა შემოაღო კარი. პანტუშაო (პანტელეიმონი მქვია), დღეს ნუ დავკლავთო, საშობაოდ სჯობია, ზამთარში უფრო უპრიანია ღორის დაკვლაო. ასე გვირჩიეს ბიჭებმაცო. ისე მორიდებულად მეუბნება ჩემი ოჯახობა, გეგონება, მეც ამის მომხრე არ ვიყო. ჩიტი ხელის აქნევას ელოდაო; გადაიდო ღორის დაკვლა საშობაოდ.

ისე მიიღოა ნოემბერი და დეკემბერი, არც კი გამიგია. ჯერ იყო და მივლინებაში გამაგდეს ორი კვირა, ჩამოვედი და იმ-ნაირი მამალი გრიპი ჩამომყვა, რომ სანამ არ მომგრიხა და ცხრა დღით საწოლს არ მიმაჯაჭვა, არ მომეშვა. მერე იყო და წლის ბოლოს იმდენი საქმე მომაწვა სამსახურში, რომ თავის მობრუნების საშუალება არა მქონდა. იმას მაინც ვახერხებდი, საღამოს, შინ მობრუნებული, ნახევარი საათი მაინც ვმდგარი-ყავ საღორესთან და ჭამაზე დამარქაფებული ოთხფეხის მშ-ვიდი ღრუტუნი მესმინა.

შობადღე ამ წელიწადს კვირას დაემთხვა. შაბათ საღა-მოს ჩამოვურეკეთ ნათესავებს. ღორის სუკებზე დავპატი-ჟეთ. დილით ადრიანად შემოფათურდა ჩემი ცოლი და საწოლ ოთახში უშველებელი დანით დამადგა: „ჰა, ადექი, სანამ ბი-ჭები გაიღვიძებდნენ, დაკალი ბარელამ. საუზმემდე გამანვა მოვასწროთ“. ფეხი ავითრიე, მაგრამ რა მეტი ჩარა მქონდა, პირატივით ყამამომარჯვებული მივადექ საღორეს. გეცინება შენ. ვიცი, განა არ ვიცი, მოსაყოლად ნამეტანი ჯაბან-დედ-ლური ისტორია გამოდის, მაგრამ ასე იყო და გინდ დაიჯერე, გინდ არა. შემომეგება მისებურად ცქვიტად, გემრიელად. და-ნადაშვებული ვდგავარ და შევყურებ. საღაფავი რომ ვერსად იპოვა, ისევ მომიბრუნდა, დანის წვერს დინგი მიადო და ფრთხილად დაყნოსა. ცოტა ხანს იდგა გარინდებული, რაკი შეატყო, რომ ჩემგან ხეირი არ გამოვიდოდა; ზურგი შემაქ-ცია და თავის გომურში ტუცა თავი. არა, ძმაო, მე შენი დამ-კლავი არა ვარ-მეთქი, გავიფიქრე, დანა მოვისროლე, ხალათი ავიკეცე და ბაზრისკენ დავეშვი. ბაზარი, ღვთის წყალობით, ახლოს გვაქვს, ვიყიდე მესამედი ბურვაკი და ხელდამშვენებუ-ლი ამოვბრუნდი. იმ დღეს ჩვენი სტუმრებიანად „ვინხარმამა“ ვიძახეთ, კაი ლაზათიანადაც დავათვერით ბურვაკის მწვადებს და დავიძინეთ. ასე გადარჩა ჩვენი ღრუტუნა დაკვლას.

საახალწლოდ მაინც უნდა დაიკლას, სხვა გზა არ არი. დიდი ბჭობის და კამათის მერე დავადგინეთ, რომ ჩემს უფროს ბიჭს უნდა ეთავა ეს საქმე. მე დავამტკიცე, რომ ორმოცდაათს გა-დაშორებული მამაკაცები გულჩილი ხდებიან და პირუტყვის სისხლის დაღვრა მათ ფსიქიკაზე ცუდად მოქმედებს – წე-

ვას უწევს და მაჯას უჩქარებს. ოცდათერთმეტში დილით სამ-სახურში გავრბივართ ყველა. „კი მაგრამო?“ ჩემმა ცოლმა, „ორ საათზე მოვალ და დავკლავ, ნუ გეშინიათ, მოვასწრებო“, უფროსმა ბიჭმა. როგორ მგონია, თუ დაგვალალატებს. განგებ დავიგვიანე, შებინდებული იყო, რომ მოვედი. არხეინად ვარ, ღორი უკვე დაკლული და მოვლილ-დამარილებული იქნება-მეთქი. შენც არ მომიკვდე, აგერ არ ღრუტუნებს? „სადა ხარ, კაცო, რამ დაგაგლახავათ ასე, სამივე მამა-შვილი, რას იპ-რანჭებით, ღორი ვერ უნდა დაკლათ ამხელა კაცებმაო?!“ ვარცლით ხელში დგას ჩემი მეუღლე და საყვედურით მავსებს. თურმე ისე ჩაიღია დღე, რომ ფეხი არ შემოუდგამთ სახლში არც ერთს. „ახლა რაღა დროსია, ამხელა ღორის გახაზირებას ვინ შეძლებს ამ ღამეში-მეთქი“. ცოლს ჩანთა შევაჩერე და გავ-ვარდი ბაზარში. მესამეჯერ გადაურჩა ჩვენი ღორი დაკვლას. ცამეტი იანვარია. ძველით ახალი წელია ხვალ. ქვეყნის სა-საცილოდ ნუ გავიხდით თავს და ახლა მაინც დავკლათ ეს ღორიო, მტკიცედ გადავწყვიტეთ წუხელ. კედლის საათმა ცხრა რომ დარეკა, ჩავიცვი და აივანზე გავედი. ვლელავ, ვნერვიულობ. უზმოზე სიგარეტმა პირში მწკლარტე გემო იცის. რამ დამაგლახავა ასე, ღამის გადამიყოლოს ამ ღორმა-მეთქი, დავტუქსე ჩემი თავი და სამზარეულოში მოფუთფუთე ცოლს გავძახე: „აადუღე წყალი და ნამოაგდე ბიჭები, ღორის დაკვლაში მიშველონ!“ „არ მცალია, ბადრიჯანს ვწურავ, შენ გააღვიძეო“, გამეპასუხა მეუღლე. ერთხანს ვიცადე ქვევით, მოთმინების ფიალა რომ ამევსო, ავაკითხე ჩემს „ძილისგუდა“ ბიჭებს. ერიჳა, საწოლები კოხტად მიულაგებიათ და გაპარუ-ლან. „თქვენ გიჩვენებთ სეირს-მეთქი“, კიბე ჩამოვირბინე და საღორეს მივამურე.

...შინ რომ არ მობრუნებულიყო, ქვემოთ, კანდელაკზე ჩავი-ყვანე, ტროლეიბუსმა რომ გაიარა, კისერზე ბაზარი შევხსენი და გავუშვი.

შუა ქუჩაზე შედგა, ერთი შემომხედა, გაზონებში გაძვრა და ქვემოთ, ვაჟა-ფშაველას პროსპექტისკენ დაეშვა.

სიზმარი

ადამიანებს რომ დასიზმრებიათ საერთოდ, იმასთან შედარებით გოდერძი კვიწინიას სიზმარი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გახლდათ, მაგრამ, რომ გაეღვიძა, მაინც დიდხანს შესცემეროდა ჰეგელის სურათს ნახევრად გამოლენჩებული თვალებით. ორმოცდაათს გადაშორებულ ინკასატორს სიზმრის მეტი რა უნახავს, ილო ბიბიჩაძე კი არასოდეს გამოცხადებია ძილში. მართალია, ილო კარის მეზობელი იყო, მაგრამ არც ისე ახლობელი გახლდათ, ინკასატორს ძილში რომ ჩაპყოლოდა. ამ თვრამეტი წლის განმავლობაში ორ-სამჯერ თუ შეულიათ მეზობლებს ერთმანეთის ბინის კარი. ვერ აენყო ის ხალას ურთიერთობა, მუგუზლის მეზობლობას რომ ეძახიან იმერეთში. გოდერძი თავისთვის ჯახირობდა მოულოდნელობებით სავსე თავის წუთისოფელში, ილოც თავისთვის ჩირთიფირთობდა. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ რამდენადაც გულგახსნილი იყო გოდერძი (სამსახურიდან შინ მობრუნებული საათობით დააბიჯებდა ეზოში და მოსაუბრეს ექებდა დლიურ შთაბეჭდილებათა გასაზიარებლად), იმდენად გულჩახვეული და ჩუმი კაცი იყო ილო ბიბიჩაძე. სალაპარაკოდ არ გაგიჩერდებოდა, ნიადაგ საქმიანი იერით გარბი-გამორბოდა. დღემდე ვერ გაიგო გოდერძიმ, სად მუშაობდა მისი მეზობელი. რა მოხელე იყო. რამდენჯერაც ჩამოუგდო სიტყვა, ბიბიჩაძემ ან წაუყრუა, ან საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა და ინკასატორი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ კაცს თავის პროფესიაზე ლაპარაკი არ სიამოვნებდა. შინაც ბევრჯერ შემოიპატიუა, მაგრამ პასუხად ან ზრდილობიანი უარი მიიღო (ლვიძლის შეტევის მომიზეზებით), ან მეორე დღეს მოუხდა თავის გამართლების ფრიად საეჭვო მიზეზების მოსმენა: ლექციაზე დაგვტოვეს და ვერაფრით თავი ვერ გამოვიშვიო.

დილით, როცა სართანიამ თავისი თმახუჭუჭა საყვარელი ქალი მორცხვი ლიმილით ჩააცილა კიბეზე, ნაგვის მანქანამ უკანასკნელ ზარს ჩამოჰკრა და შემოდგომის ფერმკრთალ მზეზე მტვრიან ნისლში გამოტარებული სხივებით ძლივს

მისწვდა ფანჯრებს, გოდერძი კვიწინიამ ხალათი მოიხურა და ახალი გაზეთები არ მომპარონო, კიბეს დაუყვა. კარის მეზობელი კიბეზევე რომ არ შემოფეთებოდა, სიზმარი აღარც კი გაახსენდებოდა. სალამზე რომ უპასუხა და რამდენიმე საფეხურით დაშორდნენ ერთმანეთს, კვიწინიამ გადაწყვიტა ეამბნა სიზმარი. იფიქრა, ცოტას გავამხიარულებო.

— ილო, ბატონო!

— ა, ჲა? — ილო შეჩერდა, ლრმად ჩაისუნთქა, მუხლზე გაზეთებიანი ხელი ჩამოიდო და ჩამოიხარა.

— წუხელის მესიზმრე, ხომ იცი შენ?

ბიბიჩაძე დაიბნა, ჯერ გაოცებამ გაურბინა უპეებმიმჭკნარ ჭროლა თვალებში, მერე ლიმილმა გაუნათა ლოყებდაბერილი, მარიონეტთა თეატრის თოჯინასავით ნახევრად მეტყველი სახე.

— სათქმელად არც კი ლირს, მაგრამ რაკი შემხვდი აგერ, იცოდე მაინც. ისეთი კი არაფერი, უბრალო სიზმარი იყო, გაინტერესებს?

— აპა, აპა? — თვალები დაწყურა ილომ და მუხლზე ხელი შემოინაცვლა.

— ხომ გითხარი, ისეთი კი არაფერია-თქვა. მესიზმრა, ვითომ სტადიონზე წავედი ფეხბურთის საყურებლად. დაიწყო თამაში, ჩემი ბატონო, და, რას ვხედავ — ილო ბიბიჩაძე არ თამაშობს ფეხბურთს? ჯერ ეჭვი შემეპარა, დაგაკვირდი, რაც შემექლო. კი, შენ იყავი ნამდვილად. მიდღემჩი არ უთქვამს, ფეხბურთელი ვარო, ან მე თვითონ როგორ ვერ მივხვდი, რა მეზობელი მყოლია-მეთქი, ეს იყო სულ. გიყურებდი და მიხაროდა, მეტი არაფერი. სიზმრის ამბავი არ იცი?

რაც უფრო ალალი ლიმილით ყვებოდა გოდერძი, სიზმრის ადრესატი უფრო ილუშებოდა, ბოლოს ლრმად ამოიოხრა და იდუმალი მზერა მიაპყრო მეზობელს.

— რას ნიშნავს ვითომ ეგ?

— რაი?

— ბურთის თამაში სიზმარში.

— არაფერს, შე კაცო. სიზმრის გჯერა? ფეხბურთზე ფიქრი ჩამყვა, ალბათ, ძილში. იცის ასე.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ნერვიულად თქვა ილომ. სწრაფად შეტრიალდა და კიბეს აუყვა.

დამავიწყდა მეთქვა, რომ იმ დღეს შაბათი იყო.

გაზეთებში, რატომლაც, დიდად საინტერესო და მისაჭი-
ჭინებელი არაფერი ეწერა. გაზეთების კითხვას რომ მორჩია,
„დროშის“ ბოლო ფურცელზე გამოქვეყნებულ „თავსამტკრევს“
ჩაუღრმავდა. ქართველი კომპოზიტორის შვიდბერიანი გვარი
ვერ მოიგონა და თავის თავზე გაწყრა – კროსვორდისთვის
მცალია ახლა მერ? თვის ბოლო იყო, ბალანსი ორშაბათს უნდა
ჩაებარებინა. საანგარიშო მოიმარჯვა, მაგრამ საქმეს გული
ვერ დაუდო. „ილუზიონამდე“ მთელი ხუთი საათი იყო დარჩე-
ნილი. არ იცოდა, რა ეკეთებინა.

გოდერძი კვინინისა შებათი არ უყვარდა.

ზარის ხმამ გაახარა, ვინც უნდა იყოს, ცოტას მაინც გავერ-
თობიო. ჭუჭრუტანაში არც კი გაუხედავს, მეყსეულად გააღო
კარი. პარმალზე ხალათმოხურული ილო იდგა.

– მობრძანდი, ილო ბატონო.

– გმადლობთ, აგერ ვიქენები, პატარა შეკითხვა მქონდა, –
ილო აღელვებული ჩანდა.

– ასე კარში ხომ არ გავჩერდებით, შე კაცო, – კიდევ ერთხ-
ელ შემოიპატიუა, მაგრამ სტუმარი კარის ზღურბლს ვერა და
ვერ გადმოაშორა.

– ისა... ესე იგი, ფეხბურთს ვთამაშობდი? – ბიბიჩაძემ ხმას
დაუწია, მიიხედ-მოიხედა და თითქოს დიდ საიდუმლოებას ან-
დობსო, ჰერთა:

– რა ნომერს ვთამაშობდი, თუ გახსოვს?

– ? კი არ დავკვირვებივარ, ეს ოხერი, – გოდერძის გაუკ-
ვირდა შეკითხვა, მაგრამ უფრო თავის მახსოვრობას გაუწყრა,
ნომერი მაინც როგორ არ გამომყვაო.

– სად მხედავდი უფრო ხშირად, მოედნის ცენტრში თუ ფრ-
თაზე?

რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას, კაცმა რომ თქვას, მა-
გრამ ადამიანთა უცნაურობას ხომ საზღვარი არა აქვს, ჩემო
მკითხველო.

– ხან ისე და ხან ასე. წინაც იყავი და ხანდახან დაცვასაც
წაეხმარებოდი, – გოდერძიმ აშკარად იცრუა.

– ჩვენს გუნდში ვთამაშობდი, თუ იმგენის?

გოდერძის არც ის ახსოვდა, ვინ და ვინ ხვდებოდა წუხელ
სიზმარში მწვანე მინდოოზე, მაგრამ დაუფიქრებლად უპასუხა:

– ჩვენსაში, რა თქმა უნდა.

– ხალხი ბევრი იყო?

– კი. ბილეთი ძლივს ვიშოვე. ტრიბუნებზე ტევა არ იყო.
ილო ცოტათი დამშვიდდა, გაბრუნებაც კი დააპირა, მაგრამ
გადაიფიქრა.

– ვის ვეთამაშებოდით?

– კი ვერ გავარკვიე, დასწყევლოს ლმერთმა, – გოდერძის
შუბლზე ოფლმა დაასხა. – რალაცა უბედური გუნდი იყო. თა-
ვისი სახე არც კი ჰქონდა.

– უხეშობდნენ? – მრავალმნიშვნელოვნად იკითხა სტუმარ-
მა.

– კი. გარდა ამისა, მსაჯიც იმათ უდგებოდა.

– შენ ეს მითხარი, რა ფერის მაისური მეცვა?

– მგონი ყვითელი.

– ყვითელი? – ილომ კეფა მოიფხანა.

– ჰო, მოყვითალო უნდა ყოფილიყო, თუ არ ვცდები. შემო-
დი სახლში, შე კაცო, გავიყინე.

– გმადლობთ, გმადლობთ, – აშკარად ჩანდა, ილო სიზმ-
რის მნახველის პასუხებით უკმაყოფილო იყო. გატრიალდა და
ფოსტლების ფშლატუნით თავისი კარისკენ წავიდა.

გოდერძი საანგარიშის დაუბრუნდა, მაგრამ ციფრები სა-
დღაც გაურბოდნენ. წამდაუნუმ ეშლებოდა და თავიდან იწყებ-
და. ილოზე ფიქრი არ ასვენებდა. გუნება მოვუშხამე ამ დილით
კაცს. ან რა ჯანდაბამ დამასიზმრა ეს უცნაური სიზმარი, ან
რა ჯარსანამ მაამბობინა, ვყოფილიყავი ჩემთვისო.

არ გაუვლია ორ საათს, ილომ რომ ისევ მოაკითხა. გოდერ-
ძიმ კარი გააღო და მოსულს დამნაშავესავით მიაჩერდა.

ილოს ტუჩები უთროთოდა, ხელებს თავს ვერ უყრიდა, ხმის
ამოღებას ვერ ახერხებდა.

– გისმენ, ილო ბატონო, – გაამხნევა გოდერძიმ.

– მე ისაა... ისეთი არაფერი. მინდოდა ზოგი რამ დამე-
ზუსტებინა, რასაკვირველია... ამინდი როგორი იყო?

– წვიმდა. – ულმერთოდ იცრუა გოდერძიმ და მტკიცედ
გადაწყვიტა; რა ზერელე მოსიზმარე ვყოფილვარ, ანი მაინც
კარგად დავაკვირდები ჩემს სიზმებსო.

– წვიმდა? – სხვისი ხმით ჰქითხა ილომ.

– კი, ნამდვილად.

– შენ ეს მითხარი, ახალ სტადიონზე იყო თამაში თუ ძველზე?

— ახალზე. ძველზე ხომ წვიმის დროს მოედანზე წყლის გუბები დგება.

— რა დგება?

— იტბორება ძველი სტადიონი, შემობრძანდით, გთხოვთ უმორჩილესად, რა ვქნა მეტი, აბა, — უკან დაიხია გოფერძიმ.

— არა მიშავს, სხვა დროს, — ილომ მაღლა აიხედა და ამოიხვნეშა. — თუ გახსოვს, რასაკვირველია, უხეშობდნენ?

— ვინ? ჩვენ თუ ისინი?

— საერთოდ.

— არ იყო მაინცდამაინც „გრუბი“ თამაში. პრესინგს კი მიმართავდნენ.

— რას მიმართავდნენ?

— პრესინგს.

— მთელ მოედანზე?

გოფერძიმ ყელში სიმშრალე იგრძნო და ნერწყვი გადაყლაპა.

— არა. მარტო საჯარიმოზე.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ილო სწრაფად შებრუნდა, გაქვავდა, ისევ შემობრუნდა, თითქოს რაღაც უნდა თქვასო, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და თავისი კარისკენ წალასლასდა.

„რა ბზიკმა უკბინა, რამ გადარია. პატარა სიზმარი ვუამბე, მეტი ხომ არაფერი. ამ ხნის კაცი სიზმარმა (და ისიც სხვისმა სიზმარმა) უნდა გააგიუოს? ფეხბურთელადაც რომ ყოფილიყო დაბადებული, თავის დროზე უნდა ეთამაშა, თორემ ახლა ფეხბურთიც ჩავლილია მაგისტვის და ფრენბურთიც. რანაირადაა წამოწითლებული სახეზე. ჩემი მიზეზით არაფერი მოუვიდეს, ამას ვწუხვარ, მეტს არაფერს. რამ დამასიზმრა, უბედური ვყავარ გამჩენს. ფეხბურთელად კი არა, მაყურებლადაც არასოდეს მინახავს სტადიონზე. სიზმარი ცოტა მართალს არ უნდა ჰგავდეს? მაინც, რამ აუმღვრია გუნება ამ სერიოზულ კაცს. სიზმარი კი არა, კაი ნამამლი კვერცხი არ ამართლებს დღეს თბილ საბუდარში. რამდენჯერაც მე სიზმარში ცხელ კუპრში ჩამაყოფინეს თავი, იმდენი გახარება ჩემს ნაგრამს. მაგრამ ქე ვარ აგერ“.

ხან იმას მოედო, ხან ამას, ბოლოს ვერაფერ საქმეს რომ ვერ დაუდო გული, ტაბურეტი გაიტანა აივანზე და ფეხები ერთ ციდაზე წახერხა. ვერ ვჯდები წესიერად ზედო. ხერხვა რომ დაამთავრა, მერე დარწმუნდა, რომ ამაოდ გაისარჯა, მშვენიერი სიგრძის ფეხები ჰქონდა სკამს.

როგორც იქნა, გაათრია დრო სადილობამდე. ოთხს აღარაფერი უკლდა, ტელევიზორს რომ წამოუწვა. დარეკეს. იცოდა, რომ ილო იქნებოდა. კაცმა რომ თქვას, აქამდეც ელოდა მეზობლის გამოჩენას.

ილო საგარეოდ იყო გამოწყობილი. შავი პრიალა კოსტიუმი ეცვა, თავზე ძველებური დაბალცილინდრიანი შლაპა ეხურა (თეთრი ბანტით გაწყობილი), ხელთ ლომისთავიანი ტროსტი ეჭირა და მარცხენა თვალს ავზნიანივით ახამხამებდა.

— მივდივარ ახლა მე, — მცირე პაუზის შემდეგ გაანდო სტუმარმა, თითქოსდა, თუ ვინმეს უნდა სცოდნოდა მისი წასვლის ამბავი, პირველ რიგში — გოდერძის.

— საით? — ზრდილობის გულისთვის იკითხა მასპინძელმა. — შორს?

— აგერ ჩემს ქვისლთან მივდივარ. საქმე მაქვს პატარა. ისეთი არაფერი. ისაა... ერთი ეს მითხარი, ვთამაშობდი ქე მაინც რამეს?

— არ თამაშობდი, მე მგონია, ურიგოდ... როგორ გითხრა. ერთი-ორჯერ გარღვევაზეც გახვედი. აღარც კი მახსოვს... საერთოდ, რას გადამეციდე, შე კაი კაცო. ბოლომდე კი არ მიყურებია... სიზმრის ამბავი არ იცი? ერთ წუთმი მთავრდება. შენ გგონია, მთელ ორ ტაიმს გაყურებინებს გამჩენი?! — ბრაზი დაეტყო ხმაში გოდერძი კვინინისა.

— რამე საგოლე მომენტი თუ შევქმენი, ეს მაინტერესებდა, მეტი არაფერი. თუ ჩავანდე ხეირიანად?

— არ ჩაგინოდებია. ბურთი წინ გაიგდე და ვეღარ დაეწიე. ეს იყო, რაც მე ვნახე და, საერთოდ... რა ვიცი. აღარ მაინტერესებს სიზმრები! შენ საქმე არაფერი გაქვს?! — კარი მთლად არ მიუხურავს, მაგრამ მეზობელს აშკარად ანიშნა, რომ მისმა უაზრო ვიზიტებმა გული გაუწყალა.

— გმადლობთ, გმადლობთ, — მისი ასაკის კაცისთვის კოხტად შეტრიალდა ილო, ქუსლი ქუსლს ჰერა, ლიფტის ლილაკს თითი დაჭირა, მაგრამ კაბინას არ დაელოდა, მასპინძელს შლაპა მოუხადა და კიბეზე ჩაბაკუნდა.

ქვისლთან მიიჩაროდა ვითომ ნამდვილად?



დიდვაზარი

ცა ფეხად ჩამოდისო, იტყვიან ასეთ წვიმაზე.

გუშინ დილით დაიწყო და არ გადაუღია. შუადღისას, თითქოს ცოტას შეისვენებს, გუბეებზე წვეთების ტყვაპტყვაპი გამეჩერდება, კაბადონი ოდნავ შეთეთრდება, მაგრამ რიონისჭალიდან ქვენა ქარი ერთს წამოუბერავს და წვიმა ქორივით დააცხრება ისედაც დამბალ-დაჭყაფულ დაბას.

კაცმა რომ თქვას, დროც კია იმერეთის გრძელი წვიმების. ნოემბერი იწურება. კარგა ხანია ფანქრით დახატულს დაემგვანა ქვეყანა. ქარმა გასულ კვირას მიახვეტა უკანასკნელი ფოთლები ღობის კიდეებს. ცისფრად აბოლდნენ ბუხრები და ფანჯარაში თავგაყოფილი თუნუქის ღუმელები. შეთხელდა ქუჩები, ეზოებში მარტო ნარიჯისფრად განათებული ხურმის უფოთლო ხეები ჩანს. ხანდახან მეზობელთან თუ გადაირბენს თავზე ტომარაჩამომხობილი, ჯიბეებში მუშტებჩანყობილი მეზობელი კალოშების ფშლატუნით, თორემ ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არაა.

მოსახვევთან, ქუჩის პირას, ერთსართულიან მაღაზიას „ათასი წვრილმანი“ აწერია. ულვაშგანკიპინებულ, ზორბა გამყიდველს, ლურჯი სატინის ხალათი წამოუხურავს, დახლზე დაწყობილ, მსუქან მკლავებზე გრუზათმიანი თავი დაუდვია და თვლემს.

როგორც იქნა, გამოჩნდა მუშტარი. გზადაბნეული ყვავივით შემობათქუნდ-შემოფრთხიალდა მომცრო ტანის, შავკოსტიუმიანი, სამოცს მიტანებული მამაკაცი. მიიხედ-მოიხედა და ღრმად ამოისუნთქა. ფანჯარას მიადგა, ოთხნასკვად თავზეჩამომხობილი, გალუმპული ცხვირსახოცი ლაფაროში ჩაწურა და კარგა ხანი ისვა სველ მხრებსა და მუხლისთავებზე (ვერ გეტყვით, რა მიზნით). წვიმისგან ასე ამჩატებულ-აცეტებული ერთბაშად დადინჯდა და ვიტრინებს ჩამოუარა. ათვალიერებს გულმოდგინედ, აუჩქარებლად. მკერდთან მედალი უბრნყინავს – „კავკასიის დაცვისათვის“. ბეჭემოტისთვა-

ლება გამყიდველს თავიც არ აუწევია. თვალებსლა აყოლებს ეული მუშტრის მოძრაობას. „ამნაირი მყიდველისგან ხეირი არაა, – ფიქრობს მასპინძელი, – ან უბრალოდ წვიმისგან შეეფარა მაღაზიას, ან მოხალისე-პენსიონერი იქნება – რაიონის საზოგადოებრივი აზრის კომისიის წევრი, ან, უკეთეს შემთხვევაში, ისეთ რამეს მომთხოვს, რაც არ მაქვს“. არ უკვირს ნოქარს, რომ მოქალაქენი, მცირე გამონაკლისის გარდა, მაღაზიაში სწორედ დეფიციტურ საქონელს დაეძებენ.

მედლიანი კაცი ამ ფიქრებში გართულ საბჭოთა ვაჭრობის მუშაკს თავს წაადგა და გაუბზარავი ხმით აუწყა:

– ბამბა მინდოდა ერთი კილო.

– რაი?

ნოქარი უხალისოდ გადაიწია და მკლავჩახვეულმა ახედა.

– ბამბა. – წარბები ასწია სტუმარმა და ამით აგრძნობინა, თუ გაქვს დახლსუკან გადანახული, ნუ მომერიდები, შინაური კაცი ვარო.

– სად ხედავ ბამბას? – ახლოს არ გაიკარა შინაურული კილო გამყიდველმა.

– სად ვხედავ და სიზმარში, ასე გამთენის ხანს იცის და-სიზმრება, ღამეგამოშვებით. – ირონიას მიმართა კავკასიის დაცვის მონაწილეობა.

– არაა ბამბა, მორჩა და გათავდა! – განზე გაიხედა ბეჭემოტისთვალებამ.

– აბა, რაის „ათასი წვრილმანი“ ხართ?! – მედლის კავალერი არ ხუმრობს.

– ახლა შენი ბამბის გულიზა „ცხრაას წვრილმანს“ ვერ და-ვარქმევთ, – თვითონვე მოეწონა თავისი ნათქვამი ნოქარს.

– კაცო, მე სახუმაროდ არ მცალია. შენს ბავშვებს ეხუმრე სახლში. მე გეკითხები, რაის „ათასი წვრილმანი“ ხართ, აბა, თქვა.

– შენ ბამბა არ გინდა?! – ხმას აუწია ნოქარმა, – ბამბა არ გვაქვს. მაგის რკვევას, ქე დაანებე თავი.

– რაის „ათასი წვრილმანი“ ხართ, თქვა, მე შენ გეკითხები! – მომხმარებელს წარბი ავად აუთამაშდა.

მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, ამას ჰქვია.

— შენ, ჩვენი ძმა, გლახა ფეხზე ხვარ ამდგარხარ ამ დილით, ზურგი ხომ არ გექავება? — მაღაზიის პასუხისმგებელი პირი წამოდგა, დოინჯი გაიკეთა და დახლში გაიარ-გამოიარა.

— მაღაზიაში რა გინდა შენ. საპალნე უნდა გქონდეს ზურგზე და სიპ ქვას ზიდავდე, შე ხვადაგო, — ხმადაბლა, სისინით უთხრა მედლის კავალერმა.

— ხვადაგმა რა იცის, ხომ იცი შენ? არ გადმომიყვანო აქედან, თვარა განახებ სეირს! — გამყიდველი გაფითრდა, ორივე ხელით დაეყრდნო დახლს და აშკარად შეეტყო, რომ ბამბის მაძიებელს კარგ დღეს არ დააყრიდა ამ დათვის ტორების პატრონი.

— გადმომძორდი ერთი, გადმომძორდი. გახოხიალო ეგება ამ სველ პოლზე! — მომცრო ტანმა საშუალება რაც მისცა, გადაინია დახლზე სტუმარი. აქოჩრილი მამალივით ცხვირნინ გაუჩერდა გამყიდველს.

ერთი წანევაც, სიტყვის ასანთის გაკვრადა იყო საჭირო, რომ ეს ორი ნერვიული მოქალაქე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდა ერთმანეთს.

არადა, მათ ხომ სწორედ თხუთმეტიოდე წუთის წინ პირველად ნახეს ერთმანეთი. თითქოს სისხლი მართებდათო, ისე ჩაწერილი ნახვისთანავე. გული ყელში ამობჯენია ორივეს. გაუთავებელმა წვიმამ აუმღვრიათ გუნება? რას გაუგებ ადა-მიანებს.

უფროს გამყიდველ აბრამ მოშიაშვილს ხმამაღალი ლაპარაკი რომ მოესმა, საწყობიდან გამოვიდა და ნაბულზე გაქვავებული ნოქარ-მუშტარი რომ დაინახა, ამათ ფარსაგი არ ჭირთო და გამოიქცა.

— მოიცათ, მოიცათ! შესვენება პატარა! ტელეფონზე რეკავს ვილაცა. დეპეშაა მოსული! მილიციოდან არიან ამხანაგები!

— ბეჭემოტისთვალებას ხელი ჰქონა და წინ ჩაუდგა. მუშტარს ახედა, — სწორი ბრძანდები, დაგენაცვლე. ასე უნდა მაგას! ერთწამიანი პერერივი ჩემი ხათრით და განაგრძეთ ისევ. — მე გეუბნებით, შერიგდით-თქვა?! არავითარ შემთხვევაში.

მიზანი მიღწეულ იქნა. მუშტები აღარ ამუშავდებოდნენ, აბრამსაც ეს უნდოდა. თავის კოლეგას მიუბრუნდა და შეუბლვირა, — მიდი ნახე, ის კაცები ნახე, საწყობში რო არიან.

იარაღი აქვს მგონია ჯიბეში! მილიცია, ტელეფონი! დეპეშა ორია ერთის მაგივრად. ნახე ჩქარა და გვითხარი პასუხი. აქ ვიენბით, არ წავალთ არსად!

ბეჭემოტამ გულზე მჯილი დაირტყა, ყრუდ ამოიგმინა, ხალათი მოისროლა და არენა დატოვა.

აბრამმა სკამს სტაცა ხელი, ჰაერში შეისროლა, დახლს გადააცილა და სტუმარს გვერდით მიუდგა.

— დაბრძანდი, დაგენაცვლე, მართალი ხარ ყველაფერში. ვთქვი მისი არ იყოს, გეუბნები არ ხარ მართალი თქვა? ამისთვის გცალია, ამ მსოფლიო კაცს, ახლა შეენ?

უცნობი დაჯდა, სული მოითქვა. დახლზე თითები აათამაშა და მოჩვენებითი სიმშვიდით თქვა:

— ცხოვრება ახლა ეეს? არ უნდა ჰქონდეს ახლა კაცს იარაღი ჯიბეში? წენკვე შუბლში ამნაირ ჯოჯოს და მოასვენე ქვეყანა.

— შენგან არ მიკვირს? კოჭოიზა იშლი ნერვებს? კაცს მაინც ჰგავდეს. მაგისთვის გცალია ახლა შეენ?

სტუმარმა აბრამს გახედა. შესახედაობით არც მოშიაშვილი ბრწყინავდა. აგურისფერი წვერი ყვრიმალებიდან ეწყებოდა. სახეზე გომბეშოსავით დატყებული, გაბუშტული ცხვირი და ვიწრო უბეებში ღრმად აწრიალებული, გაურკვეველი ფერის თვალები ჰქონდა. გამყინავი, ყიყინა ხმით ლაპარაკობდა.

— რა გვარია?

— გვარი? მიწერია საღაცა. გადამვარდა ენაზე. ამ დილას რა ვჭამე, მახსოვს? რად გინდა მაგის გვარი, დაგენაცვლე. შენ რომ არ მიეხმარო, მისით გაიქცევა, აქ გამჩერებელია მაგი?

— არაა გასაგდები? მითხარი, არაა გასაგდები? — ღრმად, კანკალით ამოისუნთქა შეურაცხყოფილმა მუშტარმა და სკამზე ცქვიტად შეტრიალდა.

— გასაგდები? გასაგდები კი არა, დასაჭერი არაა? გაგდება თვითონაც ქე უნდა უნდა. კაპიკს ვერ ვშოულობ, რა მინდა აქანაო. მაგას ეგონა, მაღაზიაში თუ შემოიტანდა თავს, ფოდნოსით მოართმევდნენ ფულს. საღადაა ფული.

— საჩივრის წიგნი, — სტუმარი კედელზე კაპიტან გასტელოს სურათს თვალს არ აცილებდა.

— ამ წუთას მოგიტან, დაგენაცვლე, ჩაწერე ყველაფერი. არ ეკუთვნის თუ რაი? ვთქვი, მისი არ იყოს, შეიცოდე მაგის ოთხი ბოვშვი-თქვა, მე გეტყვი მაგას? იაროს მშიერი. მეოთხეში ყავს უფროსი. ასე დავიზარდეთ ჩვენც.

— მაგნაირები გაიზრდებიან, მაგის ბავშვებიც, ფრუნზე არც ერთი არ გამოვა, ნუ გეშინია.

— ჩაწერე, დაგენაცვლე. სწორი ხარ, ფრუნზე ვინ გამოვა, დღეს. ანგელოზივით ბოვშვები ყავს, მარა თვითონ არ ვარგა, ახლავე მოგიტან საჩივრის წიგნს. ვის ეშინია მაგისი ძველბიჭობის. ნაჯდომი ვარო, ტრაბახობს. კაცისთვის პირი გოუხევია ყურებამდე, მაგრა, მწვანეყვავილაზე შარშან, ვის ეშინია დღეს? შენ გაექცევი მილიციას?

ვინ იცის, რამ იმოქმედა — „ოთხმა ბავშვმა“, „მწვანეყვავილელ კაცისთვის პირის გახევის“ სევდიანმა სურათმა, თუ სრულიად სხვა, კოჭოიასთვის გაუგებარმა, კაცომყვარულმა პრინციპმა დაახევინა უკან მედალოსან მომხმარებელს. იგი ერთბაშად ისე დამშვიდდა, რომ საჩივრის წიგნიც გადაავიწყდა.

— კაცმა რომ თქვას, რაზე ამიხტა ნიშადურამოსმულივით. ვკადრე რამე? შამევედი ამ თავსხმაში და ბამბა ვითხოვე, ერთ კილომეტრ ბამბა დამჭირდა... ვისი რა საქმეა, რაზე დამჭირდა ბამბა... ოჯახი მაქვს მე. ტყიდან კი არ გამოვსულვარ, — წყნარად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა უცნობი და დახლზე თითებს კვლავ ათამაშებდა.

— ბამბის გულისთვის მოხდა ეს ამბავი? ვერ გითხრა ამ დამთხვეულმა? ბამბის მეტი რა მექნება ზეგ. ერთი ვაგონი ბამბა მაქვს მისაღები. შეგინახავ, შენ თავს ვფიცავარ. ერთი კილო ბამბა რას გიზამს. ორი-სამი კილო მაინც უნდა წაიღო.

— ამდენი რად მინდა, — სტუმრის ხმაში მადლობის კილო გაკრთა.

— შენ არ გინდა, მეზობელს დაჭირდება. ეგდოს ეს ბამბა სხვენზე, რას გიშლის, — არ მოეშვა აბრამი.

მუშტარი წამოდგა, ერთი გახედა იმ კარს, სადაც კოჭოია გაუჩინარდა, მერე მოშიაშვილს დააკვირდა, ბოლოს ხელი ჩაი-ქნია და გააბიჯა:

— კარგი აბა, კარგად იყავით: ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სწორასაო. უჩემოდაც წაიტეხავს მაგი ფეხს.

— დაგენაცვლე! — აბრამმა კარში დააწია, — სად წახვალ ახლა, ამ წვიმაში?

სტუმარს გაეღიმა.

— ხვარ დამადნობს, როგორც მოვედი, ისე წავალ.

მიუახლოვდა და იდუმალი ჩურჩულით დაიწყო:

— ზეგ ქე მოხვალ, მაგრამ ზეგამდე? ზეგამდე, იმანუელ გეფიცები, ვერსად იშოვი ბამბას, ერთს გეტყვი მე, ანკესი რომ იყიდო? კარგი ანკესები მაქვს, რუსული.

— რად მინდა ანკესი? — უნდოდ მოხედა ბამბის მუშტარმა.

— ანკესი რად მინდაო? შენ მეუბნები, გერმანელებთან ნაჩხუბარი კაცი მეუბნები ამას? გავსებულია რიონი თევზით. დაჯდები აგერ, თეთრხიდქვეშ სუფთად, და ითევზავებ. გულს გადააყოლებ ზეგამდე. ზეგ ქე მექნება ბამბა.

ხელი მოჰკიდა, დახლთან მოიყვანა. სტუმარმა, როგორც ჩანს, ხათრი ვერ გაუტეხა, თორემ თევზაობისა და ნადირობის დიდი ტრაფიალი არ ჩანს.

აბრამმა ანკესებით სავსე კოლოფი გახსნა და მიაწოდა.

— ნახე რა ანკესებია, მამა შვილს არ მისცემს. ახლა მივიღე. მთელი წელინადი არ გვქონია. ბოლო კოლოფი დარჩა. მეტი ალარც გამოვა. ამერიკას მოსწონს, თურმე, ძან ჩვენი ანკესები. ხელშეერულება დაუდვიათ, ვალუტაზე გაიყიდება.

— რამდენი უნდა? — ჯიბე მოიქექა სტუმარმა.

— რა უნდა მაგას, არაფერი, მანეთი და ოცდათვრამეტი კაპიკისაა. შენი ფეშქაში იყოს.

— რავა გეკადრება, — სამმანეთიანი გაუწოდა.

— იყოს, დაგენაცვლე, მანეთში ვართ ჩვენ ერთმანეთთან? ბარელამ ჯოხიც წაიღე, კაი ბამბუკის ჯოხები მაქვს.

— მაჩვენე.

აბრამმა საწყობიდან ორი მოზრდილი ჯოხი გამოიტანა და ხელში მიაჩირჩა.

— არც ჯოხებია ძვირი, ორ-ორ მანეთად მანერია. ანკესში ფულ არ გამოგართმევ, იმანუელ გეფიცები.

სანამ სტუმარი საფულეს ამოიღებდა, აბრამი საწყობში შებრუნდა და მაღალყელიანი რეზინის ჩექმები გამოურბენინა.

- რა ნომერი გაქვს ფეხი?
- ორმოცი, - სტუმარი დაიბნა.
- ილბალი გქონია, - სულის მოთქმა არ აცალა აპრამშა, - ეს ჩექმები მონკავშირის უფროსი რომაა - სხილაძე, იმან შემანახია, მარა არ მოვიდა გუშინ და სხვაგან გავუხერხებ რამეს. თევზაობამ ფეხის დასველება იცის. ბავშვები აღარ ვართ მე და შენ ანი. ჩვენი ავადმყოფობა ფეხის გაცივებიდან იწყება. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, - ჩექმები მხარზე გადაადო და დააყოლა, - ოცდაშვიდ მანათად ვინ მოგცემდა ომის დროს ამნაირ ჩექმებ. იმ ანკესებში ფულ არ გამოგართმევ, იმანული დავიფიცე!
- შეცბუნებულმა, ყურებამდე განითლებულმა, სტუმარმა ფული ჩაუთვალა, მადლობა გადაუხადა და კარისკენ გაიწია, მაგრამ აპრამი რისი აპრამი იყო, ასე იოლად რომ გაეშვა.
- დაგენაცვლე!
- რა იყო?
- რომც მომხსნას დირექტორმა, ერთი პატივი უნდა გცე. მომენტონე და ამიტომ. ჩვენ თუ არ მივხედეთ ერთმანეთს, ვინაა ჩვენი პატრონი. თავისითვის საწვიმარი აქვს გადანახული. ერთი ცალი მივიღეთ. მირავოი საწვიმარია, თუ მოგერგო ოლონდ, - საწყობიდან მოლისფერი, ბრეზენტის მოსახამი გამოარბენინა, გაშალა და მხრებზე შემოაფინა, - გაუყარე მკლავები. შენს ტანზე შეუკერავთ. თუ მომხსნის, მომხსნას, იმნაირი კაცი მომივიდა, უარი ვერ ვუთხარი-თქვა. გაგიგებს ვითომ გამგე? რა იღბლიან ფეხზე ხარ ამ მაღაზიაში დღეს შემოსული, წალმა გატაროს გამჩენმა.
- სარკე გაქვთ სადმე? - სტუმარმა სხვისი ხმით იკითხა.
- რათ გინდა სარკე? არ მენდობი? ორმოცდაშვიდ მანათად შეკერვით ვინ შეგიკერავს ამნაირ პლაშ. ჩვენია რაც მთავარია, გერმანულებში წყალი გადის. მატერიას ინგლისიდან ყიდულობენ და ხაშურში კერავენ. არ გაიხადო, არ დაგინახოს ვინმებ. თუ გვითხონ, მოსკოვიდან ჩამომიტანა ძმიშვილმა-თქვა, ასე უთხარი. ყელი არ გამომჭრა, აქ არავის მოასწავლო.
- მაგის ფიქრი ნუ გაქვს, - სტუმარმა პირობა მისცა, რომ არ გაამხელდა.

...ოციოდე წუთის შემდეგ აპრამ მოშიაშვილმა მოლისფერ-მოსახამიანი სტუმარი ქუჩაში გამოაცილა. აპრამს ხელთ რეზინის ჩექმები და ბამბუკის ჯოხები ეჭირა, მუშტარს კი კოხტად დაკეცილი, ყვითელი კარავი.

მასპინძელი პირს არ აჩერებდა.

- რამდენი შენ მლოცო ამ კარვისთვის, იმდენი გახარება ჩემ იმანულ. მეთევზე კაცი ხარ, რა იცი, სად დაგილამდება. გაშლი კარავ და თავი ქუდში გაქვს. საჭმელი უნდა თუ სასმელი. ჩვენნაირს ეს კარავი ხუთს მოინელებს. შვილ გამოადგება, შვილიშვილ დაჭირდება. ცოტა წინაც ხომ უნდა გავიხედოთ. ზოგს ჰგონია მარტო წვიმაშია კარავი საჭირო. რა ჯობია ამის ჩრდილში კოტრიალს, სიცხე როცაა. ყველა წესიერ კაცს უნდა ქონდეს თითო კარავი დღეს.

- კარგია, კარგი მოგეცა, მაგრამ ნამეტანი დევიხარჯე დღეს. სახლში არ შემიშვებენ. რაც მქონდა, ორი კაპიკი გადანახული... ეს კარავი მაინც რატომ უნდა ლირდეს ასე ძვირი.

- ნაჭერი უნდა დიდი. თვრამეტი მეტრი აპრეშუმნარევი ტილოა. ახლა შეკერვის ფასი? შენ მაგან არ დაგალონოს. ჯამრთელობა იყოს და ფულის მეტს რას იშოვი.

- სწორი ხარ. ხანდახან სათევზაოდაც ქე უნდა წახვიდე კაცი. დავლპი სახლში პენსიის და ქალების შემყურე. თვე ისე ჩეიარს, ხანდახან, ჭიშკარს არ გადავალ. რაცაა ესაა. ამ კარავზე გადეირევიან, თვარა სხვა არაფერი. პლაში და ჩექმები ისედაც ქე მჭირდებოდა. ამოვა ვითომ ტაქსი?

- ამოვა, მაგრამ ისე, ჩვენ შორის დარჩეს და ტაქსის იმედზე მტერმა იარა. ერთი ოთხპორბლიანი არ გეკუთვნის შეენ? მეტი დამსახურება არა გაქვს? რაც შენ სისხლი გიღვრია? ჩვენი დირექტორი ყიდის იაფად ძველ „მოსკვიჩს“, ძველია, მარა გამომდგარი მანქანაა. ერთ ათ წელიწადს ისე ივლის, ხელის ხლება არ დაჭირდება. წინა სამშაბათს მოაკითხა მუშტარმა, მარა ბეი არ მიუცია, მე მგონია, იფიქრე შენ და ზეგ ბამბაზე რომ მოხვალ, ეგებ, იმ „მოსკვიჩზეც“ ქე მოგარიგო, თუ მანამდე გაყიდული არ ექნა. ძველ მანქანებს ძაან ეტანებიან ახლა, ხომ იცი. ნადირობენ პირდაპირ, ჩემმა ქვისლმა...

სტუმარმა ალარ დაამთავრებინა, მოსახვევიდან გამოსული ტაქსისკენ ხელის ქნევით გაიქცა.

გამომშვიდობებისას აპრამ მოშიაშვილმა გადაკოცნა სტუმარი და გამგის „მოსკვიჩი“, ყოველ შემთხვევისათვის, შეახსენა.

— სად უნდა სდიო ამხელა კაცმა ტაქს? მე შენ ადგილას რომ ვიყო, ვალს ავიღებ და ვიყიდი „მოსკვიჩის“. ფულს გაცლის ჩვენი გამგე, იმნაირი კაცია.

— რამდენს აფასებს, თუ იცი? — ქუჩას გაჰყურებდა უკანა სავარძელს მიწოლილი, კარავჩაბლუჯული სტუმარი.

— ჩემმა ქვისლმა სამი აძლია ერთი თვის წინ. ახლა, იქნებ, სამაღაც გაყიდოს, ფული ეჩქარება გოგოს ათხოვებს!

დაძრულ მანქანას მისდევდა და ფანჯარაში ჩასძახოდა აპრამ მოშიაშვილი.

მალაზიაში რომ შემობრუნდა, დახლსგადაწოლილმა კოჭიიამ კარშივე შეაგება.

— რას შობი ახლა, ზეგისთვის სად შოულობ სამ კილო ბამბას?

მოშიაშვილმა არაფერი უპასუხა. ხელები დაიფერთხა, თაროდან ნახევრადსავსე „ბორჯომის“ ბოთლი გადმოიღო და პირზე მიიყუდა. მერე ფანჯარასთან მივიდა, წვიმით გაჯერებულ დაბას გახედა და თქვა:

— მაგი აწი აქ მომსვლელი ალარ არის. ისე... რა გახდა ეს ბამბა. კაცმა რომ თქვას, ბამბა მაინც ალარ უნდა გვექონდეს? ბამბას მიაქვს თურქმენეთში ქვეყანა. ნაახალწლევს მაინც გამოვიწეროთ, მესამე კვარტლისთვის.



ცამალი

— ახლა თქვენა ალარაფრისა გჯერათ. ი ძველი ხალხი ყველაფერს მართალს ამბობდა, მამაჩემის ცხონებამ.

მეწისქვილე მაღალ-მაღალი, ხმელი კაცია, თმა-წარბიანად ერთთავად გათეთრებული. განლობილ მუცელზე შარვალი თოკით დაუმაგრებია. ისე მსუბუქად ისვრის ხორბლით სავსე ტომრებს ხვიმირზე, რომ ჯეელსაც შეშურდება.

— ხომ გაგიგონიათ, ბატონო, ჩვენც მართალი ვიქნებით, როცა ალარ ვიქნებით.

— ეგრე არ არი, შვილო, ჩვენა ზოგჯერ მეტისმეტი სიჩქარითა ცუდსა კარგიც გავაყოლეთ. ვერ შავინახეთ ძველების სიტყვა, ვერ გადავარჩინეთ. თუ ასე ვიარეთ და ხანდახან უკან არ მოვიხედეთ, რაღაც უბედურებას გადავეყრებით. ჩვენ სულელი წინაპრები როდი გვყავდნენ. რაკი ხალხი იქმოდა, ალბათ საჭირო იყო. აგრეც ხომ არ შეიძლება, მე მოვედი, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. სხვას თავი დავანებოთ, ეს ავანდყოფობები რომ გახშირდა, თქვენ როგორა ჰეთიერობთ, რის გამოა? ამტოლი წამალი და ექიმი სად იყო ძველადა. განა ძველად არა კვდებოდა კაცი, მაგრამ ვინ რა იცოდა. მოკვდაო, იტყოდნენ, მორჩა და გათავდა. ახლა სუ ზუსტად იციან, რისგანა კვდება, წნევაო, გიპერტონიაო, ასეც კიბო შაეყარაო. ეს ყველაფერი ზეპირად იციან, მაგრამა როგორ უშველონ, ამაზე კი უკაცრავად გახლავან. თუ მოკვდები, კაცო, სუ ერთი არარი, რა მამკლავს? მთავარია არ მამკლა, მიშველო. ძველადა ერთს გეტყოდნენ. ახლანდელი დოხტურებივით მეითხოვბას ვინ დაგინყებდა, ექიმს როგორ დაცდებოდა — მე ამ სენის არა მესმის რაო. თუ ექიმს მიაგნებდი, ეგ იყო, თავი ქუდში გქონდა. არადა სოფლის ექიმბაშები ჰკურნავდნენ ხალხსა. ყური დამიგდე: ჩემი დაი თელეთს იყო გათხოვილი, ორმოცის წლისას რაღაც სახადი შაჰიროდა, დაკუტულიყო. ხელ-ფეხს ვეღარა ჰხმარობდა. მე და მამაჩემი ჩავედით ურმითა. ორივე-ნი ხარებივით ვბლაოდით, ისე დაგვწვა მაგ ქალის საცოდაო-

ბამა. კუნძივით დაუდეთ ურემს და დილომს ჩამოვიყვანეთ. ჰაი ექიმი, ჰაი წამალი, საქმეში ხარ? არაფერმა უშველა. სოფლის ბოლოს თულუხში ცხოვრობდა. მაშინ თულუხში იყო, შავ კოლას ეძახდენ. იმ დღეს ჩამოვიყვანეთ ჩამაცვლო, რას აწვალებთ მაგ ქალსაო, თიანეთს გადით, ერთი ურემი ცხვრის კურკლი მაიტანეთო. ოღონდ ახალი უნდა იყოსო, ამ კვირისაო. კასრში ჩაყარეთ. თვით რომ კარგად ჩახურდება, როგორც ქვის აბანი, იგრე სცოდნია ჩახურება, ცოტაც ცხელი წყალი ჩაასხით და ყელამდე ჩასვით ავადმყოფიო. სანამ გაუძლებს, იყოს, მერე ნაბადში შაახვიეთ და ორ საათს არ დაბანოთო, უთქვაშს და წასულა თავის გზაზედა. მეორე დღესვე თიანეთს გამიყენა მამაჩემბა. იგრე მოვიქეცით, როგორც დაგვარიგა თულუხში. როგორ გვინია? უმცროს შვილიშვილს გეფიცები, ოთხჯერ ჩახურდა კასრში ჩემი და და მეხუთედ გაიარა. შარშან გარდაიცვალა ოთხმოცდასამი წლისა. რი დახუთვა, რა ქარები – მისმა სახსრებმა ეგ იყო და ეგა, ტკივილი არ იცოდნენ.

– მაინცდამაინც თიანეთური ცხვრის კურკლი იყო საჭირო თუ თუშური ცხვრისაც გაპურნავდა, თქვენ როგორ ფიქრობთ?
– სერიოზული კაცის ნიღაბი ავითარე.

ერთხანს მიყურა, მერე ყალიონს მოუკიდა და გვერდზე გააპურჭყა.

– არა გჯერა. მაინც საიდამ გაჩნდით, კაცო, ამდენი ურნ-მუნო თომა ამ ქვეყანაზე? ჩემ კბილებსა ჰედამ?

კბილები დაკრიჭა და კურდღლისა და მგლის მულტფილმის პერსონაჟივით შემომაცექრდა, ვერაფერს იტყვი, მისი ასაკის კაცისთვის მშვენიერი, ჩანიკწიკებული კბილები აქვს.

– თქვენ, როგორც კი კბილი აგტკივდებათ, მაშინვე ექიმთან გარბიხართ. ეგრე არ არი? ახლანდელებსა მოთმინების ჭიპი მოჭრილი გაქვთ. ექიმი კიდენა არც აცივებს, არც აცხელებს, ბურღამს და ბურღამს კბილსა, ბურღამს და ბურღამს. ნერვი უნდა მავკლაო. რათ უნდა მაპულას ნერვი, კაცო? ე ნერვი რო საჭირო არა ყოფილიყო, ღმერთი არც დააყოლებდა კბილსა. ნერვმკვდარი კბილი კიდე ერთ წელიწადში მოფალფალდება, დაავლებს ექიმი რკინის გაზსა და ამოგთხრის. ამას ეძახიან მკურნალობასა. პაპაჩემბა მასწავლა თორმეტი წლის ბავშვსა:

იგრე და იგრე ჰემენი, კბილი რომ აგტკივდებაო. აი, შეხედე ჩემს კბილებსა. ახლა წადი და ჩემი შვილების კბილები წახე, ჩაბურღულ-ჩაუბედურებული, შაგეცოდება პირდაპირ, თუ კბილი არ გივარგა, საჭმელ თივის გემო აქვს, ეგრე არ არი?

– მაინც რა გასწავლათ პაპათქვენმა?

– ძნელი არ არი: შავი და წითელი პილპილი, გამსმარი ქინძი, ნედლი ოხრახუში და ზაფრანი ერთმანეთ უნდა შეანაყო და თაფლით შაზილო. ორჯერ დაიდებ მტკივან კბილზე და მეტიც ალარა უნდა. ღრძილსაც ამაგრებს და კბილსაცა.

წამოდგა. ტაბლა გამოსწია. სკივრიდან გაზეთში გამოხვეული თუთუნი ამოილო და დაჭრას შეუდგა. ვაზის წკნელივით ხმელ თითებს ისე მჭიდროდ აფარებს თუთუნს, რომ გეგონება, ეს-ესაა სამართებელს ხელზე დაისვამსო.

– შენ ეს მითხარი, ეხლანდელი დოხტურები სურდოს თუ არჩენენ?

– რასა? – სკამი ახლოს მოვიჩიჩე.

– სურდოსა, უბრალო სურდოსა. მე გეტყვი, ვერა შველიან. ჰაი ასკოფელიო, ჰაი სტრეპტოციდიო, ჰაი ჰენიცილინიო! სურდო კი თავისას სანამ არ ამოიჭამს, არ მოგეშვება. ეგრე არ არის?

თავი დავუქნიე.

ეჭვით შემომხედა. ეტყობა, ჩემ უსიტყვო დათანხმებას შეკამათება ურჩევნია. ხომ არიან კამათის მოყვარული კაცები.

– იქნებ არ არი ეგრე. იქნება უკვე გაიმარჯვა ექიმობამ გრიპსა და სურდოზედა? შენ არ მომიკვდე. რა კიბოს მორჩენაზე კვინტილიანობთ, როცა უბრალო სურდო, გაციების სურდო მოგვრევია. დამიგდე ყური და დაიხსომე: თუ სურდო შეგეყარა, ექიმს ნუ შეანუხებ. გასინჯვა-გაშუქებაში უფრო ცივდება კაცი. დაწექი თბილად, ყელში ბრონეულის ან ოსპის წვენი გამაივლე, ცოლს ფეტვი გააცხელებინე, ჩვარში გამაჰკარ და კეფაზე დაიდე. გედოს, სანამ არ გაგრილდება. მერე ისევ გააცხელებინე და ისევ დაიდე. ხორციანს ნურაფერს შასჭამ. ქერის კორკოტი და შემთბარი ღვინო მიირთვი. იმ ღამეს ეგრე. დილით კიტრივით იქნები, ქორფა კიტრივითა.

ისე დარწმუნებით, ისე გულიანად ჰყვება, მოდი და ნუ

დაუჯერებ. თვალები უბრნყინავს და ღიმილზე ეტყობა, უსაზღვროდ კმაყოფილია, რომ ამდენი რამ იცის. რა მშვენიერია ადამიანი, ღმერთი! აი, კაცი. მას ხომ ცხოვრებაში თავისი ფუნქცია ნაპოვნი აქვს. მოძღვრავს და მოძღვრავს ალბათ ასე ჩემსავით წისქვილში საქმიანად თუ უსაქმოდ შემოხეტებულ მოქალაქეებს.

ჩემი სიმინდი რომ ჩამოფქვა, ტომარაში მისხალ-მისხალ ჩაჰყარა. ჩემი ქალალდის ძაფი გაწყვიტა და მოისროლა. კანაფის ზორტი მოძებნა, ტომარას თავი წაუკრა. ერთი-ორჯერ გასაფერთხად ხელი შემოუტყაპუნა, მხარზე დადებაშიც მიშველა და კარისკენ რომ მაცილებდა, წუთით შემაჩერა.

— რა მოხელე ბრძანდებით, უკაცრავად კი ვარ კითხვით-ვინა.

ექიმი ვარ-მეთქი.

თითქოს ამ პასუხს ელოდაო, წარბიც არ შეუხრია.

— როგორა გყადროთ, მაგრამა, სხვა გზა არა მაქვს. ჩვენ ბნელი ხალხი ვართ. ამ წისქვილში გამოყრუებულნი. არ გეწყინოთ კია, ოჯახობა მიკვდება, თირკმლებიც სტკივა და წნევაც აწუხებს. სიბერისაგანა სჭირს ყველაფერი. ჩვენ უპატრონო ხალხი ვართ. აფთიაქჩი პირის გალებამდე გვეუბნებიან უარსა. იქნებ დაგვეხმაროთ, „ხუთი ნოკი“ და „გემიტონი“ გვაშოვნი-ნოთ. ფულს არ დავიშურებთ, ეგრემც ღმერთი შეგეწევათ!

თბმელებთან მისულს მომაძახა:

— თუ გემიტონი ვერ იშოვოთ, რაუნატინი იყოს, ისიც ძალიან ჰქონდების წნევასა.

მოვუხედე და ღიმილით დავუქნიე თავი, რამდენადაც ჩემი ტვირთი — ფქვილიანი ტომარა თავის დაქნევის საშუალებას მაძლევდა.



მასაინძელი

საღამოსპირია.

ქესკინა დიასამიძეს ცადგაბარჯლული, მამაპაპეული წაბლის ქვეშ კუნძზე ჩაუმუხლავს და ციცხვს თლის.

— გეყურება? — სამზადს გასძახის.

— რაი? — ცოლს ხელები დერგში აქვს, მაგრამ ქესკინას დაძახილზე სწრაფად დგება, თითებს წინსაფარზე იმშრალებს და კარმი წინდება.

— ხირხა მაინც მომახურე, ბეჭებში შემცივდა.

ცოლი უსიტყვოდ მოარბენინებს ტყავის ჟილეტს.

— დროც არი. აგვისტო ჩაილია. ბუხარს გემო მიეცა.

ცოლი ამ ლაპარაკში მტკავლით ზომავს ციცხვს და ხმას უმატებს.

— ეგეც ისეთია, ღმერთი გინწენდა, ცოტა ფართო რომ გამოგეთალა?

ქესკინა ხელში ატრიალებს ციცხვს, თქმით არას ამბობს. კარგად იცის დიასამიძემ, რომ ციცხვს თავისი წესი აქვს. უფრო ფართო — ლამაზი არ იქნებოდა, მოდი და აუხსენი დედაკაცს წვრილად ყველაფერი.

ქესკინას ორსართულიანი გამჭვარტლული ოდის ჩრდილი ტყეს მალე გადაწვდება. ქვევით ხეობის შავ ხახაში კინტრიში ცხვირ-ჰირს იმტკრევს, ყურისნამლებად ღმუის და ქვიდან ქვაზე ხტება.

ხომ გასაოცარი სანახავია აჭარისმთის დაკიდებული სახლები, მაგრამ კალოძირი სილამაზის გარდა შიშაც იწვევს. ისეთ ციცაბოზე დგანან ოდები, ზედ კლდის პირას, ქარაფების თავზე, გეგონება — მაგრად რომ დაუპეროს სოფელს, ერთიანად ჩახვეტავსო კინტრიშში.

ყველაზე მაღლა ქესკინა დიასამიძე ცხოვრობს, წარმოიდგინეთ ალპურ ზონაში ცხვირნაყოფილი ვიწრო მთა, რომელსაც შუაწელამდე წვდება სოფელი. მერე კარგა ღონიერი ტყე იწყება და ფიჭვნარს ზემოთ, მთის მოტიტვლებულ შუბლზე დგას ქესკინას ოდა. სოფელი კალოძირი ცალკეა, ქვემოთ.

განმარტოებია ქესკინა ღმერთსაც და კაცსაც. ცოლი შარ-

შანწინ შეურთავს და მაღლა დასახლებულა. კაცია და გუნება. ორი საათი მაინც უნდა დიასამიძეთა სახლიდან სოფლის ცენტრამდე (სადაც მაღაზია და კოლმეურნეობის კანტორა დგას) ჩამოსვლას. მეუღლე იშვიათად გამოჩნდება თემში, ქესკინა კი, ეს ტარანივით განლობილი ქესკინა, დღე ერთია და სამჯერ მაინც ჩამოირბენს სოფელში. ღმერთმა ჯანი და სიმრთელე მისცეს, სწორედ რომ მგლის მუხლი აქვს.

ელვა სწორედ რომ წაბლის წვეროებზე მიმოისახრა, მაგრამ ქესკინას ყურადღება უფრო მეტად ნაცნობმა ხმამ მიიქცია.

— დაისვენე, ჭოვ, ათ წუთში ფეხბურთი დაიწყება, ფეხბურთის ხათრით მაინც დაისვენე, გამარჯობა!

ჭიშკარს ილია გორგიძემ გადმოალავა და კიბის გასწვრივ მორებში ჩასმულ სატალახე რკინაზე ფეხსაცმელს იწმენდს.

— ახლავე, მოვრჩი, — გაეხარდა ილიას დანახვა ქესკინას, დანა ქარქაშში ჩაჩურთა და ციცხვი ხეზე ჩამოჰკიდა, — გაგი-მარჯოს, მარტო ხარ?

— შენ მგონია აღარც გახსოვდა ფეხბურთი, ჭოვ? — ეშმაკურად ჩაპლიმა ილიამ მასპინძელს.

— ვის არ ახსოვდა? ეგებ და ჩემზე მერჩხალად ჩამოთვალო, ამ თვეში სად და ვის ვეთამაშებით?! ადი, ჩართე.

ილიამ კიბეზე რომ ააბიჯა, ქესკინა სამზარეულოში შებრუნდა და დოინჯშემოყრილი წაადგა ცოლს თავზე.

— დაუჩქარე. დღეს ფეხბურთი ყოფილა.

— რაღა გვიჭირს. რაიტო არ გახსომდა, ქესკინავ? — ცოლმა ყველი ამოილო. ერთხელ კიდევ მოუჭირა გობზე ხელი, წაქი ქვაბში ჩაისხა და ქმარს გახედა.

— ვის არ ახსომდა! — იხტიბარი არ გაიტეხა ქესკინამ, თორემ მართლა არ ახსოვდა, გულზე გადავარდა დღევანდელი ფეხბურთი.

სოფელ კალოძირში ტელევიზორი მარტო დიასამიძებისას უჩვენებს. ქვემოთ ხმას კარგად იჭერს, მაგრამ გამოსახულებას არაფერი უხერხდება. თითქოს რძე ჩალვრიაო ეკრანს. ფეხბურთის დღეს დიდი სტუმრიანობაა ქესკინას ოჯახში. ვისაც გულშემატკივრის სახმილი ჰქონდა და ამხელა აღმართზე ამოსვლა არ ეზარება, ყველა აქ იკრიბება. თუ თამაში დაწყებულია, ამბავ-ხაბარს არც კი კითხულობენ კალოძირელები, ტალახიან ფეხსაცმელს კიბეზე სტოვებენ და წინდისამარა არ-ბიან მაღლა.

— უნდა გავარდე, — ცოლი საქმეზე გადადის.

— სად?

— ის ცალრქა უნდა ჩამოიყვანო. უჭრიანტელოდ ვართ.

— გაგიჟდი, ქალო? უკვე დაბნელდა, ამ წკვარამში სად ვიპოვი.

პოვნით როგორ არ იპოვის, მაგრამ სადაცაა ფეხბურთი დაიწყება და ქესკინამაც ხომ უნდა ნახოს.

— რავარც ჭკუამ გირჩიოს. მე კი მითქვამს, ხავინის მეტი არაფერი მაქვს. კიდევ კარგი, პური გუშინ დავაცხე.

— ძალიან კარგად მახსომდა. ამ სალამოს მიმრჩა სადღაც ყურის ძირში. ამირივ ამ შენი ციცხვით ტვინი, — ბუზღუნებს ქესკინა, რეზინის ჩექმებს იცვამს, ფაფახს იხურავს, კომბალს იჭერს და აღმართში არბის. მუავე წყლამდე ერთი ვერსი მაინც იქნება, რამე რომ შემოეფეოთს? მოტრიალდება, ბერდენკას მხარზე შეიგდებს და ისევ გარბის.

...ქესკინას ოდის მეორე სართულზე დიდი ურიამულია. სა-დაცაა მეორე ტამი დაიწყება. სკამი ვისაც არ შეხვდა, იატ-აკზე მოკეცილა და ფილოსოფოსობს. ფეხბურთი ხომ ისეთი რამ გახლავთ, რომ „ყველამ ყველაფერი ხუთი თითოვით იცის“.

ქესკინა ელექტრონის შუქზე, ლაფაროში ფუსფუსებს. თხა უკვე გაატყავა და ხორცს დევის ქვაბში ტენის. ცოლი ცეცხლს უჩუხჩუხებს.

არც ფეხბურთს სტოვებს ქესკინა უყურადღებოდ, სტუმ-რებს პიროვლიანი გამოეცხადება, ფეშუმს ჩადგამს და ტელევიზორს წამით შეაჩერდება.

— რა ჰქენეს?

— ერთით ნოლს იგებენ. მოდი, კაცო, სადაცაა გათავდება.

— ერთიც გვინდა, ერთი ბურთი სანდო არ არის. ახლავე მოვალ, — იტყვის ქესკინა და კიბეზე ჩამორბის.

— გუშინ რაიონიდან ისტატი ამოიყვანეს. მალე ანტენას დადგამენო, — გაჩაღებულ ცეცხლში ცოლი საკეცით დგამს რკინის სამფეხას.

— მაინც არ იმუშავებს. ეს მთა შეუშლის. ჩავარდნილი ადგილია, — ამბობს ქესკინა და თხილის სამწვადეებს დანით სხევავს.

არ უნდა ქესკინას, რომ ანტენა ჩადგან და ტელევიზორმა კალოძირშიც კარგად უჩვენოს. არ უნდა.

„მაგრამ ლოდინით დაღალულ ეალთა...“

კაცობრიობა სიყვარულისგან დაიღალაო, შენა თქვი? კლა-სიკოსების მიერ ადამიანის ასამალლებლად გამოგონილმა სიყ-ვარულმა მხოლოდ მეოცე საუკუნემდე შეძლო ადამიანის მოტ-ყუებაო? დღეს რომეოს და ჯულიეტას მსგავსი გრძნობა მხო-ლოდ პროვინციელებს შეიძლება გაუჩინდეთ და ისიც ყმაწვი-ლობის ასაკშიო? რაღა დროს ერთხელ მოსულ სიყვარულზეა ლაპარაკი ამ ატომურ ეპოქაშიო? ის, რასაც ჩვენ სიყვარულს ვეძახით, დროებითი გატაცებაა გამრავლების ინსტინქტით გამოწვეული და სხვა არაფერით? მე შენთან კამათს არ ვაპირებ. თქვენ, ნასწავლმა ხალხმა, თქვენი ულტრამაგალითებით ისე შორს იცით ჩემისთანა ბრიყვის გატყუება, რომ შეიძლება უკან გზა ვეღარ გამოვიგნო. მაგ შენი „თეორიის“ პასუხად ერთ ამბავს მოგიყვები. სამ შვილს ვფიცავ, ერთ სიტყვას არ ვიტყვი ზედ-მეტს, არაფერს არ გამოვიგონებ (გამოგონება უფრო საინტერე-სო რამისაც შეიძლებოდა). გიამბობ და შენ თვითონ განსაჯე. თუ კაცის გული გაქვს, ყველაფერს მიხვდები, თუ არა და ესეც სისულელედ მოგეჩვენება. არ ვიცი, ძმაო, მე კი ამ სიყვარულმა ნელში გამწყვიტა და ლამის სიცოცხლე გამინახევროს.

ჩემს კლასში ერთი გოგო სწავლობდა; შორენა ერქვა. გვარი რაში გაინტერესებს. ასე მგონია, მისი სახელი რომ ვახსენე, ამითაც დიდ ცოდვას ჩავდივარ-მეთქი. შენმა დარწმუნებულმა კილომ მაიძულა, თორემ შორენას ამბავი აქამდე არავისთვის მითქვამს. ხომ უნდა გქონდეს კაცს შენი საიდუმლო – რაღა-ცა, გულში სამუდამოდ ლრმად დამარცული, სხვის ყურს რომ არ მიაკარებ და საჯიჯვნ-საკამათოდ არასოდეს აქცევ. კნაჭა გოგო იყო, სათვალიანი. სათვალის გამო მისი თვალების ფერ-საც არ დავკვირვებივარ. ახლაც ვერ გეტყვით, რა ფერის თვა-ლები აქვს. ხომ არიან გოგონები, სხვანაირი თვალით რომ არ შეხედავ.

მეშვიდე კლასიდან ერთად ვსწავლობდით. თუ გახსოვს, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება რომ შემოიღეს, შორენა „ქალ-

თა მეორედან“ გადმოვიდა ჩვენს სკოლაში. მამა არ ჰყავდა. დედამისი ინუინერი გახლდათ, მაუდკამვოლში მუშაობდა, სახ-ელიანი, წარმოსადეგი ქალი. შორენას ერთადერთი ძმა ჩვენზე ორი კლასით წინ იყო. ექიმია ახლა. ძმა ნაბიჯზე არ შორდე-ბოდა. მეექვსე გაკვეთილი თუ გვქონდა, კიბეზე ჩამომჯდარი ელოდებოდა. დასკინოდნენ ბიჭები; რა ხარ ამნაირიო, ვინ გი-ტაცებს, ძმა რომ თოფით გდარაჯობსო. ტირილამდე მიჰყ-ავდათ ხანდახან გოგო. სულელები ვიყავით, აბა რა, თორემ და-ძმა რომ ერთად მიდის ქუჩაში, იმაზე კარგი არის რამე?

ახლა, აქედან რომ ვაკვირდები, ვხედავ, თორემ მაშინ ვერც ვამჩნევდი, შორენა სხვაზე მეტ ყურადღებას მაქცევდა. ექსკურსიაზე რომ მივდიოდით, გვერდით მომისკუპდებოდა, არდადეგების დაწყებისას პირველი დარეკავდა, საით მიდიხარ და როდის დაბრუნდებიო. ბიჭები რომ წავინკულავდებოდით, ვარიასავით აიქოჩინდა, ჩხუბშიც კი ჩაერეოდა და ყოვ-ელთვის ჩემი მხარე ეჭირა, დილით დავალებას პირველ რიგში მე გადამინერდა; საკონტროლო წერის დროს, მასწავლებელი რომ თემას გამოაცხადებდა, „შპარგალკას“ (მჭირდებოდა თუ არა) მამინვე გამომიგზავნიდა, თუ გავაცდენდი, მასწავლებ-ელს ეხვეწებოდა თურმე, ავად არის და „არას“ ნუ დაუწე-რო. სხვა, განსაკუთრებული არაფერი შემინიშნავს. ხანდახ-ან მაღიზიანებდა კიდეც მისი გადაჭარბებული ყურადღება. მეცხრე კლასიდან, მამლაყინწებად რომ ვიქეცით ერთბაშად და სხვაკლასელ (სუცილებლად სხვა კლასელ) გოგონებს თვა-ლიერება დაუწენეთ, ერთხელ დამიუნია: გინდა თუ არა, მითხ-არი, ვინ გიყვარსო, თუ გეშინია, გამატანე წერილი და მე მი-ვუტანო (მაშინ სიყვარულის წერილობითი ახსნა მოდაში იყო). გავპრაზდი, მახსოვს: ფოსტალიონი არა მჭირდება, ჩემს თავს თვითონვე მოვუკლი-მეთქი. არავინაც არ მიყვარდა. პირიქით, გულის სიღრმეში, სადღაც, მეჯავრებოდა კიდეც გოგონები. მათ წრეში თავს შებოჭილად და უხერხულად ვგრძნობდი.

ასე გავიდა სამი წელი. დავამთავრეთ. გამოშვების საღ-ამოზე ახალი, გრძელი, ცისფერი კაბით მოვიდა. ყველა გოგოს გრძელი კაბა ეცვა და მეჩვენებოდა, რომ ჩვენ, ბიჭები, ისევ ბავშვებს ვგავდით, გოგონები კი ერთბაშად დაზრდილიყვნენ.

ძველი კინოფილმებიდან გადმოსულ „ბარიშნებს“ ჰგავდნენ. ლამე გავათენეთ, მაგრამ სუფრამ უხალისოდ ჩაიარა. მასწავლებლები ჩვენ თითქმის არ გვაქცევდნენ ყურადღებას, თვითონ, თავისთვის ქეიფობდნენ. თამადა შეთვრა და სასწავლო ნაწილის გამგეს (კოჭლი შალვა სარჯველაძე, ისტორიკოსი, შარშან გარდაიცვალა საწყალი) „ინტრიგანი“ უწოდა, კინალამ აირია სუფრა. დილის ექვსი საათი იქნებოდა, შორენამ (ჩემ გვერდით იჯდა, რასაკვირველია) ხელი მომკიდა; გეხვენები, წავიდეთ აქედანო. პირველად მაშინ გამიკვირდა: რა უნდა ამ გოგოს-მეთქი, გულში ვთქვი, მაგრამ გაყოლით – გავყევი.

ხელკავით მომყებოდა და გაუთავებლად ჭიკჭიკებდა. ასე ხალისანი არასოდეს მინახავს. ნინოშვილის ქუჩა ცარიელი იყო და ჩვენი ფეხის ხმა და საუბარი ზარის რეკვასავით ისმოდა. ხანდახან შევჩერდებოდით და ჩვენსავე ექის დავაყურადებდით. თეთრ ხიდთან წვიმა წამოვენია. თავიდან ფეხებამდე გალუმპულები ვიდექით ხიდზე და უქიმერიონს შევყურებდით. ქვევით რიონი ყურისნამღებად ღრიალებდა. „გოგი“, – შორენას შეცვლილი ხმა ჰქონდა, რაღაც დაიწყო და გადაითქირა, მოაჯირზე შესკუპდა და სერიოზული სახით მკითხა, – „ხომ მიხდება გრძელი კაბა?“ თავი დავუქნიე. „ხომ მიხდება, დედას გაფიცებ. ოღონდ არ მომატყუო. ხომ კარგი გოგო ვარ?“ – სხაპასხუპით თქვა და ტირილი აუვარდა. ხელი შევაშველე, არ გადავარდეს-მეთქი. თმა ჩამოეშალა. კაბა პაპიროსის ქალალდივით დაჰკვროდა პატარა მხრებსა და წატიფ მკლავებზე. ანგელოზს ჰგავდა. ტირილი სწრაფადვე შეწყვიტა, ჩამოხტა, შემომხედა, „შე შტერო, შენ“, სინანულით მითხრა და გაიღიმა. რომ დავპრუნდით, სუფრა უკვე აშლილი დაგვხვდა. ეზოში ცეკვა-თამაში გაემართათ. მასწავლებლებიც კი (აუჩქარებლად და მოზომილად) ძუნძულებდნენ წრემი. ჩვენი გაპარვის ამბავი ყველამ იცოდა. ჭორიკანა ქალაქია ქუთაისი.

მერე ჩვენი გზები გაიყარა. მე, როგორც იცი, უნივერსიტეტში ჩავაბარე. შორენას დედამისი ვერ შეელია სათბილ-ისოდ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალში მოეწყო საფეიქროზე. ქუთაისში იშვიათად ჩავდიოდი. უურნალისტიკის ფაკულტეტი, მოგეხსენება, ხან პრაქტიკა გვქონდა ზაფხულო-

ბით, ხან ყამირი და ათასი რამ. ვერ დავიფიცებ, ჩამოვდიოდი თუ არა, პირველად შორენას ვურეკავდი, გამოგივლი-მეთქი, მაგრამ სტუდენტის ამბავი არ იცით? გადავყვებოდი ხელს და ვერ ვნახულობდი. ტელეფონში სევდიანად, პაუზებით მპასუხობდა. ხასიათზე რატომ არა ხარ-მეთქი, რომ ვკითხავდი, არაფერი, ისეო, მიპასუხებდა, თურმე ღაბაღუპით სდიოდა ცრემლი ჩემი ხმის გაგონებისას, მე კი, მე სულელი, ვერაფერს ვხვდებოდი... დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. არ გვესმის, არა, ადამიანებს ერთმანეთის.

ერთხელ, მეხუთე კურსზე ვიყავი მაშინ, ზამთრის არდა-დეგებზე ჩამოსულს, შორენას დედა მირეკავს, შვილო, გოგი, იქნება ჩვენსა გადმოირბინო, შორენა ვერ მყავს კარგადო. წავედი. დიდთოვლობა იყო მახსოვს და გზადაგზა გუნდებს ვესროდი აივნებზე მოტკარცალე გოგოებს. შორენა კედლისკენ შებრუნებული ინვა. სასთუმალთან დედამისი ჩამოუჯდა „დე-დიკო, გოგი მოვიდაო“, უჩურჩულა. გაიგონა თუ არა ეს სიტყვები ავადმყოფმა, საბანი წაიფარა თავზე და კედელთან მიიკუნჭა. ახალთავდაბანილი ლექციებზე გამექცა, გამიცივდა და ოცი დღეა სიცხე ვერ ჩავუქრეთო, ისე დასუსტდა, ლანდი გადის ცხვირში და რცხვენია შენიო, ამიტომ მალავს სახესო, მომიბოდიშა დედამისმა. დიდხანს ეხვენა, უხერხულია, სტუმარი მოვიდა, გამოიხედეო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, წასვლისას გამომშვიდობების ნიშნად ხელი გამოჰყო საბნიდან და მაგრად მომიჭირა, ახლაც ვგრძნობ მის გამხდარ ცხელ ხელს თითებზე. მალე გამოჯანმრთელება ვუსურვე და წამოვედი.

ეს იყო და ეს. ოცი წელი გავიდა მას შემდეგ. შორენა არ მინახავს. ცხოვრებამ სხვადასხვა კალაპოტში გადაგვაგდო და ისე ღრმად ჩაგვითრია, რომ თანაკლასელებმა ერთმანეთი თითქმის დავკარგეთ. შარშან სკოლის დამთავრების ოცი წლისთავი გვინდოდა გადაგვეხადა, მაგრამ თავი ვერ მოვაბით. ოციდან ორმოც წლამდე ძალიან სწრაფად გარბის დრო. ცოლ-შვილს ეკიდები, შენს ბუდეს იწყობ, რაღაცას ჩალიჩობ, რაღაცას წერვიულობ, შენი პრობლემები გიჩნდება და თავის ასაწევად, მისახედ-მოსახედად დროც აღარ გრჩება.

გასულ ოთხაბათს ჩვენი თანაკლასელი ნანი ბეშკენაძე

შემხვდა; ვაკის პარეში ნაყინის ჯიხურიდან ძალისძალით გა-
მოათრია ორი ბავშვი. ყელი ტკივა ორივეს და მაინც ასეთ
სცენას მიწყობენ ნაყინზეო. ამიტომ მეზარება ამათი გამო-
ყვანა სახლიდან. არც კი შეცვლილა ნანი, ისევ ისეთია – მოხ-
დენილი, თვალბრიალა და ხმაურიანი. მოკითხვა არც კი მა-
ცალა, რა კარგია, რომ შემხვდი, გოგი, სანთლით დაგეძებდიო.
შევხედე ბავშვებს – ჯერ არ არიან საინსტიტუტო, რაშია ნე-
ტავ საქმე, რაზე მეძებდა ნანი? შორენა თუ გახსოვსო. როგორ
არ მახსოვს-მეთქი. იცი თუ არა, თბილისში რომ ცხოვრობსო.
არა-მეთქი. მართლა არ ვიცოდი. მე მეგონა, შორენა ქუთაის-
შივე დარჩა და არის ახლა ქმარშვილდასეული და გასუქებ-
ული, როგორც ყველა ჩვენი თანაკლასელი ქალი-მეთქი. შენ
რა გითხრა მეო. შენგანაა ის გოგო გაუბედურებული და შენ
ასე ლაპარაკობ. არც ერთი არ ღირხართ კაცები იმად, რაც
შორენამ შენთვის ჩაიდინაო. რა? როდის? რას ლაპარაკობ?
შენ ხომ არ გაგიყდი-მეთქი, მაგრამ მეტი ვერაფერი წამო-
ვაცდენინე. ამა და ამ ქუჩაზე ცხოვრობს, მარტოდმარტოა, თუ
კაცი ხარ, მიდი და აუცილებლად ინახულეო, დამიგდო ნანიძ
და სანაყინები შეცვენილ შვილებს გამოუდგა.

მეორე დღეს მაინცდამაინც საღამოს მქონდა ლექცია.
ვერც გავუცვალე ვერავის. ასე, ათის ნახევარი იყო, შორე-
ნას კარს რომ დავუკავუნე. მაშინვე გააღო, არც ტრადიციული
„ვინ არის?“ არც ჭუჭრუტანაში გამოხედვა, თითქოს კართან
იდგა. ნაბიჯების ხმაც კი არ გამიგია. იმწამსვე გააღო კარი.
შემომხედა, მკლავები ჩამოჰყარა, თავი უკან გადასწინა და კე-
დელს მიეყრდნო. ხმა არ ამოუღია. სახეზე ერთი ნერვიც არ
შეტოვებია. თითქოსდა სრულიად ჩვეულებრივი ამბავი ხდება.
თითქოს ერთი საათის წინ გავედი ამ ოთახიდან მეზობელთან
ჭადრაკის სათამაშოდ და ახლა დავბრუნდი.

– შემოდი, გოგი.

ახლა კი, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა გიამბო, რაც იქ ვნახე
და განვიცადე. ჯერ ერთი, მრცხვენია, ჩემი ყველაზე ლირიკუ-
ლი წუთების მონაწილედ რომ გხდი. სიტყვამ მოიტანა, თორემ
არ უნდა ვკადრო ამ ამბავს სინათლის სარკმლის უბოდიშოდ
მოღიავება. შორენა ისე ციური და მაღალი ქალია, სწორედ

რომ ღირსია იმისა, მისი ცხოვრების ლამაზი იდილია მასვე
ეკუთვნოდეს სამარადისოდ. შიშით კი, იცი, რისა მეშინია? შენი
წელანდელი ლაპარაკი რომ გამახსენდება, დიდი იმედი არა
მაქვს, რომ ყველაფერს მიხვდები. არსებობენ საგნები, გულუ-
ბრყვილო განსჯისა და კამათის წიაღ მაშინვე რომ ჰკარგავენ
სუნსა და ფერს, სიწმინდესა და მომხიბვლელობას. მიკვირს,
რომ ახერხებენ მწერლები, თავიანთი სულის ყველაზე იდუმ-
ალი ნიუანსიც კი ასე უცერემონიოდ და ხელალებით გამოფი-
ნონ მზეზე.

ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გამშრალი ხმით ღაპარაკობდა
შორენა. ხანდახან შეჩერდებოდა, თავს ჩარგავდა ხელებში და
შევაშველებდი ერთადერთ ფრაზას, რომელიც იმ ორი საათის
განმავლობაში პირზე მეკერა – „ილაპარაკე, ძალიან გთხოვ“.
თავს ასწევდა, ცრემლჩამდგარი, გაფართოებული თვალე-
ბით შემომხედავდა, მხრებს ხელისგულებით დაიფარავდა და
ჰყვებოდა. აღარ მახსოვს, რას ჰყებოდა, ვერც იმას გეტყ-
ვით, მესმოდა თუ არა მისი სიტყვები. ახლა მხოლოდ იმის
თქმა შემიძლია, რომ ამ ქალს ჩემი ცხოვრებით ეცხოვრა
ოცი გრძელი ნელი. მან იცოდა ყველაფერი, რაც თავს გად-
ამხდა, რაც მიფიქრია და მიჯახირია. იცოდა, როგორი ქმარი
და მამა ვარ, ვინ არიან ჩემი მეგობრები. ვის ვთვლი მტრად
და ვის მოყვარედ. როდის ვიყავი ავად, რა მანუხებს და რა
მიხარია. ლაპარაკობდა შორენა, მაგრამ მის სიტყვებში არ
ჩანდა არც სინაწული, არც თავმოწონება იმის გამო, რასაც
სიყვარულისთვის ბრმა მსხვერპლად მიტანილი საკუთარი სი-
ცოცხლე ჰქვია. მარიგებდა, ჭუას მასწავლიდა, მეუბნებოდა,
რომ ბავშვი აღარა ვარ და ცხოვრების წესი უნდა შევიცვალო,
სიფიცხე დავიოკო, ღამებს ნუდარ გავტეხ, აპენდიციტის ოპ-
ერაციაც გავბედო ერთხელ და სამუდამოდ. მეუბნებოდა, რომ
ანი უფრო საჭირო ვარ ჩემი ცოლშვილისთვის და თავს უნდა
გავუფრთხილდე. თვითონ? საკუთარ თავზე ერთი სიტყვაც არ
დაცდენია, თითქოს რაც აქ ხდებოდა, სრულიად ჩვეულებრივი
ამბავი იყო. კედელზე მხოლოდ ჩემი სურათები ეკიდა, აღბომი
ჩემი ფოტოებით იყო სავსე. უხერხულობა და ცოტა სიბრაზეც
მიპყრობდა ხანდახან იმის გამო, რომ მე, მუცელგაბერილ და

თმაგაცვენილ მოქალაქეს, ამ სახლში ასე ნაზად და ფაქიზად მეპყრობოდნენ მთელი ოცი წლის განმავლობაში.

სკამზე დაჭედილივით ვიყავ კარგა ხანს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა წამოვსულიყავი. შორენამ ჩემზე უკეთ ესეც იგრძნო და წამოდგა. რა საცოდავი ვიყავ იმ წუთებში, ვერ წარმოიდგენთ. სულ არ შეცვლილხარ-მეთქი, სამსახური როგორი გაქვს-მეთქი, თუ რამე გაგიჭირდეს, დამირეკე-მეთქი, მომავალზეც იფიქრე, ასე მარტო ხომ არ უნდა დაბერდე-მეთქი. მსგავსი სისულელეები ვუთხარი, მაგრამ ვგრძნობდი, სასაცილოდაც არ ეყო. ისევ ისე იდგა კარში, როგორც დამხ-ვდა, თავანეული, გამშრალი, ხელებჩამოყრილი, ლოდინით გათანგული.

იმ ღამით შინ არ მივსულვარ.

არ შემეძლო, ვერ მოვისვენებდი.

სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩის დასაწყისში ქმარგაყ-რილი გოგო ცხოვრობს. ერთი გაკვირვება გაუკვირდა, შუალა-მისას რომ მივადექი და ამაღამ შენთან უნდა დავრჩე-მეთქი, განვუკხადე.

ჩემგან ამხელა სითამამეს არ ელოდა.

გაიხარა. ჯარასავით დატრიალდა, ვახშამი გააწყო, იჭიკ-ჭიკა და მაჭიკიკა მეც.

ცოტა ხნით მაინც მომეხსნა გულზე სევდის დოლაბი, დი-ლამდე მაინც ამოვისუნთქე თავისუფლად.

ამ სახლში დამნაშავედ არ ვგრძნობდი თავს. აქედან ყველაფერი მარტივი ჩანდა.



სევასტი

მარგალიტა მინას რომ მივაბარეთ, მე და კირილე მაჭუტაძე მუსაიფშა გაგვიტყუა და ოლასკურადან მესაფლავეებმაც კი გამოგვასწრეს.

— დაიღუპა კაცი, — ვეუბნებოდი მე, — ამ ასაკში განსა-კუთრებით ძნელია მეულლის დაკარგვა. ბედაურივით ქალი იყო მარგალიტა. ვის ეგონა, ასე უცბად თუ წაიქცეოდა. მომ-კლა სევასტის საცოდაობამ. რაღაა ანი სევასტის სიცოცხლე. ჩამთავრებულია ყველაფერი. ცოლს ანი ეგ აღარ ითხოვს და მეორე ცხოვრებას აღარ დაიწყებს.

— გეგონოს. — კირილეს ეშმაკები აუთამაშდნენ თვალებში.

— სამოცდახუთის ხომა? — იხტიბარი არ გავიტეხე მე.

— მერე რა არის სამოცდახუთი? შენ არ იცნობ სევასტის. სევასტისთანა კაცები ფარ-ხმალს არ ჰყრიან. კერპი იცი შენ რას ჰქვია? კერპი გახლავს სევასტი. ერთად გავიზარდეთ. ჩემზე უკეთ მას არავინ იცნობს. ცოლს არ შეირთავს? არ შეირთავს კი არა, შეიძლება ორმოციც აღარ დააცალოს საწყ-ალ მარგალიტას. სევასტის, რომ იცოდე. შეთვალიერებულიც ყავს საცოლე. ასეა ეს. არაა კაი კაცი ეგ შენი სევასტი. თუ გაინტერესებს, მოგიყვები ერთ ამბავს. გული გაუსკდა მარ-გალიტასო, რომ უღურტულებს ქალაქი, იცი, რამ გაუხეთქა გული? არ იცი. მე და ჩემმა ოჯახობამ ვიცით მარტო. ჩემს ცოლს დაურეკა ტელეფონით მარგალიტამ და იმ ღამეს კიდეც შეიქმნა ცუდად. ბნელი საქმეა ეს საქმე. მიგდებ ყურს?

— აბა, აბა, ჩემო კირილე.

ჩემს ჭიშკართან სკამეიკაზე ჩამოვჯექი და კირილემ დაი-წყო:

— არ მითხრას არავინ, ჩემო ბატონო, ქალის გატეხვა არ შეიძლებაო. აუღებელი ციხე ეგონა ჩვენს ქუჩაზე მარგალი-ტა ყველას, მაგრამ ქალს ერთი სუსტი ნერვი დააყოლა გამ-ჩენმა, იმ ნერვს ვერც მარგალიტა გაექცა. შვიდი წლის წი-ნანდელ ამბავს გიყვები. სევასტის პირველი ცოლი შელეგიას

ქალი გახლდათ და ის სამი ბიჭი იმისაგან ჰყავდა. მოწიფული შვილები ჰყავდა სევასტის, ცოლზე რომ გული აიცრუა და, თურმე ნუ იტყვით, მარგალიტა ჩაუვარდა გულში. რა იყო მაშინ მარგალიტა? ოცდათორმეტი, ოცდაცამეტი წლის ქალი. გასათხოვარი. კარგად შენახული. მშობლები, ქე რომ იცი, იმ წელს გადაუსახლეს და ბებიამ გაზარდა. ბოლოს ბებიაც მიიბარა გამჩენმა და მარტო ცხოვრობდა. ყველაზე ენაჭარტალა მეზობელიც კი ვერ იტყოდა მარგალიტაზე აუგს. მისი სახლიდან (საიდანაც გავასვენეთ, ეგ მარგალიტას ბინაა, ქე გეცოდინება) გამოსული მამაკაცი არავის უნახავს. პატიოსანიაო თუ ვინმეზე ითქმის, სწორედ მარგალიტაზე ითქმოდა. ჯერ სასაცილოდ არ ეყო, რომ უთხრეს, სევასტის მოსწონბარო. მერე თვითონ სევასტიმ რომ ჩაულაპარაკა ბაზარში, თურმე გაბრაზდა, მაგრამ რა გაბრაზდა, შეხტა და შემოტრიალდა თურმე ეს ამხელა ქალი. ტყუილს ვერ ვიტყვი, მე არ მინახავს, მაგრამ ვინც ამ ამბავს შეესწო, სასწაულს ჰყვებოდა; იფრინა, მაგრამ რა იფრინა თურმე მარგალიტამ შენი სევასტი. ისეთი ყვირილი აუტეხია ბაზარში, რომ ნემსის ყუნწში კინაღამ გააძრინა. შენი ტოლი და სადარი არ უნდა იცოდე შენხელა კაცმა? მართლაც, ჩევნ შორის დარჩეს და, არ იყვნენ ერთ-მანეთის შესაფერისები. შოლტივით მარგალიტა და უკისრო სევასტია – დამჭერი და დაჩივარული. რაც ახლაა, ის იყო მაშინაც. მარგალიტა თავზე ბუზს არ ისვამდა, ვარსკვლავებს ეთამაშებოდა, უტირია კიდეც თურმე მაშინ, ნუთუ ისე წავიდა ჩემი საქმე, რომ სევასტია გლახამ თავის შესაფერისად მიმიჩნიაო. თურმე მოიცა, რას ტლინკაობ, ნახე, რა დღე მოგელის. სევასტის ხასიათი ხომ იცი, ასე იყო ბავშვობაშიც. თუ რამეს ამოიჩემებდა, ვერ გადაათქმევინებდი. ლამის ორი წელინადი მოსვენება არ გვქონდა მეზობლებს. მოვიდოდა სევასტი და საათობით იჯდა მარგალიტას ჭიშკართან. არაფერი მასთან არ გაუვიდა ქალს. არც კეტით გამოკიდება, არც ტკბილი სიტყვა. „შენ რას გიშლი, ვიჯდე ჩემთვისო“, სასონარკვეთილებაში ჩავარდა მარგალიტა. ვერ იქნა და ვერ მოიშორა ეს კაცი. სამსახურშიც უჩივლა, მილიციაშიც განაცხადა, მაგრამ სიყვარულისთვის, შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება, ვინ დასჯიდა. ამნაი-

რი მუხლი კოდექსში არ არსებობს. თუ დათვრებოდა, ცოტა უფრო თამამი იყო. გაუთავებლად ელაპარაკებოდა ფანჯარაში მარგალიტას და მერე იქვე კიბეზე წაუძინებდა. დაურეკავდა მარგალიტა შელეგიას ქალს, ჩემს კიბეებზე სძინავს თქვენს ქმარს და წაიყვანეთო. მოვიდოდა თავისი შვილებით სევასტის მეუღლე. რცხვენოდა, ერთ სიკვდილს ათავებდა, მაგრამ რა ექნა, აიკიდებდნენ შეყვარებულ ქმარს და მამას, მიათრევდნენ სახლში, გამოფხილდებოდა და ისევ აქეთ იზამდა პირს. ორი წელი ითმინა მარგალიტამ, ორი წელი უყურა ამ სურათს, რომ იცოდე, რა ზიზლით ლაპარაკობდა სევასტიზე. ამნაირი უთავმოყვარეო და უბედური არაფერი მინახავსო. უნდა გადავსახლდე აქედან, ვინ დამწყევლა ნეტავიო. ხანდახან მეზობლის ქალები რომ გადაუკრავდნენ, უყვარხარ, შე ქალო, ხომ არ სძულხარო, – ჭკუას ჰყარგვადა. ესირცხვილებოდა სევასტის სიყვარული. მაგი შეიყვარა შავმა მინამ, ჩემ მეტი ვერავინ ნახა მაგ დამპალმა? ჩემი ყურით ეს სიტყვები რამდენჯერ მაქვს გაგონილი მარგალიტას პირიდან. ორი წლის თავზე, ხმა რომ გავარდა, სევასტიმ ცოლ-შვილი მიატოვა და მარგალიტა შეირთო, ჩვენ მანამ არ დავიჯერეთ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ხელკავით არ გამოვიდნენ ახალი ცოლ-ქმარი ქუჩაში და, ვითომც აქ არაფერიაო, ტკბილი ჭუკჭუკით გაუდგნენ ნინოშვილის ქუჩას. ხომ გითხარით, ჯიუტი იყო სევასტი და მარგალიტა სწორედ მისმა სიჯიუტემ გატეხა. სხვა ქალებს რომ ვუყვები ამ ამბავს, სასაცილოდ არ ჰყაონით, მე ისეთი მაგარი კაკალი ვარ, რომ სევასტის კიბეზე ჩამოძინებას აინუნშიც არ ჩავაგდებდიო, ასე იციან თქმა, მაგრამ მარგალიტას ადგილას ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც იმას იზამდა, რაც მარგალიტამ გააკეთა.

მოკლედ, ჩემო იმანო, გადმობარგდა სევასტი მარგალიტას ბინაში და ორი თვის თავზე ჯვარიც იფსკვნეს. ქორწილში ბევრი ხალხი არ დაუპატიუიათ. ახლო მეზობლები და ნათესავები ვიყავით. შვიდმა წელმა ისე ჩეკარა გაირბინა, როგორც გარბის ხოლმე წლები საერთოდ. ღვთის წინაშე ცოდვას ვერ ვიტყვი, ტკბილი ოჯახი ჰყარდათ, ბავშვიც შეეძინათ, ცხოვრობდნენ გემრიელად. ახლა დიდი სტუმრიანი და მიმსვლელ-მომსვლე-

ლი ოჯახი არ იყო, უნდა გითხრა, და ამიტომაც, რაც გარედან ჩანდა, მეც იმას გიყვები. ამ ერთი კვირის წინ ოცდაშვიდი იყო თუ ოცდარვა, როდის გარდაიცვალა მარგალიტა?

— ოცდარვაში.

— პო, ოცდარვაში ურეკავს ჩემს მეუღლეს მარგალიტა. კაი, გოგო, რა გატირებს, ჩემო მარგალიტა, არ იქნება ეგ ამბავი მართალიო, ამშვიდებდა ჩემი ცოლი და მეც ამან დამაინტერესა, თორემ არც კვითხავდი. რა ჩემი საქმეა, ქალები რას ეტყვიან ერთმანეთს. რა მოხდა-მეთქი. რა მოხდა და ბიბლიოთეკის წინ კაკაურიძის ქვრივი რომ ცხოვრობს, ერთი კვირაა ურეკავს თურმე მარგალიტას, შენი ქმარი ჩემს კიბეზე იძინებს, სიყვარულს საჯაროდ მიცხადებს, თავს მჭრის პატიოსან ქალს და მომაშორე თუ ქალი ხარო. რა პატიოსანიც კაკაურიძის ქვრივია, ქე იცის მთელმა ქუჩამ, მაგრამ რას იზამ... თავის მხრივ სწორია ის ქალი. გაბაზრებული და გახმაურებული არავის არაფერი უნდა. მთელი საღამო ამ ამბავზე ვილაპარაკეთ. რა ანათემა არ დაგვატეხა თავზე კაცებს ჩემმა ცოლმა, რა წყალს არ გაგვატანა. ის იყო, დილით გავიგეთ, მარგალიტა ცუდად გამხდარა წუხელის და სასწრაფოთი წაუყვანიათო. ფხიზელი ძილი ვიცი, მაგრამ სასწრაფოს მოსვლა მეც არ გამიგია, ალბათ ასე რიბირაბოს დროს, თოხი-ხუთი საათის ფარგლებში მოხდა ეგ ამბავი.



ზვიადაური

— დილა მშვიდობისა, სტუმარო!

გიორგი წიკლაურს კარვის კალთა კისერზე გადაუფენია, ჩაცუცქეულა და მანჯლრევს.

ნაბადი მოვისროლე, წამოვჯექ და თვალები მოვიფშვნიტე.

— გათენდა?

— არც ბევრი დააკლდების, ექვსი საათია. ხომ კარგად გეძინა?

— მეფურად, შენა?

— სამ ბალლ წუ მომიკვდების, თვალი არ მომიხუჭავს.

— რად დაისაჯე თავი?

— სტუმრებს ხომ არ შეგასწრებდით კარავჩი. ჩემ დასაწილა აღარ დარჩა.

— სხვისმა მაზიარებელმაო... თურმანაული?

— ისიც ჩემ დღეში ჩავარდა. მაგრამ არათერ წაგვიგია, შატილის მადლმა. სამნი ვიყავით ცეცხლთან ჩახუტებული.

— მესამე?

— ჩვენი ალალი ძმა — ჟიპიტაური. აბა, უიმისოდ რას გავდლებდით. არ შაგცივდა?

— ხომ ხედავ, ჩექმებიც არ გამიხდია?

კარვიდან გამოვტვერი. ჯერ ისევ ბნელა. ვარსკვლავები თავთავიანთ ბუდეებში მიყუჟულან. ცა მარტოა. მთის წვერებზე ბაცი თოვლი ილანდება. კარვებს შორის აქა-იქ ჯერ კიდევ ბუჟუტავს ცეცხლი. ვიღაცა მანქანის სტარტერს გამეტებით აჩხაკუნებს. წამით რომ სიჩუმე ჩამოვარდება, ქვემოდან, შატილის კოშკებიდან ფანდურის სუსტი ხმა მოაქვს ნიავს. უკანა ფარებანთებულ ვილისთან თურმანაული ირწევა. წეროსავით მაღალ ფეხებზე დგას მაღაროსკარის „ხევისბერი“ და განუყრელი ნაბდის ქუდიდან მისი ჭალარა ახლა შავხუჭად მოჩანს.

— ხომ გითხარ, ჩვენი კაცია, გამაიგყვება-მეთქი. ანდე თუ სწორი არ მითქვამს, — თურმანაული ბეჭებზე მისვამს ხელს და აღმასკომის თავმჯდომარეს ნიშნისმოგებით ემასლაათება

— არაო, სტუმარს წუ შევაწუხებთო. აგეთი სტუმარი სწორედ

ძილით შასწუხდების. ხომ მართალი ვარ? – მიმოწმებს, – ახლა მუცოს დავეცეთ. მზეს მუცოს კოშკებიდან მივესალმოთ და თითო არაყი დაგჰკრათ, როგორია?

- ვინ იცის, რა სიზმრებს აგაგლიჯეთ, – გიორგი იცინის.
- ეგ კი მართალია. დილისკენ ტკბილ სიზმრებ ჩამაივლიან,
- კვერს უკრავს თურმანაული.
- ეჱ, კარგა ხანია, ჩემო გიორგებო, ჩემს სასთუმალთან ტკბილ სიზმრებს აღარ უთოვია.

დავიძარით.

ანატორის აკლდამებს გავუარეთ და მუცოს ხეობაში შევედით. მთავარი გზიდან, ხელმარჯვნივ ქვებნათოვ ჭალაში კარგა ხანს გვაჯანჯლარა ვილისმა. ბოლოს არაგვის (ხევსურები დიდსა თუ პატარა მდინარეს ყველას „არაგვად“ უხმობენ) ნაპირას შეჩერდა, მძლოლი გადავიდა, ერთი-ორჯერ ქვა მოისროლა წყალში და მანქანაში შემობრუნდა.

- ვერ გავალთ.
- რაიდ ვერ გავალთ? – გაჭირვეულდა თურმანაული.
- მოტორს ჩაგვიქრობს, მკერდამდე მოჩქეფს, ჩავრჩებით, – მძლოლმა გიორგის შეხედა.
- რა გაეწყობა. წყალთან ყინჩიობა არ ეგების. დაატრიალე, მურყვანებში ჩამოვხდეთ.

...პრტყელ ხავსიან ლოდზე უიპიტაურით სავსე ხელადა გვიდგას. გალიგვებული, მოხარშული ხორცი, მუავე ხაჭო, გუშინდელი ხინკალი, დედას პურები, სულ ეს არის ჩვენი ავლადიდება. თხის ყანწი ხელში გადადის. არაყმა სული გაგვითბო.

ვდგავართ ოთხივენი. თურმანაულმალა ჩაიმუხლა სიპ ქვაზე ერთადერთხელ, მაგრამ სწრაფადვე წამოხტა. ცივიაო, ტიალი. რაც უფრო ნათდება, უფრო ცივა და გაღმა-გამოლმა კლდეები თითქოსდა განზე იწევენ. ხეებს ყვითელი ფერი უბრუნდება და კენწეროებს მოდებული თრთვილი ვერცხლივით ბრწყინავს. ცა ნელ-ნელა ნათდება, მაგრამ მზე ჯერ კიდევ შორს არის. სანამ პირველი სხივი ამ მთებში ჩამოალნევდეს, ყინვა ძვლებში გაგვივლის.

დავლიეთ ანატორის სიკვდილის სადგურში ცოცხლად დამარხულთა შესანდობარი, მამა-პაპათა სალოცავის სადლეგრძელო, მწყემსთა და მონადირეთა მფარველი ღვთაების სადლეგრძელო, ამ ხეობაში ჩამობრუნებული მთიელის სა-

დლეგრძელო, კელაპტრებივით ყვითლად დანთებული ხეების სადლეგრძელო, საქართველოს არგათავების სადლეგრძელო... ბოლოს იქამდეც კი მივედით, რომ მკვდრის გულს დაწვეთებული ალალი ცრემლის სადლეგრძელო დავლიეთ.

– გინდათ ცრემლზე ლექსი, – თურმანაულმა ოქროთი შელებილ მთის წვერს ახედა:

დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა,
დავბერდი, სიტყვაც დამიბერდა.
ვარ ორის ჯოხით მოარული...
აბა, გაიხედნეთ ჩემ ნავალსა,
ცრემლით არიან დასეტყვილნი.
აბა, დაჲკვლიეთ გზა-გზის პირთა, –
ცრემლით არიან დარეცხილნი!
ცეცხლი მაქვს გულზე მოდებული,
ტუსის სული ასდის ჩემს ცრემლსაცა,
დავდივარ დამწვარ-დადაგული.
ღმერთმა დასწყიოს ცრემლი ჩემი,
ღორლივით არი, ხალხო, მძიმე!
მე თავადა ვარ სატირალი,
მე თავადა ვარ დალონება,
ხმელეთზე ფეხით მოარული.

– რა დიდებულია, – ვთქვი მე, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ ლექსის ჩემეული შეფასება ყალბად აუღერდა. თუ შეგიმჩნევიათ, ფშავ-ხევსურნი ლექსის ავ-კარგზე თითქმის არ ლაპარაკობენ. ისინი ლექსებს უბრალოდ ამბობენ, ლექსით ცხოვრობენ და იშვიათზე იშვიათია განზე გადგნენ და დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა სადა და თანაც გენიალური ფრაზაა „დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა“, ან „მე თავადა ვარ დალონება, ხმელეთზე ფეხით მოარული“.

სევდიანმა ლექსმა ცოტა ხანს თავი ჩამაქინდვრინა, ჩემს თავთან, ჩემს ფიქრებთან ჩამაბრუნა და ვინ იცის, რამდენ ხანს შევრჩებოდი სევდას, მალლა, ბილიკზე ჩქამს რომ არ გამოვერკვიე.

– ეჱაი, ხევსურო, ჩამაუხვიე! – გიორგიმ ხელი დაუქნია ბილიკზე ალმა მიმავალს. მგზავრი შეჩერდა, ფინალი ბეჭიდან გადმოიღო და ზედ დაეყრდნო.

- გაგიმარჯვდასთ.
 - ჩამაიბარდი, ერთაი დაგვილიე.
 - აგეშენასთ, გმადლობთ, მთას მივდივარ, დალევა არ ეგების, – ფინალი კვლავ მხარზე შეიდო და შეტრიალდა.
 - არ გამაგივა ეგ საქმე, ლაშარის მადლმა, მიადგი ფეხი, ხევსურო, შენ გუბნებიან! – დასჭყივლა თურმანაულმა.
- მგზავრი კიდევ ერთხელ შედგა და მოიხედა.
- სულ ერთია, მანც არ გაგიშვებენ. მანდ, ზემოთ ხალხი გვყავ ჩათოფებული. შენის ნებით ჩამაპხვედ, აგრე სჯობიან, – გიორგი სიცილს ძლივს იკავებს.
- ძალად სტუმარი ბილიკს ჩამოპყავა, აბგა მოიხსნა, ფინალი ქვას მიაყუდა, მშვიდობის დილა გვისურვა და შორიახლო გაჩერდა.
- მოსხლეტილ ზვავს ჰეგავსო, ვერა და ვერ იტყვი, დაბალი, ჩია ტანის კაცია, ლამისფერი ქურთუკი და რეზინის ჩექმები აცვია. წვრილი კისერი აქვს და თითემის უნამნამო, კურდღლის თვალები. წელან ისე მჩატედ გადმოხტა ქვიდან, რომ უფრო ახალგაზრდა მეგონა. ახლა მის დანაოჭებულ ყელლანვს რომ ვაკვირდები, თუ მეტისა არა ორმოცდაათს მიტანებული მანც უნდა იყოს. კეფაზე – გაფსკვნილი, ფერგადასული, დაბამბული ქუდი ახურავს. სრულიად უმიზეზოდ ქუდს წამდაუწუმ ამოძრავებს. ხელით ხან წინ გადასწევს და მეჩერ წარბებზე ჩამოიფხატავს, ხან უკან გადაქაჩავს და გაწლეულ კეხიან ცხვირს ზემოთ, თეთრყირმიზა შუბლს სანახევროდ გამოაჩენს.
- ხევსურს რომ ეძახი, იქნება ქისტია, – სტუმრის გასაგონად უთხრა თურმანაულმა გიორგი წიკლაურს.
 - აქამდე ხევსურ ვიყავ, – წარბი შეჰყარა სტუმარმა.
 - რა გვარის ხარ? ახლოს მაინი, – გიორგიმ ყანწი გაუვსო და მიანოდა.
 - ღვთისო ზვიადაური მქვიან. გაგიმარჯვდასთ. დილის მადლი შეგენიოსთ. თუ არ გენყინებისთ, ვერ დავლევ. შორი გზაი მიძევს. სხვა დროისთ იყვოს, – მოიბოდიშა ღვთისომ, ყანწი ტუჩთან მიიდო და თურმანაულს გადააწოდა, მაგრამ „ხევისბერმა“ ხელები გაასავსავა.
 - აი, ეს კაცი მწერალია. თბილისიდან. ეწყინების, უნდა დაჰლიო.
- ზვიადაურმა შემომხედა, მაგრამ აშკარად შეეტყო, რომ ჩემი მწერლობა მანცდამაინც ვერ დაიჯერა და კიდევ გაიბრძოლა.
- ღმერთმა ყველას ხელ მოუმართას. ჩემს საქმეს დალევა არ ეწყობის. შორი გზაი მელის.
 - დალიე, ნუ ინაზები პატარძალივითა, დედას უიპიტაურია, არ გაწყენს, – ლამის უბრძანა წიკლაურმა.
- ხევსურმა სამივეს ცალ-ცალკე მოგვაპყრო მუდარით სავსე თვალები, მაგრამ ჩვენი მხრივ ვერავითარი თანაგრძნობა რომ ვერ ჰპოვა, ხელი ჩაიქნია და თხის ყანწი სულმოუთქმელად გადაჰკრა.
- გიორგის გაეცინა.
- რაირა გეცინების? – მიუბრუნდა ზვიადაური.
 - გემრიელად კი გადაჰკარ, არაყთან ხამად არ იქნები.
 - საქმეჩი არ გამოდგების. ლალატი იცის, თორემ სხვაფრივ კაი არს. დარდის მტერია.
 - სად მიჰმეგელამდი ასე ჩქარ-ჩქარა? – თურმანაულმა ჰკითხა.
 - ღვთისომ შუბლზე ხელი მიიჩრდილა და მაღლა აიხედა.
 - გაჰქედე, დათვიჯვარს შავი ღრუბელი ადგას, საწვიმრად ელირების.
 - მერე იწვიმოს, შენ რა გაწუხებს.
 - ახალგათიბულს თუ დააწვიმა, ჩაახურებს და ჩაალპობს, გასაშლელად ვეშურები.
 - სად გიძევთ ნათიბი? – ჩავერიე.
- დასავლეთით, შატილსწამოყუდებული თოვლიანი მთისკენ მიმითითა.
- ა ემ მთის ძირშია. შორ ნუ გეგონებათ. ოთხი საათის გზა არც კი არი.
 - აგაშენა ღმერთმა.
 - ახლა ყველაფერსა ვჰკვირობთ. აი, მაშინ გენახათ, იმ ჭიუხებს ზემოთ, იალალებს რომ ხნავდნენ ხევსურნი.
 - სადა კაცო? – ფერდობს დაბლა ვათვალიერებ.
 - მაღლა-მაღლა, თოვლის ზოლთან, დღესაც ეტყობა ნაპოხი.
 - იქ ან ხარები როგორ აჰყავდათ, ან რასა თესდნენ, რა მოდიოდა?
 - ქერი.
- დავლიეთ იმ ხევსურის სადლეგრძელო, ამ ფრიალო კლდეს რომ ჩაჰბლაუჭებოდა ათასი წელი და ბოლოს „შეტყუვილით

ჩამააბარეს“, მერე დავლიეთ ჩვენი სატკივარის მორჩენის სა-დღეგრძელო...

მზემ რომ ნათელი დაგვაფინა მხრებზე, აღარც კი გვიგრძნია. რომ იტყვიან, კარგა ლაზათიანად გამომტყვრალები გახლდით.

ვმღერით, ვხარხარებთ ხან მიზეზით, ხან უმიზეზოდ, ერთ-მანეთს ვებლოტიალებით, ერთი-ორჯერ წავუცეკვეთ კიდეც. ღვთისო ჩუმადაა. ფინალს დაყრდნობია და მიწას ჩაჰურებს, ცდილობს, სიმთვრალე არ შეიმჩნიოს.

- რამდენი შვილ გყავს, ზვიადაურო? – გიორგი ჩასძახის.
- ექვსი.
- ყოჩალ, ხევსურო. ვაჟუაცი შენ ჰყოფილხარ. სად სახლობ?
- მუცოს პირდაპირ, ხევში.
- მარტო სახლობაა?
- მარტო.
- უმეზობლოდ, კაცო? – ვეკითხები.
- აქამდის უმეზობლოდ ვიყვნით. გაზაფხულს ერთი ოჯახი აპირობს დაბრუნებას.

- საიდან?
- მანდეთ, თბილისთან ჩვენი სოფელია, გამარჯვებაი ჰქვიან, ხევსურნი სცხოვრობენ.
- ღვთისო! – თურმანაულმა ჭინჭრაქა ხევსურს ხელი ჩა-მოადო მხრებზე, – რა ჰქვიათ ბალებს?
- რაიდა რა ჰქვია? – ბალები.
- სახელებს გეკითხები, ჩამათვალე.

ღვთისომ ფინალს ხელი შეუნაცვლა, თვალებში შემომხედა და დაიწყო.

– თამარაი, დავითაი, ჯაბაი, ეთერაი, საბაი... საბაი... ეთე-რაი, ჯაბაი ვთქვი, დათვია... თამარაი, ჯაბაი, საბაი ვთქვი...
– თვალი მომარიდა და თავიდან დაიწყო – თამარაი, დათვია, ეთერაი, ჯაბაი...

- თურმანაული და წიკლაური სიცილით იფხრინებიან.
- ბალების სახელ აღარ გახსოვს!
 - ქაღალდზე ჩამასწერე და გულზე დაიკიდე!
 - ფილაობას გადასთვლიდე, არ დაგავიწყდების!
 - ძაფი შეიბი რაღაცაზე!
 - ცოლს ჰკითხე, არ დაგიმალავს!

რაც უფრო დალალობენ თავზე მთვრალები, მით უფრო იბ-ნევა ღვთისო.

– რაირა გაცინებთ? ყველაფერაიც კარგად მახსოვს. განა მაცლით ჩამოთვლასა.

- არა უშავს, ხდება, – დაგამშვიდე.
- უარესიმც ხდების, – ღვთისოს გული მიეცა და გამხია-რულდა, – რაკიღა ეშმაკურ გუნებაზე ჰხართ, ერთ სათრევ-ელა ამბოვსა მეც მაგიყვებით. პაპაჩემ უთურგაი ერქვა, ლებ-აის კარში სახლობდა. კაი ყმის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ახლაც მხვდებიან პაპის მცნობი. ახლაიც თითო ჭიქა არაყს მამაწვდიან უთურგაის ანგარიშზედა.

– რატომ უთურგაის ანგარიშზედა? – თურმანაულს გიორგის მხარზე ხელი ჩამოცურდა და კინალამ ცხვირი ჩამოჰკრა ბეჭზე.

– პაპაის სახელით, პაპაის მადლით მპატიუებენ, თორო მე ვის დავეკარგე, ვის რაჩი ვარგივარ. პაპისტოლანი ცერად მიც-ქერენ, „გონჯ ღვთისოს“ მეტყვიან, ზოგჯერ, სიყვარულითა.

- დიდი სიყვარულითა? – წიკლაური იცინის.
- უთურგას ცხრა შვილი ჰყავდის. ახლა არცერთ აღა-რა ცოცხალი. ყველანი იქათ, გაღმა სოფელჩი დაბინავდნენ. ჰოდა, იმას გეუბნებოსდით, მამაჩემ – ნაბოლარაი ერთი წლისა ჰყოლიყო პაპასა, გაუნათლავი. გაუნათლავ ბალლს ხევსურნი სახელს არას ეძახდნენ.

– სწორია, უბრალოდ „ბატარად“ ან „ბალლად“ უხმობენ. – თურმანაული ჩაერია.

- უთხარ, დამაცადოს, – გიორგის შეხედა ღვთისომ.
- დააცადე, თორო დაავიწყდების, – სიცილისაგან ყბებში თაგვები აუთამაშდნენ წიკლაურს.

– მამაჩემი ბატარაი, ერთი წლისაი, ცხენჯორზე შამაესვა უთურგასა და შატილს ჩამაყვანა გასანათლავადა. დედაი ვერ თან გამაჰყოლოდა, აქ ბოდიში, ფეხმძიმედ ჰყოფილიყო. ჩა-მაეყვანა შატილში, გაუნათლავს მღვდელსა, თავის დავთარ-შიც სახელი ჩაუნერავს, წმინდა ზეთი წაუსომს მამაჩემისთვის (ერთას წლის ბალლი) ცხვირზედა და გამოუსტუმრებია ლებ-აისკენ. აბა, უთურგას მასპინძელს რა დაუჰლევდა. ძმადნა-ფიცი თავის კოშკთან დაჰლოდებია. უიპიტაურის წვიმით თა-ვიდან ფეხამდინ უსველებია. დილა-ბინდბუნდში მოსდგომია სახლსა პაპაი. გამაჰგებებია დიაცი – რა დაარქვაო ღვდელმა

ბატარას? უთურგა არას ამბობს, მძიმედ დააბოტებს. ცხენს ლაგამ-უნაგირი აჰყარა, ტყაპუჭ-ქალამანი ვაიხადა, კერას მიუჯდა, საგონებელჩია, ჸა, რა დაარქეითო ბალლსა, ბეჩავო? არ ეშვება დიაცი. რა ჰქნას უთურგამ, ამ ლოთობა-კვარჯლალში თავისი ბალლის სახელი დაჰვიწყებია, რას ჩამაცივდი, დედაკაცო! – წამაუყვირნია, – რას დავარქმევდით, „ჯულურაი“ უნდა ღვდელმა ამ შენს ჭინჭრაქასაო. ეჭვს ვინ გაუბედავდის პაპასა, ან ღვდლის დავთარს ვინ ჩაპხედავდის, დარჩა და დარჩა ჯულურაი სახელად მამაჩემსა, დარჩა და ამ სახელითაც წავიდა სულეთშია.

ამას რომ ჰყვებოდა, ღვთისოს ხელებს ვაკვირდებოდი. გრძელ მკლავებს ისე შეთანხმებულად და ერთნაირად იქნევდა, გეგონებოდათ თიბავსო. ისე ხმამალლა ლაპარაკობდა, თითქოს წყალგაღმელთ უნდა გააგონოსო. გაუხეშებულ, ბელტითება, ძვლებლია ხელებს ფერდებზე წამდაუნუმ ისვამდა. სიცილი გვაცალა, მერე სწრაფად დასერიოზულდა, ყანწი გაავსო და მაღლა ასწია.

– ერთ სადლეგრძელოს ვიტყვი, თუ ნებას დამრთავთ.

გავსწორდით ისე, როგორც ჩვენს დღეში მყოფთ შეეძლოთ გასწორება და სმენად ვიქეცით...

– მოდით, დიაცის სადლეგრძელო იყოს. ბარელთ ნუ გეწყინებისთ, დიაცის ფასი მთაჩი უკეთ იციან, არ დამცინოთ კია, ბარად შვიდი წელი მოვათიე. ბარისა ცოტა რამ გამეგება. იქნების, სისულელეს ვრიოდე, სხვის ომში ბრძენობას ვიჩემებდე; მე რაც დამემართა, იმას ვამბობ. თხუთმეტი წლის წინათ ჩაგვლალეს ბარად. აუგს ვინ იტყვის, ეგ არის დავისვენეთ-მეთქი, ამ კლდეებზე ბლოტიალს გადავურჩით-მეთქი. შვილებს გაფიცებთ, არ დამცინათ. სამ წელინად კარგად ვიყავით, მერმე უცნაურ დღეში ჩავვარდი – დიაცს გადავეჩვიე. ლამის თავი მავიკალ. არად მინდარის ჩემი ცოლი. რაი დამემართის, არც რაი ვიცი. ისეთი საქმეა, სხვასაც ვერას ჰქითხავ, დაგცინებენ. ჩავუკვირდი ჩემს ბეჩავობას. იქნების, სახად რამე შამეყარა. არცრაი – კურატივით ჯამრთელ ვარ. აბა რა სიკვდილ დამემართების. საჭმელ-სასმელ რიგიანი, სითბოლოგინი შვენიერი, ტელევიზორი და საქმე ცოტა. მეტი რაი უნდა კაცსა. არა და არ მიმდის გული, გადავეჩვიე დიაცსა. მაშინ ორი ბალლი მჰყავდა, ახლა ექვსი მყავ. აქედამ ვუკვირდ-

ები, ჩემთვის რაღაცებ ახლა ამიხსნია, არ კი გამცინოთ, ვა-ჟუბას გაფიცებთ. თბილ სახლჩი ტელევიზორ ვუყურებდით მე და ჩემი დიაცი. სითბო ვაჟუაცის მტერია. ძილი მერევა. ყასიდად მაინც ვეუბნები ცოლსა, წამოდი-მეთქი, დიაცო, დავიძინოთ. ცოტაც დამაცადე, კინოს ვნახამო, მე აღარ მინდა კინო, იმას უნდა. მთავრდება გადაცემა, მე კარგა ხანია მძინავს, დიაცი თავის საწოლში ეხვევა. რა სიცივე შეაწუხებს. დილით თვალდაბერილნი ვიღვიძებთ ორივენი. ვარსკვლავსაც თავისი გზა აქვს, ყველანი გავრბივართ ჩვენს მოგონილ საქმეებზე. საღამოს ისევ ტელევიზორთან ვიკრიბებით და ესეც შენი კვირა. დიაცს გადავეჩვიე. დიაცი მადლია. დიაცი ღვთის უკეთესი ფიქრია. დიაცი სიცოცხლეა. ამაველ მთაში, ნაბოლარა ბიჭი შარმან შამებინა, გავცოცხლდი კაცი, იცით რა არი დიაცი? საქონელ რომ დააპინავებ, ცივ ღამეს რომ შაუდგები და ლოგინს გაგითბობს. გულს გაგითბობს. მერე, თუ ნამეტან დალლილ-დაკრეფილი არა ხარ, ცეცხლადაც შამოგენთება. დიაცი გულთან უნდა გყავდეს. სხვა ოთახს, ტელევიზორთან მჯდარი დიაცი ქრება, ნელდება, ცივდება. დიაცს გაუმარჯოს ჩვენს სულში, ჩვენითა. ჩვენი ნეკნია, ჩვენი გვერდია, ჩვენით არის. უჩვენოდ დიაცი არ დიაცობს, ტვირთს სახედარიც კარგად აიკიდებს. დიაცი სიყვარულია, სიყვარულს გაუმარჯოს!

ერთი დაკვრით ჩაიცალა ყანწი ხახაში და თურმანაულს გადაულოცა.

მერე ერთი დაბარბაცდა, მამერია ტიალი ჟიპიტაურიო, თქვა, ხელანევით დაგვემშვიდობა, ფინალი და ზურგჩანთა ამოილლიავა და წამოიყვირ-წამოისიმლერა:

ცოცხალთ რა გვიჭირს, მზესაა ვხედავთ.

დალამდება და გათეენდება!

ბრალიააა, ვისაც დაუუულამდა,

ვიისთვისაც აღარ გათენდება.

მთას ახედა, ათიოდე ნაბიჯზე აუყვა აღმართს, შედგა, ხელი ჩაიქნია, გამობრუნდა და შინისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.



გიცვარდეთ მთერნი თძვენი?

წმინდა კვირიკეს ეკლესია შუა ქალაქში, რიონის მარცხენა ნაპირას, ოთხ ერთხაირად გაბარჯლულ ცაცხვს შორის დგას. თიხისფერი ფიქალითაა ნაშენი, მაგრამ კედლებზე ხავსი მოსდებია და შორიდან მწვანედ მოჩანს. უანგისგან შექმული, თაღლვანი კარის თავზე რუზი ფირფიტა იუწყება, რომ ეკლესია მეთერთმეტე საუკუნეში გახლავთ აშენებული უცნობი ხუროთმოძღვრის მიერ და სახელმწიფო იცავს. მკითხველებიდან იქნება ყველამ არც კი იცის, რომ კვირიკეს ეკლესის გუმბათი თექვსმეტკუთხოვანი, ანუ თექვსმეტსარკმლოვანია. იქნებ არც ის იცოდეს პატივცემულმა მკითხველმა, რომ ადრეულ შუასაუკუნეთა ქრისტიანული ტაძრებისთვის თორმეტსარკმლოვანი გუმბათია დამახასიათებელი. რა მოსაზრებით გამოიჩინა კვირიკეს ეკლესის გენიალური ამგებელი ამ ცხრაასი წლის წინ თავის არანაკლებ ნიჭიერ ძმაოსტატთაგან („კოლეგის“ ნაცვლად, იქნებ, ეს სიტყვა დავამკვიდროთ)? ამ კითხვაზე, პასუხი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძნელი ხდება.

ეკლესის დაფერდებულ ეზოს ჩრდილოეთის მხარეს ძელყორე შემორჩენია. რიონისკენ ღობე რად უნდა, ქალაქის მხარეს კი მდინარის მიერ გამორიყული მორებით შემოურავთ და ნაგვერდულებისგან შექედილი ჭიშკარიც ჩაუდგამთ, მაგრამ კვირიკეს მოქმედ ტაძარში იმ ჭიშკრიდან აღარავინ შედის. ჭიშკარს დაუანგული ბოქლომი ჰქიდია. ეს ბოქლომი, მემგონი, აღდგომა დღესაც არ იღება, რადგან მორწმუნენი და ნახევრად მორწმუნენი უჭიშკროდაც იოლას გადიან. ეკლესი-დან გამომავალი ბილიკი ჭიშკრის გვერდით, ორ ბოძსშუა გა-დის და მტვრიან ქუჩას უერთდება.

ცაცხვებს შორის საყდრისკენ მიმავალი საშუალო ტანის, მაღალწეროსანი, თმაგარდატევებული, ბეჭებში მოხრილი, ხელდაჭდეული მხატვარი უშანგი კირთაძე რომ გამოჩნდა, აჩალულ სიმინდზე თავისი კაპიკიანი საქმით გართულმა წოიო ჩიტმა, ყოველ შემთხვევისათვის, მომორებით, მესერზე გა-

დაინაცვლა, თუმცა მხატვარს მისკენ არც კი გაუხედავს. ოსტატი კარგა ხანს გაუზნძრევლად ასცქეროდა კვირიკეს ეკლესის თექვსმეტსარკმლოვან გუმბათს, მერე დაიხარა, ნაპოსტნარზე უზრუნველად ამოსულ ჭლაკვს თავი წააწყვიტა, გალეჭა, გადააფურთხა, გამწვანებული ენა-ტუჩი ცხვირსახოცით შეინმინდა და ლვთის სახლში შეაბიჯა.

ეკლესიაში საკმევლის სუნი იდგა. სპილენძის ცხრათავა შანდალზე ერთადერთი სანთელილა ციალებდა. იქვე, შანდალთან, სანთლებითა და ხურდა ფულით დაზუზლულ მაგიდაზე, მოხუც მონაზონს ჩამოსძინებოდა. საკურთხეველთან, ტაბურეტის სკამზე, მამაო კალისტრატე მოკალათებულიყო. მარცხენა ხელში მუჭის სარკე ეჭირა, მარჯვენაში, საჩეჩელის მსგავსი, გიგანტური ხის სავარცხელი და გამეტებით ივარცხნიდა წვერს.

კირთაძის შემოსვლა მღვდელმა, რასაკვირველია, შეამჩნია. სალამზე უსიტყვოდ დაუქნია თავი და კიდევ უფრო გულმოდგინედ განაგრძო წვერის ვარცხნა. მამაო კალისტრატე იცოდა, რომ ეს ხატისთვალება უცნობი ახლა წმინდა სავარძლის საზურგეს ჩამოეყრდნობოდა და ფრესკების ცქერაში დააღამებდა. ამიტომაც იგი, ვითარცა მორწმუნე, ღმრთის მოციქულისთვის, დიდ ინტერესს არ წარმოადგენდა; მხურვალე ლოცვას არ აღავლენდა, ცოდვათა მიტევებას არ ითხოვდა და არც აღსარების თქმის სურვილი ჰკლავდა. უშანგი მეოთხედ მოდიოდა ამ კვირაში და კვირიკეს ეკლესის კედლის მხატვრობას ყოველთვის ისე დაძაბული ათვალიერებდა, თითქოს პირველად ხედავსო.

სანახავი და გასაშტერებელი კვირიკეს ეკლესიაში ცოტა რამ იყო. ეკლესიების წარყვნის მასობრივ მოძრაობას ვერც ეს ეკლესია გადარჩენოდა. რევოლუციის გამარჯვებისთანავე სოფლის აქტივისტებს გუმბათიდან ჯვარი ჩამოეგლიჯათ და სადღაც წაედოთ, საეკლესიო წიგნები და ხელნაწერები განუკითხავად დაეწვათ, ფრესკები სამუნელით ჩამოეფხიკათ და ოთხივე კედელი, სანამდეც ხელი მოუწევდათ, კირით შეეთეთრებინათ. მთლიანად შემორჩენილი იყო თაღზე ქრისტეს მოზაიკა, ხოლო ფრესკებიდან აღმოსავლეთის კედელზე – „განკითხვის დღის“

ფრაგმენტები, საკურთხევლის პირდაპირ „გარდამოხსნის“ რამ-დენიმე დეტალი და ჩრდილოეთის კედელთან – „წმინდა ეს-ტატეს სასწაული“. ოლონდ ეს იყო, წმინდა ესტატეს სახე აღარ უჩანდა. დაზიანებული ფრესკა მარჯვენა მხრის გასწვრივ, ტერ-ფიდან საფეთქლამდე, კირით გახლდათ შეთითხნილი.

კირთაძემ დღეს ჩვეულებას უდალატა. მწუხრის ზარი რომ მიწყნარდა, მამაო კალისტრატეს მიუახლოვდა, ხელზე ეამბორა, წელში გაიმართა, საკურთხეველს დააჩერდა ყრუდ, ისე რომ მხოლოდ ღვთის მსახურს გაეგონა, თქვა:

– მხატვარი ვარ მე.

თითქოს ფარცაგი რამ ჩაესმაო, მამაო კალისტრატემ ვარცხნა შეწყვიტა, წამოდგა. სარკე-საჩეჩელი სკამზე დააწყო და თავისი მოღლილი, ცისფერი თვალები სტუმარს გაუსწორა.

თქმით, არაფერი უთქვაშა.

– ეს ეკლესია მინდა მოვხატო, თუ თქვენი ნებაც იქნება.

მხატვარი ახლა საკურთხევლის თავზე „გარდამოხსნის“ ჯიუტად გადარჩენილ ნაწილს შეჰყურებდა.

მამაო კალისტრატე კარგა ხანს დუმდა, მერე დაამთქნარა, ლია პირზე ხელისგული სამჯერ მიირტყა და მოსულს გვარი ჰკითხა.

– კირთაძე ვარ, მამაო, უშანგი მქვია.

– სად ცხოვრობ?

– შორს არ ვარ აქედან, მწვანეყვავილაზე, იქვე, ასახვევში.

– გლახა ხვარაფერი შეგემთხვა, უშანგი, ნუ დამიმალავ, ამის მადლს გაფიცებ, – მღვდელმა მორწმუნეთა ხელებზე მისვენებულ, წვერდაფხეკილ ქრისტეს მიაშვირა ხელი.

– რა შემატევე ცუდი, მამაო. ამ ეკლესის მოხატვა მინდა-თქვა, თუ თქვენი ნებაც იქნება, მეტი არაფერი.

– კი მაგრამ, რანაირად... – მამა გიცხონდა, ეგ კარგი იყოს, მარა, რაფერ გამოვა ახლანდელი მხატვრის დახატული. შენ მორწმუნე ხარ?

კირთაძემ თავი დაუქნია.

მღვდელი საგონებელში ჩავარდა. რაც ინკასატორობას თავი გაანება და მღვდლად ეკურთხა (ბარე თცდაათმა წელმა ჩაიარა მას შემდეგ), ასეთი შემთხვევა არ ჰქონია. ამ ქალაქში მხატვრე-

ბი ბლომად იყვნენ და მამაო კალისტრატეც ბევრ მათგანს იცნობდა. რას აღარ ხატავდნენ ფერთა მუზის ახლანდელი მსახურნი, მაგრამ ფრესკების შექმნის სურვილი არც ერთ მათგანს არ გამოუთქვამს. მამაო კალისტრატეც არ დაფიქრებულა ამ საკითხზე. მიაჩნდა, რომ ეკლესის კედლები უამთასკივრიდან ამოსულ მხატვარს უნდა დაეხატა და რადგანაც გადასულთა მობრუნებაში თვითონაც ეჭვი ეპარებოდა, ერთხელ და სამუდამოდ მიჩვეოდა იმ აზრს, რომ კვირიკეს ეკლესის კედლები სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, არამკითხე შემრყვნელ-შემთე-თრებელთა ჯირითით დაღდასმული.

იფიქრა, იფიქრა მამაო კალისტრატემ და ამაზე უკეთეს პასუხს ვერ მიაგნო:

– წადი, დაწყნარდი, დაფიქრდი, და მაინც თუ არ დაიშლი, ზევით მოგინევს წასვლა.

– სად ზევით? – კირთაძემ დაახლოებით იცოდა, რასაც ეკითხებოდნენ.

– მე პატარა კაცი ვარ. ამ საკითხს მარტო ვერ გადავწყვეტ. საპატრიარქოში მამაო ლონგინოზი განაგებს ამ საქმეს. თუ ის დაითანხმე, მერე მთავრობაში მოგინევს წასვლა. მთავრობა თქვენ ხართ და მე მგონია, გზაი არ შეეგეშლება.

მხატვარი მადლობით დაემშვიდობა და ჭიშკამდე არც კი იყო მისული, რომ მისი გვარი მოესმა:

– კირთაძე!

ეკლესის კარში მდგარი მამაო კალისტრატე ხელს უქნევდა. მხატვარი მობრუნდა და მიეახლა.

– კი მარა შენ... შეძლებ, რომ რამე იყოს?

– მე მართლა მხატვარი ვარ, მამაო. დაჩემებული კი არ მაქვს ეს საქმე, – გაულიმა კირთაძემ.

– მაინც... ყოველ შემთხვევაში... ეშმაქს არ სძინავს და ჯერ სადმე პატარა გაუქმებული საყდარი რომ მოგეძებნა და ის მოგეხატა?

– შენ ფიქრი ნუ გაქვს, მამაო. არ შევრცხვები.

– მე ვინ მკითხავს მარა... მაინც, რაც არ უნდა იყოს, ამას თავისი მხატვარი უნდა, მერე ჩვენ მოქმედი ეკლესია ვართ. საგლახაოდ გვცალია ჩვეენ?

ღვთის მარჯვენა ხელს აშკარად ეტყობოდა შიშის კვალი.

- ვიცი ყველაფერი, მამაო კალისტრატე.
- აბა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

მამაო კალისტრატე კიდევ კარგა ხანს იდგა კარში და მიმავალს გაჰყურებდა, ღრმად დაიმედებული იმით, რომ მხატვარს ან თვით გაუვლიდა უცნაური სურვილი, ან საერო საეკლესიო იერარქიის რომელიმე საფეხურზე უარს ეტყოდნენ და ამით დაესმებოდა წერტილი მის ახირებას.

მეორე დღეს, საკათედრო ტაძარში, მამაო ლონგინოზის სენაკთან, მცირე მოსაცდელ-მღვიმეში, ორ ღრმადმორწმუნე შაოსან დედაკაცს შორის ქვის შეზღონგზე ჩამომჯდარი კირთაძე ეკლესიების ტექნიკურ საქმეთა უზენაეს რწმუნებულს ელოდებოდა.

მართალია, ახალგაზრდა, შავწვეროსანმა ბერ-მდივანმა რამდენჯერმე გამოთქმით განაცხადა – მამაო ლონგინოზს ამაოდ ელოდებით, აგურის ფაბრიკაშია წასული და დღეს, შეიძლება, ვეღარც დაბრუნდესო, მაგრამ ჯიუტ მთხოვნელებს სენაკიდან ფეხი არ მოუცვლიათ და სწორედაც მოიქცნენ. ოთხიოდე საათის არცთუ მომქანცველი ლოდინის შემდეგ სამივენი ორმოციოდე წლის ელამი ვიცე-ეპისკოპოსის წინ ისხდნენ და ყურადღებით უსმენდნენ განამებულ მამას.

– ვთქვათ, ყველაფერი ეს სისულელეა და არც ღმერთი გწამს და არც ხატი. ანაფორიანი კაცი მოვედი, შე ღმერთგამწყრალო, ქვისკენ პირი მიქნია, ხუთი ათას ცალ აგურს გთხოვ, ჩემთვის ხომ არ მინდა, ეს დასაწვავი. შენი არაა ეს ეკლესიაც? მარტო ჩემი სირცხვილია, პეტრიონონის მცირე მონასტერს პერანგი რომ ერღვევა და გუმბათიდან წყალი ჩამოდის? კი, მართალია, საბინაო ფონდის გეგმას ვერ ვასრულებთ, მარა ათასი წლის ეკლესია მოიცდის? რაც ახლაა გასამაგრებელი და ორი კაპიკი დაგვიჯდება, დანგრევის მერე იმას მილიონი არ ყოფნის. გაგიგონია? ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. სხვა გზა არ მქონდა, შანტაზზე წავედი. ჩვენი წყევლის გეშინოდეს, მე ვუთხარი, ჩვენ ღმერთი გვისმენს და ჩვენგან შერისხული არ გეიხარებს ამ ქვეყანაზე-თქვა. წავალ ახლა, მოვუყრი თავს მღვდელმთავრებს და შეგაჩვენებთ საშვილიშვილოდ, მე ვუთხ-

არი. გაჭრა, ხომ იცი შენ, ამ ფანდმა, შეშინდა და მაშინვე გამომიწერა აგური. მერე არაფერი, სალაპარაკოდაც არ ღირს, საწყობის გამგეს თავისი მივეცი, მეამწე-დამდებს – თავისი. შოთერმა, დიდ პატივს გცემ, მამაო, მარა ექვს თუმან ნაკლებ ვერ წაგიღებ აგურს, იმ ექვსი თუმნიდან ეს იმას, ეს იმას და ოცი მანეთიც აღარ მრჩება მეო. რას ვიზამდი, ამოვიტრიალე ანაფორის ჯიბები და მივეცი ყველას თავ-თავისი.

– რომელ საუკუნეშია აშენებული მცირე პეტრიონი? – იკითხა კირთაძემ.

– რა მნიშვნელობა აქვს, მეთვრამეტეში.

– რატომ ვკითხულობ იცით? ნეტავი იმ დროს როგორ იყო, რა გზახერხებით შოულობდნენ მასალას?

– მაშინ ერი აშენებდა.

– ერი? – მთლად კარგად ვერ ჩაწვდა პასუხს მხატვარი.

– ერთი სიტყვით, ყველა დაინტერესებული იყო, ყველა ხელს უწყობდა. ერს უნდოდა. ახლაც არ აკლია პატრონი საშენ მასალას, მაგრამ ვინ რანაირად, რა ფორმით გითხრას უარი, იმაზეა გამეცადინებული.

კარგა ხანს ისაუბრეს, ბოლოს, როგორც იქნა, მოიოხა გული მამაო ლონგინოზმა და სტუმრებს მობრძანების მიზეზი ჰკითხა.

შაოსანმა დიაცებმა მიეთმოეთების გარეშე, რიგრიგობით უამბეს წმინდა მამას თავიანთი მღელვარე, მაგრამ უიღბლო საერო ცხოვრების ამბავი. ბოლოს ცრემლები შეიმშრალეს და სლუკუნით აცნობეს, რომ სურთ დარჩენილი წლები ქრისტეს სამსახურს შეალიონ და სურვილი აქვთ ეკლესიაში იმუშაონ მაინცდამაინც სანთლებისა და სხვა საგნების (მათ შორის წაკურთხი წყლის) გამცემ-გამყიდველებად. უარის მიღება არც კი გაკვირვებიათ, ერთად წამოდგნენ, შავი თავსაფრები ყბებზე ამოიმაგრეს და გამოუმშვიდობებლად გავიდნენ.

კირთაძის ჯერი დადგა.

მხატვარმა მწვანე საქალალდე გახსნა, მასპინძელს შვიდ ფერში შესრულებული ესკიზები გაუფინა მაგიდაზე და განუცხადა: – თქვენი აზრი მაინტერესებს, სხვისი არაო. მამაო ლონგინოზმა კარგა ხანს ათვალიერა, ხან სინათლისკენ შეა-

ბრუნა, ხან გამართულ ხელებში დაიჭირა და თვალმიწკურვით დახედა, მაგრამ ესკიზებს წუნი ვერ მოუძებნა. სიმართლე გითხრათ, არც უცდია ჩაკირკიტება. მამაოზე მაგიურად იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ მხატვარს მხოლოდ მისი აზრი აინტერესებდა.

– ბრწყინვალეა, – დაასკვნა ვიცე-ეპისკოპოსმა.

– რაკი მოგეწონათ, უნდა გაუწყოთ, რომ მე, მხატვარ უშანგი კირთაძეს მსურს წმინდა კვირიკეს ეკლესია გავაფორმო, ასე და ამდაგვარად, – მხატვარმა იგრძნო, რომ ცოტა არ იყოს მაღალფარდოვანი ფრაზა წამოსცდა და არც სიტყვა „გავაფორმო“ იჯდა მთლად თავის ადგილას.

მამაო ლონგინოზმა სათვალეები მოისნა, ლუპა მოიმარჯვა, ახლა უფრო გულდასმით დააცქერდა ნახატებს. გზადაგზა ავტორს რამდენიმე მარტივი შეკითხვა მისცა და ყველა შეკითხვაზე პასუხი რომ მიიღო, ლუპა ხავერდის ბუდეში შეინახა. სათვალეები გაიკეთა და არაორქოფულად თქვა:

– სამაგალითო რამეა, მარა რაი მერე.

– რაზე ბრძანებთ? – შეცბა მხატვარი.

– მართალია, ჩვენ ვარ დამკვეთი და გადამხდელი, მარა ჩვენ ვინ გვკითხავს რამეს.

– ვერ გავიგე? – ფერი დაკარგა კირთაძემ.

– ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ამას ახლა კომისია უნდა, მერე კანტორის დასტური, მერე ხელშეკრულება, „სმეტას“ რომ ეძახიან, იმის შედგენა, მერე გეგმაში ჩასმა და რა ვიცი. სახლაფორთო საქმეა. ისედაც არ გირჩევ, განვალდები. რამე უფრო ადვილი რომ წამოიწყო?

– რა მაგალითად? – ხმა წაერთვა კირთაძეს.

– რა ვიცი, მე რა უნდა გასანვლო. რამე რკინის ან ბეტონის მედუზა რომ დადგა ქუჩის ბოლოში სადმე, რატომ ბოლოში, დასაწყისშიც შეიძლება. ამბობენ, ბევრ ფულს იძლევიანო.

– მაგ საქმეს სხვები აკეთებენ, მამაო. მე კვირიკეს ეკლესიის მოხატვის სურვილი მაქვს.

– კი, ბატონო, მოხატე, მაგრამ ვინ მოგახატვინებს.

– თქვენ ხომ მოგეწონათ ეს ესკიზები?

– უეჭველად.

– მომიწერეთ აბა, რომ მოგეწონათ, მეტი არაფერი მინდა.

– ა ჭირიმე, მაგას დაგამადლი? – მამაო ლონგინოზმა ცხრავე ესკიზს მეორე მხარეს დააწერა, რომ საწინააღმდეგო არაფერი აქვს და თავისი ხელმოწერისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად სამკუთხედი ბეჭედიც დაარტყა.

– თქვენი დასტური იყო ჩემთვის მთავარი, – ჩაიღიმა კმაყოფილმა კირთაძემ, – ანი მე ვიცი.

სანამ მხატვარი ესკიზებს ალაგებდა, ვიცე-ეპისკოპოსმა მოასწრო ეთქვა მისთვის, რომ ერთ დროს თვითონაც ცდიდა ყალამს და თუ ოსტატს საწინააღმდეგო არაფერი ექნა,

– წმინდა აპარეკას ქუსლიდან ეკლის ამოღების სცენას თვით მამაო ლონგინოზი დახატავს. მეორე და მთავარი სათხოვარიც მაქვსო, დაიმორცხვა მამაო ლონგინოზმა, გარდასულ წმინდა მამათა ჩვეულებისამებრ, იქნებ, ჩემი პორტრეტისთვისაც მოგეძებნათ სადმე, კუთხეში ადგილი წმინდა კვირიკეს ეკლესიის კედლებზეო. კირთაძის ყოყმანი დასტურად მიიჩნია და მართლმადიდებლური სამყაროს წინაშე თავისი დამსახურებანი ჩამოყაფა. ბოლოს მხატვარს თავიც კი შეაცოდა; ხომ ხედავთ, რა პირობებში ვიღვწით, კედელზე ლურსმნის მისაჭედებლადაც კი ვერ მომიცლია, რომ პირსახოცი ჩამოვკიდო ზედო.

მამა ლონგინოზის სავანიდან კირთაძე პირდაპირ კანტორისკენ გაეშურა. განა არ იცოდა, რომ იქ მისვლა ჯერ ნაადრევი იყო, ჯერ სამთა კომისიას უნდა დაემტკიცებინა კვირიკეს ეკლესიის ესკიზები. მაინც შევივლი, ვნახავ ერთი, რა ხდება კანტორაშიო. იქნებ გამგე შევიპირო, ესკიზების მოწონების შემთხვევაში, ჰონორარის ოცი პროცენტი მაინც გადამირიცხონო.

კანტორის გამგედ, იმხანად, მყოფილი მებიგე, ნადეპუტატარი გელანტია მუშაობდა. თუ გამგეს მხატვრობისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, სამაგიეროდ (რატომ დავუკარგო) ნერვები ჰქონდა მაგარი და იქნებ ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ მეორე გრძელი წელიწადი თავდებოდა, რაც ამ ძნელ სკამზე იჯდა. ჩვეულებრივად სხვები კანტორის გამგეობას რვა თვეზე მეტხანს ვერ უძლებდნენ.

გელანტიას კაბინეტის კარი ღია იყო და იქედან, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ნერვიული ხმები მოისმოდა. კანტორის გამგის წინ მხატვარი მიქელთაძე იჯდა. სხვა მხატვრები ღია კარში და დერეფნის გასწვრივ იდგნენ. მდუმარედ დასცექოდნენ იატაკს და ორთაბრძოლას გულგრილად (ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა) უსმენდნენ.

— მიქელთაძე უკვე გითხარით, რომ ამ წლის ფონდი ამონურულია — მკაფიოდ, სხვების გასაგონადაც ამბობდა გელანტია.

— მე ბევრს არ გთხოვთ, ხუთი პროცენტი მაინც არ მეკუთვნის? — თავისას არ იშლიდა მიქელთაძე.

— მიქელთაძე, უკვე გითხარით, რომ ამ წლის ფონდიდან ხუთი პროცენტი კი არა, ერთი კაპიკიც აღარ დაგვრჩა, ამონურულია. გესმის შენ, რა არის ამონურვა?

— ვინ ამონურა? — აშკარად ჩანდა, რომ მიქელთაძეს გამგის პასუხი არ აკმაყოფილებდა.

— მიქელთაძე, უკვე გითხარით, რომ ამ წლის ფონდი მთლიანად წაიღო მსოფლიოს ყველა პრემიის ღაურეატმა — დავით ცერაძემ.

— რაში მიეცით ცერაძეს ამდენი ფული?

— მიქელთაძე, უკვე გითხარით, რომ ღაურეატმა ცერაძემ დაძმობილებული დაბების უკვდავყოფის მემორიალი შექმნა. არ მითხრა ახლა, არ მინახავს.

— კი მარა, ერთ კაცს მიეცით მთელი წლის ფული? ჩვენ არ ვჭამოთ არაფერი, სხვა მხატვრებმა? — სასონარკვეთილება გაისმა მიქელთაძის ხმაში.

— მიქელთაძე, უკვე გითხარით, რომ მე არავის არაფერს ვაძლევ, ვინც გამოუყო ცერაძეს ფული, შენ კარგად იცი, — სმას ოდნავ აუნია კანტორის გამგემ, მაგრამ ისე კი არა, რომ გარეთ მდგარი მხატვრებისათვის სიტუაციის შეცვლის იმედი ჩაესახა გულში. გელანტია იმით იყო ცნობილი, რომ კეტი რომ ერტყათ თავში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს წონასწორობას არ დაკარგავდა.

უშანგი კარს მოშოდდა, უკანსვლით გამოაბიჯა ვესტიბიულში, მერე ერთბაშად შემობრუნდა და ჩქარი ნაბიჯით ჩაუყვა კიბეებს. გარდა იმისა, რომ კირთაძეს მწუხარე სცენები არ

უყვარდა, მან სრულიად სამართლიანად გადაწყვიტა: ამ თვეში მაინც გელანტიას კანტორასთან ურთიერთობის გარკვევა ფუჭი საქმეაო.

ოცდაშვიდ სექტემბერს კომისიას ესკიზები დაუტოვა, ოცდაშვიდ ოქტომბერს პასუხისათვის უხმეს. კომისიის სამი წევრიდან ორი წვეროსანი კირთაძის გამოჩენისთანავე უხმოდ გაიძურნა ოთახიდან. ფრესკის ოსტატი ჯანლიქეს შეატოვეს. მე ვინ მცითხავს სხვის საქმეში ჩარევას, მაგრამ ჯანლიქე გონებაბრჯგუ კაცი გახლდათ. კირთაძე მაშინვე მიხვდა, დაბრული ჯანლიქე კარგ დღეს არ დაყრიდა, მაგრამ მოთმინებით აღიჭურვა და გიმნაზისტივით გაეჭიმა კომისიის მუდმივ წევრს.

— რომ გითხრა, გენუინება, — ესკიზებს მი და მო გასცექოდა ჯანლიქე და ქერაფცუა ულვაშს იკვნეტდა, — არ გითხრა, როგორ არ გითხრა, კარგი მინდა შენთვის.

— ბრძანეთ, ბატონო, — მშვიდად მიუგო მხატვარმა.

— რა ამბავია ამდენი ჯლიბიანი მყეფარივით დაოსებული და მოწყენილი ფიგურა. ადამიანისფერი არ ადევს არც ერთს.

— ეს ფრესკებია, ბატონო.

— მერე რაი?

— გაცინებული ფრესკა გინახავთ სადმე?

— სამაგიეროდ, არც ასე ჭიამკვდარი ფრესკები მინახავს. ფრესკებს არ ხატავდა მიქელანჯელოც? აბა, თუ აკლია ფერხორცი რომელიმე ფიგურას.

— მე ასე ვხედავ, ბატონო.

— ამაშია საქმე. რომ გითხრა, გენუინება, არადა, არ უხდება საქმეს. ეს ყველაფერი ეკლესის კედლებზე უნდა დაიხატოს. ჩემზე უკეთ გესმის, რომ საორდინაციო საქმე არაა. ეს რომ მისაშაბათებელი იყოს, ვინ მამაძალლი. კვირიკეს ეკლესია შეიძლება, მეტჯერ აღარც კი მოიხატოს. ახლა ამას შეხედე, მოიწი აქეთ, — ჯანლიქემ ესკიზი ცხვირთან მიუტანა, — რა ამბავია ეს შავი ღრუბელი. სადაა ამდენი ღრუბელი პალესტინის ცაზე? რომელი ნალექებით მდიდარი ქვეყანა ეგა მყავს. ნახავს ამ ნახატს ვიღაც და სხვანაირად გაიგებს. ღრუბელი მინდა ახლა მეე? ისიც შავი ღრუბელი?

კირთაძეს არაფერი უთქვამს. ერთ მსხვილ გრაგნილად შეახვია ესკიზები, იღლიაში ამოიჩარა და კარი გამოიხურა.

ეკლესის მოხატვის სურვილი მაინც ვერ ამოიღო გულიდან.

ორიოდე თვის შემდეგ არქიელის გორის გადაღმა, სა-თაფლის ტყის ბოლოს, ხევში, მართლაც იპოვა დანგრეული, ლვთისგან და კაცისგან მიტოვებული საყდარი. ბათქაში ალაგ-ალაგ გაამაგრა, ჩამოქცეული სახურავი შეაკეთა, მაზუთის ქა-ლალდით (შინაურულად „ტოლს“ ეძახიან) გადახურა და ხატვას შეუდგა.

მუშაობდა მთელი გატაცებით, ცისკრიდან დაბინდებამდე. ზოგჯერ წყლის დალევაც ავინწყდებოდა. როცა ძალიან დაიღ-ლებოდა, საყდრის ეზოში, ბალაზე წამოწვებოდა და ცას შეს-ცეკროდა.

მეშვიდე დღეს მოაკითხეს. ორნი იყვნენ. ვინაობ-სადაურობა არ უთქვამთ, არც კირთაძეს უკითხავს.

ჯერ ხელშეერულების ასლი მოსთხოვეს, მერე ხარჯთალ-რიცხვა, მერე კომისიის აქტი, ბოლოს კანტორის თანხმობა. მხატვარი უარის ნიშნად თავს აქნევდა და მწარედ იღიმებოდა.

— კაცმა რომ შეგხედოს, ჭკუას გყითხავს, შენ კი ამხელა ბოროტებას სჩადიხარ და კიდევ იღიმები. ვინ მოგცა უფლება ისტორიული ძეგლის ხელყოფისო. ამ საყდარს სახელმწიფო რომ იცავს, თუ იცი შენო. აკრიბე ახლავე შენი ბარგი-ბარხანა, წამოგვყევი და პასუხი გვიგეო.

ორივენი აღშფოთებულნი ჩანდნენ.

...ნითელ ხიდთან ბილიკს სამნი ჩამოჰყვნენ. ერთ მათგანს ჯვალოს ჩოხა ეცვა, წელზე თოკი შეება და მარჯვენა ხელში ფუთა ეჭირა. წელში მოხრილი, თმაგარდატევებული, პირმო-კუმული, მდუმარედ მიაბიჯებდა.



ალე

კავკასიონის მთებში მიკარგული პატარა სოფელი ღილო, რომელსაც თავზე ქვარჩის მყინვარი დაჰყურებს, მიწერალური წყლებით მაინცდამაინც არ ბრნყინავს (თუმცა, როგორც ყვე-ლა კურორტზე, აქაც არის პირველი, მეორე, მესამე და მეო-თხე ნომერი წყაროები და, დამატებით, სილამაზის წყაროც), მაგრამ დიდ ქალაქთან ახლოს არის და ზაფხულობით ბევრი სტუმარი ჰყავს. ღილოში ერთი გაუბედურებული სასტუმროა და სამი კიდევ უფრო კეთილმოუწყობელი პანსიონატი. სას-ტუმროში მოწყობა (ნეტავ თუ არსებობდა ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა თამარ მეფის დროს?) მხოლოდ და მხოლოდ ადგი-ლების წინასწარ დაჯავშნით ხდება. ჯავშანისთვის რაიონის ხელმძღვანელობაში მხოლოდ და მხოლოდ ორ კაცს უნდა მიმ-ართოთ, ხოლო უფრო ზევით – ვისთანაც ხელი მიგინვდებათ.

ღამის ათი საათის სიახლოვეს, ბავშვებსა და სიდედრებს რომ მიაძინებენ, სპორტულ პიუამაში გამოწყობილი მამაკაცე-ბი ძირს ეშვებიან და ზურგზე ხელებდაწყობილნი, სერიოზული სახეებით დააბიჯებენ სასტუმროს პატარა ეზოში. რასაკვირვე-ლია, არავინ უშლით ეზოდან გასვლას და ქუჩაში გასეირნებას, მაგრამ ღილოს ცენტრალურ გზატკეცილზე მანქანები დაქრი-ან და ტალახში ფეხის ჩაკვრის დიდი შესაძლებლობაც არსე-ბობს. ამ არცთუ უბრალო მიზეზთა გამო დამსვენებლები, თუ რამე აუცილებელი საქმე არ ექნათ, სასტუმროს ეზო-ყურეს არ შორდებიან.

— თუ ასე გაგრძელდა, დაიღუპება კაცობრიობა, — ამბობს შუახანსგადაცილებული დიდთავა კაცი, შარვალს მალლა იწ-ევს და, თითქოს სრულიად უმტკივნეულო ფრაზა დაეგდოს, განზე იყურება. მან მმვენივრად იცის, ეტყობა, ფეხსბურთზე და ქალებზე გაცხოველებული საუბრიდან მამაკაცთა სხვა თე-მაზე გადართვის მეთოდები.

— რაზე ამბობ? — თითქმის ერთდროულად ეკითხება მას ოთხი მსჯელობისმოყვარული დამსვენებელი.

კაცობრიობის დაღუპვის მაცნეს ლეონტი ჰქვია. განათლე-ბით ინუინერი გახლავთ და მმაჩის ბიუროში მუშაობს მორიგე

ფოტოგრაფად. შეიძლება არც კი იყოს საჭირო ლეონტის მოკრძალებული პროფესიის გამხელა, მაგრამ ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ლეონტის სპეციალური ფილოსოფიური განათლება არ მიუღია და არც თანამედროვე ულტრასოციოლოგთა გამოკვლევების ცოდნით უსკდება თავი. მაგრამ რაც იცის, სულ თვითგანვითარებით შეუძინია და ნებისმიერ კა-მათში ჩარევა კი მისი სტიქია გახლავთ.

ლეონტი ფიჭვის ძირას, სკამერკაზე ჩამოჯდა და კაცობრი-ობის ბედით შეძრნუნებულ მოქალაქეებს თავისკენ მოუხმო. დამსვენებლებს სახეზე ეტყობოდათ, რომ ლეონტისგან ბა-ჯალლო ჭეშმარიტების გაგების იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ მოსაწყენ საწოლამდე ერთ საათს მაინც მოჰკლავდნენ და ესეც საქმე იყო.

— როგორ გონიათ თქვენ, რატომ დავდივართ ყოველ სალ-ამოს ასე წინ და უკან დაბარებულებივით, — დაიწყო ლეონ-ტიმ და ცოტა ხანს შეჩერდა. ეტყობა, მოსალოდნელ ეფექტს მიაყურადა, — რატომ დავდივართ, იცით? ვნერვიულობთ. ჩვენ კი არ ვისვენებთ ახლა, დამსვენებლებს ვთამაშობთ. ან გარდასულ დამსვენებლებს ვბაძავთ. სხვა იყო ლერმონტოვის დროს: ჩამოვიდოდა ესენტუკში პეტერბურგელი მოქალაქე და ისვენებდა. ივიწყებდა ვალებს, სამსახურს, მსოფლიო იდეე-ბზე ფიქრს. მას ეს შეეძლო. ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენი ტვი-ნის ყველა უჯრედი ახლა საქმითაა დაკავებული. თქვით, აბა, ლოთიანად, რომელი თქვენგანია ახლა მოსვენებული. თავისუ-ფალი იმისაგან, რასაც ჩვენი ყოველდღიური ფუსფუსი ჰქვია? რა ხდება ახლა იქ, სამსახურში? ამ კითხვებითაა დამუხტყული ჩვენი გონება. არ არის ასე? დილის ხუთ საათზე გამეღვიძება და ჭერს შევცექრი ღია თვალებით. თითებზე ვანგარიშობ, რო-დის გავა ეს უპატრონო თვრამეტი დღე. თქვენც ასე ხართ ჩემ-სავით. ასე რომ არ იყოთ, ჩვენ ერთმანეთს არ მოვძებნიდით. ასე არ არის? ამ დაძაბულობას, ამ დაჭიმულ ნერვებს თუ რამე არ მოვუხერხეთ, დაიღუპება კაცობრიობა. მეცნიერები ამტ-კიცებენ, ადამიანის ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციები მო-ნაცვლებით მუშაობენ.

— რაიო? — იკითხა ხრინნიანმა ხმამ.

— ტვინში ერთი ნაწილი უჯრედებისა რომ მუშაობს, ორ მესამედს ძინავს და ასე ხდება ენერგიის აღდგენაო. არა მგო-ნია ეს მართალი იყოს. შეიძლება გასული საუკუნეების ადა-

მიანის ორგანიზმში ხდებოდა ასეთი რამ, მაგრამ ახლა სხვა აგებულების ადამიანი მოვიდა. არც ერთი წამით არ ისვენებს ჩვენი სასიცოცხლო ფუნქციები, ის, რასაც ჩვენ ძილს ვეძა-ხით, სულ ესაა დასვენება...

ვინ იცის, ეს ღრმადმეცნიერული კამათი რა სახეს მიიღებ-და, რომ ვიღაცას სასტუმროს შენობისკენ არ გაეხედა და იდუმალი ჩურჩულით არ ეთქვა:

— ალე მოდის.

ითქვა თუ არა ეს სიტყვები, ხუთივე მამაკაცი ზენამოიჭრა და ალალისგან დაფეთებული წინილებივით სხვადასხვა მხარეს დაიფანტა.

ვინ იყო ეს ალე ასეთი, რომ მისი გამოჩენა საკმარისი აღ-მოჩნდა კაცობრიობის მომავლისთვის ამ მეტად სასარგებლო კამათის ჩასაშლელად?

ალე ცეცხლადე ურიგო კაცი როდი გახლავთ. ქუთაისის ოცდამეშვიდე სახელოსნო სასწავლებელში სამნეო ნაწილის გამგედ მუშაობს. საშუალო ტანის, ბეჭებში მოხრილი, გამხ-დარი კაცია, ადგილმრენველობაში შეკერილი უპატენტო ჯინსი აცვია და მოკლესახელობიანი ნაქსოვი პერანგი. მეათე დღეა, რაც ღილოში ჩამოვიდა. განსაკუთრებულს და გადასარევს არაფერს სჩადის. მოვა დამსვენებელთა ჯგუფთან, კაი გამარ-ჯობა თქვენიო, იტყვის. ჩუმად, უსიტყვოდ უსმენს კამათს. არ ერევა, არავის აწუხებს თავისი ზოგადი განათლებით. ოლონდ ეგ არის, როცა მსჯელობით დალლილი მამაკაცები დასაშლე-ლად წამოდგებიან, ალე სიტყვას იღებს და დარცხვენით ამ-ბობს: „გაფიცებთ გულით საყვარელს. არ მითხრათ ახლა ვარი. ასე მშრალად ჩვენი დაშორება არ გამოვა. „მანავი“ მაქვს კაი ჩამოსხმა, სამი ბოთლი. კაი მანჭკვალა სოკო შემხვდა დღეს იაფად. შევიდეთ აგერ ჩემთან და ყელი გავისველოთ“.

ჰირველ სალამოს ათიოდე კაცი შეიკრიბა ალე ცეცხლა-დის ნომერში. მეორე დღეს შვიდზე მეტი ვერ მოაგროვა. შემ-დეგ დღეებში კატასტროფულად იკლო ყელის გასველების მსურველთა რიცხვმა. არ არის მსმელი თავისი ბუნებით ქა-რთველი კაცი, მით უმეტეს აქ, ღილოში ჩამოსული. ჩვენებური ხომ მანამ არ წავა დასასვენებლად, სანამ ღვიძლი არ შეა-წუხებს, ან გული არ მოუკაუნებს საეჭვოდ. ჰოდა, არ უნდათ დალევა „წესიერ ცხოვრებას“ დანატრულ კაცებს. კეთოვანი-ვით გაურბიან ალეს. ზოგი თავის ტკივილს მოიმიზეზებს, ზოგი

ბავშვის ავადმყოფობას. გამოჩენდება თუ არა ორმოცდაათს მიტანებული, გაუხეხავჯინსიანი კაცი, დამსვენებლები უკმაყოფილოდ იშმუშნებიან და მდუღარეგადასხმულივით გარბიან სხვადასხვა მხარეს. ალე კეთილი კაცია. იმედს არ კარგავს. ამ ხალხის პატივისცემა რომ არ სურდეს, ვინ აძალებს, წავიდეს დილით ბაზარში, იყიდოს სოკო ან ლორი, ჩაცივოს „მანავი“ და ხმის ჩახლეჩამდე სდიოს ჭიქის მომჭახუნებლებს.

ალემ ნაძვებისკენ აღმა წასულ ლეონტის გზა გადაუჭრა.

– ლეონტი!

– ვერა, ჩემო ალე. არ მცალია, შენს თავს ვფიცავარ. ახლა მანქანით უნდა მომაკითხონ. სერიოზულ საქმეზე მივდივარ.

სამნეო ნაზილის გამგე მიხვდა, რომ ლეონტისთან საუბრის გაგრძელება კარგს არაფერს უქადა და სასტუმროსკენ ჩექარი ნაბიჯით მიმავალ მძიმენონიან მამაკაცს გამოუდგა.

– კირილე!

– ბატონი, – კირილე შეჩერდა.

– ათი წუთით შევიდეთ, გულით საყვარელს გაფიცებ, თითო ჭიქა მარტო. კაი ჩაციებული „მანავი“ მაქვს და რაჭული ლორი – ზამთარში გამოყვანილი.

– ავად ვარ, ალე, თვარა ამდენი ლაპარაკი მინდა მე? შენთან ჭუკუჭუკა რა მირჩევნია-ა, დამადე შუბლზე ხელი, – სიცრუე მეტი რაღა იქნება, რაც ახლა კირილემ იკადრა.

– რავა გეკადრება, მჯერა, კირილე ბატონი, ისე, გამოგაკეთებდა ერთი ჭიქა „მანავი“.

– ვიცი მე ჩემი უბედური ორგანიზმის ამბავი, – ჩაილაპარაკა კირილემ და სასტუმროს ლია კარში ტუცა თავი.

– ბესო! – აივანზე გადმომდგარ დამსვენებელს დაეღრიჯა იმედგადანურული ალე ცეცხლაძე.

– გისმენ, ჩემო ალე!

– ერთი ჭიქა, მარტო ერთი, კარგ ხასიათზე დაგაყენებს.

– წამლებს ვსვამ, ალე ბატონი, სამ თვეს წვეთს ვერ ჩავიკარებ პირში.

– წვეთი და მიქსტურა არ მოშორდა შენს დამაწყევარს, – ცრემლი გაერია ხმაში ალეს, – რა დაგაძინებთ, კაცო, ასე მშრალი ყელით და ფხიზელი ტვინით ამ დამეში. ნეტავი თქვენს ხასიათს, – ჩაილაპარაკა ალემ, გატრიალდა და ფიჭვის ძირას დამსვენებლების მიერ სახელდახელოდ შეჭედილ სკამეიკაზე მარტოდმარტო დაჯდა.

კარგა ხანს იჯდა მწარე ჭიქრებს მიცემული.

ლმერთმა მაინც არ გასწირა. არ გაუვლია ერთ საათს სასტუმროს კარში დაბალი, უკისრო, მაგრამ ლამაზად ჩასხმული კაცი გამოჩენდა და პირდაპირ ალესკენ წამოვიდა. „ახალი ჩანს. უცნობია. ეტყობა დღეს ჩამოვიდა. პირდაპირ არ ვაჯახებ. ჯერ საერთოდ გავესაუბრები, თორემ ესეც გამექცევა სხვებივით. აქეთური-იქეთური და შევიტყუებ ჩემს ნომერში. ისეთი ტანის კაცი ჩანს, რომ არა მგონია ერთ ჭიქაზე უარი მტკიცოს“, – გაიფიქრა ალემ და რევერანსებით სავსე საუბრისთვის მომზადა, მაგრამ, საბედნიეროდ, დიპლომატიის რკინის კანონები არ დაჭირვებია. უცნობი წინ დაუდგა და უცერემონიოდ დაიწყო:

– გამარჯობა, ჩემო ბატონო, ლევან შაფათაძე ვარ მე. ტყიბულიდან. შახტაში ვმუშაობ. დარბაისელი კაცი ჩანხარ და მიტომ მოვედი შენთან. ერთი საათის ჩამოსული ვარ. კაციმვილს არ ვიცნობ აქანა. თუ არ მიკრავ სუფრას წიხლს და გამისნორებ ხასიათს, შენთვის მოვკვდები. კაი ძველშავი მაქვს ჩამოტანილი და ყვითელ სიმინდზე გაზრდილი დედალი. მრგვალად მოხარული. შევიდეთ და, ჩვენი გაცნობის, თითო წელში გამოყვანილი ჭიქა დავლიოთ.

– კი, ბატონო. უარს რავა გკადრებ ახალგაზრდა კაცს მაგნაირ საქმეზე, – წამოდგა ალე და ლევანს ხელი გაუწოდა, თან გულში დააყოლა: „შენ აგაშეხა ღმერთმა, ა, კაცი“.

ორიოდე წუთში ისინი მხიარული მასლაათით ადიოდნენ კიბეზე.

იმ სალამოს შემდეგ ალე ცეცხლაძე სასტუმროს „ინტელექტუალურ“ დამსვენებელთაგან არავის გამოკიდებია ჭიქის მიჭახუნების მომაბეზრებელი თხოვნით.

მსჯელობას მოყვარული კვლავ ძველებურად მსჯელობენ.

ალე ცეცხლაძე და ლევან შაფათაძე კი ყოველ სალამოს ერთად სხედან, ხან ალეს უფანჯრო ნომერში, ხან ლევანის ნახევრადლუქსის აივანზე. ნათელი ხვალინდელი დღის გათენებას უსურვებენ მეშვიდე ჭიქით ერთმანეთს და დამშვიდობებისას ისე ღონივრად ართმევენ ხელს, თითქოს ხვალ, ახალ შეღამებულზე ისევ არ შეიყრებოდნენ საჭუკუჭუკოდ, სამუსაიფოდ.

ლმერთმა ხელი მოუმართოთ!

კომედია

მერაბ გურგულია ბუნებით მორცხვი ყმანვილი გახლდათ და „სასწრაფო დახმარების“ ჭიშკარს რომ გაცდა, ერთბაშად შიშმაც შეიპყრო. „აქ ხალხი საქმეზე მიდი-მოდის, რანაირად გავაგებინო ამ პატიოსან ჯამაათს, რომ მეც სერიოზულ საქმეზე ვარ. რა ჯანდაბაში ჩავდგი ფეხი, რა კინო ამიტყდაო“, – გაიფიქრა და დომინოს მოტკაცუნე პირველივე ჯგუფისკენ ათრეული ნაბიჯით გაემართა.

მიამიტ მკითხველს ორიოდე ფრაზით ვაუწყებ საქმის ვითარებას: დამწყებმა პროზაიკოსმა მერაბ გურგულიამ კინოსცენარი დაწერა. ეს გახლდათ კინოკომედია სასწრაფო დახმარების ერთ მხიარულ ეკაბაჟზე. მერაბს ხელშეკრულება გაუფორმეს და სთხოვეს, თუ არ შეწუხდებოდა, ორშაბათს სასცენარო კოლეგიის სხდომაზე მოსულიყო. დამდგმელ რეჟისორს, კინოსტუდიის დირექტორს და სასცენარო კოლეგიის თავმჯდომარეს სცენარი ძალიან მოეწონათ და მერაბი ორშაბათს კოლეგიის სხდომაზე რომ არ გამოცხადებულიყო, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, სცენარი ახლა უკვე წარმოებაში იქნებოდა, მაგრამ მერაბი წესიერი ყმანვილი გახლდათ და კოლეგიის სხდომაზე დროზე გამოცხადდა. რაკი სცენარისტი თავისი ფეხით მოვიდა, კოლეგიის წევრებმა საჭიროდ ჩათვალეს არა მარტო შენიშვნები გამოეთქვათ, დაესაბუთებინათ კიდეც და კატეგორიულად მოეთხოვათ თავიანთი შენიშვნების მიხედვით სცენარის საფუძვლიანად გადაკეთება. მერაბმა მეორე შეცდომა დაუშვა, მას შეეძლო სცენარი წამოეღო, ერთი თვის შემდეგ უცვლელად მიეტანა და ეთქვა – თქვენი შენიშვნების მიხედვით გადავამუშავეო, მაგრამ, ვინაიდან წესიერი ყმანვილი გახლდათ – ყველა შენიშვნა (საქმიანიც და უსაქმოც) გულმოდგინედ ჩაინიშნა უბის წიგნაკში და სხდომა რომ დამთავრდა, სასონარკვეთილის სახე მიიღო. ამჯერადაც სასცენარო კოლეგიის თავმჯდომარეს შეეცოდა: – „წადით სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში, გაიარ-გამოიარეთ. იქ განსაკუთრებით გულისხმ-

იერი ექიმები მუშაობენ, სთხოვეთ რაიმე საინტერესო გიამბონ თავიანთი პრაქტიკიდან. რაც მოგეწონებათ, დაიმახსოვრეთ და ასე, ცხოვრებისეული ეპიზოდებით გაამდიდრეთ თქვენი სცენარიო“. მერაბს ეს რჩევაც ჭკუაში დაუჯდა და აი, მას ახლა თავისი თეთრი ჯინსით, მოკლესახელობიანი შავი (თეთრლილება) კვართით და განუყრელი სათვალით სასწრაფო დახმარების ეზოში ვხედავთ, დომინოს თამაშით გართულ თეთრხალათიანთა ჯგუფისკენ მიმავალს.

დინოზავრი რომ წამოადგეთ დომინოს მოთამაშებს თავზე, გამოცდილია, რომ არც მაშინ შეწყვეტენ თამაშს და მერაბ გურგულიას ვინ შეამჩნევდა. ერთხანს იდგა და უცქეროდა, მერე ჩახველებით ამცნო მედომინე პერსონალს თავისი მოსვლა. არც ამ ღონისძიებამ გაჭრა. ბოლოს მერაბმა ადგილზე ხტომა და ხელების ტყაპუნი დაიწყო, მაგრამ მით უფრო შეუმჩნეველი დარჩა. ამ ხტრიქონების ავტორის ვარაუდით, მერაბს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაქცევდნენ ყურადღებას, თუ ჯიქურ მივიდოდა და სერიოზული სახით დომინოს მოთამაშეთა თვლას დაიწყებდა.

შორიახლო სასწრაფო დახმარების მანქანა რომ გაჩერდა, მერაბი მაშინვე იქეთ გაეშურა. გზაშივე გადაწყვიტა, რომ მისთვის საინტერესო ამბების მოყოლა ტექნიკურ პერსონალზე უკეთ ექიმს შეეძლო, ამიტომაც მანქანიდან გამოსულთ მეყსეულად შეაგება.

– თქვენ შორის ექიმი რომელია?

– სოკრატ ხურცილავა გისმენთ, – მოწყენით უბასუხა საშუალოზე მაღალი ტანის, სიმპათიურმა მამაკაცმა, რომელსაც მკვეთრად გამოხატული კახური აქცენტი რომ არ ჰქონოდა, მერაბი უსათუოდ მიამსგავსებდა პრეზიდენტ ჯონ კენედის მრავალრიცხვანი ძმებიდან ერთ-ერთს – რომელიმეს.

მერაბი თითებს იმტვრევდა, არ იცოდა როგორ დაეწყო.

– ბატონი სოკრატ, მე კინოსტუდიიდან გახლავართ, ფილმს ვიღებთ თქვენს მუშაობაზე.

ექიმს სახე გაებადრა, ხალათის ღილებს მიწვდა, წელში გაიმართა და კინოს კაცს ხელკავი გამოსდო.

– დიდი მადლობა... მე... იმისი არ იყოს, რა გამიკეთებია... მოულოდნელია ჩემთვის ასეთი პატივი.

— ვერ ვთქვი სწორად, — სათვალე გაიმშრალა მერაბმა, — თქვენზე კი არა პირადად, სასწრაფო დახმარების მუშაობაზე საერთოდ.

— ეგ სხვა საკითხია, — ცოტა არ იყოს წყენა შეერია ხმაში სოკრატს, — მე, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— იქნებ მოიგონოთ რაიმე სასაცილო შემთხვევა თქვენი პრაქტიკიდან?

— როგორი?

— სასაცილო რაიმე, კურიოზული.

— რატომ მაინცდამაინც სასაცილო? — ექიმს ქვედა ტუჩი აუკანკალდა და ცხვირის ნესტორები დაეცვარა.

— იცით რა, პატივცემულო სოკრატ. ჩვენ კინოკომედიას ვიღებთ, სასაცილო სიუჟეტები გვჭირდება.

სოკრატი შეჩერდა. თავიდან ფეხებამდე აათვალიერა ახალ-გაზრდა სცენარისტი და საკმაოდ მკაცრად ჰკითხა:

— ჩემთან ვინ გამოგვზავნათ?

— არავინ, მე თვითონ.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე ვერაფერში გამოგადგებით. ორმოცი წელია ამ სასწრაფოში ვმუშაობ და ისეთი, თქვენ რომ გდომებიათ, არაფერი შემინიშნავს. ჩვენ გვირეკავენ, გავრბივართ, ხანდახან მეათე სართულზე ულიფტოდ გვიწევს ასვლა. შევდივართ გულგაგლეჯილები ავადმყოფთან და, თუ მთლად განწირული არა ჰყავს გამჩენს, სიცოცხლეს ვუბრუნებთ. ამ საქმეში მე სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

სოკრატი უცერემონიოდ შეტრიალდა და სასწრაფო დახმარების მანქანისკენ წავიდა.

მერაბი სახტად დარჩა. დამწყებმა სცენარისტმა ვერ გაიგო, რა აწყენინა სიმპათიურ ექიმს — სოკრატ ხურცილავას. ყოველ შემთხვევაში, ტაქტიკას გამოვცვლი, ჯიქურ არ მივადგები და კინოსტუდიას არ ვუხსენებ პირველადო. ჯერ ჩვეულებრივად გამოველაპარაკები და მერე მოვაყოლებ ჩემი მოსვლის მიზანს. ასეც მოიქცა. ტროტუარს დაადგა და სასწრაფო დახმარების კაბინეტების ღია ფანჯრებში ჭვრეტა დაიწყო. სხვის ფანჯრაში ცქერა დიდად საძრახის საქმედ არ მოჩვენებია, რადგანაც მაგიდაზე დახრილი და თავთავიანთ ფიქრებში ღრმად ჩაძირული ექიმები ახალგაზრდა სცენარისტს ვერ ამჩნევდა.

ნენ და თუ დაკვირვების ობიექტი მერაბის ორ დახველებაზეც არ ასწევდა თავს, სტუმარი რწმუნდებოდა, რომ მას ლრმად ეძინა და ფანჯარას შორდებოდა. როგორც იქნა, იპოვა, ვისაც ეძებდა; ერთ ფანჯარაში ფხიზელი ექიმი დალანდა. უფრო მეტიც, ხელში სატკაცუნო ეჭირა და ბუზებს სიცოცხლეს უმნარებდა. ექიმი მელოტი გახლდათ, უსათვალო, არწივისცხვირა. ნაოჭებზე ეტყობოდა, რომ იმ ასაკისა გახლდათ, როცა მამაკაცები კანონიერ ცოლს ტოვებენ და საყვარლებს მიჰყებიან გაქცეული სიყმანვილის დროებით დასაბრუნებლად.

ექიმმა მერაბის შემოსვლა მაშინვე შენიშნა, მაგრამ ბუზებზე ნადირობის აზარტულ საქმეს ვერ შეელია.

— გისმენთ, — მოუხედავად ესროლა შემოსულს და ნათურისკენ გაფრენილ, დღეს თუ ხვალ სატკაცუნოს ფარქვეშ სამარცხვინო სიკვდილისთვის განწირულ ბუზს თვალი გააყოლა.

— გამარჯობათ, — მერაბი კარში იდგა.

— გაგიმარჯოთ, გისმენთ.

— მორიგე ბრძანდებით? — რაღაც ხომ უნდა ეკითხა მერაბს.

— დიახ, გისმენთ.

თავგადაპარსულ ექიმს ხრინნიანი, დაწყვეტილი ხმა ჰქონდა.

მერაბს შეკითხვა ერთბაშად შემოელია. ამინდზე რომ ჩამოვუგდო ლაპარაკი, ვაითუ სალახანად მიმიჩნიოს და კარისკენ მიმითითოს, ამიტომაც პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— თქვენს ყოველდღიურ მუშაობაში სასაცილო თუ არის რაიმე... ვთქვათ... გასახსენებელი... სხვას რომ უამბობ და კარგ ხსაიათზე დააყენებს.

ექიმმა სატკაცუნო დადო და შემოსულს მიაშტერდა. იმ ორმოციათას შვიდას ოცდახუთი შეკითხვიდან, რაც მისთვის ცხოვრებაში დაუსვამთ საერთოდ, მსგავსი არ ყოფილა.

— სასაცილოს მეტი რა არის, დაბრძანდით, — საქმიანად თქვა მასპინძელმა.

მერაბმა შვებით ამოისუნთქა და დაჯდა.

— თქვენ საიდან ბრძანდებით? — მერაბს ცუდად ენიშნა ექიმის გადასვლა შეკითხვებზე.

— კინოსტუდიდან ვარ. თქვენს პრაქტიკაში რაიმე კურიოზული შემთხვევა თუ შეგხვედრიათ, — სცენარისტმა უბის წიგნაკი ამოილო და სმენად იქცა.

ექიმი წამოხტა, კარს ეცა და შიგნიდან გადაკეტა. ფანჯარა მიხურა, ფარდა გაასწორა, იდუმალი სახით დაუბრუნდა მაგიდას და მერაპ გურგულის თითქმის ჩურჩულით აუწყა:

– სასაცილო და კურიოზულის მეტი რა შემხვედრია. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე წაწყდები კაცი, თქვენ რომ ეძებთ, ისეთ ფაქტს.

– რაიმე სასაცილო, არაჩვეულებრივი, არალოგიკური.

– მესმის, მესმის, მივწვდი. სწორედ რომ სასაცილო და არაჩვეულებრივი ყელამდეა ჩვენთან. დღეში საშუალოდ ოცდაექვსი-ოცდაშვიდი შემთხვევა მაინც არის.

მერაბს სახე გაებადრა და საწერ-კალამი ამოილო.

– თუ შეიძლება მიამდეთ რომელიმე.

ექიმმა ფანჯრისკენ გაიხედა, მერე ჭერს ააცივდა, დაახლოებით ასამდე დათვლის დროში ჩამოსწია თავი და დამწყებ სცენარისტს უაზრო თვალები მიაპყრო.

– შენ გვინია მახსოვეს?

მერაბმა ამ პასუხით საინტერესო მოგონებების საღამო დამთავრებულად ჩათვალა, უბის წიგნაკი ჯინსის ჯიბეში ჩაიდო და გულისხმიერ მასპინძელს არც კი გამომშვიდობებია, ისე გამოიხურა მისი კაბინეტის კარი.

დაახლოებით ასე, ცხრა წუთის შემდეგ, იგი მანქანიდან ქაქანით გადმომხტარ კოჭლ ექიმს ფეხდაფეხს მოსდევდა. მერაბს უკვირდა, არც კოჭლობა და არც სიბერე ამ კაცს ხელს ოდნავადაც არ უშლიდა, რომ მანძილი სასწრაფო მანქანიდან თავის სამორიგეო კაბინეტამდე სარეკორდო დროში დაეფარა. სცენარისტმა გზა თვალით გაზომა, ექიმი კარამდე თუ მიასწრებდა, ვინ იცის, საით გაუჩინარდებოდა, ამიტომაც, რაც შეეძლო, გაუსწორდა და ქამანდით სტყორცნა პირველივე შეკითხვა.

– მომიყევით რამე.

ექიმმა წამით მოიხედა და ისევ გაიქცა.

– ამბავი! – ხმას მოუმატა მერაბმა. მანძილი კარამდე სახითაოდ მცირდებოდა.

– რა ამბავი? – ექიმს ნაბიჯი არ შეუნელებია.

– სასაცილო.

– რომელზე? – ექიმი უღვთოდ გარბოდა. – თქვენზე.

– რისთვის გინდა? – კარი სულ ახლოს ჩანდა.

– კინოსთვის! – ლამის იყვირა მერაბმა.

და სასწაული მოხდა, ექიმი შეჩერდა, დოინჯი გაიკეთა, დამწყები სცენარისტი თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩათვალიერა და ყრუ ხმით ჰკითხა:

– რამდენი წლის ხართ?

– ოცდახუთის, – დაბეჯითებით უპასუხა მერაბმა.

– რამდენით ვიქნები შენზე უფროსი? – ექიმმა ჩაჩი მოიხადა. იგი გაცილებით უფრო ბებერი გახლდათ, ვიდრე სირბილის დროს ჩანდა. ნაყვავილარი სახე, აქა-იქ ამოსული თეთრი წვერი, თამბაქოსგან შეყვითლებული თხელი, ქარაფცუა ულვაშები, დალლილი, უპეებში ღრმად მიმჯდარი მუქლურჯი თვალები.

– ვერ გეტყვით. – გულწრფელი იყო მერაბი.

– ჩემო ბიძია. რად გინდა ეგ ამბავი. შენ აქ ახალი ხარ, გეტყობა. იმათ ყვები, იმ უსაქმურებს? – ექიმმა დომინოს მოთამაშებისკენ ხელი გაიშვირა.

– არა ბატონო, მე კინოსტუდიდან ვარ, – ცრემლი გაერია ხმაში მერაბს.

– მაინც შენსას ამბობ? არ გირჩევ, ჩემო ბიძია, მასეთ ლაპარაკს. არ ვარგა. ოჯახში მოხუცებული არავინ გყავთ? ორი კვირა დამრჩა და გავალ პენსიაზე. მე არავის ვუშლი ხელს. ვარ ჩემთვის. რა შენი ტოლი ვარ, ჩემო ბიძია, მე. წადი, შენი კბილა მოძებნე და იმას ეღადავე.

მოხუცმა მშვიდად, ხვევებით კიდევ რაღაც უთხრა მერაბს და გატრიალდა. სცენარისტს მისი ბოლო სიტყვები არ გაუგონია, ცრემლები ახრჩობდა. რა მოხდა, რა დააშავა, რატომ ვერ გაუგეს?

ჭიშკრისკენ მიმავალს ვიღაც წამოენია და ბოდიშის მოუხდელად განუცხადა, – მთავარი ექიმი გთხოვსო.

– სადაა? – სასწრაფო დახმარების ეზოს თვალი მოავლო სცენარისტმა.

– მეორე სართული, მესამე ოთახი, კიბიდან მარჯვნივ, ანერია. – სხაპასხუპით მიაყარა უცნობმა და ზურგი უჩვენა.

მთავარი ექიმი, ბალზაკის ასაკს გადაცილებული, მაგრამ კარგად შენახული, წარმოსადევი ქალი გახლდათ. ფრესკულ სახეზე მოწყენილობისა და სიმკაცრის ნიღაბი ძალიან უხ-

დებოდა. მან შემოსულს სავარძელზე მიუთითა და აზერბაი-ჯანული კონდიციონერის ღილაკს ალუბლისფერმანიკურიანი თითით შეეხო.

— აი, რა ჩემო კარგო, — მთავარ ექიმს თანამდებობისგან გათამამებული ქალის დაყენებული ხმა ჰქონდა, — ჯერ ერთი, წესია დაწესებულებაში შემოსულმა სტუმარმა პირველად უფროსთან უნდა შემოიხედოს. ამისთვის გვაძლევს ჩვენ სახ-ელმწიფო ხელფასას. არ უნდა იყოს, ჩემი აზრით, მაინცდამაინც საკადრისი, ცალკეული ექიმების დევნა ეზოში და გამოკითხვა. მე შემით არაფრის მეშინია. რომ იცოდეთ, ძალით მომახვიეს ეს მთავარი ექიმობა თავზე. ხვალვე დანიშნონ, ვინც უნდათ, ქე მაინც დრო მეტი მექნება და ჩემს ოჯახს მივხედავ. კი, მართალია, ნაკლი გვაქვს, ვის ალარა აქვს მუშაობაში ნაკლი დღეს. მითხარით ერთი, თქვენ უნაკლოდ მუშაობთ? სწორი ბრძანდებით, აქ თვალთმაქცი და გაიძვერაც ბევრია, მაგრამ საკომედიოდ ჩვენ არაფერი დაგვიშავებია. მე დაველაპარა-კები კინოსტუდიის დირექტორს (ტელეფონს შეხედა), ვურე-კავდი ახლა და არ არის კაბინეტში. არა მგონია, ანგარიში არ გაგვინიოს, ღმერთო კი მომკალი, კომედია და შარუჟი უნდა კიდევ ისედაც სახელგატებილ სასწრაფოს? საერთოდ ასე ხართ თქვენ — კარგისთვის მადლობას არავინ გეტყვის, პა-ტარა რაღაც შეგვეშლება და ტყავს გვაძრობთ. არ ვარგა ასე. არ არის სწორი. თუ ჩემი ადგილი ვინმეს უნდა, კი ბატონი. რა შეუაშია კომედია და რა დააშავა საერთოდ სასწრაფო დახმარე-ბამ? მე, სხვათა შორის, ამ საკითხს კონფერენციაზე დავსვამ. მეტი დაბალი ღობე ვერავინ ნახეს? შეიხედეთ სხვაგან, საკო-მედიოს და საგლახაოს იქ ნახავთ, თუ ნახავთ, მაგრამ სხვის წყენინებას ისევ ჩვენი წყენინება გირჩევნიათ, ვიცი მე. ჩვენ პატრონი არა გვყავს და იმიტომ.

უფროსი ექიმი ნერვებს იოკებდა, მაგრამ ხმის კანკალზე ეტყობოდა, ძალიან ღელავდა.

...მიაბიჯებდა შინისკენ ახალგაზრდა მწერალი მერაბ გურ-გულია და სახე ჩამოსტიროდა. უკვე მიმხვდარი გახლდათ, რომ მის სცენარს კინემატოგრაფიული სიცოცხლე არ ეწერა.

მცერი

— დალაქს ელოდებით?

ორმოციოდე წლის, კეპჩამოფხატულმა, ცხვირპაჭუა კაცმა თვლემას თავი წაართვა და უხალისოდ ამხედა.

— დიახ.

— თქვენ გარდა იცდის ვინმე?

ხმა არ გამცა. ატალახებულ ქუჩას მხატვრის ერთგულებით გასცერის.

— ბოლო ბრძანდებით-მეთქი!?

საჭიროზე უფრო ხმამაღლა ჩავძახე და გვერდით მოვუსკ-უპდი.

აშკარად ეტყობა ჩემთან ლაპარაკის ხალისი არა აქვს. რა დავუშავე, კაცმა რომ თქვას?

კეპი შუბლზე აინია და საფეთქლებთან უშინოდ წამოზრდი-ლი თმა ყურსუკან ჩაიხვეტა.

— პირველი იყავი, თუ გინდა. თვითონ წაჩერჩეტდა სადლაც და საათია ვუცდი, გაგიგონია?

— რაო, რა თქვა?

— მზახალთან ჩავირბენ და ხუთ წუთში მოვბრუნდებიო. ეს ამხელა ბოქლომი რომ დაადო კარს, კი მივხვდი, ხუთ წუთში ამომბრუნებელი რომ არ იყო, მაგრამ ასეთი უნამუსო თუ იყო, არ მეგონა.

დაბა დამსვენებლებით არის საესე. ჩვენ წინ დიდი მო-წონებით სარგებლობს „იაპონური ამწე-ლატარია“ (ასე გაჰყ-ვირის უზბეკურქუდიანი, წითური მელატარიე), ჩააგდებ თხ-უთმეტკაპიკანს და ღილაკს თითს დააჭერ. სამკაუჭიანი ამწე დაიძვრება. ლატარიის ფსკერზე დაშვებისას კაუჭებს გამოს-დებს იაფფასიან „მოსაგებ“ საქონელს და მტკაველზე რომ წამოიღეს მაღლა (და სიხარულისგან გული რომ შეგიქანდება, ახლა კი მოვიგეო), სწორედ მაშინ დაუძვრება რკინის ჭვანგე-ბიდან „მონაგები“ და ამწე თავის ადგილს ცარიელი უბრუნდე-



ბა. უნდა გამოვტყდე, მეც წამძლია სულმა და გუშინ მეც გა-
დავიქტიცი ლატარიის მიერ მოტყუუბულ პინგვინად.

იაპონურ სათამაშოს ირგვლივ შემოჯარულთ თორმეტიოდე
წლის ბრტყელთავა ბიჭი გამოეყო და ჩემს ახალ ნაცნობს წინ
დაუდგა.

- მამიკო, მომეცი რა თხუთმეტკაპიკანი.
- კიდევ წააგე? – მამამ გვერდზე ზიზლით გააპურჭყა.
- კინალამ მოვიგე ახლა.
- კინალამ გაჭმევს პურს?
- მომეცი რა, გეხვეწები, მეტს აღარ მოგთხოვ.
- გადაშენდი იქით! – კაცმა ზურგი შეაქცია ბავშვს და მე
მომიბრუნდა.

– ორ მანათი ისე წამლლიტა ამ მაიმუნობაში ახლა, რაც აგერ
ვარ, რომ ხელი არ ატოკებია. დაუფჩენია პირი და შაბათის
მათხოვარივით თხუთმეტიანს მთხოვს. ეს გამოვა კაცი, ეს?

- მომეცი რა, გეხვეწები?!
- გაბრაზებული მამა წამოიხარა და ბალახებში ქვას დაუწყო
ძებნა, მაგრამ მისი უყისმათო პირმშო კენგურუს ნახტომებით
ხალხს შეერია.

- აქაური არც თქვენ უნდა იყოთ, – კითხვა შევაპარე.
- არა, ბატონო, ერქელი გახლავართ. თოვლის გულისთ-
ვის კაცი წამოვა ამ სიშორეზე? მაგრამ სულელი ცოლის პა-
ტრონი ვარ და რა ვქნა. ოჩან ვირს ხანდახან თუ არ დაყევი,
კლდეზე გადაგაგდებს. ერქეში თოვლი ამ ბოლო დროს, ჩემ
ჯინაზე, წამლადაც ადარ მოდის. ავიკიდებ მესამე წელია ამ
დროს (ან ცოტა მოგვიანებით) ბარგიბარხანას და მოვძვრები
აქეთ. თან ქე მრცხვენია. რა კურორტი ეს არის. თოვლია მეტი
ხომ არაფერი. თოვლი ვნახე დამწვარი!

- რატომ, არც ასეა საქმე. ბავშვებს უხდება.
- ბავშვებს ყველაფერი უხდება, დაგენაცვლე. ამხელა რომ
ვიყავი, მაღაზიას მიტოვებდა მამაჩემი. ახლა ამას ორ ბატს
ვერ ჩააბარებ.
- ოჯახი დიდი გაქვთ?
- ოჯახი ქეა ღვთის წყალობით, მაგრამ რად გინდა, კაპიკის
შემომტანი არაა ჩემს მეტი.

– მაინც ასეთი უპატრონობა, აქ რომაა, არსად მინახავს, –
შევატყვე, რომ მისთვის საინტერესო თემას გამოვდე ანკესი.
ასეთებს კირკიტი და ყველაფერზე უკმაყოფილო ბუზლუნი
სჩვევიათ. ალომ არ მიმტყუნა.

– უპატრონობა? რა ხდება, კაცო! კიოსკში ჩვენი გაზეთები
რომ არ იყიდებოდეს, სადღაც, უბედურ ქვეყანაში მეგონე-
ბოდა თავი. კოიკა ექვსი მანეთი გაგიგონია? სასტუმროში აქ
ჩემნაირ პატარა კაცს ცხვირს ვინ შეაყოფინებს. ბაზარია და
ცეკხლი უკიდია ყველაფერს. იაფად ახლა ბოლოკის ფოთოლ-
საც ვერ იშოვი.

კარგა ხანს ილაპარაკა დაახლოებით ამგვარ ჭრილში (ახლა
ეს სიტყვა მოდაშია). ერთხანს ვუსმენდი, მერე ყურადღება
მოვადუნე. ახალს არაფერს ამბობს. ერთი პირობა ორივენი
გავჩუმდით.

- ბრბოს ისევ გამოეყო ბრტყელთავა ყმაწვილი.
- მამიკო, გეხვეწები, ერთი თხუთმეტკაპიკანი, ღმერთი არ
გრამს? ყველაფერს დაგიჯერებ.

– მამის სულს გეფიცები. თუ დაგიჭირე, ღერღერა დაგა-
ძრობ მაგ ჩოთქივით თმებს. შე ბედოვლათო. კიდევ ფულს
მთხოვ, კიდევ?!

მარჩენალს ეტყობა, წაგებულ კაპიკებზე უფრო მისი ვაჟის
უყისმათობა ანუხებს.

ჯიბეზე ხელი გავიკარ და ცრემლმორეულ ბიჭს ხურდა
ფული გავუწოდე.

– არ მისცეთ, ბატონო, – ხელზე წამაფრინდა მამამისი –
წააგებს მაგასაც! ბატარიის იღბალი ჩვენ ვინ მოგვცა. კრუხი
დასვა ჩემმა ცოლმა ამასწინათ და ორმოცი კვერცხიდან ორი
გამოდგა ნამამლი მარტო. ესაა ჩვენი იღბალი.

ამასობაში ბიჭმა დრო იხელთა, ხურდა ფული მოხერხებუ-
ლად ამახვეტა ხელისგულიდან და გაუჩინარდა.

– ერქეში სერგოს თუ იცნობ, სურმავას? – მაინტერესებს,
რა ინტერესების კაცია. რა ხალხში ტრიალებს.

ეჭვით შემომხედა და თავი გააქნია.

– არა.

სერგო სურმავა, არც მეტი არც წაკლები, – ქურდია.

- მიშა სხილაძეს?
 - არა, ბატონო, არ ვიცნობ.
 - კაკოია მანჩავიძეს? ახლა გამოვიდა.
 - მე ქურდებთან საქმე არა მაქვს, – გაბედულად, აუღელვებლად, დინჯად მიპასუხა, ფეხები გამართა, კოტიტა მუშტები შარვლის ჯიბეში სანახევროდ ჩაიდო და გაირინდა.
 - ისე ჩვენც არ ვვარგივართ, – მინდა როგორმე საუბარში ჩავირთო.
 - რაზე? – შორიდან მკითხა.
 - ჩვენი ბრალია ბევრი უმსგავსობა. ჩვენ არ ვართ, ადამიანები, ჩვენს სიმაღლეზე!
 - მაგაში სწორი ხართ.
 - ხომ უბრალო ამბავია, მაგრამ არ უნდა ავახიოთ ახლა ყური ამ თავგასულ პარიკმახერს?
- ისევ შემომიბრუნდა. თვალებში კვესი ჩაჰერვია.
- აბა, შენ ეგა თქვი!
 - სხვასაც ასე მოექცევა. საქულას დუქანივით, როცა უნდა მოვა, როცა უნდა წავა. თუ ჭკუა არ ვასწავლეთ, სხვასაც გაამწარებს.
 - სრული სიმართლეა, – კვერს მიკრავს.
 - ჰოდა, რომ მოვა, ორივემ ერთად ვეცეთ და ერთი დასხოშიანად გამოვლანდლოთ.
 - ლანძლვა არ ვაკმაროთ. საჩივრის წიგნიც მოვთხოვოთ, – ეტყობა თვითონ უფრო მეტადაა შეურაცხყოფილი დალაქის თავგასულობით.
 - საერთოდ არაფერზე თვალი არ უნდა დახუჭო კაცმა, – გულში მიხარია. ეს ერთი ხომ მაინც ავანთე პატრუქივით. ეს ხომ მაინც შემოვაბრუნე სანალმართოდ. არა, ეს კაცი ბოროტებას დღეიდან გულგრილად არ ჩაუვლის.
 - ამ ფიქრებში გართული ჩემ გვერდით მჯდომის ფაცხაფუცხმა გამომარკვია. შორს ბრტყელთავა ყმანვილის შეშინებულ სახეს მოვკარი თვალი.
 - არ ესროლო! – ხელებში ვეცი მამას და მაღლა აღმართული კარგა მოზრდილი ქვა დავაშვებინე.
 - კლავ ბავშვს, შე კაცო?

– წააგო! კიდევ წააგო და კიდევ აქეთ მოაქვს სამათხოვროდ თავი! ამნაირი უთავმოყვარეო ვინმე გინახავს? ვინ მოგაგებინებს შენ, შე ჭირიანო, დოყლაპია! ვისი იმედი გაქვს? ვის ეთამაშები!

ძლივს დავაშოშმინე.

ამასობაში ჩვენი დალაქიც გამოჩნდა.

ერთი თავსვლიპა, ტანმორჩილი კაცი ყოფილა. ბოხი ხმა აქვს და მეკობრის ტუჩ-კბილი. ბოდიშიც არ მოუხდია დაგვიანებისთვის. ერთი შემოგვხედა და ჯიბიდან გასაღები დააძრო.

ორივენი ერთდროულად წამოვდექით. ერეხელმა ერთი ფეხით მიმასწრო, ჯიბიდან ხელები ამოილო, დალაქთან ჯიქურ მიიჭრა და რომ მგონია დაიქუხებს-მეთქე:

– სად ხარ, დაგენაცვლე? თვალებში მაზოლი გამიჩნდა შენი ცდით.

– ხომ არავინ მიკითხა? – დალაქი თეთრ ხალათს ისწორებს და სამართებელს იღებს.

– ერთი სამი ნაღდი მუშტარი დაკარგე, სიმართლე გითხრა. ჩემი შეტყობით. იცადეს და წავიდნენ. მეც წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ხვალ არ მეცლება და დაცდა ვამჯობინე. ჩემ შემდეგ ერთი ბოხოხიანი კაცია და მერე გულმოსულად გადმომხედა) ეს ბრძანდება.

მოდი და გაუგე კაცს რამე!



მსჯავრი

ტოგო წულაძის დანახვაზე საავადმყოფოს კარისკაცმა, ცალხელა შალიკომ კარს მოჯარული მნახველები უკან დასწინა, ურდულს ხელი გამოჰკრა და დერეფანში ჯიქურ მიმავალ დევეკაცს ნაბდის ფაჩუჩების ფშლატუნით დაედევნა.

ტოგო დერეფნის ბოლოსთან შედგა და მოუხედავად ჰკითხა:

— რავაა?

— რავა იქნება, ბზიკის ნაკბენივით აქვს გასივებული ცხვირპირი. მაინც კაცის ასე გალახვა გამიგონია?

წულაძემ შუბლზე მუშტი მოისვა და არამკითხე დარაჯს შეუბლვირა.

— შენი ყრანტალი მინდა ახლა მე? რას ლაპარაკობენ?

— სასიკვდილო არაფერი ჭირს, მარა კაცის ასე გამეტება გამიგონია? — თავისას არ იშლიდა შალიკო.

— შალიკო, შენ ჩემი გალახული კაცი გინახავს? — ტოგომ მხარზე გადაადო თავისი მძიმე ხელი და ეტყობოდა ისე მოუჭირა, რომ თეთრხალათიანი, კაფანდარა შალიკო განზე გახტა და ბეჭები საეჭვოდ შეათამაშა.

— რომ არ მინახია, მაგას ვამბობ მეც. მთვრალი არც შენ ხარ და არც მაგი ჩანდა. თუმც რას შეატყობდი, სააღდგომო კვერცხივით იყო შეღებილი.

— ერთი საათის დამჯდოები არ ვიყავით, თამადა მეორე სადლეგრძელოს ამბობდა. რისი მთვრალი, რა მთვრალი. რომელ სართულზეა?

— მეორეზე. შენ? კი მარა...

— ვინ ადგას თავზე?

— ბახაია. უფროსი ძმა.

— იმ საშვალოს რა ჰქვია?

— ორი ძმები არ არიან მაგენი?

— არა მესამეც ჰყავთ. ბობრი ბიჭი რომაა, ჩუტუს ეძახიან მგონი.

— არ ახვიდე, ტოგო, გაფიცებ გულით საყვარელს, — სახელოში ჩაებლაუჭა დარაჯი.

— რავა, რა იყო? — წულაძემ ხელი ჯერ შავ მბზინავ ქოჩორზე გადაისვა, მერე ქამარზე ჩამოიდო და გაილიმა.

— არ იცი ბახაია რავარი გადარეული ყავს გამჩენს? შენ რომ ასე გაგილახოს ვინმემ ძმა, რავარ ჭკუაზე დადგები? არ გინდა ახლა. დაწყნარდებიან ცოტა და მერე მოლი. ახალი შეხვეულია კაცი. ცხვირიდან სისხლდენა ძლივს შეუჩერეს.

— ახლა, ამ ცხელ გულზე უნდა ველაპარაკო ბახას, — მტკიცე გადაწყვეტილებით თქვა ტოგო წულაძემ.

— რა გეჩქარება. მილიციაში გამქცევები მაგენი არ არიან, ხომ იცი შენც?

— ვის ეშინია მილიციის. შიშის გულიზა მოსულს ვგავარ მეე? — წულაძე კიბეს აუყვა.

— მე მეშინია, ბატონო. თქვენ არ გეშინიაყენ არაფრის, შარი მინდა ახლა მეე? — ეს ბოლო სიტყვები შალიკომ წუნუნით წარმოსთქვა. იცოდა, რომ ხარისკისერა ტოგოს ველარ მოაბრუნებდა.

— ხომ გაგიგონია, ჯოხს რომ აიღებენ, ქურდი კატა დაიმალება! — კიბიდან ჩამოსძახა წულაძემ.

შალიკო შედგა და სტუმარს მიაჩერდა. აშკარად ჩანდა, ანდაზისა ბევრი ვერაფერი გაიგო.

— ჰოდა მე დასამალავი არაფერი მაქვს. ვეტყვი ყველაფერს ბახაიას. თუ გამიგებს კაცურად, ხომ კაი, თუ არა და მაგისი ხმალი და ჩემი კისერი. გამქცევს ექცა შავად და ბელად, — ტოგო ხმადაბლა ლაპარაკობდა, ყოველ საფეხურზე ჩერდებოდა, წელში იმართებოდა და სინათლის ჩქერში სახტად მდგარ დარაჯს ჩასცექროდა.

მეთვრამეტე პალატის კარი ღრიჭოდ იყო დარჩენილი, შეიჭვრიტა. საწოლზე დახრილი ბახა სალაყაიას ვეება ზურგს ჰქიდა თვალი. ღრმად ამოისუნთქა. კარი შეაღლო და თითქოს უკან მოსდევენო, მაშინვე მიიკეტა: კედელს აკრული კარგა ხანს იდგა. ფანჯარასთან თავპირშეხვეული ავადმყოფი ინვა. ბახას გაზეთი ეჭირა ხელში და თვალებმილულულ ძმას უნიავებდა.

— ბახა.

უფროსმა ძმამ მოიხედა. გაზეთი გადააგდო და შემოსულს ავად გამოხედა. ერთხანს უყურა, მერე ხელი ჩაიქნია და განზე გაიხედა.

— რა იყო?

— მე შემემთხვა ეგ საქმე, ბახა, — წულაძე ძმიმედ სუნთქავდა და ოფლიან ხელისგულებს შარვლის ტოტებზე ისვამდა.

— ვიცი. ახლა შენთან ლაპარაკის დრო არ მაქვს. წადი აქედან.

- უნდა მომისმინო, ბახა.
- წადი-თქვა, გელაპარაკები. სასიკვდილოდ გაგვიმეტე ხომ? თუ ძმა გადამირჩა ამაღლამ, მე შენ გასწავლი, როგორ უნდა რტყმევა, თუ არ გადარჩა, ბანრის თადარიგი დეიჭირე, მითქვია შენთვის.
- ბახა!
- ავადმყოფმა თვალები გაახილა, კართან ატუზულ ტოგოს შეხედა, ტუჩები უცნაურად დაემანჭა და სისხლი გადმოა-ფურთხა.
- წადი-თქვა, გელაპარაკები. საავადმყოფოში არ ამაგებინო შენთვის წესი. ხვალ მოგივლი მე შენ.
- გამიკეთე რაც გინდა, მომექეცი, როგორც გაგეხარდება, მარა არ შეგიძლია ორი სიტყვა მომისმინო?
- რა სიტყვა, ბიჭო, მოკალი კაცი და შენი სიტყვები ვისმინო აქანა?! - ბახას მარჯვენა ხელი უცახცახებდა.
- სასიკვდილო არაფერი ჭირსო ექიმმა.
- შენი ხელიდან მკვდარია ჩემი ძმა. წადი ახლა, ტოგოია, თუ შეგარჩინო, ვირის გაგდებული ვიყო, თუ...
- ბახა, - წულაძემ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და ოთახის შუაგულში გაჩერდა.
- ბახა მქვია მე, ოცდაათი წელიწადია.
- როდის იყო კაცს ხელს ვურტყამდი, ბახა, ჩემი ჩხუბი გა-გიგონია?
- შენნაირ მუდუს შეუძლია კაცის მოკვლა სწორედ, წადი-მეთქი, გელაპარაკები.
- არ ვარ მკვლელი მე. შენ იცი ძალიან კარგად. ჩემთვის ვჯახირობ და ვსიმწარობ ჩემი დღეიია. არც ძველბიჭობაზე ვდებ თავს - ესეც კარგად იცი შენ.
- უკანასკნელად გეუბნები: წადი ახლა, ტოგოია მუტრუკო, აქედან, თვარა გამომრჩები ცხელ ტყვიას. არაა ახლა საქმის გარჩევის დრო, - ჩუმად სისინით, გამშრალი ხმით ამბობდა ბახა.
- ავადმყოფს, რასაკვირველია, ყველაფერი ესმოდა. ვაი-ვა-გლახით თვალებზე დაიფარა მარცხენა ხელი, რომ ბინტიდან გამოუწილი ცრემლი მოსულს არ დაენახა.
- ტოგო მაგიდასთან მივიდა, რვეულს ფურცელი აახია, კვარ-თის ჯიბეში უკულმა ჩადებული ფანქარი დააძრო, ბახას გვერ-დით მიუჯდა და ისე, რომ ავადმყოფსაც გაეგონა, დაგუდული ბუხუნით ჩამომარცვლა:
- ვიცი ყველაფერი, ახლა ეს ლაპარაკი არ შეიძლება. ორ სიტყვას ვიტყვი, ბახაია, მე და, თუ სწორი ვიქენი, ამ ქა-ლალდზე „კი“ დაწეროს. თუ ტყუილი ვთქვი, არაფერი არ დაწეროს. ვიცი, არაა ახლა ამის დრო. მე პატიებას კი არ ვითხოვ. სიმართლე მინდა იცოდე. ვიცი, არაა ახლა ამის დრო, მარა, თუ ახლა არ მომისმინო, იმ მკვდარი დედის სულს ვფიცავარ, აქედან გასულს ცოცხალს ვერ მნახავს ვერავინ. შენ მინდა იცოდე, რავარცხა მოხდა ეს ამბავი, თვარა ქალაქს პირს ვერვინ ოუკრავს და მაგენის ნაჭრელ-ნარჩევი მაინცდა-მაინც არ მანუხებს, ასეა ეს.
- ბახამ კარგა ხანს უყურა. მერე ქალალდი და ფანქარი გა-მოართვა, ავადმყოფს ხელები ძირს დააწევინა და თითებში ჩაუჩურთა.
- თქვი.
- ტოგომ განზე გაიხედა, აბურდულ თმაზე ხელისგული შეიმ-შრალა და ამოლერლა.
- ორი თვის წინ იყო ეს ამბავი. რიცხვი არ მახსოვს. ღა-მის სამ საათს არაფერი დააკლდებოდა. სტალინის აბანო რომ გააუქმეს წყალტუბოში, მარჯვენა მხარეს იქანა, სკვერიდან გამოძვრნენ შენი ძმა და ივლიტას გოგო.
- ივლიტა?
- ვისი ქორწილიც იყო დღეს. მაია ჰქვია. ერთი ჰყავს ივ-ლიტას გოგო.
- მოკლედ მოყევი, - უგემურად შეიშმუშნა ბახა.
- ივლიტა ნათესავად მეკუთხნის, ეგება არც ქე იცოდე ეს ამ-ბავი. მე რა მინდოდა სამ საათზე წყალტუბოში და ღამის სმენა ვიყავი. წამიყვანა ვიღაცა უბედურნახევარმა, ვაჟკაცურად თუ მენდობი, ჯიბეზე ფული არ დამრჩა, ახლავე გამოგიტანო. კაი ერთი საათი ველოდე. ვიცოდი, ფულს არ მომიტანდა, მაგრამ მის სიგლახეში მინდოდა დავრწმუნებულიყვავი. ჯერ ვერ იც-ნეს ჩემი მანქანა. ქუთაისში წაგვიყვანეო, შენმა სახლიკაცმა. დაბრძანდით-მეთქი. დაჯდენ უკან და გოგომ იყვირა, - ვაიმე, ტოგო ბიძიაო. მოვიხედე და რავარც შემფეროდა: „თქვენ რა გინდაყენ აქანა, ამ შუალამეზე“, მე ვუთხარი, „იცის, ძღაბო, დედაშენმა ეს ამბავი თქვა?“ მაიასთან მაქვს მე საქმე, თვარა ბიჭს რას დავეძებ, ბიჭი-ბიჭია. - ტოგო ბიძიაო. ჩვენ ერთმანე-თი გვიყვარსო. მე თვითონ ვეტყვი მერე დედაჩემს ამ ამბავსო. ახლა არ უთხრა, გული გაუსკდება, ფესტვენიძის დღეობაზე

ვგონივარ წასულიო. იციან იმ ხნის გოგოებმა დედის მოტყუება კი. წესი აქვთ ასეთი. ჩემი ენით რაზე გავალახიო დედას შვილი-თქვა. და გავჩუმდი, რასაკვირველია. მერეც ბარე ორჯერ ვნახე ერთად ცოტა უფროო დროს და ცოტა უხერხულ ადგილას. ამ ორი კვირის წინ შენი ძმა „კომუნასთან“ შემხვდა. „რავაა, სიძე, საქმე-თქვა“, ვკითხე. „მე და მაია დავშორდით ერთმანეთს კაი ხანიაო“. „რატომ-თქვა“, „რატომ და მე ცოლის მთხოვნელი არ ვიყავი, მაგას გათხოვება უნდოდაო“. „ახლა რანაირადაა საქმე, რომ დააპრონიალებდი იმ ბოვშვს იქით-აქეთ, ასე დაამთავრეთ თქვენი სიყვარული-თქვა?“ „მე კი არ დავაპრონიალებდი, თვითონ დამყობოდაო. გვიყვარდა ერთმანეთი და ახლა აღარ გვიყვარს, მორჩა და გათავდა, ვენების გადაჭრის დროი არაა ახლაო“, – ასე მითხრა და ზურგი შემაქცია. იყო ასე?

ავადმყოფმა ქვედა ტუჩი გაინერწყვა, ქალალდი შუაზე გაკეცა და ფანქრით ძლივს მოხაზა „კი“.

– მერე. მოკლედ მოყევი. არ გინდა ამდენი ლაპარაკი, – ბახა იატკას დასცექროდა.

– დღეს ქორწილი იყო. გათხოვდა მაია. ოკრიბელ ბიჭს წაყვა. მე არც კი ვიცნობ სიძეს. ნახევარი საათის დამსხდრები ვიყავით. შემოვიდნენ შენი ძმა და მისი ძმაკაცები. ორი ბიჭი ახლდა. არ ვიცნობ არც ერთს. მე ვთქვი, დაპატიჟებულები არიან-თქვა. „მობრძანდით, დაბრძანდით“. რავარც წესი და რიგია. შენი ძმა ნასვამი იყო. მაიას მკვდრის ფერი დაედო. ორჯერ იმნაირი რაღაც დაიძახა შენმა ძმამ ადგილიდან, რომ თამადას წარბი აუთამაშდა. აშკარად ჩანდა, სუფრის არევას აპირებდა. „ტოგო ბიძია, შენი ჭირიმე, მიშველეო“, მაიამ. დავუჯექი გვერდით და ვუთხარი: „წყნარად იყავი“, მე ვუთხარი, „არ გინდა ამნაირი შპილკები, ისედაც ყველამ იცის, შენ რომ მაიას უყვარდი, მე შენს ადგილას არ მოვიდოდი ამ ქორწილში-თქვა“. ყურში ვეუბნები, ჩუმად, სხვამ რომ არ გაიგოს. „საქმე ნახეო“, არაფრად ჩამაგდო, „ჩემი საქმე მე ვიციო“. იმ ორ ბიჭს მე არ ვიცნობ, მაგრამ, თუ სინდისი ცოტა მაინც აქვთ, არ გადავარავენ. ამას იმნაირი სიტყვები მოაყოლა, თვალები დამიბნელდა. მოგვეჭრა, მე ვთქვი, თავი მთელ სანათესაოს. ქორწილზე პატარძლის აუგი გამიგონია, ბახა? მართლა ვაჟეკაცი და მართლა გამკეთებელი სალაპარაკოდ გახდის საქმეს? ვის ურევ ქორწილს, ვინც გიყვარდა, გულზე იხუტებდი ორი კვირის წინ?

– ხომ გითხარი, მოკლედ მოჭერი-თქვა, – შეაწყვეტინა ბახამ.

– მე დავამთავრე. ერთი წუთით გამომყევი სალაპარაკო მაქვს შენთან-თქვა, ქვევით ბალთან ჩამოვედით, მოფარებულში, მეტი აღარაფერი მახსოვს.

– იყო ასე, ბიჭი? – ახლა ბახამ ჰკითხა ავადმყოფს და სახესთან გაზეთი გაუქნია.

ნაგვემმა ძმამ იყუჩა, მერე ისევ მოილოკა შესივებული ტუჩი და გაკეცილ ქალალდს ახლა სხვა ადგილას დააწერა – „კიე“.

კარგა ხანს სამივენი სდუმდნენ.

ბოლოს ბახა ადგა. მაგიდასთან მივიდა. გათლილ ჭიქაში წყალი დაისხა, მაგრამ არ დაულევია, ლოგინზე ჩამომჯდარ, თითებში თითებგაყრილ ტოგოს შეხედა:

– წადი ახლა, ტოგოია, სახლში.

ტოგო წამოდგა და წელათრევით გააბიჯა კარისკენ.

დერეფანში უხმოდ მოაბიჯებდნენ. კიბის თავს ჩაეჭიდა ტოგო და მასპინძელს ხარის წყლიანი თვალები შეანათა.

– მე ჩემი გითხარი, ბახაია. ანი რავარც გულმა გაგიჭრას, სადაც გაგეხარდება, იქ გიგებ პასუხს. პატარძლის აუგი, კაცო? მინდოდა შენ გცოდნოდა. სხვა ჩემი პირიდან ვერ გაიგებს ამ ამბავს.

ბახამ პასუხი არ დააყოვნა.

– წადი, წადი, ტოგო. მე მგონია, გადარჩენილი ვართ. შენთან არაფერი საქმე არა მაქვს. კაი ქენი, რომ მოხვედი, კაი ქენი, მამის სულს ვფიცავარ. კი, ერთხელ უნდა გალახულიყო ჩემი ძმა და გაილახა. არ უნდა ამას ლაპარაკი. ანი ღმერთმა კარგად მიმყოფოს და ჭკუას ისწავლის.

ერთმანეთს ამ სიტყვებით დაშორდნენ.

უფროსი ძმა კიბის თავზე იდგა და ილუმინატორით განათებულ დერეფანს გასცექროდა.

ქვევით მიმავალის ყრუ და მძიმე ნაბიჯების ხმა ნელ-ნელა სუსტდებოდა და ბოლოს სულ გაქრა.

შალიკომ ურდული გადასწია და განზე გადგა. როგორ არ აინტერესებდა ყველაფერი, რაც მოხდა, მაგრამ კითხვა ვერ გაბედა.



საიქიო. თვალუნვდენელი მწვანე მინდორი, მინდვრის შუაგულში საურმე გზა ორ ტოტად იყოფა. იქვე მოჩანს შებოლილი ფიცრის ორი წვერნამახული ფირფიტა. მარჯვნივ შებრუნებულს გოგებაშვილის ასოებით აწერია „სამოთხე“, მარცხნივ მიმართულს „ჯოჯოხეთი“. გზის გასაყართან არწივის-ცხვირებიანი, ძველებური სასწორის ირგვლივ ხალხი ბუზივით ირევა. ბზის ტოტზე ძავი ხავერდია გადაჭიმული. ხავერდზე აბრეშუმის ძაფით ამოუქარგავთ რუსთველის სიტყვები: „აწლა ვცან საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია“.

მინდვრის განაპირას, ზეთისხილის ჩრდილში, ხავსმოკიდებულ მორებზე, ხუთიოდე მამაკაცი ზის და მასლაათობს. ჩაცმულობით ისინიც საგარეოდ არიან გამოწყობილი, ოლონდ სხვებისგან იმით განსხვავდებიან, რომ სასწორს შემოჯარულთა ორომტრიალში არ მონაწილეობენ, სხედან მშვიდად და აბოლებენ.

საიქიო ცისფრად განათებულ დეკორაციას წააგავს, დასალიერთან ცაზე შეჩერებული, მენამული მკვდრის მზე ჰკიდია. მისი სხივები მინდვრამდე, რასაკვირველია, ვერ აღწევს. სხვა მხრივ ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენში. ეგ არის, ბალახის სუნი არ იგრძნობა და არც ჩიტების ჭიკჭიკი ისმის.

— სანამ ვიჯდეთ ასე, იმისი არ იყოს, აღარ ვიკითხოთ, ვინაა ჩვენი პატრონი? — თითქოს საკუთარ ხელებს მიმართავსო, ჩახლეჩილი ხმით ამოილაპარაკა მაღალმაღალმა, სამოციოდე წლის კაცმა, რომელიც „მ“-ს დუდლუნით ცხვირში ამბობს და ლურჯი პიჯაკის ჯიბეში სისხლისფრად უნთია ერთადერთი მიხავი.

— რა გეჩქარება, გერვასი. აქ მაინც არ ჩაბერავს ძაფსაღების საყვირი, არ მომიკვდე მეტად, — ამოხედა ქვედა მორზე მჯდარ-მა თეთრყელსახვევიანმა, თვალებდაბერილმა, წითურმა კაცმა, რომელსაც ახალთახალი, ცხვირვინრო „მოკასინები“ გვერდზე უწყვია და ფეხის თითების თამაშით ერთობა.

— ნახე ერთი, კაკული, რომელი საათია? — მიუბრუნდა გერვასი გვერდით მჯდომ ცალხელა, მედლებიან მელოტს.

— სადღა მაქვს საათი, — ჩაიბუზღუნა კაკულიმ.

— კაი ახლა, კაკული, წესია ასეთი, რაღაცა უნდა ამოგა-ცალოს ჭირისუფალმა, — პატრიგეთული აქცენტით თქვა ყველაზე ზევით მოლასავით მოკეცილმა მიცვალებულმა, ყოფილმა სოცდაზღვევის აგენტმა ნარიმან ხელაძემ და ყურებზე ჩამოყრილი, შეღებილი თმა ბერეტში მოხერხებულად შეიკუშნა.

— მერე რაღა საათს მაცლი, შე კაი კაცო, ამხელა გზაზე კაცი მივდივარ. მედოს მამაჩემის ნაქონი საათი ჯიბეში. რომ მკითხავს ის კაცი ახლა, რა უყავი ჩემი საათიო, სიძემ ამომაცალა-თქვა, ვუთხრა? — ხვეშით თქვა კაკულიმ და ჰერს სული შეუბერა. — ისე, საღამოობით, ქე ეცივება აქაც, რომ იცოდე.

— ეცივება, აბა, რა იქნება. მე ა, ასე ვარ წამოსული, ბნელ ხალხთან რომ გექნება საქმე. წვიმა რომ მოვიდეს, ამ დაჭრილი ფეხსაცმლით ვიარო უცხო ხალხში? — წრიპინა ხმით თქვა თმაგაჩეჩილმა, ყოფილმა პარიკმახერმა და გერვასის მხარზე დაადო ხელი.

— წვიმის ნუ გეშინია, ევტიხი, წვიმას რა უნდა აქანა, — გერვასიმ ისე დარწმუნებით უთხრა ნაპარიკმახერალს, თითქოს საიქიოში ერთხელ უკვე ნამყოფი იყო.

— სიჩქარით, იმისი არ იყოს, კი არსად მეჩქარება, ჩემო კირილე, — მიხაკიანმა იმ წითურს მიმართა, ვინრო ტუფლებს რომ შეუწუხებია და ფეხის თითებს შვებას აძლევს, — მარა კაი ხანია, აქ ვზივართ და არავინ მოგვიკითხა, ხომ ხედავთ? სანამ უნდა ვიყოთ ასე, გაურკვეველ მდგომარეობაში. იმედის თითი დამელია უკვე, ვეღარ ვწოვ, ახლა დროზე უნდა ვიცოდე, რას ვეწიო.

— სწორს ლაპარაკობს გერვასი, — ნარიმან ხელაძემ ფეხები გამართა, — დროზე უნდა გვითხრან, საით გვიშობიერ პირს. ჯოჯოხეთშიც ქე ცხოვრობს ხალხი, რავა...

— საჯოჯოხეთო არაფერი გამიკეთებია მე, — დაიწრიპინა ნაპარიკმახერალმა და თეთრი პარუსინის ფრენჩის საყელო აინია.

— ნუ გეშინია, არაფერს დაგიკარგავენ აქანა. ე, უყურე იმ სასწორს. ნეტავი ღმერთივით ჩვენ ვიცოდეთ ჩვენ-ჩვენი საქმე. უბნის იმსპექტორი თადუმაძე ხომ არ გგონია, ყოველ მეორე დღეს რომ გაკითხავდა, ვითომ ნარდის სათამაშოდ და სამკოკიანი ერთ თვეში რომ დაგიყვანა თხლეზე.

მიცვალებულებმა (უხერსული არ არის ეს სიტყვა ამ ჯანთერით სავსე საფიჩხიელებზე?) გერვასის ნათქვამზე ერთხმად გაიცინეს.

— ისე, რაღაცა გლახად ირევა ხალხი მაგ სასწორთანაც, — სხვისი ხმით ამოილაპარაკა კაკულიმ.

— საქმის ერთცახე დაწინაურებისთვის იმ „ოჩერედში“ მაინც არ ჩავდგები, მეორედ რომ მოვკვდე აქანა. ერთი რამ ვიცი, როცა იქნება, უეჭველად მოგვხედავენ. ამ მორებზე არავინ დაგვტოვებს. ჩემი გზა დამთავრებულია, არსად არ მეჩეარება, — არც ისე არხეინად თქვა კირილებ.

— მაინც შენსას ამბობ, კირილე? — გაცხარდა ნარიმანი. — კაცი ან იქით უნდა იყოს, ან აქით, ამას ვჩივი, მეტს არაფერს. უყურადღებობაზე გლახა, ხომ იცი, არაფერია ამ ქვეყანაზე. რამ მომკლა მე, იცი შეენ?

— რამ, რამ, თქვი, თუ კაცი ხარ? — ევტიხიმ იაფი ოდეკოლონით აქოთებულ თმაზე ორივე ხელი ჩამოისვა.

— რამ და, შესვენებაზე შინ ნავედი სასადილოდ. დღეის სწორ ოთხშაბათს. ჩვენი ბუფეტის „სასისკმა“ კუჭი ამიშალა, თვარა როდის იყო, შინ ვსადილობდი. დავურეკე ჩემს ცოლს, თუ ქალი ხარ, ჭადი დაკარი, გამოვდივარ და ნავიხემსებ პატარა-თქვა. ორი საათი იყო. „უიგული“ იქვე მეყენა კანტორასთან. ერთი საათი დრო მაქვს. მარდალეიშვილზე რომ ჩამოუხვიე, ლვოვის ქუჩის კუთხეში გზა დაკეტილია. ორნი იყვნენ. ერთს ქე ვიცნობდი სახეზე, მაღალ ხიდთან რომ „სვეტაფორია“ სამტრედის გზაზე, იქ იდგა სულ. გამიშვი, მე ვუთხარი, შინ მივდივარ „პერერივზე“-მეთქი. არ შეიძლებაო. კი მარა, რაზე დაკეტეთ, რაშია საქმე, მე ვუთხარი. არ გესმის ხმაო? შორს ორკესტრი უკრავდა. რა ხდება, ამიხსენი-მეთქი. დამიბლვირა და ხმა არ გამცა. ორკესტრი სტალინის ქუჩაზე უკრავს და ამ ლვოვის ქუჩას რაზე კეტავთყენ-თქვა. შენ ენა

ხომ არ გექავება, ვერ გეეტევი შენს გზაზე? ამან, ამ ჩემმა ნაცნობმა, რა შუაშია ბიძიკო, ენის აქავება, რატომ მკადრებ, შენხელა შვილი უნდა მყავდეს, ცოლი რომ დროზე მეთხოვა-მეთქი. აგერ მივდივარ ორას მეტროში, იქით არ გავდივარ, შინ მივდივარ, წამომყევი თუ გინდა, მე ვუთხარი, პორტფელი ხომ არ გიგდია მანქანაში, წამოგილებ, ბარელამ მიგაცილებ სახლამდეო, აგდებულად მითხრა. ამგენთან ლაპარაკი არ შეიძლება-მეთქი, დაკეტოქე მანქანა და გამოვტრიალდი, დავით ხუროძის ქუჩიდან შემოვუკლი და გავალ ჩემს სახლთან-თქვა, ასე გადავწყვიტე. ხუროძის ქუჩაც დაკეტილია. გამიშვი, საყვარელო, აგერ უცხოვრობ ორ ფეხის ნაბიჯზე, შესვენებაზე ვარ გამოსული, შევეხვენე სერუანტს. არ შეიძლებაო. მთავარ ქუჩაზე ხომ არ გავდივარ, სახლში მივდივარ, ა, ნახე პასპორტი, თუ არ გჯერა-მეთქი. არ შეიძლებაო, მეუბნება. თან მე კი არ მიყურებს, განზე იხედება. მომისმინე, შვილო, მე ვუთხარი, შენ სწორი ხარ ყველაფერში, მარა მეცი პატივი, ჭადი მიცივდება, სამზე სამსახურში უნდა ვიყო, მე ვუთხარი. ჭადზე გადაბრუნდა და ჩაბუირდა სიცილით. ხვადაგი! ნამდვილი ადამიანის იმას არაფერი ეცხო, თორემ რა სასაცილოა ასეთი, ძმა ხარ, კაცს რომ ჭადი უცივდება. მოვშორდი იმასაც. ვიფიქრე, სოკურატის ჩიხს მაინც არ დაკეტავდნენ, იქინა დავაყენებ მანქანას და ფეხით მივალ სახლამდე-მეთქი. ამასობაში ქე გახდა და სამის ნახევარი. სოკურატის ჩიხიც დაკეტილი არაა? ახლა ამას ეხვეწე. გარდიგარდმო უყენია კურსანტს მოტოციკლეტი. გამიშვი, ეგერ მივდგები კუთხეში, არ მივდივარ ზევით-თქვა. ორ საათში დამთავრდება და ნადი, ვინ გიშლისო. აქანა რა ზეიმია ამ ჩიხში, მე ვუთხარი. არაა შენი საქმეო. გამიშვი, შესვენება მითავდება, ღმერთი არ გნამს? მე ვუთხარი. არ მნამსო. მოინი ახლოს, თუ არ გეწყინება-თქვა და რომ მოახლოვდა, ვუჩურჩულე: კუჭი მაქვს აშლილი და გამიშვი მამა-შვილობას, გლახათ ვარ ნამეტანი-მეთქი. შენ არ მომიკვდე. ქე შესრულდა ამასობაში სამი. მოვბრუნდი უკან, სამსახურში. მშეირი, გაბრაზებული, დამცირებული. კიბეზე ასვლაც ვერ მოვასწარი. ფანჯრიდან შევძახე მოანგარიშე გოგოს: ერთი სკამი გამომირბენინე, თუ ღმერთი გნამს, რაღაც ვერა ვარ კარგად-მეთქი. მივეგდე სკამზე და მერე აღარაფერი მახსოვს.

— სულ არაფერი? — ჩაჰეთხა ევტიხიმ.

— პატარა-პატარა რაცხა. ლოყაზე ხელებს მიტყაპუნებდნენ, ცივი წყლით მზელავდნენ, ვიღაცამ ნიშადურის სპირტი მომიტანა ცხვირთან, მაგრამ რაღაი ერთხელ ვქენი პირი აქეთ, ვერა და ვერ მიმახედეს მათკენ.

— მთლად ტყვილად ხარ მკვდარი, — კაკულიმ მორს ხავსის ბლუჯა ააცალა, დაყნოსა და მოისროლა, — ხავსის სუნი კი არა აქვს ამ ოხერს.

— რავა? — ევტიხი ზედმეტად დაინტერესებული ჩანს.

— ბავშვური სიკვდილია მაგი, სხვა არაფერი. შე კაი კაცო, გზა არი ჩაკეტილი და ამაზე იხეთქე გული? რა იყო მერე. იმ ინსპექტორებს რომ ეჩსუბებოდი, რა გინდოდა, ისინი თავის საქმეს აკეთებდნენ. რა ექნათ მეტი. შენთვის დედა არავის შეუგინებია და პანლური არ ამოურტყამს.

— ნეტავი შეეგინებიათ, შეიძლება დღეს ცოცხალი ვყოფილიყავი.

— რავა? — ნაპარიკმახერალის ხმა იყო.

— რავა და მეც შევაგინებდი ან რაღაცას ვიზამდი და მომეხ-სნებოდა ჭვალა გულიდან. ხომ იცით, წუთისაა ადამიანი.

— ახლა კი აღარაფერი ეშველება შენს საქმეს, მარა ნერვებით რავა უნდა მოკვდე ამხელა კაცი. უარი გითხრეს ხომ? მოვატრიალებდი მანქანას, გავიდოდი სუფთა ჰაერზე. გავივლ-გამოვივლიდი და წავისადილებდი სხვაგან სადმე. რავა, სხვა-გან არაა ჭადი?

— მე ჭადზე არ მაქვს საქმე. — ნარიმან ხელაძე უკმაყო-ფილოა, რომ ვერ გაუგეს.

— სული გაქვთ ყელში ახლანდელებს. ამნაირი უბრალო რამე მომკლავდა მერე? ნერვების გლეჯა ომში გენახა შენ. მჯდარი-ყავი მაიდანეკში ჩემსავით სამ დღეს სიკვდილის კამერაში და ნახავდი მერე, გასაქცევად თუ ივარგებდა შენი მუხლები. მე კი გავიქეცი, გავიქეცი და ოცდასამი კილომეტრი უსმელ-უჭმელ-მა ჭაობში ვტოპე. ნახე ერთი რავარი სატოპავია.

— აბა... თქვენ... ბოდიშს ვიხდი, მარა... — ევტიხიმ მუდარით სავსე თვალებით შეხედა.

— რა მე, სამი წელიწადი ვებრძოდი კიბოს, პირველად რომ

მომიჭირა ყელში, იმ წუთში ვთქვი გუნებაში, ეს ნამდვილად კიბოა-მეთქი. რად მინდოდა ექიმი, ჩემი თავის ექიმი მე ვარ. მაჯანჯლარეს აქეთ-იქით და გამომიცხადეს ბოლოს: არ აღ-მოჩნდა კიბოვო, დათესვამ არ უჩვენაო. მიცინიან პირში ჩემი ცოლ-რძალი და ვითომტც მეც დავიჯერე, აგაშენათ ღმერთმა, რაკი კიბო არაა, წავიდეთ აბა, სახლში-თქვა. ვითომ გახარე-ბული ვარ მეც. ვინც მოვიდა იმ დღეს ჩემ სანახავად, ყველას იმ ღიმილის იქეთ ნაღველი უჩანს თვალებში. „შე უბედურო“, ინერება თვალებში ასე ა, რავარც მე თქვენ გხედავთ. „მომი-ლოცავს, მომილოცავს, კაკული, გახარებული ვართ, კიბო რომ არ გაქსოს“, მეუბნებიან ყასიდად. ტყვილი ამბავია, ჩვენებურ კაცს შენ მოატყუებ? ავიკარი პირზე კლოუნის ღრანჭი და ვიღ-იმები მეც. ერთ კაცს მარტო, ღმერთმა დიდხანს დააცალოს, ჩამოვა აქანა და კითხეთ თუ გინდათ, მარტო ერთ კაცს ვუთხ-არი, ჩემს ფრონტელ ამხანაგს, სამსონ შერვაშიძეს, მარტო რომ დავრჩით, სიმართლე — მე ქე ვიცი, რაც მჭირს, ჩემო სამსონ, არ გამანვალებდეს ნამეტანს და ისე მომკლავდეს, ჩემზე ბედნ-იერი კაცი არ იქნება-მეთქი. ხმა არ ამოუღია სამსონს. იცოდა, ლაპარაკი ზედმეტი იყო, მაგრად იყავიო, ხელი ჩამომართვა და წავიდა. სამი წელი ვიცოცხლე-მეთქი, ქე გითხარით. ვებრძოდი სიკვდილს, აბა, რაფერ ვებრძოდი? იმ საღამოსვე ვუთხარი ჩემს თავს, ასე რავა შეიძლება, საღ-სალამათი — კუჭი კაი, თირკ-მელა კაი, გული მუშაობს მშვენივრად, მილიონი საქმე მაქვს გასაკეთებელი და ყელში რაღაცა ჭირიანმა კიბომ გამიხახუნა, ამას დაუდვა თავი-მეთქი? ვერაფერსაც ვერ მიზამს. უნდა ვიცოცხლო, უნდა გავძლო, ასეა საჭირო-მეთქი. დავახევინე უკან სიკვდილს. საავადმყოფოებში და ჰოსპიტლებში იმდენი მიჩეინებს და მასხივეს, გამიძლიერეს კიბო, თვარა სამი წელი ქე მყავდა მოგუდულ-მიძინებული, დავდიოდი, პურს ვჭამდი, კაი ხასიათზე ვიყავი, არ ვფიქრობდი სიკვდილზე. ერთ თვეში გამასალებდა, სასონარკვეთილებაში რომ ჩავვარდნილიყავი.

— მერე? — გერვასიმ მიხაკი ამოილო და ხელისგულებით დაატრიალა.

— მერე, რაც მოსასწრები მქონდა, რომ მოვასწარი, ღამ-ღამობით სევდა შემომეპარა. ამოვიჩემებდი რამე დიდ საქმეს,

შევებმოდი, გავაკეთებდი და იმ ლამეს ვფიქრობდი. ისე, ნამ-ეტანი უნამუსო ავადმყოფი კი ხარ, სანამ უნდა გაცალოს, გვა პატივი და ახლა შენც ქე მიყევი პატარა-თქვა. ამ ფიქრმა დამღუპა. ნელ-ნელა ცხოვრების მიზანს ვკარგავდი. მორევით მხოლოდ ამიტომ მომერია. ბოლოს და ბოლოს საზღვარი აქვს ყველაფერს.

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, — კვერი დაუკრა ნაპარიკმახ-ერალმა, მკლავებზე ხელი აისვ-ჩამოისვა და ცრემლჩამდგარი, ფართო, მეტყველი თვალები ირგვლივ მიმოატარა, — მე კი ვერ გეტყვით, იმის არ იყოს, კი არ ვიცი, რამ მომკლა ეს ოხერი და მუდრეგი.

კირილე წამოდგა, ცხვირსახოცი დაფერთხა, ევტიხისთან ახლოს დააფინა და დაჯდა.

— შეუძლებელია. — შორს მკვდრის მზეს გახედა გერვასიმ.

— მეც შეუძლებელი მგონია, მაგრამ ასეა ეს, — ევტიხი ცოტა წათამამდა და მხრებში გაიშალა, — არ უნდა ვიცოდე, კაცო, რამ მომკლა? არაფერი ისეთი ავადმყოფობა მე არ მქონია. თავს ვუვლიდი, რაც შემეძლო. სმით არ ვსვამდი. ლამის თევას და ნერვების შლას ვერიდებოდი. ზოგიერთმა დალაქმა გაუთავებელი ლაპარაკი რომ იცის, კლიენტს ყურებს რომ გამოუჭედავს, — არ ვიყავი ისეთი. ჩემს საქმეს ვაკეთებდი ჩუ-მად და წყნარად. კრებებზე არ დავდიოდი, სხვის საქმეში არ ვერეოდი. ვუვლიდი, ნამდვილად ვუვლიდი თავს. მინდოდა, რა დაგიმალოთ, და, კაი ხანს მეცოცხლა. ვამბობდი, — აბა, ერთი წესიერი ცხოვრებით რამდენ ხანს გაძლებს კაცი-თქვა. სულ თბილად მეცვა. გაცივება რა იყო, არ ვიცოდი, გრიპი რომ დაიწყებოდა, პირი მქონდა აკრული. ყველას შეხვდებოდა და მე ამივლიდა სახადი გვერდს. თავს ვუფრთხილდებოდი და იმიტომ. ეგება გაგიკვირდეთ და კაცი რომ ქალებმი გაივლის, ჩხუბს რომ ატეხავს, ღობე-ყორეს რომ ედება, აპაპაპა, არაფერი მსგავსი. ხლაფორთში თავის გაყოფას გავურბოდი. ასე მოვალწიე ორმოც წლამდე. ორმოცი რომ შემისრულდა, დავუძახოთ ახლობლებს, ნათესავებსო, — ცოლმა, დაბადების დღის გადახდა რომ იციან, უარი ვუთხარი. ვის რად უნდა ჩემი დაბადების დღე, რომელი უაკ რუსო მე ვარ-მეთქი.

გავწვალდებით ტყვილად და ხალხს მოვინდურებთ. მეტს ვერაფერს გამოვრჩებით ამ ამბავს-მეთქი. რავარც შენ გაგეხ-არდებაო. ცოლიც ჩემნაირი წყნარი მყავდა. ორ სიტყვას არ მეტყოდა ერთიმეორეზე. დავიძინე იმ ლამეს და, ძილში არ გვიპარე? რატომ, რისთვის, რა იყო მიზეზი? ეს ერთი კვირაა, თავს ვიმტვრევ, რაღაც ავადმყოფობა გამომებარა, ალბათ, მარა ყოველ თვეში რომ დავდიოდი პოლიკლინიკაში და ვესინ-ჯებოდი ჩემს ექიმს? ნეტავი, შენსავით ჯანმრთელი მე ვიყოო, ეცინებოდა წნევის გასასინჯად რომ მივიდოდი. თვითონ ლოთია საწყალი, მეორე პოლიკლინიკაში, სოსოია ტაკიძეს იცნობთ ყველანი, მამამისიც ექიმი იყო. ძველი ფერშალი ტაკიძე ომამდე მოკვდაო, ამბობენ, მე საიდან მემახსოვრება. ჰოდა, ეს სოსოია უბედური, გული რომ ხელით ეკავა ყოველდღე, ეს დარჩა ცოცხალი და მე რავაც ხედავთ... ლამით გაპარვა მაინც რა სიკვდილი იყო. დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. არაფერი არ ყოფილა, არაფერი, უარე თავს რამდენიც გინდა, ამენყვიტა უნდა სხვებივით და მეცხოვრა, რავარც სხვები ცხოვრობდნენ.

— გამარჯობა შენი, — კირილე ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა. კაცმა არ იცის, რა ანგარიშით, მოეწონა ევტიხის ნაამბობი, თუ ირონიულად შეხედა საწყალი პარიკმახერის „წესიერ სიკვდილს?

სხვებს არაფერი უთქვამთ. მიცვალებულები დასავლეთისკენ დაძრულ მეწამულ ღრუბლებს შესცექოდნენ და ევტიხიმ რომ დაამთავრა, თავები თითქმის ერთბაშად ჩაჰკიდეს. მხოლოდ ამაზე შეეტყოთ, რომ ყურადღებით უსმენდნენ ნაპარიკმახერალს.

თქმით არაფერი უთქვამთ.



ქოფაკი

ძალლი ზღვას უყეფდა.

ასეთი რამ არც მინახავს და არც გამიგონია.

შავცხვირა, მგლისფერი ნაგაზი, ჩვენ რომ „ქართულს“ ვეძა-
ხით და სხვები „კავკასიურს“, გააფთრებით უყეფდა ზღვას.

თვალი ვერ მოვწყვიტე.

ნაპირისკენ წამოგორებულ, თეთრქოჩორა, ცისფერ გორ-
გალს კბილთა ღრჯენით და ავი ხრიალით დააცხრებოდა, ისე
იყო გაავებული და ისე ძალუმად აწვებოდა სიბრაზე ყელში,
გეგონებოდათ, სადაცაა ბოლმისგან გაიგუდებაო.

ტალღა რომ ფეხევეშ გაეშლებოდა და ხრეშიან ნაპირს
ვეება ენით მოლოკავდა, ზურგშეუქცევლად ამოვარდებოდა
ნაპირზე. კენჭებში თათები ეფლობოდა და ზოგჯერ მალაყს
გადადიოდა, რომ არ წაქცეულიყო.

როცა ტალღა მარილიანი ქაფითა და ხვრიჭის ულარუნით
უკუიქცეოდა, მაშინ უნდა გენახათ, ზღვაზე გამწყრალი ძალლი
აიჯაგრებოდა, კბილებს გამოაჩენდა, ამოიხავლებდა და ისე
დაედევნებოდა, სადაცაა კბილებით წვდება და ნაფლეთებად
აქცევსო.

კარგა ხანს იყო ამ ყოფაში.

დაიღალა, პირზე დუში მოადგა, შიგადაშიგ ენას გადმო-
აგდებდა და ფერდებიანად ქელავდა. მაგრამ უკან დახევას
არ აპირებდა. როგორ თუ ჩემი სრულებითაც არ ეყურებაო,
უფრო გაშმაგებით უყეფდა ზღვას, ზედ აწყდებოდა, კბილების
კაწანით ჰკებენდა ტალღას.

ზღვის შემოტევისას თუ ნაგვემი და წელში გამწყდარი ყა-
ლყზე დგებოდა და განწირული ხმით ყეფდა, სამაგიეროდ,
ტალღა პირს რომ იბრუნებდა, გაათკეცებული ენერგიით
ამოხტებოდა ხრეშიდან და იმედმიცემული, მგონი გავიმარჯ-
ვეო, ქვეყანას იკლებდა; მომეშველეთ არც ეგრეა საქმე, არც
ისე ძლიერია თქვენ რომ გგონიათო.

შემეცოდა. მოვედი და, როგორც იქნა, ტაშის ცემითა და
„ნწუ-ნწუთი“ წამით მოვახედე ჩემკენ. ყურები რომ წინ წამო-
სწია და გაკვირვებით დამაჩერდა – („ამ საქმიდან ჩემი მოცდე-
ნა იქნებაო?“) სეტყვასავით დავაყარე.

– კაი ერთი, თუ ძმა ხარ. შენ, მითაუამიდან ადამიანის
მეგობარს, ამხელა ჭკუისა და გამოცდილების მქონე ცხოვ-
ელს, განსაცვიფრებელი ალლოსა და ყნოსვის პატრონს მეტი
სვენა არა გაქვს, ზღვას უყეფ, ტალღას ერჩი, წყალს მისდევ,
შე კაცო? რა გამოვა შენი თავგანწირვიდან? ხომ ხედავ, ყურ-
ადლებასაც არ გაქცევს. მეცოდები, ხმა ჩაგიხრინწიანდა, ბალ-
ანი დაგისველდა, ენიდან დუში გწვეთავს. დაანებე თავი, წადი
სახლში. საქმეს მიხედე.

ყურადლებით მომისმინა. კუდი გამიქიცნა და აქელებული
ფერდით შარვალზე გამეხახუნა. ყურებს შორის კეფაზე რომ
დავუსვი ხელი, წკმუტუნით ამომხედა და ვეება ენა წამით
შეინახა.

– წავიდეთ, მოვშორდეთ ამ ადგილს. გული რამეს გადა-
ვაყოლოთ. წამომყევი, კედელთან მივიდეთ, ახალ აფიშებს
წაგიკითხავ.

ამის თქმა და ძალლის ასხლტომა ერთი იყო. კენჭები გა-
დაყარ-გადმოყარა, ფოცხვერივით ისკუპა და წყალში შედგა-
ფუნდა. დაჯაგრული, გახელებული, ღრენა-ღრიალით დააფ-
რინდა ტალღას. მოქცევისას წამით შემომხედა და ერთი-ორ-
ჯერ შემომყეფა – აქაოდა, მადლობელი ვარ ყურადლებისთვის,
მაგრამ რა ვენა, შენს რჩევას ვერ მივიღებ, ტყვილად თავს ნუ
შეიწუხებ, შენს გზას გაუყევიო.

მივდივარ და ფეხები უკან მრჩება.

ეჲ, ნეტავ, იმ ძალლის სიჯიუტე, იმ ძალლის არაქათი მო-
გეცა ჩემთვის, ღმერთო.



გული

– ჯოტო ჩემო, – თავმჯდომარის ხმაა, სელექტორის წითლად აკიაფებულ ღილაკს დაცხედე.

– გისმენთ, ვიანორ ბატონო.

– ახლა შენთან თემურ აჯბა შემოვა. ყურადღებით მოუს-მინე, თუ კაცი ხარ. მე თუ მიკითხოს, უთხარი, თბილისში წავიდა-თქო. ახირებული მოხუცია. აუჩემებია, შვილი უნდა ავიყვანოო. რაღა დროს მაგის შვილია, ოთხმოცდათს კარგა ხანია გადაშორდა. ბავშვთა სახლის გამგეს ყური უნდა ავახიო. ჩვენი დადგენილების გარეშე მიუციათ ბავშვი. ერთი თვეა სახლში ჰყავს. აბა? მძიმე მდგომარეობაა, კი. შენ უნდა დაარწმუნო, ბავშვი უკანვე ჩააბაროს. როგორ არა ჰყავს, კაცო. ხუთი შვილი და თერთმეტი შვილიშვილი ჰყავს. გეცოდინება შენ კლიმენტ აჯბა, სპორტკუომიტეტში მუშაობს. გუშინ იყო ჩემთან. იტირა ამხელა კაცმა. გვიშველეთ რამეო. თავი მოგვჭრა მამაჩემმა, ამხელა ოჯახის პატრონები ვართ, ეს გვინდოდა ახლა ჩვენო? ერთი სიტყვით, შენ ახალი კაცი ხარ და შენსას დაიჯერებს. მე არა ვარ, იცოდე, თბილისში გამოუძახეს-თქო.

წითელი ღილაკი ჩაქრა. თავმჯდომარე ჩემს პასუხს აღარ დაელოდა. ეგ არაფერი. კაცმა რომ თქვას, რას ვეტყოდი პასუხად? „კეთილი ბატონო“. მეტს ვერაფერს. ისე, ცოტა არ იყოს, დამამცირებელი კია, ნინასწარ რომ იცი, რაზე შემოდის მთხოვნელი და შენ რა უნდა უპასუხო. მე აქ, მართლაც რომ, ახალი კაცი ვარ. მეორე თვეა რაც აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ განმანესეს და, კაცმა რომ თქვას, ჯერ სკამი არც კი გამითბია. თავმჯდომარე ურიგო პიროვნება არ ჩანს, მაგრამ რაკი ახალგაზრდა და გამოუკდები ვარ, ბევრს არაფერს მეკითხება. ჩემ მაგივრადაც თვითონ ფიქრობს. ხანდახან აღმასკომის სხდომაზე ყასიდად დამიმოწმებს და ღიმილით გადმომხედავს. ცოტა ხანს ვაცლი და ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, მომიწევს ავუხსნა, რომ მე მე ვარ და ის ის არის.

კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. მობრძანდით-მეთქი, გავეცი პასუხი, მაგრამ არავინ შემოდის. კაკუნი განმეორდა. მივედი, კარი გავალე და ნირნამხდარ მოხუცს ხელი გავუნოდე.

– მობრძანდით, მობრძანდით.

სკამი გამოსწია და სანამ დაჯდებოდა, საეჭვოდ ამხედ-დამხედა.

– მშბზიე.¹

– ბზიალა ვააბი² – გავულიმე და სკამზე მივუთითე.

– თემურ აჯბა გახლავართ, თავმჯდომარე მინდოდა.

– იცით რა, თავმჯდომარე თბილისშია. მე მოადგილე ვარ. რით შემიძლია გემსახუროთ?

თეთრ წარბებს ქვემოდან ხანდახან გამწყრალივით გამომხედავს. აშკარად ჩანს, არ მენდობა. მაღალია. თეთრწვეროსანი და წაქისფერთვალება. ცხვირთან ულვაში თამბაქოს კვამლს გაუყვითლებია. მოკლე წვერი აქვს, მაგრამ გულმოდგინედ დავარცხნილი. თავზე ყაბალახი ახურავს. ვერცხლის ქამრით დამშვენებული, ჯიბებიანი ხალათი და გალიფეს ტიპის შარვალი აცვია. ფეხზე წუღა-მესტები. დგას შესახარბებლად წელში გამართული და მიცერის.

– დაბრძანდით, ბატონო თემურ. მე თავმჯდომარის შემცვლელი გახლავართ. ახუბაა ჩემი გვარი.

დაჯდა, ყაბალახს დიდხანს იხსნიდა, გაბურდულ თეთრ თმაზე ხელი ჩამოისვა, ყაბალახი გულმოდგინედ დაკეცა და მუხლზე დაიფინა.

– ბავშვის მეტრიკაზე გეახელით.

– რომელი ბავშვის!

რა საშინელება. თითქოს არ ვიცოდე. მიამიტი შეკითხვები უნდა დავუსვა, რომ მივიჩვიო.

– ჩემი შვილის, ტაიფ აჯბასი. ორი წლისაა.

– მერე აქამდე რატომ არ აიღეთ დაბადების მოწმობა?

თავი ჩაჰკიდა და ეტყობა ინანა, რომ ჩემთან მიეცა საქმე.

– ახლახან ვიშვილე.

1 საღამი.

2 კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

- ვინ მოგაშვილათ?
- ერთი სიტყვით, ემხვარების ტყეში რომ უპატრონო ბავშვებს ზრდიან. კი აღარ ვიცი, ახლა რას ეძახიან საემხვაროს, იქედან გამოვიყვანე წინა შაბათს. ჯიბეში დამალული კატასავით გამოდის, მაგრამ კარგი ბიჭია. ღონიერ ფეხებზე დგას,
- ეს ბოლო სიტყვები მისი შესახედაობისთვის შეუფერებელი სინაზით წარმოსთქვა.
- ბატონი თემურ, ოჯახის წევრები თანახმა არიან?
- მეუღლე თექვსმეტი წლის წინ გარდამეცვალა. მარტოხელა კაცი ვარ.
- შვილები არა გყავთ?
- მყავს, მაგრამ ყველანი სუსუმს გაიქცნენ. ჩათვალეთ რომ არა მყავს. მარტოხელა კაცი ვარ.
- მაპატიეთ, მაგრამ, შვილებს უნდა დავეკითხოთ. აენთო, წამონითლდა.
- რა უნდა ვკითხო? ოჯახის უფროსი ჯერჯერობით მე ვარ.
- ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და მემკვიდრეობის საკითხია.
- მე ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ, სიჩქუნ¹, და როცა ალაპის ნებით წავალ იმქვეყნად, ყველაფერს ჩემს უმცროს შვილს – ტაიფ აჯბას ვუტოვებ.
- რამდენი წლის ბრძანდებით?
- ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჯერჯერობით თოხის მოქნევა შემიძლია.
- მინდა ავუხსნა, რომ შვილად აყვანის დროს მშობლის ასაკ-საც მნიშვნელობა აქვს. მართალია, აღმასკომი ზოგჯერ გამონაკლისს უშვებს, მაგრამ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს სხვა შვილი არა ჰყავს და მოხუცებს წყლის მიმნოდებელი არავინ რჩებათ. აქ კი სხვა შემთხვევაა. ღვთის წყალობით თემურ აჯბას ხუთი შვილი და თერთმეტი შვილიშვილი ჰყავს.
- ხომ არ გაგაბრაზეს შვილებმა, ბატონი თემურ?
- ჩემი გაშინაურება ეხამუშა.
- მე თქვენთან საჩივლელად და საწუნუნოდ არ მოვსულვარ. ეგ ჩემი საქმეა. მომცემთ თუ არა მეტრიკას?
- დაბადების მოწმობა აღმასკომის დადგენილების შემდეგ გაიცემა, მაგრამ ეჭვი მეპარება...
- რაში გეპარებათ ეჭვი?
- რომ აღმასკომი თქვენს თხოვნას დაკამაყოფილებს. ჯერ ერთი, ხანდაზმული ბრძანდებით და მეორეც... თქვენი კანონიერი შვილები...
- მომისმინე, უხანკუ¹. როცა თქვენ გჭირდებათ, ეს ჩემი ხანდაზმულობა ღირსებაა და როცა მე მჭირდება, მძიმე სენი? წადი და გაიკითხე: თემურ აჯბა რა კაცია-თქო. ახლა თქვენს კარზე იმიტომ მოვედი, რომ ტაიფ აჯბა წიგნის გარეშე არ დამრჩეს. უმეტრიკოდ სკოლაში არ მიიღებენო, თორემ რაში მჭირდება თქვენი დადგენილება. ჩემი ჭკუით მე კიდეც დავადგინე და კიდეც გავათავე.
- ასე ხომ არ არის. თუ აღმასკომმა მხარი არ დაგიჭირათ, ბავშვს ჩამოგართმევენ.
- თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ, მაგრამ იმაზეც იფიქრეთ, რომ თემურ აჯბას ჩახმახის გამოკვრა ჯერ კიდევ ძალუძს, გეყოთ, რაც წაიღეთ.
- ერიპაა, შორს გაუტია. მართლაც რომ ჯიუტი მოხუცი ჩანს, რა ვენა ახლა, რა ხერხს მივმართო. რა ცეცხლში ჩამაგდოთავმჯდომარემ. ეტყობა, იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და იმ ანდაზისა არ იყოს, მე მნახა დიდთავა ბუ.
- თითების ნერვიული მოძრაობით გულისჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, განზე გაიხედა და ჩაბერა. გალიფეს ფართო ჯიბიდან სათუთუნე ქისა დააძრო. რამდენი ხანია აღარ მინახავს ეს ძველებური, აბრეშუმნარევი ატლასისგან მოქსოვილი, ლალის პანაზინა მძივებით გაწყობილი სათუთუნე ქისა. თუთუნი ცერა თითით გულმოდგინედ ჩატენა ჩიბუხში და რომ მეგონა, ახლა კვეს-აბედს ამოიღებს-მეთქი, ჩემს მაგიდაზე ასანთს მიწვდა, მოუკიდა, გაჩაღებულ ჩიბუხს თავისი ფართო და უხეში ცერა თითი რამდენჯერმე კიდევ დააფარა და ცხვირპირიდან ერთდროულად გამოსული ცისფერი ბოლი მარცხენა ხელით დაიქნია, რომ ჩემკენ არ წამოსულიყო.

¹ შვილო.

¹ ბატონო.

ვზივართ და მდუმარედ შევცქერით ერთმანეთს.

- შენი სახელი?
- ჯოტო.
- შეილო ჯოტო, თუ გაქვს დრო, ცოტა ხანს მომისმინო?
- ბრძანეთ-მეთქი. – თავი დავუქნიე.

ერთხანს მიყურა. ჩანს გადაიფიქრა, წამოდგა, ყაბალახი მხარზე გადაიგდო.

– არ ღირს, შენ ვერ გამიგებ. თავმჯდომარე როდის ჩამოვა? უფრო იმ აზრმა დამწყვიტა გული, რომ მოხუცმა მისი გასაჭირის „ვერგამგებად“ ჩამთვალა. სახეზე წამოვპილპილდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. მაგიდას შემოვუარე, თემურ აჯბა ლამის ძალით დავსვი სკამზე, გვერდით მივუჯექ და ვთხოვე, გულახილად ეამბნა ყველაფერი, რაც აწუხებდა.

– ჩემი გვარი მეჯოგეობით განთქმული გვარია. ჯერდის გაღმა, მთებში ვცხოვრობდით. გუშინდელივით მახსოვს, ოთხმოცი წლის ამბავია, უამრავი თხა ჰყავდა მამაჩემს და აჯბების ძროხას რომ ეძახიან, წითელი, გრძელბენვა, რამდენიც გინდა. ათიოდე წლის ბიჭი ვიყავი მაშინ, რომ ავიყარეთ და ბარად დავსახლდით. თვალწინ მიდგას: ვიწრო ხეობაში მივერეებოდით ნახირს. თხის ჰეტელი და ძროხის ბლავილი იკლებდა იქაურობას. ცხენზე ამხედრებული ქალები ბილიკს მიჰყვებოდნენ. მამაჩემის გვერდით მივაბიჯებდი და თხილის შოლტს მივიქევდი. მამაჩემი მეუბნებოდა მაშინ, კარგი ვაჟუაცი იყო, აცხონოს ღმერთა ტაიფ აჯბა, მთელს აფხაზეთში განთქმული თხის ყველითა და ჯომარდობით. მეუბნებოდა, ბაბუაშენიც ასე აიყარა მიუვალი მთებიდან და ქვევით ჩამოსახლდა. ახლა ჩვენ უფრო ქვევით მოვიწევთ. ბარის კაცი იქნებიო. მე არც მიზეზი ვიცოდი მაშინ ჩვენი ჩამოსახლების და არც დიდად მაინტერესებდა. მომწონდა კიდეც, რომ სხვა ადგილას დავსახლდებოდით. ჩამოვალწინეთ ბარად. სამი-ოთხიოდე მოსახლე ცხოვრობდა მაშინ ჯგერდაში. სამოსახლო ადგილი თვითონვე ავარჩიეთ მუხნარში, ვაკეზე, ის ღამე ცის ქვეშ გავათიეთ. მეორე დღეს ნადი ვიხმეთ და საღამოსთვის უკვე ისლით გადახურული ფაცხა გვედგა. ერთი წელი მოთავის მამაჩემმა იმ ფაცხაში, მერე ჩვენ ბარში დაგვტოვა, თვი-

თონ ჯოგი გაირეება და ისევ ძველ ადგილს, მთას მიაშურა. ჩამოდიოდა მთიდან და ოფლისა და წვიმის სუნით გაუღენ-თილ ნაბადს თავზე გადამაფარებდა. როდის იქნება ამ ნაბადს რომ გამართავო. ჩამოჰქონდა ცხენებით ყველი და ოჩამჩირის ბაზარზე მიჰქონდა გასაყიდად. გაყიდვაში მეც ვეხმარებოდი. ცოლსათხოვი ჯეელი გახლდით, ერთ დღეს მამაჩემი ურემზე გადებული რომ ჩამოასვენეს მთიდან. აბრაგებს მოეკლათ. ეს ყველაფერი რევოლუციამდე მოხდა. დავასაფლავეთ მამაჩემი და მეორე დღესვე ავუყევი მთას, მივეპატრონე მამაჩემის ჯოგს. მოვიგდე მხარზე მეჯოგის ნაბადი. ოცდასამი წლისამ ცოლი შევირთე. რა გასახსენებელია, მაგრამ მაინც გეტყვი, სიტყვას მოჰყვა. ჯარიანობაზე კოჩა ქეცბას ქალიშვილს დავადგი თვალი. ერთ კვირაში მოიტაცა ჩემმა ძუძუმტემ, რაულ ქეცბამ, ის გოგო და მთაში ამომგვარა. მაშინ ასე იყო. უბრალო საქმე იყო ცოლის შერთვა. მოსალოგინებლად გავისტუმრე ცოლი ბარში და იმ ღამეს აბრაგები დამეცნენ. მარჯვედ დავუხვდი. ერთი შემომაკვდა და მეორემ, დაჭრილმა, თავს უშველა, იმის მერე აბრაგები სათოფედ არ გამკარებიან. ვცხოვრობდით ასე, მეჯოგის ცხოვრებით. ზაფხულობით მთელი ჯალაბი ჩემთან იყო. ზამთარში მარტო ვრჩებოდი საქონელთან. ახალი დრო დადგა. ბაბშვები სკოლაში წავიდნენ. თავს არ ვზოგავდი, რომ ჩემზე მეტი თხა-ძროხა სხვას არ ჰყოლოდა. თხის საყიდლად მთაში ამოსულ სტუმარს ერთ თხას იქვე დავუკლავდი, ერთ თხას ჰატიოსან ფასში მივყიდიდი და, თუ ძალიან მომეწონებოდა, თიკანსაც ვუფექსებდი. ერთ უბედურ დღეს ტყავისჯუბაჩიანმა ჯგერდელებმა ამომაკითხეს. რვანი იყვნენ, ცხენები ბოსელს მიაბეს და პირდაპირ ჩემკენ წამოვიდნენ. დილა იყო. თხას ვწველიდი. შუალამისას გამოსულები უნდა ყოფილიყვნენ სოფლიდან, რომ ასე ადრიანად ამოეღნიათ. თემსაბჭოს გადაწყვეტილება წამიკითხეს, კულაკი ხარო. კულაკი რას ნიშნავს-მეთქი, მართლა არ ვიცოდი. ბევრი თხა და ძროხა გყავსო. მერე ცუდი რა არის-მეთქი ამაში? ბევრს ნუ ლაპარაკობ, შე წურბელა, შენაო, შემიბლვირა კაკი ახუბამ, თემსაბჭოს მდივანი იყო, კოჭლი ახუბა, ჩვენი სოფლიდან პირველი ის ჩამოკიდეს ოცდაჩვიდმეტში. ფაცხამდე მანძილი

თვალით გავზომე. თოფის გამართვას ვერ ვასწრებდი. საერთოდ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. ვიყო, ბატონო, კულაკი, ახლა რა გნებავთ-მეთქი. რა და ნახირი უნდა ჩამოგართვათო. მთლიანად-მეთქი? იმდენს დაგიტოვებთ, რამდენიც საჭიროაო. გაირეკეს ეს ამოდენა ჯოგი წინ, შვიდიოდე თხისა და ორი ძროხის ამარადამტოვეს. გაირეკეს და წავიდნენ. სიმწრისაგან მიწას ვფხოჭნიდი ფრჩხილებით, მაგრამ რა გზა მქონდა. მერე ომი დაიწყო. ცხრა შვილი მყავდა მე. ცხრავე ბიჭები. ოთხს მოუნია ჯარმა. ოთხივე დაიკარგა. ხუთი პატარები იყვნენ და არ წაუყვანიათ. მეც ხანდაზმულობამ მიშველა. ომის მერე ისევ გავიმართე წელში. აჯბების ჯოგი ისევ გავაცოცხლე და გავამრავლე, ისევ ჩავაკითხე ოჩამჩირის ბაზარს ყველითა და თიკან-მოზრებით. გამოხდა ხანი და ისევ ამომაკითხეს საბჭოს ბიჭებმა. პატივს გცემთ, თემურ აჯბა, მაგრამ დადგენილება, ერთ ძროხას და სამ თხას უნდა დაჯერდეო. ვინ დაადგინა? რატომ? ვინ დააქცია ჩემი ოჯახი-მეთქი? ბევრი ვითავცემე, მაგრამ ამა-ოდ. წართმევით, ცოდოს ვერ დავიდებ, არ წაურთმევიათ, წინადადება მომცეს, ორ კვირაში შეასრულე ჩვენი ბრძანებაო. ჩამოვრეკე ბარად ნახირი, ზოგი გავყიდე ჩალის ფასად (ყველა ყიდდა და იაფი იყო), ზოგი გავაჩუქე და დავრჩი ერთი ძროხის შემყურე. მის მერე მთაში აღარ ავბრუნებულვარ. რა მინდოდა. აჯბების ჯოგი სამუდამოდ ჩაბარდა. ეს ყველაფერი იმიტომ გიამბე, შვილო, რომ გაჭირვება ბევრი მინახავს, მაგრამ ახლა რომ მიჭირს, ასე არასოდეს გამჭირვებია. ამ ბოლო დროს ხელს აღარ გვიჭერენ, ჩვენს ეზო-ჯიბემი აღარ იყურებიან და პატარა იმედიც გამიჩნდა გულში. მე ძველი, კერკეტი კაცი ვარ და ერთი წამოდგომა იქნება კიდევ წამომედგა ფეხი, იქნებ ისევ გავყოლოდი უკან აჯბების წითელ ძროხებს კომბლით ხელში, მაგრამ ცოლი მომიკვდა, ეგეც არ გამკვირვებია. ჩემი ხნის კაცს ან ცოლი უნდა მოუკვდეს, ან თვითონ უნდა წაილოს იმქვეყნად წერილი. ჩემი გასაჭირი ის გახლავთ, რომ შვილებმა მიღალატეს. მარტო დავრჩი. მარტო სხვა დროსაც ბევრჯერ ვყოფილვარ, მარტო შევბმივარ დათვს და აბრაგებს, მაგრამ ახლა ის თემურ აჯბა აღარ ვარ. ხუთი შვილი. ხუ-

თივე ქალაქს გამექცა. ყველამ უგანა თოხსა და ბაწარს. ერთი შვილიშვილი მაინც დამიტოვეთ, ამხელა სახლ-კარს მიხედვა ხომ უნდა-მეთქი. გაგონებაც კი არ სურთ. ყველამ სუსუმს და ოჩამჩირეს შეაფარა თავი. ხანდახან კვირაობით ჩამოირბენენ ამფსონებით. ბაზარში ნაყიდ ხორცს გამოიღებენ მანქანიდან. ფაცხაში შუაცეცხლს გააჩალებენ. მე ჩოხა-ახალუხში გამომაწყობენ და დამსვამენ მაგიდასთან. „ჩვენი ასი წლის მამა, ჩვენი ხანდაზმული მამა-ბატონიო“, თავი მოაქვთ სტუმრებთან. მეც ვზივარ გაყინჩული და არტისტივით ვთამაშობ დღე-გრძელსა და ბედნიერ კაცს. ვის უნდა ეს თვალთმაქცობა. წაიკრიფებიან საღამოს და ვრჩები მარტო ჩემს დარდებთან. შიში მიპყრობს. იმის შიში კი არა, უპატრონოდ რომ მოვკვდები და გულზე ხელის დამკრეფი არავინ მეყოლება. ყველანი წავალთ, მე იმის შიში მკლავს, ადრე თუ გვიან მამალი რომ აღარ იყიდებს ჩემს ეზოში, კვამლი რომ აღარ ამოვა ჩემი ბუხრიდან.

კაცი ახე¹ როდია, ჩემო ჯოტო, ჩენწო შემოახმეს და მთელი დარჩეს. ღმერთის ისე მოუწყვია ჩვენი საქმე, რომ გული ხორცზე ადრე ცვდება და სმება. გამოხრულ, დადუმებულ გულს კი ვერა შელოცვა ველარ აამუშავებს. სწორედ რომ გულს მიხრავს ის, რაც ჩემს თავზე ხდება. სიტყვით ყველანი კაი ბიჭები არიან. გულზე ხელის ბრაგუნი და შეძახება თქვენი მოსაწონი იციან, მაგრამ საქმე? საქმე რა არის, იცი, ბაბა? კერია არ გააცივო, ბალახი არ ამოვიდეს შენს კიბეზე. რად გინდა სკოლის ლამაზი შენობა, ბალლებით თუ არ არის სავსე, რად გინდა პანთეონი, ახალ მკვდრებს თუ ვერ მიუმატებ. დიდი იმედი არც იმის მაქვს, რომ ჩემს ეულ საფლავს ბალახის გადამცლელი ეყოლება ხვალზეგ. და ამას მე ვამბობ, სიჩუნ, მე, თემურ აჯბა, რომელმაც ცხრა შვილი გავზარდე, და ბოლოს მაინც მარტო დავრჩი.

კაცი უნდა, პატრონი უნდა სოფელს, უკაცო ფაცხაში თაგვები „ვოისარადას“ მღერიანო, ხომ გაგიგონია. კი, მართალია, ბევრჯერ გავიტყდა გული, ბევრი ვიროკეთ აუწყობელ ჩონგურზე, შეცდომის ბრმა ჯოხიც ბევრი გადატყდა ჩვენს თავზე, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია? ჩვენ

1 წაბლი

ჩვენი გზით უნდა ვიაროთ, ჩვენი ვალისგუდა გვკიდია ზურგ-ზე, სოფელი უნდა გავაღონიეროთ, მტერი არ გავაცინოთ. რას იტყვიან ასი წლის მერე მოსულნი; რაღაცის თუ ვილაცის გამო გაწყრნენ ჩვენი მამა-პაპანი და სოფელს ზურგი შეაქციესო. მტრისას თოხს და კომბალს გაბუტული გლეხი. ვის ემართლები, შენსავე ლეიძლს, შენსავე სტომაქს?

ოცდახუთში, კვირა დღეს, დიდი ქეიფი გვქონდა. სტუმრები ჰყავდა ჩემს კლიმენტს უზბეკეთიდან. სხვა შვილებმაც ამომაკითხეს. დიდი სუფრა გაიშალა. ბავშვები ხეებს მოედვნენ. ტაშფანდურა არ მოშლილა მთელი დღე ჩემს ეზოში. გავცოცხლდი კაცი, მარა რად გინდა. სალამოსკენ ყველამ თავისი „უიგული“ მოძებნა. სუფრის ალაგებაც კი არ გაახსენდათ ჩემს რძლებს. გამომშვიდობება დიდებული იციან. „აბა, შენ იცი, მამა, წყნარ-წყნარად იარე, თავი არ გაიცივო“. მეც ვილიმები, თავს ვუწევ, სტუმრებს დარბაისლურად ხელს ვართმევ, აფხაზურ დღეგრძელობას ვუსურვებ ყველას. გაიკეტეს ჭიშკარი და წავიდნენ. შემობრუნებისას ცოტა ხანს სარკის წინ ვიდექი, ჩოხა-ახალუხში გამოწევილ ჩემს თავს ვუცქეროდი და, იცი, შემრცხვა. სირცხვილი კი არ იყო ეს, შემეცოდა და შემძულდა ჩემი თავი. რას იმანჭები და იგრიხები, რას მაიმუნობ, ანდაზებით ლაპარაკობ და გრძელ სადლეგრძელოებს ჰყვები, კი არა, უნდა ყმულდე მგელივით, უნდა ღრიალებდე ხაფანგში მოყოლილივით, ასეა-მეთქი ახლა შენი საქმე, ჩემს თავს ვუთხარი. ჩოხა-ახალუხში და წულა-მესტები ბუხარში შევტენე და ცეცხლი წავუკიდე. პერანგისამარა გამოველ გარეთ, სუფრა ავალაგე და დიდხანს მთვარეულივით დავბორიალებდი ეზოში. მთელ ლამეს წვიმდა, ძილი არ მომეკარა. ერთი პირობა გადავწყვიტე, გადავწვავ სახლ-კარს და გადავიკარები მთებში ისე, რომ ჩემი ბურდლა ვერავინ იპოვოს-მეთქი, მაგრამ ესეც სისულე-ლედ მივიჩნიე. დილაუთენია გამოველ გარეთ. ოჩოფეხებით გავიარე ტლაპო. პირველ ავტობუსს დავხვდი და ცხრა საათი არც კი იყო, ბავშვთა სახლის კარებზე რომ ვაკაკუნებდი. ავუხსენი დირექტორს: ასე და ასეა ჩემი საქმე, ბიჭი უნდა ვიშვილო დღესვე, თორემ რაღაც უბედურებას ჩავიდენ-მეთქი. გამგებიანი კაცი აღმოჩნდა. ორი წლის ვარსკვლავივით ბიჭი გამომიყვანა. მამაჩემის სახელი ტაიფ აჯბა დავარქვი. გავზ-

რდი და კაცად გამოვიყვან. არაფერს მოვაკლებ. მეზობლის გოგო მეხმარება ვითომ, მისი ჭკუით, შემოდის ხანდახან. რად მინდა, ბავშვის მეტი რა გამიზრდია. მარტოც მშვენივრად ვუვლი, თხის რძით ვზრდი. თხის რძე ბავშვს ძვლებს უმაგრებს. დავწყნარდი კაცი. თითქოს ლოდი გადამვარდა გულიდან. კლიმენტი დაბუზლუნობს მარტო, თორემ სხვებმა მშვენივრად მიიღეს ტაიფ აჯბას მოსვლა ჩვენს სახლში. ვახტანგის ცოლს (მეტავია სუხუმში, ვახტანგი) მკერდიდან არ მოუცილებია. იქნება ჩემთან ტაიფ აჯბა, სანამ ქალაქი თოკებით დაქაჩავდეს. სკოლის დამთავრების მერე საქმეზე დავაყენებ, თუ ივარგა, სოფელშივე გავუჩენ საქმეს. ყველანაირად ვეცდები, თავისი უფროსი ძმების კვალს არ გაყვეს. ცოლს ადრიანად შევრთავ. მერე? ალბათ მეც აღარ ვიქნები ცოცხალი. ასეა ჩემი საქმე, ჯოტო ბატონო. შენ მეუბნები, ბავშვს არ დაგიმტკიცებენო. ვინ ასწევს ხელს, ვის გაუწყრება ლერთი; მართალია, დავარდნილ ცხენს ბუზები უფრო ეტანებიან, მაგრამ ჯერ არც ისე დავარდნილა თემურ აჯბა, რომ თავისი წილი სამართალი ვერ გაიჩინოს.

ეს ბოლო სიტყვები მუქარაგარეულად თქვა. ჩამქრალი ჩიბუხი საფერფლეზე გადმოფერთხა და ახალი აღარ გაუწყვია. ჩიბუხს ლონივრად ჩაბერა და ჯიბეში ჩაიდო.

— განცხადება დანერილი გაქვთ? — ვკითხე.

— კი. კანცელარიაში დამატოვებინეს, თუ არ დაკარგულა. როგორ იქნება ჩემი საქმე? — შიშით გადმომხედა.

— წაბრძანდით და პარასკევს, თუ არ შეწუხდებით, გამოიარეთ, თემურ ბატონო. კიდეც რომ გადამაყოლონ ტაიფ აჯბას საქმეს, იცოდეთ, ისე გადავწყვეტთ, შენ რომ გინდა.

— თავმჯდომარე?

— მე ავუხსნი ყველაფერს. შენ ფიქრი წუ გაქვს.

კართან ყოჩალად შემოტრიალდა, ორივე ხელი ჩამავლო მხრებში, ჯერ თვალებში ჩამხედა, მერე მკერდზე მიმიკრა და მხარზე მაკოცა.

— ვაჟკაცი ყოფილხარ.

ცრემლი უბრწყინავდა წაქისფერ თვალებში.



ცრემლი სად არის

ულელტეხილს რომ გასცდები, ვეფხვის ნაწოლს რომ ეძახიან, იმ მინდვრამდე სანამ მიხვიდოდე, შუაზე გახლეჩილი კლდე არ არის? ზედ გზაზე გადმოვარდნილი კლდის ძირას, ჩემოდანზე ყაბალახიანი ბერიკაცი იჯდა, ეტყობოდა, ჩემი ყურადღების იმედი არ ჰქონდა, ხელიც არ აუწევია.

აქ ახლომახლო სოფელი არსადაა, მუხურიდან რომ იყოს, რაღა აქ ამოვიდოდი, ავტობუსის გაჩერება იქვე, კოლმეურნეობის კანტორის წინაა, ჩავხტი და ბარგის ამოტანაში დავეხმარე. ტყვიასავით მძიმე ჩემოდანი, თავნაქსოვილი კალანჩხა, საგულდაგულოდ გამოკრული ფუთა... ერთი სიტყვით, ოთხი ხელი ტვირთი წამოულია. ან რანაირად მოათრია აქამდე? ჩემ გვერდით, ტრიალაზე დავსვი. უკან არც მოუხედავს, მადლობაც კი არ უთქვამს. სავარძელში მოკალათდა თუ არა, გზას მიაცივდა, ოთხმოცს არაფერს დააკლებს, თეთრი წვერ-ულვაში აბურდვია. მარჯვენა ხელი წვერში აქვს შეყოფილი და მარცხენა, დამჭკნარი და დაძარღვული, მუხლზე უდევს.

– თბილისში, ბატონ?

– ა? მე მითხარით? – დაქაჩული უპეებიდან რულჩამდგარი თვალებით ამომხედა.

– თბილისში მობრძანდით-მეთქი?

– უფრო იქით, მოსკოვში, თუ მივუსწარი თვითმფრინავს.

– რომელზე მიფრინავს?

– ხუთზე.

ახლა პირველის ნახევარია, ოთხზეც რომ ვიქნეთ თბილისში, მაინც ვერ ასწრებს. აეროპორტამდე ნახევარ საათს მაინც დაკარგავს. ტაქსს შენ გემოზე ხომ ვერ იშოვი. თანაც ამ ბარგის ახორხოლ-ჩამოხორხლება არ გინდა?

– კაი გაბედვაა ამ სიცივეში მოსკოვში გასეირნება.

– ა? მე მითხარი? – ისევ სწრაფად დაუბრუნდება გზას, თითქოს ეს ამხელა „იკარუსი“ მე კი არა, ამ მოხუცს მოჰყავდეს.

– მოსკოვში სასეირნოდ არაა-მეთქი კარგი დრო, ეცივება!

– ისე ისეირნა, შვილო, შენმა დამაწყევარმა, მე რომ სასეირნოდ მაქვს საქმე.

– ხომ მშვიდობაა, ბატონ?

– მშვიდობა რომ იყოს, რა მინდა ახლა მე, ამ ხნის კაცს, მოსკოვში. რაღა დროს ჩემი მოსკოვია. ჩემი მოსკოვი ანი ოთხი ფიცარია, შვილო, მაგრამ არ მოგასვენებს თურმე, რაც განერია, სანამ არ შეგისრულებს, არ მოგეშვება წუთისოფელია, ღმერთია, თუ რაღაც ჯანდაბა. რასაც უკავია ეს ქვეყანა. არ უნდა თქვა კაცმა არასოდეს, თურმე, გაღმა ვარ ანი გასული და არაფერი მიჭირსო. არც ის უნდა თქვა, ჩემი გავაკეთე და დავისვენებ ანიო. როდის რა გინევს და სად გიყელებს უკულმართი ბედი, არ იცი თურმე. პატარა გაახარებს კაცს და ზოგი ასე ატროკედება ამ სიხარულით, რომ ვარსკვლავებს შეეპოტინება. ხვალ რა ელის და რას უმზადებს წუთისოფელი, ამაზე არ ფიქრობს. ჩვენ ტანჯვისთვის გაგვაჩინა ღმერთმა და ეს უნდა იცოდეს თურმე ყველა კაცმა. ბედნიერი ვარო, არასოდეს უნდა დაიჯერო, თორემ მერე გაგიჭირდება უბედურების გადატანა. უბედურება კი, ჩემო ბიძია, შენს ერდოზე ზის, სულმი გყავს, შენს მხრებზე უწყვია ხელები. გენიოსია რუსთაველი, აბა რა არის: „საწუთო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების, ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქაბედებისო“. ეს უნდა გენეროს გულისფიცარზე, თუ გინდა ცოტათი მაინც შეამსუბუქო წუთისოფლის წელში გამწყვეტი ტვირთი. რა უბედურია თურმე თავდაჯერებული კაცი, რა სასაცილოა გამძლარის და კმაყოფილის ყურთბალიშზე თვლემა. ერთხელ გავიფიქრე, ანი რაღა მიჭირს, სამოცდაათს გადავშორდი და ლომივით შვილი მადგას თავზე-მეთქი და მაშინაც არ მაპატია, არ შემიცოდა, სანამდე მე – სიკვდილი ვარსებობ, გული საგულეს რანაირად ჩაიდევიო, რანაირად წაუყუჩდი წუთისოფელს და რა იმედით წაუმლერეო.

რამე დანაშაული რომ მიმიძლოდეს, სამაგიერო გადამიხადა-მეთქი და, თავს ცოტათი მაინც დავიმშვიდებდი. ამ ხნის მოვიყარე და ცოდვა არ მიმიძლვის, იმ ერთ შვილს ვფიცავ, არც ღმერთისა და არც კაცის წინაშე. რაღა ჩემი სიბერე უნდა

გამნარებულიყო. ჰელელა და ქარაფშუტა არ ვყოფილვარ, სხვისი არაფერი შემხარბებია, გაჭირვებულს მივხმარებივარ, წყალწყალებულისთვის მიშველია; რა ვიცი, მეტი რა უნდა მექნა, რა შემძლო... .

ამ თვეში მეორეჯერ მივდივარ მოსკოვში. ხუთი თვეა, ორმოცი წლის ბიჭი საავადმყოფოში მიწევს და სიკვდილის ფერი ადევს სახეზე. ხუთი თვეა, ჩემს პირს ღიმილი არ გაჰკარებია. ცოლი დარდისგან ლოგინად ჩავარდა, რძალი მესამე ბავშვზეა ფეხმიმედ, ის უბედურ დღეზე გაჩენილი, და მოსკოვში კი არა, მეზობლებთან გადასვლაც უჭირს. რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი. ეს ერთი მყავს, გავზარდე წესიერად, ვასწავლე, დავაქორწინე, შვილიშვილები დამესია, რძალიც კარგი შემხვდა, ჩვენებურ კაცს მეტი რა უნდა, ბედნიერი მეგონა ჩემი თავი, ანი ალარაფერი მიჭირს-მეთქი. ესეც შენი ბედნიერება! ჯანით სავსე ბიჭი იყო. ყურძნით პირთამდე სავსე გოდრებს მარტოკა ატრიალებდა. ერთ კვირაში კომშისფერი გახდა. ვეუბნებით, რა მოგივიდა, რა ვიცი, მე ვერაფერს ვგრძნობო. ჰაი ექიმი, ჰაი საავადმყოფო. ამბულატორიის ექიმმა, ალბათ მიწაზე იწვა და რამე აჰყვებოდაო, რაიონისამ, ღვიძლის მიზეზიაო, აყლაპეს და აყლაპეს წამლები. წესიერად არავინ გამოიკვლია. არ იციან, შვილო, არაფერიც არ იციან... ჯერ ექიმი ვერ ვნახე, რომ ეთქვას, ამ ავადმყოფობისა მე არა ვიცი რა, ამასთან და ამასთან მიდიო. ვისთანაც მივედით, ჩემი შვილი ყველას ავადმყოფი გამოდგა. ზოგმა ესაო, ზოგმა ისაო, ყველამ თავისი მეტრით ზომა და თავისი წამლით უმასპინძლა. არადა, ეს ჩემი სიმწრით და სილარიბით, ვაინაჩრობით გაზრდილი შვილი, შე კაი კაცო, კურდღლელი ხომ არ არის, საცდელ-სასინჯად გამოგადგეს? სამ თვეს თბილისში გვერდვა, როგორც იქნა, დაადგინეს, სისხლი აქვს გაფუჭებული და მოსკოვში წაიყვანეთო. მოსკოვში კიდევ, აქამდე სად იყავით, სანამ სისხლი თითქმის განყალდებოდა, რატომ არ უშველეთო. ჩვენ, აბა, რა ვიცოდით. ახლა ვითომ სწორად მკურნალობენ? თავს ვიმშვიდებთ, თორემ ჯერ უკეთესობა არაფერია ჩვენკენ. მტერს ნუ გამოაცდევინოს ლერთმა, რაც მე მჭირს. გული ხომ გაგლეჯილი მაქვს. იქეთ წავალ, აქეთების ჯავრი მკლავს.

აქეთ ვარ და, ასე მგონია, მე რომ თავზე ვადგევარ, რაღაცას ვშველი-მეთქი და შინ ვერ ვჩერდები. ქვეყანას თავი მოვაბეზრე. არ მეგონა, თუ ამდენს გავუძლებდი. რკინა ვყოფილვარ, როგორი ასატანია საავადმყოფოს კართან ყურყუტი, მარტო მან იცის, ვისაც გამოუცდია.

ჩემს ცხოვრებაში არავისი არაფერი შემხარბებია-მეთქი, გითხარი და, ეტყობა ნერვებმა მისუსტა ამ ბოლო დროს. დღევანდელი ამბავი უნდა გითხრა. ამ დილით ვენახბოლოზე რომ ამოვიარე, თხრილის გაღმა, ზღვაში ბალაზზე ოთხი კაცი იწვა. იქვე საბარებო მანქანა იდგა. ეტყობა, ყურძენს ეზიდებოდნენ, მერე სადმე შეზარხოშდებოდნენ ალბათ, მარცხი არ შეგვემთხვესო და გადაწყვიტეს, მანქანა დააყენეს და ბალაზზე წაიძინეს, ახლა ღამე ცოტა ცივა კიდეც. რთვილსაც წამოჰკრავს აქა-იქ. შევშინდი, ვანჯლრიე ხან ერთი, ხან მეორე. თქვენც არ მომიკვდეთ, გვერდიც არ იცვალეს. ერთს გავაღვიძებ და სანამ მეორეს ვანჯლრევ, იმ ერთს უკვე სძინავს. დავანებე თავი და ჩემს გზას დავადექი. შემხარბა იმათი ძილიცა და არხეინობაც, სიმთვრალეც და ჯანიც. ღმერთმა ფრჩხილიც ნუ წამოატკივოთ და ჩემსას რა დოზანა აჰყვა ისეთი მინიდან, სისხლს რომ უშრობს და სიბერეს მიმწარებს. ახლა რა ვიცი, ვითომ ცოტა უკეთესობაა, შეიძლება მთლად განწირული არა ვარ.

გაგიკვირდა, ალბათ, წაჩერთან რომ დამინახე. გეტყვი ახლავე და გამამტყუნე, თუ კაცი ხარ. პირველ ავტობუსს გამოვყევი სისხამზე. ცოტა ადრე ჩავალ თბილისში-მეთქი. ადრე წასვლა სჯობია მგზავრისთვის, რა იცი, რა შეგემთხვევა. ახლა ბილეთს ავტობუსში არ ყიდიან, მოგეხსენება, გუშინ ავიდე სალაროში, მაგრამ რა ვიცოდი, ამ ფუთას და კალანჩხას თუ მატანდნენ? დამიწყო ლანძღვა შოფერმა – ასე, შენი ხნის ბიჭი იყო – წახევარი ტვირთი უფასოდ მიგაქვსო. გადამახდევინე, შე კაცო. აგერ არა ვარ-მეთქი? უფლება არა მაქვსო. რა ვქნა აბა-მეთქი. რაც გინდათ, ის ჰქენითო. გავაჩერებინე ავტობუსი და ჩამოვხტი ძირს.

არა, არა, შვილო. ასე არ შეიძლება. ჩვენ თუ არ ვივარგეთ ერთმანეთისთვის, უფრო გამნარდება ეს წუთისოფელი.

რაღაცა შელავათი უნდა გამოვძებნოთ. ტკბილ სიტყვას მაინც რა უდგას წინ. ხომ გაგიგონია, თათარმა უთხრა თათარსაო, შენც ალა დამიძახე, მეც ალას დაგიძახებ და ორივე ალა ვიქნებითო. ისეთი დრო მოდის, ისე მოგვერია ეს მანქანები და ისე ვშორდებით ერთმანეთს, რომ თუ რამე გადაგვარჩენს, მეტი სიყვარული და კაცის თაყვანისცემა გადაგვარჩენს. მომაკვდავ შვილთან რაღაც მიმაქვს, ყველაფერს ხომ ვერ აგიხსნი და მოგიყვები, ჩემი ხნის კაცი რომ გზაზეა აღოლებული, ამხელა ჩემოდანს რომ მიათრევს და სახე ჩამოსტირის, ამან რაღაც არ უნდა გითხრას? შენით ვერ უნდა მიხვდე ცოტას მაინც?

ერთბაშად გაჩუმდა და გზას დააჩერდა.

ხმას არ ვიღებ.

რა უნდა ვუთხრა?

თავად უკეთ იცის ყველაფერი.

ჩემგან ახლა გულის გაკეთებაც ფუჭ საქმედ მიჩანს. რამდენი ამნაირი კაცი მიისაწყლება, ღმერთო, ახლა, ამ წუთში, თავის ბედუკულმართ გზაზე!



ნაგაზი

ხუთნი იყვნენ. მომლერალ-კუპლეტისტი მაია კილასურია, დეკლამატორი გერვასი ზუმბაძე, კონფერანსიე (იგივე სამხატვრო ხელმძღვანელი) გივი ჩაფიჩაძე, ილუზიონისტ-მეჩონგურე გოგია შერვაშიძე და ადმინისტრატორი (იგი სცენის მემანქანეც გახლდათ და სკეტჩებშიც აქტიურად მონაწილეობდა) ბენიამინ მელაძე. გერვასის გარდა ყველანი ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ. გამოიყურებოდნენ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მათი ასაკის განსჯას თავზე ვერ ვიდებ. მსახიობები, მით უმეტეს სახელმწიფო ფილარმონიის რაიონული ფილიალის აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები, ყოველთვის მხნედ და მხიარულად (ბავშვურად-მეთქი კინალამ წამომცდა) აჩვენებენ თავს დღიური შრომით დალლილ მოქალაქეებს. გერვასი ზუმბაძე კი სამოცს გადაშორებული მსახიობი გახლავთ. სერგო ზაქარიაძის სახელობის დრამატული თეატრიდან ერთი წელი არც იქნება, რაც პენსიაზე გავიდა. ღმერთი, რჯული არავინ უბიძგა პენსიისაკენ. თვითონ ისურვა. „რას ვუცადო აქანა. ორმოცი წელი დავალამე ამ თეატრში და წესიერი როლი არ მღირსებია. ანი მომცემენ მაგენი როლს?“ წამოცდა ერთხელ რეკვიზიტორ საშურა გვანცელაძესთან. წამოცდა და კარგა ხანს ელოდა პასუხს. საშურა რომ შეკამათებოდა, თუნდაც ერთი სიტყვა ეთქვა – რა გეჩქარება, რა დროს შენი პენსიაო, შეიძლება უკან დაეხია, მაგრამ რეკვიზიტორის დუმილმა წელში გატეხა. რეპეტიციის დამთავრებისთანავე განცხადებით წარუდგა თეატრის დირექტორ-განმკარგულებელს პავლე კოხრეიძეს და პავლემაც (ყველაზე საოცარი ეს იყო), მისი სკოლის ამხანაგმა, აღმასკომის ნაინსტრუქტორალმა პავლე კოხრეიძემაც, თითქოს გულმოდგინედ ელოდაო, უსიტყვოდ წაუწერა: „დაკმაყოფილდესო“, გერვასი ზუმბაძის წასვლა თეატრს იმდენად დააკლდა, რამდენადაც გივი ჩაფიჩაძის ისე-დაც სახელგატეხილ აგიტმხატვრულ ბრიგადას შეემატა. სამხ-

ატვრო ხელმძღვანელი თავს იკლავდა: „ძლივს დავაშვებინე მეგიტარის შტატი, ზუმბაძე მინდა ახლა მეო? დეკლამატორები ჩვენც ვკმარვართ, პატონი. აღარ უნდა ხალხს ეს შენი მხატვრული კითხვა და მოკალი თუ გინდაო“, მაგრამ დირექტორმა კატეგორიულად უბრძანა – „უნდა შევინახოთ ეს ერთი კაცი, სხვას კიდევ სჯობია გერვასი ზუმბაძე, პატიოსანი მაინც არისო“. ასე და ამგვარად დანიშნეს ფილარმონიაში ნახევარ შტატზე ჩვენი გმირი. მომთმენი, დამჯერე, შემსრულებელი კაცია (ეს მაინც ისნავლა თეატრში), რეჟისორს არ ეკამათება, დანინაურებას არ მოითხოვს, ჩჩუბსა და ინტრიგებში არ მონაწილეობს... ერთი ასეთი კაცი უსათუოდ უნდა იყოს ბალაგანის სისტემით მცხოვრებ ანსამბლში და გერვასიც ყველას შეუყვარდა, პატივისცემით ეცყრობიან, პატონობით მიმართავენ, ავტობუსში კი მძლოლის უკან, სამხატვრო ხელმძღვანელის გვერდით სვამენ.

ამ დილით საგულდაგულოდ გამოეწყო: ხუჭუჭა, ჭალარა თმა ბრიოლინით შეიზილა და თავისი საყვარელი პეპელა ჰალსტუხიც გაიკეთა. სუფთად გაპარსული, მელავზეპლაშვადაკიდებული, მისი ასაკისთვის საკმაოზე უფრო მსუბუქად შემოფრთხიალდა ამ დილით ავტობუსში და ბრიგადის წევრების ალფროთოვანებაც გამოიწვია, მაგრამ მგზავრობამ მოქანცა და ახლა სახეჩამოლვენთილი, მოწყენილი, დაბორკილივით მოდის. ირგვლივ არც კი იხედება. სოფლის იდილიამ და სუფთა ჰაერმაც ვერ გამოუკეთა გუნება. „რა დროის ჩემი წანწალი და სოფლის კლუბებში ღადაობააო“, ბრაზობს თავის თავზე.

სოფელ ნაყანევის კლუბის გამგე ჩინარებთან შეეგება ბონდის ხიდზე გამოსულთ. ხელმძღვანელად გერვასი მიიჩნია. ჩამორთმევით ხელი ყველას ჩამოართვა, მაგრამ გერვასის აენება გვერდით, ჩემოდანიც გამოართვა და თვალებში შესციცინებს.

– მე დილით გელოდით, პატონი, შეგაგვიანდათ.

კლუბის გამგეს თმა და ულვაშები ჰინით შეუდებავს, რაც დაკვირვებული კაცის თვალში, არასერიოზულ იერს აძლევს.

– ჩვენი „რაფით“ უნდა წამოვსულიყვავით, მაგრამ გაგვიფუჭდა და სამარშუტოს გამოყევით, – იცრუა გერვასიმ. რაც ფილარმონიაში მუშაობს, „რაფში“ იგი მხოლოდ ერთხელ

იჯდა. მძლოლი ხალტურაზე დადის და კონცერტებისთვის არ სცალია. არაერთხელ მიმართეს ფილიალის დირექციას მსახიობებმა, მაგრამ „რაფის“ მძლოლი კვლავ ჯიუტად დადის თავის საქმეებზე. ამ ბოლო დროს ხელოვნების მუშაკებსაც მოწყინდათ მძლოლთან ჩჩუბი და თავი მიანებეს.

– იქნება ხალხი? – გერვასი მაყურებლით დაინტერესდა.

– კი, ბატონი... ისე... რა დაგიმალოთ და კინოს უფრო ეტანებიან ამ ბოლო დროს... ბილეთები გუშინვე რომ გამოგეგზავნათ, კარგი იყო. ბრიგადებში ჩამოვარდენიებდი მოლარეს. რა ფასიანი ბილეთები გაქვთ? – კლუბის გამგე საქმიანი კაცი ჩანდა.

– მაგისი მე არაფერი ვიცი. ეგერ ჩვენი ხელმძღვანელი მოდის და ჰერთეთ; – გერვასი შეჩერდა და ჩამორჩენილ მსახიობებს გახედა.

– რომელია? – კლუბის გამგემ ჩემოდანი დადო.

– კიდებზე რომ მოდის, შავჩანთიანი, სომბრერო რომ ახურავს.

სოფელ ნაყანევის ესთეტიკური განვითარების მებაირახტრემ დაბეჯითებით გაიფიქრა, ამ უშველებელ ჭილოფის ქუდს სომბრერო ჰაერმევია, ეს მაინც ვისწავლე დღესო.

მერე გივი ჩაფიჩაძემ დაავლო გერვასის ჩემოდანს ხელი. გერვასიმ, რასაკვირველია, არ დაანება. „არაა მძიმე, მე თვითონ წამოვიდებ, მთლად ესე კი არაა ჩემი საქმეო“. შეცტუნებული კლუბის გამგე მომღერალ-კუპლეტისტ მაია კილასურიას ეცა ხელებში და კასიუს კლეიის გამოსახულებიანი ჯვალოს ჩანთა თითქმის ძალით გამოგლიჯა. „ამ ლამაზი ქალის სანახავად მაინც არ მოვა მაყურებელი?“ მხარზე ხელის გადადებით შეათამამა კლუბის გამგე ჩაფიჩაძემ. ვის დავუმალო; ქმარს-გაშორებული მომღერლისა და ბრიგადის სამხატვრო ხელმძღვანელის დრამატული ეპიზოდებით სავსე სასიყვარულო ურთიერთობებისაგან სისხლი ჰერთონდათ გამშრალი მსახიობებს. ხან გრძნობათა მოჭარბებისგან გულწასული მაიას მოსულიერებას უნდებოდნენ, ხან ეჭვიანობისაგან გაბრუებული გივი ჩაფიჩაძის დამშვიდებისთვის ხარჯავდნენ ხელოვნების სამსახურისთვის გამოყოფილ ოქრო წუთებს. მაგრამ ბალაგანის წევრები ამაზე სხვებთან დიდსულოვნად სდუმდნენ.

— აბა სად წავა. — კლუბის გამგემ ტანკენარ მაიას ისე გახე-და, რომ არც თავისი მოწონება დაუმალავს და არც მზრუნველი მასპინძლის იერი შეუცვლია.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკით კლუბის ეზოს მიადგნენ.

კონცერტამდე დარჩენილ საათნახევარში მსახიობებს უნდა დაესვენათ და, როგორც იტყვიან, თავი წესრიგში მოეყვანათ.

მაისის მზიანი საღამო იყო, მაგრამ ნაწვიმარი გახლდათ და მაინც გრილოდა.

ჰაერში სველი მიწისა და აკაციის ყვავილის სუნი ტრიალებდა.

ხის ფარლალალა კლუბი სოფელ ნაყანევსა და ერთ-ორ სოფელში შემორჩია მხოლოდ და კლუბის გამგე კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა სახელითაც იხდიდა ბოდიშს.

თეთრად გადაპენტილ აკაციას რომ გაცდნენ, გერვასიმ ყურადღება მიაქცია ზედ კლუბის შესასვლელშივე, სამსაფეხურიან კიბესთან, ბალახებში მიწოლილ უზარმაზარ შავ ნაგაზს, რომელსაც დრუნჩი თათებშუა გაეწვდინა და აუღელვებლად შეჰყურებდა მოსულთ.

გერვასი, ყოველშემთხვევისთვის, უკუდგა და ბრიგადის ახალგაზრდული ფრთა წინ გაატარა.

— არ შეგეშინდეს, ბატონო, არ იკინება, — მიუხვდა კლუბის გამგე.

— აბა რას შვრება? — შიშგარეულად იხუმრა ღვანლმოსილმა მსახიობმა.

— კენის გარდა ყველაფერი იცის, — არ დაიბნა მასპინძელი.

— თქვენია? — ისევ ძალლის თემას დასტრიალებს გერვასი.

— ჰო... ასე ვთქვათ... ჩვენი დარაჯი მაგია.

გერვასიმ კლუბს გახედა, რა აქვს სადარაჯო და საყარაულო ამ გაფცენილ შენობასო, გაიფიქრა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

კლუბის გამგემ ბურატინოს გასაღები დააძრო და ღია კარებმი ჩადგა.

ძალლთან პირველად მეჩონგურე გოგია შერვაშიძემ გაიარა. მეჩონგურეს ზედაც არ შეუხედავს და არც ძალლს გამოუჩენია დიდი ინტერესი.

მაია კილასურიამ რომ ჩაისურნელ-ჩაიშრიალა, ნაგაზმა დაამთქარა და თავი ასწია. გერვასიმ თვალი ჩაჰურა ძალლის უძირო, შავ ხახას და გააჟრეჟოლა.

არც ბენიამინ მელაძის არღანისხელა საგარდერობე ჩემოდნისთვის მიუქცევია კლუბის ერთგულ დარაჯს ყურადღება.

გერვასი მეოთხე იყო.

„რაღაცა არ მოვეწონე, თვალებში მიყურებს“, გაიფიქრა გერვასიმ და რაკი უკანდახევა სირცხვილი იყო, ძალლს ალალი ღიმილი შეაგება, აქაოდა მეც ამათთან ვარ, არ ვარ ცუდ საქმეზე მოსული, ნუ გეშინიაო.

ნაგაზს რას გაუგებ, თვალს არ აშორებდა იგი გერვასის და თუ ნამით მოარიდებდა წყაროჩამდგარ თვალებს. მხოლოდ მისთვის, რომ ღია ჭიშკრისკენ გაეხედა.

„არ მოვეწონე, აშკარაა, ახლა მეცემა“, გული ამოვარდნაზე ჰქონდა გერვასის, „რავა კუპრში ამოვლებულს უგავს დრუნჩი ამ უპატრონოს“.

მოხუცმა მსახიობმა მეტის გაფიქრება ვეღარ მოასწრო, შავი ელდა ქუხილით წამოხტა და კიბესთან მისულს ცხვირპირში შეასკდა.

გერვასი კიბიდან გადავარდა და ლაფაროში უთავბოლოდ გაზრდილ ჭინჭარში პირალმა დაეცა. ძალლის მძიმე უხეში თათები იგრძნო მკერდზე და სუნთქვა შეეკრა. „ცხვირ-პირს დამაგლეჯს“ გაუელვა, სახეზე ხელები მიიფარა და განწირულის ხმით კივილი მორთო.

კლუბის გამგემ მეტი ვერაფერი მოისაზრა, ავად შებმულ კაც-ძალლს თავზე დაახატა და სანამ კლუბის დარაჯი უდანაშაულო მსახიობის ნიკაპს კბილებში მოიქცევდა, ძალლი მსხვერპლს ააგლიჯა და მოისროლა.

ამასობაში ყველას მიეღო ის პოზა, „საბრძოლო პირველ მდგომარეობას“ რომ ეძახიან. ბენიამინ მელაძემ თავისი გიგანტი ჩემოდანი იფარა და ძალლს შეუტია, გოგია შერვაშიძემ ჩიხოლჩამოცმული ჩონგური სპორტულ უროსავით დაატრიალა და გაოცებულ ძალლს ესროლა. ძალლმა მშვიდად ჩაატარა ჩონგური, განზე გადგა და დამნაშავის იერით შეაცერდა კლუბის გამგეს, რომელიც გაფითრებულ გერვასის ტანსაც-

მელს უფერთხავდა. გულშეღონებული მაია სამხატვრო ხელმძღვანელის მკლავებზე მისვენებულიყო. ჩაფიჩაძე ამ საპატიო მიზეზის გამო ძალისგან თავდაცვის საერთო ღონისძიებაში აქტიურად ვერ მონაწილეობდა.

— ბატონო გერვასი... ბატონო გერვასი... — ფსლუკუნებდა ილუზიონისტი, ამ ფსლუკუნში შეკითხვაც ჩანდა, „ხომ არაფერი დაგიშავათ იმ ბალანამოსაწყვეტმან“.

— მონი გადავრჩი, — კარგა ხნის შემდეგ ამოიღო ხმა სავარძელზე წამოწოლილმა დაზარალებულმა და კატეგორიული ტონით მიმართა სასთუმალთან მიმჯდარ კლუბის გამგეს: — ესაა, შე კაცო, არ იკბინებაო?

— პირველი შემთხვევაა, ბატონო, სამ შვილს გეფიცებით, მაგისი კბენა კი არა უბრალო დაყეფებაც თუ გამეგონოს.

— ახლა რა სიკვდილის პირკატა ეცა, რა ვაწყენინე ასეთი, — სრულიად სერიოზულად თქვა ფერგადასულმა გერვასიმ, მაგრამ გივი ჩაფიჩაძეს რატომძაც მაინც გაედიმა.

კონცერტამდე დარჩენილმა დრომ ძალისა და ადამიანის ისტორიულ ურთიერთობაზე საინტერესო მოგონებებში გაიარა. ბოლოს ბალაგანის სამხატვრო ხელმძღვანელმა სრულიად გულწრფელად სთხოვა გერვასი ზუმბაძეს — თავს ძალას ნუ დაატანთ, ნერვული სტრესიდან ჯერ გამოსული მაინც არ ბრძანდებით. დაისვენეთ, კონცერტს როგორმე უთქვენოდ ჩავატარებთო. მოხუცი დეკლამატორი ამ წინადადებას ელოდა, ესიამოვნა, რომ თავის გამოჩენის კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცა, გულზე ხელი დაიდო და ხელოვნებისთვის თავშეწირული მსახიობი-რაინდის მტკიცე გადაწყვეტილებით განაცხადა — შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, თავს მხნედ ვგრძნობ და კონცერტზე უსათუოდ გამოვალო. ბატონი გერვასი დარწმუნებული იყო, რომ არჩეული პროფესიისადმი მისი ერთგულების დამტკიცების ეს ერთი გაკვეთილი ხვალ მთელ ქალაქს ეცოდინებოდა.

...კონცერტი, როგორც მოელოდნენ, ერთი საათით გვიან დაიწყო. როცა კონფერანსიებ გამოაცხადა, ნიკო ლორთქი-ფანიდის ნოველა „თაგვის წერილს“ წაიკითხავს ცნობილი მსახიობი გერვასი ზუმბაძეო, გერვასი ფარდის ხავერდით ფეხსაც-

მელს იპრიალებდა და თუმცა კარგად იცოდა, რომ მისი ნომერი გოგია მეჩინგურე „კოლური მელოდიების“ მომდევნო იყო, მაინც დაიბნა. საყელოს წამოდებული პეპელა-ჰალსტუხი ვერ გაისწორა და სცენაზე გასვლისას კულისებში რაღაცას ისე ღონივრად წამოჰკრა ფეხი, რომ კინაღამ გაიშელართა, მაგრამ სასწაულებრივად შეიმაგრა თავი. მაყურებლებს გერვასის უნებლიერ მალაყი ნომერი ეგონათ და ტაში დასცხეს. არანაკლები წარმატება ჰქონდა დეკლამატორის მიერ ჰალსტუხის გასწორების უნებლიერ მიზანსცენასაც, რაც არაჩვეულებრივ სიცილ-ხარხარში ჩატარდა, ბოლოს გერვასი წელში გასწორდა, ჰალსტუხს ხელი უშვა და დაიწყო:

„ჩემს გმირს, ქოსა იოსება მეტლეს, იქნებ არ ეყოლოს თავისი ბიოგრაფი — ვინმე მაკოლიე ან პლუტარხი.

ლირსი კი არის!“

თქვა თუ არა ეს პირველივე ფრაზა, დარბაზი გაისუსა, უეცრად კარმა გაიჭრიალა და დეკლამატორს მუხლო მოეკვეთა. მაყურებლით გაჭედილ დარბაზში ზლაზვნით შემოვიდა შავი ნაგაზი, დინჯად გამოიარა სავარძლებსა და სცენას შუა დარჩენილი ადგილი, გერვასის რომ გაუსწორდა, შეჩერდა. უკანა თათები ჩაიკეცა, წინა თათებს დაეყრდნო და სმენად იქცა.

გერვასის შიშისაგან ხელები გაუცივდა.

დარბაზში აქა-იქ ფხაკუნი გაისმა, მაგრამ მაშინვე შეწყდა.

აშკარა იყო, მაყურებლები ძალის ვიზიტს მნიშვნელოვან ამბად არ მიიჩნევდნენ და ნიკო ლორთქიფანიდის მოთხოვნა ძალიან აინტერესებდათ.

„ახლა ველარათერი მიშველის“, გაიფიქრა გერვასიმ. ძალის დამარცხებულის იერით გახედა და მწარედ ინანა, რომ წელან გივი ჩაფიჩაძეს არ დაეთანხმა.

ავანსცენა თვალით გაზომა, კულისებში შევარდნას ველარ მოასწრებს.

— „რაც იქნება იქნება, უნდა გავაგრძელო!“ — ეს ფიქრი დაეუფლა და გულმუცელი აეწვა. — „გაქცევა უარესია, ხალხის წინაშეც შევრცხვები და გასწრებით მაინც ვერ გავასწრებ. როგორც ჩანს, ეს ყოფილა ჩემი ბედი... ეს მეწერა ალბათ“...

და გერვასი ზუმბაძემ განაგრძო:

„ხომ ადვილი მისახვედრია, რომ ბაბუამისი უეჭველად იცხოვრებდა ბატონყმობის დროს...“

და ბატონყმობის დროს, ცნობილია, – როგორც დაგვიმტკიცა სახელმწიფო კინომრეწველობამ და ზ. ჭიჭინაძემ, – ბატონები დილით ჭამდნენ ფარეშს, შეუა დღეზე უღელში აპამდნენ შინაყმას და ლამე კი აუბატიურებდნენ მოახლეებს, ზოგჯერ თავის საკუთარ ქალებს და უფრო ხშირად კი ყმების ცოლებს და ქალიშვილებს“.

დარბაზში აქა-იქ კვლავ გაისმა სიცილი, ვიღაცამ ტაშიც კი დასცხო.

გერვასიმ ძალლს გახედა. ნაგაზი მონუსხულივით შეჰყურებდა და მოხუც დეკლამატორს მოეჩვენა, რომ უჩვეულო მსმენელმა ერთი-ორჯერ კუდიც კი გაარჩია.

გერვასი გათამამდა და, მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, ისე ოსტატურად, ლალად, გემრიელად წაიკითხა ნოველა, რომ ზუმბაძის შემოქმედებით ზრდაზე მუდამ ხელჩაქნეული გივი ჩაფიჩაძეც კი გააოცა.

„ამის შემდეგ იოსება არ გამობრუნებულა, გონება არ დაბრუნებია, არც ექიმებს აქვთ მორჩენის იმედი.“

წევს საგიუეში“.

ეს ბოლო სიტყვები გერვასიმ მაყურებელთა სიცილ-ხორხოცში წარმოსთქვა. მკლავების დაწყვეტამდე უკრავდნენ ტაშს, ბევრს სიცილისგან ცრემლიც სდიოდა, ფეხებს აბაკუნებდნენ, მერამდენედ იხმობდნენ სცენაზე.

ძალლი?

მარტო ზუმბაძის ფხიზელმა თვალმა შენიშნა: დაამთავრა თუ არა გერვასიმ, ძალლი გასწორდა, წელში გაიზნიქა, ერთხელ კიდევ გამოხედა სახეგაბადრულ მსახიობს და საიდანაც შემოვიდა, ისევ იმ გზით, ისევ ნელა და აუღელვებლად გავიდა.

კონცერტზე სხვა საინტერესო ნომრებიც შესრულდა, მაგრამ ნაგაზი ალარ გამოჩენილა.



პატულია

– ყველაფერი გავიგე ამ ქვეყანაზე, მაგრამ ზღვა რატომ არ იმატებს, ეს ამბავი მაინც გამოცანად დარჩა ჩემთვის.

– რომელი ზღვა?

– დაუუშვათ კასპიის. მარტო ვოლგა და მტკვარი რამდენ ტონა წყალს ჩაიტანს ერთ საათში, სხვას დავანებოთ თავი. ერთ საათში, ერთ დღეში, ერთ კვირაში, ერთ წელიწადში. რამდენი ასი წელიწადი იქნება, რაც ვოლგა კასპიის ზღვაში ჩაედინება? ერთ სანტიმეტრს რომ არ იმატებს, რანაირადაა ეს საქმე? ა, ნასწავლი ვარო, რომ იძახი, ამიხსენი აპა.

– რაც ჩადის, ორთქლდება და წვიმად მოდის, – მოვიშველიერებაც სკოლაში გაგონილი.

პატულიას გაეცინა.

– ისე აშენდა, ვინც შენ მაგი გასწავლა. გუშინაც მასე მითხვა, წვერებიანი რომ დადის მესამე კორპუსიდან, პროფესორი ვარო, მაგრამ შევატრიალებინე ქუდი უკუღმა. რა ორთქლდება, სადაა ამდენი ორთქლი? კარგი, ვთქვათ მზე რომ დააჭერს, მაშინ ორთქლდება ზაფხულში. ზამთარში? რვა გრადუსი ყინვა რომაა, მაშინაც ორთქლდება? წვიმები რომაა, რომ გადააბამს ხანდახან ერთოვიან წვიმას, არ მითხვა, მაშინაც ორთქლდებაო. არ ჭამო ეგ ამბავი შენ. ჯერ წვიმა ხომ თავისთავად ჩადის და ემატება, ეს მდინარეები რომ მოდიდება წვიმაში და ერთი ხუთად მოდის, ხომ ჩადის ზღვაში? სად გადის მერე ეს წყალი. სანტიმეტრი რაა, სანტიმეტრიც არ უნდა მოიმატოს კასპიის ზღვამ?

დაახლოებით ასეთ რთულ საკითხებზე გვქონდა კამათი, როცა ალაგეზე ძლივს გადმოხოხდა ასე ორმოციოდე წლის, უსაშველოდ გასუქებული, პიუამოიანი კაცი და ხვნეშით დაგვადგა თავზე.

– ბოდიში, პატულია რომელია თქვენს შორის?

– მე ვარ, რა იყო? – მშვიდად უთხრა პატულიამ.

– მანქანებზე თქვენ ბრძანებით ხომ აქანა?

— მე ვარ, რავა, რა იყო? — მუხლებზე დაიდო თავისი მოკლე თითები პაჭულიამ.

უცნობმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, ხუთმანეთიანი ამოილო და გაუწოდა.

— იყოს, არ გინდა არაფერი, — დაიმორცხვა პაჭულიამ.

— როგორ გეკადრებათ, ინებეთ.

— იყოს, არ მაქეს მაინც მაგის ხურდა, მიდიხარ სუულ?

— არა, ცოლ-შვილს გავაკატავებ პატარას და საღამოს მოვ-ბრუნდებით, — დაბეჯითებით თქვა მსუქანმა კაცმა.

— ჰოდა, მერე იყოს. რა გვეჩარება, თუ არ იქნება და შენ კარგად იყავი, არც მაგაზე დავიწყვეტით გულს, — განზე გაიხე-და პაჭულიამ.

— შენთან იყოს მაშინ. ასე უფრო უპრიანი იქნება, — ამ სი-ტყვებთან ერთად უცნობმა კვართის ჯიბეში ჩაუკუჭა ფული პაჭულიას და სანამ მანქანასთან მივიდოდა, ერთხელაც მოუხე-და, — ხუთი დღის მოცემული მექნება.

— შენ კარგად იყავი! — მიაძახა პაჭულიამ და სწრაფად გად-მოირთო ჩვენთან, — იმას ვამბობდი, მეცნიერებაო, დაიუინებს ზოგიერთი, შენ გვონია ყველაფერი იცის მეცნიერებამ? იმის არ იყოს, დედამიწა რგვალიაო. რა არი, ბიჭო, რგვალი, რგვალი რო იყოს, ეს ოკეანები არ დაგვესხმებოდა თავზე? მიზიდუ-ლობაა შიგნიდანო, რა მიზიდულობაა ამნაირი. ამხელა წყალს რომ აჩერებს თავდალმა. გაგაგიუებენ, მაგენს რომ დაუჯე-რო დედამიწა პატარა ბურთიაო ამ სამყაროში. ტრიალებს, ფრიალებს ეს პატარა ბურთი, არც წყალი იღვრება ძირს და არაფერი, იფ, რა მშვენიერია! როდის იყო, ბურთზე წყალი ჩერდებოდა? რა გაცინებს? — მიუბრუნდა პაჭულია გვერდით მჯდომ ხელჯოხიან დამსვენებელს, რომელმაც გუშინ ფეხბურ-თის თამაშისას ქვას ნამოჰკრა და ახლა „ადიდასზე“ ბინტით აქვს დაკრული მარჯვენა ფეხი.

— არ ვარ სწორი? — პაჭულიამ დოინჯი გაიკეთა.

— მაგაზე კი არ მეცინება. ფული რომ მოგცა იმ უბედურ-ნახევარმა და აქეთ რომ დააწყებინებ ხვეწნა.

— არაა გლახა ბიჭი, — წყნარად თქვა ბაჭულიამ და უცბად თვითონვე წასედა სიცილი.

— სანამ გაგიგებდნენ, ხომ კარგი, მერე ხარ ცოდვა, — არ ეშვება თითნაღრძობი.

— გაგებამდეა, ბიძია, ეს ქვეყანა, თქვენც ასე ბაირამიბთ თქვენს საქმეში, სანამ გაგიგებდნენ, რომ გაგიგებენ, მერე მეყოლე კარგად, — ძალად დასერიოზულებული პაჭულია სი-ცილს ბაწრით იჭერს, მაგრამ ველარაფეს აწყობს, მიუშვებს და ნარბებიანად ძიგძიგებს.

— რა გაცინებთ? — მთვარიდან ჩამოსულივით ვკითხულობ მე.

— მე რა მაცინებს, ქე ვიცი, ბატონო, მარა ამას რა აცინებს ამ ფეხის პატრონს, ხომ ხედავთ, ბზიკის ნაკბენივით აქვს და-სივებული თითები. ჩამოვლენ და დამინტებენ აქანა, დიეტაო, ბანგლინტონიო, ამ ხნის კაცს რა ფეხბურთი აუტყდა, როცა დრო იყო, მაშინ ეთამაშა, არეულია ქვეყანა. სერიოზულ კაცს ვერ ნახავ ამხელა დაბაში. ვინც ავადმყოფია მართლა და ვისაც წამლად სჭირდება ეს წყალი, იმას ვინ აღირსებს საგზურს, ამ-ნაირებითაა სავსე მთელი კურორტი. გეკითხები ახლა მე შენ, რაზე ჩამოდი აქანა? — მიუბრუნდა პაჭულია გვერდით მჯდომს.

— დაკლება მინდა, — ღიმილი შეაგება ფეხბურთის მოყვარ-ულმა.

— მერე დასაკლებად.. შე კაი კაცო, ამხელა გზაზე მოდიხ-არ? მოუკელი ცოტა ჭამას და გახდები. შენი ჯანმრთელობა უნდა მქონდეს მე და შენ ჩემი ჭკუა, მაგრამ სადა აქვს ღმერ-თს სამართალი, რაღაც თუ არ დაგაკლო, რაღაცაში თუ არ დაგჩაგრა, ისე გაგიშვებს? მაგლახავებენ ახლა ეგენი თავის ჭკუით, მეცინიან ვითომ, მაგრამ, ა, დახედე ფეხზე? ახლა მე შემხედე სახეზე და შეგნებული კაცი ხარ, შენ თვითონ მიხ-ვდები, ვინაა ჩვენ შორის საგლახაო.

პაჭულია ორმოცდაათამდე არ იქნება და არც დიდი დრო უძევს. დაბალი კაცია, სქელკისერა. შეთხელებული თმა ისე გულდმოდგინედ აქვს დავარცხნილი, რომ პარიკი გეგონებათ. დიდი პირი აქვს და მეჩერი კბილები, მზედაკრულ სახეზე ფერიჭამელები დაჰყრია. ცალი თვალი ჩაწითლებია და საუ-ბრისას ცხვირსახოცით ცრემლს იწმენდს. გაბმულად, უპაუ-ზოდ საუბრობს მოშლილი დინამიკის ხმით, იმერეთში ასეთ ლაპარაცის ჭიჭყინს ეძახიან.

— სანამ ეგენი გეტყოდნენ, ბატონო, მე მოგიყვები ჩემს ამ-ბავს და მერე ამგენმა გააფორმონ, რავარც უნდათ, მაგის შნო ქე მიუცია გამჩენს, მეტი არაფერი შეუძლიათ თვარა. ავად-

მყოფი კაცი ვარ მე. კუჭის წყლული მაქვს სამი წელიწადია. რავა არ გექნება კუჭის წყლული, რაც მე ნერვიულობა მხვდება ყოველდღე – თუ შინ და თუ გარეთ. შინ, შენ ხარ ჩემი ბატონი, სამი ბავშვის პატრონი ვარ და წიგნი დასანახავად ეზარება სამივეს, მე მაბრალებს ცოლი, შენი ტვინი გამოყვათო. შეიძლება ასეცაა, არ ვარ ნასწავლი, ბატონი, მეორე კლასიდან დამანებებია მამაჩემმა შკოლას თავი, მარა ყოველდღე ამის ძახილი ვარგა რამედ? გაიგეს ბავშვებმა, ბაბაისავით უნიჭო გავრჩდით ჩვენცო და აიცრუეს გული წიგნზე. ვისი ბრალია ეს? არაა ჩემი უბედური ცოლის ბრალი? გარეთაა და ძაფსალებში ვმუშაობ დაზების შემკეთებელ-მეთვალყურედ, არ იცი ჩვენი ამბავი? ამხელა საამქროში მოიშლება რაღაც, აბა რა იქნება, ძველდება რკინა, ბატონი. გაჩერდება მქსოველი და დაინყობს უკან ხელებს. არიქა, პაჭულია! დამარბენინებენ წინ და უკან. გაცდება დაზგა და ჩემს მეტი არავინაა პასუხისმგებელი. მე მომკიდებენ ყურში ხელს. მე შენ გეტყვი, ყუთებით მიწყვია სათადარიგო ნაწილები. ჩემი ხელით ვჩარხავ და ვაკონინებ რაღაცას.

რაღა გავაგრძელო, ამ თვე-ნახევრის წინ ავიღე სიმწრით ნაგროვები ხუთასი მანეთი და წამოვედი აქეთ, წყლული მაქვს-მეთქი, მოგახსენეთ, წყლული კი არა, კიბო რომ არ მჭირს, არ გიკირს? ბევრი ვუცადე საგზურს, ბევრი ვეწრუწუნე ჩვენს ადგილკომს, მაგრამ ვინ გაღირსა. ვის დაეკარგე, შენს კუჭის წყლულს ტირის ჩიჯავაძე, მეტი არა აქვს საქმე. ხო, ჩემო ბატონო, და ვაგონში ქე ამაფცევნა ვიღაცა არგასახარებელმა ჩემი დასვენების ფული, პიჯაკი მეკიდა კუპეში, პიჯაკი ქე დაუტოვებია და ფული გაუყოლებია ხელს, რა ვიცი, ვინ წაიღო. სამტრედიამდე რვა კაცი შემოვიდა და გავიდა, ხელებში ხომ არ მიაჩერდები, ვინ შემოდის და ვინ გადის, ასე რომ, სამი მანეთით ჩამოვედი ამ დაბაში. აქანა სამი მანეთი კი არა, ჩემი ხუთასი მანეთიც არაფერს მიზამდა, ისე იხარჯება ფული, ყველას ხელი აქვს გამოწვდილი, ყველა შოვნაზეა გადასული, არადა უკან დაბრუნება, გითხრა სიმართლე, შემრცხვა, დაბრუნდი ახლა ქუთაისში ამხელა კაცი, მომპარეს ფული-თქვა, გამოაცხადე, ცოლმა რომ არაფერი გითხრას, მეზობლებში ხომ მოგეჭრა თავი, ჯერ მივიარ-მოვიარე, პატარა გევიკითხ-გამოვიკითხე, ნაცნობი არავინ შემხვდა და უცნობი ვინ გას-

ესხებს ფულს, ვინ გენდობა, იქით მივდექი, აქეთ მოვდექი, გადავხედ-გადმოვხედე საქმეს და გავინყვიტე შუბლზე ერთი ძარღვი, ის ძარღვია თურმე, რომ გაკავებს, მეტი არაფერი. რავარცახა იქნება, უნდა გავიტანო თავი-თქვა, ვუთხარი ჩემს თავს. ამ პანსიონატს დავადგი თვალი, შევედი და დირექტორს მივაჩეჩი ჩემი პასპორტი ხელში, ახალდანიშნულია, კაი ბიჭი, სხვათა შორის, აღმასკომიდან გადმოუყვანიათ, წესიერი კაცია, ჯერ არა აქვს ნასწავლი სიგლახე. ქუთაისიდან გამომიშვეს, მე ვუთხარი, ქალაქეკომმა იცის ეს ამბავი-თქვა, მანქანების სადგომი რომ არაა ამხელა კურორტზე, ჩივიან დამსვენებლები და ამაზე გამომიშვეს-მეთქი. გამომიყავი ახლავე ტერიტორია და სანამ ავტოსადგომს გააკეთებდნენ, დროებით იქ დავაყენოთ მანქანები-მეთქი. კი, მაგრამ შტატი რომ არა მაქვს მანქანების დარაჯისო? შენ მაგას ნუ დარდობ, მე ვუთხარი, გამომიძებნე პატარა ოთახი სადმე, მე ვუდარაჯებ მანქანებს უფასოდებეთქი. შენ აგაშენა ღმერთმაო, დამსვენებლების ჩიჩინს რომ გადავრჩები, მარტო ეს რად მიღირსო. ოთახი ვერ მოძებნა, მაგრამ უკან, ფინურ ბინაში, მზარულთან ერთად შემასახლა. დღე მაინც აგერ ერთად ვზივართ ყველანი და ლამე რად უნდა დარაჯი მანქანას. აქ ვინ ამოვა მოსაპარვად. ყოველ დილას, სულ ცოტა, ოცმანეთიანი ვარ, შაბათ-კვირას მეტია, მანეთს იძლევიან დამეში. ისე უყარაულა შენმა დამაწყევარმა, მე რომ მანქანებს ვყარაულობ, მაგრამ დამსვენებელს გული მაინც დამშვიდებული აქვს. პატარა ფული რომ მოვაჯუჩე, საგზურის ფასი გადავუხადე პანსიონატს და ახლა ამ პირველ კორპუსში ვარ მესამე სართულზე, ნახევრადლუქსში გაჭიმული. ვუშავებ ვინმეს რამეს? ხომ საჭირო იყო ავტოსადგომი, ხომ უკეთესად გამოიყურება ჩემი აქ ჩამოსვლით კურორტის მომსახურება? აბა, რა გინდა მეტი, მე უფასოდ ვდარაჯობ, ასე მაქვს ნათქვამი ყველასთვის, სადლელამისო ავტოსადგომი უფასოდ. ამის გარდა გინახავს სადმე? იქეთ არავის ვთხოვ ფულს, მაგრამ მაძლევს ის კაცი და არ გამოვართვა? ახლა მეორე ამბავი, ექსკურსიების ამბავი, როგორაცაა ჩვენთან საერთოდ, მოგეხსენებათ. არა და ყველას უნდა უღელტეხილის დათვალიერება, აქ ჩამოვიდა კაცი და რაღაც ოცდაექვს კილომეტრზე არ დაათვალიეროს უღელტეხილი? სანატორიუმ „ტრაპიზონის“

ავტობუსს პარასკევობით გამოსასვლელი დღე აქვს. მივედი შოფერთან: არავინ არ დაგახრჩობს მაგისტრის შენ. მოგი-გროვებ ხალხს და გასეირნე პარასკევს ულელტეზილისკენ-მეთქი. დამთანხმდა კი არა, სიხარულისგან ტაშიც შემოჰკრა. ახლა, ყოველ პარასკევს მიჰყავს ექსკურსანტები. ვინ მიდის? არ მეხვენებიან? სია არ მაქვს შედგენილი სამი კვირის წინას-წარ? სამასამდე კაცი ხომ მაინც ისვენებს მთელ დაბაში, ყვე-ლას უნდა წასვლა. ხუთ მანეთად დიდები მიჰყავს, სამ მანეთად პატარები, ოცდაოთხკაციანი აუტობუსით მინიმუმ ას მანეთს იდებს ჯიბეში. თუმანს მე მაძლევს ხალხის შეგროვებისთვის, თუმნის ბენზინი ვთქვათ, თუმცა ბენზინი უფასო აქვთ მა-გენს, რვა თუმანი ხომ რჩება ხელზე. პატარა საქმეა? კიდევ გეტყვი ერთს: სამი ებრაელი ფოტოგრაფია ამ დაბაში. ჩემზე ამოდით მზე და მთვარე, რატომ იცი? გევივლით თუ არა ასე ჯგუფად დამსვენებლები, ერთს ვიტყვი, გადავილოთ სურათი სამახსოვრო-მეთქი. ათიდან ერთი თუ იტყვის უარს, ულელ-ტეხილზე წასვლის წინ ექსკურსანტებისათვის ავტობუსთან ერთ სურათს გადავალებინებ იოსკას ან გაბრიელს, ჩამოსვ-ლისას მეორეს, არ იქნებიან ჩემი მადლიერი? ჩემს სურათს ხომ უფასოდ მაძლევენ, ერთმა მათგანმა გუშინწინ საჩუქრად უნგრული პერანგი მომიტანა.

ასე ვცხოვრობ, ჩემი ბატონო, თვე-ნახევარია აქ ვარ, კიდევ თხუთმეტ დღეს დავრჩები, თან ვმკურნალობ, თან თავსაც ვირთობ ცოტას, დრო რომ გავიდეს. ვაშავებ რამეს, მითხ-არი შე? შენ დამიჯერებ. აქვს ახლა მილიციას ჩემთან საქმე? პირიქით, მთავრობამაც მადლობა უნდა მითხრას და დამს-ვენებლებმაც, თურმე, თუ თავს გაანძრევ, მთლად გლახა თუ არა ხარ, ყველგან გაიტან თავს კაცი.

დამცინიან ახლა ამნაირები თავის ჭკუით. ქირქილებენ რა-ლაცას. „პაჭულია ასთე და პაჭულია ისთეო“. ყველამ თავის ჩაშავებულ საქმეს მიხედოს. პაჭულია არ დაიკარგება, იმნაირ ქალაქში და იმნაირ ხალხშია გაზრდილი.

განათლებული და შეგნებული კაცი რომ ხარ, იმიტომ მი-ყვარს შენთან ლაპარაკი, თორებ რა ველაპარაკო ამგენს. რა-ნაირად გამამასხრონ და გამაშაყირონ, იმაზე არიან გამეცა-დინებული დღედალამ.

განთუა

რაკი ეგრეა, ერთ ამბავს მეც გიამბობთ, ცოტა უხერხული მოსაყოლი კია, მაგრამა ქალი არავინ გვისმენს და გავტედავ. ხათრიჭალელ განთუას მთელი გარეუახეთი იცნობს. დიდი ბე-დენა ვინმე არ გეგონოთ, სოფლის მაღაზიის ნოქარია. რაც ეს ოინი უყვეს ძმაკაცებმა, თავის ფერფურზე ვეღარ არი, ყურებ-ჩამოყრილი დგას დახლში. ფაფის შეშინებული დოს უბერავდაო, ხომ გაგიგიათ – სუყველგან ხაფანგი ეჩვენება, ყველას ეჭვის თვალით უცქერის. იმ დღესაც ვიღაცას მანქანა გაეჩერებინა, განთუას მაღაზიაში შემოსულიყო, მგზავრი, უბრალო. ეკითხე-ბა გამყიდველს: ეს რა ღირსო, ის სადაური საქონელიაო, გან-თუა კიდევ დგას თურმე დახლში და იბლვირება, არაფერი ეყ-იდნა იმ კაცს, რავი, განა მაღაზიაში აუცილებლად რამე უნდა იყიდო, ისეც ხომ შევსულვართ, უსაქმოდ, კარებში დასწეოდა იმ საწყალსა განთუა, მე ვიცი შენ აქ რისთვის შემოხვედიო, დასაცინი თქვენკენ მოიკითხეო, ვინც ეგ ამბავი გიამბო, შენი ჭკუისაა ისიცაო. აქ მეორედ აღარ დაგინახო, თორემაა, ვინ იცის, იქნებ ეგ ფეხები ძირში მოგატეხოვო. ერთი მოეხედნა იმ კაცსა, ე ვინ დასაბმელი გიუი დაუყენებიათ აქაო, ჩამხტარიყო თავის უიგულში და ცხრა მინდვრის აქეთ აღარ დამდგარიყო.

ალბათ სული დაგელიათ, ეს დროული კაცი რას მიედ-მოედება, ბარემ თქვას და გაათავოსო. ვიტყვი და გავათავებ კიდეცა, იმ დღეს თურმე რაიკავშირის კრება ყოფილიყო და განთუას მაღაზია ადრე დაეკეტნა. ბიჭებს ციგნი მკითხავი დაეჭირნათ და ზედ გზაზე დახევედრებინათ. იცოდნენ სადაც უნდა გამოევლო, სულ დამავიწყდა, ცოტა არ იყოს, პურძვირი კაცი ყოფილიყო ჩვენი განთუაი. ვიღას დავუმალო, იმ მაღ-აზიაში მარტო ჩემი სარგებლობითვინ როდი იდგა, ზოგჯერ თავისკენაც ითლიდა და კარგა მსუქან ნაჭრებსაცა. ითლიდა, მაგრამ მის ოჯახში წლიდან წლამდე ჭიქა არ აიწეოდა. სამი შეოლის წლის ქალიშვილი ყავდა თურმე და ძალიანაც სწუხდა უვაჟობასა. რაღა ბევრი გავაგრძელო, თქვენი ჭირიმე, დაე-

რიგებინათ თურმე ციგნი მკითხავი ბიჭებსა, ეგერ რომ კაცი მოდის, განთუა ჰქვიან, ხათრიჭალაში ცხოვრობს, ერთი ცოლი და სამი ქალიშვილი ჰყავს, როგორც ბლალოჩინი წირვას, ისე ელოდება ბიჭს, მაგრამ არაფერი გამოსდის. დანარჩენი კიდე შენ იცი და შენმა ქალობამაო, ეგრე და ეგრე უთხარ, ესა და ეს დაავალე, ფული გამაართვი და ბიჭის იმედი მიეციო. დაუმოძლვრავთ განთუას ძმაკაცებს მკითხავი და იქვე, ბუჩქებში მიმალულან. ციგანს კიდევ რა დარიგება უნდა, ისედაც გემრი-ელად ტყუის მკითხავობის დროსა.

გადაუდეგება თურმე ის შავტუხა ციგნი ქალი განთუასა, გინდა თუ არა, უნდა გიმკითხაოო. გამშორდი, ქალო, თქვენი-სთანებისა აღარაფერი მჯერა, კრებაზე მაგვიანდებაო, გარბის განთუა. წინ განთუა და უკან მკითხავი, წინ ხათრიჭალის ნოქარი და უკან მკითხავი ფეხშიშველა, ხელში კარტით და თავის ფაშფაშა კაბითა. „შენ განთუა არის, ცოტა ჭკუა და ფული გინდა, შენი ბედი აქ არი“, არ ეშვება ციგანი დედაკაცი განთუასა. „განთუა არიო?“ შედგა და მობრუნდა თურმე განთუაი, აბა იქნება ისიც იცი, ვინა ვარ და სადა ვმუშაობო“, უკითხავს. მკითხავს ცარიელი ხელისგული უჩვენებია, შენ ხელის ჭუჭყი მაიტა, ეგეთ რამებს გეტყვი, თმა ყალყზე დაგიდგებაო. ამოა-ცოცა განთუამ წითელყურიანი თუმნიანი ჯიბიდანა. ამოაცოცა და გაუტკაცუნა ხელისგულზე მკითხავს. „შენ განთუა არის, ხათრიჭალის მალაზიაში არის, შენთან სამი ქალიშვილი არის, ვაჟი ზალიან გინდა“, მოუყრია იმ ქალს ტყვიამფრქვევითა. აბა ციგნის მკითხავს ენაზე რა ჭალი მოედება. წამხდარა განთუაი, მიუხედ-მოუხედავს, ჩაუვლია ხელი მარჩიელისთვინა, აბა, შენ გენაცვალე, ჩემო მხსნელო და მშველელო, კიდევ რას მეტყვი ახალსაო.

რაკი დაუნახავს მკითხავს, რომ განთუა მოჯდა აღზუზედა, მეორე თუმნიანიც დაუცანცლავს მისთვინა, დაუჭერია თავის ჭუჭყიან ხელებში განთუას ნიჩბისოდენა მარჯვენაი და მითამ ზედ კითხულობდა, სხაპასხუპით ჩაუმარცვლავს: „შენ განთუა არი, სამი ქალიშვილის მამა არის, დალონებული არის შენი გული. რატომ ეს სამი ქალიშვილი შენთანა? ახლა ერთს გეტყოდე, თუ ზუსტად შეასრულებდე, ცხრა თვის თავზე ვა-

ჟიანობა შენს ოჯახში იყოს. ყური დამიგდე: დღეს მზის ჩასვ-ლამდე შენს ცოლს სამჯერ ჭიპზე აკოცებდე, ერთ კარგ ჭედი-ლას დაპელავდე, შარშანდელ სამკოკიანს მოხდიდე და ერთ კარგ ქეითს გამართავდე. თუ ამას ზუსტად ასრულებდე, ცხრა თვის თავზე ბიჭი კალთაში ჩაგიგორდეს, თუ არა და მერე ნულარ დამენდურებოდეს განთუაი“, ზუსტად ისე უთქვამს ციგნი მკითხავასა, როგორც ბიჭებმა დაარიგეს.

კატას ეუვანი შებმული აქესო, წამოსულან განთუას ძმაკ-აცები, მისდგომიან ნოქრის კარსა, განთუასთან საქმე გვაქვს, თუ შინ არისო? ცოლითვინ უკითხავთ. განთუას ეგრე ადრე სახლში რა მაიყვანდა, ავად კი არ არის, განა თქვენ უკეთ არ იცით, სადაც იქნებაო, გაოცებულა განთუას ოჯახობა – საბუეთელი ფაციაი ამ უდროო სტუმრობითა. ჩვენ კიდე ის-ეთი საქმე გვაქვს, რომ ხვალამდე ვერ მაითმენს, შენ ნარდი გამოგვიტა, აქ დაველოდებით, უპასუხნიათ ბიჭებსა.

სხედან განთუას ძმაკაცები კაკლის ქვეშ და ნარდს ამღერებენ. განთუა კი ამ დროს ეკლებზე ზის, რომელი კრება დამთავრებულა დროზე ადრე და მით უმეტეს რაიკავშირის კრებაი, მიედ-მოედებიან მოკამათენი, განთუას გონება კი სხვაგან ჰქრის. ფანჯარას მიშტერებია სამი გოგოს მამა და ჩამავალ მზეს შეპურებს, რაც კრებაზე ითქვა, ერთი სიტყვა არ გაუგონია. თავის მომავალ ვაჟზე და ციგნი მკითხავზე ფიქრობს. ბოლოს, როცა მზის ჩასვლამდე ოთხი თითის დადება დარჩენილა, წამომხტარა განთუაი და ცოფნაცემივით დაუყვირნია: – თქვენ აქა ჭოტის თავები გამაგსხმიათ, ზღაპრებსა ჰყებით, მზე კი ჩადის და ჩემი ვაჟის ბედი ნიავქარდება. თქვენა ჩემი სატკივარი ფეხებზე გყიდიათო, განეულა კარებისკენა, მაგრამ გზა გადაუღობავთ. რას სჩადი, კრება ჯერ არ დამთავრებულა, ჯერ დადგენილება არ მიგვილია, შენ ჭკუაზე აფრაკად ხომ არა ხარო. გაიწით, თქვენცა და თქვენი დადგენილებაცა, ბიჭის საქმე მეღუბება, რა დროს დადგენილებააო, შემოუბლერტავს განთუას მეკრებენი, დაუკრავს ფეხი და გამოქცეულა.

წათლიმამისთვის კარგა მოზრდილი ჭედილა შეუწერია, გამოუგდია შინისკენ და გამალებული მორბის. მზე ჲა და ჲა, სადაცაა ქედს მიეფარება, ჩამოვარდნილა განთუა თავის

ეზოში, მონარდეთათვის ზედაც არ შეუხედავს, ჭედილა სარზე დაუბამს და ცოლისკენ გაქცეულა. ფაციას თონე გაეხურებინა, ცომს ზელავდა. შევარდნილა განთუა სამზადში, სარკმელი გამოულია და ცოლს უყვირის: „დედაკაცო, დედაკაცო, ახლავე აქ გაჩნდი, გეყურება!“ ფაციას ცომიან ხელებზე წყლის გადავლებაც ვერ მოუსწრია, ამ კაცს რაღაც სჭირსო, გაუვლია გუნებაში და იმ წამსვე იქ გაჩნილა. „ჩქარა, დედაკაცო, მზე ჩადის, სამჯერ ჭიპზე უნდა გაკოცოვო“, შეუკვეთავს განთუასა და ცოლს მკლავზე წაპოტინებია, „ი, მეზი კი დაგაყარე, მე ფარცაგი რამ მეგონა. თავიდან მომწყდი თორემა, იქნებ, ეგ ქვასანაყი ზურგზე გდრუზოო“, აღრენილა ფაცია. „შე სულელო, ახლა ახსნის დრო არ არის, მერე გეტყვი ყველაფერსაო“. არ იშლის თურმე თავისას განთუაი. ბოლოს უმარჯვნია ნოქარსა, დაუჭერნია ცოლი და, როგორც მკითხავმა დაარიგა, სამჯერ ჭიპზე უკოცნია.

...მეთვრამეტე სადლეგრძელო ასეთი უთქვამს ხათრიჭალელ-რაფიელსა: „მოდი, ამ სასმისით იმ ხარირემს გაუმარჯოს, მზი ჩასვლამდე ჭიპზე რომ ჰკოცნის თავის ფურსა, აქაოდა ბიჭი მეყოლებაო“. მიმხვდარა ყველაფერს განთუაი, შემხტარა და შემოტრიალებულა, მაგრამ რაღა დროს, სტუმრებს ხომ ვეღარ დაიფრენდა: ხარმა თქო: თქვენ დასაბმელი მიშოვნეთ, დასანოლს მე ვიშოვიო, რაკილა განთუას სამკოკიანს თავი უწყეს, დილამდე უქეიფნიათ, უთხოვნია – გახმაურებით მაინც ნუღარ გაახმაურებთ ამ ამბავსა, მთელს დუნიაზე თავი მომეჭრებაო.

რავი, რომელ ძმაკაცს აეშალა საღერღელი, ვინ მოხსნა თავი გუდასა, ეგ არის, მეორე დღესვე მთელმა სოფელმა იცოდა განთუას თავზე დატრიალებული ოინბაზობა.

განთუასა მეც კარგად ვიცნობ. არ მიყვარს ქილიკაობა, მარტო თქვენ გიამბეთ ეგ ამბავი, განთუას მზემა, სხვებს განა ვუამბობდი.



ჯორი

ჰყინავს.

ხეებს ჩრდილი როგორც კი მარცხნივ მოექცა, ქარმა წა-მოუბერა და სუსხმაც იმძლავრა.

„წანწალია ამინდს“ ეძახიან ასეთ ამინდს ჩვენში.

ამ ტყეს დღის სინათლით თუ გავაღწიე, საკურდლიას სერიდან სოფელი გამოჩნდება და მთვარის შუქზეც იოლად გავიგნებ გზას.

მთელი დღე მზის გულზე ვიარე. შუადლისას დამცხა კიდეც და ტყაპუჭი ნახევარი გზა ხელზე გადაკიდებული მომქონდა. ქარი რომ აკვნესდა, თოვლჭყაპი მალე შეკრა და ჩემს ფეხევეშ ხრაშუნი უფრო და უფრო გამოკვეთილად ისმის.

– ძმობილო! – ისე ახლოს მომესმა, რომ მოულოდნელობისაგან კინაღამ განზე გადავხტი.

ფიქრებში გართულმა ვერც კი გავიგე მხედრის მოახლოება.

– გამარჯობა! – ან ჯორზე ზის და ან მომცრო ტანის ცხენზე, „ხევსურულს“ რომ ეძახიან.

სალამზე რომ ვუპასუხე, ჩემკენ გადმოიხარა და მოკრძალებით მკითხა:

– ყურები თეთრი მაქვს?

– რა?

– ყურები თუ მაქვს თეთრი.

ამ უღმერთო ყინვაში ქუდი არ ახურავს, ოცდაათიოდე წლის კაცია, უზანგებში გაყრილი ფეხები გაშლილი უჭირავს. ხუჭუჭა თმა ყინვისაგან ისე გაჩიკინებია, რომ ორთქლის აბანო ვერ გააღღობს. უხელთათმანო მარჯვენაში მათრახი უჭირავს. ბრტყელი სახე აქვს და დიდი პირი. გამოხუნებულ წარბებზე თრთვილი ადევს. რაც შეება ყურებს, თეთრი არა, მაგრამ წითელი კი აქვს, რაც დაუფარავად მოვახსენე.

– თეთრი ხომ არ არის და წითელს არა უშავს, – ღრმა დაჯერებით ამიხსნა.

– გენვის?

– ამენვა კი, ასე გვიანობამდე არ ვაპირები დარჩენას. დილით თბილოდა და ქუდი არ დავიხურე, ეს ოხერი.

– ყინავს.

– დაკვირვებული ვარ, თებერვალში ჩვენთან უფრო ცივა, ვიდრე იანვარში.

– აქეთ?

– ზემო სოფელში ვცხოვრობ, ქარჩხალს ვეძახით.

– ქარჩხალი ვიცი, ქარჩხალში ბერძნებიც ცხოვრობენ?

– ცოტა ბერძნებიც არიან.

– ბერძნები რაღამ ამოიყვანა ამ სიმაღლეზე,

– რა მოგახსენოთ, ბაბუაჩემი იტყოდა: ეგენი ჩვენზე ადრე დასახლებულან აქაო.

– შეიძლება.

გასწრებას არც კი ფიქრობს, მგელი მგელს ეძებს ამ ძვალხვრეტია ყინვაში და რა გასაკვირია, კაცმა კაცის სიახლოვე ისურვოს.

– ხომ არ დაიღალეთ, ჯორს დაგითმობთ, – თავაზიანად შემომთავაზა.

– გმადლობთ, ბატონო, ფეხით მირჩევნია.

– ქალაქიდან მოპრძანდებით, ალბათ.

– კი, მაგრამ ფეხით სიარულს გადაჩვეული არ გახლავართ, მთამსვლელი ვარ. ყოფილი, უფრო სწორედ.

– აქ?

– ბანაკი გვაქვს გაღმა, ალპინისტებს ვავარჯიშებ.

– აგაშენათ, ეგ კაი საქმეა, – ჩამოქვეითდა, – ცოტა მუხლს გავმართავ.

ცოტა ხანს უბრად ვიარეთ, მენამული მზე ზურგზე გვაფენს უკანასკნელ სხივებს და ჩვენი განენილი ჩრდილები თოვლზე დინოზარის ჩონჩხებს წააგავს.

შეჩერდა, მომიბრუნდა და დამაცქერდა.

– უკაცრავად ვიყო. არც ახლა მაქვს ყურები თეთრი?

– არა, ბატონო. თოვლით დაიზილეთ, თუ გეწვით.

– თოვლი უარესს მიზამს, ამ ერთი კვირის წინ მომეყინა და შეშინებული ვარ.

– დაბამბული ქუდი უნდა დაიხუროთ, ჩემგან არ გესწავლებათ.

– ჩვენ ცხვრის ტყავის ქუდები ვიცით, ფაფახს ვეძახით, მაგრამ სუნს ვერ ვიტან, ეს ოხერი. საერთოდ ქუდს ვერ ვეგუები.

– ჯერ ახალგაზრდა ხართ, დრო მოვა, მიეწვევით.

– გაგიკვირდებათ, ალბათ, ჯორზე რომ ვზივარ, ჯორი ვიღას ჰყავს ახლა. ჩვენს სოფელშიც მარტო ეს ჩემი ჯორია, მართალია, ცხენის მუხლი და განევა ამას არა აქვს, მაგრამ მიყვარს ეს ოხერი, შევეჩივიე, გასაყიდად არ მემეტება, გულისხმიერი პირუტყვია, ჩემი რომ არის იმიტომ არ ვაქებ, დღეის სწორის ამბავს მოგახსენებთ და თავად განსაჯეთ: ბინებში გახლდით მაღლა, მეცხვარებს ფოსტა ავუტანე. ფოსტალიონი დაგვიძერდა და საძოვრებზე კი არა, სოფელშიც ძლივს დააჩოჩიალებს ჩანთას. იქ, როგორც იფიქრებთ, ცოტა გეახელით კიდეც და მთვრალ კაცს ხომ თავისი ხუშტურები აქვს – ვიღაცის რაღაცა არ მომენტია, ავიხირე; ამაღამ უკან უნდა დავბრუნდე-მეთქი, გიუ მიუშვი ნებასაო, ხომ გაგიგონიათ. ჩემი დაკავება არც უცდიათ, იციან, რა ღვთისპირიდანგადავარდნილი გახლავართ. თუ ვთქვი რამე, განსაკუთრებით სიმთვრალეში, მორჩენილი ამბავია, ჩემს სიტყვას არ გადავალ. შევკაზმე ჯორი და დავადექ გზას სოფლისაკენ. სად მიდიხარ ამ ნკვარამში? თოვს, თვალთან თითს ვერ მიიტან. ეს ადგილები ცუდად როდი ვიცი, ამ ტყე-ლრეში მაქვს ჭიპი მოჭრილი, მაგრამ რამე ხომ უნდა დაინახო. ბილიკი ისე ამოულესია ნამქერს, რომ მამაზეციერიც ვერ გაარჩევს. სამიოდე კილომეტრი ასე აჩა-ბაჩად, უკომპასოდო, რომ იტყვიან, ვიარეთ. გზა რომ საბოლოოდ დავკარგე, ცოტა არ იყოს, შიში შემეპარა. ყელაფერს რომ თავი დაანებო, ნადირი შეიძლება დაგაცხრეს თავზე. ყვირილი დავიწყე, მაგრამ გაციებულს ხმა მაღე ნამერთვა, უქუდოდ ვარ, ყელ-კისერი ისე მაქვს თოვლივით ამოტენილი, რომ სულის მოთქმა მიჭირს, ჯანდაბას ჩემი თავმოყვარეობა, უკან გავბრუნდებოდი, მაგრამ გავიგნებ გზას? ამასობაში ცოტა გამოვფხილდი და გამახსენდა, რომ ქვევით „დევის ნამუხლარს“ რომ ვეძახით, ტყეში, პატარა მინდორივით არის და იქეთობას შევნიშნე, გაღმა სოფლის მეჯოგებს კარვები დაუდგამთ. იქნებ ამ კარვებს მივაგნო! კარგა ხანს ვიარე ასეთ დღეში. ერთიც ვნახოთ, ჯორი გაოჩნდა. ჩემს დაბინდულ გონებას ძალას ვატან, გუმანით ვიცი, რომ

„დევის ნამუხლარი“ მარჯვნივ უნდა იყოს. მოვქაჩავ ალვირს მარჯვნივ, ჯორი დამყება, ხუთიოდე ნაბიჯს გადადგამს, უცებ ჯიუტად დაიენებს კისერს და მარცხნივ გავარდება. მოვულრევ კისერს. კულავ მარჯვნივ შევაბრუნებ, გაგიგონია? მაინც მარცხნივ იწევს. ესლა მაკლია, ვაჭამე ერთი ორი მათრახი, მაგრამ ვერა და ვერ დავიყოლიე, ხელები და ყურ-ცხვირი ჩემი ალარ არის. ლამის ვიტირო ამხელა კაცმა, „რა გინდა, რას მერჩი. ჩემი სიკვდილი გინდა, შე ღმერთგამწყრალო?“ – ვეუბნები ჯორს. არაფერი ეყურება. ვქაჩე მარჯვნივ და ბოლოს სულ დადგა. მიადგა ფეხები და ალარ იძვრის, რა ალარ ვიღონე, ვურტყი, ვეფერე, უკნიდანაც (თქვენთან ბოდიში მომითხოვია) მივაწევი, მაგრამ ნაბიჯი არ გადადგა, ფეხი არ მოიცვალა. ვიყინები, ილაჯი ალარა მაქვს. გაგებული მქონდა, ასეთ დროს პირუტყვი უნდა დაკლა და ფაშვში უნდა შეძვრეო. დავაძრე ხანჯალი, მაგრამ ხელი ალარ მემორჩილება, ყველაფერი ერთბაშად გამახ-სენდა, რა სამსახურიც ჩემთვის გაუწევია ამ დალოცვილს. ვერ დავკარ, ვერა. მივატოვე და მარტო მივარღვევ თოვლს, ცრემლები ლაპალუპით ჩამომდის, ახლა იმაზე ვფიქრობ, მკვდარს მაინც მიპოვნიან თუ არა, ჩაიჩუმქრები თოვლში სადმე და გაზაფხულამდე ვინ მოგაგნებს. ასეთ ყოფა-წამებაში ალბათ კილომეტრამდე გავიარე. ადამიანი ძალლზე უარესია, რომ გგონია, მეტს ველარ შევძლებო, სწორედ მაშინ გაქვს ერთი ჭყანა ხელებში, სიცოცხლის დასაცავად რაღაცა თადარიგი აქვს შენახული ჩვენს ძარღვებში ღმერთს, ბოლოს, ყველაფერს აქვს საზღვარი, და ძალაც გამომელია. ფარ-ხმლის დაყრას ვაპირებდი, ჩემ წინ რომ ქოხი ალიმართა უკუნეთში. მაშინვე ვიცანი მონადირის ქოხი. სად წამოვსულვარ, სოფლის გზას ავცდენილვარ და ხევსგალმა, ზემოთ, კუპრატყებში ამომიყვია თავი, მივაწევი კარებს. ღმერთს არ ვყოლივარ განწირული, მონადირეებს წესად აქვთ, ქოხში ფიჩხსა და ასანთს უეჭველად დატოვებენ. ასანთი, რასაკვირველია, ნესტიანი იყო, ჩემი მოყინული ხელებით ვერა და ვერ მოვუკიდე, წარმოგიდგენია? ბოლო ღერი შემრჩა. ან უნდა აინთოს, ან უნდა გავიყინო ამაღამ, აინთო. რაღაც არსებობს, არ უნდა ლაპარაკი. აბა რაღა ის ბოლო ღერი აინთო? გავაჩალე ცეცხლი და ახლა კაცი ვარ, ყურები მოჭრი-

ლივით მეწვის, მაგრამ ყურებს დავეძებ? ისე გავთამამდი, რომ დილისკენ, ცოტა არ იყოს, ჩამთვლიმა კიდეც. ანგელოზების დილას ეტყვიან – მზიანი, წყნარი, უქარო – სწორედ რომ ისეთი დილა გათენდა. გამოვიხურე ქოხი და თოვლს აღმა შევყევი, რადაც უნდა დამიჯდეს, ჩემი ჯორი უნდა ვიპოვო, მკვდარი ან ცოცხალი. გამოვვლე ხევი, ავყევი აღმართს და ესეც შენი „დევის ნამუხლარი“, მეჯოგების კარვებიდან კვამლი ამოდის, მივედი კარვებთან, აგერ არაა ჩემი ჯორი? თბილ კარავს ზურგით მიყუდებია და ფრუტუნებს, მოვკიდე ალვირში ხელი და გზაზე გამოვიყვანე. ეტყობა, წუხელის თოვა ადრე შეწყდა, ნაკვალევი ჩანს, სულელო, ჩემო თავო. იცოდე მეტრზე ვყოფილვარ წუხელის ამ კარვებიდან. აგერ, ა, ხელის გაწვდენაზე აგვიქცევია. თურმე ჯორი რომ მარცხნივ გავარდება, ზედ კარვის კარებს მივადგებით. იცის თურმე თავის საქმე. მე ვყოფილვარ ჯორი, ეს კი არა, სად წავსულვარ, საით გამიხვევია. ახი არ იყო ჩემზე, რომ დავლუპულიყვავი?

– საინტერესო კია, მსგავსი ამბავი ბევრჯერ მსმენია, ხედავს ნეტა ლამეში პირუტყვი?

– ხედვაზე რა მოგახსენო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი, ისე ბნელოდა. მაგრამ გრძნობს კია. რა ვიცი, ყნოსვით გრძნობს, გუმანი აქვს? ცხოველია მაინც, ხომ იცით, ნადირი ამაღამ მთელ ტყეს შემოირბენს და ბოლოს მაინც თავის სოროში შეძვრება, ასე მოხდა, ჩემო ბატონო, სწორედ დღეის სწორ პარასკევს შემემთხვა ეს ამბავი. არ არის ახლა ეს ჯორი დასაფასებელი? მითხარი ერთი, იქნებ შვილმა ვერ გცეს ხანდახან ისეთი პატივი, საქონელი რომ გცემს.

ტყიდან რომ გამოვედით და ჩავივაკეთ, ფათერაკებიანი ოსი კვლავ გადმოიხარა ჩემკენ.

– ძალიან მეწვის ეს ოხერი. ერთხელ კიდევ შემავლეთ თვალი თქვენს გახარებას, ყურები თეთრი მაქვს ხომ?

– არა.

– აბა რა ჯანდაბა მოუკიდათ. თითქოს მარწუხს მიჭერენო, ფაფახი უნდა ვატარო ანი, სხვა გზა არაა.



ნელი ნიკურაძე

დირექტორმა, რასაკვირველია, პროექტი დამიწუნა, მაგრამ მიღებით ტკბილად მიმიღო. ეტყობა, კარგ ხასიათზე იყო ამ დილით და ცოტა იმაზე მეტიც მითხრა, რაც ევალებოდა. შენაო, ნიჭი არ გაკლია და მიკვირს, ასეთი გულუბრყვილო რატომ ხარო. ხშირად ვფიქრობ შენზე, რაღაცით ვერა ხარ სრულყოფილი კაცი. სადღაც ერთი ჭანჭიკი დაგაკლო გამჩენ-მაო. მოკლედ რომ გითხრათ, მიეთ-მოეთებით მიმახვედრა; ეს კონკურსები რომ ცხადდება, შენ მართლა კონკურსები ხომ არ გვიჩვით. ჭეშმარიტმა არქიტექტორმა სათუოდ რატომ უნდა გაიხადო საქმეო. რა ტყუილად ხარჯავ ოქროს ენერგიას, მე-ცოდები პირდაპირო. წინასწარ ვიცით, ვისი პროექტი უნდა გავიდეს, ჩვენც და პროექტის ავტორმაცო. ბავშვი აღარა ხარ, ან თავს რატომ იწვალებ და ან ჩვენ რაღაზე გვამაიმუნებო. კანიდან ვძვრები, რაიმე ნაკლი რომ მოვუძებნო ამ შენს ოქრო-სავით პროექტსო. ვხვდებოდი, მაგრამ მთლად ასე თუ იყო საქმე, არ მეგონა-მეთქი, გავუცინე და ხელი ჩამოვართვი. ისე კეთილად თანაგრძნობით მიცქეროდა დირექტორი, რომ ჩსუბი და ლანბლვა-გინება არ დამიწყია, ისედაც ბევრს მოვაბეზრე თავი. გამომაცილა და დერეფანში შემოფეთებული ქალიშვილი ხელით გააჩერა – გაიცანი, ეს ცნობილი არქიტექტორი კოკი გახოკიძეა, ეს კი ჩვენი ახალი თანამშრომელი – ნელი გახ-ლავთო, წარგვადგინა ერთმანეთს.

იცით ნელიმ როგორ ჩამომართვა ხელი? დუბლით დალლილი კინომსახიობი რომ იქნება. დარწმუნებული, ფილმში პირვე-ლივე კადრი რომ მოხვდება და ახლა რეჟისორის ჭირვეულო-ბასლა რომ აკმაყოფილებს თითქოს, ათასჯერ შევხვედროდით ერთმანეთს. არც გაოცება, არც ხელოვნური – „ნუთუ მარ-თლა? სასიამოვნოა, სასიამოვნო“. მკერდზე აფარებული მუყ-აოს საქალალდე მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენა რომ გამომიწოდა, საოცარი რამ ვიგრძენი: მე რომ არ გამეშვა, თვითონ ხელის წალებას არ ჩეარობდა, თითქოსდა სამუდამოდ

მიტოვებდა თავის თბილ, ჩიტივით მსუბუქ ხელს ნევროზისა-გან გალივებულ ჩემს უხეშ თითებში. ოციოდე წლისა იქნე-ბოდა. ახალმოშინაურებული ირმის მიმოხვრა ჰქონდა. თვალი რომ გამისწორა, გარემოების გამო იძულებით შებოჭილი ვე-ლური ცხოველის მზერა დავიჭირე. თითქოს თვითონაც იგრძ-ნო, თვალებმა რომ გასცეს და განზე გაიხედა. მაღალი იყო, ამორძალივით გაშლილი ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ოდნავ მაღალი და თხელი, აწეული ცხვირი და ამობურცული ვარდივით ამო-სული ტუჩები (ასეთი ტუჩები მხოლოდ ამ ასაკის გოგონებს აქვთ). საქალალდე ისევ მარჯვნივ გადაიტანა – თუ შეიძლება წავალ, ბატონო ნოდარ, მეო, დირექტორს შეანათა მეტყვე-ლი, მომნუსხავი თვალები, კარგად ბრძანდებოდეთო, თქვა და დერეფანს გაუყვა საჩიხეში შეტყუებული ირმის მსუბუქი, მა-გრამ შფოთიანი ბაკიბუკით.

მთელი დღე ჩემს გასაცოდავებულ საქმეებს გადავყევი და, სიმართლე გითხრათ, ნელი არც გამხსენებია. არქიტექტორთა კავშირში შევიარე, კაცს დაველაპარაკები, ცოტა გულს გა-დავაყოლებ-მეთქი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მსიამოვნებს იქ ყოფნა. ერთადერთი ადგილია, სადაც შემიძლია დილიდან საღამომდე უსაქმოდ ვიდგე და კაციშვილი არ მკითხავს, ვინ ხარ, აქ რა გინდაო. კოლეგას შევხვდები, პატარა იმედს შეი-ყუუბ გულში და წახვალ შენს გზაზე. სხვა დაწესებულებებში მე მარტო „საქმეებზე“ დავეხეტები. თუ როგორ მიდის ჩემი „საქმეები“, ეს მხოლოდ მე და ჩემმა ცოლ-შვილმა ვიცით, მა-გრამ მაინც ვფართხალებ რიყეზე ამოგდებული თევზივით. აზრები მაწუხებს, ხელშეკრულებებს ვაწერ ხელს, პროექტს ჩავკირკიტებ, ხან რისი აგება მინდა, ხან რისი გაკეთება. დავდივარ ამ ჩემი ჩანაფიქრებით ერთი კაბინეტიდან მეორეში. ყურადღებით მისმენენ, ლიმილით მეთანხმებიან, ხელს მართ-მევენ კი არა, ხშირად თავაზიანადაც გამომაცილებენ. ამით ყველაფერი მთავრდება. მიამიტი კაცი არ გეგონოთ. მე კარგად ვიცი, რომ იმ კოპორტის წევრი არა ვარ, იმ წრეში არ ვტრია-ლებ, იმ მაგიდას არ ვუზივარ, მაგრამ მე ჩემი ცხოვრების წესი მაქვს და ბებერი კავალერისტივით სასაცილოდ გავიჭიმები ხოლმე, როცა ორკესტრი გუგუნებს. თუმცა კარგად მესმის და ვხედავ, რომ ის ორკესტრი ჩემთვის როდი უკრავს. განზე

დარჩენილი კაცისაგან არც არავინ ითხოვს იმის ნახევარსაც კი, რასაც ვაკეთებ, მაგრამ, ჩანს, სხვანაირად არ შემიძლია და, სიმართლე გითხრათ, დაწუნებულ პროექტს რომ იღლიაში ამოვიჩირი და შინ მივდივარ, ხელმოცარულობის განცდა არასოდეს მეუფლება და არც უბედურ კაცად მომაქვს თავი. ჩემი ოჯახის სარჩენი ფული რომელილაც ინსტანციაში უღალატოდ იჩითება. ასე რომ არ იყოს, ძალიან გამიჭირდებოდა. რომ მივდებ-მოვდები და თითქოს არსაიდან საშველი არ ჩანს, სწორედ მაშინ დამიძახებენ პროექტის თანაავტორად, ან სახელდახელო (არქიტექტორები „ხალტურას“ ვეძახით) საქმეს დამავალებენ და თითქოს ჩემს გულში ისხდნენო, ჰონორარ-საც წინასწარ იძლევიან. ამიტომაც ნერვებს არ ვიწენავ და ხვალინდელი დღის შიშიც როდი მღრღნის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი პურის ფული უკვე დევს რომელილაც მაგიურ კარადაში და ხვალ ან ზეგ თეფშით მომართმევენ.

მახარობლიშვილი თავის კაბინეტიდან გამოვიდა და თავმჯდომარის კაბინეტისკენ გულმოსული რომ გარბოდა, დამინახა და თავი დამიქნია. კართან, თითქოს რაღაც გაახსენდაო, შემოტრიალდა და ულვაში მოიქექა – კოკი რომ გავგზავნოთ? გახოკიძე, წახვალ აჩინჩარაში?

კედელს არ მოვშორებივარ, არ მიყვარს ზედმეტად ცეცხლოვანი, ცქვიტი ადამიანები. – რატომ, რა საქმეზე-მეთქი – მშვიდად ვკითხე.

თავმჯდომარის კაბინეტის კარი გამოაღო და შესძახა – კოკი გახოკიძეს გავგზავნი! სხვას მაინც ვეღარავის ვიპოვი! აქ არის, კი! – კარი მიხურა და მომიბრუნდა, – აჩინჩარაში ხვალვე უნდა წახვიდე. აბანოს პროექტი სჭირდებათ. რაღაც ორიგინალური გვინდაო. არ გაგიჭირდება ეგ ამბავი. შენი პროექტებიდან (ალბათ დაწუნებულებს გულისხმობდა) რომელიმე გადააკეთე. შევთანხმდით. მანანა, გამოუწერე მივლინება!

ჩემს პასუხს არც კი დაელოდა, ღია კარში ტუცა თავი. მდივან გოგონას მამის სახელი შევახსენე, დანარჩენი თვითონ იცოდა, მივლინების ფული ავიღე, დღის ბოლომდე გამომცემლობაში ვიყურყყუტე და, როგორც იქნა, მოიღეს მოწყალება, მაღირსეს შარშან რომ ჭკუასელის ნოველები გავაფორმე, იმის ორიოდე გროში. ანი წიგნს აღარ გავაფორმებ. ჯერ ერთი,

კაპიკებს იძლევიან და მეორეც, ცხრაჯერ მაინც უნდა მიხვიდე და ღარიბი ნათესავივით ეღრიჯო თავგაბეზრებულ ბუღალტერ-მოლარეებს.

ავტობუსის გაჩერებასთან იდგა, ლენინის ქუჩაზე, ფილარმონიის წინ, ხალხს გამოყოფოდა, განზე გამდგარიყო გაბუტულივით. ყავისფერი საქალალდე ისევ ისე ეჭირა, მანქანებს ხელს არ უქნევდა, თავს ასწევდა მხოლოდ და ტაქსს მაღალი ყელის მოხდენილი მოძრაობით ანიშნებდა, თუ თავისუფალი ხარ, გააჩერეო. ფეხებთან დავუმუხრუჭე და წინა კარი გამოვალე. ჩემს „უიგულს“ ამრეზილად შეავლო თვალი და განზე გაიხედა.

– ქალიშვილო!

ზურგი შემაქცია, ამაოდ ველი, რომ გამოიხედავს და მიცნობს.

– ამხელა კაცმა თავმოყვარეობა სად დაკარგე, ვერ გაეტევი შენს გზაზე? – დამგესლა ხელჩანთიანმა, მძიმე წინის მანდილოსანმა.

– ნელი! – სიბრაზისაგან გამშრალი ხმით დავუძახე.

– ბატონო კოკი! მაპატიეთ, – თითქოს ხმაზე მიცნოვო, ერთბაშად შემობრუნდა, საქალალდე გამომიწოდა და ევროპულად ჩაეშვა სავარძელში. ევროპულად-მეთქი რომ ვამბობ, არ გაგივირდეთ, მოსკოვში, შარშან, ერთმა ტაქსის შოთერმა ამიხსნა: ჩაჯდომის მანერაზე ვცნობ, ვინ ევროპელია, ვინ მოსკოველი (რატომ გამოყო, არ ვიცი) და ვინ პროვინციელიო. პროვინციელები ჯერ თავს შემოყოფენ მანქანაში და მერე ხუთნაირად იგრიხებიან, სანამ სავარძელზე მოკალათდებოდნენო. მოსკოველები, რატომძაც, ჯერ ფეხს შემოდგამენ და მერე სხდებიან. ეს გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე თავის შემოყოფა ტაქსშიო, ევროპელები კი ელვისის წრაფით ჯდებიან. კარს გამოაღებენ თუ არა, უკვე სხედან სავარძელში, სასიამოვნო საყურებელია მათი დაჯდომაო.

ნელი, როგორც მოგახსენეთ, ევროპულად დაჯდა. საქალალდე გამომართვა, უკან გადადო და თეთრი, ჩანიკნიკებული კბილები შემომანათა. – შეგაწუხეთ, ვინ იცის, გეჩქარებოდათ.

— ასე რომ ყოფილიყო, არ გაგიჩერებდით, — რა უხეიროდ გამომივიდა, მაგრამ ენიდან გასულ სიტყვას ვეღარ დაიბრუნებ.

— თქვენ გინდოდათ გეთქვათ, გამიჩერებდით და ბოლიშს მომიხდიდით, რომ გეჩქარებათ, ხომ?

— დაახლოებით. საით წავიდეთ?

— პავლოვის ბოლოში, ძალიან შორს ხომ არ არის? — შეშფოთებით მკითხა.

— არა. მეც იქით ვცხოვრობ,

— თქვენ ხომ ვაკის პარკთან ცხოვრობთ?

— საიდან იცით? — რა მემართება, რა ცივად და უხეშად ვეღაპარაკები ამ ანგელოზივით გოგოს.

— ერთხელ დაგინახეთ. ვაკე-საბურთალოს გზაზე, მაღალ-ფეხებიანი, თეთრი სახლიდან გამოხვედით.

გმირთა მოედნის წრეში კარგა ხანს ვერ შევედით, ვარაზისხევიდან მანქანების ნიალვარი მოგვაწყდა მთელი ტანით შემობრუნდა და თითქოს სიღლა გამანნაო.

— ბატონო კოკი, რატომ ხართ ცუდ ხასიათზე?

მოვხედე და შემჭოთებულ ირმის თვალებს რომ წავაწყდი, გამეცინა:

— მაპატიეთ. ეგ თქვენ არ გეხებათ... საერთოდ ამ ბოლო დროს მე უფრო ხშირად ცუდ ხასიათზე ვარ.

წინ გაიხედა და ფიქრიანად ჩაილაპარაკა.

— ვიცი.

საიდან იცის. ვერ ვიტან პატარა გოგოცუნების ყალბ, რომანტიკულ, ამოოხვრებით სავსე ლაპარაკს. ესეც ალბათ ისეთივეა, როგორც მისი ასაკის ლამაზმანთა უმეტესობა — ყურადღებით განებივრებული, ქარაფშუტა, ცხოვრებაუნახავი, ნოტებზე მოლაპარაკე.

— როგორი კაცია თქვენი დირექტორი?

მცირე პაუზის მერე მიპასუხა.

— მე მგონი კარგი პიროვნებაა, იცით, მე შეიძლება ვცდებოდე, მე მხოლოდ ერთი თვეა მანდ ვმუშაობ, ჩემთვის კარგია. სამსახურში მიმიღო. ინსტიტუტში პროფილის ცნობა რომ არ მიმეტანა, გამომრიცხავდნენ.

— არქიტექტურულზე სწავლობთ?

— დიახ. დაუსწრებლად, მეორე კურსზე.

— მამა რა მოხელეა?

— მამა არ მყავს, ბატონო კოკი.

—?

— ერთი წლის გახლდით, მამამ თავი რომ მოიკლა, დედამ და დეიდამ გამზარდეს.

— რატომ მოიკლა თავი?

— ვერ გეტყვით.

— არც დედამ იცის?

— დედამ, ალბათ, იცის, მაგრამ როცა ვკითხავდი, რაღაც სისულელებს თხზავდა, შევატყვე, რომ არ უნდოდა, სიმართლე ეთქვა ჩამთვის და კარგა ხანია მეც აღარ ვეკითხები.

— რა გვარი ხართ?

— ნიკურაძე.

ხელნაწერთა ინსტიტუტთან გამაჩერეს.

— რა უნდათ? — ეს არ იყო გულგრილი მგზავრის მიერ მოვალეობის მოხდის მიზნით დასმული შეკითხვა. აშკარად ჩანდა, ნელის არ უნდოდა ჩემს უგუნებობას კიდევ ერთი მიზეზი დამატებოდა.

მანქანაში რომ დავბრუნდი, პირველ რიგში მისი ცნობისა-მოყვარეობა დავაკმაყოფილე.

— რეიდია, საბუთებს ამონმებენ, ტექდათვალიერება არ გამივლია და კინალამ დამაჯარიმეს, ხვალ ვაპირებდი, მაგრამ ხვალაც ვერ მოვასწრებ, აჩინჩარაში მგზავნიან.

— რაზე?

— მივლინებით.

— რა კარგია. — ჩემკენ არ იხედება. პროფილი ისე ლამაზი არა აქვს, როგორც ანფასი.

— რად გინდოდათ არქიტექტურული? — რაღაც ხომ უნდა ვკითხო.

— ამ შეკითხვას მხოლოდ არქიტექტორები მაძლევენ. ვიცი, ახლა თქვენ მეტყვით, ნერვების გლეჯის მეტს არაფერს მოგიტანს არქიტექტორობაო. ახლა არქიტექტორის საუკუნე არ არისო. თუ მოხდა და დამკვეთი დაიყოლიე, მშენებელი ისე გაათახსირებს შენს პროექტს, რომ ვეღარ იცნობო. მასალა არ არსებობს, ამიტომაც ყოველგვარ გადახრას გულისამრევი სტანდარტიდან „არქიტექტურულ ზედმეტობას“ ეძახიან და

ამოშანთვით ემუქრებიანო. შენ ლამაზი გოგო ხარ. შესული-ყავი უცხო ენებზე, ან მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე. ეს ყველაფერი ათასჯერ მომისმენია და მაინც არქიტექტუ-რულზე ვსწავლობ. დიდ ნიჭს ვატყობ-მეთქი თავს, ვერ გეტყ-ვით, მაგრამ მიზიდავს ეს სპეციალობა. ძალიან მიყვარს.

— აგაშენა ღმერთმა, — ვთქვი და გულში დავაყოლე: ღმერთო, რა კარგია, რომ ასეთი „ჯიუტი“ ახალგაზრდები მოდიან არქ-იტექტურაში. ამ სიჯიუტეს, თუ ჭკუაც ახლავს, ისინი უთუოდ გაიტანენ ლელოს. ასეა, ბოლოს ნებისყოფა იმარჯვებს.

ტროლეიბუსის პარკთან, პავლოვზე რომ ჩამოვატვიეთ, კუთხის სახლთან გამაჩერებინა მანქანა. ამ სახლში ვცხოვ-რობ, მესუთე სართულზე. ის პატარა აივანი, წითელი პილ-პილის აცმა რომ ჰქიდია, ჩემიაო. აივნის კარი ლიაა, დედაჩემი მოსულია სამსახურიდან. მაპატიეთ, ვერ გეპატიჟებით, არა ვართ ისე მოწყობილი, თქვენ რომ გეკადრებათო. დიდ მად-ლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვისო. კარი გამოალო და ჩეარი ნაბიჯით წავიდა. საქალალდე დაგრჩათ-მეთქი, მივაძახე. მოირბინა. ასეთი დაბნეული არასოდეს ვყოფილვარ, რა მე-მართება, არ ვიციო. მორცხვად გამიღიმა, კიდევ ერთხელ მო-მიბოდიშა და წავიდა.

მოვდიოდი შინისაკენ და ვნანობდი, რომ ასე მალე დამშორ-და. ბოლოს და ბოლოს კაცი ვარ, გასეირნება მაინც შემეთავა-ზებინა-მეთქი, ჩემს თავს ვტუქსავდი. ვინ იცის, კიდევ როდის შემხვდება შემთხვევით. ბოლოს დავასკვენი, რომ კარგად მოვ-იქცი. ნელი ფლირტის ქაღალდის მოწოდების სიტუაციას არ ქმნიდა. ისე ალალად და გულწრფელად ლაპარაკობდა, რომ ჩემგან — „კუს ტბაზე ხომ არ ავსულიყავით სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად“ — სრულიად უადგილო იქნებოდა. თავს გავი-ბითურებდი და მეტი არაფერი. იქნებ მომეჩვენა, იქნებ იგი უბრალოდ კარგად გაზრდილი გოგონა იყო, ან ისე ეშმაკი და ჭკვიანი, რომ ახერხებდა თავი მიამიტ გოგონად მოეჩვენებინა-მეთქი. ერთი გაფიქრება ესეც კი გავითიქრე. ბოლოს „უიგუ-ლი“ ჯაჭვით რომ დავაპი, ფეხზე ვივახშმე და ჩემი ბიჭების, ჩემდა ჭირად შეძენილ, ასაწყობ „ხომალდს“ ჩავუჯექი, ნელი ჯერ ოდნავ გაფერმკრთალდა და თანდათანობით მიიცრიცა მეხსიერების ფსკერზე.

აჩინჩარა პატარა ქალაქია შავი ზღვის სანაპიროზე. იმდე-ნად კოხტა ქალაქია, რომ ორმოცამდე ეროვნება ცხოვრობს. მსოფლიოს ხალხთა პატარა მუზეუმია პირდაპირ. იქნებ ამის გამოცაა, რომ ქალაქს ერთიანი არქიტექტურული იერი არა აქვს. ყველას თავის გემოზე უშენებია, ყველას თავისი სტილის დამკვიდრება უცდია, მაგრამ, თუ რაიმე არ უხდება აჩინჩარას, ეს გახლავთ ამ ათიოდე წლის წინ აშენებული სამი მაღალი სახლი, რა მტრული მოსაზრებით ჩამოაფარეს ეს სახლები იაშთხვას მწვანე ფერდობებს, კაცმა არ იცის.

ხელშეკრულება გავაფორმე, ლანდშაფტი ჩავიხატე და მეორე დღესვე უკან გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე. სასტუმრო „აქაბია“, სადაც ჩემმა თავაზიანმა მასპინძლებმა დამიდეს ბინა, ზღვას გადაჰყურებს. ამინდები მშვენიერია. ერთ კვირას დავრჩები, ცოტას გავივლ-გამოვივლი, ზღვაში ჩავი-ჭყუმპალავებ, რა ხშირად კი მე ვისვენებ-მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდნენ. რამდენ ხანსაც გაგიხარდებათ, ბრძანდებოდე-თო. ღმერთო, ნუ მოშლი საქართველოში სტუმარ-მასპინძლო-ბის გასაოცარ ადათს. რა მოწინებით მეპყრობიან, თვალში შემცირინებენ, რესტორნიდან რესტორნაში დამატარებენ, ამ-ათთვის მე მართლა ხელოვანი ვარ. თუ შენს თავზე რწმენა შეგერყა, შენს ძალებში თუ დაეჭვდი, მკითხველო, აიკარი გუ-და-ნაბადი და ერთი კვირით ეწვიე რომელიმე პროვინციულ ქალაქს. ძალა დაგიბრუნდება, გამხნევდები, სულ სხვა კაცად დაბრუნდები.

აჩინჩარაში ჩასვლის მეორე დღესვე ნელის სახე დამიდ-გა თვალწინ და მოსვენება დავკარგე. რა ხდება ჩემს თავს? სენტიმენტების და რომანტიკის კაცი არასოდეს ვყოფილვარ და ახლა მით უმეტეს. აღარც ასაკი მაქს აცუნდრუკების და არც გარემოება მაძლევს დიდ გასაქანს. უეცრად ჩამო-ფრინდება ნელის სახე გონების თვალში და ვერც ვიცილებ. ზღვას გავყურებ, ეს-ესაა ლურჯი ტალღებიდან ამოყო ხუ-ჭუჭა თავი და ჩემკენ მოცურავს, პირალმა დავწვები, ღრუბ-ლებში გაკრთება და გაბუტული სახით ცის კაბადონზე დგას და მიცერის. რესტორნაში ვზივარ, სადაცაა შემოვა ტანის ლამაზი რხევით, მასპინძლებს ბოდიშს მოუხდის და ჩემ გვერ-დით დაჯდება. მალიმალ კარებს გავყურებ. ხომ გამოგიცდიათ

ასეთი გრძნობა, – ვიღაც გაკლია, ვიღაც შენ გვერდით უნდა ყოფილიყო და აუხსნელი მიზეზის გამო არ ჩანს. იგვიანებს. ღმერთო ჩემო, რას ველი, ვის ველი. ყველა შეიძლებოდა ახლა ჩემ გვერდით ყოფილიყო, გარდა წელისა. რა ვარ მე მისთვის? ხეირიანად არც კი მიცნობს გოგო. სასაცილოდ არ ეყოფა, ალბათ, თბილისში რომ ჩავალ და ვეტყვი, ტკივილამდე მენატრებოდით, სულ თქვენი ხატება მედგა-მეთქი თვალწინ. ვტუქსავ ჩემს თავს, ვცდილობ სხვა რამეზე გადავიტანო ფიქრი, მაგრამ არა და არ გამოდის.

მთელი ლამის უძილო, დილით, სალაპარაკო პუნქტს მივადექი. საპროექტო ინსტიტუტში დავრეკე და ნოდარის მდივან გოგონას ვთხოვე, თუ შეიძლება, ნელი ნიკურაძეს დამაკავშირეთ-მეთქი. ახლავე ვნახავ თუ არისო. ღმერთო, როგორ გაგრძელდა ეს ერთი წუთი. გული ბაგაბუგით მიცემს. მოვა ახლა, „გისმენთ, გისმენთ?“, რა ვუთხრა, ვინა ვარ, რაზე ვრეკავ? რამ ამამჩატა ორმოცდაორი წლის კაცი, რა ეშმაკი შემიჯდა. „ალო, ალო“, – ნელის ხმა არ არის, – „ბატონო, არ არის, არ მოსულა ჯერ, იქნებ კიდევ დარეკოთ? ვინ ბრძანდებით, რა გადავცე?“ „არაფერი, გმადლობთ, თქვენის ნებართვით კიდევ დავრეკავ“. ჯიხურიდან გამოვედი და ღრმად ამოვისუნთქე. „კიდევ კარგი, არ დამხვდა, ახლა ზღვაზე წავალ, გავერთობი და მეტს ალარ დავრეკავ“.

ალარც კი მახსოვს, სად ვიარე დაახლოებით ორი საათის განმავლობაში და როგორ აღმოვჩნდი ისევ სალაპარაკო ჯიხურთან. „იცით რა, არ მოსულა, მგონი ნელის ლექციები დაენყო და შეიძლება ამ დღეებში არ მოვიდეს“. ყურმილი დავკიდე და გამშრალი გამოველ გარეთ. „დეპეშას გავგზავნი“, გამიელვა. ბევრი ალარ მიფიქრია, ფოსტაში ჩავირბინე და ასეთი ელვა დეპეშა ვაფრინე თბილისს: „თბილისი, მაღალ შენობათა საპროექტო ინსტიტუტი, ნელი ნიკურაძეს, დაგხვდები ხვალ, პარასკევს, აჩინჩარას მატარებელზე, მოკითხვა დედას, ჩამოდი აუცილებლად, მერი, სასტუმრო „აქაბია“, ეს რა კარგად მოვიფიქრე. ალბათ, დღეს ან ხვალ უეჭველად შეივლის სამსახურში. ეჭვსაც ვერავინ აიღებს, „მერი“ ზღვაზე ეპატიუება. მორჩა და გათავდა. მაგრამ თვითონ? მიხვდება, რომ ამ დეპეშას მერი კი არა, მე ვუგზავნი, მხოლოდ ორი დღის ნაცნობი,

ერთი საშუალო არქიტექტორი კოკი გახოკიძე, რომ ზღვარი არა აქვს ჩემს სითამამეს და გაბედულობას?

რაღა გავაგრძელო, პარასკევს გავეარდი მატარებლის დასახვედრად. ბაქანზე რომ ავრბოდი, უჩვეულო სიმსუბუქე ვიგრძენი.

ასე გაბავშვებულად და გალაღებულად თავი დიდი ხანია არ მიგრძვნია. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩამოვა. საქმიანი იერით დავაბიჯებ სადგურის ფილაქაზე. მატარებელმა ორი საათი დაიგვიანა, მაგრამ მოწყენა წუთითაც არ მიგრძენია. ეს მოლოდინი ყელამდე მავსებდა. გულის სიღრმეში მიხაროდა კიდეც, რომ მატარებელმა დაიგვიანა. დავაბიჯებდი ბაქანზე და თვალწინ მეათასედ იშლებოდა ძვირფასი კადრი. იგი ვაგონის კიბეზე დგას. ხელს შევაშველებ, ხელჩანთას გამოვართმევ, მხარზე ხელს გადავდებ და ასე, ტკბილი მუსაიფით მივდივართ ტაქსის გაჩერებისკენ. გზადაგზა ხუჭუჭა ქოჩირს ვუვარცხნი. მეჭიკჭიკება რაღაცას, მაგრამ არაფერი მესმის. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ.

ჩემ თვალწინ ჩაილალნენ ვაგონები, მაგრამ ნელი არ ჩანდა. მატარებელი რომ გაჩერდა, ბაქანის გასასვლელისაკენ გავიქეცი. თუ ჩამოვა, უსათუოდ აქ გამოივლის, აქ ნამდვილად არ ავცდებით ერთმანეთს. სანამ უკანასკნელმა მგზავრმა და მისმა დამხვდურმა არ ჩაათავეს კიბე, ფეხი არ მომიცვლია, არ ჩამოვიდა. გულდამძიმებული დავბრუნდი „აქაბიაში“ და მთელი დღე ტანსაცმლიანად პირალმა ვეგდე ტახტზე, ჭერს მიშტერებული. გაცუდდა ჩემი ოცნებები? არა. ასე არ ხდება. ასე არ უნდა მომხდარიყო. მე ხომ ასე საოცრად მინდა, რომ იგი ახლა ჩემ გვერდით იყოს. რაღაც ლოგიკა მაინც ხომ აქვს ცხოვრებას? ხანდახან მეჩვენება, რომ მთელმა ქვეყანამ იცის ეს ამბავი. თითქოსდა ყველამ ერთად შეკრა პირი ჩემ მოსატყუებლად. თითქოსდა, ისიც წინასწარ იყო დაგევმილი, რომ დერეფანში გაეცნოთ, მერე გაჩერებაზე დაეხვედრებინათ, აჩინჩარაში მივლინებით გავეგზავნეთ, რათა ანგელოზის სახიანი გოგოთი გაგიჟებულს სულელური დეპეშა გამეგზავნა თბილისში. უჭირავთ ახლა ჩემი დეპეშა და ხარხარებენ. ნელი? ნელის სუფთა, შვლის თვალები რომ გამასენდებოდა, ავი ფიქრები საპნის ბუშტივით ქრებოდნენ. არა, არა, მის

სიტყვებში თვალთმაქცობის ნატამალი არ ჩანდა. უბრალოდ დეპეშა დაუგვიანეს, ხვალ უსათუოდ ჩამოვა.

მთელ ღამეს არ მეინა. დილით წამთვლიმა და თვალი რომ გავახილე, ცხრა საათი იყო. შეშლილივით წამოვვარდი. წყალი შევისხი, პირის გაპარსვას ვინ დაეძებს, ლილებს გზაში ვიკრავ. დამაგვიანდა. მატარებელი (თუ დღესაც არ დააგვიანა) ზუსტად ცხრაზე ჩამოდის. კარგა ხანს ფეთიანივით ვაწყდებოდი აქეთ-იქეთ ქუჩაზე, მაგრამ არა და არ გამოჩნდა. ბოლოს ძალით ჩავუხტი ვიღაცას მანქანაში და დავეღრიჯე, თუ ძმა ხარ, სადგურში მიმიყვანე, ბავშვი მოჰყვება მატარებელს, გზა-კვალი არ იცის, თუ არ მივუსწარი, დავიღუპე-მეთქი.

სამი ნახტომით ბაქანზე გავჩნდი. მატარებელი ჩამოსულა და ჩამოცლილა კიდეც. არავინ ჩანს, საათის ქვეშ გაჩერებული ერთი წითელქუდიანი რკინიგზელის გარდა, გულჩამწყდარი ჩამოვბრუნდი ავტობუსის გაჩერებაზე. ბოძს მივეყრდენი და ის იყო ჩემს უიღბლობა-უნიათობაზე მწარე ფიქრებმა გამოტყუეს, რომ ზედ ყურის ძირში მომესმა:

- ბატონო კოკი.
- ნელი! – ვიყვირე. ალბათ ასე ყვირიან ზღვით გაწამებული მეზღვაურები „მინას“, ხმელეთს რომ დაინახავენ.

* * *

– გამიშვი, ძალიან გთხოვ, გამიშვი, თორემ ვიყვირებ, – ნელიმ სასოწარკვეთილი სახით მომიცილა და ჩემ პირდაპირ, ნარზე გადაჯდა.

- რა მოხდა?
- ჯერ ერთი, მატარებელი მცხეთაში შედის და მეორეც, მანდ იჯექი, უნდა გელაპარაკოთ.
- რა უნდა „მელაპარაკოთ?“ – „თ“-ს დავაწერი.
- მიყურა, მიყურა, გაიღიმა და ჩუმად თქვა.
- მაპატიეთ, ვერ მივეჩვიე თქვენთან შენობით ლაპარაკს.
- რა ხდება, ნელი?
- მომისმინეთ ყურადღებით. იცით რა, მე თქვენ არ მიყვარხართ და, – თითქოს ეშინია, ვაითუ ვერ მოვასწროო, სხაპასხუპით მიაყარა ერთმანეთს, – ძალიან გთხოვთ, თბილისში ნუ ვნახავთ ერთმანეთს. რაც იყო, იყო.

– ნელი! გაჩუმდი!

– ჰო, ჰო, დედას გეფიცები, მართალს ვამბობ. მე თქვენ არ მიყვარხართ.

– გძულვარ?

– არ მძულხართ, მაგრამ სულერთი ხართ ჩემთვის. რაღა თქვენ და რაღა ის კაცი, ხედავ? ჯიხურს რომ მიყრდნობია. ეს გრძნობა სიძულვილზე უარესია, რომ იცოდეთ.

– როდის მიხვედი ამ დასკვნამდე?

– დიდხანს ვფიქრობდი, მაგრამ ახლა, ამ წუთში საბოლოოდ დავრწმუნდი. ახლა რომ გადმოიხაროთ და მაკოცოთ, შეიძლება გავგიუდე.

გადავიხარე, გულზე მივიკარი და ვაკოცე.

– გამიშვით, ხომ ხედავთ, არ გპასუხობთ. არ მიყვარხართ, არა, არა, არა. მანდ იჯექით და ვიღაპარაკოთ, – საათს დახედა და ამოიხვენება, – ღმერთო, რა ნელა გადის დრო. არა უშავს, თხუთმეტ წუთში დამთავრდება ეს ყველაფერი.

– შენ ასე ფიქრობ?

– დარწმუნებული ვარ: ჩვენ შორის ყველაფერი გათავდა. რაც იყო, იყო. კარუსელს უკულმა ვეღარ დავატრიალებთ.

– ეს ხუთი დღე?

– ხომ გეუბნებით, რაც იყო, იყო-მეთქი.

– ნელი, შენ ჭკუაზე ხარ?! ეს ხუთი დღე ხომ ყველაზე უბედისესი იყო ჩემს ცხოვრებაში. და თუ ასეა, რატომ მეჩვენებოდა, რომ შენც ბედნიერი იყავი ჩემ გვერდით.

ნელში გაიმართა, ვაგონის კედელს მიაყრდნო ლამაზი, ხუჭუჭა თავი.

– დავუშვათ ეს არაფერს აღარ ნიშნავს. გახსენებაც არ მინდა. დავიღალე, ახლა მე თქვენ სრულებითაც არ მიყვარხართ.

– წუთუ ამ ხუთმა დღემ სხვაში ვერაფერში დაგარწმუნა?

– რაში უნდა დავერწმუნებინე, ეს ყველაფერი, რაც ჩვენ შორის მოხდა, დაბნეული გოგოს ხუთდღიანი არშიყი იყო. მინდოდა და გავაკეთე. ახლა აღარ მინდა. თქვენი დანახვაც აღარ მინდა. ხვალ შეიძლება სხვა მომენტოს და ასეთივე წარმატებით...

– ნელი! – გავარტყი.

სახეზე ხელი მიიფარა. გაოცებით შემომხედა.

– რატომ გამარტყით ასე ღონივრად, ბატონო კოკი, ხომ შეიძლება დამაჩინდეს ლოყაზე. მე ხომ ხუთდღიანი მივლინებით წამოვედი სამსახურიდან. ასე იცის დედაჩემბაც, – ლოყიდან ხელი მოიცილა და ჯიქურ შემომხედა, – აი, იმდენად სულ-ერთი ხარ, ჩემთვის, რომ შენი სილა არც კი მწყენია.

– რატომ ჩამოხვედი?

– მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ, ბავშვობიდანვე თქვენნირი კაცები მომწონდა. ნიჭიერი „ნეუდაჩინიკები“. თქვენ მიმართ რაღაცნაირი გრძნობა მქონდა. არა, ამას სიბრალული კი არ ერქვა. რაღაც მშობლიური, რაღაც სხვანაირი, სიყვარულსა და სიბრალულს შუა.

– გმადლობთ თანაგრძნობისათვის ყველა ხელმოცარული მამაკაცის სახელით. მერე?

– თქვენი დეპეშა, როგორც ჩამოსვლის დღეს გითხარით, გვიან მივიღე, ხუთშაბათს, ოთხშაბათს სამსახურში საერთოდ არ ვყოფილვარ. ვიცოდი, მიდეპეშებდით, ან დარეკავდით. აქ გასაოცარი არაფერია. თქვენ ნორმალური კაცი ხართ და უსათუოდ უნდა გადმოგეგდოთ ანკესი, მით უმეტეს ჩემთვის, რაკი, როგორც ამბობენ, ლამაზი ვარ.

გაჩუმდა. სარკმლის ფარდა გადასწია.

– ვიცოდი, რომ თქვენი დეპეშა იყო, მაგრამ მაინც გავბრაზდი. თქვენმა უტიფრობამ გამაბრაზა, ეს ყველაფერი ისე ტლანქი იყო, ისე მამაკაცური. თქვენ მარტო იყავით სასტუმროში, ნომრის გასაღები ჯიბეში გედოთ და მე, დიაცს საალერსოდ მინვევდით. დეპეშის დახევა მინდოდა, მაგრამ მერე უცნაურმა უინმა შემიპყრო, ჩამოსულიყავი და გამეოცებინეთ. ეტყობა, პატარა ავანტიურისტიც ზის ჩემში. თქვენ ხომ არ მელოდით. ჩვენი ნაცნობობის დროით და ჩემი ცხოვრების წესით თუ ვიმსჯელებთ, მე არ უნდა ჩამოვსულიყავი, შეიძლება უბრალოდ იმიტომაც გამოგზავნეთ დეპეშა, რომ სამომავლო ალიბი გქონდათ: „პატარა გოგო, იცი, რამდენს ვფიქრობდი შენზე მივლინებაში?“ მივლინებაში... დიდი ამბავი.

– ცდები. ვიცოდი, რომ ჩამოხვიდოდი.

– ეტყობა, თავიდანვე ვერ დავტოვე თქვენზე კარგი შთაბეჭდილება, ან ვინმემ ინფორმაცია მოგანოდათ – ჩქარი გოგოაო, თუმცა, დედას ვფიცავ, ამის საბაბი არასოდეს არავისთვის არ

მიმიცია. თუმცა ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ან, იქნებ ჩემ გამოუცდელობაზე ითამაშეთ. მე ხომ ოცი წლისა ვარ. მისმენთ?

– განაგრძე. როგორც ახლა ირკვევა, შენ ოცი წლის გულუბრყვილო გოგო კი არა, ჩემზე უფროსი ქალი ხარ.

– კარგი, კოკი, – გაილიმა, – ნუ დამცინი, – წარბები ისევ შეჰყარა და მკაცრი იერი მიიღო, – და აი, ჩამოვედი. მე არ ვნანობ. კარგად ვიყავი თქვენთან ეს ხუთი დღე. მომხიბვლელი მამაკაცი ხართ, ალერსიანი, სიმართლე გითხრათ, მაინტერესებდა კიდეც, როგორი იყავით საერთოდ. მეტი არაფერი. დილით საწლილან რომ ავდგებოდით და სასაუზმოდ ჩავდიოდით, ალარ მიყვარდით და მინდოდა ჩქარა დალამებულიყო. თქვენ გვერდით უცხოდ ვგრძნობდი თავს. მარტო ლოგინში მიყვარდით. მორჩა და გათავდა. მაპატიეთ, ასე უხეშად რომ გელაპარაკებით.

– მერე?

– არ ვიცი, რისი ბრალია, ყოველივე ეს. შეიძლება ჩემი ასაკის. მე ჯერ კიდევ ძიების, ადამიანებთან ურთიერთობის გარკვევის პროცესში ვარ. ან იქნებ, თქვენ არა ხართ ის მამაკაცი, ვისაც სიყვარული შეუძლია საერთოდ. ან იქნებ, მე არ დამაყოლა ბუნებამ სიყვარულის ნიჭი. ან... და შეიძლება ერთი მიზეზი ესეც იყოს – სიტუაცია არ გვიწყობს ხელს. ჯერ ერთი, თქვენ ოცდაორი წლით ხართ ჩემზე უფროსი. ეს ცოტა როდია. თუმცა მე ჩემი ასაკის ბიჭები არასოდეს მომწონდა. ასეთი ხასიათი მაქვს. იცით რა, დავიღალე. ჩამოსვლისთანავე სირცხვილი მიწვავდა ზურგს. თქვენ რომ ამაოდ უმტკიცებდით ადმინისტრატორს, ჩემი ცოლია, მაგრამ პასპორტი თბილისში დარჩაო. მერე ყოველდამე საცოდავი ღიმილით რომ უნდა დაგედოთ „ბამბანერკა“ სართულის მორიგისათვის და ნომერში აგეპარებინეთ. ახლაც მზარავს იმის გახსენება, რომ შეიძლება, ბაქანზე ცოლი დაგხვდეთ. გითხრათ, როგორ მოიქცევით? ერთს უმწეოდ, დაბნეულად გამიღიმებთ, შემთხვევით დამგზავრებულ გოგოსავით დამემშვიდობებით, ცოლს ხელკავს გამოსდებთ და წახვალთ. რა საშინელებაა.

– ნელი, მე შენ გაგიჟებით მიყვარხარ.

– მე არ მიყვარხართ. და საერთოდ, ძალიან გთხოვთ, ნუ

ლაპარაკობთ ამ სიტყვებს. მე თქვენ გინდოდით როგორც ქალი. და მე ვიყავი თქვენთან, ჩემი სურვილით. უფრო მარტივად უნდა შეხედოთ ამ ამბავს. ეს სიყვარული არ იყო. ბუზს სპილოდ ნუ აქცევთ. თქვენ სიყვარულის უფლება არა გაქვთ. არა, უფლება კი არა, ისე ვერ ვთქვი, როგორც მინდოდა, თქვენ სიყვარულის პირობები არა გაქვთ. არ გჭირდებათ ეგ რომანტიკა. კიდევ კარგი, რომ დროზე ვშორდებით ერთმანეთს. ეს რომ ნამდვილი სიყვარული იყოს, საშინელება იქნებოდა. გატანჯული სიყვარული. ლოდინი. კონსპირაცია, ცოლ-შვილისთვის წართმეული დრო და ფული. საზიზლრობაა პირდაპირ.

— ესე იგი, შენ თვალთმაქცობდი ეს ხუთი დღე.

— სრულიადაც არა. ხომ გითხარით, მე მსიამოვნებდა თქვენთან ყოფნა და არ გეკამათებოდით. კარგად გაზრდილი გოგო ვარ და თქვენ რომ სიყვარულზე მეჩურჩულებოდით, საწოლში კამათს ხომ არ დაგინებდით.

— ახლა?

— ახლა სხვა სიტუაციაა. ჩვენი ხუთდღიანი ეპოპეა დამთავრდა და სიმართლე, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მეთქვა.

— ნელი, — ყელი გამიშრა, თავბრუ მესხმის, ნუთუ ეს ყველაფერი მართალია, ნუთუ ყველაფერი გათავდა. როგორ დავიჯერო, რომ მას შეეძლო, ხუთი დღის განმავლობაში დაუჯერებლად გულწრფელ ქალად მოეჩვენებინა ჩემთვის თავი, — ჩვენ ხომ ამაზე ერთხელ უკვე ვილაპარაკეთ.

— დავინეთ, მაგრამ ბოლომდე ვერ ვთქვი, ძალა არ მეყო. წვეულებაზე შენ სასურველი კაცი ხარ. კარგი თამადა, ენაწყლიანი. იუმორის ნიჭით დაჯილდოებული. მაგრამ სწორედ მაშინ იყავი ჩემთვის ყველაზე უცხო. თავს იწონებდი, ყველას ულიმოდი. მაღალფარდოვნებდი. თითქოსდა ყველას ეკუთვნოდი. ჩემითაც თავი მოგწონდა. შემომხედეთ, რა ძლიერი ვარ. ოცი წლის ასე ლამაზი გოგოს სიყვარულის მოპოვება ხუმრობა ხომ არ არისო, მეტყველებდნენ შენი თვალები. და როცა მე დამიწყე „გალამაზება“ სხვების თვალში — ფრიადოსანი სტუდენტია, არქიტექტურულზე სწავლობს, მამიდასთან სტუმრად ჩამოსულა, შემთხვევით შემხვდა ქუჩაში და თქვენთან მოსვლაზე დავიყოლიერ, ეს კი ვეღარ გაპატიე და სამადლობელში ვთქვი,

მე მამიდაჩემთან არ ჩამოვსულვარ, და საერთოდ კარგად ვიცი ჩემი ადგილი და ჩემი ფუნქცია-მეთქი. შენ შეცბი. არ მოელოდი. მერე მთელი სალამო მეკითხებოდი — „ფუნქციაში“ რას გულისხმობდიო, მაგრამ მაშინ მიკიბულ-მოკიბულად აგიხსენი. ძალა არ მეყო. ჯერ ერთი, ყველამ იცოდა, რომ შენს ნომერში ვათევდი ლამეს და მეორეც, მე ის გოგო არა ვარ, ვისაც ყველაფერზე მეტად სახელის გატეხვისა ეშინია.

— ხომ შეგეძლო, არც ახლა გეთქვა, — მაჯა ამოხტომას ლამობს. მეშინია გული არ შემიღონდეს.

— რა?

— შენი „სიმართლე“.

— ამით რა შეიცვლებოდა. მე ხომ თქვენ დღეიდან აღარ გნახავთ.

— შევინახავდი ამ სიყვარულს. მე ეს მჭირდებოდა. მე ეს მაცხოვებდა ბოლომდე. მე ხომ ოცი წლის არა ვარ და საერთოდ, ანი აღარავის შეყვარებას აღარ ვაპირებ. შენ იცი, რა ჩაიდინე? თუმცა... შენ მაინც ვეღარ გაიგებ.

— არა, ბატონო კოკი. მე ყველაფერს გავიგებ, მაგრამ დამერწმუნეთ, ასე სჯობდა. თქვენ დროზე უნდა გცოდნოდათ. თქვენ ისე სუფთა კაცი ხართ, რომ მე ვერ მოგატყუებდით. მე არ მინდა იდარდოთ. გაწვალდეთ. უკეთესია ფიქრობდეთ, რომ მე ერთი ტუტუცი გოგო ვარ და ლირსი არა ვარ თქვენი სიყვარულისა.

— ეს რომ არ არი სწორი?

— სწორია! გეხვეწები, ნუ მტანჯავ! არ მიყვარხარ! არ მიყვარხარ!

ისტერიული ცახცახით თქვა. სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

მატარებელი თბილისის სადგურში შედის.



კვირიკე

მამისონის ულელტეხილი კარგა ხანია გადათეთრდა, მაგრამ სექტემბრის დასაწყისში გლოლას რომ თოვლი სწვეოდეს, აქაურ ბერიკაცებსაც არ ახსოვთ.

საავდრო ღრუბელი ჯერ შაორას დააცხრა, თვალის დახამხამებაში ხეობა ამოავსო და სამხრობამდე ჯერ კიდევ დრო რჩებოდა. ჩრდილოეთიდან ცივად რომ წამოუბერა და ერთბაშად ჩამობნელდა, ისეთი სიბძელით, ზაფხულში, სეტყვის წინ რომ იცის ხოლმე.

თოვლს მაინც არავინ ელოდა. ჯერ წვიმაგარეულად თოვდა, მერე ხვავრიელად ბარდინდა, გამთბარ მინას მაინც რომ ვერა დაატყო, ხოშკაპალა წამოაყარა: ყინულის საფენი გაუმზადა ფანტელებს და ნამქერი რომ დაბზრიალდა, ყველამ ირწმუნა, რომ ამინდი არ ხუმრობდა. კაცებმა ტომრები წამოიხურეს და ტყეს მიაშურეს. ბავშვები ყივილ-ხივილით იკლებდნენ გარემოს, საჩიხესმიმწყდარი საქონელი ბლაოდა. ქორებიც კი დაბლა ეშვებოდნენ, ისე დაბლა, რომ სახლის ერდოზე სხდებოდნენ და ავ თვალებს აბრიალებდნენ.

სოფელში მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. კაცმაც და საქონელმაც დაივერა ზამთრის გამოცხადება და შეგუება იწყო. მეორე დილით უკვე გამოჩნდა გზაზე თივით დატვირთული ჩოჩიალა ურმები, აქა-იქ ოჩოფეხებიან რაჭველებსაც მოკრავდით თვალს. სოფლის მაღაზია პურის ფქვილისგან დაიცალა, თოვლის საყრელი ნიჩებიც მოიძიეს და ეზოებში შეშის გორებიც გაჩნდა.

მამისონისკენ მიმავალი სამანქანო გზა არც წელს აღმოჩნდა თოვლისათვის მზად. კარგად გათენებული იყო, გლოლას ზემოთ, ტურბაზის ასაქცევში, გამაყრუებელი სიგნალისა და მძღოლთა ჰაიპერის ხმები, ერთმანეთში არეული, შოვს რომ მიაწყდა და ჭანჭახის ნაპირებზე გაიშალა.

ამ ადგილას გასულ კვირას ბულდოზერი მუშაობდა. მერე, როგორც ეს საერთოდ ხდება, ბულდოზერს სხვა უბანზე უხ-

მეს. ასფალტგადათხრილი აყალომიწაამობრუნებული გზა კი ღვთის ანაბარა დარჩა. დილით ჯერ შოვისკენ მიმავალი ცის-ფერი „ვოლგა“ აბუქსავდა, მძღოლმა, როგორც ჩანს, ძალა დაატანა საბურავებს და იმდენი აწვალა, სანამ მანქანა გზას გადაცდა და ხრამში არ გადაყირავდა. ამასობაში ქვემოდან წითელი „შიგული“ მოდიოდა. „შიგულის“ მძღოლმა იფიქრა, გზაზე უადგილო ადგილას გაჩხერილ „ვოლგას“ გვერდს ავუქცევო და სწრაფად გააქანა, მაგრამ ვერც მან გააღნია თოვლს და ტალახს. კარგა ხანს ადგილზე ღრიალებდა, მერე უკანსვლით წამოვიდა, მაგრამ მის კვალში მდგარ თეთრ „შიგულს“ რომ მოჰკრა თვალი, დაამუხხრუჭა. დამუხხრუჭება კი საბედისწერო აღმოჩნდა ორივე მანქანისთვის. თოვლში აცურებული წითელი „შიგული“ ციგასავით დაეშვა დაღმართში, უკან მომავალს დაეჯახა, ცხვირი შეუნგრია და მარჯვნივ გადააგდო, ხოლო თვითონ კი გზის მეორე მხარეს, ჭანჭახის ნაპირს ჩაეკიდა ისე, რომ მდინარის მღვრიე წყალი წინა ფარებზე სცემდა. ატყდა ერთი ალიაქოთი. ჯერ მძღოლები და თითო-ოროლა მგზავრი დაფაცურდნენ (მადლობა ლმერთს, არავინ დაშავებულა!), მერე ბარ-ნიჩბანი სოფლელებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ერთი ბერიკაცის გარდა ქალები იყვნენ და ამ საქმისა არა გაეგებოდათ რა. მოძრაობა შეჩერდა. ზემოდან მომავალმა ძველმა „ვოლგამ“ სცადა ხრამში გადავარდნილი თავისი თანამოძმის ამოთრევა, მაგრამ ბაგირი გაუწყდა. გაწყვეტილი ბოლო პარ-პრიზზე მოხვდა და გაუბზარა, ხოლო თვითონ ინერციით წინ გასრიალდა და გზაზე გარდიგარდმო გაჩერდა.

ასეთი სურათი დახვდა კვირიკე გაგნიძეს გლოლის ასაქცევში, ტურბაზასთან, როცა ძროხებით დატვირთული რახრახა „ტრალერით“ მამისონისკენ მიეშურებოდა.

მანქანა გზის ნაპირას, თხმელას მიაყენა. გადახტა და წყალში ჩაკიდებულ „შიგულთან“ მორიალე ხალხს შეერია.

– ხალხს ხვარაფერი გოუჭირდაყენ? – რიდით იკითხა.

– მეტი გაჭირვება რაღა იქნება, – გულმოსულად უპასუხა წინ მდგარმა, ტალახში ამოგანგლულმა, ჭილოფისქუდიანმა, სქელულვაშა კაცმა.

– ხომ არავინ დაშავებულა-თქვა? – ბოდიში გაკრთა კვირიკეს ხმაში.

სქელულვაშამ ხმა არ გასცა, ტალახში გაალაჯა, იქვე დაგდებულ ბარს ხელი მოკვიდა და მანქანისაკენ წავიდა.

სამიოდე წუთში მოხდა ისე, რომ დაზარალუბული მძლოლებიც და გასაჭირში ჩავარდნილი დამხმარე მოქალაქეებიც იმედის თვალით შესცექროდნენ კვირიკე გაგნიძეს და მის ნება-სურვილს უსიტყვიდ ასრულებდნენ.

— ბეწვზე ხარ გადარჩენილი, თვარა ქვე მოგიწევდა ჭანჭახში ბანავი! — ესუმრებოდა კვირიკე „უიგულის“ მძლოლს, როცა მდინარის კბოდეზე ჩაცურებულ მანქანას მისი დაუინებული რჩევით წინა თვლებთან ქვის ყორე შეუყენეს, უკანა თვლების ადგილას ბარით მიწა ჩაუყარეს, კვალში ხრეში ჩაუყარეს, ფოლადის ბაგირი გამოაბეს და ერთბაშად დაქაჩეს.

გზაზე ამოყვანილი „უიგულის“ ახალგაზრდა, ლურჯსვიტერიანმა მძლოლმა კვირიკეს ზედაც არ შეხედა — ჯერ თავისი მანქანა დაათვალიერა, უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, ჩაჯდა, დაქოქა და მადლობაც არავისთვის უთქვამს, გზას გაუდგა.

კვირიკე ცისფერი „ვოლგისკენ“ წავიდა. ხრამში გადაყირავებული მანქანა ჭილოფისკუდიანი სქელულვაშასი აღმოჩნდა.

— დაჯექი, საჭე მარჯვნივ აიღე! — უთხრა კვირიკემ და კარი გაუღო.

— ვცადე, არაფერი გამოდის, — დოინჯი გაიკეთა იმედდაკარგულმა მძლოლმა.

— შენ მოტორი ჩართე და მარჯვნივ აიღე. დიდი გაზი არ მისცე. მე ვიცი, რასაც გეუბნები! კვირიკეს დარწმუნებული ხმა ჰქონდა.

— სანამ შენ მოხვიდოდი, ორი საათი ვეწვალეთ, ამის ამოყვანას ტრაქტორის მეტი არ უშველის! — კვერი დაუკრა სქელულვაშას ვიღაცამ.

კვირიკემ გასაღები გამოართვა, თხმელას ტოტები შეატეხა და წინ თვლებთან დაყარა. სამი კაცი „ვოლგის“ მარჯვენა ფრთასთან დააყენა და დაავალა, ძრავა რომ ამუშავდება, მანქანას ზევითკენ კი არა, მარცხნივ მიაწექითო. თავდაპირველად მართლაც არაფერი გამოვიდა, მაგრამ კარგა ხნის წვალების მერე მანქანა ნელა ამოძვრა გზაზე.

„ვოლგის“ მძლოლმა ხელები ჩვრით შეიწმინდა, კვირიკეს მადლობა მოახსენა, საფულე გახსნა — ოცდახუთმანეთიანი ამოილო და დარცხვენით წაილულლულა:

— ჩემს სახელზე, იქნება თითო ბოთლი დაგელიათ, დიდი პატივი მეცით და თუ არ მიწყენთ ამ მცირე საჩუქარს.

— რავა გეკადრებათყენ — ამ საქმეში ფულს ქვე რავა გამოგართმევთ. შოფრები არ ვართ, კაცო?

სქელულვაშამ ერთხელ კიდევ მოიხადა გულწრფელი მადლობა, პიჯაკის ბოლოები აიკეცა და გზაზე ლურჯი ბოლი დააყენა. კვირიკე თეთრი „უიგულისკენ“ წავიდა.

— შენ ვინ დაგარტყა? — ჰკითხა თავახდილ ძარასთან ჩამუხლულ თეთრმოსასხამიან, წითურ მამაკაცს.

— იმან, წითელმა.

— ქვე წყალში რო იყო?

— დიახ.

— რაიო?

— არაფერი. რას ვეტყოდი. რა მისი ბრალია, დაუცურდა მანქანა.

კვირიკეს გაეღიმა.

— თუ მოვიდაყე, ბოდიში მაინც თუ მოგიხადაყე.

— რად მინდოდა მისი ბოდიში.

— კაცი შენ ყოფილხარ.

— კაი ერთი, თუ ძმა ხარ! — წითურმა მოსასხამი გაიხადა და მანქანის სალონში შეაგდო.

— სტარტერია ჩამომწყდარი დარტყმისაგან და არ ტრიალებს.

— უსტარტეროდ დავქოქავ, მაგრამ ჯერ რადიატორი უნდა გავმართოთ, ორივე „კრილო“ თვლებს ედება და უნდა გამოვწიოთყე... რამე ბრეზენტის ნაჭერი ხომ არ გაქვთ?

— ბრეზენტი რად გინდათ?

— ქვევიდან უნდა დავუჭირო, სტარტერს და კრილოსაც დაუკავუნო.

— არა, ბატონი. გაცივდებით ამ ტალახში. ვერ გადაგაყოლებთ ჩემს მანქანას. თქვენ გეჩერებათ ალბათ, წაბრძანდით თქვენს გზაზე. მოვუხერხებ რაღაცას მე თვითონ, მე მგონია.

კვირიკემ უკან მომდგარ ტომარაჩამოფხატულ ბიჭს მოხედა.

— ერთი, შენს გაზრდას, გავარდი და ბრეზენტის ნაჭერი მომირბენინე, ექნებათყე სადმე გადაგდებული.

— ეს არ ივარგებს? — ბიჭმა თავიდან ტომარა აიძრო და გაუწოდა.

— ნუ წუხდები, თუ ძმა ხარ, არ შეიძლება ამ ჭყაპში მანქანის

ქვეშ... გაცივდები! – შეწუხდა თეთრი „ჟიგულის“ პატრონი, მაგრამ უკვე გვიან იყო, კვირიკემ სახელობი აიკაპინა, ტო-მარა ბეჭებზე წამოიხურა და „ჟიგულს“ შეუხობდა.

– თექვსმეტიანი! – გამოიშვირა ხელი კვირიკემ და მაშინვე ჩაუდეს ხელში თექვსმეტიანი ქანჩი.

მალე თავი გამოყო კვირიკემ მანქანის ქვემოდან და ტომ-რის პატრონს შეხედა.

– ქვე რავა გკადრო, მარა, იმ ჩემს მანქანაზე სამი ძროხ-უკაა, დილიდან არაფერი უჭამიათ, დაწყდებიან მშიერი. ზე-ვით ფერმაში მიმყავსყენ. ეგება ერთი კონა ჩალა, ან თივა გაახერხო სადმე. მერე მე ვიცი შენს ქორნილში! – პასუხს არ დაუცადა და ისევ მანქანის ქვეშ შერგო თავი.

კარგა ხნის შემდეგ კვირიკემ ჩაქუჩი მოითხოვა და დიდხანს უკაუნებდა დალრეცილ ფრთებსა და წინა ფართუკს.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ ტალახში ამოსვრილი, სიცივისაგან გალურჯებული გამოხოხდა, ხელები თოვლით შეიწმინდა და მანამ არ მოშორდა საქმეს, სანამ თეთრი „ჟიგული“ არ აღუღუნდა.

– ასეთ საქმეზე მადლობა უბრალო რამაა. ვაჟეაცი ყო-ფილხარ, ძმაო. სხვას ვერაფერს გკადრებ: ა, ჩემი ტელეფონი, თბილისში რომ ჩამოხვალ, დამირეკე. კაცი ვარ მეც. ამას არ დაგივიწყებ, აგრემც სიკვდილს დავიწყებიხარ.

კვირიკემ თეთრშლაპიანს ქალალდი გამოართვა და მის ხელს თავისი მძიმე უხეში მარჯვენა შეაგება.

– ვაჟეაცი მე კი არა, შენ ყოფილხარ. კაცმა მანქანა დაგილენა და სიტყვაც არ გითქვამს. რისი მადლობა, ნეტავი მარ-თლა რამე შემეძლოსყე თქვენისთანა ხალხისთვის.

თეთრი „ჟიგული“ რომ წავიდა, კვირიკე დიდხანს ტრიალებ-და გზაზე. მანქანებს გზას უჩვენებდა, ასწავლიდა, საიდან უნდა შემოევლოთ, რომელი სიჩქარით გასულიყვნენ ტალახში. დაცურებულებს თავის ხარის ქედით აწვებოდა და სამშვიდო-ბოს გაჰყავდა.

„ტრიალერის“ ძარაზე სამი უნაბისფერი ძროხა ზარმაცად და ცოტა უგემურადაც შეექცეოდა სველ ჩალას, რომელიც, ეტყო-ბა, ზვინის ზედა კონა იყო და ამიტომ შმორის სუნი დაჰკრავდა.

მეზობლები

მარლენ თევდორაძემ საკერავი მანქანა იატაკზე დააპრა-გუნა, მაჯით ოფლი შეინმინდა და კედელს მიეყრდნო.

– თუ ამტვრევდი, რადას ამოგქონდა, შე კაცო!

ოჯახის უფროსმა ხმა არ გასცა მეუღლეს. გულზე იყო გამ-სკდარი. შვიდი წელი შენდებოდა მათი საამხანაგო სახლი. ათ-სართულიან შენობას სურამის ციხესავით ნელა და საიმედოდ აგებდნენ. შვიდი წლის წინ კოოპერატივის წევრის წინასწარი გადასახადი რომ შეიტანა და ქვითარს ხელს აწერდა, დოცუნტ მარლენ თევდორაძეს შიშმა გაჰკრა გულში – ოღონდ მეათე სართული არ შემხვდებოდესო. ბოლო სართული, მოგეხსენე-ბათ ჭერს ემიჯნება და ტრესტ „ნითელმშენის“ აგებულ სახ-ლებში წვიმის დროს წყალი ჩამოდის, ხოლო სიცხეში სულის-შემხუთველად ხურდება. ესეც რომ არ იყოს, ძელქვიანელებს საერთოდ არ უყვართ მაღალ სართულზე ცხოვრება. გუშინ აუხდა მიში. კენჭისყრით სწორედ მეათე სართული შეხვდა. რას იზამდა. დაბრალებითაც ვერავის დააბრალებდა, თვითონ ამოილო ქალალდი. შვილებს იფიცებოდა, ყუთში ხელი რომ ჩა-ვყავი, უკვე ვიცოდი, რომ მეათე სართულთან მქონდა საქმეო. ხელები გაიფერთხა, სამზარეულოში გავიდა და პური წაიტეხა.

– ლობიო მაინც მოგეხარშა, რა გადაყლაპავს ამ გამხმარ პურს უქრიანტელოდ.

– ისე მეუბნები, მარლენ, თითქოს ხელდაჭდეული ვიჯდე მთელი დღე.

მეუღლე რომ მართალი იყო, ამას ის მკითხველიც კი წარ-მოიდგენს, ვისაც ახალ ბინაში გადაბარგების განამარია კარგა ხნის დავიწყებული აქვს.

– ბევრი დარჩა?

ეს სიტყვები ქალბატონმა ლილიმ თანამეცხედრეს კარში დააწია. პასუხს, კაცმა რომ თქვას, არც ელოდა. მეუღლეს

უბრალოდ უთანაგრძნო, გაამხნევა, თორემ თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ ბარგის ნახევარი ჯერ ამოსაზიდი იყო.

პარმალზე საუბარი მოესმა. სწორედ რომ სტუმრის თავი გვაქვს ახლაო, — გაიფიქრა და სააბაზანოში შევარდა, სხვა თუ არაფერი, თმა მაინც რომ გადაევარცხნა.

მარლენმა ცნობით იცნო მეზობელი, მაგრამ სახელი და გვარი ვერ გაიხსენა. მაღალი, წელში მოკავშული თეთრთმიანი კაცი იყო, სამოცდაათზე მეტის იქნებოდა. კოოპერატივის კრებაზე ყოველთვის დაგვიანებით ცხადდებოდა და დაგვიანებისთვის ათას ბოდიშს იხდიდა. სტუმარი კარშივე გაჩერდა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— არ გაგიკვირდეთ, ბატონო, ასე თათარიახნად რომ დაგეცით თავზე, მაგრამ მერე გვიან იქნება, რომ დავლაგდებით. სამსონ ზამბახიძე გახლავართ მე, მეექვსე სართულზე ვცხოვრობ, თქვენ არ მიცნობთ, რასაკირველია, პენსიონერი გახლავართ, რიონის სადგურში ვიმუშავე ორმოცი წელი, ახლა პენსიაზე ვარ, ვეღარ შევძელი მუშაობა, თვარა ახლაც მეხვენება, დაბრუნდიო, სადგურის უფროსი.. რა მაგის პასუხია და თავზარი დამეცა გუშინ, თქვენ რომ მეათე სართული შეგხვდათ, შეწუხებული სახეები გქონდათ ორივეს. თქვენი მეუღლე?

— სახლშია, ლილი! — გასძახა კარს დოკუნტმა.

ლილი გამოვიდა, სტუმარს ხელი ჩამოართვა და რიდეგადაკრულ „ტრილიაჟის“ ყუთზე ჩამოჯდა.

სამსონი ჩეარა სუნთქევდა, საფეთქელზე დიდი ცისფერი ძარღვი რუკაზე მიხატული რიონივით უჩანდა.

— ახალგაზრდები ხართ, მომავალი წინ გაქვთ, ბავშვები?

— სამი, — სიტყვა შეაწია ქალბატონმა ლილიმ.

— სამი ბავშვი, კაი მოგეცათ, განვალდებით მეათე სართულზე, ხან ლიფტი არ იმუშავებს, წყალიც მცირე წნევის დროს არ ამოვა, ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, მე და ჩემმა ცოლმა გადავწყვიტეთ, გაგიცვალოთ სართული, რასაკირველია, თუ თქვენი ნებაც იქნება, თქვენ ჩამობრძანდით მეექვსეზე და ჩვენ ამოვალთ ზევით. ასე აჯობებს თქვენთვის.

სამსონის ნათქვამი გვალვაში წვიმის მოსვლას ჰგავდა. ცოლ-ქმარი სიხარულისაგან ლამის აცეკვებულიყვნენ, მაგრამ მარლენ თევდორაძემ მაინც დინჯად ჰკითხა:

— კი მაგრამ, თქვენ?

— ჩვენ, ჩემო ბატონო, — სამსონს ლიმილი უხდებოდა, — ჩვენი ცხოვრება უკვე მოჭმული გვაქვს, უშვილძიროდ შევაბერდით ცას, დარჩენილ ორ პარასკევს მეათეზე გავატარებთ თუ მეექვსეზე, სულ ერთია, მერე მაინც მთავრობას უნდა დარჩეს, ნათესავიც არავინ გვყავს ისეთი, ბინა რომ უჭირდეს, ასე აჯობებს. თქვენ ახალგაზრდები ხართ, მეზობლობაში სიკეთე არ დაიკარგება, ასეა ეს.

— ჩვენ თუ გადავწყვეტთ ამ საქმეს, ტყვილად კი არ გვინდა, — ლილიმ მკლავებზე ხელი ჩამოისვა და განზე გაიხედა, — ფასი უნდა გვითხრათ და მოვრიგდეთ უნდა.

— როგორ გევადრებათ, პატივცემულო, — ზამბახიძეს ხმაში წყენა გაერია. — ასე წავიდა ჩვენი საქმე? კი, მართალია, გამორჩენის გარეშე ბევრი ხელს არ გაანძრევს დღეს, მარა, მთლად კი არ დაკარგულა კაცობა და სინდის-ნამუსი, თითზე გადასახვევი ჭინჭიც კი არ გვინდა თქვენი. ა, ასე რავარცაა, გავცვალოთ ეს ბინები, თუ გნებავთ, რასაკვირველია.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ხელი მისცეს ერთმანეთს, მარლენი სამჯერ ემთხვია მხარზე კეთილ მეზობელს და მოხუცის უნაპირო სიკეთით ათრთოლებული დიდხანს მთვრალივით, გულისამარტულებლად ლულლულებდა; კაცი ვარ მეც, დაკარგული არა ვარ და მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამო.

დრო არ დაუკარგავთ. მცირე ვახშმობის დროს ბარგი უკვე ამოზიდული გახლდათ, ყველაფერი თავის ადგილას დადგა, დაღლილობამაც თითქოს გაუარა მარლენს, მეექვსე სართული! ეს ხომ ოცნების ახდომასა ჰგავდა, სახელდახელოდ გაშლილ ქვეშაგებში (სანოლების აწყობა ხვალისთვის გადადეს) ბავშვებმა რომ მიიძინეს, ქალბატონი ლილი წინკარში გამოვიდა, საგულდაგულოდ შეკრული წიგნების შლა-ფერთხვაში გართულ მეუღლეს თავს წაადგა.

— მაინც ეს აჩეარება ვერ მოიშალე. ყველაფერში ასე იცი.

მარლენმა წიგნების გროვას კანაფი შემოაჭრა და ამოხედა.

— არ მომწონს ეს საქმე, მომკალი თუ გინდა.

— რა საქმე? — მარლენი მუხლებში ჩაიკეცა და სმენად იქცა, თუმცა მშვენივრად მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი.

- ეს ბინის გაცვლა, რა და.
 - კაი არ მოგიხდა ხომ?
 - რა კაი, ქვეყანაშ იცის, მეათე სართული რომ შეგვხვდა.
 - მერე?
 - არ იცი ვითომ ხალხის ენის ამბავი. ხვალიდანვე მთელი ქალაქი ილაპარაკებს, მარლენ თევდორაძემ იყიდა მეექვსე სართულიო, გვინდა ეს ამბავი ჩვენ?
- მარლენმა კეფა მოიფხანა, ამაზე თვითონაც ფიქრობდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა.
- ილაპარაკებენ და ილაპარაკონ.
 - რატომ თვარა კი, - ლილიმ ხმას დაუწია, რითაც მეტი დამაჯერებლობა მისცა თავის ნათქვამს – რატომ უნდა ილაპარაკონ, თვარა კი... ვიქნებოდით მშვენივრად ჩვენს მეათე სართულზე, რაც ღმერთმა შეგვახვედრა, ის იყო ალბათ ჩვენი ილბალი.

– მერე აქამდე ვერ მითხარი ქალო, ეს ამბავი? რას მიმალავდი, გავწყდი კაცი წელში. მე შენი გულისთვის, თორემ სიმართლე გითხრა, მაინცდამაინც არც ქე მინდოდა. მეათე სართულიდან უკეთესი გადმოსახედია-თქვა, პატარა გულიც ქე მწყდებოდა.

მეორე დილით დოცენტი შემკრთალი სახით აკაკუნებდა სამსონ ზამბახიძის კარზე. თავზე იწმენდდა ხელისგულზე წამოსულ ოფლს და მასპინძელს დარცხვენილი უხსნიდა. ასე გადავწყვიტეთ, ასე გაგვიჭრა ჭკუამ, არ გეწყინოთ, პატივცემულო, მართალია, ბავშვურად გამოვივიდა, მაგრამ უნდა დაგვაბრუნოთ ისევ ჩვენს მეათე სართულზე.

სამსონს მიზეზი არც უკითხავს, კი ბატონო, როგორც თქვენ გაეხარდებათ, მე, ღმერთი, რჯული, სიკეთის მეტი არაფერი მინდა თქვენთვისო, დააყოლა და სამზარეულოში მოფუთ-ფუთე მეუღლეს გასძახა, – ბარგი შეკარი, ისევ ქვევით უნდა ჩავიდეთო.

ერთი საათის შემდეგ მეათე და მეექვსე სართულს შორის გახურებული მიმოსვლა გაიმართა, თევდორაძეები უჩვეულოდ აღტკინებულნი, გაბრწყინებული სახეებით ეზიდებოდნენ ტვირთს, სამსონსა და მის მეუღლეს, პირიქით – დაძმარებული სახეები ჰქონდათ. ისინი კიბეზე ხვდებოდნენ ერთმანეთს,

შეხვედრისას ორივე მხარე სერიოზულ, მშვიდ სახეს იღებდა, ორიოდე ნაბიჯის შემდეგ კი სიმშვიდის ნიღაბს იცილებდნენ და თავიანთ ბუნებრივ განწყობილებას უბრუნდებოდნენ – თევდორაძეები რატომლაც მხიარულს, ზამბახიძეები – სევდიანს.

ოთხშაბათ დილით მარლენს დედის ბიძაშვილი ჯემალ ბასილაძე ეწვია. ჯემალი რომელილაც უწყების სარევიზიო განყოფილებაში მუშაობდა, ავკარგიანი კაცი იყო, გულლია, პურისმჭამელი, ქალაქში ერთგული და ვაჟუაცი ბიჭის სახელი ჰქონდა დავარდნილი, მისი თანამდებობის სხვა პირთაგან განსხვავებით ლარიბულად, მაგრამ პატიოსნად ცხოვრობდა, გაეგო მარლენის ბინის მიღება და მოსალოცად წამოსულიყო.

ჯემალ ბასილაძემ ბინის გაცვლა-გამოცვლის ვოდევილური ისტორია რომ შეიტყო, შეიცხადა:

– ეგ როგორ მოგივიდათ! ლილი კარგია ქალია, მაგრამ შენ მაინც რაღამ დაგიბინდა, მარლენ, გონება? გაგიმართლდათ შავი დედალივით, ბედი თავისი ფეხით მოგადგათ კარზე და უარი თქვით?

– სალაპარაკო გახდებოდა, – შეცვლილი ხმით, ამოოხვრით თქვა დოცუნტმა და თვალები ჭერს მიაპყრო.

– ელაპარკნათ მერე, სალაპარაკოს შენ გამოულევ ხალხს? რა გქონდა სალაპარაკო, მოიპარე რამე თუ რა, ღვთიანმადლინამა კაცმა დღისით-მზისით თავისი სურვილით გაგიცვალა სართული, მთლად კი არ უნდა დაგლახაკდე კაცი.

– მაინც რითი სჯობია, მითხარი, ვაჟუაცურად, მეექვსე სართული მეათეს? – აშკარად ჩანდა, მარლენი სავსს ებლაუჭებოდა.

– არ იცი ვითომ? – შუა ოთახში დოინჯშემოყრილი გაპყვიროდა ჯემალი და სწორ, ბლუჯა წარბებს წამდაუწუმ ისწორებდა, – სად მეათე და სად მეექვსე. მე შენ გეტყვი, წესიერად მუშაობს ჩვენთან ან სანტექნიკა, ან განათება, ან სხვა რამე, გამორთავენ დენს – ავარიააო. შეწყდება წყალიც და გაჩერდება ლიფტიც, მეათეზე წყალი თავისი წნევით ამოვა? არ ამოვა, ტუმბომ უნდა დაქაჩის, სად უმუშავია, რომელ სახლში ტუმბოს წესიერად, რომ თქვენთან იმუშაოს. შენ ახლა, ღმერთმა კარგად გამყოფოს, ჯეელი კაცი ხარ, პატარა რომ შებერდები

და მუხლები დაგისუსტდება, ნახე მერე, რავარია მეათე სარ-
თულზე ულიფტოდ ამოსვლა.

— ანი მაინც არაფერი ეშველება ამ საქმეს. — ლილი თურმე
იქვე იყო, საბანს შალითას აკრავდა.

— გავარადი ახლავე, მარლენ, ჩაუვარდი იმ კაცს ფეხებში,
მაპატიე, გავტრიყვდი-თქვა. არ გეტყვის უარს, ახლავე ჩადი,
დროს ნუ კარგავ.

ფეხები უკან რჩებოდა მარლენს. მაგრამ მაინც გაბედა...
მიუბოდიშ-მოუბოდიშა შუბლშეჭმუხვნილ მასპინძელს, ქალის
ჭკუას ავყევი და მოვლორდი კაცი, თუ არ გადაგიფიქრებიათ,
მაპატიეთ ჩემი სიყრუე და ისევ გავცვალოთ ბინებიო.

სამსონ ზამბახიძე ერთხანს დაფიქრებით უცქეროდა მო-
სულს, თითქოსდა საპასუხოდ სიტყვებს ეძებსო. ვერ გადაე-
წყვიტა, რა ეთქვა, შეურაცხყოფილიც გახლდათ მცირედ და
ნასიამოვნებიც, რომ მეზობლები ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ
მის კეთილ გულს, ბოლოს მაინც ამ უკანასკნელმა გრძნობამ
სძლია, სახე გაუნათდა და ხელი გაუწოდა ობოლი ძიძიშვილი-
ვით კარში მორცხვად მდგარ სტუმარს. ბარგის გადაზიდვაში
ჯემალ ბასილაძეც მონაწილეობდა, იგი ხან მარლენს გამო-
ართმევდა ბოლო კიბემდე ამოტანილ ტვირთს, ხან ზამბახ-
იძეებს წაუკრავდა ხელს, მიკერძოებას თავისი ნათესავების
მიმართაც არ იჩენდა, ორივე მხარეს ერთგულად ემსახურე-
ბოდა. მეზობელ-ნათესავებმა იმ დღეს პირველად აღმოაჩინეს,
რომ რევიზორს უამრავი ლექსი სცოდნია ზეპირად, ხოლო
შავი სამუშაო (ბარგის გადაზიდვა და სხვა მსგავსი საქმეები)
მაინცდამაინც არ ჰყვარებია.

იმ ღამით მარლენ თევდორაძე შუალამისას ავმა ფიქრებმა
გააღვიძა, არ იქნა და რული არ მოეკიდა. ნამოდგა, ფანჯა-
რა გამოაღო და ჩამქრალ ქალაქს გადახედა: ცანცარა ვარ და
მეტი არაფერი, რა ბზიკმა მიკბინა, რაზე გავიბითურე თავი,
ჯემალის ჭკუაზე ივლის კაცი? ჯემალს ჯერ თვითონ რა ხეირი
დააყარა მისმა ჭკუამ, მე რა ჯილას დამადგამს. მეათე სართული
მართალია, ჭერთან ახლოსაა, მაგრამ სამაგიეროდ, სათავსოე-
ბის გაკეთებაც შეიძლება ზევით. მთელი ჭერი შენს ხელთაა,
ავიდოდი და ვისეირნებდი სახურავზე. შეზლონგს ავიტანდი
და მზეზეც წამოვწებოდი, ესეც არ იყოს, რა აქვს გულში

ზამბახიძეს რომ არ ვიცი? ტყუილი ამბავია, მზარდი მეცნიერი
ხარ და იმიტომ გცემ პატივსო. მაგ ჭკუაზეა სწორედ, მო-
საწყობი ეყოლება ვინმე, ან რალაცა ექნება უფრო დიდი საქმე,
ესეც რომ არ იყოს, რატომ უნდა ვიყო მთელი ცხოვრება ამ
ბებრებისაგან დავალებული, რატომ უნდა შევციცინებდე თვა-
ლებში სულ, რა კაცია, ეგება და ხვალ ყელში ამოგიყვანის ეს
პატივისცემა. მე შენ გეტყვი, ცოტა ყოფილა შემთხვევა. რა
მაქვს, ღმერთო კი მომკალი, სხვისი დასაყვედრებელი. ჩემი
შრომით და წვალებით მომიტანია ჩემი ცხოვრება აქამდე, უპა-
ტრონოდ, მაგრამ სხვის დაუმადლებლად“.

დილით, როდესაც სამსონ ზამბახიძე კარში მდგარი, სირ-
ცხვილისაგან გაფიტრებული მეზობელი დაინახა, პირის გაღება
არ აცალა, დაჭრილი ნადირივით დაიგმინა, სტაცა კედელსმი-
ყუდებულ ორ ჩემოდანს ხელი და უკანმოუხედავად ჩაარბე-
ნინა. ეტყობოდა, სამსონი ელოდა ამ წუთს და გუშინ ბარგი
არც კი ამოულაგებია, ყველაფერი შეკრული და წასაღებად
გამზადებული წინკარში ელაგა.

პირმოკუმულნი, კუშტაც და გაბრაზებით ეზიდებოდნენ
თევდორაძეები და ზამბახიძეები თავთავიანთ ტვირთს. ერთ-
მანეთს ზედაც არ უყურებდნენ. კიბეზე ერთმანეთს შემთხვე-
ვით ზედნამწყდარნი, თავებს მაღლა სწევდნენ და თითქოსდა
უსიამოვნო ეცათო, განზე და შორს იცქირებოდნენ.

ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ სამსონ ზამბახიძე გარდა-
იცვალა, მატარებელი დაეჯახა ბაზარში მიმავალს.

სკამები და შავი ფარდა მეზობლებმა მარლენ თევდორაძის
ბინიდანაც ინათხოვრეს, ოჯახის უფროსს წყენით როგორ არ
ეწყინა სამსონის სიკვდილი, მაგრამ სამძიმარზე (და არც გას-
ვენებაზე) არ ჩასულა.

ქვეყანამ იცის, რომ ერთმანეთს ვემდურით და სხვანაირად
ჩამომართმევენო, ესეც არ იყოს, მოხუცებულ ქვრივს იქნებ
არც კი ესიამოვნოს ჩემი გამოჩენა და, ვინ იცის, ქოქოლაც
დამაყაროსო.

სამსონ ზამბახიძის დაკრძალვაზე ყველა სხვა მეზობელი
გახლდათ.



ტელეფონი კარგა ხანს რეკავდა.

გელამ იცოდა, რომ მისი ცოლი და ცხრამეტი წლის ქალიშვილი ასეთი უბრალო საქმისათვის ტელევიზორს არ მოშორდებოდნენ, საბანი გვერდზე მოისროლა, წამოჯდა და ფოსტლებს დაუწყო ფეხებით ძებნა. ცალს ვერ მიაგნო, წამოხტა, გაბრაზებული მიფლატუნდა ტელეფონთან.

— აღო, აღო, მაპატიეთ, რომ ასე გვიან გაწუხებთ! — ქალის შეშფოთებული ხმა იყო, — ძალიან გთხოვთ, ჩაიწერეთ ჩემი ტელეფონი.

— მოიცათ, ახლავე. — გელამ ფანქარი მოიმარჯვა, — ვინ ბრძანდებით?

— მე თქვენ არ მიცნობთ. ძალიან ცუდად ვარ, შეიძლება დილამდე ვერ გავატანო. თუ არ შეწუხდებით, დამირეკეთ ხვალ დილით, სამოცდაერთი, მისმენთ?

— კი ბატონო.

— სამოცდაერთი, თერთმეტი, ოცდახუთი. თუ ხვალ დილით არ გიპასუხეთ, ესე იგი მკვდარი ვიქენები და იმ შემთხვევაში სასწრაფოს დაურეკეთ. ვაშლოვანის თხუთმეტია ჩემი მისამართი. კვიციანი ნელი, მაპატიეთ. გაწუხებთ.

— ქალბატონო, თქვენ მე მიცნობთ?

— არა, სრულიად შემთხვევით მოვხვდი თქვენთან.

— იქნებ სასწრაფოსათვის მიგემართათ?

— სასწრაფო ვერაფერს მიშველის. არ მინდა.

— რომ წამოვიდე ახლავე?

— არავითარ შემთხვევაში, მე თქვენ კარს ვერ გაგიღებთ, თუ შეგიძლიათ შემისრულეთ ეს თხოვნა, თუ არა და, კარგად ბრძანდებოდეთ.

უცნობმა ყურმილი დაკიდა.

გელამ კედლის საათს შეხედა, თორმეტს აღარაფერი აკლდა.

— ვინ იყო? — ჰერთა სავარძელში მიკეცილმა მეუღლემ.

— არ ვიცი, სხვაგან მოხვდა.

— რა სხვაგან მოხვდა, ათი წუთია ელაპარაკები, — ქალიშვილი ტელევიზორს მიჭიჭინებოდა.

— შენი საქმე არ არის! და წესიერად დაჯექი, აღარ იძინებთ? რამდენჯერ უნდა ნახოთ „ვატერლოოს ხიდი“. რა ტელევიზორის ავადმყოფობა გჭირთ ორივეს.

— დაწექი, დაიძინე შენ, გიშლით რამეს? — გაეპასუხა ცოლი.

— ტელეფონი რომ დარეკავს, მე მივიდე მაინცდამაინც? რა გეზარებათ ორ ნაბიჯზე მისვლა. ჩემი ცალი ფოსტალი სადაა?

ცოლმა და ქალიშვილმა ცერად გამოხედეს ფეხბურთელის ფორმაში მდგარ, ცალფეხსაცმელიან გელას.

— ლოგინქვეშ გექნება, გადი, ნუ გვიშლი ხელს, მამა.

— მე კი გავალ, მაგრამ ხომ ხედავ, რას უშვრება ამ ბავშვს სიგარეტი, — ცოლს მიუბრუნდა გელა, — არ გესმის, რა ხმა აქვს?

— არაფერიც, აღარ ვეწევი, ახლა გაცივებული ვარ ცოტა. გადი და დაიძინე, დედიკო, უთხარი.

გოგომ ისევ გამართა თავისი ლამაზი ფეხები და სათამაშო ლომს თავზე დააწყო.

გავიდა გელა საწოლ ოთახში, წამოწვა, ხუთიოდე წუთი ჭერს შესცეროდა, მერე ისევ წამოდგა, ხალათი მოიხურა, კარადის ქვეშ ცალი ფოსტალი მოძებნა, ტელეფონთან მივიდა, ქალალდი, რომელზეც ნელი კვიციანის მისამართი ეწერა, ჯიბეში ჩაიდო და საწოლს დაუბრუნდა.

დიდხანს არ დაეძინა.

„ავდგები და წავალ, ვინ იცის, როგორ უჭირს იმ ქალს. ძალიან შეწუხებული ხმა ჰქონდა. მაგრამ ჩემს სახლში ამის გამგებია ვინმე? აუხსენი ახლა ლილის, ამ შუალამეზე იმიტომ ვდგები საწოლიდან, ვიცვამ და გავდივარ ამ ქარში გარეთ, რომ ვიღაც უცნობმა ქალმა დამირეკა: ძალიან ცუდად ვარ, ამა და ამ ადგილას ვცხოვრობ და, თუ კაცი ხარ, მომეშველეო. ჯერ ერთი, სასაცილოდ არ ეყოფათ, მეორეც, ეჭვი შეეპარებათ ჩემს სიმართლეში, მესამეც, რაღაც ეს ამბავი დეტექტივის დასაწყისს ჰგავს, დავიჯერო ახლა, მთლად შემთხვევით მოხვდა ჩემთან? ვინმე მოცლილი არ ხუმრობდეს, მაგრამ გულწრფელი და შეწუხებული ხმა რომ ჰქონდა?“

ადამიანები უმეტესწილად თავს ინუგეშებენ და საოცარი ის არის, რომ თავიანთი საქციელის გასამართლებლად საბუთებს ყოველთვის პოულობენ ხოლმე: „თუ სასიკვდილოა, ამალამ მაინც ვერაფერს ვუშეველი, თუ საამქვეყნოა, ხვალამდე გაატანს, ხვალ შევეხმიან.ები და ან ექიმს მივუყვან, ან რამეს ვუსაშველებ“.

ამ ფიქრებში ჩაეძინა კიდეც.

ერთი სული ჰქონდა, სანამ დილით ცოლი და ქალიშვილი ისაუზმებდნენ და სახლიდან გავიდოდნენ. გელამ ვერაფრით ვერ დაადგინა, რომელ საათზე ეწყებოდა მის ქალიშვილს ლექციები, ხან დედასთან ერთად ცხრის ნახევარზე გავიდოდა სახლიდან, ხან თორმეტ საათამდე ლოგინში ნებივრობდა. ბევრი ეჯაჯგურა გელამ, ბევრი იყვირა და ნერვები იშალა, რა ხერხს არ მიმართა, მაგრამ გოგო მის ჭკუაზე ვერ გაზარდა, ანი, მით უმეტეს, დაგვიანებული იყო, უცხო ენების ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტს თავისი ცხოვრება ჰქონდა. გელა ამჩნევდა, რომ ნელ-ნელა უცხო ხდებოდა საკუთარ ოჯახში. წარსულს ბარდებოდა ერთად ყოფნის, ერთად განსჯის, ერთ აზრამდე მისვლის იდილიები, ოჯახს რომ კრავს საერთოდ. ქალიშვილი კი არა, თუ აუცილებელი არ იყო, ცოლიც კი აღარ ელაპარაკებოდა. გელა მარტო იყო თავის ფიქრებთან და საქმეებთან – ტროლეიბუსების სამმართველოში ინუინერ-მექანიკოსად მუშაობდა. საღამოობით ისინი ტელევიზორს მიუსხდებოდნენ, გელა კი წიგნს კითხულობდა თავის ოთახში და ადრე იძინებდა, ტლევიზორი სძულდა, მისი ოჯახის მთლიანობის დარღვევას უმეტესწილად ტელევიზორს აბრალებდა.

მარტო რომ დარჩა, ტელეფონი თავის ოთახში გაიტანა, ფანჯარასთან დადგა, და, როგორც იქნა, აკრიფა სამოცდაერთი – თერთმეტი – ოცდახუთი.

– ალო! გისმენთ?!

– გულზე მოეშვა, ნელის ხმა იცნო.

– როგორ ბრძანებით, ქალბატონო ნელი?

– გმადლობთ?

– გელა ვარ, – გაახსენდა, რომ ნელის მისი სახელი არ უნდა

სცოდნოდა და მაშინვე დაამატა, – წუხელის რომ დამირეკეთ შეშინებული ხმა გქონდათ.

– მაპატიეთ, ბატონო, სულგრძელად შემინდეთ. ქმარი მივლინებაში წავიდა. ჩემმა შვილმა წუხელის ძალიან დაიგვიანა. დიდი ბიჭია, მაგრამ მაინც ვნერვიულობ. იმათ დაბადების დღეებს და მიზეზებს რა დაულევს. მე კიდევ, ავადმყოფ ქალს, როგორც ჩანს, გული დამისუსტდა. თქვენ ღმერთმა არ გამოგაცდევინოთ, სიკვდილი დავიწყე. ჯერ ხელები და ფეხები გამიცივდა. ცივმა ოფლმა დამასხა. ტელეფონისთვის არც დამიხედავს, პირველად რა ციფრებიც მომივიდა თავში, ავკრიფე. თქვენთან მოვხვდი. მე ვთქვი, გული რომ წამივიდეს, ან წერილი წავილო იმქვეყნად, ერთმა ვინმემ მაინც იცოდეს-მეთქი.

– მიხარია თქვენი ხმის გაგონება ახლა, ხომ ყოჩალად ხართ?

– შედარებით... პირველ საათზე მობრძანდა ჩემი ვაჟბატონი და ცოტა დავმშვიდდო.

– რა გაწუხებთ, ქალბატონო, თუ საიდუმლოება არ არის.

– თქვენს მტერს, ბატონო გელა, არა, თქვენი სახელი?

– დიახ.

– თქვენს მტერს, ბატონო გელა, მე რომ მჭირს. სამი წელია ლოგინად ვარ ჩავარდნილი.

– ?!

– კიდურებს ვერ ვამოძრავებ. მარილების დაგროვებააო, უწინ კუნტობას ეძახდნენ.

– მერე მარილებმა შეგაშინათ, ქალბატონო? უკაცრავად, ერთი წუთით, – გელამ ფანჯარა გამოაღო და ჩასძახა, – აბა, მოშორდით მაგ ტერიტორიას! სწრაფად, სწრაფად, არ ჩამომიყვანოთ, იცოდეთ! – ტელეფონის ყურმილი ხელში ეჭირა, – უკაცრავად, ქალბატონო ნელი. ბავშვებს დავუცაცხანე. ხელისგულისოდენა ადგილი გვაქვს სახლის უკან. შარშანწინ პატარა ბალჩა გავაშენეთ მეზობლებმა. ბავშვებისგან ვერ ვიპატივეთ. იასამანს ვინ დაეძებს, აყვავებულ ალუბლებს ტოტებს ამტვრევენ.

ამ წოველის ავტორს სიჩქარეში დაავიწყდა ეთქვა შენთვის, ძვირფასო მკითხველო, რომ გაზაფხული იყო.

– სად ცხოვრობთ, ბატონო გელა?

– გურამიშვილის ქუჩაზე. ვაკის ბოლო სახლი თუ იცით ვაკე-საბურთალოს გზის დასაწყისთან.

– მშვენიერი ადგილია.

– ადგილს არა უშავს, მაგრამ ძალიან ხმაურიანია, ქალბატონო ნელი.

– ჰო, ხმაური ახლა ყველგანაა.

– მარილებზე გეითხეთ, ქალბატონო ნელი, – გელამ ავად-მყოფობის ხაზით საუბრის გაგრძელება უფრო საინტერესოდ მიიჩნია.

– ნუ მეტყვით, ბატონო. ეს მარილები კი არა, შავ ჭირზე უარესი ყოფილა. სამი წელია ლოგინად ვარ ჩავარდნილი. ჯერ ფეხები წამერთვა, სამსახურს თავი დავანებე. მასწავლებლად ვმუშაობდი, გეოგრაფი ვარ სპეციალობით. ეს ერთი წელია ხელები გამიჩერდა. იდაყვი და მაჯები ხომ გამიქვავა, ახლა თითებსაც ძლივს ვამოძრავებ.

– ტკივილით გტკივათ?

– საშინლად. მთელი დღეები გამაყუჩებელ საშუალებებზე ვარ. როდემდე უნდა ვიყო ასე.

– გაივლის, ქალბატონო ნელი. რა ვიცი, ეს ოხერი, მარილების დაგროვებას ამ ბოლო დროს ეფექტურად მკურნალობენ. ერთ ჩემს მეგობარს... – უნდოდა ეცრუა გელას, მაგრამ დროზე შეაწყვეტინეს.

– ნუ მეტყვით, ბატონო გელა. ნუ მეტყვით. ძალიან გთხოვთ. არ არსებობს საშუალება, რაც ჩვენ არ ვცადეთ. დავლალე ჩემიანები ამ ჩემი ავადმყოფობით და მეც დავიღალე. ჩემი ამ-ბავი გადაწყვეტილია. სიკვდილი მჭირს. ბოლო დღეები მაქვს. თქვენს შესახებ მითხარით რამე.

– მე... არაფერი საინტერესო, ქალბატონო ნელი... ინუინერი კაცი ვარ. ცხრამეტი წლის გოგო მყავს, უცხო ენებში სწავლობს.

– ღმერთმა გიბედნიეროთ. ჩემმა დაამთავრა სკოლა წელს და ჯერჯერობით უსაქმოდ მყავს, მოუკვდა დედა.

– არ აბარებდა?

– აბარებდა, ქულები არ ეყო. ახლა პროფილზე დარბის მა-მამისი.

– მეუღლე, ქალბატონო ნელი?

– შრომის დაცვის საკვლევ ინსტიტუტში მუშაობს.

– ააა... ჰოოო... – გელამ არც კი იცოდა, ასეთი ინსტიტუტი თუ არსებობდა. – ცოტა უკეთესობა ხომ მაინც...

– არავითარი, ჩემი დღეები დათვლილია. ყველაფერი მომწყინდა, ლაპარაკიც აღარ მინდა ჩემს თავზე. ბედნიერებაა ახლა ჩემთვის სიკვდილი. მაღალფარდოვნად გეჩვენებათ ჩემი ლაპარაკი ხომ? მძულს ჩემი თავი.

– როგორ გეკადრებათ. როგორ შეიძლება, ახალგაზრდა ქალმა ასე დაყაროთ ფარ-ხმალი.

გელას მოეჩვენა, რომ ნელი ტიროდა.

– მაპატიეთ ბატონო გელა. ეჭვიანიც კი გავხდი ამ ბოლო დროს. მეჩვენება, რომ ქმარსაც და შვილსაც მოვწყინდი. აბა, რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე. მარტო რომ ვრჩები, ტელეფონსაც არ ვიღებ. მეგობრების და ნათესავების ხმის გაგონებაც არ მინდა. მომკლა გაუთავებელმა: „როგორა ხარ? დღეს ხომ უკეთესად ხარ? ხმაც უფრო ხალისიანი გაქვს, მალე კარგად იქნები, ნუ გეშინია“. ისინი თავის მხრივ მართლები არიან, მაგრამ მე დავიღალე. მარტო მე ვიცი, რომ აღარასოდეს ვიქნები კარგად. ამიტომ აღარ მინდა გულის გაკეთება. ეტყობა, სიკვდილი მაშინ მოდის, როცა იმედს დაკარგავ. მე კი იმედი კი არა, სიცოცხლის რწმენაც დავკარგე. აღარც კი მახსოვს, ოდესმე კარგად თუ ვიყავი. კარგად ყოფნის სურვილიც აღარ მაქვს. ჩემმა ქმარმა ბორბლებიანი სკამი მომიტანა. ადრე ფანჯარასთან მივაგორებდი და მთელი დღე ქუჩის ცქერით ვერთობოდი. ახლა ფანჯრიდან გადახედვაც აღარ მინდა. მადლობა ღმერთს, ახლა მალე დამიყოფს მიწა პირს და ყველაფერი გათავდება, მოვისვენებ.

– ნუ ლაპარაკობთ ასე, ძალიან გთხოვთ. ნახავთ, თქვენ კარგად იქნებით. ადამიანებს რა არ გადაუტანიათ... თქვენ...

გელა სიტყვებს ვერ პოულობდა, ისე შეძრა ამ ამბავმა, რომ ყელში ბურთივით მოაწვა რაღაც.

– მე ეს ყველაფერი მოსმენილი მაქვს. დიდი მადლობა ყურადღებისათვის. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო გელა.

– შეგიძლიათ ერთი სათხოვარი შემისრულოთ?

– ბრძანეთ, ბატონო.
– ტელეფონს ნუ გადადებთ ხოლმე, მე თქვენ კიდევ და-
გირეკავთ.

– ნუ შეწუხდებით.
– უმორჩილესად გთხოვთ.
– არ არის საჭირო. დახიერ ჩემი ტელეფონის ნომერი და
დაივიწყეთ.

– მაშინ ახლავე ავდგები და მოვალ თქვენთან!
მტკიცე გადაწყვეტილებით უთხრა გელამ.
– არავითარ შემთხვევაში. თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ
ადამიანს ვგავარ. თქვენ კი არა, ნეტავ ჩემი ქმარ-შვილი არ
მხედავდეს ასეთ დღეში. არ გაპედოთ და არ მოხვიდეთ.
– აბა, არ გადადოთ ყურმილი, დაგირეკავთ, მარტო ერთხ-
ელ დაგირეკავთ.
– ვნახოთ... ვეცდები... კარგად ბრძანდებოდეთ.

აფორიაქებული იყო მთელი დღე სამსახურში. ადგილს
ვერ პოულობდა, სულ იმ უბედური ქალის ხმა ედგა ყურებში. რაღაც ქალალდებს ხელს აწერდა, ვიღაცას განკარგულებას
აძლევდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ყველაფერს რობოტივით
აკეთებდა. ვერაფრით ვერ ამოიგდო თავიდან ის ფაქტი, რომ
არის ამქვეყნად უსაშველოდ იმედგადაწურული ქალი და უხ-
მოდ, ნელ-ნელა კვდება. რა შეეძლო გელას? ნუთუ ასე ადრე
უნდა დამდგარიყო ნელი კვიციანის ცხოვრებაში ისეთი დღეე-
ბი, როცა არავის არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია მის გა-
დასარჩენად?

შესვენებაზე დაურეკა.
– მე ვარ.
– ვიცი, ბატონო გელა.

ერთხანს დუმდნენ ორივენი. ორივეს ყურმილი ეჭირა და
გელას მოეჩვენა, რომ ავადმყოფი ქალის გულისძგერა ისმოდა
ტელეფონში.

არ იცოდა, რით დაეწყო. გაცვეთილი „როგორ ბრძანდებით“
აღარ მოუხდებოდა მათ ურთიერთობას. აკი თვითონვე უთხრა
ნელიმ, არ მიყვარს, როცა ჯანმრთელობას მევითხებიანო.

– იცით რა, იმდენი კაცი ირეოდა დღეს ჩემს ოთახში, რომ

ტელეფონისათვის კი არა, თავის მოსაფხანადაც ვერ მოვი-
ცალე, – თვითონვე გაუკვირდა, რატომ ბოდიშობდა ქალ-
თან, რომელიც არასოდეს ენახა, – სათადარიგო ნაწილები
არ გვყოფნის. არ გაუშვებ ხაზზე ტროლებუსს და პასუხს
გაგებინებენ. კანში ვძვრებით, რომ ელემენტარულ ტექნიკურ
ნორმებს მაინც პასუხობდეს ქუჩაში გასული ტროლებუსი.

– ცხელა გარეთ, ბატონო გელა?
– ვერ გეტყვით. დილით გრილოდა. მერე თავი არ გამიყვია.
დრო აღარ არის, დათბეს? აპრილი თავდება.

– ძველით რამდენია დღეს?
– მგონი ცამეტი.
– მე ძველისა უფრო მჯერა... ბატონო გელა, – ნელის ხმა
აუკანკალდა.

– გისმენთ, ყურადღებით.
– ძალიან გთხოვთ, არ გამიგოთ სხვანაირად. გასაგებია
ჩემთვის ეს გრძნობა. მე თქვენთან წუხელის შემთხვევით
დავრეკე, მიჭირდა, თორებ არ შეგაწუხებდით. ის ორი საათი,
სანამ ჩემი შვილი დაბრუნდებოდა, მე თქვენი იმედი მქონდა.
მადლობელი ვარ წუხანდელი ღამისთვის და თქვენი თბილი
ყურადღებისთვის. თქვენ რომ მითხარით, ახლავე წამოვალო,
იცით, რა სითბო ჩამელვარა სულში? არის-მეთქი ამ გაცივე-
ბულ ქალაქში კიდევ კაცი, რომელსაც სხვისი შველის სურვი-
ლი და უნარი შერჩენია-მეთქი. იქნებ, თქვენმა კაიკაცობამ მე
წუხელის სიკვდილს გადამარჩინა. ახლა კი სხვა სიტუაციაა. მე
ვგრძნობ, თქვენ კეთილმობილი კაცი ხართ და გინდათ თქვენი
ყურადღებით პატივი მცეთ. შემქმიანოთ, იმედი მომცეთ. ეს
სიბრალულის ყურადღება, დამიჯერეთ, აღარ მჭირდება მე ეს
ყურადღება, შარშან ჭკუიდან ვიშლებოდი, ტელეფონის ზარი
რომ დაიგვიანებდა. ქმარ-შვილს ვაიძულებდი, სადაც უნდა
ყოფილიყვნენ, ყოველ საათში შემხმიანებოდნენ. ახლა კი ესეც
მაღიზიანებს. არა ვარ მე ის ქალი, თქვენი ხშირი რეკვა რომ
მოაბრუნებს ამ ქვეყნისაკენ. მე სიცოცხლესთან ანგარიში უკვე
გასწორებული მაქვს. ადამიანებთან ურთიერთობების რკვევა
კარგა ხანია დავამთავრე. განთავისუფლებთ ჩემთან შემხმიან-
ების თქვენი ჯენტლმენური მოვალეობისაგან.

- ჩვენ ხომ შევთანხმდით? – სხვისი ხმით ჰკითხა გელამ.
- ჩვენ არაფერზე არ შევთანხმებულვართ. გაიგეთ, მე შე-
თანხმებანი დავამთავრე, კარგად ბრძანდებოდეთ.
- არ დადოთ, ძალიან გთხოვთ, ქალბატონო ნელი. მე თქვენ
მაინც დაგირეკავთ.
- სხვა არა იყოს რა, უხერსულია, მე ქმრიანი ქალი ვარ.
თუმცა ამასაც აღარავითარი მნიშვნელობა აქვს. მაპატიეთ,
ჩემი ექიმი მოვიდა. უნდა მოვემზადო.
- „მართლა და მართლა, იქნებ არ უნდა ჩემი ხმის გაგონე-
ბა და თავს ხომ არ ვაპეზრებ ამ ქალსო“, ერთი გაფიქრება
გაიფიქრა გელამ, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ იგრძნო,
რომ არ შეეძლო, არ დაერეკა. დააპირა გონების თვალით შე-
ეხედა თავისი საქციელისთვის, მაგრამ ახსნა ვერ მოუძებნა.
ერთი რამ აშკარა იყო, თვითონ უფრო სჭირდებოდა ეს დარეკ-
ვა. ავადმყოფი ქალის მიმართ სიბრალულის გრძნობას დიდად
სჭარბობდა სხვა უფრო ძლიერი, რისთვისაც გელას ანგარიში
ვერ მიეცა.
- მეორე დღესაც დაურეკა. მოეჩვენა, რომ ნელი ისე კატ-
ეგორიულად აღარ ესაუბრებოდა, კატეგორიულად კი არადა,
თითქოს ელოდებოდა კიდეც გელას ტელეფონის ზარს. ერთი
კვირის განმავლობაში დღეში სამჯერ ურეკავდა. მათი საუ-
ბრები მოკლე იყო და ყოველთვის ახალი. „მე ვარ“, – ეტყოდა
გელა, და სხაპასხუპით მიაყოლებდა; რა გადახდა თავს ამ ხუთი
საათის განმავლობაში. რა ხდება ქალაქში. როგორი ამინდია
გარეთ. აღარც კი ახსოვდა, როდის გადავიდნენ „შენობით“
ლაპარაკზე. ამ ერთი კვირის განმავლობაში, თავის დღეებს
გელა მხოლოდ იმ თვალით აკვირდებოდა, რა შეიძლება ეთქ-
ვა ნელისთვის და რა არა. ურეკავდა სამსახურიდან, ტელე-
ფონის ჯიხურიდან, ბინიდან, როცა მეუღლე სამზარეულოში
ფუსფუსებდა, ხოლო ქალიშვილი ღრუბლის ლომს ფეხებით
უსრესდა ყურებს და ტელევიზორს უყურებდა. ბოლო დღეე-
ბში ნელის უკვე აღარ სჭირდებოდა აჩემებული „მე ვარ“. „ჰო“,
ეტყოდა გელა და ქალიც ჩუმად, სევდიანად, გაბმით
უპასუხებდა „ჰო“. ისე შეუმჩნევლად მოვიდა ორი ადამიანის
არსებაში სიახლოვე, რომელსაც ზოგჯერ მთელი ცხოვრების

განმავლობაში ვერ ვაღწევთ ხოლმე. ერთმანეთზე ზრუნავდ-
ნენ და ამ საზრუნავს მთლიანად მოეცვა მათი არსება.

„ახლა ათ წუთში წამალი გაქვს დასალევი“, „ჰო, ვიცი“. „არ დაგავიწყდეს, ზურა ჩაგზავნე „საირმეზე“ ოთხ საათზე.
ზუსტად ოთხზე მოვიტან და ყუთით დავდებ, შემოსასვლელში
ლიფტთან, როგორც იმ დღეს“, „გმადლობთ“, „ამოვალ, ერთი
წამით შემოვიხდავ, კარიდან, გეხვეწები, რა მნიშვნელობა
აქვს, როგორი ხარ“. „არავითარ შემთხვევაში. ეგ რომ გაა-
კეთო, იცოდე, თავს მოვიკლავ. როცა იქნება, ავდგები და
მე თვითონ გნახავ“. „კარგი“. „მენა“. „ჰო“. „თბილად ჩაიცვი,
დღეს წვიმა გამოაცხადა“. „არის“. „გარეთ გაზაფხულია?“ „ისე
რა, წავედი“. „აბა, ჰე“.

შაბათ დილით დარეკა, ნელის ქმარმა აილო ყურმილი.
გელამ იცოდა, როცა ქმარი გაეპასუხებოდა, ხმა არ უნდა
ამოელო. კვირასაც მთელი დღე ქმარი იჯდა ტელეფონთან.
ორშაბათს ნელის ტელეფონი საერთოდ გამოირთო. ყურმილს
არავინ იღებდა;

ორშაბათ საღამოს „თბილისში“ წაიკითხა. ისიც შემთხვე-
ვით, გვარს მოჰკრა თვალი, თორემ სამგლოვიარო განცხადე-
ბებს არ კითხულობდა.

სასაფლაოდან ყველა რომ გაიკრიფა, მესაფლავებმა წი-
თელი მიხაკები რომ ააცალეს საფლავის ბორცვს და ახა-
ლი საფლავი პირველად დარჩა თვალებჩაშავებულ ცასთან,
თითქოს კიბარისის ტანიდან გამოძრაო, მქრქალი წყვდიადი-
დან კაცი გამოვიდა.

ალუბლის ტოტები დააწყო საფლავს.

ერთხანს მდუმარედ იდგა და მიკიოტმა რომ სულ ახლოს
გაიშრიალა, შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით ისევ იმ ბილიკს
ჩაუყვა.

ჩემგან რა გესწავლება, საიდუმლოებებით არის სავსე ადა-
მიანთა ურთიერთობა, ძვირფასო მკითხველო.



ეპიმპაში

თებერვლის თალხისფერი საღამო იყო.

უქიმერიონს გაუმჯვირვალე, ნაცარა ღრუბელი წამომხობოდა თავზე.

შუადღისას გადარეკავდა ქარი იმ ღრუბლებს, ბაგრატის ტაძარს ცოტა სწით დაანახვებდა ქალაქს, საღამოსპირს ისევ ააბობდებოდა გალავანს ავდრის მოციქული. გაიშლებოდა ძელქვიანას ცაზე. გამთენისას ლეხი წვიმით წამოასველებდა ქუჩებს და ეს იყო სულ. ზამთარი ისე იწურებოდა, რომ ძელქვიანელებს თოვლი არ ენახათ.

მხოლოდ და მხოლოდ დაბალი, ტყვიისფერი ცა და ცხვირ-სველა, ჭყანტობის სიცივე აგრძნობინებდა კაცს, რომ ზამთარს ყავლი ჯერ არ გასვლოდა.

ბუდუ ჭიტალაძის ჭიშკართან შვიდიოდე კაცი იდგა.

იდგნენ უბრად, ნაავდრი ყვავებივით მობუზულები. ხანდახან ცერად გახედავდნენ ექიმბაშის ფარლალალა, რიკულებიანი ხის სახლის ქვედა სართულზე განათებულ ფანჯარას.

– შემდეგი! – ჩაილაპარაკა ყაბალახიანმა, შავნაბადა კაცმა და ტრიფოლიატის ღობეს მოშორდა. ფანჯარაში სინათლე ჩაქრა თუ არა, ასფალტისბილიკიან ეზოში ჭიშკრისკენ მომავალი კაცი გამოჩნდა. ქუჩაში გამოსვლისას გარსშემოხვეულ პაციენტებს გადახედა, ღრმად ამოისუნთქა, ცერა თითით ბუდუს სახლისკენ ანიშნა და თქვა:

– სასწაულია პირდაპირ.

ლოდინით დაღლილთ არაფერი უკითხავთ. ერთბაშად მოშორდნენ გამოსულს და თავიანთ სათვალთვალო წერტილებს დაუბრუნდნენ. ეზოში ერთი კაცი შებაკუნდა და ფანჯარაში სინათლე გაჩნდა.

გამოსულს თხის ქურქიანმა, დაბალმა კაცმა ხელი გამოსდო და განზე გაიყვანა.

– სასწაულიაო, თქვენ ბრძანეთ, ბატონო?

– ჩემთვის სასწაულია, ბატონო. ცხრა ექიმმა ვერ მომირჩინა კუჭის წყლული და აგერ მეხუთე მოსვლაა დღეს – შეტევა არ მქონია.

– გასმევთ რამეს?

– არაფერს.

– ჯვარი გწერიათ და სხვა რამეს არჩენს?

– რას მაგალითად?

კაცმა მიმოიხედა, ფეხის წვერებზე აიწია და ყურში უთხრა, რაც აწუხებდა.

– ალბათ, საჯდომი სამუშევარი გაქვთ.

– ბატონო?

– ჯდომა გინევთ, ალბათ, სულ. იმან იცის მაგი.

– რა ვიცი, დასწყევლოს ღმერთმა, მე ქე გამამნარა კაცი და...

– მოდით, მოდით. შებრძანდით, რაღაცას გისაშველებთ.

– ჰო, ასე რილო-ჭრელოთ მევედი. ეგება სულ არ მკურნალობს ჩემნაირ ავადმყოფს და ქე ეწყინოს. კაცია და გუნება. ვერც ვკითხე, რიგში, ვერავის.

– საწყენი რაა, ბატონო. ლამაზი და ულამაზობა ავადმყოფობა არ გამიგია მე. ბუდუ ყველაფერს მკურნალობს ერთად. შენ არც კი გკითხავს, რა გტკივაო, თვითონ ხვდება ყველაფერს.

ამასობაში ჭიშკარს კარგა მანძილზე გაშორებოდნენ. კუჭის წყლულიანმა ბოდიში მოიხადა და ნაბიჯს აუჩქარა, თხის ქურქიანი გამობრუნდა. კომპლექსური მკურნალობის („ყველაფერს ერთად“) მეთოდმა ცოტა არ იყოს დააეჭვა, მაგრამ უკან დახევაზე არც უფიქრია.

იდგა და თავის რიგს ელოდა.

სხვას აღარ ადევნებია. ყველანი ერთნაირად აღტაცებულნი გამოდიოდნენ. ჭიშკართან წამით შეჩერდებოდნენ და სხვა სიტყვებით („რას მევესწარი, ჩემო ბატონო“, „ამერიკამ თუ იცის ნეტავი ბიოდენით მკურნალობა?“, „ააშენა ღმერთმა მაგის ოჯახი, არ მიშველა, კაცო?“) დაახლოებით ერთსა და იმავე გრძნობას გამოხატავდნენ.

– ერთი წუთით, – შეაჩერა თხისქურქიანმა ასფალტის ბილიკზე შემხვედრი და თითქოს ესტაფეტა უნდა ჩამოართვასო, ხელი გაუწოდა.

- ბატონი? – ავადმყოფმა კოინდარში გადააბიჯა.
- რამდენს იღებს, მე ბოდიში.
- თვითონ არაფერს არ გთხოვს, ბატონი. მე მითხრა, რომ მორჩები, მერე იყოსო. ისე ხუთ მანეთს აძლევენ სეანსში.

– გმადლობთ.
კარი შეაღო და ზღურბლზე შედგა.

ოთახში პნელოდა.

– წამოდით, წამოდით, კედელს გამოყევით, ნუ გეშინიათ, ფეხს არაფერს წამოჰკრავთ, სკამამდე მიხვედით? დაბრძანდით. აბა, ჰე, ზიხართ? ვანთებ! – მკურნალს ოროტოტოსავით გამყივარი, ყიყინა ხმა ჰქონდა.

სინათლის ჩქერი თვალებში რომ ეცა, პაციენტმა ჯერ, რატომლაც, თავის ფეხებს დახედა, მერე ნელ-ნელა ააყოლა თვალი და სამკუთხა მაგიდასთან დახრილი ბობრი, ქსუალა თმისა და მამალი მაჩვის თვალების მქონე გამხდარი კაცი დაინახა.

- ბევრია კიდევ? – ჰქითხა ბუდუმ.
- ჩემ გარდა სამი იყო, თუ ანი არ მიემატა.
- რომ გახვალ, თუ კაცი ხარ, გააფრთხილე. სამის მეტს ვეღარ მივიღებ დღეს. დავიღალე. ოთხი საათიდან ვმუშაობ, ხვალ მოდით-თქვა.

– კი ბატონ.

- საერთოდ დღეში, – ბუდუმ ტაბურეტზე გადმოინაცვლა,
- ათ კაცზე მეტს არ უნდა ვიღებდე, მარა ვის ესმის. უჭირს კაცს და რაფერ გინდა უარი უთხრა. არადა ეს ბიოდენი, ეს უპატრონო, გამოულევლად კი არაა ჩემს ძარღვებში. აბრძანდით ფეხზე... იდექით მანდ, წინ ნუ წამოხვალთ, იდექით და თვალებში მიყურეთ... ასე თუ ვხარჯე უპრაგონდ, გათავდება ეს ბიოდენი და მეყოლე კარგად. დავინებ ახლავე... სეანსებს რომ დავამთავრებ, ნასიცხარივით ბლურკულით დავდივარ ოთახში, ხელებში ჭყანა არ მაქვს, ბალიშზე თავის დადებას ვერ ვასწრებ, ძილქუში მეცემა. ესმის ხალხს ეს ამბავი? რამდენი დარჩაო, რა თქვი?

– სამი კაცი იყო ჩემ მერე. ვინდა მოემატებოდა, რა ვიცი.

– დაბრძანდით.

თხისქურქიანი დაჯდა და სახეზე შეეტყო, რომ ხშირი „აბრძანება და დაბრძანება“ სიამოვნებას როდი ჰგვრიდა.

– გაიხადე ეს ჯუბაჩა და მაგერ, ტახტზე, დადე. თბილა, მე მგონი აქ, რას იტყვი? არ გაცივდები, ნუ გეშინია.

პაციენტმა ქურქი გაიხადა, მოპრუნდა და ბუდუ ჭიტალაძის წინ მორჩილად დადგა.

– ვიწყებ, თვალებში მიყურე და ხმა არ ამოიღო!
ექიმბაში წამოდგა, ორ ნაბიჯზე მოუახლოვდა ავადმყოფს და ხელისგულები სახეზე მიუშვირა – მმმუუ... ღრმად ისუნთქე. თვალი არ მომაცილო... მმმუუ... კარგია, ღრმად ისუნთქე... კარგია, – ხელისგულებს ხან დააშორებდა, ხან მიუახლოვებდა, ხან მარაოსავით გაშლიდა თითებს და მარჯვნივ-მარცხივ ატრიალებდა... – ღრმად ისუნთქე, თვალებში მიყურე... კარგია, თავ-კისრის არეში არაფერი ჩანს, წავედით ქვევით. ნუ ინძრევი, თვალებს ნუ ახამხამებ, მმმუუ... ისუნთქე შენც, ასე, – ხელისგულები კარგა ხანს გულთან უტრიალა პაციენტს და ჰოი, საკირველებავ, ამ უკანასკნელს სუნთქვა გაუძინელდა და მკერდის არეში ყრუ ტკივილიც იგრძნო – არ თქვა არაფერი... მე თვითონ ვხვდები ყველაფერს, ღრმად ისუნთქე... მმმუუ... კარგია... ცოტა ჰაერის უკმარისობა გაქვს ხანდახან... აბა, ვნახოთ, რას შერება კუჭ-ნაწლავი... შეპერილობა ხომ გაქვს ცოტა საღამ-საღამობით კარგ ნავახშმევზე?.. მმმუუ, შეტრიალდი, სკამს ნუ ეყრდნობი, ხელები ჩამოუშვი, აააა... მმმუუ, სწორი ნაწლავი ვერ გვაქვს მთლად კარგ დღეში, ხომ მართალია? – პაციენტმა თავი დაუქნია, – მუხლებიც დამძიმებული გაქვს... არ გაინძრე... აბა... კარგია... არ გაინძრე... ჩა-იცვი... თავისუფალი ხარ.:

ბუდუმ თითები აათამაშა. – არ დამაწყდა მკლავები? შენ არ იცი, რა ენერგია მიაქვს თითო სეანსს, მარა ამ ხალხს გააგებინებ? გრძნობდი რამეს? ჯერ პირველია თუმცა, რას იგრძნობდი.

– ვგრძნობდიო? – თხისქურქიანი ენად გაიკრიფა, – ასე მეგონა, ყურებში ბანარი მაქვს ჩაბმული და სადღაც მიმათრევენ-მეთქი. ცხვირი მექავებოდა სასტიკად, გაწილებული მაქვს, ხომ?

ბუდუმ ახლა შეავლო თვალი პაციენტის წერენოსავით წითელსა და მომრგვალებულ ცხვირს.

— არა უშავს. აწი და აწი მიეჩვევი. შვება დღეიდანვე მოგეცემა. თუ სიცხე მოგცეს ამალამ, ხვალ არ მოხვიდე, იცის, ზოგის ორგანიზმზე რეაქციას იძლევა პიოდენი, არ შეგეშინდეს. სიცხე რომ ალარ გექნება, მაშინ მოდი. იყოს, იყოს, შე კაცო, ფული რა საჩქაროა.

პაციენტმა ხელი მაგრად ჩამოართვა და გასვლისას გაუბედავად ჰკითხა:

— ამ ჩემს სატკივარს რამდენი სეანსი დასჭირდება, ბატონო ბუდუ, ვითომ?

— ათი მაინც უნდა. ვნახოთ მერე, თუ საჭირო გახდა, გავაგრძელებთ, თუ არა და... ერთი სიტყვით, შევატყობოთ საქმეს. ზოგს ათი სეანსიც არ უნდა. შენ საშიში არაფერი გჭირს. პილ-პილ-მარილიანი არაფერი ჭამო. ფეხით იარე და გრილი აბაზანა, იმისი არ იყოს, ყოველ დღე უნდა მიიღო. არ გაცივდე ახლა, აქედან გასული. ესაა მთავარი. მოიცა, სულ დამავიწყდა. რა მჭირს დღეს. მოდი აგერ, ამ რვეულში შენი სახელი და გვარი და მისამართი ჩაწერე.

თხისქურქიანმა კალამი მოიმარჯვა, თავი აიღო და ბუდუს შეევედრა:

— თუ შეიძლება, მისამართს ჩემი ცოლისძმისას ჩავწერ. სანახევროდ მაინც იქნა ვარ ამ ბოლო დროს. სახლი დავანგრიე რაღაც ჭირად, ახალს ვაშენებ. მწვანეყვავილაზე ვცხოვრობ, იქვე, ეკლესიასთან, მესამე მოსახლე ვარ.

ექიმბაში ყოყმანით დათანხმდა.

კართან კიდევ ერთხელ, ღონივრად ჩამოართვა ავადმყოფმა ხელი და წელანდელზე უფრო მორცხვად ჰკითხა:

— დალევის საქმე?

— საერთოდ, ამ დროს არ შეიძლება. არც ღვინო, არც, მით უმეტეს, არაყი, — პაციენტის შეშფოთებულ თვალებს რომ წააწყდა, დაამატა, — თუ მთლად გამოუვალი მდგომარეობა არ იქნა, უნდა შეიკავო თავი. და თუ მეტი გზა არ გექნება, უნდა დალიო, აბა, რას იზამ. ხანდახან ჩავარდები კაცი, არაა საშველი. დალევით უნდა დალიო, მარა მთლად გადარევა რომ იცის ზოგმა, ისე არა, რასაკვირველია.

— აგაშენა ღმერთმა, — თხისქურქიანმა კარი გაიხურა.

უჩვეულოდ მჩატედ მიაბიჯებდა ჭიშკრისაკენ. ეჩვენებოდა, რომ თავისი აბეზარი, არასერიოზული სენი მაინცდამაინც ალარ აწუხებდა. ეჩვენებოდა კი არა, ნამდვილად ასე იყო.

ქუჩაში რომ გამოვიდა, მისკენ მეყსეულად წამოსულ კლიენტებს ამაყად გადახედა და პათეტიკურად განუცხადა:

— დღეს სამზე მეტს ვერ მივიღებო, სხვები ხვალ მოვიდნენო, ჩემო ბატონო.

პაციენტებმა ერთმანეთს გადახედეს. სწორედ რომ სამნი დარჩენილიყვნენ.

გაჩერებისკენ შეპრუნებულ თხისქურქიანი ქოლგიანი მოხუცი აედევნა:

— რავა ატყობთ, მოგიხდათ, ბატონო?

— დღეს პირველად გახლდით. ისე, რა ვიცი, თქმაც მეშინია. უკეთესად ვგრძნობ თავს.

— მართლა დენით არჩენს?

— ბიოდენით, ბატონო, თითებში აქვს დენი.

— დეილოცა, ღმერთო, შენი სამართალი.

მოხუცმა ქოლგა დაკეცა და ბუდუ ჭიტალაძის ჭიშკრისკენ შეტრიალდა.

ბუდუ ჭიტალაძემ ოცდარვა წელი იმუშავა ავტოპროფილაქტიკის პატარა სასადილოში გამგე-მზარეულად. ერთ მშვენიერ (როგორც ზღაპრებშია) დღეს თავის ორგანიზმში ბიოდენი აღმოაჩინა და ჰიპოკრატეს ძნელ სამსახურს შეუდგა. ჯერ ახლობლებსა და ნათესავებს მურნალობდა. სახელის განთქმაზე არც კი უზრუნვია. ერთი თვის შემდეგ მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ცხოვრობდა ძელქვიანაში სასწაულთმოქმედი კაცი თავისი გრძნეული თითებიდან გამოყოფილი დენით თვით უიმედო ავადმყოფებსაც რომ აქეთ აქნევინებდა პირს. ბუდუ ჭიტალაძის დიდება დევის ნაბიჯით დადიოდა, რას ალარ ჰყვებოდნენ ექიმბაშზე; განგრენიან ავადმყოფს მოსაჭრელად განირული ფეხი გაუმთელაო, სამი დღის მოკვეთილ თითს ისე შეაზრდის თავის ადგილას, რომ სხვა (მოუჭრელი) თითებისგან მიკროსკოპითაც ვერ გამოარჩევო, ჰიპერტონია, გულის კუნთის კორონარული უკმარისობა და წინასაინფარქტო მდგომარეობა ხომ სასაცილოდაც არ ჰყოფნისო. წნევას პირველ-

სავე სეანსზე ერთხელ და სამუდამოდ არეგულირებსო. კიბოს, მეორე სტადიის მეტასტაზებით, საბოლოოდ არჩენს, ხოლო მესამე სტადიაში გადამდგარს, ისე კონსერვირებულჲყოფს, რომ ავადმყოფმა ათი-ოცი წლით სიცოცხლე გაიხანგრძლივოს.

ქალაქში ყოველ ფესის ნაბიჯზე შეხვდებოდით ბუდუს მიერ საიქიოდან გამოპრუნებულ საღ-საღამათ ადამიანებს. ისინი დაუზარებლად უამბობდნენ დაეჭვებულ პირებს ბიოდენით მკურნალობის სიკეთეზე.

„ჭიტალაძის კლინიკას“ უამრავი ავადმყოფი მოაწყდა. ექიმ-ბაშს, რომ იტყვიან, თავის მოსაფხანადაც არ ეცალა. დილის ექვს საათზე დგებოდნენ რიგში და მანამ არ შორდებოდნენ ჭიშკარს, სანამ შუალამისას ბუდუს მეუღლე, ქალბატონი ნუნუ გამოვიდოდა და განაცხადებდა: „ძინავს, ბატონო, ხვალ მობრძანდით, ხომ არ მოვკლავ კაცს. რატომ ის დღე არ დაიქცა, ჩვენ რომ ამ საქმეს მოვყიდეთ ხელი. მუშაობდა კაცი თავისთვის გამგე-მზარეულად. შიმშილით არ გვშიოდა და წყურვილით არ გვწუროდა. რად გვინდა ეს ორი კაპიკი, ჭამა მაგისტვის არაა დროზე და დასვენებაო“.

ავადმყოფები მდუმარედ უსმენდნენ ექიმბაშის განამებულ მეუღლეს და შორდებოდნენ ჭიშკარს იმ იმედით, რომ ხვალ მაინც ეზიარებოდნენ სანუკვარ ბიოდენს.

19... წლის 17 სექტემბერს ადგილობრივ გაზეთ „ინდუსტრი-ის ხმაში“ დაიბეჭდა ფელეტონი სათაურით „თვალთმაქცი“. ალბათ, მიხვდებოდა პატივცემული მკითხველი, რომ ფელეტონი სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ექიმბაშთა საქმიანობას საერთოდ და ბუდუ ჭიტალაძეს კერძოდ.

„როგორ შეიძლებაო, – წერდა ფელეტონისტი კ. წინმატია, – მედეას და ზაზა ფანასკერტელის სამშობლოში ჭიტალაძის თვალთმაქცობას გასავალი ჰქონდესო. ჩვენ მატყუარა ექიმბაშისა იმდენად არ გვიკვირს, რამდენადაც იმ გულუბრყვილო და მიმნდობი მოქალაქეების, ნაფიც ექიმებს რომ ზურგი აქციეს და „ბიოდენიან გრძნეულს“ ჩაუვარდნენ ყბაშიო. თურმე ნუ იტყვით, ბუდუ ჭიტალაძე ყველაფერს არჩენსო. რანაირად შეიძლება ჭკუათამყოფელმა კაცმა ირწმუნო, რომ ბიოდენი

კიდეც რომ ჰქონდეს ექიმბაშს, ყოველგვარ სენს ჰკურნავდეს ისე, რომ არავითარი უკუქმედება არ გააჩნდესო. ბუდუს დაწყებითი სამედიცინო განათლებაც კი არ მიუღია, შინაგანი ორგანოების განლაგებაზე წარმოდგენაც კი არა აქვსო. თავად განსაჯეთ, რა მკურნალობა შეუძლია კაცს, რომელმაც არც ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზი იცის და არც მისი განვითარების სპეციფიკა მოეხსენებაო. გაიძვერა ექიმბაში ამ ბოლო დროს ისე გაინაფა, რომ გამოუცდელ ავადმყოფებს უნამუსოდ ატყუებს და აბიაბრუებსო. მან კარგად იცის, რომ თუ ავადმყოფი ხანშიმესულია, წნევა და გული არ ექნება წესრიგშიო, თუ თვალები დაბერილი აქვს – ან გული სტკივა, ან თირკმლები, თუ მსუქანია და მოყვითალო ფერი ადევს – უსათუოდ ლვიძლი ექნება გალიზიანებული, თუ სკამზე გაჭირვებით ჯდება, ან მუხლების სისუსტე აქვს, ან ე. წ. მჯდართა ავადმყოფობა სტანჯავს. რაც შეეხება მუცლის შებერილობას, ეს ხომ ჩვენში გემრიელი ვახშიმის მოყვარულთა საერთო სენია. ასე რომ, ბუდუ ჭიტალაძის დიაგნოსტიკა თავიდან ბოლომდე ქიმერაა და გარეგნულ მაჩვენებლებზეა აღმოცენებულიო.

საერთოდ, ყოველგვარი სენი სამ კატეგორიად იყოფაო, – განაგრძობდა ფელეტონისტი, პირველი – თავისით რომ რჩება, მეორე – მკურნალობით რომ რჩება და მესამე არც წამლით რჩება და არც შელოცვით, სიკვდილის ქარს რომ ეძახიან, სწორედ ის გახლავთო. ამ უკანასკნელით ადამიანები იშვიათად ავადდებიან. პირველი ორი კი მორჩენით თავდება და, რასაც ბუდუ ჭიტალაძე აკეთებს, დიდი ხანია ცნობილია პრიმიტიული ფსიქოთერაპიის სახელით. ნამდვილ ფსიქოთერაპიაზე ჭიტალაძეს წარმოდგენა არა აქვს. იგი ავადმყოფს ცოტა გუნებას უკეთებს და განკურნების ილუზიას უქმნის. შორს თვითმარქვია ექიმბაშების მეურვეობისაგან. თვალთმაქცთა და ფლიდთა ფეხქვეშ მინა უნდა იწვოდესო“. ასე ხმამაღლა, მოწოდებით ამთავრებდა ფელეტონისტი კ. წინმატია.

ამ ფელეტონის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ ექიმბაშმა ბუდუ ჭიტალაძემ გაყიდა სახლ-კარი და ქალაქ სანსკრიტიაში გადასახლდა.

რა საქმიანობას მიჰყო ხელი სხვა ქალაქში ბიოდენის პატრონმა, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის.

ჭორი გავრცელდა; სანსკრიტიაში ბუდუს საავადმყოფო ჩააბარეს და მკურნალობის არნახული ასპარეზი მისცესო, მაგრამ ჭორი, მოგეხსენებათ, ჭორია და, მართალიც რომ იყოს, სანდო მაინც არაა.

ერთი რამ კია – ბუდუ ჭიტალაძე დააკლდა ქალაქ ძელქვი-ანას.

ავადმყოფებმა მოიწყინეს.

სიკვდილიანობა გახშირდა.

მიზეზი მარტო მიქელ-გაბრიელის სია როდი იყო, როგორც ჩანს, სხვა სამედიცინო უწყებებთან ერთად, ერთი ბიოდენიანი ექიმბაშიც სჭირდებოდა ქალაქს.

თუნდაც მატყუარა, მაგრამ მაინც ბიოდენიანი და სწორედ ექიმბაში.

ექიმბაშები ხომ ისედაც ცოტანი დარჩენენ.

გუშინ, ავტობუსში, ორ დარბასელ კაცს დავემგზავრე.

– ბუდუ ჭიტალაძე გახსოვს?

– ბერა.

– კვალიფიკაციაზე ვიყავი, ამას წინათ, სანსკრიტიაში. მთავარმა ექიმმა: ძელქვიანელი წევს ჩემთან შენი თანამემამულე, არ ნახავო?

შევედი. ბუდუ ჭიტალაძე. ცოტა მობერებულა, მარა ისევ ყოჩალადაა. გავსინჯე, ისეთი არაფერი, კუჭის კატარი სჭირს.

– არ გამოეცნაურე?

– არა. ვითომ ვერ ვიცანი, სადაური ბრძანდებით, რა მოხელე ხართ-მეთქი. არასაუნყებო დაცვაში ვმუშაობო. აქ, საავადმყოფოში, ერთი კარგი ექიმი გვყავს-მეთქი, ბიოდენით მკურნალობს, იმას მოგიყვან, ის გიშველის-მეთქი, წამოხტა და სახელოზე ჩამომეკიდა: „ნუ იზამ მაგას, მე ვიცი რაცაა ეგ საქმე, წამალი გამომინერე, თუ კაცი ხარ, ბიოდენი მინდა მეო? მკლავ კაცსო?“

მინდოდა, რაღაც მეკითხა, მაგრამ ორივენი ისე გულიანად ხითხითებდნენ, რომ სიტყვა ვერ ჩავურთე და ამასობაში ავტობუსიც გაჩერდა.



დეპაშა

მაშ, მთელი ქვეყანა ჩემთვინ და ლევანათვინ დაყრუვ-დამუნჯებულა-მეთქი, შვილო. მაშ, ეს ამოტოლა ფოჩტა-ტელე-გრაფი მარტო ჩემი ურგები ყოფილა-მეთქი. თქვენ, თუ გინდათ, მარსკვლავეთიდან ჩამოიყვანთ - კაცსა და ზღვის ფსკერიდან ოქროს ყანწს ამაიღებთ-მეთქი. თამარა ძალოს ჭირი ღობეს ჩხირია და არ გენალვლებათ-მეთქი, ვუთხარი, შვილო, იქნებ არ უნდა მეთქვა, მაგრამ, ვერ მოვითმინე. მაშ, ისე როგორ უნდა დაბნელდეს, ივრესკიდან კოშრეთამდე ცოცხალი კაცი დაიკარგოს? განა დრო არ არი, შვილო, სიბერის ვიფოლები მფირდეს. მე თვითონ დავთიქრდები, ი, ჩემი ლევანას მზემა, ჭკუა ხომ არ შამიმსუბუქდა და გზი გიუკით ხომ არ დავეხ-ეტები-მეთქი კარდაკარა. რა ვუყოთ, გენაცვალე, სიბერე როსტომსაც კი მაჰირევიაო, მე რა ხეირს დამაყრიდა, ერთ გაწლობილ დედაკაცსა. ე, დეპეშაი რო არ მამსვლოდა, იქნებ მეც არ ამელო თავი, ჩემისთანა ქვრივ-ოხერი მილიონი დატრიალებს ამ დუნიაზე, მე რა ოქროს კოჭი ვიქნებოდი, ამოდენა ხალხი შემეწუხებინა. ნახე, შვილო, ნახე მიზეზი ჩემი ძილკრთომისა. „პრასიმ სააბჩიტ ზდოროვიე და მესტონახაუდენიე ტამარა შავყურაშვილისაო“. ვასილიი კარავაევი სწერამს. ივრესკიდანაა გამაგზავნილი. თამარა შავყურაშვილი კიდე მე გახლავართ. ჩვენები არაშენდადან გადმოსულან კოურეთშია. კარგა ორასი წლის ამბავი იქნება, რა ვი, მე ვინ მეტყოდა, რა მიზეზითა. ლერი რუსული არ ვიცი, მაგრამა დღეში ასჯერ მაინც ვაბულბულებ ამ დეპეშას. რა ვქნა, შვილო, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. შარშან დეკემბერში მივიღე დეპეშაი, შვილივით ნაზარდი ჭედილა წამოვაქციე, მეზობლებს დავუძახე, ლევანა ცოცხალი მყოლია, გზად ივერსკში შაჩერებულა (რა ვი, რა საქმე ჰქონდა), მაღლე ჩამოვა-მეთქი. მერვე თვე იწურება მას უკან, არც ამბავი, არც ხაბარი, ფოჩტის გამგემ და კამისარმა თითქოს პირი შაჰკრეს ჩემ წინააღმდეგა. გა-

ფუჭებული გრამატონივით ერთ და იმავეს გაიძახიან: რა გი-
ყოთ, თამარა ძალო, დეპეშა კი ივრესკიდანაა გამაიგზავნილი,
მაგრამა არც თავის გვარს გვიმსელს გამამგზავნი და არც
აპრატი ადრესაა. შაკითხვები დავაგზავნინე, თუ კამისარი-
ატის და თუ ფორტის ხაზითა. ივრესკი ციმბირგალმა ყოფილა,
პატარა დაბააო, წელინადი რვათვე მინა დამზრალია, ტორფის
და ხახვის მეტი არაფერი იპოებაო, ქა, იმ ბარობაზედა. ერთი
თვის თავზე ერთნაირი პასუხი მოვიდა, თუ კომისარიატის
და თუ ფორტის ხაზითა, ვასილი კარავაევი ივრესკში არვინა
ცხოვრობს და არც არასოდეს უცხოვრია ამ გვარის კაცს აქაო.
განა არ ვიცოდი, ეგ ვიღაც კარავაევი მოგონილი სახელია,
დეპეშა ჩემი ლევანას გამაჟგზავნილია-მეთქი. მერე ის იყო,
ლევანას სახელზე გავაჟგზავნინე წერილები. პრასიმ სააბშჩიტ-
მეთქი. შვილო, ლევანა სამადალაშვილი გდე პროფივატ და
ჩემ ზანიმაეტსია-მეთქი. კომისარიატმაც და ფორტამაც ლამის
ერთ დღეს მიიღეს პასუხები, შვილო. ამ სახელისა და გვარის
კაცი ჩვენში არ ჭაჭანებს, არც კომისარიატშია გატარებული
და ივრესკში კი არა, მთელს ოლქში მოვიძიეთ, კვალსაც ვერ
მივაგენითო. მაშ, ეს ტელეგრამა ტყუილი ყოფილა-მეთქი,
ავუხირდი ფორტის გამგესა. რას ვემართლებოდი, მაგრამა
ლამის ბოლმამ დამალრჩის, შვილო. იმან კიდევა: „პო, დედი,
იქნებ ვინმე გაგეხუმრაო“. რაც არ უნდა მინდისაო, ყურში
მძიმედ მისდისაო. განა ჭკუათმყოფელი კაცი დაიჯერებს, რომ
ზის ვიღაც კარავაევი ცხრა მთის გადალმა ივრესკშია და სულ
იმაზე ჰეთიერობს, ე გამოყრუებული თამარაი რით მოალოროს
და გააცუცურაკოს. არა, შვილო, თუ გინდა, ცხრა ხატზე და-
ვიფიცამ, რო ეგ სულ ჩემი ლევანას ოინებია. თუ ნამდვილად
შენი ლევანაა, თავისი სახელით რად არ გწერამს დეპეშასო,
გულზე გამხეთქა იმ დღეს წონლიკანთ ლიზამა. ვინც ლევა-
ნას იცნობდა, მისგან არაფერი გაუკვირდება, აქაც ეგეთი ანცი
და ღვთის პირიდან გადავარდნილი იყო. რა ვი, რა შაემთხვა,
კაცია, განა მინდვრი ნიავია, შაუმჩნევლად გაილიოს ვენახბო-
ლოშია. იქნება პრცხვენიან კიდეცა, შვილო, ყველა რო წაიდ-
ნამავიდა და ეგ კიდევ ამტოლხანს შაპრჩა ივრესკშია. იქნება
ნელ-ნელა შაგვაჩვიოს თავის მოსვლასა, სიხარულის ელდაი

რო არ შაჰკაროს თავის გადალრჯუებულ დედაბერსა. მაშ,
ჭკვიანი კაცია, იცის თავისი საქმეი.

თექვსმეტისა გავთხოვდი, შვილო. ჯერ ეხლა რა არი თე-
ქვსმეტი წლი გოგოი, მაშინ რა ვიქებოდი, კაკაბივით გაზ-
რდილი, სოფლი ბოლოშია. მამაჩემი, ეგრემც სული გაუნათ-
ლოს გამჩენმა, განა ახლანდელი მამებივით გულჩვილი იყო,
ერთი გოგოი ვჰყვანდი, სახლიდან ცხვირს არ მაყოფინებდა;
რა ქალის საქმეა ვენახის ჩირთიფირთი და ცხვარში ძუძუ-
ლიო. თექვსმეტისა ვიყავ, ლევანამ რომ ჩამაიარა. თუშური
ქუდი ეხურა, კამეჩებ მიდენიდა და იგრე მიღილინებდა, მერ-
ცხელი ჭიკჭიკი რა არი. შამამხედა და გამიცინა. თექვსმეტი
წლის გოგოი მეტი რა უნდა; გამიცინა და ლამის მიმალურსმა,
ქა, სახლის დირეზედა, საალდგომე კრავივით შამიხტა გული,
შამიხტა და ეგრე როკავდა, ვერ დავაზნუარე სალამომდინა. მწუხრზე უკან ჩამაიარა ლევანამ. მხარზე კომბალი გაედო და
კი არ ჰელილინებდა, ხმამალლა ჰელეროდა. მერე გამიმხილა;
ვიცოდი, სიმღერაზე გამაიხედამდიო, ცხრამეტი წლის ვაჟის
ჭკუაი დამიხედე, ქა, ცხრამეტისა იყო მაშინ, განა მეტისა. მო-
ნუსხული კურდლელივით გავეჭიმე ჭიშკართანა, მამიახლოვ-
და, შემინებული თვალებით ერთი კი გადაიხედა ეზოშია და
მამაჩემი რო ვერსად დალანდა, პირგახეულმა გამამიცხადა: –
„გოგოვ, ცოლად არ წამამყვებიო?“ განა დავიბენი. „გაიარე,
შე ოხერტიალო, თორო იქნება ეს ორლობის ქვები სათითაოდ
ზურგზე დაგათვალო-მეთქი“. „მაშ, ყველაფერი კარგად ყო-
ფილა, ანი მე ვიციო“ ქა, იმ უნამუსომა, ერთი მოიხედა და ისე
მადლიერად გამილიმა, გეგონებოდა, თაფლუჭში ამოვლებული
სიტყვები ვუთხარ. ერთი კვირითავზე მაშვლები გამაეგზავნა,
მოსავალი რო დავაბინავეთ, ჯვარი ვიფსკვენით. ეგ თერთ-
მეტი ოქტომბერი იყო, რა დამავიწყებს. სამი დღის შემდეგ
დაუძახეს ჯარში, შვილო. სამი დღე ვიყავით ერთადა ცოლ-
ქმარი, შვილო, სამი პარასკევი არ გაუთენდეს ომი მამგონსა
და ჩვენ დამღუპველსა. გამთენისას გავედით და რკინიგზი
სადგურამდე უბრად ვიარეთ, ხმა არ გაუცია. რა ამბავი იქნე-
ბოდა, შვილო, განა ჩემგან გესნავლება. მიღეთი ხალხი ირე-
ოდა სადგურზე. იმ ცრემლვა-წიოკობაში მარტო ჩემი ლევანა

იდგა ყინჩადა; „ხმა ამაიღე-მეთქი, კაცო“. „რა უნდა გითხრაო, განა უთქმელადაც არ იციო“. „ლევანა სამადალაშვილი ხაზზეო!“ რო დაიძახეს, აპგა მხარზე მოიგდო და მამიბრუნდა: „თამარა, არ შეგეშინდეს, მე არაფერი მამივა, ჩემ წილ ტყვიას მხარს ავუქცევო, მალე ჩამოვალ სალსალამათიო“. „როდის გელოდო-მეთქი“, მე სულელმა ქა, კაცი ომში მიდის და როდის ჩამოხვალ-მეთქი, გამიცინა თავისი მზის სიცილითა და დამიძახა: „დღეიდან ყოველ წუთს მელოდეო“. მაშ. მეც ველოდი. ორმოცი წელი გავიდა ამ ლოდინშია. ზოგჯერ ვფიქრობდი, ეგ რომ აქა ყოფილიყო, ნეტა როგო გავიდოდა-მეთქი წლები. ყველა თავისებურად ბედნიერია, შვილო. განა ლოდინი არ არი ბედნიერება. ორმოც დღესავით გაირბინა ამ ორმოცმა წელმა და მთელმა სიცოცხლემ. არც ერთი წუთით არ დავიჯერე ლევანას სიკვდილი. იმ დღესაც, როცა შავი ქალალდი მოვიდა და დედა-ბუდიანად ლაწვებს ვიხოვდით, გავიდოდი ჩემს ოთახში, სარკეში ჩავიხედავდი და ჩემს თავს ვეტყოდი; ნეტა რა გაღრიალებს, განა ვერ ხვდები, რო ეგ ქალალდი ეშმაკის შეთხოლია. იქნებ სულაც გულში ჩავუვარდი ვინმეს და ჩემს მოსალორებლად მოჩახა-მეთქი ლევანას სიკვდილის ამბავი. ლევანა ისეთი მკრჩხალი და ცაგამწევი იყო, ტყვია როგორ მოჰვდებოდა-მეთქი, ქა. სუ ამ ფიქრებში ვიყავ, ეს წლები, აკი მართალი ვჰყოფილვარ, აკი ცოცხალია ჩემი ლევანა, შვილო. ეგრემც თვალისჩინი ნუ მოაკლდება შენს მოყვარ-მოახლესა.

ჩემი საქმე ეგრეა, შვილო; მე ამათ ვეღარ დავუცდი. გული გამინუალა ფოჩტა-კამისარიატში სიარულმა. სანამ მუხლში ჯერ კიდევ წვენი მიდგა, ბზი კეტი უნდა დავიჭირო და გავუდგე ივრესკი გზასა. კითხვა-კითხვით კაცი ერუსალიმს ჩავიდაო. თუნდაც ქვეყნის დასალიერს იყოს ივრესკი, უნდა ჩავიდე. ე შვიდიოდე ცხვარ-ბატკანს მივაყიდი, რვაჩაფიანი მიდგას, იმასაც გზას მავუნახამ, ორიოდე გროშს მოვაქუჩებ და როგორც კი დათბება, ყინულეთში იქეთ გზა აღარ არიო, ავდგები და წავალ. სუ ფეხით შამავივლი ივრესკასა, იგეთი გუმანი მაქ, არ შეიძლება არა ვნახო ჩემი ლევანა, იქნებ სულაც ქუჩაში შემხვდეს და ვიცნო. იქნებ თავის გვარსა ჰმალამს, ქა, იქნება რამე შემთხვა და ჰრცხვენიან გამოჩენა. კაცი ვართ, განა?

რამ აგაცუნდრუკაო, ეგ ბებერი ძვლები აქ დაატიეო, წონბლიკანთ ლიზამა, იმაი ახლა ცოლ-შვილიც ეყოლება და ვინ იცის, იქნებ შვილიშვილებიც ასევია ბუზივითაო. შენი დანახვა რაში უნდა, რა ტალიკა ბიჭები შენ გაუჩინე და დაუზარდე აქაო.

ჰყვანდეს, ქა, ცოლ-შვილიცა ჰყვანდეს, თუნდაც ჯაჭვით იყო მიბმული იმ თავის ივრესკზედა, მე ჩემი დარდი და ინტერესი მაქვს. აბა, ლიზა რას გაიგებს, შვილო, ჩემს წუზილსა. ცხრამეტი წლის ბიჭი იყო, მას უკან არ მინახავს. ნეტა როგორია, ნეტა თუ მაუხდა სიმძიმე, ნეტა ჭალარა თუ შაპეარვია იმ გრუზა თმაშია. ნეტა ლამაზად თუ დაბერდა. ერთხელ თვალს შევავლებ და დავბრუნდები ჩემს კოურეთშია. უნდა ვნახო, რომ არა ვნახო ქა, სიზმრები შამშლის. რაც ეს დეპეშა მივიღე, ყოველ ღამე ფანჯარასთან დგა და მეძახის: „თამარა, იგრე რამ დაგაძინა, ქალო, ერთი რო აღარ გამეპასუხე, არაქათი გამითავდა ძახილითაო“. წამოვხტები, ერთ გაილიმებს თავისის ალალი ლიმილითა, ცხრამეტი წლი ბიჭის ლიმილითა და სანამ ფანჯარასთან მივფამფალდებოდე, გაინევა და სიბწელეს შეერევა.

არა, არა, უნდა ვნახო. წლებდამძიმებული, ქარშეცვლილი, დაბერებული უნდა ვნახო ჩემი ლევანა, თორო ცხრამეტი წლი ბიჭის სიყვარული ჩემს ასაკში სირცხვილია, ქა. ახლა მალე დათბება, ვაზს ფოთოლი გაუმაგრდება, პირველ ფურჩვნას მოვრჩები და წავალ.



ცხედარი

ფრენით მშვენივრად იფრინა ისაკ ნიორაძემ, არც სასტუმრო „როიალში“ მოწყობა გაჭირვებია იმ უებრო მიზეზის გამო, რომ ნომერი დაჯავშნული ჰქონდა. კიბეზე ჩემოდნით ხელში რომ ადიოდა, ერთხელ კიდევ გაუელვა: „რომ მოვკვდე ამაღამ სასტუმროში, რა მეშველებაო“. მივლინებით სად არ ყოფილა, მაგრამ ასეთი ფიქრი არასოდეს წვევია. რატომდაც დილით, თვითმფრინავში რომ ჯდებოდა, აეკვიატა სიკვდილის შიში, ჯიუტად აეკვიატა და ვერ იქნა, ვერ მოიცილა. რაზე არ გადაიტანა გულისყრი, მაგრამ ბოლოს მაინც სასტუმროს ნომერში სიკვდილს უბრუნდებოდა. ორმოცი წელი დაბის სოცდაზღვევის პუნქტის გამგედ იმუშავა, სიბერე ისე მოეპარა, არც კი გაუგია. და, კაცმა რომ თქვას, თუ სიბერემ თავისი გამოცხადება ვერაფრით ვერ გაგრძნობინა, როგორც მოხუცი კამპუჩიელები იტყვიან, ესე იგი კვლავ ახალგაზრდა ხარ. „რა დოროს ჩემი მივლინებებში ნანწალიან“, შვილთან წამოცდა წუხელის, ჩემოდანს რომ ალაგებდა. თურმე ასეთი ფიქრი არ უნდა გაივლო გუნებაში, ძვირფასო მკითხველო. გგზავნიან მივლინებაში? უნდა ნახვიდე. გამგზავნელმა უკეთ არ იცის, გაგივიდა ყავლი თუ არა? მოკლედ, დილის ცხრა საათზე, სასტუმრო „როიალის“ მეშვიდე სართულის დამლაგებელმა ქალმა – ნატალიამ 721-ე ნომრის კარში ახალი გაზეთი რომ შეაცურა, ამ ნომრის კანონიერი დამქირავებელი ისაკ ნიორაძე უკვე მკვდარი გახლდათ. საბანი მკერდზე ეფარა, მარჯვენა ხელი თავებეშ ამოედონ და თვალდახუჭულს სამუდამო ძილით ეძინა. ძილში გაპარვას ეძახიან ასეთ შემთხვევას ჩვენში. შესანდობარს როცა სვამენ, ბედნიერ სიკვდილსაც უნიდებენ. გაუწვალებლად, მშვიდად გაუყვა საუკუნო სასუფევლის გზასო, იტყვიან, მაგრამ დაზღვევის აგენტის სიკვდილი მთლად ბედნიერ სიკვდილთა რიცხვს (და ამ ნოველის ავტორს საეჭვოდ მიაჩნია „ბედნიერი სიკვდილის“ ცნება საერთოდ) რომ არ მიე-კუთვნება, ამაში მალე დარწმუნდებით.

ქალაქ ცხეუნტურიანში შვიდი სასტუმრო, მიღლიცის რვა განყოფილება და თერთმეტი აფთიაქია. სასტუმრო „როიალი“ მდინარე ხვიპიას მარჯვენა ნაპირზე, სახანძრო რაზმის სათვალთვალო პუნქტის გვერდითაა აშენებული. ხვიპია მდორედ მოედინება და ამიტომ წყალუხვის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველ შემთხვევაში, ახლომახლო სხვა მდინარე არ მოიძევება და ადგილობრივი მკვიდრნი ხვიპიას დედა-მდინარეს უწოდებენ.

მეშვიდე სართულის მორიგემ, ოფოფის ვარცხნილობის პატრონმა, ხანშიშესულმა, მაგრამ თავშენახულმა ქალმა ვარვარამ კარგა ხანია გაიღვიძა, შეზღლონგის ალაგება და კარადაში შეჩურთვაც მოასწრო. ვის დავუმალო და, განსხვავებით ყველა სხვა სასტუმროს მორიგე ქალებისაგან, ვარვარას ღამით, სამორიგეო მაგიდის გვერდით გამლილ შეზღლონგზე ეძინა ხოლმე. რამდენჯერმე შეამოწმეს და გააფრთხილეს, მაგრამ თავისი არ დაიშალა და მიანებეს თავი. ცხეუნტურიანში ქალებს რა საქმეზე არ იხილავთ, მაგრამ სართულის მორიგეობაზე დიდი ხალისით არ თანხმდებიან. სახიფათო სამუშაოაო, მანდ შეიძლება ჩავარდე კიდეცო, უყვართ თქმა.

ვარვარა, დამლაგებელი ნატალია და სასტუმრო მომსახურების ორწლიანი კურსების მსმენელი-პრაქტიკანტი, ცხრამეტი წლის კაროუნა საუთაო ოთახში ჩაის შეექცეოდნენ. კაროუნას ღამის გათევას მაინცდამაინც არავინ ავალებდა, მაგრამ მომავალი პროფესიის სიყვარული ისე ღრმად ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ სიამოვნებით რჩებოდა. ხან დამლაგებელთან პრეფერანსს თამაშობდა და ხან კიდევ, საინტერესოდ მოსაუბრე სტუმარ-მამაკაცთან საეჭვოდ დიდხანს იჯდა ნომერში.

– ენა რომ ექავება, თორემ არაფერიც არ მოხდებოდა. ახლა, შეიძლება, სამსახურიდანაც გამომიგდონ და ჩემი სარჩენი გახდეს. თავისი ჩასახეთქი არყის ფულს მაინც შოულობდა, – წუწუნით ჰყვებოდა ვარვარა და ამოოხვრას ჩაის თითო ყლუბს აყოლებდა, – გუშინწინ დილით სახლმართველი ამოვიდა, აივნიდან პერანგი ჩამოხსენი, ეთიობის დელეგაცია მოდისო. ახალია ჩვენი სახლმართველი. სერიოზული ბიჭია. ამიხსენი, ვის რას უშავებს მეთერთმეტე სართულზე საცოდავად აფართხუნებული ჩემი პერანგიო, აყრანტალებს ჩემი ქმარი ენას.

ნუთუ ვერ ხვდები, ფასადს აუშნოვებსო, სახლმმართველმა. ახლა მაინც ვერ უნდა გაიგო? ვეუბნები, ჩამოვხსნი, ვიქტორ, გაივლის დელეგაცია და ისევ გავაიდებ-მეთქი. შენს უკანალზე დაეტიე, შემომიბლვირა. შემეცოდა, ხომ იცი, სახლმმართველი. დაავალეს, ფასადის მხარეს საცვლები არ დავინახოთ, თორქემ შენ გვინია, ძალიან სიამოვნებს ამ დილაადრიან ხალხის შეწუხება? ჩემია დასაჩერქვი, სხვას რას ვერჩი, ასარსალებს ენას. ყველაფერზე კი არ შეიძლება ხუმრობა. დგას კარებში და იკრიჭება. მე შენ გიჩვენებ სეირსო, გატრიალდა სახლმმართველი. გუშინ ვიყავით დაბარებული რაიაღმასკომში. სამსახურიდან თუ გამომიგდეს, რა მეშველება.

კაროუნამ ჩაი მოსვა, შაქარი გაკვნიტა და გვერდზე უსალმოდ ჩავლილ, ვიეტნამურჯინისიან დურგალს გააყოლა თვალი. პრაქტიკანტს ვიქტორის შარვლის საბედისწერო ისტორიანაკლებად აინტერესებდა.

ათის ნახევარზე ცვლა გამოჩნდა – სართულის მორიგე, შინაბერა მაგდალინა, დამლაგებელი პარასკევა და პრაქტიკანტი ლუჩია. თქვენს პურისჭამას გაუმარჯოს, გოგონებოვო, მისი ასაკისთვის ლამის შეუფერებლად შეათამაშა სხეული მაგდალინამ, პალტო დივანზე მოისროლა და ვარვარას ჩაის ჭიქას დაწვდა.

– ცივა გარეთ? – ერთდროულად იკითხეს ნატალიამ და კაროუნამ.

გაირკვა, რომ საკმაოდ ციონდა.

– რა მეშველება, თუ ასეთი ყინვები დაიჭირა, ჩემი უფროსი გოგო ფილტვების ანთებას აიკიდებს, არ უნდა ამას ლაპარაკი, – დაიჩივლა ნატალიამ.

– პალტო შარშან არ უყიდე? – ჰკითხა ვიღაცამ.

– ვაჟყიდე, ბატონო, მაგრამ კადრულობს? ახლაო, ყველას სპორტული „კურტკა“ აცვიაო. ქურქს ხომ არ გთხოვ, კურტკა მიყიდეო. მაქვს თუ არა ფული, ვინ კითხულობს.

– ისიც სწორია, თავის მხრივ, რა ჰქნას, მოდაა, – ჩაიღაპარა-კა კაროუნამ.

ამ ლაპარაკში წამსვლელნი ეწყობოდნენ, მოსულთ უკვე მოასწრეს ხალათების გადაცმა თავიანთ ყვითელ და მომწვანო კაბებზე.

ვარვარამ, ნატალიამ და კაროუნამ ტუფლები გაიხადეს, ჩე-

ქმები ჩაიცვეს, ტუფლები ცელოფანის პარკში გაახვიეს, და ხელჩანთაში ჩაიდეს. თავზე იაფთასიანი ცხოველის ტყავის ფუმფულა ქუდები მოირგეს, ხელთათმანები გაიკეთეს.

ვარვარამ მაგდალინას ცვლა გადაულოცა; საგულისხმო არაფერი მომხდარაო, 719-ისგან ჩაის ფული აილე, 721-ში მოხუცი კაცი შესახლდა და საშვი გამოუწერე, 727-ში წყალი ისევ წვეთავს, 731-ში ტელევიზორი არ მუშაობს, დანარჩენი ყველაფერი რიგზეა.

მაგდალინა უსმენდა და დივანზე დაჩოქილი თავის გრანდიოზულ თმა-გორას თითებით ფრთხილად ისწორებდა.

ვარვარას ბრიგადა გულთბილად დაემშვიდობა თავის „ცვლას“ და ლიფტის კაბინისკენ გაბაკუნდა.

721-ე ნომერში კი სოცდაზღვევის პუნქტის გამგის, ცხუნტურიანში მივლინებით ჩამოსული ისაკ ნიორაძის ცხედარი ესვენა.

თერთმეტს აღარაფერი აკლდა, როდესაც სამორიგეო მაგიდას უზბეკურქუდიანი, ტანსრული მამაკაცი სერიოზული სახით მიუახლოვდა, მაგდალინას მოწინებით მიესალმა და საშვი გაუწოდა.

– სტუმარი თქვენთან მოდის? – დაინტერესდა სართულის მორიგე და უზბეკურთვალებიანის უკან მორცხვად გაჩერებულ ქერათმიან, ლამაზფეხება ქალს გახედა.

– დიახ, – ოაზისთა მკვიდრს ყურები შეუწითლდა, – ეს ქალი, იცით, ჩვენი უწყების თანამშრომელია. უპატიოსნესი ქალია. ბალანსის გამოყვანაში უნდა მიშველოს, სახელმწიფო-ბრივი მნიშვნელობის საქმეა. მალე ხელოვნური ზღვა გვექნება. ჩამობრძანდით, დაისვენეთ.

მაგდალინას მსგავსი საუბარი არაერთხელ მოესმინა, ამიტომაც დიდი გავლენა ვერ მოახდინა მასზე ვერც ქერათმიანის საიმედო მორალურმა მხარემ და ვერც ხელოვნური ზღვის მაცდუნებელმა სიომ.

– საშვი ხომ გაქვთ? – ალერსიანად იკითხა მაგდალინამ.

ლამაზფეხებამ თავის მეგობარს შეხედა. მამაკაცი ხაფანგში გამომწყვდეული თაგვივით აწრიალდა.

– იცით, მხოლოდ ნახევარი საათით მესტუმრა, საშვი არ გამოგვიწერია.

– კარებში როგორ შემოგიშვეს? სასწაულია პირდაპირ. ამ სასტუმროში დავბერდი და უსაშვილ მე ვერ შემოვდივარ, – მიუხედავად იმისა, რომ მაგდალინა, რაც შეეძლო, ალერ-სიანად ილიმებოდა, სტუმარს მაინც მოეჩვენა, რომ ამ ქალს დედამიწაზე ყველაზე საზიზღარი ლიმილი ჰქონდა.

– უპატიონსნესი ქალია. ბალანსი მოვეხსენებათ... სასწრაფო საქმეა... თქვენთვისაც კარგი იქნება... ჩამოხვალთ ზღვაზე, დაისვენებთ, – ხავს ებლაუჭებოდა მამაკაცი.

– უსაშვილ არ შეიძლება, – მაგდალინას გადაწყვეტილება მტკიცე და შეუვალი იყო.

– პირადობის მოწმობა შინ დამრჩა, საშვას არ გამომიწერენ, – აუხსნა ქერათმიანმა, მაგრამ მაგდალინას მიზეზთა გაგონებაც კი არ სურდა.

დამლაგებელი პარასკევა საუთოო ოთახში ფუსფუსებდა, ხოლო პრაქტიკანტი ლუჩია სავარძელში მოკეცილიყო და ყა-სიდად ჩასცექროდა უურნალ „საბჭოთა ქალის“ ძველთაძველ ნომერს. სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, გულისყური აქეთ ჰქონდა.

– ხუთი წუთით რომ შემოვიდეს? წიგნს შინ მაინც გავატანდი. – ხმის კანკალით იკითხა ქერათმიანის ალალმა მასპინძელმა.

– თქვენ შეპრძანდით, ქალბატონი კი აქ დაგელოდებათ.

კაცს აშკარად შეეტყო, რომ თავის ნომერში მარტოდმარტო „შეპრძანება“ არა და არ სურდა. „რა გაეწყობაო“, ჩაიღლაპარა-კა, ქერათმიანს ხელკავი გამოსდო და ლიფტისკენ წაიყვანა.

სტუმრები რომ თვალს მიეფარნენ, მაგდალინა ახითხითდა.

– ასე უნდა მაგათ.

– ძალიან მკაცრი ხართ, ქალბატონო მაგდალინა, – ლუჩიას ფეხთ გაეხადა და სავარძელში მოხერხებულად მოკეცილიყო, როგორც მხოლოდ მისი ასაკის გოგონებს შეუძლიათ სავარ-ძელში მოხერხებულად და ლამაზად მოკეცვა.

– იმ დღეს ერთმა მოიყვანა ვიღაცა განწლიული გოგო. ნება რომ არ მივეცი, სახანძრო კიბიდან აპარება სცადა. იცოცხლე, მე ისინი ვიფრინე.

მაგდალინასა და პრაქტიკანტს შორის ამ თემაზე საუბარი შუადლემდე გაგრძელდა. მართლაც რომ ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი სართულის გამოცდილ მორიგეს.

ტელეფონი აწერიალდა.

– მორიგე, – მშვიდად უპასუხა მაგდალინამ.

– დაურეკეთ ოცდაცხრამეტი – სამი – სამოცდაშვიდი... ჩვენ ვერავის ვერ დავუძახებთ, ეს სამსახურებრივი ტელეფო-ნია. შინ არის, კი... ისვენებს... ყოველ შემთხვევაში გასაღები ჩემთან არ არის. გითხარით, ჩვენ ვერავის ვერ დავუძახებთ. ნომერში ტელეფონი აქეს და დაურეკეთ.

მაგდალინამ ყურმილი დადო, უზარმაზარ თმა-გორას ორ ადგილას ფრთხილად შეახო თითები და ლუჩიას გასაგონად ჩაილაპარაკა:

– შვიდასოცდაერთს ურეკავდა. შვილი ვარო. ამ დილით უნდა დაერეკა და არ დაურეკავსო. ვეუბნები ა, ნომერი და დაურეკეთ-მეთქი. ეგ ნომერი უკვე ვიცი, მაგრამ არ პასუხობ-სო. ერთხელ თუ დაუთმე, მოსამსახურედ გაგიხდიან. აბა, იმას დამიძახე, აბა, ამას დამიძახეო... ჩვენს საქმეში მთავარი პრინ-ციპულობაა.

– საიდან რეკავდა? – იკითხა ლუჩიამ.

– აღმოსავლეთის რომელილაც დაბიდან. რა ვიცი, მე მაგათ ტოპონიმიკას ვერ ვიმახსოვრებ.

ცოტა ხანში სასადილო შესვენების დროც მოვიდა. მაგდა-ლინა, პარასკევა და ლუჩია მეორე სართულზე მდებარე ბუფე-ტისაკენ გაემართხენ.

721-ე ნომერში კი სოცდაზღვევის პუნქტის გამგის, ცხუნტუ-რიანში მივლინებით ჩასული ისაკ ნიორაძის ცხედარი ესვენა.

რამაზი ცხუნტურიანში მეოთხე დღეს ჩამოვიდა.

ტანმა უაზრა, მამაჩემს კარგი არაფერი სჭირსო. დილით სახლიდან რომ გამოდიოდა, დეპეშაც მიიღო. დეპეშა ისაკის სახელზე იყო: „ამხანაგ ნიორაძის ჯანმრთელობის მდგომარეო-ბასთან დაკავშირებით სასწრაფოდ ჩამოვიდეს მისი ოჯახის რომელიმე წევრი“. ხელს არავინ აწერდა

დეპეშა ვარვარამ აფრინა. ცვლა რომ ჩაიბარა, დეპეშის გაგზავნაც მაშინ დაავალეს. „კიდევ კარგი, ჩემი მორიგეობის დროს რომ არ დაიღუპა, ეს უბედური, თორემ დაკითხვაზე სიარული მომიწევდაო“, ფიქრობდა. რა იცოდა ქალბატონმა ვარვარამ, რომ ისაკ ნიორაძე სამი დღის წინ, სწორედ მისი მორიგეობის ღამეს დაიღუპა. დარწმუნებული იყო, რომ დეპ-

შა საკუთარი სახსრებით უნდა გაეგზავნა, მაგრამ ღვთის წინაშე ვერ შევცოდავ, უარი არ უთქამს. დიდხანს ბუტბუტით წერდა დეპეშის ტექსტს (არ უნდოდა მთლად თავზარდამცემი გამოსვლოდა), მერე ნაწერს მანეთიანი დააფარა და ნატალიას სთხოვა, ფოსტაში ჩასულიყო. კაროუნა ვერ იპოვა, თორემ პრაქტიკანტს დაავალებდა.

ხუთ საათზე რამაზ ნიორაძე ვარვარას სამორიგეო მაგიდის წინ იდგა.

– მე ნიორაძის შვილი ვარ, – რამაზს გამშრალი ხმა ჰქონდა, – როდის მოხდა ეს ამბავი?

– წუხელის. სხვა მორიგეობდა. ისიც ძალიან ყურადღებიანი ქალია. არაფერი გაუგია. ძალიან ვწუხვართ, გული აწუხებდა ალბათ. გული ეს ოხერი, გული. დეპეშა მიიღეთ? მე გამოვგზავნე. თავზარი დამეცა, რომ გავიგე, რა კარგი კაცი იყო. სწორედ წინა მორიგეობაზე ჩამოვიდა... ნომერში არაფერი აღარ არის. საგულდაგულოდ დავათვალიერე. ნუ გეშინიათ, არაფერი დაგეკარგებათ. ალბათ, ყველაფერი ჩემოდანში ჩაალაგეს და ქვემოთ იქნება, საბარგოში. ხდება, რას იზამთ.

– ხომ ვერ მეტყვით, მიცვალებული სად უნდა ვეძებო?

– ვერაფერს გეტყვით, ამხანაგო. ასეთი შემთხვევა არც კი მქონია, ეს ოხერი. „სასწრაფო“ საით წაასვენებდა ნეტავ, ალბათ მორგში. მაგრამ რომელი სასწრაფო იყო, ვინ იცის. ჩვენს ქალაქში სასწრაფო დახმარების ოთხი სადგურია. ერთი სიტყვით, დირექტორი უნდა ნახოთ, თუ წასული არ არის. დირექტორმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

– სწორედ დირექტორიდან მოვდივარ, – რამაზი მაგიდას ჩამოეყრდნო, – სართულის მორიგე გეტყვითო ყველაფერს.

– მორიგემ რა იცის, გენაცვალე. მე მოვედი და დამახვედრეს ამბავი. ცხედარი უკვე წასვენებული იყო. მე ის ვიცი, რომ აქ ჩვენთან დაკარგვით არაფერი დაგეკარგებათ.

რამაზი მიხვდა, რომ ვარვარასაგან მეტს ვერაფერს შეიტყობდა და გამობრუნდა. ლიფტიც გამოიძახა და კაროუნა დაუდგა წინ.

– თუ შეიძლება, მორიგე გეძახით.

– ?

ვარვარა კვიტანციით ხელში შეეგება.

– მაპატიეთ, სამი დღის გადასახდელი ჰქონია. თქვენ ახლა ამის ხასიათზე არა ხართ, მაგრამ ხომ იცით. ჩვენ დაგვიკავებს ხელფასზე ბულალტერი. ისედაც რას ვლებულობთ, მოგეხსენებათ.

რამაზმა ფული გადაიხადა, ლიფტს აღარ დაელოდა, კიბეს ჩაუყენა.

სასტუმროში ვერავინ აუხსნა, სად შეიძლებოდა მოხვედრილიყო ცხედარი, რომელიც ამ დილით „როიალიდან“ გაიტანა სასწრაფო დახმარების მანქანამ.

ნომერიც არავის ჩაუნერია, ექიმისათვის ვინაობაც არავის უკითხავს. მატრონას შინ დაურეკეს: გარდაცვალების აქტზე ხელი მოგვაწერინეს, ბეჭედი თან არ ჰქონდათ, დაგვიბარეს, ყველაფერს გავაფორმებთ და ხვალ გამოვგზავნითო. ექიმი მაღალ-მაღალი, ბობრი კაცი იყოვო.

მთელი ქალაქი შემოირბინა. სასწრაფო დახმარების ოთხივე სადგურს მიაკითხა. ისაკ ნიორაძის სახელი არც ერთ დავთარში არ აღინიშნებოდა. ვიღაც ღვთიან-მადლიანმა უთხრა, მესამე სასწრაფოში, მგონი ექიმ მარჯუკაძეს ჰქონდა დღეს ეგ შემთხვევა, ყური მოვკარი, გავარდი ეზოში, გამოძახებიდან რომ მობრუნდება, დაიჭერ. მძღოლები მიგასწავლიანო.

ასეც მოიქცა. მარჯუკაძემ მოუბოდიშა: მედავთრე გოგონა ჩაის დასალევად იყო გასული და საბუთების გაფორმება ვერ მოვასწარითო. წამობრძანდით, ახლავე დავწერ დასკვნასო. გულის ამბავია, ჩვენ რომ მივედით, უკვე კარგი ხნის გარდაცვლილი იყო. გვამს, ალბათ, გაკვეთავდნენ. მე ჩემს დასკვნას დავწერ, პროზექტურის მორიგეს თავისი დასკვნა დაწერილი ექნება.

– ბატონო, ქალალდები კი არ მაინტერესებს, მამაჩემს ვეძებ, სად ასვენია, რომელ საავადმყოფოში! – თავი ვერ შეიკავა რამაზმა და ხმამალლა წამოცდა, რაზეც ექიმმა, ცოტა არ იყოს, მნიშვნელად გამოხედა.

გაირკვა, რომ სასწრაფოს ისაკ ნიორაძე მეორე საავადმყოფოს სასვენიისთვის ჩაებარებინა.

მორიგემ ჯერ ვინაობა ჰქითხა, პირადობის მოწმობა და პასპორტი მოსთხოვა, როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად ისაკის შვილი იყო, მიუსამდიმრა, მაგიდიდან ორბეჭდიანი აქტი აიღო, გაუწოდა და თან შესჩივლა.

— ასე ვწვალობთ, პირველი საავადმყოფოს მორგი რემონტშია. სასწრაფოსაც ჩვენთან მოაქვს ცხედრები. ორი პროზექტურა ვემსახურებით ამხელა ქალაქსო. მამათქვენი შესვენებამდე, ასე, თორმეტზე, გავკვეთეთ და მაშინვე ჩავაბარეთ დამსაფლავებლებს. ადგილი არა გვაქვს. თუ გნებავთ, შეპრძნდით და ნახეთ, რა ამბავია.

— იქნებ ჯერ აქ არის, თუ შეიძლება, ნუ დამიმალავთო, — შეევედრა რამაზი.

— როგორ გეკადრებათ, გაკვეთილ გვამებს ჩვენ წუთსაც არ ვაჩირებთ; ხომ გითხარით, ადგილი გვიჭირს. ეზოდან მარცხნივ, მეორე კარებში შებრძანდით, მორიგე-მესაფლავეს მიაკითხეთ, გეტყვით სად დაკრძალესო, — თავაზიანად განუმარტა ექიმმა და თანაგრძნობის ნიშნად ერთხელ კიდევ ღონივრად ჩამოართვა ხელი.

მესაფლავეთა ოთახში ორნი ისხდნენ და დომინოს თამაშობდნენ. რამაზმა მედომინეთაგან შეიტყო, რომ ისინი ღამის მორიგები იყვნენ, დღის ცვლაში (კედელს გაკრულ განრიგს დახედეს) თევდორე ყვავაძე მუშაობდა, ოქრო ბიჭია, მოძებნეთ, ყველაფერში დაგეხმარებათო. თევდორეს მისამართზე უკაცრავად გახლავართ, ცოლს გაშორდა და სადღაც ნაქირავებში ათევს ღამეს, ხვალ დილით თუ მობრძანდებით, ყველაფერს შეიტყობთო.

რამაზმა საათს დახედა.

— თეთრთმეტს ალარაფერი აკლდა.

სასტუმრო „როიალში“ თავისუფალი ადგილი არ იყო, სხვა სასტუმროებში ძებნის თავი ალარ ჰქონდა. გადაწყვიტა, სადგურში გაეთია.

კარგა ხანს იარა ბაქანზე წინ და უკან.

შუალამეს რომ გადაცილდა, სიცივემ აიტანა და მოსაცდელს მიაკითხა.

ლოზუნგებით აჭრელებულ, ფართოფანჯრებიან დარბაზში ქლორის სუნი იდგა.

ხალვათობა იყო.

ფეხთ გაიხადა, კუს ბაქნისფერი, ხელოვნური ტყავის ხელ-ჩანთა თავქვეშ ამოიდო და ნამოწვა. თვალები მილულა თუ არა, მაშინვე მოესმა, არცთუ ალერსიანად ნათქვამი.

— ჩვენებურო, — მხარზე ვიდაც ღონივრად შეეხო.

— ბატონი, — რამაზმა თვალი გაახილა, მაგრამ მილიციელის შთაგონებულ მზერას რომ წააწყდა, წამოჯდა და ბამბისწინდებიანი ფეხები მარმარილოს ცივ მოზაკაზე დააწყო.

— რა მატარებელს ელოდებით?

— რა მნიშვნელობა აქვს? — რამაზმა იგრძნო, რომ ვერ მოზომა, წესრიგის დამცველებს არ უყვართ, როცა კითხვას შეუბრუნებენ.

— წამოწოლა არ შეიძლება. ეს სასტუმრო არ არის. — კატეგორიულად განუმარტა მორიგე მილიციელმა და თავის რთულ საქმეებზე გააბიჯა.

რამაზმა სადგურის მოსაცდელი და სასტუმროს ნომერი ერთმანეთში როდი ერეოდა. იგი უმწეოდ დაღლილი იყო და თავს მხრებზე ვერ იმაგრებდა.

რამდენ ხანსაც შეეძლო, გაუძალიანდა ძილს, ბოლოს შმორის სუნმა და დაქანცულობამ თავისი გაიტანა და გვერდზე წაწვა თუ არა, კვლავ შეანჯლრიეს:

— ამხანაგო.

— ბატონი, — ზარმაცად ამოხედა მგზავრმა.

— თქვენი საბუთები, — რკინიგზის მილიციის წარმომადგენელი მაღალი, წარმოსადეგი, პირტიტველა ყმაწვილი გახლდათ.

რამაზმა პასპორტი გაუწოდა.

პირტიტველა დიდხანს, გულმოდგინედ დაატარებდა თვალებს პასპორტში ჩაკრულ სურათსა და რამაზმა შორის, ბოლოს საბუთი დაუბრუნა, მთვლემარე მგზავრს მადლობა გადაუხადა და წაწვიდა.

დილისკენ მოსაცდელი თითქმის დაცარიელდა.

ქლორის სუნით გაუღენთილ დარბაზში იჯდა ქამარზე ხელებ-დაწყობილი რამაზი და ფანჯრის მიღმა იმ შავადაპრიალებულ, ერთადერთ ლიანდაგს დასცექროდა, რომელზეც მთელ ღამეს ქშენით დადიოდა ძველთაძველი, უვაგონო ორთქლმავალი.

ქალაქის გარეუბანში, კედელში შედგმულ, პირსაბანიან ოთახში, მშვიდად ეძინა დღიური შრომით დაღლილ თევდორე ყვავაძეს.

საშველი

ბაჩანა სულაძე და მისი მეუღლე ნორა ბაზარში მიდიოდნენ. პამიდორი უნდა ეყიდათ. ბაჩანას ბაზარი არ უყვარდა და ძლიერ დაითანხმა ამ დილით ცოლმა; თუ დროზე არ შევიძინეთ, პამიდორი გაძვირდება და ამ წელინადს უპამიდვრისწვენოდ დავრჩებით. საქმეში ჩახედულმა მკითხველმა იცის, ხოლო საქმეში ჩაუხედავი მკითხველის გასაგონად ხმამაღლა განვაცხადებ, რომ პამიდვრის საწებლის გარეშე იმერული ოჯახი – ოჯახი არ არის.

აგვისტოს ბოლო დღეებია. კვირაა. მამალი სიცხეები უკან დარჩა, მაგრამ დილიდანვე ისე ცხლად შეასუნთქა ქალაქს ზღვიდან დარხეულმა ნიავმა, რომ მოქალაქეებმა დარაბები ჩამოუშვეს და მტკიცედ გადაწყვიტეს; თუ აუცილებლობა არ მოითხოვდა, ეზოდან ფეხი არ გაედგათ.

– რა დროს პამიდორია, ამ სიცხეში, – ბუზლუნებს ბაჩანა და კარანჩხას მიიქნევს, – რომელი ჭკუათამყოფელი კაცი და-დის ახლა ბაზარში?

– გამოადგი, გამოადგი ფეხი, ნუ გეშინია. არ ჩამოგართმევენ ჩინ-ტემლაკებს. აბა, მე შემიძლია ოცდაათი კილო პამიდვრის თრაქვა? – ვალში არ რჩება ცოლი.

გარეგნულად კი ცოლ-ქრის სვლას ბაზრისაკენ ბუზლუნისა არაფერი ეტყობა. ორივენი ისე წელგამართული, ამაყად მიდიან და ისე ტკბილად ესალმებიან ნაცნობებს, თითქოს ქალაქში სათაფლის მლვიმის სიგრილე იყოს და ბაჩანასაც სიამოვნების ურუანტელს ჰგვრიდეს ნახევარფასად ნაყიდი, მომპალ-მომუავო პამიდვრით სავსე კარანჩხის შედგმა მხარზე.

ლმერთი კაცს უსაშველოდ არ დატოვებს. თეთრ ხიდზე შეფენილ ხალხს ჰკიდეს თვალი და ნაბიჯს აუჩქარეს. ქვემოთ, რკინისფრად აქაფებული რიონი მილრიალებდა, წულუკიძის ბალის გასწვრივ, თეთრ ლოდზე ძალლი იდგა და მისკენ ხელგაშვერილ ხალხს უყეფდა.

– გადახტა ვინმე, ბატონო? – ნორამ მის წინ მდგომ პარუსინისკიტელიან მოხუცს ჰკითხა.

– ჯერ არა, – მოხუცს მისკენ არც გაუხედავს.

– ხტება ვინმე? – არ მოეშვა დაინტერესებული ქალი. – ვინ დაუშლის, – მოხუცის პასუხი მოკლე და ბუნდოვანი გახლდათ.

– ვერ ხედავ, ქალბატონო? ძალლია ქვაზე გარჩენილი, – აუხსნა ვიღაც ღვთიან-მადლიანმა.

– ძალლი? უი, კი, სწორია, ეგერაა. ძალლს მიჩერებია ამდენი ხალხი? ფარსაგი არ მეგონა? – ნორა დამშვიდდა.

– აგური აქვს გამობმული, ხომ ხედავთ, წინა თათებთან. ეტყობა, დასახრჩობად გადააგდო ვიღაცამ და გადარჩა, – ჩაილაპარაკა უცნობმა ხმამ.

– აგურიო, სად, რა ადგილას? – ბაჩანა ჩაერია.

– ე, წინა მხარეს, ბანარს ხომ ხედავ, კისერზე რომ აქვს ძალლს. გააყოლე თვალი, ის ბანარი აქვს აგურს გამობმული.

– ე, ხალხი რას უყურებს? – სულაძექ ქვემოთ, რიყეზე შეგროვილ ხუთიოდე მოქალაქეს მიათითა.

– რა ქნან. ამ გადარეულ წყალში ახლა ძალლის გულიზა არავინ შევა. უნრუნუნებენ მთელი საათია, მარა ვერ გამოყავთ. ვიღაცამ თოკი გადაუგდო, სულელი არაა?

მოაჯირს ჩაკიდებული ხელები სიცილისგან აძიგძიგდნენ.

– თოკს ძალლი კი არა, კაცი ვერ გამოყვება მაქედან, ისეთ გლახა ადგილასაა გაჩერილი, უბედური.

– დაიწევს ვითომ წყალი?

– მეტი არაა ჩემი მტერი. რიონის ამბავი არ იცი? ასე იდენს ორი კვირა. თუ არ მოიმატა, მადლობა თქვი.

ბაჩანამ მიიხედ-მიიხედა და ცოლს კარანჩხა შეაჩეჩა.

– წადი შენ. ტაქსი დაიჭირე, თუ ქალი ხარ.

– ბაჩანა!

ხიდზე გაქცეული ბაჩანა შედგა, შემოტრიალდა, შარვლის ორივე ჯიბეში ერთდღოულად ჩაიყო ხელი. ერთი ჯიბიდან ფული ამოილო, მეორედან – ცხვირსახოცი. ცხვირსახოცი ისევ უკან ჩაიბრუნა. ნორას მოუახლოვდა და ფული გაუწოდა.

– ტაქსის გაჩერებამდე მუშას მიატანინე. შენ არ აწიო. ხომ გახსოვს, შარშან წელი რომ გაგიკავა. წავედი ახლა მე.

– ბაჩანა!

ქმარმა ფული გადაკეცილ სახელოში ჩაუკუჭა და აფთიაქის მხარეს, მდინარესთან, ჩასასვლელში რომ ჩაიკარგა, ნორამ უილბლო ბედში ჩავარდნილი ქალის ბუტბუტით გადაჭრა ქუჩა და ბაზრის გზას გაუყვა.

ძალლი ჩვეულებრივი ეზოს ნაგაზი გახლდათ. წმინდა სისხლით ვერ დაიკვეებიდა, მაგრამ მის ტანთან შედარებით გრძელი, მაღლა აცქეუტილი ყურები ჰქონდა. აყალო მიწისფერ ბენვზე ხავსი და ნეშო მოსდებოდა, წანვეტებულ შავ დრუნჩის იქეთ-აქეთ შეშინებული ატრიალებდა და ნაპირთან შეგროვილთ დალლილი ხმით უყეფდა. რატომ ყეფდა? ვინ იცის. იქნებ იმ მოკლე თოკისა და ზედ გამობმული აგურის გამო საერთოდ გამწყრალი იყო ადამიანებზე, იქნებ შველას თხოვდა, რას მისირებთ, გაინძერით ცოტა, სანამ ვიყო ამ დღეში.

— პატრონი აქ ხომ არ არი? — იკითხა ბაჩანამ.

— რად გინდა პატრონი? — გაეპასუხა შარვალაკარნახებული ბიჭი.

— სახელის გაგება უნდა, იმანოს ხომ არ დაუძახებს, აბა, ძალლს, — მომენტი არ გაუშვა ხელიდან მაღალმა ხავსისფერ-პერანგიანმა, უღალნარება კაცმა.

— პატრონმა ე, რა უყო, ხომ ხედავ.

— რაი? — აგურს რომ დაახრიგინებს, ვერ უყურებ?

— პატრონმა გამოაბა ვითომ ეს აგური, კაცო?

— აბა, მე გამოვაბი? დასახრჩობადაა გადაგდებული და არ გაწირა გამჩენმა. მაგიტომ ვარ აქ ორი საათია, გულ-მუცელი მეწვის მაგის საცოდაობით.

— ვერ გამოცურავს ნეტავი? — ძალლის მშველელთა რაზმს თეთრშარვლიანი, კოხტად ჩაცმული, საშუალო ტანის, ცვირნისკარტა კაცი შემოუერთდა. ბაჩანამ იცნო, იგი ქალაქის ერთადერთი მორბენალი, ამჟამად მძლეოსანთა მწვრთნელი დავით ჭიჭიაშვილი გახლდათ.

— აგურიანად ვერა, — უპასუხეს.

— ხომ ხედავ, თვითონაც ეშინია წყალში ჩასვლა. იცის, აგური რომ ჩაძირავს.

— თუ მაგდენი იცის, გაღრღნას ის თოკი კბილებით, ის უპატრონო, და მეიმორებს აგურს, — აზრი გამოთქვა მწვრთნელმა.

— ვურჩიეთ, ბატონი დავით, მარა ესმის? — ბადეგადაკიდებულ ქუთასელს რეზინის ჩექმები მკერდამდე ეცვა.

— იქნებ თქვენი გაიგონოს, — ჭიჭიაშვილს უკბინა, თავზე ოთხნასკვულცხვირსახოციანმა, მელოტმა კაცმა.

— გადაშენდი იქით, — შეუბლვირა ყოფილმა მორბენალმა.

— ე, ბადე რო ესროლო? — სერიოზულად ჰკითხა ბაჩანამ მებადურს.

— ვერ დოვუნიე იქამდე. ხუთ მეტრს არ შორდება, პატარა ბადეა. იქამდე, რვა-ცხრა მეტრი ხომ მაინც იქნება?

— იქნება, კი.

— მაგ ბადემ მთლად გადარია. მაგიტომ მოუმატა ყეფას. დამალე ბადე, თუ კაცი ხარ.

— სად წევილო?

— მეიხსენი და ეგერ დადევი, ქვაზე.

მებადურმა შეისმინა რჩევა, ბადე მოიხსნა და მოშორებით, ქვაზე დადო. ძალლი წუთით გაჩუმდა.

— ფიცარი უნდა გავდოთ, სხვა საშველი არაა, — დააგდო ბაჩანამ და სხვას ალარ დაელოდა, პირველი სკოლის ეზოში აირბინა და სარდაფში გაუჩინარდა.

მალევე გამოჩნდა, ორ ფიცარს მოათრევდა.

რის ვაი-ვაგლაბით გადააბეს ფიცრები ერთმანეთს და სცადეს, ქვის კუნძულზე გაედოთ, მაგრამ ძალლმა მისკენ დაშვებული ფიცრის ხიდი რომ დაინახა, აგურით უკან გახრიგინდა და გააფთრებით აყეფდა.

ფიცარი თეთრ ლოდზე დაეშვა თუ არა, გადაბმულზე ჩაიზნიება და ჩექერმა ელვისსისწრაფით მოიტაცა. ბაჩანას რომ არ ემარჯვა და მთელი ტანით არ დასწოლოდა სახელდახელო ხიდს, რიონი წაიღებდა.

ისევ შეკრეს ფიცრები ლურსმნებით და თოკით. ცალ მხარეს ქვა გამოაბეს, რომ წყალს ადვილად არ დაეთრია, ფეხზე დააყენეს და, მიუხედავად ძალლის ენერგიული პროტესტისა, ნელ-ნელა დაუშვეს.

ოპერაცია „ხიდი“, ამჯერად, წარმატებით დაგვირგვინდა.

მშველელთა ვარაუდით, ახლა ძალლს, კეთილი უნდა ენებებინა, ფიცრების გამოპყოლოდა და ნაპირზე გამოსულიყო.

რა საფერებელი სიტყვებით არ უძახეს, რა პური და ძეხვი არ უჩვენეს, მაგრამ ძალლი ფიცრებს არ გაეკარა.

— გავალ და გამოიყვან! — განაცხადა შარვლისტოტებნასველებულმა, თავბურძებლა თორმეტ-ცამეტიოდე წლის ბიჭმა, ფიცარს მარჯვენა ფეხი დაადო და დოინჯი შემოიყარა.

— არ გაბედო! — დავითმა ყურში რბილად მოჰკიდა ხელი გაბედულ ყმანვილს და ფიცრებს მოაშორა, — შენ გაგიძლებს, ამხელა ვირს, ფურთხით გადაბმული ფიცრები?

ბიჭმა იხტიბარი არ გაიტეხა და მებადურს მიაჩერდა.

— სწორს გეუბნება, რომ დაიხრჩო, სად მიდიხარ მერე? — კვერი დაუკრა მძლეოსნობის ქომაგს მებადურმა.

— ჯეა! — დაუძახა ვიღაცამ.

ძალლმა ყეფა შეწყვიტა და კუდი გააქიცინა.

— ჯეკა ჰევია ნამდვილად. სახელს ხომ მივაგენი. ახლა მე მიყურეთ, თუ არ გამოვიტყუებ მაგას ნაპირზე. მაგნაირები გამომიტყუებია? — სანამ ჭილოფისქუდიანი, მსხვილულვაშა კაცი, შესამჩნევი კოლხური აქცენტით, ამას ამბობდა, ძალლმა კუდის ქიცინი შეწყვიტა და ისევ ყეფას დაუბრუნდა.

— ყურძა! — დაუძახა უღალწარბოსანმა.

ძალლი გაჩუმდა და კუდი გააქიცინა.

— მურია!

ძალლმა ახლა მურიის დამძახებელს გამოხედა და კიდევ ერთხელ გააქიცინა კუდი.

დადგინდა, რომ ნაგაზი ძალლის ყოველი სახელის დაძახებაზე ჩუმდებოდა, თავს დაბლა ხრიდა და კუდს აქიცინებდა. მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, უკან იხევდა და მის საშველად მონდომებულ ადამიანებს, ცოტა არ იყოს, უაზროდ უყეფდა.

— აქეთ უყურეთ! — დავით ჭიჭიაშვილმა პირველმა შეამჩნია სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი. წინ თეთრხალათიანი, მსუქანი ქალი მორბოდა, სანიტრები ჯერ ერთად მოათრევდნენ საკაცეს. როცა ჩამოივაკეს და ბულდოზერის ნაბულრავებ ხრამს მიუახლოვდნენ, გადმოხტომა გაუჭირდათ. საკაცე ხილად გადეს და ჯერ ექიმი გადმოატარეს, მერე მაღალმა სანიტარმა საკაცე იღლიაში ამოიჩარა, უკან დაიხია, გამოიქცა და გადმოხტა. მესამე თეთრხალათიანს გადმოხტომა არც უცდია. იქვე ქვაზე ჩამოჯდა და აქაფებულ რიონს მწუხარე სახით დააჩირდა.

— სად არის? — ტანსრული ექიმი ჩქარა სუნთქავდა.

რამდენიმე კაცმა სამედიცინო დახმარების მესვეურს უკანა ფეხებზე ჩაცუცქული ნაგაზი დაანახვა.

— თვითონ სად არის? — ქალი არ ხუმრობდა.

— ვიზე ბრძანებთ? — მებადური სწრაფად დასერიოზულდა.

— ვინც გადახტა, ბატონო, რა შეკითხვაა ახლა მაგი! — გაწყრა ჰიპოკრატეს შთამომავალი.

— არ ვიცი არაფერი? გადახტა ვინმე? — გულუბრყვილოდ იკითხა ბაჩანამ.

— თეთრი ხიდი ეს არ არის, კაცო? — გრძელხელება სანიტარი საკაცეზე ჩამომჯდარიყო.

— გახლავთ, — უპასუბა ვიღაცამ.

— ახლა დაგვირევეს, ამ წუთში. თეთრ ხიდთან კაცი ამოიყვანეს და ცოცხალს მიუსწარითო.

— ტყვილს ჰგავს ეგ ამბავი, — დავითმა კეფა მოიფხანა, — კაცი არა და ძალლი კია, აგერ, მეჩეჩზე გარჩენილი და, თუ რამე არ ვუსაშველეთ, ეგება წყალმა წაიღოს.

— კი მარა, ვინც დარეკა, სინდისი აქვს ახლა იმას? — ექიმს ხმაში ტირილი გაერია და მიხედ-მოხედა, რომ ძალლის მშველელთა შორის დამნაშავე აღმოეჩინა, — საგლახაო მეტი ვერაფერი ნახეთ? მართლა რომ გაუჭირდეს ადამიანიშვილს, აღარ უნდა მოვიდეთ, აღარ უნდა მოგხედოთ?

— რაზე ბრძანებთ, ქალბატონო? — ჭილოფისქუდიან კოლხს მკერდზე ნებაყოფლობითი საზოგადოება „დოსააფის“ წარჩინებულის ნიშანი ეკეთა.

— რაზე ვბრძანებ, ბატონო, და ამ ხნის ქალი კინალამ რომ დავგორდი თავდალმართზე და კისერი რომ კინალამ მევიმტვრიე, ხალხი ვართ ჩვენც. „სასწრაფო დახმარებას“ რაკი გვეძებიან, ამიტომ უნდა აგვიგდოთ მასხრად? რამდენი კაი ადამიანი მუშაობს ჩვენთან, რომ იცოდეთ.

— რავა გეკადრებათ, ქალბატონო.

— თქვენ რავა გეკადრებათ, ბატონო. სასწრაფო დახმარებას უძახით ამ მუნიანი ძალლის გულისთვის? რავა, მე მყვინთავი ვარ თუ ვერტალიოტი მყავს? ძალლი მიაკვდა სულში და აღდგომა არ გაუთენოს გამჩენმა, ვინც ჩვენი გამაიმუნება ჩაიდვას გულში. ასე დამიწყევლია.

დიეტასთან მწყრალად მყოფმა, ტანსრულმა ექიმმა ერთხელ კიდევ მიმოავლო თვალი „სმენაზე“ მდგარ მამაკაცებს, ხელი ჩაიქნია და ხრამისკენ გასწია. რასაკვირველია, ახლა უფრო ფრთხილი და მოზომილი ნაბიჯებით.

ამ ამბიდან დახალოებით ორი საათის შემდეგ ჯაჭვის ხიდის მხრიდან რიონის ნაპირზე ექსკავატორი ჩამორახრახდა. მძლოლის გვერდით, კაბინის ბაქანზე ას მეტრზე რბენაში ქალაქის ყოფილი ჩემპიონი დავით ჭიჭიაშვილი იდგა და ხელი ისე გამოეწვდინა, როგორც ტყვიამფრქვევთან ჩამუხლულ ჩაპაევს აქვს ხოლმე ფილმის სარეკლამო სურათებში. ექსკავატორის

დიდი ყბა რომ დაეშვა თეთრი კირქვის კუნძულზე, მეჩეჩის ერთადერთმა სულიერმა, აგურგამობმულმა ნაგაზმა, საშინელი ყეფა ატეხა. პირზედუუშმომდგარი, აჯავრული ძალი რკინას, ლამის, კბილებით ეხლებოდა და გააფთრებული უტევდა, აშკარა იყო ტექნიკასთან მწყრალად გახლდათ.

— აგურს რომ მოავლო კბილი და ასწიო? — ყოველშემთხვევისათვის ურჩია ექსკავატორის მძლოლს მწვრთნელმა.

— დაიხრჩობა. შეიძლება თოკმაც ვერ გაუძლოს, — მძლოლის მაგივრად უპასუხა ვიღაცამ.

— სხვა გზა არ არის, — კოლხი ალაპარაკდა, — ძეხვზე გავარდეს ვინმე. მაგ ძალი მოშიებული იქნება. საჭმლით ჩავიტყუებთ ექსკავატორის კარდალაში. მერე ავწევთ და ის იქნება. ეს აზრი ყველას ჭკუაში დაუჯდა.

ძეხვზე თავბურძგლა ბიჭი აფრინეს, მაგრამ ახლა ექსკავატორის მძლოლი დადგა უარზე.

— ამისთვის მცალია მეე? ეს მანქანა, ეს უპატრონო, მთავრობისაა, ყოველ საათი ამის მოცდენა ფული რომ ღირს, ჩემზე უკეთესად თქვენ იცით მაგი.

აუხსნეს, რომ საქმე შეეხებოდა მსოფლიო სახელის მქონე ძალის გადარჩენას, ამ ტყუილმაც რომ არ გაჭრა, კაცებმა ჯიბეზე გაიკრეს ხელი და მძლოლს ექსკავატორის „მოცდენის“ საფასური შეუეროვეს.

თეთრ ხიდზე გამწკრივებული მოქალაქეები დიდხანს შესცეკროდნენ ამ ქალაქისთვის არცთუ ჩვეულებრივ სურათს: ქვემოთ, რიყეზე თეთრი ქვის კენ ყბაგაშვერილი ბულდოზერი და ყბის კენ დრუნჩგაშვერილი ნაგაზი ჩანდა. ნაპირზე კი რამდენიმე კაცი ჩამომჯდარიყო და მოთმინებით ელოდა, როდის გატყდებოდა პრეისტორიული ცხოველის რკინის ნებისყოფა.

მოსალამოვდა. რიონის რკინისფერ ტალღებს თითქოს ვერცხლი გადაეკრაო.

ძალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რკინის ურჩხულის ძევიანი კალათა არ იძვროდა. ნამოდგა, აგურით ერთი-ორჯერ გაჯაჯგურდა, ტანი შეარხია სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, რბილად შეუყეფა ხიდს და ძეხვს მიწვდა.

ორიოდე მეტრის სიმაღლეზე იქნებოდა აწეული, რომ გადმოიხედა, მაგრამ გადმოხტომაზე არც უფიქრია, სავალალოდ აწეულუნდა, ჰაერს შეჰყუმუვლა და ტაშის დასაკრავად გამზა-

დებულ ხალხს გადმოხედა; თქვენ იცით, თუ მთლად არ გამწირავთ და კიდევ რაიმე ოინს არ მომიწყობთო.

„ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, შენც კაი ვინმე ხარ. არ შეიძლება ასე. ვიცი, გული გატკინა ვიღაც ხვადაგმა, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? ახლოს არ ვავიკარებ. შენი თვალით ნახე, რამდენი ვიწვალეთ შენ გადასარჩენად. მადლობის მაგიერია? ახლოს არ მიუშვი ის დარბაისელი ხალხი, თოკი რომ წაეჭრათ. სად იხრიგინებ, ასე, ამ აგურით? ხომ ხედავ, ყველამ მიგატოვა. ყველას თავისი საქმე აქვს. ასეა ანყობილი ეს ცხოვრება. ნამეტანი სიჯიუტე, კი არ ვარგა, შე კაი დედმამიშვილო.

რაღაცაში შენც მართალი ხარ. ხალხმა ასე იცის, კი. სანამ ეს აგური დაგთრევს მინაზე, შენ გადარჩენილი არა ხარ. მე რომ მიგატოვო და ნავიდე, ვერ მოვისვენებ, თორემ არ ნავიდოდი შენ გგონია? ხომ ნახე, ყველამ მაშინ დახედა საათს, ნაპირზე რომ გამოგიყვანეს. დამთავრებულად ჩათვალეს საქმე. შველა ბოლომდე უნდა. არ ვარ მართალი? ვეუბნები ახლა ჩვენებურ კაცს. წყლიდან კი ამოიყვანე, მაგრამ სად უშვებ? რა იღონის? აქვს თუ არა სადმე წასასვლელი, ამაზე არ უნდა დაფიქრდე ადამიანი? შენც დამნაშავე ხარ. არ აცალებალხს ბოლომდე ეცა პატივი. მე ვერ მიგატოვებ. მეცოდები. პატრონთან მიმბრუნებული შენ აზი რომ აღარა ხარ, ნაღდი ამბავია. აგური რომ არ გებას კისერზე, კიდევ ჰო, მაგრამ აგურიანად შორის ვერ წახვალ. გამოედები რაღაცას და ან ქუჩის ძალლები დაგვლეჯენ, ან შიმშილით სიკვდილი გელის. მოდი ახლა ჭკუაზე. არ გინდა ჩემთან ურჩობა. შინ წაგიყვან. თუ მოგეწონე პატრონად, დარჩი, თუ არა და, ქვეყანა დიდია, გაქცევას ყოველთვის მოასწრებ. ასე ვქნათ, კი...“

სასწაული მოხდა. თითქოს ფიქრებს მიუხვდაო, ძალი მოუახლოვდა ქვაზე ჩაკეცილ ბაჩანას და მუხლზე დაადო თავი. კაცმა მარჯვენა ხელი დაუსვა თვალებს შორის, კეფაზე, ზურგს ჩააყოლა ხელი და აგურს მიწვდა.

...სავსე მთვარით განათებულ ნინოშვილის ქუჩას ორნი მიუყვებოდნენ — კაცი და ძალი.



არ დაიკარგება?

თვითმფრინავის წინა სალონში პირტიტველა ბიჭი შემოვიდა. ნახშირით დახატულივით გადაბმულ წარბებზე და სვავის ნისკარტივით მოკაუჭებულ ცხვირზე ორლილიანი ბუკლეს ქუდი აინია და მკვირცხლი, მაგრამ ფიქრიანი მზერა ირგვლივ მიმოატარა. ბევრი აღარ უფიქრია, ბოლჩა საბარგულზე მოისროლა, ფანჯარასთან თავისუფალი ადგილი მოძებნა, მოკალათდა და ისე გაფაციცებით დააჩერდა მარჯვენა ფრთას, გეგონებოდათ, ალუმინის ლურსმნებს ითვლისო.

ბიჭს მაღლ შუახანს მიღწეული, სქელულვაშა, მოდიდან ჯერ კიდევ სამოციან წლებში გამოსულმაპიანი, დაბალ-დაბალი კაცი დაადგა თავზე. კაცს ორივე ხელში გაბერილი ჩანთები ეჭირა და ძლივს სუნთქვდა.

– რა ნომერია, ნახე ერთი, შენ გაზრდას! – ისეთი დაუწმენდავ-გაუფერავი ხმით ჰკითხა მოსულმა, იფიქრებდით, ეს ხმა პირდაპირ ფილტვებიდან ისმის ისე, რომ ხორხში არც კი გამოუვლიაო. ჩანთა ფეხებშუა მოიქცია და ბილეთი გაუწოდა.

ბიჭს ჯიბიდან ხელები არ ამოუღია და არც ბილეთისთვის დაუხედავს.

– დაჯექი, ბიძია, თავისუფალ ადგილზე, რას უყურებ ნომერს. თუ ჩევედით, ყველა ერთად არ ჩავალთ?

– მაგაში კი ხარ მართალი, – მსხვილულვაშამ ჩანთები სავარძლის ქვეშ შეალაგა და ნელ-ნელა, ხვნეშით დაეშვა, – არ შემჭამეს ამ ოჯახქორებმა?

– შენ გეჩხუბებოდნენ? რაიო? – ბიჭი ნახევრად შემობრუნდა და ყბას ხელი შეუნაცვლა.

– ორი ჩანთა რატომ მიგაქვსო. ერთი უნდა ჩაგებარებიაო. გასატეხი მიდევს შით, თვარა ჩაბარებას მე მომასწრებენ მაგენი?

– პატარა ეშმაკობა უნდა გეხმარა, ბიძაჩემო. მოგეცა ვინ-მესთვის ერთი ჩანთა ხელში და ამით მორჩებოდა მთელი ბაზარი.

– ვერ მოვასწარი, თვარა კაი შენ. მერე იყო და, ოთხჯერ დარეკა იმ დასაწვავმა. ხან გასაღები ამევილე ჯიბიდან; ხან ხურდა ფული. სანამ ეს ქამარი არ შევიხსენი, კი არ გაჩერდა.

– მანახე. რეინის ბალთა აქვს, კი, დარეკავდა.

– კი მარა, აქითობას რომ არ დარეკა? აქითობას ეს ქამარი არ მეკეთა?

– რა ვიცი, შენ გაუგებ მაგენს? მე მგონია, რენტგენი კი არ რეკავს, თვითონ აჭერენ ღილაკს ფეხს და აგლახავებენ, ვინც გოუხარდებათ.

– მაგაშიც მართალი ხარ. ჩემ წინ კაცი გევიდა, ორი ფუთი რკინა ეკიდა გულზე. გაგიგონია? ხმა არ გეიღო ზარმა. არ ამაგდებენ ვითომ ამ ადგილიდან?

– ან აგაგდებენ, ან არა. მეც სხვის ადგილზე ვზივარ. ცარიელია თვითმფრინავი, ხომ ხედავ. თუ მაინცდამაინც ამ ფანჯარაზე ექნება ჭიპი მოჭრილი ვინმეს, დავუთმობთ, ბატონო, მაგაზე ადვილი არის რამე?

ამასობაში მომხიბლავმა სტიუარდესამ მგზავრები მესამედ დაითვალა. რკინის ფრინველს ტრაპი მოაშორეს, ძრავებმა უკანასკნელად დაიწივლეს, სალონი აძიგძიგდა, თვითმფრინავი ნელა დაიძრა.

– რომელია შენთან? – ჩანთოსან მგზავრს თავისი საათის სიზუსტის შემოწმება სურდა.

ბიჭმა მარცხენა მაჯაზე მოისვა ხელი.

– არ მაქვს საათი.

– ხუთი წუთი გადააცილეს, მეტი არა. ესე იგი, სამის ნახევარზე, ჩვენი დროით, თბილისში ვიქნებით.

– მე ცოტა იქით ვარ წასასვლელი, თუ ბილეთი ვიშოვე, – ბიჭმა ამოიხვნება.

– საით?

– ქუთაისში.

თითქოს ცა გაეხსნაო, თითქოს ბედნიერების ზარი ჩაეს-მაო, თითქოს პირზე ვარდი დაეფინაო, ძველთაძველშლაპიანი გაიბადრა და წელში გაიშალა.

– ქუთაისელი ხარ, ბიჭო, შეენ?

– კიე, – ბიჭი თვითმფრინავის მარჯვენა ფრთას თვალს არ აშორებდა.

– მერე, არ მიცნობ მეე? – გულთან მიიღო საპირჯვრედ გამზადებული სამი თითი.

– ვერა. უნდა გიცნობდეთ?

– მაცეკვარი ვარ, ბიჭო, მე, ბუხუტი გერსამია.

ბიჭმა კარგა ხანს უყურა, მაინც ვერ იცნო, მაგრამ იხტი-ბარი არ გაიტეხა.

– რას გიცნობდი, ამ შლაპაში.

– ჰომ, – თითქოს ახლა გაახსენდაო, ბუხუტიმ ქუდი იშვლიპა და მუხლებს შორის ჩაიჩურთა, – შეგცივდებაო, ცოლმა თავზე, თვარა როდის იყო ქუდი მეხურა. ისე, აქეთ უფრო თბილა, ვიდრე ჩვენკენ. ჩაპულივერებულ-ჩაკაშნული ჩამოვე-დი და აქანა პერანგით დადიოდა ხალხი.

– კი, აქოურმა ქალებმა უცებ იციან გამოზაფხულება.

– სად მუშაობ?

– აქბულაქში. კი არ ვმუშაობ, ვსწავლობ საჭაპანო სასწავლებელში. სამწლიანია. მთლად ტექნიკუმიც არაა და Ⴢა. ბირველ კურსზე ვარ, ჯერ სწავლა არ დაგვწყებია. ზაფხულში ჩავაბარე გამოცდები და პირდაპირ პრაქტიკაზე გვიკრეს თავი.

– ვიცი, ვიცი. შიგნით აქბულაქში ხართ?

– ოც კილომეტრში. ახლოს ვართ, კი. ტყეში ვართ შიგნით, შეწეული.

თვითმფრინავი სიჩქარეს იღებდა და იაპონურ თოჯინაზე უფრო ლამაზმა სტიუარდესამ მგზავრები გააფრთხილა, უს-აფრთხოების ქამრები არ მოიხსნათო.

– ერთი იმის ტურად გადამაქცია, შველის რამეს ეს ქამ-რები, ვითომ? – ბიჭმა საკეტი გაატკაცუნა.

– შველის, აპა? ეს რომ არ იყოს, ავარიის დროს ხომ ეიზილა ხალხი ერთმანეთში.

– ესე იგი, ჭირისუფლებს რომ მის-მისი მკვდარი შეხვდეს, იმისთვის ყოფილა, – გაიცინა ბიჭმა.

– აბა თვითმფრინავი თუ ჩამოვარდა, შე კაცო, მეყოლე ბეღნიერად, ქამარი კი არა, მამაზეციერი ვერ გიშველის. რა გვარის ვარო, რა მითხარი? – უცებ დასერიოზულდა ბუხუტი.

– არ მითქვამს. კუჭუხიძე ვარ, მერაბი მქვია, სიპიტოს მეძა-ხიან.

– რომელი კუჭუხიძის ხარ?

– საშა ჰქვია მამაჩერი. არ გეცოდინება, წყალტუბოში მუშ-აობდა სექციონერად, მაღაზიაში. ნერვიულობა შეხვდა და ორ-მოცი წლის კაცს წნევამ დაარტყა. ორი წელი დაასვენა გამ-ჩენმა. შარშანწინ არ დაიშალა და ისევ მაღაზიაში დაიწყო მუშ-აობა. სანერვიულოს მაღაზიაში რა გამოლევს? ისევ დაარტყა წნევამ და ახლა ქეა პენსიაზე.

– საშა კუჭუხიძე... საშა კუჭუხიძე, – თვითმფრინავის ჭერს ასცექროდა ბუხუტი და ბოლოს დაასკვნა: – არ ვიცნობ.

– ხომ გითხარი, არ გეცოდინება-თქვა.

– რამდენთვიანი პრაქტიკა გაქვთ?

– ექვსთვიანი.

– მერე, ჯერ რომ არ გეკუთვნის შვებულება?

– შვებულებას უცადა ტიფამ. შვებულების ბატკანს ვგავარ მეე? – სიპიტომ გაილიმა და წელში გაიზნიქა, – დეპეშა და მისი ჯანი.

– რა დეპეშა?

– დეპეშა ჩვეულებრივი – „მამა უკანასკნელ დღეშია, ცოცხალს მოუსწარი“.

– მერე ჭამენ მაგას?

– პრაქტიკის ხელმძღვანელზეა დამოკიდებული. ხანდახან მართალ დეპეშაზეც არ გაგიშვებენ.

– კაი ხელმძღვანელი შეგხვდათ?

– ჩემთან კარგადაა და ისე არ ვიცი.

– რამდენი დღე მოგცეს?

– ერთი კვირა.

– გელოდებიან?

– საერთოდ კი და დღეს არა. რა ვიცი, რა დროს ვიშოვი ქუთაისის თვითმფრინაზე ბილეთს. ისე, დეპეშის ტექსტი მე მივწერე აქედან. ორი დეპეშა გამოგზავნეთ, ერთი ჩემს სახელზე და ერთი ხელმძღვანელის სახელზე-თქვა.

– შენ ეს მითხარი, სიპიტო, გიჭირს მუშაობა?

– პირველად გამიჭირდა, მარა, ხო იცი, ჩვენი კაცი რომ არ დაიკარგება არსად. ბრიგადირი შეგვხვდა იმნაირი უბედური, ახლოს არ გაგვიკარა არც ერთი. დილა-სალამოს სისხლს გვიშრობდა. პირველკურსელები ვიყავით და აგვიგდო, ხომ იცი, ასეა. რა ვქნა, რა ქვას ვეცე-თქვა და ასე მევითიქრე: წყალს ვუსხამდი ლოგინში. ამნაირი რამ მეორეს არ უნდა გაანდო, თვარა დაბრედილი ხარ მაშინვე. ყოველდამე, დაწოლის წინ შემოვიპარებოდი და ვლენავდი ერთ ბანეა წყალს ბრიგადირის საწოლში. მეხუთე ჩასხმამდე რაფერ გამოიცვალა, იცი? კაცს დაემსგავსა. ახლა ქეა გვრიტივით. რავარც იურევს, ამ წყლის ჩასხმას არ მოვუშლი და იხტუნოს რამდენიც უნდა.

ბუხუტი სიცილისგან ცრემლებს იწმენდდა.

- კაი უბედური ეყოლები, ნუ გეშინია, შენც გამჩენს.
- რა ვქნა, აპა, თუ წოუწექი მაგენს, მთელი სასწავლებელი გადაგივლის ბეჭებზე, - სერიოზული სახით ლაპარაკობდა სიპიტო.
- საჭმელი?
- რავარც იყო, ისეა. ჩვენ საჭაპანო სასწავლებლის სასა-დილოში ვჭამთ. დილას ჩაი და ქაში, შვადლეს ბორში და ქაში, საღამოს ჩაი და ქაში.
- გყოფნით მერე მაგი?
- პირველ თვეს არ გვყოფნიდა. ახლა მიეჩვია კუჭი და გვყოფნის კი არა, ქეც გვრჩება ხანდახან.
- ხორცს არ გაძლევენ?
- სადილზე. პატატვრან ნაჭრებად მოხარულ ხორცს ჩამოდგამენ. ჩამოდგმა, საერთოდ, უბედური საქმეა, ზოგი სამ ნაჭერს წოუპოტინებს ხელს და ზოგს ერთიც არ რჩება. ამა-საც გვივარებული მუდამი: რავარც ჩამოდგამენ, ვსტაცებ მათლა-ფას ხელს და „აპა, ბიჭებო, უგაშჩაიტეს-მეთქი“. ასე, ნამუსში რომ ჩააგდებ, თითო ნაჭერს იღებს, სხვები უყურებენ და რცხ-ვენიათ. ჩამოვატარებ ხორცს და ბოლოს, რაც დარჩება, მე დავიდგამ წინ. ისინი რომ თითო ნაჭერს ძიგნიან, მე სამ-ოთხ ნაჭერზე ნაკლები არ მხვდება. ასეა, მულამი უნდა ყველაფერს.
- აქბულაქური ენა რავა იცი?
- რავა მეცოდინებოდა ახლა მე, ქუთასისელ კაცს, აქბულა-ქური. გასაკვირია პირდაპირ. ეს უზბეკები და ყაზახები, ყაზა-ხები განსაკუთრებით, მშვენიერ აქბულაქურს უპარტყუნებენ და მე პირველ დღეებში ქე გყავდი მუნჯივით ჩუმად. ამგენმა რავა მაჯობონ-თქვა და ყოველდღე ხუთ-ექვს სიტყვას რავა ვერ ისწავლი. რვეული ვიმოვე ერთი და რასაც ყურს მოვკრავ-დი, ვიწერდი ყოველდღე. ორ თვეში ორას სიტყვამდე ვისწავ-ლე და მეტი კი არ უნდა პრაქტიკანტს.
- აქცენტი მაინც გექნება.
- აქცენტზე იქანა არავინ არ გეცინის.
- საწყობში ან სასადილოში უნდა მიიტანო თავი – პრაქტი-კაზე სხვა ქალაქში როცა ხარო, გამიგონია.
- სასადილო არაფერი მაინცდამაინც. ჩვენ თვეში ერთხელ მორიგეობა გვინწევს იქანა და თავ-ბედს ვინყევლით მაშინაც. პრაქტიკანტი თუ დილის ექვს საათზე დგება, შენ ოთხზე უნდა

ადგე. კარტოფილის ფცქვნაში თითო რაღმე წავითალე. ზეთის სუნი დაგახრჩობს მარტო სასადილოში. საწყობი, იცოცხლე, არაა გლახა, მარა საწყობში დიდი ჭკუა და მოხერხება გინდა. გამოწმებენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, იმნაირი სიშტერე დამემართა საწყობში. ერთი თვის დაწყე-ბული გვაქვს პრაქტიკა და ხელმძღვანელმა საწყობს არ მიმამ-აგრა? ქართველიაო და ჩვენი ხალხი ამგენს დიდ მომჭირნე და საქმიან ხალხად მიაჩნიათ. თანაც, რომელ საწყობს მიმამაგრა, იცი? სამი საწყობია ჩვენთან – ბარ-ნიჩბის, ტანსაცმლის და საკვების. მე საკვების საწყობში გამიშვა. მევითქვი სული. რა წესიერადაც არ უნდა მოუწონო მზარეულს, საწყობში მაინც რჩება სამყოფი ხორცი, კარაქი, პური და ხანდახან ძეხვიც კი. პივა თუ შემოაპარე გარედან, პირველი კაცი ხარ. ახლა იქ ვიქენებოდი, ჭკუა რომ მეხმარა. გამოუცდელი კაცის ამბავი არ იცი? უმცროსმა მეჭაპანემ შემოიხედა ერთხელ საწყობში, სადილზე დამაგვიანდა და ხომ არაფერი გაქვს მორჩენილიო. მე ვთქვი, ამას მაინც დავაბამ ახლა სამუდამოდ-თქვა და შემო-ვიპატიუე. გოვუშალე მეფური სუფრა. ვუჭახუნებ ჭიქას და ვუხსნი – საწყობში ასე რჩება და ასე რჩება-თქვა ყველაფერი. გამოიარე ჩემთან ყოველთვის და არ წააგებ-თქვა. კარგიო, ეს რა ღვთისნიერ კაცს შეგხვდიო. დღეიდან შენი ძმაკაცი ვიქენებიო. მეორე დღესვე მომაშორეს საწყობს. თურმე რას პატიუობ უმცროს მეჭაპანეს. დაატიე ენა პირში, ახლა ქე ვიცი, რასაც ვიზამ, მარა ვინ მაკარებს საწყობს.

– ამანათს თუ გიგზავნიან?

– კი. მარა შორია და ხმელი ხილის, შაქრის და ამნაირი რაღაცების გარდა ყველაფერი ფუჭდება გზაში. ამნაირი უბე-დური ფოსტალიონები გვყავს, რომ პასილკას ხსნიან და თუ შემთხვევით არაყი ან ღვინო აღმოჩნდა ყუთში, თვითონ სვამენ. შენ გგონია, აპარებენ სადმე? მარა ამასაც გოვუგე მულამი.

– აპა, აპა?

– ჩვენ, მართალია, საჭაპანო პრაქტიკას უნდა გავდიო-დეთ, მარა ჯერჯერობით დილის რვა საათიდან, ოთხ საა-თამდე მშენებლობაზე გვამუშავებენ... მე სვარჩიკი ვარ, მარა სვარკით, თვალები მტკივა-თქვა და, მაინცდამაინც არ ვიკლავ თავს. ჩვენთან ნამდვილი მუშები ხომ არიან, მუშას ვერ უბე-დავენ „პასილკის“ გახსნას ფოსტალიონები. ჰოდა, მუშის სახ-

ელზე მიგზავნის მამაჩემი „პასილკას“. ორი ბოთლი არაყი თუ დევს, „პასილკის“ მიმღებმა იცის – ერთი მისია. ასე რომ, თვითონაც მაღლობელი რჩება.

– მერე სად სვამთ არაყს, რომ დაგიჭირონ, გარიცხვა ხომ არ აგცდება.

– მართალი ხარ. ყველაზე დიდი სიმკაცრე ჩვენთან დალევაზეა. მე, სიმართლე გითხრა, არ მიყვარს დალევა. ისე, ას გრამს თუ გადავკრავ გასამხნევებლად, თვარა სასმელს არ ვეკარები. დილას რომ დალევ მშენებლობაზე ას გრამს, საღამოდე ცხრაჯერ გამოგინელდება, ვინ შეგატყობს რამეს.

– ქალის საქმე რავაა თქვენთან?

– ქალის საკითხი კარგადაა-თქვა რომ გითხრა, ტყვილი იქნება. მე, რა დასამალია და, ქალთან არ ვიყავი ნამყოფი, ბოდიში თქვენთან მომითხოვია, სანამ სასწავლებელში მევეწყობოდი. ქალაქამდე ოცი კილომეტრია. ქალის გულიზა მეტს არ გავიყლით? მარა ვინ გვიშვებს. რისი „ტანცები“, რა ტანცები“. იმ ანეგდოტის არ იყოს.

– აპა?

– მაგასაც მოვუძებნე მულამი, ნუ გეშინია. მყავს ჩემი ტა-მარა. სამშენებლო კანტორაში მუშაობს, უფროსის მდივანია. „პერერივს“ იქანა ზუსტად იცავენ. იქვე ცხოვრობს. გავვარდებით მე და ტამარა შესვენებაზე. ერთად კი არა, ვიცით ჩვენი საქმე. ხუთი წუთის მისულია სახლში, დაუკაუნებლად შევდივარ უკვე. დედა ყავს, მარა, „ეენიხიაო“ უთხრა ტამარად და იმნაირი კაი ქალია, რავარც სახლში დაგვიგულებს, მიგვატოვებს მე და ტამარას და მეზობლებში გადადის სალაპარაკოდ. კაი ჩუჩუნი, კაი ხუტუნი ტამარასთან იმ საათს თუ საათ-ნახევარს, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ქე ვპრუნდებით უკან.

– აგინყვია საქმე.

– ჴო, მარა, ჩემით ვხვდები, ტამარასთან დიდხანს საქმის გაგრძელება არ შეიძლება. ცოლად მე რომ მაგის მომყვანი არა ვარ, ქე იცი.

– რატომ, რა უჭირს?

– კი არაფერი უჭირს, მარა ჩემზე ხუთი წლით უფროსია, ქმარგაშორებულია, სვამს თურმე მისი ყოფილი ქმარი და ხანდახან აკითხავს. კარს არ უდებს ტამარა და არის დიდი კარლენვობია, არ იცი ლოთის ამბავი? აქამდე ტამარა არაფერს მეუბნებოდა. ამ ბოლო დროს ოხვრა-კვნესა დაინწყო. მოფე-

რებითაც ნამეტანს მეფერება. შევუყვარდი. ახლა დროზე თუ არ ვუგანე, იქაურმა ქალებმა ერთგული შეყვარება იციან. ნამეტანს დაგიჩემებენ და მერე გვიან იქნება. ბოვშეს გააჩენს, ჩემი ბატონი და, ქუთაისში ჩამოკითხვა და ცრემლობია მინდა მეე?

– ჩხუბი იციანო თქვენს სასწავლებელში?

– კი. არც უმაგისობაა. დაერევიან ხანდახან ერთმანეთს, მამლებივით. უბრაგუნებენ თავში. რომ გააჩერო და ჰკითხო, კაცმა არ იცის, ვინ ვის ურტყამს და რატომ ურტყამს. შელაპარაკდება ორი შტერი ბიჭი, ამას ეს წამოეშველება, იმას ის და ატყდება ჩხუბი. მე დიდი დამრტყმელი არ ვარ, მარა ამასაც გოვუგე მულამი. ჩხუბში ბოლოს უნდა შეხვიდე, გარკვეული რომაა ყველაფერი და მიფენილ-მისავათებული როა ხალხი. მაშინ ვისაც მოადებ ღრანფებში, ფეხზე არ დარჩება. ისე, ჩხუბი მეზარება. რა თქმა უნდა, თავზე არ დავისვამ არავის, მარა მე თვითონ არ ვიწყებ ჩხუბს. ჩვენთან არავინ არ არკვევს, ვინ დაარტყა პირველად და რაზე ატყდა ჩხუბი. მოუსობენ ხელს ყველას ერთად და, ჰპადა. გარიცხვა მინდა ახლა მეე? ძლივს მოვეწყვე.

– მოკლედ, კუჭუხიძე, შენ არ დაიკარგები არსად, ისე გატყობ.

– არც მაგაზეა, ბუხუჭი ბიძია, ჩემნაირები დაკარგულან? კი, შენც უნდა იმარჯვო პატარა ამ ცხოვრებაში, მარა ხანდახან იმნაირ ყისმათზე ადგები დილას, კედელში რო გადიოდე, ისიც ვერ გიშველის.

ბიჭმა ქუდი აინია და ლეგა ღრუბლებში შეცურებული თვითმფრინავის მარჯვენა ფრთას კვლავ მიაჭიჭინდა.

იქვე ვიჯექი, უკანა სავარძელში, მაგრამ ორი მგზავრის მუსაიფში არ ჩავრეულვარ.

სხვათა საუბრისთვის ყურის დაგდება ერთობ უხერხული რამ არის, მაგრამ ბუხუჭი და სიპიტო ისე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რომ მთელ სალონს ესმოდა.

თვითდან სიცილს ძლივს ვიკავებდი, მერე უეცრად სევდამ შემიპყრო და ერთი სული მქონდა მეყვირა:

– მოგიკვდა ჩემი თავი, სიპიტო, რამდენი რამ გვისწავლებია შენთვის ამ ოთხ თვეში, რამდენი რამ, შენს მყუდრო ქუჩაზე რომ ვერასოდეს გაიგებდი და არც სახელმძღვანელოებში გეწერა.



„მაღალი სტუმარი“

თვითმფრინავის კიბეზე რომ ჩამორსაფეხურდა, უეცრად შეჩერდა, დამხვდურთ გაულიმა და ხელი დაუქნია.

ხეპრული, ტეტიური, ცოტა არ იყოს, უტიფრული ლიმილი ჰქონდა.

ალტაცებისგან, ლამის მუხლებზე დაცემულ, ვაშაურას ძახილით აკანკალებულ ბრძოს დაჰყურებდა.

აეროპორტის მოედანს ორმწკრივად შემორკალული ჯარის-კაცები სმენაზე იდგნენ.

საიდუმლო სამსახურის შემკრთალი თანამშრომლები მაღალი სტუმრის შესახვედრად შეჩერებულ მოქალაქეებს, ყოველ შემთხვევისათვის, ხელებში შეჰყურებდნენ და შიგადაშიგ ტაშ-საც დასცხებდნენ; აქაოდა, ჩვენც „უბრალო მოკვდავნი“ ვართ, სტუმართმოყვარეობის ადამთა მოგვიყვანა აეროპორტში და ბედნიერად ვრაცხთ თავს, მესიას ასე ახლოს რომ ვხედავთო.

სტუმარმა უკრაინულ კვართზე მოსხმული პიჯაკი გაიხადა და უკან მდგომს მიაჩერა. ჭილოფის ქუდი მოიხადა და ჭილო-ფის ქუდიც უკან გადააწოდა, მაგრამ იმ წამსვე გადაიფიქრა. ქუდი კვლავ ჩამოიმხო თავზე. ამჯერად პირდაპირ ჩამოიმხო, შებრუნებულად, ულაზათოდ, ნერვიულად.

„მე ვიცი რას ნიშნავს სამხრეთის მზეო“, – ჩაილაპარაკა.

იდგა და ხელს იქნევდა.

სცენარით თვითმფრინავის კიბეზე ამდენ ხანს შეჩერება არ იყო გათვალისწინებული და გულდაგულ ნარეპეტიციებ კლაიირებს ხელისგულები დაასკდათ ტაშით, ხოლო მეფის-ნაცვალი და მისი ამხანაგები ლამის კიბეზე აფრენილიყვნენ და ხელში აეყვანათ ძვირფასი სტუმარი. ვოროშილოვის ულვაშა მთავარმასპინძელი ისე ყელმოლერებული იდგა, გეგონებოდათ, სადაცაა სიმღერას წამოიწყებსო.

სტუმარი იდგა და ლიმილით ათამაშებდა ჰაერში თავის ცხრაფუთიან მარჯვენას.

დაიღალნენ ტაშის დამკვრელები.

შეშფოთება დაეტყოთ ცერემონიალის რეჟისორებს და დაცვის თანამშრომლებს.

თურმე დასჯა ასეც შეიძლება. იდგე, იღიმებოდე და მასპინძლები ვაძა-ტაშით გაასავათო.

„არა გიშავთ, ქართველებო, კეთილი ინებეთ, იდექით ცოტა ხანს. კარგად დამიმახსოვრეთ. მე თქვენ, რასაკვირველია, არ გენდობით, ჩემს მდგომაროებაში არც უნდა გწვეოდით თბილისში, მაგრამ ვერ მოვისვენე. მინდა ერთხელ კიდევ დავრნმუნდე, ვინ ვარ, რას წარმოვადგენ და რა სწრაფად იცვლება დრონი.

იდექით, იდექით, უკარით ტაში, არა გიშავთ, მე ოცდახუთი წლის განმავლობაში ვიდექი და ველრიჯებოდი თქვენებურ ულვაშას. გამოსცადეთ, როგორია თვალებში ყურება. აბა, გაბედეთ განზე გახედვა. ხომ არ გგონიათ, თქვენს იმედზე ვარ. ორი ათასი რჩეული ბიჭი მიცავს. ხელის გატოკებას ვერ მოასწრებთ, თუ კი რამ გაივლეთ გულში. სიგრძეს სიგანედ მოგიქცევენ.“

სტუმარი იდგა და იღიმებოდა. თამამი, ნიშნისმოგებითი, დამსჯელი ლიმილით.

„ფეხებეშ მეგებით, გასაგებია. სხვა გზა არა გაქვთ. ო, როგორ გძულვართ ახლა. სიამოვნებით ჩამყლაპავდით, რომ შეგეძლოთ. მე თქვენ კარგად გიცნობთ, თავხედი და თვალთმაქცი ერი ხართ. თქვენ გგონიათ დავიჯერე, რომ თითქოს ულვაშა იმპერატორის ლირსების დასაცავად ალსდექით იმ დღეს? როგორ გეკადრებათ. თქვენ ისიც კი ფეხებზე გეკიდათ. თქვენ თქვენი ქართული, ბნელი ზრახვები გაქვთ, მაგრამ არაფერი გამოგივათ. ვერ მოგართვეს.

დამთავრდა თქვენი პარპაში. ის გველის წიწილაც გაგისრისეთ, უპაპოდ დარჩენილი, ძალაუფლებისაკენ რომ მიცოცავდა.

ჵო, უკარით ტაში. თვალებში მიყურეთ. სად გაქრა თქვენი სიამაყე, თქვენი განსაკუთრებულობა. თქვენი დიდი ისტორია. თავი რომ მოგაქვთ ყველასთან. რაო, აღარა ხართ ტრაბახის ხასიათზე?

იდექით და უკარით ტაში. მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა „გამორჩეულ რასასთან ლაპარაკი“. 255

მალალი სტუმარი იღიმებოდა.

მერე ეტყობა ხელი დაედალა, მაგრამ უტიფარი ღიმილი კარგა ხანს შერჩა სახეზე.

დიდხანს ღონივრად იკრავდა გულში ცრემლმოდგარ, თითულვაშა, სალდაფონ მთავარმასპინძელს.

მერე ყველაფერი ჩვეულებრივად ჩატარდა.

იყო ზღაპრული სუფრები, ზეალმტაცი შეძახილები, ხელზე კოცნები, ჭყინტი სიმინდის მიწოდებები და იყო გაუთვალისწინებელი რამ — ქარიშხალას სტადიონზე იმპერატორი სიტყვას რომ ამბობდა, მისი უშველებელი სურათი ქარმა ჩამოხია და შეატრიალა.

ამ სტრიქონების ავტორს ეს ამბავი ცუდად ენიშნა.

რაც შეეხება სტუმარს, ქარის ონბაზობა მანაც შეამჩნია, მაგრამ სერიოზული მნიშვნელობა არ მიუცია.

ეგ იყო მხოლოდ, საჩუქრებით გატენილ თვითმფრინავში რომ ჯდებოდა, თანაშემწეს გადაულაპარაკა:

— კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ცხოვრობდნენ მუდამ ქართველები ასეთ ძვირფას ადგილებში. შეიძლება ერი სანატორიუმულ პირობებში იყოს სულ? იქნებ ვიფიქროთ იმაზეც, რომ მორიგეობით იცხოვროს საბჭოთა ხალხმა კავკასიაში. ა, რას იტყვი შენ?

თანაშემწეს რა უნდა ეთქვა.

1964



მაჩვი

ცოტა ხანსაც ვაცლი. მაინტერესებს, სანამდე მივლენ.

მაინტერესებს, საით გაუტევენ, რას მოჩმახავენ და მოიმოქმედებენ.

მერე მე ვიცი. ერთბაშად დავუქნევ ხელს ყველაფერს და საჩივლელად კი არ გავიქცევი, მე თვითონ გავუსწორდები.

ავიწყვეტ ერთს და ვახათქუნებინებ იმ გასიებულ თავს თავის კაბინეტში, საკუთარ მაგიდაზე.

მერე, რაც უნდა, ის მიქნან.

მერე მართლა ღირსი ვიქნები დასჯის.

ოღონდ იმას კი მოვასწორებ, მაგისი ლელვის ფოთოლივით ყური მოვიგდონ ხელში და ბუკივით გავუხადო ცხვირი.

ისე მოვუქცევ საქმეს, რომ საკუთარი ნათლია ველარ ცნობდეს და, სხვისი გაგდების მოსურნე, თვითონ გარბოდეს უწაუწა.

გამეხარდა, პარტკომის მოადგილედ რომ აირჩიეს, ეგ დამპალი. მე ვთქვი: სკოლის ამხანაგები ვართ, მაინც, რაც არ უნდა იყოს, ჩემი კაცი მეყოლება პარტკომში-მეთქი. თურმე რა გიხარია.

გეტყვი, რას მოჰყვა ყველაფერი. თუ მტყუანი ვარ, გამამტყუნე.

პარტკომი ჩვენთან თხუთმეტი წელია ჭალაგანიძეა. ნორმალური კაცი. რაზეც შევსულვარ, უარი არ უთქვამს. რაზე შევდივარ მაგათან, ისევ ინსტიტუტის და ლაბორატორიის საქმეზე თუ შემიწუხებია, თორემ რას ვთხოვ.

მე ჩემთვის ვარ, ისინი თავისთვის არიან. თუ რამეს დამავალებენ, პარტიაა და უსარულებ ხმამოულებლივ.

ბევრიც რომ ეკამათო, ბოლოს მაინც გაგაკეთებინებენ და, ანი, არ სჯობია, თავიდანვე გააკეთო?

ჩემისთანა მორჩილი პარტიის წევრი მაგათ არ ჰყავდათ აქამდე და რაკი გერონტია ბლუკუნას გულისათვის ამომილეს გულიდან, კი ბატონო, ძალა აქვთ და მერევიან.

ჭალაგანიძისაგან მიკვირს, თორემ გერონტი ფხალაძე, არ ვიცოდი რა ჭუკი იყო?

დღეს ოცდაშვიდია ხომ? ზუსტად ოთხ ოქტომბერს მოხდა
ეგ ამბავი.

უნგრეთიდან მოწვევა მივიღე. სიმპოზიუმია რაღაცა. მოხ-
სენება მოგვთხოვეს და შეუტანიათ ჩემი მოხსენება.

საზღვარგარეთ ბარე სამჯერ ვარ ნამყოფი. ულაპარაკოდ
მიწერდა ჭალაგანიძე ხელს ყოველთვის.

ერთხელ, საჩქარო იყო და ძველი ოქმითაც კი გამატარა.
ვიცი მეო, წესიერი კაცი ხარ და არ დაამავებ არაფერსო.

ჭალაგანიძეს ვიღაცა ჰყავდა კაბინეტში. თურმე მომეცადა,
არ ჯობდა? მე ვთქვი, გერონტის მოვანერინებ ხელს, თან და-
ფასებად ჩათვლის, თან მივესალმები, მოვიკითხავ-მეთქი.

ხვენშით, კეფის ფხანვით, რაღაცა უგემურად ჩაიკითხა ეს
ჩემი დახასიათება.

ვეხუმრები, ვითომ, ჩემი ჭკუით; მალე ქენი, მალე, არ უნდა
მაგას ბევრი ჩითვა, სწორი წერია ყველაფერი-მეთქი.

სწორია ვითომ ყველაფერი?

მგონია თვითონაც ხუმრობს.

რომელ პუნქტს არ ეთანხმები შენ მაგალითად-მეთქი.

ისე სიტყვის მასალად, საქილიკოდ ვეუბნები.

აიმრიზა, დაიღმიჭა, რაღაც უგემურად.

— მორალურად მდგარდი რომ გინერია, ხარ ვითომ მორა-
ლურად მდგრადი?

რას მატყობ ამორალურს, მე ვუთხარი.

მე აქ ვერაფერს გატყობ, მაგრამ იქ რომ რაიმე მოიმოქმ-
ედო, რა გარანტია მაქვს მეო. რაღაცა რომ შეგემალოს, მე
ვაგო პასუხიო?

შენ მართლა ლაპარაკობ, თუ ხუმრობ გერონტი-მეთქი.

არაფერსაც არ ვხუმრობ, მეო.

როდიდან გავხდი შენთვის არასაიმედო. პირველად ხომ
არ მივდივარ. თუ არ გჯერა ჩემი, ნუ მოანერ ხელს, ჭალაგ-
ანიძესთან შევალ, შე კაი კაცო, მე მეგონა, ვიცნობდით ერთ-
მანეთს-მეთქი.

შარზე რომ იქნება კაცი. დამიწყო სიტყვაზე გამოკიდება.
ლულულულებს უშნოდ:

რა შუაშია ცნობა. მერე რაა, რომ გიცნობ. შენ იმით მაბამ

ახლა, სკოლაში რომ ერთად ვსწავლობდითო? მოგიწეროს, ბა-
ტონო, ჭალაგანიძემ, მე ვერ ვაგებ პასუხს შენზეო.

კარგი, ასე იყოს ჩვენ შორის, მე ვუთხარი. მე შენ დაგაფასე,
მოგესიყვარულე, კაცად ჩაგთვალე, როგორც ჩემი ამხანაგი,
თორემ ჭალაგანიძეს არასდროს არ უთქვამს ხელმოწერაზე
ჩემთვის უარი-მეთქი.

გავბრაზდი მეც, ცოტა არ იყოს.

რა უნდა შემეშალოს, ბიჭო, ჩემი თავი და ჩემი პატიოსნება,
როგორ ფიქრობ, ნაკლებად მიყვარს-მეთქი? მე, ჩემდა თავად,
სანამ შენ აქ იჯდები, ალარ შეგანუხებ არაფერზე და ღმერთმა
ხელი მოგიმართოს-მეთქი.

დავავლე ქალალდს ხელი და შევურბენინე ჭალაგანიძეს. ჩაი-
კითხა. მიწერს ხელს. რაზე მეტყვის უარს, ვის რა დავუშავე.

სანამ წაიკითხავდა, ენამ წამისწრო და მოვუყევი; ასე და ასე
გერონტიმ, ჩემმა ჯგუფელმა, ხელი არ მომიწერა-მეთქი.

დააჭირე ენას კბილი. რას ეუბნები, თურმე.

მომარჯვებული კალამი დადო და სახეგამშრალმა შემომხე-
და.

რა მოტივით გითხრა უარიო.

არაფერი მოტივით, მე ვუთხარი. ან ხასიათზე ვერაა დღეს,
ან რაღაც ბოლმა პქონდა გულში ჩემზე. რა ვიცი, მიდღემჩი
არაფერი დამიშავებია. ყოველთვის კარგად ვიყავით. ალბათ,
აუგარდა თავში პარტკომის მოადგილეობა-მეთქი.

რა ვქნაო, ჭალაგანიძემ. არ მისულიყავი პირველად გერონ-
ტისთან, კარგი იყოვო. ახლა მე რომ მოგიწერო ხელი, არა კო-
ლეგიალურობა გამოვაო. ვკითხავ, გავარკვევ და ხვალ გამოი-
არეო.

რა მაქვს გასარკვევი, ბატონო, მე ვუთხარი. თუ რამე იცით
და მიმალავთ, მითხარით აგერ პირში ორივემ, თუ არა და მო-
მიწერეთ ხელი. პრინციპის ამბავია, რატომ უნდა გაიტანოს
გერონტიმ თავისი. სულ არ წავალ უნგრეთში, მაგრამ საქმე
ადამიანობაშია და კაცობაშია-მეთქი. დაუძახეთ ახლავე. რა
არის აქ ხვალისთვის გადასადები-მეთქი.

სხვათა შორის დაუძახა მაშინვე.

რატომ არ უწერ ხელსო.

შეურაცხყოფა მომაყენაო, ამ აქოთებულმა. მეო, შენ დაგა-
ფასე, კაცად ჩაგთვალე და იმიტომ შემოგიტანე დახასიათება
ხელმოსაწერადო. თქვენ თუ გნებავთ, მოუწერეთ, მე ხელს არ
მოვაწერ, არ ვაგებ პასუხს მაგის მორალურ მდგრადობაზეო.

ხომ აშკარაა ახლა, რომ შარზე ყოფილა? თურმე სძულხარ
კაცს ჭირივით. შენ აინუშიც არა ხარ, მომენტს გირჩევს, რომ
ფეხი დაგიდოს.

რაკი ასე წავიდა საქმე, ჭალაგანიძემაც რომ ყოყმანი დაი-
წყო, ვეღარ მოვითმინე და მე ჩემი ვუთხარი, გერონტიმ მისი
მითხრა. შემირცხვენია საზღვარგარეთ წასვლა და შენი კაცო-
ბაც-მეთქი, ვუთხარი ბოლოს და გამოვიჯახუნე კარი.

ორ კვირაზე მეტი ხომ არა გასული ამ ამბიდან, შენ გგონია
დამთავრდა ყველაფერი?

თურმე ვისთან მქონია საქმე და არ ვიცოდი.

ორჯერ მომიგზავნა კომისია. ერთხელ ლაპორატორია
შეამოწმეს. ოქმები არ გაქვს წესრიგშიო, თანამშრომლები
აგვიანებენო, დისციპლინა მოიკოჭლებსო, ამნაირი სისულე-
ლები ჩაწერეს და წავიდნენ.

მეორჯერ ვიღაცის ბატიფეხურით წაწერი დამიდეს წინ.
სულ წვრილად ეწერა, თუ ვინმესთან მიჩეუბია ბავშვობაში, თუ
პატარა სასიყვარულო ისტორიები მქონია, თუ სადმე შევმთ-
ვრალვარ და რამე მითქვამს. თურმე სადღაც გროვდება ჩვენი
წატევამი თითოეული სიტყვა, ყოველი წაბიჯი, თორემ ერთი
კაცი ამას ვინ აღნუსხავდა, ვის ეცალა ჩემთვის.

ახლა პარტკომზე ვარ სამშაბათს დაბარებული. ჩემს პერ-
სონალურ საკითხს იხილავენ.

ფეხი მომტეხოდა და არ შევსულიყავი იმ დღეს გერონტია
მაჩვთან, არ მერჩივნა?

არ აწყენილო

ბევრი უმტკიცა მეფისნაცვალმა ზანზარეთის იმპერიის
პროპაგანდის მინისტრს, ნუ ვიზამთ ამას, თორემ საჩქეფელას
ტომი აგვიჯანყდებაო, საჩქეფელელი ყველაფერს შეურიგ-
დებიან, ენის წართმევის გარდაო, მაგრამ მინისტრი ჯიუტად
იმეორებდა:

– ვინ ართმევს ენას, ილაპარაკონ შინ თავიანთ ენაზე, ლე-
ქსებიც სწერონ სანამ არ მოსწყინდებათ, მაგრამ სახელმწიფო
ენა ზანზარული უნდა იყოს. მორჩა და გათავდა. ისედაც
დავაგვიანეთ. გვეგონა, თვითონ მოსწყინდებოდათ პანაკინტე-
ლა ერებს თავიანთ პიჭუ-პაჭუ ენაზე ჭიკჭიკი, მაგრამ რაკი არ
მოსწყინდათ, ახლა კანონის ალიკაპია საჭირო. თქვენ რა წითე-
ლი კვერცხები ხართ ასეთი? ვინდა დარჩა თავის საყველეულო,
ველურ ენას რომ ებლაუჭება; თქვენ, ლავეთის ტომი და ბა-
ტიბუტის სამი ჩიტის ბუდისხელა საბურგომისტრო, ესაა სულ.
გიცადოთ ახლა, როდის ინებებთ ზანზარული ენის მშობლიურ
ენად ალიარებას? იქნებ ზანზარულს თქვენს ყბამომქცევ ენებს
ადარებთ? ხომ არ გავიწყდებათ, რომ ამ ენაზე ჩურჩინი წერდა?

ხმაგამშრალი მეფისნაცვალი შიგადაშიგ ჩაუკრავდა; განა
მართალი არ ბრძანდებით, ცამდე მართალი ხართ. მსოფლიო
კულტურული გახდა, რა დროს საჩქეფელური ენის ჩახუტება-
ჩაბლაუჭებაა, მაგრამ, მოგეხსენებათ, სულნასული და ნერ-
ვული ხალხის განწყობილებაო. ყველა დანესებულებაში მიტ-
ინგს მართავენ. იმპერიაზე განაწყენებულნი იატაკევეშა ორგა-
ნიზაციებს ქმნიან. გამოსვლების, დემონსტრაციების მეშინია
ყველაზე მეტადო.

მინისტრი მაღალი, ხმელ-ხმელი მოხუცი იყო. წრიპინა ხმა
ჰქონდა. ხშირად ახველებდა და ხველების დროს პირთან მუშ-
ტი მიჰქონდა. აშკარად ეტყობოდა, რომ საჩქეფელა თავისი
პატარ-პატარა ჭირვეულობებით ყელში ჰქონდა ამოსული.

– თუ იცის თქვენმა ხალხმა, რომ ფოლადინის ხელში კარგა
ხნის გაზანზარებული იქნებოდით?



– როგორ არ იცის, თქვენო უმაღლესობავ – უდროოდ გა-
თეთრებულ თმაზე ხელი გადაისვა მეფისნაცვალმა:

– არ გავიდა თქვენთან მოფერება და თავზე ხელის გა-
დასმა, ჩვენ გადაგარჩინეთ ფიზიკურად, თორემ იქნებოდით
ახლა ბაიკალსგალმა, მამაჩემსა აქვს ცხონება, ხარჩოევს რომ
დასცლოდა. კიდევ ვერ ალაგმეთ ბუნტოვშიკუობა?

– ანტების უმეტესობა ციხეში მყავს. საერთოდ, ცდას არ
ვაკლებ, ჩემო ბატონო. მორალური ატმოსფეროს გაჯან-
საღების კომპანია წამოვიწყე, ვისაც პატარა რამე შეეძალა,
არ ვაპატიე, ლამის საჩქეფელას ერთი მესამედი ციხეში მიზის.

– ვერ გეტყვით, სიამაყის გამო გაიჭიმა მეფისნაცვალი, თუ
მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსის წინაშე სმენაზე უნდა მდ-
გარიყო.

– მაინც რაზე ატყობთ, ამბოხს რომ აპირებენ?

– „პროექტი“ ძალიან მტკიცნეულად განიცდიან. უკმაყო-
ფილებას არ მალავენ.

– დაავინტყდათ, როგორ ასწავლათ ჭკუა ხარჩოევმა ორმოც-
დათექვსმეტში? ჩვენი გულწილობის იმედი აქვთ? აჯანყდები-
ან და კარგ ჩიტსაც დაიჭერენ. ზანზარეთის იარაღს ჯერ ობი
არ მოჰკიდებია.

– მე ვფიქრობ, იარაღამდე საქმე არ უნდა მივიყვანოთ,
თქვენო უმაღლესობავ. წევეპლით ჭკუის სწავლება მსოფლიოს
თვალში კარგად არ გამოგვაჩენს.

მოხუცი გაწყრა. ორივე ხელი ერთად აუკანკალდა და ხმა
კიდევ უფრო ჩაუხრინიანდა.

– რა სად როგორ გამოგვაჩენს, ეგ თქვენი საქმე არ არის.
უმჯობესია იმპერიის პრესტიუზე ზრუნვას თავი დაანებოთ და
თქვენს გუბერნიაზე იფიქროთ. წესრიგი უნდა დაამყაროთ,
მორჩა და გათავდა. პროექტი არ შეიცვლება, ჭიპზეც რომ
გასკდეთ. ზანზარეთის იმპერიაში სახელმწიფო ენა ყველგან
ზანზარულია. ასეა ეს. აქამდე უნდა შეგემზადებინათ ხალხი
ახალი კონსტიტუციისთვის. წამომიწყეთ ეროვნული კონ-
ცერტები და წაციონალური სკოლების წახალისება. იცი თუ
არა, გაისად რას ვაპირებთ?

– რას, ჩემო ბატონო?

– რასა და პასპორტებში აღარ იქნება გუბერნიათა ეროვნუ-
ლი გარკვეულობანი. „ეროვნება-ზანზარელი“. ასე ჩაიწერება,
ამზადებთ თქვენს ენაჭარტალა ხალხს ამისთვის? ცუდად
ამზადებთ, სუსტად მუშაობთ. ყველაფერი რომ რიგზე გქონ-
დეთ, არ შეიცხადებდნენ თქვენში ისეთ ჩვეულებრივ მოვლე-
ნას, როგორიცაა სახელმწიფოში სახელმწიფო ენად წამყვანი
ერის ენის გამოცხადება. იქნებ თვალებში გეპატარავებიან
ზანზარელები?

მეფისნაცვალი მიხვდა, რომ გაძელებულ მინისტრთან კა-
მათი უაზრო იყო და ბოლო იმედს ჩაებდაუჭა.

– თუ ნებას მომცემთ, ამ საკითხზე იმპერატორს დაველაპარა-
კები.

– არავითარ შემთხვევაში! – იყვირა მინისტრმა, – თქვენ
გვინიათ, იმპერატორს სხვა საქმე არა აქვს?! დაანებეთ იმ
კაცს თავი, ისედაც შეუძლოდა და ახლა თქვენი პრობლემე-
ბით უნდა ანერვიულოთ?! ჩემი რჩევა იქნება, წაბრძანდით და
საჩქეფელას ჭკუა ასწავლეთ.

მინისტრი წამოდგა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ აუდიენცია
დამთავრდა.

* * *

მეფისნაცვალმა დილის ათ საათზე სენატის სხდომა გახსნა
და მართალია, სახელმწიფო ენის კანონპროექტზე ვიკამათო-
თო, მოუწოდა სენატორებს, მაგრამ თვითონ მტკიცედ ჰქონდა
გადაწყვეტილი, იმპერიის განზრახვის შესაბამისი დადგენილე-
ბა გამოეტანა.

საერთოდ, გუბერნიაში სენატი ფორმალურად, საოქმოდ
არსებობდა, თორემ განა მართლა საკანონმდებლო, ან აღმას-
რულებელი ორგანო იყო.

რასაც საიმპერატორო კანცელარიიდან უკარნახებდნენ,
იმას აკეთებდა.

როგორც საჩქეფელელ კაცს, მეფისნაცვალს, იქნებ, მარ-
თლაც არ სურდა იმპერიას მისი ხალხისთვის საჩქეფელური
ენის წართმევა დაეკანონებინა, მაგრამ როგორც იმპერატო-

რის მიერ დანიშნული მეფისნაცვალი, ვალდებული იყო თავის „მუშაობაში იმპერიული ხაზი გაეტარებინა“, თუნდაც იმ „ხაზს“ საჩქეფელთა სასიცოცხლო ძარღვის გადაჭრა მოჰყოლოდა.

იმპერიამ მშვენივრად იცოდა, ვინ უნდა ეკურთხებინა მეფისნაცვლად და იგი არც ამჯერად გახლდათ შემცდარი. მარტო სიტყვებით კი არ ამჟღავნებდა საჩქეფელელი მეფისნაცვალი იმპერატორის მიმჭვნარ-მოფამფალებული ამალისადმი ერთ-გულებას, საქმითაც.

საჩქეფელა კი თავისი ბედუკულმართი ისტორიით და სამოცნლოვანი ჯიჯგნა-ბურჯგვნით განამებული, ილაჯგაწყვეტილი საჩქეფელა სხვაგვარად ფიქრობდა.

ათ საათზე ზღვა ხალხმა იწყო დენა სენატის შენობის წინ საჩქეფელას დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე.

მალე მოძრაობაც გადაკეტეს და მდგომარე დემონსტრაციაზე ერის მრისხანების გამომხატველი ტრანსპარანტები დაჩინდა.

„მოვკვდებით და დედაენას არ დავთმობთ“.

მეფისნაცვალს წამდაუწუმ ჩასჩურჩულებდნენ ყურში თანაშემწენი. საიმპერატორო ენაზე რომ ვთქვათ, „ოპერატიულ ვითარებას ატყობინებდნენ“.

საჩქეფელას თავი ამ დროს ფეხზე დგებოდა, გამოდიოდა და სენატის თავმჯდომარის მყუდრო კაბინეტის ოფნავჩახსნილი ფარდებიდან შემკრთალი დაჰყურებდა აზვირთებულ, ყალყზე შემდგარ ხალხს.

დემონსტრანტებს დროდადრო დელეგაცია გამოეყოფოდა, სენატის კარებს აბრახუნებდა და რომ გაულებდნენ, მორიგ არზას გადასცემდა სენატის სხდომაზე წასაკითხავად.

„არზებში“ თითქმის ერთი და იგივე ეწერა. „ჭკუას მოუხმეთ, სენატის წევრებო, საჩქეფელელი ერის წინაშე კიდევ ერთ დანაშაულს წუ ჩაიდენთ. ისტორიის სამარცხვინო აქტი არ გაითამაშოთ, არ მისცეთ ხმა ენის წართმევასო“.

დაახლოებით თორმეტ საათზე მეფისნაცვალმა ურდოში დარეკა და პროპაგანდის მინისტრთან შეერთება ითხოვა.

— გამართლდა ჩემი შიში, თქვენო უმაღლესობავ! — მეფისნაცვალს ხმა უკანკალებდა.

— ჰო, რაო, უარს ამბობს საჩქეფელა ზანზარულ ენაზე? სიტყვების ღეჭვით, განინილაქებულად, ბრაზიანი ირონიით ჩაჰკითხა მინისტრმა.

— უფრო მეტიც. პროსპექტზე ასი ათასამდე კაცი დგას. სენატის შენობა ლამის ალყაში მოაქციონ. გავწყდებით და ენას არ დავთმობთო.

— შეუთანხმდით სარდალს და იმოქმედეთ, როგორც ასეთ შემთხვევაშია მიღებული. მე რას მირეკავთ. არ იცით, თავგასულ ბრძოს როგორ უნდა მოექცეთ?

— მე ვფიქრობ, სამხედრო ძალას, ჯერჯერობით არ უნდა მივმართოთ. მსოფლიო არ მოგვიწონებს.

— დაანებეთ მსოფლიოს თავი, ამხანაგო მეფისნაცვალო, თქვენს საქმეს მიხედეთ!

— იქნებ დროებით უარი გვეთქვა, პროექტის დამტკიცებაზე? განა ფაქტი არ არის რომ ზანზარული სახელმწიფო ენა? ნუ გავალიზიანებთ პატარა ერებს კონსტიტუციაში ამის ხაზგასმით, ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთოთ და განა ეს თავისთავად არ მოხდება?

— რომელი „ჩვენი საქმე“? თქვენ ვინ ხართ? ვის საქმეს აკეთებთ?! რა იცით რა „მოხდება თავისთავად“. არ მომწონს თქვენი ლაპარაკი. თუ არ შეგიძლიათ გუბერნიაში წესრიგის დამყარება, გადადექით დღესვე. უფრო ჭკვიან და საქმიან კაცს მოვძებნით.

მინისტრმა ტულეფონის ყურმილი კი არ დადო, დააგდო. საჩქეფელელმა მოსაუბრემ იგრძნო, თუ როგორ დაათხლიშეს თავზე ყურმილი იმპერიის ცენტრში.

სისხლგამშრალი, ტუჩებიანად გათეთრებული მეფისნაცვალი სენატის შენობის აივაზზე გამოვიდა და შეკრებილთ მიმართა: შვილებოვო, ცუდი წინათგრძნობა მაქვსო, გევედრებით, დაიშალეთო. მე სიამოვნებით შევხვდები თქვენს გვერდით სიკვდილს (იცრუა – რ. მ.), ამით რომ საქმეს ეშველებოდესო.

ხალხმა მის გულისამაჩუყებელ გამოსვლა-გაფრთხილება-დაშინებას ყრუ გუგუნით უპასუხა. ფეხიც არავის მოუცვლია.

საჩქეფელა თავის ენასა და აქედან გამომდინარე თავის არსებობას გუმაგობდა.

მეფისნაცვალი ამის შემდეგ ორჯერ შევიდა თავის სამეფისნაცვლო კაბინეტში, ორჯერ აიღო ყურმილი და ორჯერ დადო. ენა არ ემორჩილებოდა, ვერ ბედავდა თქმას; იმპერატორს შემაერთეთო. ბოლოს, როგორც იქნა, თავს მოერია და გაბედა:

– მდა – შეაგება იმპერატორმა. ასეთი ხმა შუახანსგადაცილებულ მოხუცებს ძილის წინ, ან ახალგაღვიძებულზე აქვთ. ლაპარაკია ძირითადად ბახუსისმოყვარულ მოხუცებზე.

მეფისნაცვალს ხმა აუკანკალდა:

– თქვენო, იმპერატორობით უდიდებულესობავ, ხალხი ქუჩაში გამოვიდა, სენატს ლამის ალყა შემოარტყან.

– მოიცათ, მოიცათ... მე მითხრეს... საჩეფელას მეფისნაცვალი დაგელაპარაკებაო. თქვენ ვინა ხართ?

– ისა ვარ სწორედ.

– გამარჯობა. მერე ხალხს ქუჩაში რა უნდა?

– პროტესტს აცხადებენ.

– რაზე?

– კონსტიტუციის მუხლზე.

– რომელი კონსტიტუციის?

– ახლის, რომელიც უნდა დავამტკიცოთ. ჩვენაო, ჩვენს გუბერნიაში, სახელმწიფო ენად საჩეფელური ენა უნდა გვქონდესო.

– მერედა თქვენ წინააღმდეგი ხართ?

– არა, ბატონო... მაგრამ...

– რა მაგრამ? დაუბრუნეთ ხალხს თავისი ენა... საჩეფელას არ აწყენინოთ, როგორც საჭიროა, ისე მოიქეცით. დაწყნარდით და დაშოშმინდით... ასეა ეს... გასაგებია? აბა, მოკითხვა მზიურ საჩეფელას, მე თქვენ ძალიან მიყვარსართ, ფოლადინიც მიყვარდა, მაგრამ... საჩეფელის მშრომელებს არ მიწყენიოთ. მთავარია, დღეს დაიშალოს ხალხი, ხვალ, მერე ვნახოთ, რა იქნება ხვალ და როგორ აჯობებს ჩვენი საქმისთვის...

ტყუპი შვილიშვილი რომ შესძენდა, ასეთი ბედნიერი, გაბადრული სახე არ ექნებოდა მეფისნაცვალს.

კაბინეტთან ჩამწკრივებულმა მისმა ამალამ შვებით ამოისუნთქა.

ამის შემდეგ მეფისნაცვალს ხელფეხი გახსნილი ჰქონდა. აწი იოლი იყო გაბედული კაცის, თუ გნებავთ, გმირის თამაშიც. ახლა შეიძლებოდა, სენატისათვის, მისდა გასაოცრად, კანონპროექტის შეჩერების წინადადების შეთავაზება. შეიძლებოდა ერთგული კოპორტით ქუჩაში გამოვლაც და თავდადებული კაცის ხმით ლალადისიც: „ძვირფასო საჩეფელელებო, ისტორია იტყვის, რა ჩავიდინეთ მე და ჩემმა მეგობრებმა. გაიმარჯვა კეთილმა ნებამ, თქვენმა ნებამ. გილოცავთ ამ გამარჯვებას, ჩვენს კონსტიტუციაში ჩვენი ენა დარჩება სახელმწიფო ენად. ახლა დალლილი ვართ ყველანი, ჩვენც და თქვენც. დავიშალოთ და მადლობა ვუძღვნათ იმპერატორს ჩვენზე ზრუნვისთვისო“.

მეფისნაცვალი არც ამჯერად იტყოდა სიმართლეს, არ გაუმხელდა თავის ხალხს, რომ საჩეფელის კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად საჩეფელურის დატოვება იმას როდი წიწნავდა, რომ ზანზარეთის იმპერია არ გააგრძელებდა თავის მზაკვრულ საქმეს – საჩეფელას ჩაყლაპვას თავის ენიანად.

1978



ჯაჭვი

მოსახვევთან ძველებური „ვოლგა“ გაჩერდა. მძღოლმა ბამბუკის მესერთან ინდურ ყაიდაზე ჩაყუნცულ, თექვსმეტიოდე წლის ყმანვილს შეხედა. ბიჭს თვალები დაეხუჭა, ქვას ქვაზე გამეტებით ურტყამდა და ისე სერიოზულად მღეროდა უწმანურ სიმღერას, რომ კაცი მანქანაში შებრუნდა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

ბაზრის კარებთან დაყუდებულ, წვეროსან, ბრმა ეპრაელს რაღაც ჰეკითხა. ეპრაელს გაეცნა და წვერზე ხელი ჩამოისვა. მგზავრმა კითხვა გაუმეორა. „წადი შენს გზაზე, დაგენაცვლე, ამ ყინვაში საგლახაო სხვა ვერავინ ნახეო?“ მიუგო ბრმამ და ზურგი შეაქცია.

შემცდარი კაცი დანების მლესავს მიადგა. ოსტატმა ჩარხის გუღლისწამლები წუილი წამით რომ შეაჩერა და დანას პირს უსინჯავდა, მძღოლმა კითხვა მესამეჯერ გაუმეორა. ცივი იარაღის მომპირავმა ჯერ სტუმარი აათვალიერა და რაკი დარწმუნდა, ნამდვილად მეკითხებაო, ნიკაპით მიუთითა გორაკზე წამოჭიმული, ამ დაბაში ერთადერთი, ოთხსართულიანი შენობისაკენ: „ა, ბატონი, სასტუმრო, რავა იმასავით მოგდის: მაძებარი კვალს რო დაჩერებოდა და დათვის უკანალში ლენა ცხვირი“. მძღოლს მლესავი რატომლაც რუსი ეგონა და იმერულად რომ მოუქცია, ცოტა არ იყოს გაუკვირდა, მაგრამ როდი შეიმჩნია. შენობას გახედა და სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა, პალტოს კალთები აიკეცა.

სასტუმრო შემოლობილი არ გახლდათ. ალბად იმ მიზეზით, ციცაბოზე რომ იყო აშენებული. სამანქანო გზის გარდა სხვა მხრიდან ცხენითაც ვერ მიუდგებოდი. ჭიშკრის ადგილას რკინიგზის ორი რელსი ჩაესოთ და ზედ დაბოქლომილი ჯაჭვი გაებათ. აქედან შენობამდე ასიოდე მეტრი იყო დარჩენილი. სასტუმროს ადმინისტრაციის მტკიცე გადაწყვეტილებით, სტუმარს კეთილი უნდა ენებებინა და ეს გზა ფეხით გაევლო. მარჯვენა მხარეს ხუთიოდე, ტალახში ამოგანგლული, მსუბუქი მანქანა იდგა.

ჩვენმა ნაცნობმა მგზავრმა კარგა ხანს უყურა ჯაჭვს, ირგვლივ მიმოიხედა და იმ ეზოურეში რომ ვერავინ დალანდა, რაღაც წაიპუტბუტა, რა წაიპუტბუტა, ვერ გეტყვით, მაგრამ საალერსო რომ არაფერი უთქვამს, ღრმად ვარ დარწმუნებული. გამოტრიალდა. საბარგული გახსნა, ახალთ-ახალი, საკმაოდ მოზრდილი, სამკუთხა ქლიბი დააძრო და ბოქლომის გაქლიბვას შეუდგა.

ოცდასამი დეკემბრის სუსხიანი დილა იდგა.

ღრუბლის აბრეშუმში შეხვეული მზე საოცრად წააგავდა მთვარეს. მთვარესავით მკრთალი, უსიცოცხლო და სითბოგამოცლილი იყო.

ირგვლივ, ძანძალეთის ულამაზეს მთებზე, კარგა ხანია მოეთოვა. დაბაში ყინვისკუდა ქარი გასაფრთხილებლად ხანდახან მეჩერ წვიმაში წვრილ თოვლს გაურევდა. ეს იყო და ეს.

კაცი, რომელიც ბოქლომს ქლიბავდა, ამ საქმეს მაინცდა-მაინც მიჩვეული არ იყო და მალე დაიღალა. ერთხელ ცერზეც კი დაისვა ქლიბი. ჯერ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ ფრჩხილის ქვემოთ სისხლმა რომ გამოჟონა, შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი დააძრო, თითქმის უნარბო შუბლზე გაისვ-გამოისვა და მერე თითზე დაიხვია. ქლიბის მოძრაობას რიტმულ ქშენას აყოლებდა, ხანდახან წამით შეჩერდებოდა, ქარს მიაყურადებდა და ქლიბს შეატრიალებდა. მაღალი იყო და საეჭვოდ გამხდარი. მის ფერწასულ სახეს თვალს რომ შეავლებდით, ფენჯგირეს თავთავივით სქელი და ხშირი ულვაშები და ნალვლიანი, დიდი თვალები დაგამახსოვრდებოდათ. ბიბლიოთეკარივით ბეჭებში მოხრილი და დამცხრალი გახლდათ. ისე დუნედ და ნელა მოძრაობდა, გეგონებოდათ, ამ კაცს სახლი რომ ეწვებოდეს, ფეხს არ აუჩქარებსო. იაფთასიანი პოლონური მოსასხამი ეცვა, ჰალსტუხსა და პიჯაკს შორის კოხტად შემოყოლებული, ცისფერი რიცე დახრისას უვარდებოდა და ქლიბვაში ხელს უშლიდა.

საქმეს რომ მორჩა, ბოქლომი შორს მოისროლა, ჯაჭვი მზრუნველი ხელით გადაკიდა რელსზე, ქლიბი ისევ საბარგულში შეინახა და მანქანა პირველი სიჩქარით შეიყვანა ეზოში. ორმოციოდე წლის, თმახუჭუჭა, ზორბა მილიციელი, რომელსაც ნასხვისარივით მოკლე მუნდირი ეცვა, სასტუმროს კიბეზე ელოდებოდა.

სტუმარმა ჩემოდანი გადმოილო, მილიციის სერუანტს თვალი განგებ აარიდა და ის იყო კარებს უნდა მისწოლოდა, რომ მკაცრად და კატეგორიულად მოქსმა:

– მოქალაქეებ!

მგზავრი შეჩერდა და მოიხედა.

– გვნახეთ ერთი აქეთ, თუ შეიძლება, – სახელმწიფო ორგანოს მუშაქს რადიოს დიქტორის ბოხი, მაგრამ ხავერდოვანი ხმა ჰქონდა.

ჩემოდანი დადგა და ოთხ საფეხურზე ჩამოქვეითდა.

– რა გნებავთ? – ჰქონდა მილიციელმა.

– მე მინდა მანქანა არ მომპარონ, თუ ჩემი სურვილი უცნაურად არ გეჩვენებათ. – პათეტურად, ლიმილით მიუგო მგზავრმა და შებრუნდა.

– მოითმინეთ, მოქალაქევ, ის ჯაჭვი თუ იცით, რისთვის იყო იქა?

– რომელი ჯაჭვი? – დღოის მოგების მიზნით ჰქონდა სტუმარმა, თორემ მშვენივრად იცოდა, რა ჯაჭვზეც იყო საუბარი.

– რომელიც გაქლიბეთ.

– მანქანით ეზოში რომ არ შემოვსულიყავ.

– მერე?

– რა მერე. დიდხანს ვიფიქრე და იმ ჯაჭვის გამბმელთა საქციელში ჭკუის ნატამალიც ვერ დავინახე.

– ამიტომ ადექით და ბოქლომი გაჭერით არა?

– რა დაგიმალოთ და კი.

– რა ჰქვია, თუ იცი, შენ საქციელს?

– რატომლაც „შენობაზე“ გადავიდა მილიციელი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სტუმრისადმი მცირეოდენი მოკრძალების გრძნობაც გაუქრა:

– ბოქლომის გაჭრა – სტუმარი მილიციელს მკაცრ, ცისფერ თვალებში შეჰყურებდა და ულიმოდა, წესრიგის დამცველს ეს ლიმილი წონასწორობას აკარგვინებდა. ასეთი რამ არასოდეს დამართნია, სურდა რაც შეიძლება, გაცეცხლებული ყოფილიყო, მაგრამ არ გამოსდიოდა. თითქოსდა კულტურის სახლის სცენაზე მილიციელის როლს ყალბად და უგერგილოდ თამაშობდა.

– მერე? – მილიციელმა განზე გაიხედა.

– რა მერე?

– ვერ ხვდებით, ამხელა კაცი მაგ ჯაჭვის ყარაულად რომ დამაყენეს?

მგზავრი წესრიგის მეუფეს მიუახლოვდა და ლამის ჩასჩურჩულა:

– იქნებ გეხუმრებიან. გაბმულ ჯაჭვს დარაჯი რად უნდა.

– ხომ ხედავ, უნდებია.

– უნდებია კი არა ნდომებია.

– თავს ნუ გაგივიდათ. ახლავე გაიყვანეთ მანქანა და ბოქლომი თავის ადგილას დაკიდეთ, თორემ გადაყვება ვიღაც ამ საქმეს.

მგზავრმა ორივე ხელი მკერდზე მიიდო და მილიციელის წინაშე მუხლებზე დაეცა:

– თუ ძმა ხარ, არ დამღუპო. ახლავე ა, ამ წუთში, ჩემოდანს ნომერში ავიტან, ჩამოვბრუნდები და ახალ ბოქლომს დავკიდებ. ათი წუთი მადროვე, ნუ გამიხდი საციმბიროდ საქმეს, ნუ დაყრი ჩემს ცოლ-შვილს უპატრონოდ. ეს რა შეცდომა მომივიდა, ჩემს თავს ვერ ვაპატიებ. როგორ ვითიქრებდი, მთავრობის საწინააღმდეგო საქმეს თუ ჩავდიოდი. მე ვთქვი: ჯაჭვია უბრალო, ვის რაში ჭირდება, ვის რაში ენაღვლება-მეთქი. რავა მეგონა, ამ ჯაჭვზე თუ მთელი შტატი იყო გამოყოფილი.

ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ მგზავრი აშკარად თვალთმაქცობდა. იგი ბოქლომის ჩამომტანი არ იყო. სტუმრის სითამამემ მილიციელი დააჭვა. ცოტა ხანს ვაცლი, ვინმე დიდ კაცთან არ მქონდეს საქმე და მახეში არ გავება, ჩემნაირ საწყალ მილიციელთან დიდი კაცები ხომ ყოველთვის მართლები არიანო.

– მოითმინეთ, ჯერ ლაპარაკი არ დაგვიმთავრებია, – სერუანტმა კარებთან მისული მგზავრი კიდევ ერთხელ შემოაბრუნა.

ჩემოდნიანი შედგა და გაკვირვებით მოიხედა, აქაოდა ხომ ყველაფერი გარკვეულია, რაღა უნდა ამ პატიოსან კაცსო.

მილიციელმა ტყავის ჩანთა გახსნა, ქალალდი და ფანქარი ამოილო, ფანქარი (ეტყობა „ქიმიური“ გახლდათ) ენის წვერზე გაისვა და ჰქონდა:

– გვარი თქვენი?

– გოგოლაშვილი.

– სახელი?

- აღათანგ.
- პროფესია?
- მელიმონე.
- ვერ გავიგე?
- საცდელ მეურნეობაში ვმუშაობ, ლიმონის ყინვაგამძლე ჯიშები გამომყავს.
- თანამდებობა?
- მუშა – ლაბორანტი.
- უმაღლესი განათლება გაქვთ?
- არა.

ორგანოს წარმომადგენელმა ქალალდი დაკეცა და ჩანთაში შეინახა, მერე საფეთქელთან მარჯვენა მიიტანა და წელანდელზე უფრო კატეგორიულად უთხრა აღათანგს:

– სერუანტი ხეთაგური. აი, რა მოქალაქე გოგოლაშვილო, თქვენ დაარღვიეთ სასტუმროს შინაგანანესი და ბოქლომის გაქლიბვით (რასაც ეზოში მანქანის შემოყვანა მოჰყვა) ხელი შეუშალეთ ხელისუფლების წარმომადგენელს მოვალეობის შესრულებაში. ეს სამოქალაქო კოდექსის საქმეა, მაგრამ ვალდებული ვარ პირველად გაგაფრთხილოთ. მსგავსი შემთხვევის განმეორების შემთხვევაში მკაცრად დაისჯებით.

ხეთაგურმა პასუხს არ დაუცადა, შეტრიალდა და ახალი ბოქლომის საშორენელად წავიდა.

მელიმონე აღათანგ გოგოლაშვილმა ადმინისტრატორს მოლუშული სახით შეხედა. არც კი უკითხავს – ცარიელი ოთახი გაქვთ თუ არაო. იცოდა, ასეთ კითხვაზე დედამიწის ადმინისტრატორთა დიდი უმრავლესობა უარყოფით პასუხს იძლევა. ანკეტა შეავსო, პასპორტთან ერთად გაუწოდა სასტუმროს მოხელეს და ყოყმანიც კი არ აცალა – თუ შეიძლება, ფანჯარა, აქეთ მხარეს გამოდიოდეს. პანორამას უნდა ვუყურო.

- რას? – შუბლზე აინია სათვალე ადმინისტრატორმა.
- პანორამას, – ლამის დაუმარცვლა სტუმარმა.

ეს სიტყვა საკმარისი ალმოჩნდა იმისათვის, რომ აღათანგ გოგოლაშვილი ამ სასტუმროს პირობაზე ერთ-ერთ საუკეთესო ნომერში შეეშვათ.

იმ ღამეშ სასტუმროს ადმინისტრატორისთვის ძილ-ღვიძილში, მსოფლიო პრობლემებზე ფიქრსა და საზოგადოებრივ -სა-სარგებლო საქმეებზე ზრუნვაში ჩაიარა.

დილით სანამ შემცვლელი მოაკითხავდა, ხეთაგურმა პირსახოცი მხარზე გადაიგდო, წყაროზე ჩავივლი, პირს დავიბანო. სასტუმროს ონკანისკენ არც გაუხედავს, დაბის წყალმომარაგების სამსახურზე ერთხელ და სამუდამოდ გული ჰქონდა გამტყდარი, არადა სწორედ იმ დილით, თვით წყალსადენის ზოგ მუშაკსაც კი გაუკეირდებოდა, ისე გემრიელად მოჩერჩებებდა წყალი.

აირბინა, ოპერჩანთას ხელი დაავლო და ქვეგანყოფილებისაკენ გაეშურა.

დაბის მილიციის უფროსმა, გიგო ხუბულურმა, რომელსაც მესამე წელია სხვაგან გადაყვანას პირდებოდნენ და საჩემოდანო განწყობილება ჰქონდა, ორჯერ გაამეორებინა თავის ხელქვეითს ახირებული მოქალაქის სახელი და თანამდებობა, მერე კარგა ხანს აკაკუნა ფანქრით მაგიდაზე, მაგრამ გამწარებულ ხეთაგურს სანუგეშო მაინც ვერაფერი უთხრა: რა გიყო ახლა ძმაო, მეო, მაგ პატაკით თუ ვიმსჯელებთ, შენ უფრო ხარ დასასჯელი, ვიდრე ის კაციო. ეგ ერთი ჯაჭვი გაბარია მაგ სასტუმროში, მეტი ხომ არაფერი. აბა ჩემ ადგილას რომ იყო, როგორ გაწვდებოდი ამხელა დაბასო. სანატორიუმში კი ნუ გვინია თავი, ცოტა უფრო ფხიზლად უნდა იყო, გასაქლიბავად როგორ უნდა მიუშვა კაციო. ახლა ჯაჭვის გულისთვის საქმეს ვერ შევადგენ და კაცს ვერ დავიჭრ. მოკვდება პროკურორი სიცილით. ამ კვირაში ორი საქმე ისედაც უკან გამომატანა უსანქციოდო. წადი ახლა, იშოვე ახალი ბოქლომი და მუყაითად გაუხდი საქმეს, აღათანგია თუ ვიღაც ჯანდაბა, საკმაოდ მამალი კაცი ჩანს, რამე პრავაკციაზე არ წამოგაგოსო.

დაბამი სწრაფად გავრცელდა ხმა; კაცია ჩამოსული და დღისით მზისით სასტუმროს ეზოსთან გაბმულ ჯაჭვს ქლიბავსო. ყველას გული ჰქონდა იმ ჯაჭვით განყალებული, მაგრამ განცხადებებისა და ანონიმური წერილების წერით აქამდერაკი ვერაფერი გაეწყოთ, ბევრმა არ დაიჯერა და გოგოლაშვილის „გმირობა“ ჭორად მიიჩნია. სხვადასხვა დროს ვის არ ეახლნენ თხოვნით დაბის უხუცესნი და ახალგაზრდული კლუბების აქტივისტები პეტიციით ხელში – ჩვენს დაბაში ამ ბოლო დროს საქმეები დიახაც რომ კარგად მიდის და ეს ჯაჭვი თავს გვჭრის, სტუმარს გუნებას უფუჭებსო. თითქმის ყველა, ვისაც ჯაჭვის გაუქმებაში გადამწვეტი სიტყვის თქმა შეეძლო

— დაბის მილიციის უფროსი, სასტუმროს დირექტორი, თუ სადაპო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების გამგე პირად განცხადებაშიც და საჯარო გამოსვლაშიც გულზე ხელის ბრაგუნით ამტკიცებდა — ჯაჭვი საჭირო არ არისო. მაგრამ კატას ეუვანს ვერვინ აბამდა, ჯაჭვის ამხსნელი და გადამდები არავინ ჩანდა.

შუადღე გადასული იყო. სერუანტ ხეთაგურს ჯაჭვი ახალი ბოქლომით შეეკრა, მიუხედავად სიცივისა, იქვე ფიჭვის ფესვებთან მიუუჩულიყო და ობობასავით მსხვერპლს ელოდებოდა. სეირის საყურებლად ამოსული ათიოდე მძღოლი შორიახლო დამდგარიყო. აქამდა, ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, ჯაჭვის ბედი სულ არ გვაინტერესებსო, გულგრილად საუბრობდნენ ამინდზე და შარშანდელ მოსავალზე.

გოგოლაშვილი საღამოხანს გამოჩნდა.

მანქანიდან ხვნეშით გადმოვიდა, ეტყობოდა დაღლილი იყო. ცოტა ხანს სამძიმარზე მოსული კაცივით, თავდახრილი იდგა ჯაჭვთან, მერე თავი გადააქნია, შებრუნდა, ახალთახალი ტყავის ხელთათმანები მოირგო, საბარგულიდან ქლიბი ამოიღო და მძიმე ნაბიჯებით წავიდა ჯაჭვისაკენ.

თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, აღათანგის ირგვლივ მალე წრე შეიკრა. ახირებულ სტუმარს უსიტყვით თანაგრძნობით შესცეროდნენ. გამამხნევებელი შეძახილები თუ არ გაისმოდა და არც შესაშველებლად წასცდენია ხელი ვინმეს, მხოლოდ იმის გამო, რომ ფიჭვის ქვეშ ბრაზისაგან გაბერილი მიღიციელი ხეთაგური იჯდა და თვალებს ჭოტივით აბრიალებდა.

ორგანოს მუშაკმა ერთხანს აცალა წესრიგის დამრღვევს, მერე საფარიდან ახალაშვებულივით გამოვარდა, თითქოს ეშინია რეციდივისტი არ გამექცესო, სწორედ ქლიბიანი ხელი დაუჭირა და გამეტებით ჩასძახა:

— ახლა? ახლაც უარყოფ დანაშაულს?

აღათანგმა ქლიბი მეორე ხელში გადმოიტანა, თავი ასწია და ხალხს მიმართა:

— მოქალაქენო, მომაშორეთ ეს კაცი, სანამ ცოდვა არ დატრიალებულა!

აღათანგს ხმაში ხაფი ერეოდა, მარჯვენა ხელი მოკრივესავით ისე დაემუჭა, რომ ხეთაგურმა იფიქრა, ვინმე ნერვიული

არ იყოს, ეს მუშტი კისერში არ ჩამცხოსო, ხელი უშვა და დოინჯშემოყრილი იქვე გაჩერდა.

— მუქარას თავი გაანებე. იცოდე, პასუხს გაგებინებ! — კობა ხეთაგური უკან დახევას არ აპირებდა.

გოგოლაშვილს გაეცინა და ისევ ხალხს მიუტრიალდა.

— მოქალაქენო, შეაგნებინეთ ამ პატიოსან კაცს, რომ მე გაქცევას არ ვაპირებ. ორი დღეა აფთარივით მესხმის თავს. მაგებინოს პასუხი, როცა ნებავს და სადაც ნებავს. დასაჭერი მაშინ ვიქნებოდი, რომ გავრბოდე, არა ვარ სწორი?

— სწორი ხარ! — დაუძახა ბრბოდან ვიღაცამ.

— ჴო, ჩემო ბატონო, ახლოს ნუ მოვა და ხელით ნუ შემეხება. ნუ დამადებს თავისი ცოლ-შვილის ცოდოს. დავიღალე ამდენი გაფრთხილებით. რაც შეეხება ჯაჭვს, პირობას გაძლევთ: დღეში ოცჯერ რომ დაკიდონ ბოქლომი, ოცივეჯერ გავქლიბავ. არ მომწყინდება. დღეს სამი ახალი ქლიბი ვიყიდე სათადარიგოდ და ა, ეს ხელთათმანები, ხელზე რომ მიკეთია.

— კი მაგრამ ვუსმინოთ ამ ხვადაგურ ლაპარაკს და ვიდგეთ ასე?! — ხეთაგურმაც ხალხს შეხედა.

— რა ვთქვი, მოქალაქე მილიციელო, ხვადაგური? — გოგოლაშვილი სახიდან ღიმილს არ იცილებდა.

— ოცჯერ გაქლიბავ რა, მამაშენის დუქანია? ვინ გაგიშვებს ასე შენს ნებაზე!

— მომიტანე ორდერი და დამაპატიმრე. რას იწვალებ თავს, ღმერთი არა გნამს? ჯერ აგერ, მოწმეების გვარები ჩაინერე.

ხეთაგურს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა, ტყავის ჩანთა გახსნა, სუფთა ქალალდი დააძრო და უღალწარბებიან, მსუქან კაცს მივარდა.

— კაკო.

— ბატონო, — მიუგო კაკომ.

— მოწმე იქნები.

— სამოწმოს მე აქ ვერაფერს ვხედავ და შეინახე ეგ ქალდი, ნუ გადაიქცევი მოსე მწერლად, — მომდურავივით განზე გაიხედა კაკომ.

წესრიგის დამცველს მოწმეობაზე სხვებმაც უარი უთხრეს.

— არაფერს აშავებს ეს კაცი!

— წადი შენს გზაზე, ვითომ არ იცი, ვინ გაქლიბა!

— ქურდებს სდიეთ სჯობია, რომ აიკლეს დაბა!

ქოროსთან მილიციელის დიალოგი გრძელდებოდა, გოგო-ლაშვილი კი ბოქლომს ჩვეული სიდინჯით და ერთგულებით ქლიბავდა.

— გამაგდონ, აბა, ამის გულისთვის? — მილიციელის ხმაში სილბო და ცრემლი ჩამდგარიყო.

— სხვა რამე არ გააფუჭო და ამის გულისთვის არავინ გაგა-გდებს, — დაამშვიდა ვიღაცამ.

— კობა, ისე ჩვენს შორის დარჩეს და შენც ხომ იცი, რომ ეს ჯაჭვი საჭირო არ არის? — კითხა კაკომ.

— ვიცი.

— მერე? ჩვენს საქმეს აკეთებს ეს კაცი და შეუწყოთ ხელი.

— აბა მე რა ვქნა, მე პატარა კაცი ვარ, რასაც მიბრძანებენ, უნდა შევასრულო.

გოგოლაშვილმა გაქლიბული ბოქლომი ჯიბეში ჩაიდო, შეკრებილთ მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისთვის, მანქანა ნელი სვლით შეიყვანა სასტუმროს ეზოში და თავდახრილი სერუანტი ხალხსა და თავის მწარე ფიქრებს შეატოვა.

შუადლისას ალათანგ გოგოლაშვილის ნომრის კარი ვიღაცამ ჯიქურ შეაღო, მასპინძელი სანოლში რომ დახვდა უკან დაიხია და მოკრძალებით დააკაკუნა.

კარში სერუანტი იდგა, მარცხენა ხელში ქუდი ეჭირა, მარ-ჯვენაში მკერდზე ატაცებული ორი შამპანიური. მთვრალი იყო.

— თუ კაცი ხარ, არ გამაგდო. არ გეწყინოს, დავთვერი, ეს ოხერი. არ ადგე, არ ადგე, თორემ წავალ — ბოთლები მაგიდ-აზე დააწყო და სკამი გამოსწია — ასე იყავი, როგორც ხარ, ერთი ჭიქა მინდა შენთან დავლიო. გულმა არ მომითმინა... არეულად ვლაპარაკობ... დავთვერი ეს ოხერი...

გაოცებულ ალათანგს წამოდგომა არა და არ დაანება, ჭიქე-ბიც თვითონ მოძებნა, შამპანურიც გახსნა, დაუსხა მასპინძელს და მიაწოდა. მერე თვითონ დაისხა, საკინძე შეიხსნა, ღრმად ამოისუნთქა და ჭერზე თვალებაპყრობილმა, შესაძლებლობის-ამებრ დასერიოზულებულმა, ალსარებასავით დაიწყო:

— მამაჩემი მეტყოდა, პატივცემულო, ხანდახან შენს თავს უნდა შემოესწროო. უსწავლელი კაცი იყო. იცით რას ნიშნავს ეს თქმა? შენს თავს რომ გარედან შეხედავ. შენს საქციელს რომ შემოესწრები. ახლა მივხვდი, რა მართალი ყოფილა მამა-

ჩემი. ეს მინდოდა მეთქვა შენთვის, მეტი არაფერი. არ გეწყინოს. ამ შუაღამისას თავზე რომ დაგადექი. მე უზრდელი კაცი არა ვარ. მაგრამ გული გამისკდებოდა, დღეს რომ არ დავმთვრალიყავ. არ ხერხდება ამ ჩვენს საქმეში, ძნელია, თორემ განა არა ხართ მართალი? ასე უნდა იყოს, აბა რა. ხანდახან კაცი უნდა შემოესწროოს თავის თავს. აღარა ვართ უკვე ბავშვები. სამჯერ მაინც დავლიე დღეს შენი სადლეგრძელო. შენ გენაცვალე ხელებში. კაი ვაჟუაცებია ამ დაბაში, ენა დიდი აქვს ბევრს, მაგრამ ვინ გაქლიბა? ვერავინ. აქ მაინც რაღად უნდა ჯაჭვი კაცო? ვის ვაკავებთ. შემოვიდეს ადამიანი თავისუფლად. რას ვუშლით ამ ხალხს ნერვებს. მოდი, შენს მარჯვენას გაუმარჯვოს ჩემო... სახელი ქე გადამავინყდა...

— ალათანგ.

— ჩემო ალათანგ.

მილიციელმა და „დამნაშავეტ“ იმ ღამით დიდხანს ისაუბრეს, ორი ბოთლი შამპანური გამოწრუპეს და პირზე კოცნით დაშორდნენ ერთმანეთს.

დილით გოგოლაშვილს ადმინისტრატორმა განუცხადა — გერმანელ ტურისტებს ველით და დღეს თორმეტ საათამდე ნომერი უნდა ჩაგვაბაროთო.

ალათანგს უარი არ უთქვამს.

მაინც უნდა წავსულიყავიო, ჩაილაპარაკა, კიბეზე შებრუნდა და მალე უკანვე დაეშვა თავისი მოყვითალო, ალაგ-ალაგ გაცვეთილი ტყავის ჩემოდნით.

გოგოლაშვილის წასვლის მეორე დღესვე გააბეს ჯაჭვი სასტუმროს ეზოს შესასვლელში. ბოქლომიც ახალი დაჰკიდეს და მცველიც ახალი მიუჩინეს. სერუანტი კობა ხეთაგური კი ბაზარში გადაიყვანეს წესრიგის დამცველად.

ალათანგის უცნაურ სტუმრობას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია.

ვიღაცამ ამ ერთი თვის განმავლობაში სამჯერ გაქლიბა ბოქლომი.

მართალია მიპარვით, შუაღამისას (როცა მილიციელს ღრმად ეძინა), მაგრამ მაინც ხომ გაქლიბა.

1975



ცისარტყელა

აზიმზიმებულ ბრძოში ჩიტო რაზმაძემ შორიდანვე შენიშნა ვეებერთელა, წითელცხვირიანი კაცი, რომელსაც თავზე იმერული თეთრი ქუდი ეხურა და ხალხს ჯიქურ მოარღვევდა. ჩიტომ საყვირი მოიმარჯვა და ფიცარნაგზე შეხტა, მაგრამ, სანამ თუნუქის ძაბრს (მენავთის ძაბრს რომ საოცრად წააგავდა) ტუჩებთან მიიტანდა, ყელსახვევიანი გოლიათი გვერდით ამოუდგა:

— რაზმაძე თქვენ ბრძანდებით?

— გისმენ, ბატონო, — კაცს რომ დიდსა და სერიოზულ საქმეზე მოაცდენენ და ნაძალადევ თავაზიანობას წკეპლასავით რომ გადაჰკრავს აბეზარ მთხოვნელს, ისეთი სახე მიიღო ჩიტომ.

— მეთხუთმეტე სკოლა ვარ, — მეთხუთმეტე სკოლის წარმომადგენელს ლომის ტორები და ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა.

— მერე?

— სად დავდგეთ, რა გავაკეთოთ, სად გაიხადონ ბავშვებმა?

რაზმაძემ მარცხენა ხელით დოინჯი გაიკეთა და ისე რომ რუპორი პირიდან არ მოუცილებია დამარცვლით უთხრა გოლიათს:

— გავიგე ბატონო, დაგიბარა ვინმემ აქანა? ყველა წარმომადგენელი რომ აქ მოვიდეს, მოუხდება საქმეს? მიბრძანდით, სადაც ხართ და დაგიძახებენ ყველას. გასაგებია? თუ არაა გასაგები!?

— მასე თქვი, რა გაყვირებს მერე, — წითელყელსახვევიანმა დევმა რაზმაძეს ზურგი შეაქცია და თავისი ლონიერი „ნიჩებით“ ხალხს მიაწვა, რომ სტადიონის აღმოსავლეთის ტრიბუნასთან მიქუჩულ თავის მოსწავლებთან გაელნია.

ქალაქ ოლასკურაში ცხელი მაისი იცის.

ჩაივლის თუ არა აპრილი თავის მწვანე და გრილი მარაოთი, შეითვალება ალუჩა და შეებრანება ლოყები საადრეო ბალს, სათაფლიიდან ერთ სალამოს ალარ დაუბერავს რიონისპირული აბრეშუმიანი სიო და ერთბაშად ჩამოცხება.

სიცხე მოედება ყველას და ყველაფერს. აკაციებს ყვავილი ერთბაშად შეახმება და ცვენას იწყებს. სიმინდი მოიჩვარება, აკაკის ბალის ჭადრებს ახალი, მწვანე ფოთლები გაუსქელ-გაუუხეშდება, ფასი დაედება ჩრდილსა და წყალს.

ჩიტო რაზმაძემ შარშანნინ დაამთავრა პედაგოგიური ინ-სტიტუტის ისტორია-ფილოლოგის ფაკულტეტი. ოლასკურას მეოთხე სკოლაში დირექტორის მოადგილედ გაამწესეს იდეურ-ალმზრდელობით დარგში. ჯერ თავი მხოლოდ იმით გამოიჩინა, რომ მეოთხე სკოლაში კარგად გაიარა საპირველმაისო პარადზე. ჩიტოს იდეა იყო: თეთრ მაისურებიანმა ბიჭებმა და გოგონებმა უკანსვლით ჩაიარეს ტრიბუნებთან, მერე ერთბაშად შემოტრი-ალდნენ და ჰაურში უბეში დამალული მტრედები ააფრინეს. ნოეს ფრინველების ფრთების ბათქუნმა ორკესტრის ხმაც კი გააყრუა. გუშინნინ დაიბარეს ჩიტო და მოსწავლეთა საქალაქო მისალმების გაკეთება დავალეს. აქამდე თეატრის მთავარი რე-ჟისორი გოგი კობეშავიძე ხელმძღვანელობდა საზეიმო სანახაობების მომზადების რთულ საქმეს. გოგის სათანადო გამოც-დილებაც ჰქონდა და საერთოდ დაუზარელი კაცი იყო. ახლა კი რატომლაც გოგის გვერდი აუარეს. ჩიტოს დრო ალარ დარჩა დაფიქრებულიყო იმაზე, თუ რატომ შეაჩერა განათლების გან-ყოფილებამ არჩევანი მასზე. იმ დღეს გულის სილრმეში თუ ცოტა გაეხარდა კიდეც ამხელა საქმე რომ ანდეს, მერე და მერე შემინდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ოლასკურაში დიდი სტუმარი გამოივლის. თეატრის მოედანზე უკვე დაიწყეს ხომალ-დის მსგავსი, დიდი, წაფერდებული ტრიბუნის გაკეთება. ჯერ მოედანზე უნდა გაითამაშონ ბავშვებმა საზეიმო ატრაქციონი, მერე ტრიბუნიდან უნდა მიესალმონ სიმღერითა და ტრანსპარ-ანტებით. „მისალმება არ ჩაგივარდეს, თორემ მეორე დღეს ჩვენი ბურდღა არ იქნება ამ ქალაქშიმ“, უთხრეს ჩიტოს. არადა თოთხ-მეტამდე დროც ცოტა დარჩა, დღეს ექვსი მაისია. ამ დილით დაამტკიცეს, როგორც იქნა, მისალმების პროექტი. სამი დღე ბჭობდნენ. ზოგი ამბობდა: მოედანზე ორმოები ამოვთხაროთ, ზედ ფიცარნაგები დავაფაროთ და ორკესტრის ხმაზე გვირილე-ბივით მიწიდან ამოვიდნენ ბავშვებიო, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყვეს ტექნიკური სიძნელეების გამო. მერე ასეთი წინადადება წამოაყენა ყრუ-მუნჯ ბავშვთა დამხმარე სკოლა-ინტერნატების

მთავარმა მეთოდისტმა: ვერტმფრენები შევაჩეროთ მოედნის თავზე და ციდან კიბით ჩამოვუშვათ ბავშვებიო, ეს აზრიც უარყოფილ იქნა ტექნიკური სიძნელეების გამო. პოლოს მაინც ჩიტო რაზმაძის წინადადებაზე შეჩერდნენ. ჩიტომ მისაღმების ასეთი პროექტი შესთავაზა: თეატრის მოედანზე ყველა კუთხი-დან ერთბაშად უივილ-ხივილით შემოცვივან ათი-თორმეტი წლის მოზარდები. ცალ ხელში ყვავილების თაიგული ექნებათ, ცალში გრძელი, წითელი ლენტები. რამდენიმე დეკორატიულ ვარჯიშს შეასრულებენ. მერე ჯგუფებად დანაწილდებიან, წითელი ლენტების ქნევას ერთდროულად დაინყებენ და ამასობაში თითოეულ ჯგუფს გამოეყოფა ყვავილებით თავიდან ფეხებამდე შემოსილი თითო წარმომადგენელი ხელში უზარმაზარი თაიგულით. სანამ ბავშვ-თაიგულები ტრიბუნაზე აირბენენ და იქ მყოფთ ყვავილებს ჩამოურიგებენ, ქვემოთ დარჩენილნი წითელ ლენტებს იქნევენ და ჰყავირიან: „დიდება, დიდება, დიდება“. მერე მოედანზე აღიმართება გიგანტური ცისარტყყლა. ცისარტყყლას შვიდ ფერზე შვიდი ბავშვი იქნება შემომსხდარი და შვიდ ხმაში იმღერებენ მისალმების ტექსტს. ბოლოს იმ სიმღერას მთელი მოედანი აიტაცებს და ცისარტყყლის ქვეშ გაივლიან მოზარდები, ტრიბუნისაკენ შებრუნებულნი, სახეზე ბედნიერი ლიმილითა და ხელების ქნევით. ყველანი განაწილდებიან ახალ, წაფერდებულ ტრიბუნაზე. ახლა იქიდან მიესალმებიან სტუმარს ტრანსპარანტებით, წელზე შემოხვეულ დარაიებს მოიხსნიან და „ძმობა, ერთობა, თავისუფლებას“ გამოსახავენ ცოცხალი ასოებით. ორკესტრის აკომპანემენტით ინტერნაციონალს იმღერებენ და ამით დამთავრდება მისალმება.

ფიცარნაგი, რომელზეც ჩიტო დგას, ათსაფეხურიანია და სტადიონის ყველა კუთხიდან კარგად მოჩანს. ჭოკით მხტო-მელთა შეჯიბრებისათვის ხომ გიყურებიათ? გვერდითი მსაჯები რომ ჩამოვარდნილი ჭოკის გასასწორებლად თვითმფრინავის ტრაპის მსგავს კიბეს გამოაგორებენ, სწორედ ეს კიბე დაუთმეს. კიბის თავზე გაჭირვებით ორი კაციც დაეტევა, მაგრამ საშინა. ახლაც ჩიტო მოაჯირს ენერგიულად რომ მოაწყდება, კიბე საეჭვოდ ქანაობს. იმ დროს მისალმების სულისჩამდგმელი ქადაგებას წყვეტს, საყვირს იღლიაში ამოიდებს და კიბის თავს ორივე ხელით ჩაეჭიდება.

მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე საშუალოზე ოდნავ მაღალი, მეტისმეტად გამხდარი კაცია. გეგონება, სული რომ შეუტერო, წაიქცევაო, მაგრამ არც ეგრეა საქმე. თავზე ოთხად განასკული ცხვირსახოცი ფაფანაკივით ჩამოუფხატავს. გამხდარ სახეზე საკმაოდ მოზრდილი და მსუქანი ცხვირი ღმერთის ცუდლუტობად დაშვებულა. შესანიშნავ კინომსახიობს ფრუნზე მკრტიჩიანს მიუგავს ცხვირი. განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ ფ. მკრტიჩიანს უხდება თავისი ცხვირი, ჩიტოს კი არა. ხომ გითხარით, პროპორციული არ არის მისი სახის სხვა ნაკვთებთან და იმიტომ. შეშინებული თვალები ხომ გინახავთ? თვალის გუგები რომ ფართოვდება და ადამიანის გონება ელვისისინრაფით ეძებს საშიშროებიდან თავის დაღწევის გზას. ჩვეულებრივად შეშინებული თვალები კაცს ათასში ერთხელ გაუხდება ხოლმე. ჩიტოს კი სულ შეშინებული თვალები აქვს – ფართოდ გაღებული. ისე ფართოდ, რომ მისი საცოდავი სწორი წარბები უთავბოლოდ დახტუნაობენ შუბლზე. შიშის დროს მე არ მინახავს ჩიტო რაზმაძე, ამიტომაც ვერ გეტყვით როგორი თვალები ექნება დიდი განსაკლდელის (ლმერთმა აშოროს) უამს. ვიეტნამელივით წვრილ და გამხდარ თითებს ნერვიულად ათამაშებს. ხან ჩამოშვებული თეთრი პერანგის ლილს აწვალებს, ხან საყვირი უთავბოლოდ გადააქვს ხელიდან-ხელში.

როგორც იქნა, მოათავა შესავალი სიტყვა; გამოსვლა თოთხმეტ მაისსააო დანიშნული თორმეტ საათზე. აქედანვე შეუდექით ფორმის შოვნას – ისფერი პერანგები და ლურჯი ტრუსები უნდა გეცვათ ყველასო. ისფერი ნაჭერი ხონის გადასახვევთან იყიდება და სანამ გათავდებოდეს, უთხარით მშობლებს დღესვე შეიძინონ; წითელ ლენტებს ჩვენ დაგირიგებთ, რაც შეეხება ყვავილებს, რეპეტიციის დროს თუთის ტოტებითაც იოლად გავალთ, თოთხმეტში კი თითო მომცრო თაიგულის შოვნა მოგიწევთ ყველასო. მისალმებაში, როგორც იცით, მხოლოდ მესამე და მეოთხე კლასები მონაწილეობს, სხვები არ დაიშვებიანო. ქალაქის თხუთმეტივე სკოლა დაკავებულია და თითო სკოლამ ორმოცდაათ-ორმოცდაათი ბავშვი უნდა გამოიყვანოთ, არც მეტი არც ნაკლები. წარმომადგენლების საყურადღებოდ ვაცხადებ, მოსწავლეები თხუთმეტ მაისამდე

გაკვეთილებიდან თავისუფალი არიან, ასე გადაეცით მათ დამ-რიგებლების. მშობლების დასწრება რეპეტიციაზე საჭირო არ არის, მაგრამ თუ თავისას მაინც არ დაშლიან, ბრძანდებოდნენ, ბატონო, ოღონდ ტირბუნებზე ისხდნენ და მოედანზე არ დავინახო არც ერთი მათგანიო. ახლა თუ რამე გაუგებარია, შეკითხვის მოსაცემად ჩემთან ნუ მოხვალთ, გზადაგზა თვი-თონ აგიხსნით ყველაფერსო.

რომ დაამთავრა, ჩაახველა და ცოტა ხანს მიაყურადა აუივუივებულ ლაშქარს. ცხვირსახოცს მიწვდა, გამეტებით მოიხადა, სახეზე მიისვ-მოისვა და ისევ თავზე ჩამოიმხო, მა-გრამ ცალი ხელით გაუჭირდა განასკვული ცხვირსახოცის ჩა-მოცმა. საყვირი ლაჯებში ამოიდო და მეორე ხელიც მიახმარა. ვიღაცას ქვევით ჩასძახა, მოშორდი, ნუ ეყრდნობი კიბესო, თავი ასწია, ჩაახველა და დაიწყო:

„ყურადღებით იყავით, მომისმინეთ ყველამ. ჩემგან მარცხენა მხარეს კარებს ხომ ხედავთ, ფეხბურთის კარებს. აქედან ვიწ-ყებთ, პირველი სკოლა წამოვიდეს და დადგეს. წარმომადგენელი გამოუძლვეს, ასე ცოცხლად... მიუდექით ერთმანეთს ხუთ-ხუთი კაცი. დადგა პირველი სკოლა? ახლა მეორე სკოლა. მეორე სად არის, პო, წამოდით, გამოუძეხით, გამოუძეხით ერთ-ერთმა. მშობლები აქ არ დავინახო-თქვა, ხომ ვთქვი? მესამე სკოლა, მეოთხე: ...ასე ასე. მოყევით ერთმანეთს. ეს რომელი სკოლაა ასე ცოტა? ხვალ ორმოცდაათს ერთი არ დააკლდეს იცოდეთ. სად მოდიხართ ჩანთებით, ჩანთები ვერ დააწყვეთ ტრიბუნაზე? ნუ გემინიათ არ წაიღებს არავინ. თუ მაინცდამაინც ერთი ბავშვი მიუჩინეთ და უდარაჯებს. ყველა ერთად ნუ მიბრუნდებით. ხო, კარგი, დააწყვეთ და გამოიქეცით სწრაფად. მეთხუთმეტეს ხელმძღვანელი სადაა, აქ არ იყო ამ წუთში? მიდი მიბრძანდი, ბატონო, და დაუდექი სკოლას წინ. ასე... გასწორდით ყველა, გაიმართეთ ბეჭებში და მომისმინეთ კარგად!“

კიბე უეცრად შექანდა და ჩიტომ კატის სისწრაფით გააგდო საყვირი ხელიდან. საყვირი ბალახს დაეცა. მოაჯირს ჩაჭიდებულ-მა, ფეხებგაფარჩულმა რეჟისორმა ქვევით ჩასძახა: „ნუ ეყუდებით ამ უპატრონოს, წაქცევაზეა ისედაც. ჯინი გაქვთ ჩემი? მომა-ნოდე აქეთ, ჩაიტყლიუა ხომ? მომე, მე გავასწორებ, შენ ნუ ამოხ-ვალ, მაცადე, კაი, ნუ გლახაობ, მაგის თავი მაქვს ახლა მეე?“

ქვემოთ პიონერთა ხელმძღვანელები და განათლების გან-ყოფილების ინსპექტორები იდგნენ. ზოგი მათგანი ღლაბუ-ცის ხასიათზე დამდგარიყო, აქმოდა რაზმაძეს ჩამოვარდნის ეშინიაო, სწორედ მაშინ შემოჰკრავდა ფიცარნაგს ხელს, როცა სტადიონის რეჟისორი მთელი არსებით ჩართული იყო საქმეში.

საყვირი რომ დაუბრუნეს, ჩიტომ კარგა ხანს აკაკუნა იგი მოაჯირზე, მერე ქვა მოითხოვა, ამომიგდეთო. ვიღაცამ თავის სიმსხო ქვა მოარბენინა. რაზმაძე გაწყრა, არ ამოაგდო, შენ ხომ არ გაგიუდი, რად მინდა ამსისხო ქვა, ეგერ შენს ფეხებთან რომ აგდია, ის ამომიგდეო. „მოუხეშავი“ ინსტრუქტორი ქვას დაწვდა და ისე გამეტებით აისროლა მალლა, რეჟისორს რომ არ ემარჯვა, თავზე დაეცემოდა. „ნესიერად ქვას ვერ მოგაწვ-დიან, ხალხია ეგენიო?“ გაიფიქრა რაზმაძემ, თუნუქის ძაბრი გაასწორა და მრევლს გახედა.

„ყურადღებით იყავით ახლა. გასასვლელებს ხომ უყურებთ ტრიბუნებს შორის, იმ გასასვლელებში შეიმალეთ... მოიცათ, სად გარბიხართ, ვთქვი ჯერ რამე? სანამ მე არ გეტყვით ერთი ორი და სამითქვა, ფეხი არ მოიცვალოთ. პირველი სკოლა, იმ კუთხეში მივიდეს ჩრდილოეთის ტრიბუნასთან, მერე მეორე მიყვეს და ასე განაწილდით მთელ სტადიონზე. დადექით იქ და ელოდეთ ჩემს განკარგულებას. აბა, რავარც გითხარით, ერთი, ორი და სამი! რა გინდათ, რას ეჩუბებით, კარგია, ასე ვთქვი სწორედ. იქ რომელი სკოლებია ერთმანეთს რომ ეტენე-ბა. თხუთმეტამდე თვლა არ იცით? გამოიანგარიშეთ, პირვე-ლი აქაა, მეორე, მესამე, მანდ მეშვიდე სკოლა უნდა დადგეს, მერვე აქეთა გასასვლელშია; დაიკავეთ ყველამ თქვენ-თქვენი ადგილი. გასაგებია? ა, ასე ვართ თავიდან, როცა მოედანზე გავივლით რეპეტიციას, იქ ყველას მიგიჩენთ ადგილს. ახლა სამითქვა რომ დავიძახებ, ყველანი ხელებაწეულები, ყვავილე-ბი და ლენტები ვიკავიათ ვითომ ხელში, გამოიქცევით და შუა მოედანზე შეიკრიბებით. მოიცათ! მესამე სკოლა ააზიე ერთი მაგ სამ ბავშვს ური! არ მაცლით დამთავრებას? ერთ ჯგუ-ფად შეიკრიბებით ყველა. მერე დავთვლი ხუთამდე და ისევ დანაწილდებით სკოლებად, ორმოცდაათ-ორმოცდაათი ბავშ-ვი წრეს გააკეთებთ მთელ სტადიონზე. აბა, ვიწყებთ! ერთი, ორი და სამი!.. არ ვარგა, მიბრუნდით ისევ უკან, ხელების

ქნევით და მხიარული, მაძლარი სახეებით მიდიხართ, იცინით, ყველა, გიხარიათ, ნუ ასწრებთ ერთმანეთს, კისერს ნუ იტებავთ, ზურგში მოყევით ერთმანეთს. აბა ვიწყებთ. ერთი, ორი, სამი! გიხარიათ, იცინით, ხელებს იქნევთ, ერთად ყველა. შეჩერდით, ნუ აწვებით, თვარა ზედახორა გაკეთდება და ერთმანეთს დაამარცხებთ! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი! დაიშალეთ წრეებად, ასე, კარგია, ყველამ თქვენ-თქვენი სკოლა ნახეთ, წრე არის ახლა ეს? ჩაჭიდეთ ხელი, როგორც იმათ, შეხედეთ. ასე გააკეთეთ, ჩაჭიდეთ ხელი და იდექით ცოტა ხანს. აბა კიდევ ერთხელ ვაკეთებთ, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას!

კიბეს ქვემოდან ხელი მიუკაუნეს. ჩაიხედა, ჭილობისქუდი-ანი ხანშიშესული კაცი დგას. სათვალიანი, სუფად გაპარსული, მოყვითალო და ლურჯთვალება, ეს კაცი სადღაც უნახავს.

- პატივცემულო.
- გისმენთ, ბატონო.
- ამოვიდე? შეკითხვა მაქვს.
- არ ამოხვიდეთ, ბრძანეთ, მესმის მაქედან.
- რა არის იცით, მე ექიმი ვარ.
- მერე?

- ბავშვი მყავს, შვილიშვილი, მოყვანილი, მარა ეგ არაფერი. ახლა ნამეტანი ცხელა. ოცდაათზე მეტი იქნება მზეში. მზის დარტყმა რომ მიიღონ ამ ბავშვებმა, არის ვინმე პასუხისმგებელი?

- ვერ დაახურეთ მერე, ბატონო, ექიმმა კაცმა თქვენს შვილიშვილს?

- დავახურე, მაგრამ არ იჩერებს, სხვებს არ ახურავთო. რამენაირად უნდა გამოუცხადოთ. არ შეიძლება ასე. ტვინი აუდულდება კაცს ამ სიცხეში.

- გმადლობთ, მეტი ხვარაფერი გნებავთ?
- მეტი არაფერი.

კაცმა მისაჩირდილებლად შუბლთან აწეული ხელი, სამხედრო სალაშივით რომ ეჭირა, ჩამოიღო და განზე გადგა. რაზ-მაძემ საყვირი მოიმარჯვა.

- ყურადღება, ქუდები ვისაც გაქვთ, დაიხურეთ თავზე! ვისაც არა გაქვთ, ხვალ წამოიღეთ. გასაგებია?!

ბავშვებმა ჟრიამულით ამცნეს, რომ ჩიტო რაზმაძის განცხადებაში გაუგებარი არაფერი იყო.

...საქმემ მიჩვევა იცის. რამდენიმე დღის შემდეგ ჩიტოს უკვე ვეღარ წარმოედგინა თავი თუნუქის საყვირისა და სტადიონის გარეშე. ეგ იყო მოყანყალე კოშკს ვერ მიეჩვია, თორემ სხვა ყველაფერი აეწყო, მოსწონდა რაზმაძეს გამოჩენისთანავე ინსტრუქტორ-ინსპექტორები წინილებივით რომ შემოეხვეოდნენ და შეკითხვებს დააყრიდნენ. ყველა მის განკარგულებას რომ ელოდებოდა. ეს ათასამდე ბავშვი ჩიტოს ხელის აქნევაზე რომ გარბოდ-გამორბოდა. გულიც კი წყდებოდა, რომ დრო სწრაფად და ულმობლად გადიოდა, თოთხმეტამდე ოთხი დღე დარჩა, რაღა უნდა ვაკეთო მერეო: ნეტავ კიდევ რაიმე ზეიმს გამოიგონებდნენ, სიამოვნებით შევუდგებოდი ახალი „გამოსვლის“ რეპეტიციებსო. სტადიონზე თორმეტ საათზე უნდა მისულიყო, თორმეტამდე ციბრუტივით ტრიალებდა, ენაგად-მოგდებული დარბოდა აღმასკომსა და მის უწყებებს შორის. ჯერ ადრე, დილით განათლების განყოფილების გამგისთვის უნდა მოეხსენებინა მისალმების ამბავი, მერე წითელი ლენტების საშოვნელად გაქცეულიყო. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ ქალაქში ტელეფონის ზარით ბევრს რამეს ვერ შეძლებდი. ოთხი დღე ატყუა სამკერვალო ფაბრიკის გამგემ, ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩერიკა წითელი აბრეშუმი (მუა აზი-ის რესპუბლიკების რომელილაც შეკვეთას შემოაჭრა) და ოპერაცია „ლენტი“ ამით დასრულდა. მხოლოდ გუშინ გაარკვია ჩიტო რაზმაძემ, რომ გრეხილი ავეჯის ფაბრიკა ცისარტყელის დამზადებაზე თავს არ იწუხებდა, არც აცია, არც აცხელა, ფაბრიკის დირექტორს მიუხტა და ქალაქის ლირსების დაცვაში თავისი მოქალაქეობრივი ვალი შეახსენა.

ფაბრიკის დირექტორმა, შავგვრემანმა, მელოტმა კაცმა, რომელსაც მაო ძე დუნის ყაიდაზე შეკერილი, ხამის კიტელი ეცვა და ზედ ერთადერთი მედალი ეკეთა, რაზმაძეს ცხვირწინ გაზეთი აუფრიალა.

- წაიკითხე?
- რა?
- გუშინდელი „ქუთაისი“.

ჩიტომ დამხვდურს აუწყა, რომ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმეზეა გამნესებული და გაზეთის წასაკითხად ვერ მოიცალა.

— ჰოდა, რომ წაიკითხავ, მერე მელაპარაკე. ეს ფაბრიკაა ბიძია, მამაჩემის დუქანი კი არაა. მე თქვენ გაზეთში მლანძლოთ — გეგმას ვერ ასრულებსო, და იმ ჭკუაზე ვარ სწორედ „ცისარტყელაზე“ (ეს სიტყვა დამარცვლით წარმოსთქვა) მოვაცდენ მუშებს.

— კი მაგრამ, ხომ დაგირევეს?

— კი, დაურეკიათ, ჩემმა მოადგილემ მითხრა. დარეკვაზე მარჯვეთ არიან. დარეკვა იცის კორესპონდენტმა ბუხაიძემ? მოვა და მეორე ფელეტონს გააშანშალებს: სკამის მაგივრად „ცისარტყელას“ (ახლაც დაცინვით გააგრძელა) სჭედავენო.

— ვინაა, კაცო ბუხაიძე. ეს ამბავი, არ იცი, რა დონეზეა გადაწყვეტილი?

— ჩემთვის, ბიძია, ყველა დონე ერთია. ჩემი ყურის ახევა ყველას შეუძლია. ასე დაგავალებენ რაცხა სისულელეს და მერე ისევ ისინი მოგთხოვენ პასუხს. რას გეტყვიან იცი? ჩვენ, კი მართალია, დაგავალეთ, მაგრამ შენ არ უნდა გექნაო.

— ოთხ დღეში გამოსვლა გვაქვს. თორმეტში მაინც უნდა გვქონდეს ცისარტყელა. ბავშვები უნდა მივაჩვიო.

— შენისთანა მიმწოლები დაღუპავენ ქვეყანას. მოუვა ვიღაც თავგახურებულს რაღაც თავში და არიქა შეჭედე ცისარტყელაო. დაგირეკავენ, გაკეთდა საქმე. დარეკილია. ახლა იმტვრიე შენ, პატარა კაცო, თავი: რამხელა ცისარტყელა, რა მასალით, როგორ უნდა დაიდგას, რითი შეიღებოს, რას უნდა ჩამოაწერო, ან ფანერი ან რეიკა? ამაზე ვინ ფიქრობს? არავინ. ერთი ანდაზა იცოდა ბაბუაჩემმა: „კატის თამაში თაგვისითვის სულთაბრძოლაა“. თქვენ გეთამაშებათ და ახლა მე მკითხეთ, ბიძია? ბუხაიძე „ცისარტყელის“ (ისევ დამარცვლა და გააჭიანურა) გაკეთებას მაპატიებს? ა, ნახე, როგორ გამომარჭიანა გაზირში. ვითომ ეს ფაბრიკა სწევს დაბლა ქალაქის საერთო მაჩვენებლებს, თორემ სხვა ყველაფერი საათივითაა ანყობილი, ისე უცხონდებათ მამა.

ჩიტო რაზმაძე მიხვდა, რომ ბუხაიძისაგან გამნარებულ დირექტორს ვერ დაიყოლიებდა, მაგრამ ერთი ქამანდიც ესროლა.

— მაინც გაგაკეთებინებენ, მე ხომ ვიცი, ამ ცისარტყელას, და სჯობდა მე და შენ ტკბილად დავშორებოდით ერთმანეთს. ახალგაზრდა კაცი ვარ. ჩემს პირად საქმეზეც რომ მოვსული-

ყავი, ჯერ იმაზე არ უნდა გეთქვა უარი და ეს ჩვენი საერთო, ქალაქის ღირსების საქმეა.

— არაფერი ღირსება არ ვიცი, ბიძია, მე. ყველა თავის საქმეს იკეთებს აქანა. მე ვინ მომაშორა ბუხაიძე? არავინ. წადი შენ და უთხარი, ვინც გამოგვზავნა, — არ აკეთებს ცისარტყელას, უბედური ყავს გამჩენსთქვა! მე ვაგებ პასუხს.

ჩიტო რაზმაძე წამოვიდა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო განათლების განყოფილების გამგეს. გამგემ მშვიდად მოუსმინა და ბოლოს ჰკითხა: როგორ შეატყვე, მაგას თავი ხომ არ მოძულდა, თუ იციო. ჩიტომ მხრები აიჩეჩა, რადგანაც თავის მოძულებისა ვერაფერი შეატყო გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მელოტ დირექტორს. არ ვიცი, რა ზომები მიიღო განათლების განყოფილების გამგემ, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ თორმეტ მაისს, ზუსტად თორმეტ საათზე სტადიონზე შემოგრიალდა ამნეზე გამობმული, გორგოლაჭებზე შემდგარი ცისარტყელა, რომელსაც უკიდან ასასვლელი კიბე ჰქონდა და ზეთის საღებავის სუნი ასდიოდა.

ისე შემოუარა მზემ უქიმერიონს და ბაგრატის ტაძარს დასავლეთის კედლის ზედა ჩანგრეულ საარკმლებზე დააფინა უკანასკნელი სხივები, რომ ჩიტო რაზმაძეს და მის ამქარს მუხლი არ ჩაუხრია. წინ მხოლოდ ერთადერთი დღე იყო და რეჟისორ-ორგანიზატორი ჩქარობდა. უთვალავჯერ გაამეორებინა ბავშვებს მონიფულთათვის არცთუ ძნელი მიზანსცენები, მაგრამ მისაღმება სრულყოფისაგან ჯერ კიდევ შორს იყო. მხოლოდ მესამე „არ ვარგაზე“ იძახდნებ ყველანი ერთდროულად „დიდება! დიდება! დიდებაო“, მანამდე კი ისე კანტიკუნტად და არეულად ჰყვიროდნენ, რომ გული მოგიკვდებოდათ. რაც მთავარია, შუადღეს რომ გადაცილდა, დაღლილსა და მოშიებულ ბაბუაზებს განამებული სახეები ჰქონდათ და მიუხედავად ჩიტოს ენერგიული თხოვნისა, ნაძალადევი, ყალბი ღიმილი ედგათ თვალებში. მშობლები ენერგიულად გამოთქვამდნენ გულისწყორმას. კიბე-ტრიბუნა კვლავ საეჭვოდ ჭრაჭუნობდა. პიონერთა ხელმძღვანელები შეძრნუნებულნი ისვამდნენ ხელს მხრებზე. იცოდნენ, რომ მისაღმების ჩავარდნის შემთხვევაში არც მათ დაადგებოდათ კარგი დღე. მათ შორისაც იყო თითო-ოროლა „ფეხზემკიდია“ კაცი, ბოლომდე რომ არ

დაეკარგა იუმორის გრძნობა. ისინი მოუბეზრებლად ესროდნენ კენჭებს ქანდარაზე მამალივით შესკუპულ ჩიტო რაზმაძეს და უცხო სიტყვებისაგან შეკონინებულ, გაუგებარ შეკითხვებს აძლევდნენ. რაზმაძის უაზრო გამოხედვაზე მარტო თვითონ აწყდებოდნენ სიცილით ერთმანეთს. „დღეს როგორმე მოვით-მინოთ, რა ვქნა, ასეა საჭირო, ხვალ დილიდან მოედანზე გადა-ვალთო, თქვენ ხომ ყოჩალი ბავშვები ხართ, გამძლეობით უნდა გამოირჩიოდეთო!“ დროდადრო ჩასძახებდა საყვირს ჩიტო და ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად გამო-ჩენილ პიონერთა საგმირო საქმეებსაც შეახსენებდა, მაგრამ სიცხით გათანგულ მოსწავლეებს გამხნევება მხოლოდ რამ-დენიმე წუთს ჰყოფნიდათ. მერე ისევ ჩამოადებდნენ თავებს ერთმანეთს და შოშიის ბარტყებივით წამდაუწუმ აღებდნენ პირს „დიდება! დიდებას“ დასაძახებლად.

ყველაზე ძნელი მაინც ცისარტყელის გამართვა აღმოჩნდა. ასფალტზე დიდხანს ფხაჭუნისაგან გორგოლაჭებიანი სამაგრი მოირღვა და ცისარტყელა ცალ მხარეს გადაქანჯული, ულამ-აზოდ იდგა ბალახზე, აღმოსავლეთის ტრიბუნების წინ. გრეხ-ილი ავეჯის ფაბრიკიდან დურგლები გამოიძახეს, ცისარტყ-ელას სპილოს ფეხები გაუსწორეს, მაგრამ ქარზე მაინც ირხე-ოდა. დრო აღარ ითმენდა და კაცი აფრინეს ლოტბარ გიგლა ცირეკიძესთან. შვიდი სკოლიდან საგანგებოდ შერჩეულ შვიდ მგალობელ ბავშვს გიგლა, ეს დღეები, თავის ბინაზე ასწავლი-და კრიმანჭულის ხმაზე აწყობილ, ადგილობრივი პოეტის მიერ საგანგებოდ დაწერილ ტექსტს. გიგლამ ხელები გაასავსავა, ჯერ მზად არა ვართო, მაგრამ ვინ მოუსმინა.

საღამოს ექვს საათზე, სტადიონზე სატვირთო მანქანა შემოგრიალდა, მანქანის ძარაზე შვიდი ყმაწვილი იჯდა, თვით ლოტბარი ცირეკიძე კი კაბინაში, მძლოლის გვერდით სუფ-ევდა. ჩიტო რაზმაძის ბრძანებაზე ჯერ მეოთხე სკოლის წარ-მომადგენებლი აფორთხდა ცისარტყელის კიბეზე და ზედა მხ-არეს, მწვანედ შეღებილ მოაჯირზე შემოჯდა. ბიჭები თავიანთი ბუნებისა და ტემპერამენტის შესაფერისად ერთი მეორის მი-ყოლებით ტკაპატკუპით ან დინჯად ადიოდნენ კიბეზე და როცა ცისარტყელის მეშვიდე, ქვედა, ყვითელ ფიცარზეც გამოჩნდა მომდერლის თავი, რაზმაძემ ამაყად მიმოიხედა და დაიძახა: –

სამი! ეს იმას ნიშნავდა, რომ ბიჭებს სიმღერა უნდა დაეწყოთ. მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო. სახელურებს მარცხენით ჩაბლაუჭებულმა და მარჯვენა ცისკენ აშვერილმა მომღერლებმა პირის გაღებაც ვერ მოასწრეს, ცის-არტყელა აყირავდა, შექანდა, განწირულის წივილი გამოსცა და მოწყვეტით დაეშვა. ჩიტოს აღარ ახსოვს როგორ ჩამოფრინდა ძირს და როგორ გაარღვია ბრძო. ბიჭები სათითაოდ გამოჰყ-ავდათ შვიდფერიანი ურჩხულის მუცლიდან. დაზარალებულე-ბი ერთხმად ტიროდნენ. ზოგს ფეხი ჰქონდა ნაღრძობი, ზოგს იდაყვი გადახეხილი. მადლობა ღმერთს, უბედურება არ დატრი-ალებულა და ფეხიც კი არავის მოსტეხია. ცოტა რომ დამშვიდ-და, ჩიტო რაზმაძემ, ცისარტყელას შეავლო თვალი, გრეხილი ავეჯის ნახელავს გაეძლო ძირს დაცემისთვის, გორგოლაჭები-ანი ფეხის მეტი არაფერი ჰქონდა მომძვრალი.

მისალმების მეთაური კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა და უნებართვოდ გასასვლელისკენ მიმავალ მრევლს დაეწია – „ხვალ, ათი საათიდან მოედანზე მოვალთ ყველანი. ზეგ გამოს-ვლა გვაქვს. მშობლებს და პიონერხელმძღვანელებს ვაფრთხი-ლებ, არავინ დაგვაკლდეს. ხვალ გადამწყვეტი დღეა. იცოდეთ ყველამ!“ მერე ძირს ხვნეშით ჩამოფორთხდა და იქვე დაღრე-ჯით მდგარ გიგლა ცირეკიძეს ჩუმად, უსაყვედუროდ უთხრა: „რას ვიზამთ გიგლა, შემთხვევისაგან დაზღვეული არავინ არ არის. ამ ამბავს ნამეტანსაც წუ გავახმაურებთ, ავეჯის ფაბრი-კის დირექტორს მოხსნიან, იმ უბედურს. ისედაც აკრიტიკებენ ყოველდღე გაზეთში. ბიჭებს დიდი არაფერი მოსვლიათ. ჩამ-ოუარე ამ საღამოს სახლებში. ვინც შეძლებს, მოვიდეს ხვალ, ვინც ვერ შეძლებს გამოცვალე რა ვქნათ აბა“. გიგლას უნდო-და ეთქვა, შვიდივე ისე დაშინდა, რომ საეჭვოა მაგათ ხარისხ-იანი სიმღერა შეძლონო, მაგრამ ვეღარ მოასწრო, თუნუქის საყვირიანი „ნაპოლეონი“ გასასვლელისკენ მიაბიჯებდა.

სტადიონს რომ გამოცდა, არხის ქუჩაზე გადმოუხვია. აქედან შორი გზა ედო სახლამდე, მაგრამ ძალიან ცხელოდა და რიონის ნიავს შევუშვერ შუბლოსო, ფიქრობდა. სახინკლეს რომ გაუს-წორდა, ვიღაც გამოვარდა და გულდაგულ წამოვიდა მისკენ.

– ჩვენი ძმა! – ჩიტოს არ მიუხედავს. ხმაზე შეატყო: უცნობი ნასვამი იყო.

– ჩვენი ძმა! შენ გეუბნები, შენ, ძაბრიანო! – მთვრალი დაენია და მკლავში მოჰკიდა ხელი.

– რა გინდა? – მოიხედა ჩიტომ.

– ლოთიანად ჩამაძახებინე მაგ ძაბრში ერთი-ორი სიტყვა.

– რა მაგალითად? – დოინჯი გაიკეთა რაზმაძემ.

– რაც მე მინდა. ორი სიტყვა მარტო. ჩამაბერინე კაცი არ ხარ? მე ვიცი, რაც უნდა ვთქვა – ღმეჭით, გრეხით, უშნოდ ეხვეწებოდა უცნობი.

– თქვი, რაც გინდა, უძაბროდ.

– არა, რუპორში სხვა გემო აქვს. ასე შენს მეტი ვერ გაიგებს ვერვინ და მთელ ქალაქს მინდა გავაგონო. გლახას არ ვიტყვი არაფერს, ნუ გეშინია.

– ნადი, ნადი, საქმე ნახე, გამოიძინე და ხვალ ვილაპარაკოთ

– ჩიტომ ხელი გააშვებინა არყის და ხინკლის სუნით აქოთებულ მოქალაქეს და გზა განაგრძო.

მთვრალი იქვე მიეყუდა შუაზე გადაჭრილ თუთის ხეს და ჩქარი ნაბიჯით მიმავალს ტყვიამფრქვევის ჯერივით მიაყარა:

– დამაძახებინე ერთი, რაც მინდა! ერთხელ მათქმევინე ყველაფერი თქვენთვის, რაც ამ გულში მაქვს და ნავალ მერე ჩემს გზაზე! მიმიშვი ერთხელ მაინც მაგ რუპორთან, კაცი არა ხარ?! რას აგლახავებთ ამ ბავშვებს! რას იწვალებთ თავს! აღარ გათავდა? აღარ მოგწყინდათ? ბავშვები მაინც შეიცოდეთ! ვინაა მთვრალი?! არაფერი მთვრალი მე არ ვარ, შეგეშინდა და იმიტომ გარბიხარ. სიმართლე არ მოგწონთყენ მაინცდამაინც. ასეა ეს...

ბოლო სიტყვები შედარებით დამცხრალმა, ჩუმად თქვა, მერე ნელ-ნელა ჩაიკეცა მუხლებში და იქვე ტროტუარზე ჩაეძინა.

* * *

ცამეტ მაისს დილიდანვე თავი ისე სტკიოდა, რომ ილაო ინატრა. „ანალგინის“ ორი ტაბლეტი ერთად გადაყლაპა. მართალია, წამალმა ტკივილი გაუყუჩა, მაგრამ ისე გააბრუა, რომ სახლიდან გამოსული ორჯერ მიბრუნდა; ერთხელ, თავისი პორტფელის ნაცვლად დისშვილის სასკოლო ჩანთა წამოელო, მეორედ: პირის გაპარსვა დავინწყოდა.

სტადიონის სიცარიელემ გული შეუკუმშა. მაგრამ მაშინვე

გაახსენდა, რომ დღეს რეპეტიცია მოედანზე ჰქონდა დანიშნული და უკანმოუხედავად გამოიქცა.

სტალინის მოედანზე დიდი ურიაშული სუფევდა. ცისარტყულა ტროას ცხენივით იდგა თეატრის წინ. მის ფეხებთან უსაქმოდ ჩამომსხდარიყვნენ ცისფერხალათიანი დურგლები და ღონისძიების სულისჩამდგმელს ელოდნენ.

ბავშვებს დრო ეშოვათ. იქაურობას იკლებდნენ ყვირილით – ნაყინის ჯიხურს ზედ აწყდებოდნენ და ხტუნვა-მალაყით გარბი-გამორბოდნენ.

ერთ-ორ პიონერთა ხელმძღვანელს საზრიანობა გამოეჩინა. თავისი ჯგუფი საერთო ბაზარს გამოერიდებინა და თვითონაც ჩაბმულიყო ტრადიციულ თამაშობაში – „ჩემი ოქრო ჩემთან!“ (რევოლუციამდე ამ თამაშს ერქვა – „ვისი სული გსურს?“).

გამვლელები ჩერდებოდნენ. პირზეხელმიფარებულნი ერთხანს მდუმარედ შესცეკროდნენ ცისარტყულას. მხრებს იჩეჩავდნენ და მიდიოდნენ თავიანთ, როგორც ფიქრობდნენ, უფრო ნაღდ საქმეებზე.

– დაამაგრეთ კარგად, საიმედოდ ქე მაინც? – ჩიტო რაზმაძე ჯერ დურგლებთან მივიდა.

– ჯერ ხელი არ გვიხლია – მუშები წამოდგნენ.

– რას უცდიდით, ისედაც დაგვიანდა, შუადლე წამოვიდა, ხომ ხედავთ.

– რა ვიცოდით, სად უნდა დაგვედგა. ერთ ადგილზე რომ დავაყენებთ, აღარ ვაჩოჩიალოთ მერე იქეთ-აქეთ. უაზრო ფხოკიალმა ქნა გუშინ ეს ამბავი – თვალებში შესცეკროდა რეჟისორს ახალგაზრდა, შავწვეროსანი დურგალი.

ჩიტომ განკარგულება გასცა, ცისარტყელა აკაკის ბალის შესასვლელის წინ, კოლონებიდან ცოტა მოშორებით დაედგათ, საყვირი მოიმარჯვა და ტრიბუნაზე ავიდა. მშვენიერი საპარადო ტრიბუნა გაეკეთებინათ, ფართოც იყო, ლამაზიც და რაც მთავარია, არ ჭრიჭინებდა.

რეპეტიცია ზუსტად თორმეტი საათზე დაიწყო.

გიგლა ცირეკიძის შვიდი მომძერალი მესამეჯერ რომ ახოხდა ცისარტყელაზე (რასაც სხვათა შორის მთელი მოედნის გატრუნვა სდევდა), ტრიბუნაზე ავიდა განათლების განყოფილების გამგე და ოფლში გალვარულ ჩიტოს მხარზე შეეხო.

ჩიტომ მოუხედა და გაულიმა.

— ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, — გამგეს შემცბარი, განბილებული თვალები ჰქონდა.

— ამ წუთში, „გამოქცევას“ ერთხელ კიდევ გავამეორებინებ და ვილაპარაკოთ — დაპირდა რაზმაძე.

— არ არის საჭირო, ორი სიტყვა უნდა გითხრა.

ჩიტომ საყვირი დაუშვა და სტუმარს მიაჩერდა.

— ალმასკომიდან დარეკეს. აღარ არის საჭირო.

— რაი? — ჩიტოს სახე მოემგელა და ყურებში უჩვეულო გუგუნი იგრძნო.

— მისალმება აღარ არის საჭირო. არ გამოივლის თურმე. შეიცვალა პროგრამა. აქეთ სულ აღარ გამოივლის.

— კი მარა.

— მეც ეგ ვუთხარი. დავხოცე ხალხი-მეთქი, ხარჯი ხარჯად, ნერვები ნერვებად. არ იცოდით, ეს ამბავი ადრე- მეთქი? ჩვენ რა ვიცოდითო, აბესაძემ. ჩვენ რაც გვითხრეს, იმას ვაკეთებდითო.

— რა ვქნა აბა ახლა? — ალბათ ასეთი სახე ექნებოდა ნაპოლეონს ვატერლოოს შემდეგ.

— რა უნდა ქნა. გამოუცხადე ხალხს და წადი სახლში — განათლების განყოფილების გამგე შეტრიალდა და ჩქარი ნაპიჯით ჩაიარა ტრიბუნის კიბეები.

ორიოდე წამის შემდეგ მოედანს გაბზარული, ცრემლჩამ-ნედარი ხმით ჩასძახოდა რაზმაძე: „ისმინეთ ყველამ, ახლა წახვალთ სახლში. ფორმებს თან წაიღებთ. ლენტებს ახლავე ჩაგვაბარებთ. ხვალ გამოსვლა არ გვექნება. გადაიდო, როცა საჭირო იქნებით, დაგიძახებთ!“

შუბლზე ცივი ოფლი ცხვირსახოცით შეიწმინდა, ძირს ჩამოსულმა თუნუქი ვიღაცას შეაჩერა და ჭომის აღმართს თანმხელებ პირთა გარეშე, მარტო აუყვა.

რა უნდოდა ჭომაში, კაცმა რომ თქვას? თვითონ ვაკისუბნის მცხოვრები გახლდათ და არც ვინმე ისეთი მეგობარი ჰყავდა ჭომაში, გულისჯავრს რომ გაუქარვებდა.

1969

მსმელი

მინდოდა ეს პატარა ნოველა ასე დამეწყო:
„სექტემბერი იწურებოდა“.

და მართლაც, არც მეტი, არც ნაკლები, ოცდარვა სექტემბერი იყო.

მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ „სექტემბერი იწურებოდა“ ვერაფერი ორიგინალური დასაწყისია.

თუ დაკვირვებიხართ, კლასიკოსები თხზულებას ხშირად ამ სიტყვებით იწყებენ:

„გაზაფხული ჯერ კიდევ შორს იყო“.

როგორც ლიტერატურის ისტორიამ დაამტკიცა, ამგვარი დასაწყისი ამართლებს, ვიდრე უპრეტენზიო და უფერული — „სექტემბერი იწურებოდა“.

მოდი, ჩვენც ასე დავინწყოთ, მით უმეტეს, სექტემბრიდან გაზაფხულამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის დიდი ნაწილი გახურებულ რთველს მოეცვა; ქალაქ ბულლიაურის ქუჩებში მწიფე ყურძნის სუნი არ ტრიალებდა. ბულლიაურის მიმართ სიბრალულით ნუ განეწყობა პატივცემული მყითხველი. ეს ქალაქი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ენციკლოპედიაში მოიხსენიება როგორც დინოზავრების სამშობლო და მეზოზოური ერიდან ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე მსოფლიოს ერთ-ერთი ცნობილი ნავსადგური — ფრიად მოხერხებული განსაკუთრებით ბერძნებისა და მათი მონათესავე ტომებისათვის.

ექვსი საათი რომ შესრულდა, ელგუჯა ერეხელმა კვირისტავი დაიზილა, ერთი-ორჯერ ჩაბუქნა — გაიმართა და რაკი შეატყო, რომ მუხლი სიარულში ხელს არ შეუშლიდა, გასაღები იატაკის ხალიჩაში შეჩურთა და კიბეზე დაეშვა.

კვირისტავი დილიდანვე სტკიოდა. მირტყმით არაფერზე მიმირტყამს და ცივ წყალში არ ჩავმხტარვარ, რა ჯანდაბა მეცაო, უკვირდა.

დღიური შრომით ნამეტანი დაღლილი იყო-მეთქი რომ დაგინყოთ მტკიცება, არ ვიქნები მართალი. მთელი დღე „ბათა ქექიას“ კითხულობდა. ტელეფონიც არ გარანტუნებულა, „სხვაგან მოხვედრილსაც“ არ შეუწუხებია.

ელგუჯა ხალხური დასარტყმელი ინსტრუმენტების შემსწორებული ლაბორატორიის გამგედ მუშაობდა. ლაბორატორია მხოლოდ ქალალდება არსებობდა, რაკიდა მთელს ამ ნახევრად-მეცნიერულ დაწესებულებას ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კაცი – გამგე წარმოადგენდა. შარშან ლაბორატორიის შექმნისთანავე დაშვებული დანარჩენი შვიდი შტატი სხვადასხვა უწყებებმა დაიტაცეს და არც არავითარი იმედი ჩანდა, რომ ისინი მიტაცებულ შტატებს უკან დაბრუნებდნენ. გამგე კი ჯერჯერობით მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ კვარტალში ერთხელ განცხადება-საჩივარს წერდა და თვეში ორჯერ თავის მოკრძალებულ ხელფასს იღებდა. დასარტყმელი ინსტრუმენტები არც დიპლომისმიერი სპეციალობა გახლდათ ერებელისა და არც, ღმერთო შეგცოდე, სიყრმითვე ჩანერგილი მოწოდება. ჰიდრომეტეოროლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და ამ რვა წლის განმავლობაში სად ალარ მუშაობდა – კომუნალური მეურნეობის საქვაბე-კანტორის სტაუიორად, საბავშვო სახლში აღმზრდელ-ორგანიზატორად, კულტურის სასახლეში სამნეო ნაწილის უფროსად, ხოლო ბოლო თანამდებობა მოგეხსენებათ. ქალაქის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური თანამშრომელთა ნაკლებობას არ განიცდიდა და მაინცდამაინც არც ელგუჯა ამტკიცებდა სამმართველოს კარებს; გინდათ თუ არა ჩემი პროფილით მამუშავეთო. ამას წინათ, როგორც იქნა, საბინაო აღრიცხვაზე აიყვანეს და უახლოეს ათ წელიწადში ახალ, ორთახიან ბინასაც დაპირდნენ. ამ და სხვა მიზეზთა გამო აღმასკომთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდა.

ურუნია ქათამი ხომ გინახავთ, სწორედ ისეთი ფერის, წითლად დანინწკლული, ნაცრისფერი, შინნაქსოვი სვიტრი და ჯიჯილაყა ფხალისფერი შალის შარვალი ეცვა. ილინცურად ქუსლჩაცვეთილ, რეზინისძირა, აგურისფერ ფეხსაცმელებს უსიამოვნოდ მიაჩლახუნებდა. ბედისგან მოღაფლებული კაცის თვინიერი გამოხედვა ჰქონდა. ყურებსზემოთ კეფამდე თავი

ისე ჰირწმინდად მოტვლებოდა, გეგონებოდათ, ამ ადგილას თმა არც არასოდეს ჰქონიაო. გაბუშტულ ცხვირს ლამის ზედ მიწებებულ, ლრმადმიკარგულ, კორკიმელისმსგავს თვალებს სიარულის დროს თითქმის არ ახამხამებდა. სამაგიეროდ, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე თავ-კისერს ისე ატოკებდა, იფიქრებდით, აი, ახლა შეჩერდება და თუ სხვას ქმედითს არაფერს ჩაიდენს, საათიანი სიტყვით მაინც მიმართავს კინ „კომუნის“ წინ შეკრებილ უსაქმო და ნახევრად-უსაქმო მოქალაქეებსო.

სახინკლესთან ნაბიჯს აუჩქარა. ლუდი არ უყვარდა და ე, მანდ, ნაცნობმა არავინ შემამჩნიოსო.

– შენც მოდი, შენც! არ გესმის?! შენ გეუბნები, ხომ იცი, ვერ გამასწრებ! – ისე ხმამალლა და კატეგორიულად დაიძახა ზურგსუკან ვიღაცამ, რომ ერებელი შეჩერდა და მოიხედა.

მისგან ათიოდე ნაბიჯზე მილიციის სპეცსამსახურის, ცისფრადგადალებილი მანქანა (ქალაქის ბიჭები რომ მოფერებით „შავ ყვავს“ ეძახიან) იდგა. მანქანის უკან ღია კარებთან დოინჯშემოყრილი, საკინძეშეხსნილი უქუდო, ახმახი მილიციელი აღმართულიყო და ელგუჯას უხმობდა.

– მეე? – გულზე ხელი მიიდო ელგუჯამ, მიიხედ-მოიხედა და რაკი ახლომახლო სხვა ვერავინ დალანდა, გაკვირვებული სახით წამოვიდა მანქანისაკენ.

– ჩქარა ცოტა, არ გვცალია ამდენი, რომ მოიწმანები ჯღადონანი კატასავით!

– რაშია საქმე?

ახსნა-განმარტებისთვის წესრიგის დამცველს, აშკარად ჩანდა, არ ეცალა. ქიმუნჯი წაჲკრა ელგუჯას, მანქანაში შეაგდო, კარი გარედან გადაკეტა, თვითონ შოფრის გვერდით მოკალათდა და ამოიხვნება.

– წავედით. თავი მისკედება, რა დაგვალევინა წუხელის ჭიჭია უბედურმა. კაცად რომ ვარგოდეს გელანტია, ჩემი მუშაობა შეიძლება დღეეს?

მძლოლს არაფერი უთქვამს. ნელა, რწევა-რწევით დაძრა მანქანა.

კაბინისაგან რკინის ბადით გამოყოფილ სალონში ელგუჯას გარდა ორნი ისხდნენ. ორივენი მთვრალები ჩანდნენ, მაგრამ

არც ისე მთვრალები, ელგუჯასთვის ზრდილობიანად ხელი არ გაეწოდებინათ, ჯანმრთლეობა და გუნება-განწყობილება არ ეკითხათ და მერე თავიანთ პუნდოვან (ელგუჯას ასე მოეჩვენა) საუბარს არ ჩაღრმავებოდნენ.

– სად მივყავართ? – ცოტა არ იყოს მიამიტი კითხვა დასვა ერებელმა.

– გამოსაფხიზლებელში, – ერთდროულად უპასუხეს თანამგზავრებმა და ლაბორატორიის გამგეს ერთხელ კიდევ ახედ-დახედეს, მართლა არ იცის, სად მივყავართ, თუ თავს ისულელებსო.

– რატომ? – უფრო შორს გაიწია ელგუჯას ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ.

შეზარხოშებულებმა თავს ნება მისცეს ერებელის ამ შეკითხვაზე არ ეპასუხნათ.

მანქანა რომ გაჩერდა, ახმახმა გუშაგმა კარი გააღო და ერთგული მასპინძელივით დაიძახა:

– გადმობრძანდით!

არცთუ დიდი სურვილით „გადმობრძანებული“ სტუმრები წინ თხებივით გაირეკა და მაღალჭერიან ფართო ოთახში შეიყვანა.

გამოსაფხიზლებლის სამორიგეო ოთახი სადად იყო მოწყობილი. თეთრ კედელზე ალექსანდრე მატროსოვის და კაპიტან გასტელოს სურათები ეკიდა. სურათების ქვემოთ მაუდგადაუფარებელ მაგიდას ორი ოპერანამშრომელი უჯდა. მათ წინ, მაგიდაზე საკანცელარიო დავთრის მსგავსი უურნალი და ქალალდების ჯგრდე ჩანდა. კედლების გასწვრივ ფიზკულტურის დარბაზში რომ დაბალი გრძელი სკამებია თუ შეგიმჩნევიათ, სწორედ ისეთ სკამზე ათიოდე კაცს მუხლებზე ერთნაირად ეწყოთ ხელები და თითქმის ერთნაირი, ირონიული ღიმილით მაგიდასთან მსხდომთ შესცეკროდნენ.

– წავედი ახლა მე და დავიძინე, გეყოფათ, მეტის მომყვანი აღარ ვარ დღეს, – მარჯვენა მხარეს მჯდომ ყურჭიტა სერუანტს ჩაულაპარაკა ახმახმა, როცა ელგუჯა და მისი თანამგზავრები გრძელ, ფიზკულტურულ სკამს დაუმატა.

– მე რას მეკითხები, – სერუანტმა გვერდით მჯდომისაკენ ნიკაპით ანიშნა.

წარბებიანად ქერა უმცროსმა ლეიტენანტმა დავთრებს თვალი გამოარიდა; კარგა ხანს მდუმარედ უყურა ახმახს და ბოლოს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– წადი.

მკითხველს თავს არ შევაწყენ სარეგისტრაციო დიალოგის დაწვრილებითი აღწერით. სხვათა დაკითხვებიდან ელგუჯამ შეატყო, რომ უმცროსი ლეიტენანტი და მისი თანაშემწე განსაკუთრებული სიმკაცრით იმ მოქალაქეებს ექცეოდნენ, ვინც ენერგიულად ამტკიცებდა, მთვრალი სრულიადაც არა ვარ და აქ გაუგებრობის ნიადაგზე მოვხვდიო. მასპინძელთა დუმილის პასუხად გულმიცემულნი მუქარაზეც რომ გადადიოდნენ. „ამ პრავაკაციის გულისთვის პასუხს გაგებინებთო“. გამოსაფხიზლებლის მესვეურნი მშვიდად უსმენდნენ ასეთებს, მერე სერუანტი გვერდითი ოთახიდან მუყაოს ყუთს გამოიტანდა, „შემთხვევით მოხვედრილს“ წინ დაუდგამდა და უბრძანებდა, გაიხადეო. ორიოდე წუთში დედიშობილა მოქალაქე ცივი შხაპის ქვეშ იდგა და სიცივისაგან კბილებს აკრაჭუნებდა. ელგუჯამ მაშინვე აულო ალლო, უურნალისტების ენით რომ ვთქვათ, „შექმნილ სიტუაციას“ და როცა მაგიდასთან უხმეს, თვალდაუხამხამებლად ჩამომარცვლა: ესა და ეს კაცი ვარ, დასარტყმელი ინსტრუმენტების ლაბორატორიის გამგედ ვმუშაობ, რა ვქნა, მომივიდა შეცდომა, დავლიე. თუ მაპატიებთ და შინ გამიშვებთ, ძალიან დაგიმადლებთ, თუ არა და თქვენი საქმე თქვენიციოთ. უურნალში გაატარეს, ზედმეტი სიტყვაც არ უთქვამთ, სერუანტმა გრძელ დერეფანში გაიყვანა. ახლავე გაგიშვებდით, მაგრამ რომ შეგვამოწმონ, პასუხს გვაგებინებენო. დილამდე აქ იქნები, დილით გაგანთავისუფლებთო. ჯარიმად სამი თუმანი გადაახდევინა, ვიწრო კიბით მაღლა ავიდნენ. სერუანტმა მეექვსე პალატის კარი გაულო და ზრდილობიანად სთხოვა: შებრძანდით და თავისუფალ კოიკაზე დაიძინეთო.

საკანში ოყრალუა ბალაზის მძაფრი სუნი იდგა;

რა ცოტა სჭირდება კაცს ბედნიერებისათვის. ელგუჯა კმაყოფილი იყო, რომ სახალხოდ ტანზე გახდას და ცივ შხაპს გადაურჩა. ზრდილობიანად სერუანტს მაღლობა გადაუხადა და მარტო დარჩენილს ხვრინვა რომ არ გაეგონა, ალბათ წაიღილინებდა კიდეც.

საკანი რატომღაც უფანჯრო გახლდათ. კარს ზემოთ დატოვებული, მტკავლის სიმაღლე, შეუმინავი სარკმლიდან გადმოღვრილი სინათლის ჩქერი ორსართულიანი ნარის თავზე მხვრინავ კაცს ეცემოდა. ლოთს სახე ღვთაებრივი სხივით განათებოდა და ისე მშვიდად ეძინა, რომ ელგუჯას ჩახველებისაც კი მოერიდა. ფეხზე გაიხადა და უშალითო საწოლზე ნამონვა. საკანში ორი ნარი იდგა და ერეხელმა დაასკვნა, რომ იგი, უკეთეს შემთხვევაში, ოთხადგილიანი იყო.

დაახლოებით საათ-ნახევარში ყურჭიტა სერუანტმა კარი ბრახუნით გააღო და გამოაცხადა – ლექციაზე ჩამოპრძანდითო. ელგუჯა ნარზე ჩამოჯდა და საათზე დაიხედა. ცხრას აღარაფერი აკლდა.

გვერდითა ნარს ორი ფეხი გადმოეკიდა და ჩახრინწულმა ხმამ კარებში მდგომს ჰქითხა:

- კინო არ იქნება?
- კინო გუშინ იყო, დღეს ლექციაა.
- გიგი, შენს გაზრდას, ნუ ჩამიყვან, შეუძლოთ ვგრძნობ თავს, გამოვიძინებ, ვაუკაცურად გთხოვ.
- აბრძანდი, აბრძანდი, ვერ დაგტოვებ, სიას კითხულობენ; საინტერესო ლექციაა.
- რაზე? – ელგუჯამ იგრძნო, რომ კითხვა ჩაუვარდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რაზე იყო ლექცია.

– გიგანტურ ხვლიკებზე, – არ დააყოვნა პასუხი ყურჭიტამ. – გიგი, შე ღმერთგამწყრალო, რაც ლექციაა მსოფლიოში, ყველა მოსმენილი მაქვს. ხვლიკები მინდა ახლა მეე? – ლოთი ნარიდან ჩამოხოდა და ერეხელს ხელი გაუწოდა.

ალკოჰოლისტს რბილი, სლიპა ხელი და ელეგანტური თითები ჰქონდა.

შავი, დაჭმუჭვნილი კოსტუმი ეცვა და სუფთად გაპარსულ ყბებს ქვემოთ, ყელზე ბუკლეს ჭრელი რიდე შემოეხვია. ელგუჯას მოეჩვენა, რომ ლოთს პიჯაკი უპერანგოდ, ნაცრისფერ კვართზე ეცვა.

ლექცია, რა თქმა უნდა, ალკოჰოლის მავნებლობაზე იყო. ახალგაზრდა თმახუჭუჭა ლექტორი მომხიბვლელად ლაპარაკობდა. ლექციაში ანდაზებსა და ანეკდოტებსაც კი ურთავდა.

ლოთები მწუხარე სახეებით, დინჯად და ყურადღებით უსმენდნენ. შეკითხვების დრო რომ დადგა, აუდიტორია კარგა ხანს სდუმდა, ბოლოს ელგუჯას თანამესაკნემ აღმართა ხელი.

– თქვენ თუ სვამთ? – ჰქითხა მან ლექტორს.

– არა! – არ დააყოვნა პასუხი ლექტორმა.

ლოთებს მეტი შეკითხვა არ დაუსვამთ.

როცა მეექვსე პალატისაკენ მიაბიჯებდნენ, ელგუჯამ სერუანტს სთხოვა, თუ შეიძლება, ტელეფონთან მიმიშვით ცოლშვილს გავაფრთხილებ, შეეშინდებათ.

– სამწუხაროდ, ტელეფონი არა გვაქვს. ისე კი უნდა იყოს, დაწერეთ თქვენ, ამოიღეთ ხმა და დაგვიდგამენ. როგორ შეიძლება ამხელა გამოსაფხიზლებული უტელეფონოდ. – ყურჭიტა აღმტოთებული ჩანდა.

საკანში დილამდე ორნი ისხდნენ.

ლოთი, რომელმაც ბიძინად ნარმოუდგინა თავი ელგუჯას, ენაწყლიანი კაცი აღმოჩნდა. ოღონდ ეგ იყო, ცოტა გულმავიწყობა დასჩემებოდა და სამჯერ უამბო ერეხელს სუეცის არხთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც მას, როგორც არხის მშენებლობის ერთ-ერთ მონაწილეს, გადახდენოდა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ მოსაბეზრებელი ის იყო, რომ ბიძინა ხშირად შეჩერდებოდა, გამჭოლ მზერას ესროდა ერეხელს და ჩუმად ჰქითხავდა: „ცოლი როგორი გყავს, ხომ პატიოსნად იქცევა?“ „მე მგონი კიო“, უპასუხებდა ელგუჯა და უკვირდა, რომ აქამდე არასოდეს დაფიქრებულა თავისი ცოლის პატიოსნებაზე.

უსიამო სიზმარმა გამოაღვიძა.

თავს ზემოთ ბიძინას სანდლებიანი ფეხები ეკიდა. პროფესიონალი ლოთი გაბმით ახველებდა, მაგრამ ხველებასა და ხველებას შორის გინებას არ ურთავდა.

გათენებულიყო.

სარკმლიდან სუსტი ცისფერი ციაგი კრთოდა.

ელგუჯამ ერთხელ კიდევ მოისმინა სუეცის არხის გმირის გრძელი, სევდიანი თავგადასავალი და ათის თხუთმეტ წუთზე გასაღების სანატრელი რაჩხუნიც მოისმა.

– დილა მშვიდობისა, ხომ არ მოიწყენეთ, თქვენ რა გიჭირთ, ჩვენ მთელი ღამე არ გვეძინა. – იადონივით გააბა გიგიმ.

— რამ შეგიშალათ ხელი? — ბიძინა ჩამოხტა და ქვედა ნარზე მოკალათდა.

— არ იცი ვითომ. რაცხა წესრიგის დაცვის ორთვიური გამოიგონეს, ყოველ საათში გვამოწმებენ.

— როდის თავდება? — დაჯექი, — ლოთმა ნარს ხელი გაუტყა- პუნა.

— ჯერ სადაა, ათ სექტემბერს დაიწყო.

— აბა, გადაყვოლილვართ ამ ორთვიურს ჩვენც და თქვენც. გიგი ბიძია, ერთ ცალ მუავე კიტრს რომ გამიჩნდე, თავშენახული ბიჭი ხარ, შენთვის მოვკვდები.

— ეგებ კვაწიაში მოხარშული ლობიო გესიამოვნოთ, ბიძინა ბატონო, — გაეცინა გიგის, — ვინ გაგიჩერებს მუავე კიტრს, ყოველ ჩემს მორიგეობაზე, — ელგუჯას მიუბრუნდა, — თითო ბანკა მომაქვს, სად დამალავ, თვითონ ჩვენი თანამშრომლები შემოგაფუქვნიან ხელში. ხომ არაფერი გნებავთ?

ელგუჯას სითბოდ ელვრებოდა სულში ყურადღებიანი გი- გის ყოველი სიტყვა და ცდილობდა გაეხსენებინა, კიდევ სად ენახა ასე თავაზიანი მილიციის სერუანტი.

ქუჩაში გამოსვლისას პირდაპირ ტელეფონის ჯიხურს ეცა, ჯიბები გულმოდგინედ მოიქექა და როგორც იქნა, ორკაპიკი- ანიც იპოვა, მაგრამ ტელეფონ-ავტომატი არ მუშაობდა.

აღარც ახსოვს, როგორ აირბინა ორმოცდაცხრა საფეხური- ანი კიბე (საფეხურების დათვლა ელგუჯას ჩვეულებად ჰქონ- და) თავისი კაბინეტის კარი ლია დახვდა, ცარიელ კარადასთან დამლაგებელი ქალი ფუსტუსებდა.

— გულიკო, შენ ხარ? არ შეგეშინდეს, წუხელი შევყოვნდი პატარა, გოდოგანში მომინია წასვლამ. რამ გადაგრიათ, ვინ მომკლავდა. ტელეფონი არ იყო არსად. მოვდიოდი, მარა გვი- ანააო და არ გამომიშვეს. ბოვშები გაუშვი სკოლაში? ჩემს ლოგინთან რომ ტილოს შარვალი ჰქიდია იმის ჯიბეში, ამოილე რაცაა, მანეთიანი ჩატოვე, მე სამსახურში ვარ!

ტელეფონი დადო და შვებით ამოისუნთქა.

ყველაფერი რიგზე იყო.

— ქალბატონო პაშა, რას ეძახით თქვენ ბედნიერებას? დამლაგებელს ჰკითხა, მაგრამ ტექნიკურმა თანამშრომელ-

მა არ უპასუხა, მოვრჩიო, ჩაილაპარაკა. თავმიშვებული ცოცხი ბენზინიანი ნახერხით სავსე ვედროს დაადო და გავიდა.

მთელი დღე ხალისიან გუნებაზე იდგა. მოზღვავებულ ენერ- გიას გრძნობდა. ლაბორატორიის კვარტალური გეგმა შეადგი- ნა და „ბათა ქექიას“ ბოლო გვერდებილა ჰქონდა დარჩენილი, სამუშაო დღე რომ ამოიწურა.

თეთრ ხიდს ქვემოთ ცისფრად დაწურული რიონი მიკარ- გულიყო. „ალბათ ჰესმა გადაკეტა“, გაიფიქრა ელგუჯამ, ასე ანკარა და ასე დალეული რიონი ლაბორატორიის გამგეს არც ენახა.

მარჯვნივ ლურჯი მორევის თავზე ნუშისფრად შეღებილი კაბინა ეკიდა. ეტყობოდა უქიმერიონის საბაგირო არ მუშაო- ბდა.

სახინკლეს რომ მიუახლოვდა, გაახსენდა, რომ მთელი დღე პირში არაფერი ჩასვლია. საოცრად მოუნდა ხინკალი და ლუდი. კუთხეში მიდგა და ლუდს რომ წრუპავდა, თან დარბა- ზს ათვალიერებდა. სალუდეში ქვეყნის ხალხი ირეოდა, მაგრამ ნაცნობი ვერავინ დალანდა და ესიამოვნა. ლუდი საერთოდ არ უყვარდა-მეთქი ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ ახლა ისე გაუტ- კბა, რომ კინაღამ მეორე კათხაც მოითხოვა.

გარეთ გამოსვლისას აფთიაქის აბრაზე მიხატულ, ჭიქაშე- მოხვეულ გველს შეავლო თვალი, საყელო აინია და ათიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდა მარცხნივ, ნინოშვილის ქუჩისკენ გა- დადგმული, რომ მოესმა:

— შენ გეუბნები!

მოიხედა.

სპეცდანიშნულების ცისფერ მანქანასთან უხმობდნენ. ლია კარებთან ორნი იდგნენ. ელგუჯას მათთვის სახეზეც კი არ შეუხედავს. იცოდა, ამჯერად წესრიგის დამცველებთან ურთ- იერთობის გარკვევას აზრი აღარ ჰქონდა, მოტრიალდა და მორჩილად დურთა თავი „შავი ყვავის“ ხახაში.

1979



ცრე

შხამ-ქიმიკატების საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტი ცხოვრობდა ისე, როგორც ასობით ამგვარი დაწესებულება ცხოვრობს ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში. თემა, რომელსაც ეს ინსტიტუტი ამუშავებდა, რომელიღაც დიდი თემის ნაწილი იყო და წლიდან-წლამდე გარდამავალ თემად იწოდებოდა. რადგანაც ის დიდი თემა საბოლოო მეცნიერული გადაწყვეტის არავითარ იმედს არ იძლეოდა, ცალკეულ თემებზე მომუშავე ინსტიტუტები მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ. დირექტორებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ მთავარი თემის უსაფუძვლობის აღიარებას პატარა თემებს შეჭიდებული ინსტიტუტებისთვის არასახარბიერო რეფორმები მოჰყვებოდა და ნლის ბოლოს ისე ლამაზად ჩააწიკნიკებდნენ მეცნიერული კვლევის შედეგების ნახევრადყალბ ოქმებს, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს ეგონებოდა; აბა, აქ კეთდება საქმე, თუ სადმე კეთდებაო. სხვა მხრივ ინსტიტუტი სხვა კვლევით ინსტიტუტებს არაფრით ჩამორჩებოდა. ყველა ვაკანტური და უვაკანტო თანამდებობა დაკავებული იყო. ინსტიტუტს ჰყავდა დირექტორი, ქმიურ მეცნიერებათა დოქტორი ერმალო აბესაძე, ერთადერთი აკადემიკოსი ვიქტორ ბოკუჩავა, რომელიც წელიწადში ცხრა თვეს მაინც საზღვარგარეთის სხვადასხვა ლაბორატორიებში გახლდათ მივლინებული და მრავალრიცხოვანი ასპირანტები უიმედოდ ელოდებოდნენ. გარდა ამისა, ინსტიტუტს ჰყავდა ორი შტატ-გარეშე ლაბორანტი და რამდენიმე სტუდენტ-პრაქტიკანტი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შხამ-ქიმიკატების საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში დარჩენის სურვილს გულში ღრმად რომ იმარხავდნენ. აღარც კია საჭირო მკითხველს ვაუნყო, რომ როგორც სხვა კვლევით ინსტიტუტებში, აქაც იყვნენ მოწოდებით მეცნიერნი და ნახევარ შტატს გარემოების გამო შეფარებული ოჯახის ქალები, იყვნენ ყალბი ენთუზიასტები და ნამდვილი ენთუზიასტები. როგორც ყველა ინსტიტუტში, აქაც სუფევდნენ აუტანლად ლამაზი ქალები, მოწყენილობისა და უსაქმობის გამო ნიადაგ შეყვარებული ლამაზი ქალები. სწორედ მათი ენერგიული მეცადინეობის შედეგი გახლდათ ის ამბავი,

რომ ინსტიტუტს უამიდან უამამდე შესძრავდა ქორი – მავანი და მავანი მეცნიერ-თანამშრომელი ცოლ-შვილს სტოვებს და, ამურის ისრით დაკოდილი, ახალ ცხოვრებას აპირებსო. მეცნიერის ცოლ-შვილისთვის სავალალო ამ ქორში ის გახლდათ, რომ იგი ზოგჯერ მართლდებოდა, და ბოლოს როგორც ყველა სხვა დაწესებულებაში, შხამ-ქიმიკატების ინსტიტუტშიც იყვნენ პატიოსანი მუშაკები და ინტრიგანები. ბოლო სიტყვას მე ხაზი გავუსვი სწორედ იმიტომ, რომ ამ ნოველის მთავარ პერსონაჟს ჯუმბერ ბრეგვაძეს დაუკავშირდა იგი, ხოლო სამართლიანად მიენერა ეს ტიტული ადრე უწყინარ ჯუმბერს, თუ უსამართლოდ, ამას ჩემი მკითხველი, თუ რა თქმა უნდა, მოთმინებამ არ უღალატა, სულ რაღაც თხუთმეტიოდე გვერდის წაკითხვის შემდეგ შეიტყობს.

ჯუმბერ ბრეგვაძე ფილოქსერ-მირმანოლოგიური პრობლემების კვლევის საცდელ-საექსპერიმენტო ლაბორატორიაში უმცროს ლაბორანტად მუშაობდა. ამ ორი წლის წინ უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი პირველი ხარისხის დიპლომით დამთავრა და შხამ-ქიმიკატების ინსტიტუტში რომ გაანაწილეს, სიხარულით ცას ენია, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ გაანაწილების ფურცელი ყველაფერს როდი ნიშნავდა. დირექტორმა, რომ იტყვიან ქოში უკულმა ჰყარა: „წაილე და მიაფარე შუბლზე, ბიძიკო, ეს ქალალდი შენს გამომნანილებელს, სად მაქვს ადგილი მეო. თუ გინდა, ჩადექი რიგში, ჯერ, თუ რამე გამოჩენდა, ორი უშტატო მყავს, ისინი უნდა დავაკაყოფილო და მესამე შენ იქნებიო. საერთოდ, გირჩევ, სხვაგან მოძებნო სამუშაო, პირველი ხარისხის დიპლომი აგილია, ვინ დაგიკავებს სამსახურსო“.

ოთხი თვის ამაო გარჯის შემდეგ ჯუმბერი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერი ქიმიკოსისთვის თავისუფალი ადგილი მთელს დუნიაზე, არ მოიძებნებოდა და სასოწარკვეთამდე ცოტა აკლდა, კვლავ გამანაწილებელ კომისიას რომ მოაკითხა. კომისიის თავმჯდომარემ დიდხანს უსმინა, ეტყობოდა მისთვის ჯუმბერ ბრეგვაძის მაგალითი ახალი როდი იყო. ტელეფონს დაწვდა, მოსულს აბესაძის ნომერი ჰკითხა და გულით ინატრა, დირექტორი ადგილზე არ აღმოჩენილიყო, მაგრამ შხამ-ქიმიკატების საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში პირველ ზარზევე დაწვდნენ ყურმილს.

– ბატონი ერმალო, კომისიიდან თოლორდავა გაწუხებ, წინ მიდევს თქვენი ხელმოწერილი ცნობა, ფილოქსერ-მირმანოლო-გიურ ლაბორატორიაში უმცროსი ლაბორანტის შტატის გამონთავისუფლების შესახებ. ივნისში გამოვგზავნეთ თქვენთან – განანილების ფურცელს დახედა – ბრეგვაძე, კარგი ბიჭი. როგორ არა, მოსულა, მოსულა და თქვენ გიბრძანებიათ; თავისუფალი ადგილი არ მაქვსო. როდის მიიღეთ? არა, ბატონი ერმალო, თქვენი მოთხოვნა რვა აპრილსაა ხელმოწერილი. ეგ, ეტყობა, ადრინდელია. ჩვენ რა ვენათ აპა? მომისმინეთ, ბატონი ერმალო. ასეც არ შეიძლება. ჩვენ თავზე არავის არ გახვევთ. რატომ კადრულობთ ასეთ სიტყვას? დაამთავრა კაცმა ფრიადზე, მეტი რა ქნას? თქვენ, მის ადგილას როგორ მოიქცეოდით? ორივე ქალალდი ხელთა აქვს, კი. ერთი სიტყვით, მოვა ახლავე, თქვენთან. რალაც უნდა გამოიუქებნოთ. სახლი არავის არ ენვის. კი... კი... გასაგებია, განანილებაა, ბატონი ერმალო!

ზუსტად ამ საუბრის შემდეგ ორ წელიწადს იმსახურა უშტატოდ შეხამ-ქიმიკატების ინსტიტუტში ჯუმბერ ბრეგვაძემ. სრულად იწვნია ის უხერხულობანი უშტატო მუშავის ტკბილ-მნარე ცხოვრებას თან რომ ახლავს. ამ ხნის განმავლობაში ის ორი უშტატოც დააკმაყოფილეს და სხვა უშტატოებით შეავსეს (როგორ ჩანს, ინსტიტუტს ორი-სამი უშტატო თანამშრომელი ნიადაგ უნდა ჰყავდეს). გარდა ამისა, სამი ახალი თანამშრომელი დაემატა ინსტიტუტს (ორი ლამაზი ქალი და ერთი, ადრე სახლმმართველად ნამუშევარი, ომის იზვალიდი). ხმა გავრცელდა, ამ უკანაკენლებმა თავიანთი შტატი თან მოიტანესო, მაგრამ რანაირად მოიტანეს შტატი და საიდან მოაქვთ შტატები საერთოდ, დამერწმუნეთ, ეს ამბავი ჯუმბერმა დღესაც არ იცის.

ბოლოს მაინც გაჭრა პირველი ხარისხის დიპლომის კავალერის კეთილსინდისიერულმა სიჯიუტემ. როგორც იქნა მიიღეს მოწყალება და დანიშნეს ჯუმბერი მირმანოლოგიურ ლაბორატორიაში უმცროს ლაბორანტად.

ამ ორი წლის განმავლობაში ჯუმბერი მიხვდა, რომ შხამ-ქიმიკატების ინსტიტუტის ხელმძღვანელობის უმთავრესი საზრუნვა (სხვა მცირე საზრუნვათა გვერდით) სამსახურში თანამშრომელთა დროული მოსვლა-ნასვლა იყო. მიუხედავად სატაბელო სისტემისა და მეთვალყურე-დისპეტჩერთა გაძლიერე-

ბული სიფხიზლისა, სამსახურში დროულად (და საერთოდ) გამოცხადება, განსხვავებით ყველა სხვა საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტისაგან, ამ ინსტიტუტის აქილევსის ქუსლი გახლდათ. ამიტომაც აქ ყველაფერი სამსახურში მოსვლა-ნასვლით იზომებოდა. კაცის ღირსებასაც ამ ნიშნით არკვევდნენ. დილით თუ დროულად ცხადდებოდი და ექვს საათზე გადიოდი ინსტიტუტის ალაყაფის კარებიდან, ეს იმას ნიშნავდა, რომ შენ პატიოსანი მუშავი და ვინ იცის, კარგი მეცნიერიც კი ბრძანდებოდი. ტაბელისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ინსტიტუტის მესვეურნი „შრომის მაღალ დისციპლინას“ ეძახდნენ. და იყო გაუთავებელი ღონისძიებანი გამცდენთა და გამსეირნებელთა მისამართით. დღე არ გავიდოდა, რომ საკანცელარიო დაფაზე რემინგტონზე დაბეჭდილი, მრგვალბეჭედ-დასმული ბრძანება არ გამოჩენილიყო. ბრძანება საყვედურს უცხადებდა „გაურკვეველი მიზეზით სამსახურის გამცდენს“ და გამეორების შემთხვევაში მოხსნით ემუქრებოდა. მაგრამ შხამ-ქიმიკატების ინსტიტუტში სამსახურში გამოუცხადებლობისათვის არავინ მოუხსნიათ (ან დაუქვეითებიათ) თანამდებობიდან. იმიტომ კი არა, რომ გაცდენის გამმეორებელი სანთლით საქებნი იყო, იმიტომ, რომ აცდენდა მხოლოდ ის, ვისაც პატრონი ჰყავდა. უპატრონოები კი (ჯუმბერ ბრეგვაძეც მათ რიცხვში ერთა) უმეტეს შემთხვევაში სამაგალითოდ მუშაობენ და თუ მაინც მოხდა სასწაული და გააცდინეს, ისეთი გასამართლებელი საბუთი აქვთ, რომ დირექტორები სიმწრისგან კბილებს აღრწიალებენ, მაგრამ პოლიკლინიკა-საავადმყოფოების ეჭვმიუტანელ ბეჭედს ვერას უხერხებენ.

ფილოქსერ-მირმანოლოგიურ ლაბორატორიაში ჯუმბერი-ანად ხუთი კაცი მუშაობდა. „მუშაობდა“ ცოტა ხმამაღლა სიტყვა მეჩვენება ამ ლაბორატორიის თანამშრომელთა მისამართით. ნუ გამინებრებიან სხვა ლაბორატორიების თანამშრომელები, სადაც შემოქმედებითი შრომა დუღს და გადმოდუღს. ლაბორატორიის გამგე, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბონდო კაკალაშვილი დილის საათებში მუდამ ადგილზე იყო. მოსვლიდან, სამუაღლოდ, ათ-თხუთმეტ ადგილას დარეკავდა, დაახლოებით თერთმეტ საათზე ლაბორანტს დაუბარებდა; თათბირზე მივდივარო და მიდიოდა თავისი რთული საქმეების მოსაგვარებლად. საქმეები კი მართლაც რომ რთული ჰქონდა;

ამ ოთხიოდე წლის წინათ ლოს-ანუელოსში მცხოვრებ მის უშვილო ბიძას ბონდოსთვის მექვიდრეობად დიდძალი ქონება დაეტოვებინა და მიუხედავად იურიდიულ კონსულტანტებთან განუწყვეტელი, ოთხწლიანი სირბილისა, ბონდოს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, იქვე, ადგილზე, ლოს-ანუელოსში მიეღო ნატურალური სახის ეს სიმდიდრე, თუ აქ, სამშობლოში დახურდავებული საბჭოთა მანეთის ანგარიშზე. უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლები იოსებ ტაბუციძე და ბადრი მაჩიტიძე „შრომის დისკიპლინის“ საუკეთესო დამცველებად ითვლებოდნენ მთელს ინსტიტუტში. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგაც კი რჩებოდნენ სამსახურში, რადგანაც ხშირად საქმე მოითხოვდა. რა იყო ეს საქმე? იოსები და ბადრი მთელს ქალაქში განთემული იყვნენ როგორც მსუბუქი ავტომანქანების კუსტარული სიგნალიზაციის ოსტატები. დაქირავებული ჰქონდათ ინსტიტუტის გარაჟის განაპირა ბოქსი და მუშტარიც ბუზივით ქვით ქვით. რაკი უშეუალო მეცნიერული მუშაობის ნაცვლად მეგობრები ხელოსნობას ეწეოდნენ, ისინი ყველაზე ტკბილი და ზრდილობიანი, უწყინარი ახალგაზრდები იყვნენ მთელს ინსტიტუტში. ასე გასინჯეთ, ხელფასის უწყისსაც კი თვეში ორჯერ მორცხვად აწერდნენ ხელს და ყურებებანითლებულნი შორდებოდნენ სალაროს.

ლაბორატორიის მექუთე თანამშრომელი უცხო ენათა ინსტიტუტის № წლის კურსდამთავრებული ბარბალე გელოვანი სამსახურში საერთოდ არ დადიოდა. ამ ორი წლის განმავლობაში ჯუმბერმა იგი ორჯერ ნახა. ერთხელ საახალწლო საღამოზე და მეორეჯერ იოსებ ტაბუცაძის ქორწილში. მომხიბვლელ ბარბალეს ორივეჯერ ძვირფას კოსტიუმში გამოწყილი, ღაბაბიანი, მელოტი კაცი ახლდა. ზოგი ამბობდა; ქმარიან, ზოგი ღაბაბიანს საყვარლობას აბრალებდა. ჯუმბერმა პირველი უფრო დაიჯერა, რადგანაც ბარბალეს კავალერი საყვარლის იერით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა.

როგორც ხედავთ, ლაბორატორიაში ყველაზე პატარა კაცი ჯუმბერ ბრეგვაძე გახლდათ. ეს მშვენივრად იცოდა მან და ისიც უწყოდა, რომ შემოწმებისას ჯოხი უსათუოდ ლაბორანტის თავზე გადატყდებოდა. ამიტომაც გარდა სამსახურში წესიერად გამოცხადებისა, იგი კვლევით საქმიანობასაც ეწეოდა; ან გაუთავებელ ექსპერიმენტს (ნატრიუმის მარილისა და გო-

გირდმუხავას ტუტოვანი რეაქციით ფილოქსერის შხამის მიღება) იმეორებდა, ან მის სპეციალობასთან ირჩბად დაკავშირებული რომელიმე გერმანული სტატიის თარგმნით იმტვრევდა თავს, ანდა, ეს იშვიათად ხდებოდა, სამეცნიერო-ფანტასტიკურ რომანს კითხულობდა.

იმ დილით ლაბორატორიაში ჩვეულებრივ ორნი ისხდნენ – ლაბორანტი და გამგე. ბონდომ დარეკვები მოათავა, რომელილაც იურისკონსულტს ტელეფონით შეუთანხმდა, ერთ საათში მანდ ვიქენებიო, მელნისფერი ხალათი გაიხადა, მეზზურის თავზე დამაგრებულ სარკის ნატეხში ჩაიხედა, კისერ-ყურიდან თმა ამოივარცხნა (მელოტი თავის დაფარვის ამ საეჭვო გზას, რატომლაც ბევრნი მიმართავენ) მერე წიგნებს ჩაჭიჭინებულ ჯუმბერს გამოხედა, ხალათი ისევ ჩაიცვა, თავის მაგიდასთან დაჯდა და ლაბორანტს უხმო.

– სამაღარიჩოდ გაქვს საქმე. როგორც იქნა, გამოვლლიტე აბესაძეს, გუშინ, შენი დანიშვნის ბრძანება.

ჯუმბერმა უკვე იცოდა, რომ გუშინ ოთხ საათსა და თორმეტ წუთზე შხამქიმიკატების ინსტიტუტის კანონიერი თანამშრომელი გახდა, ბრძანების ასლიც ჯიბეში ედო, მაგრამ „გამოვლლიტეზე“ შეატყო კაკალაშვილს, რომ სურდა დირექტორის მიერ სულგრძელად გაღებული მოწყალება თავის დამსახურებად ჩაეთვალა, და ლაბორანტმა გამგის სურვილს ხელი არ შეუშალა.

– მადლობელი ვარ. კიდევ უარზე იყო?

– უარზე იყოვო? – ხმას მოუმატა ბონდომ და ბრეგვაძის მოჩვენებითი მიამიტობით ფრიად გაიხარა, – მენ არ იცნობ ერმალოს. ეგ, კაცი კი არა, მეღაა. ცირკიდან გამოქცეული მელა. ყველანაირი სიგლახე რომ აქვს ნასწავლი, ერთ ნაბიჯზე არ ინდობა. ვიღაცის ვიღაცას აფორმებდა შენს ადგილზე, მაგრამ შევუნთე ცეცხლი.

ჯუმბერი მეექვსე კლასში იყო, როცა მისმა რეაბილიტირებულმა ბაბუქმამ – ხუტუნიამ დამოძლვორა: „კაცს კაცის გინებაში უსაბუთოდ არ აყვე, ბიძია, რას გაუგებ, ვის რა უდევს გულშიო“. არ ახსოვს ჯუმბერს, რას მოაყოლა ეს ზნებრივი ფორმულა მრავალნატანჯმა, უეჭველ სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილმა ხუტუნიამ, ღმერთო შეგცოდე და თვით ხუტუნიაც ბუნდოვნად ახსოვდა, მაგრამ მისი ერთად-

ერთი დარიგება არასოდეს ამოსულა ახალგაზრდა ქიმიკოსის გონიერდან.

ახლაც ხუტუნია გაახსენდა, მერცხლის კუდივით შუაზე გაყოფილი წარბები მოიქექა და ბონდოს კალმახის ტანივით დაწინწკლული, თაფლისფერი თვალები შეანათა.

— ორ წელიწადს უხელფასოდ მუშაობა არ ვაკმაროთო? ხომ არ დაცდენია, რამდენი ჰქონდა ბაბუაჩემს ამ ინსტიტუტის ვალი.

— შენ იხუმრე და, ბონდომ ხელები ხელებში ჩაიხვია და ჭერს ახედა, ბეწვზე ეკიდა გუშინ, შენი საქმე. კი მაგრამ, სინდისიც კარგი საქონელია, რა პირით შევხედო იმ კაცს-მეთქი. მოიცა-დოს ცოტაცო, რაკი ამდენი იცადაო, ერმალომ.

— მაინც?

— ეს „ცოტაც“ რას ნიშნავდა იცი? ერთი ამდენი კიდევ მოგი-წევდა ლოდინი. მე ასეთი უპირო და უნამუსო, აბესაძე რომაა, წიგნშიც კი არ წამიკითხავს, — ბონდომ ხმას დაუწია — ახლა შენ უკვე ჩვენი კაცი ხარ და ყველაფერი უნდა იცოდე. არ არსებობს სიგლახე ქვეყანაზე ერმალო აბესაძე რომ არ სჩა-დიოდეს. ა, — უჯრა გამოსწია და ქალალდების შეკვრა დააძრო, — წაიკითხე, რა სწერია ამ ქალალდზე; ჩვენ ამ კვარტალში თორმეტი ლიტრი სპირტი, რვა ჭიქა ამონიუმშავა და თორ-მეტი ყუთი კარტილი გვაწერია, თვალით გინახავს რამე? სად წავიდა, თუ იცი? უნდა იცოდე, ეს ყველაფერი ქალალდზე დარ-ჩა, სინამდვილეში ჩვენი ინსტიტუტის საწყობიდან მარცხნივ გაიყიდა და ფული ერმალომ ჩაიჯიბა. ეს ერთი უმნიშვნელო დეტალია აბესაძის მავნებლობების. დოქტორი რომ გახდა, მე მგონი, თვითონაც უკვირს. თუ აწერია დამოუკიდებლად მისი გვარი თუნდაც ერთ სტატიას? სანთლით რომ ეძებო, ვერ აღ-მოაჩენ. რაც არ არის, რას იპოვო. ვიქტორ ბოკუჩავას გვარსაა ამოფარებული. ისიც სამადლოდ, თანაავტორად იხსენიებს. მა-გრამ, ამ ბოლო დროს, მე მგონი ბოკუჩავაც ხვდება, ვისთანაც აქვს საქმე. ერთი დღე იქნება ანასინს ეტყვის აბესაძის თა-ნაავტორობას აკადემიკოსი. შენ მინდა იცოდე ეს ყველაფერი. აქამდე არ გეუბნებოდი იმიტომ, რომ მაინც შუაგზაზე იყა-ვი. ახლა აქეთ, გამოლმა ხარ. უნდა ერკვეოდე, ვინ ვინ არის. საერთოდ, ესეც იცოდე; ეს ინსტიტუტი ცხვრების ბოგაა. ხმის ამომლები არ არის კაციშვილი.

ეს თქვა თუ არა, ბონდო კაკალაშვილი წამოდგა, ხალათი ლურსმანზე დაკიდა, სარკის ნატებში ერთხელ კიდევ ჩაიხედა, თათბირზე მივდივარო, ლაბორანტს დაუბარა და კარი გაიკეტა.

მართალია, ჯუმბერს აბესაძის პიროვნებისადმი თავისი დამოკიდებულება ამ საუბარში არ გაუმჯღავნებია, და, კაცმა რომ თქვას, არც ლაბორატორიის გამგეს მოუთხოვია მის-გან თანაგრძნობა, მაგრამ ამდილანდელმა სერობამ უმცროსი ლაბორანტი ღრმად ჩააფიქრა. დიდხანს ეჭირა ერთი საუწყებო გაზეთი ხელში, მაგრამ იქ დაბეჭდილ უალრესად ნათელ და მარტივ კორესპონდენციებს ვერაფერი გაუგო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხოლოდ ასოებს აყოლებდა თვალს, ფიქრით კი კვლავ ერმალო აბესაძეს დასტრიალებდა.

რატომ გაუცხადა, ასე დაუფარავად, ინსტიტუტის საიდ-უმლო დღეს ბონდო კაკალაშვილმა? ხომ არ ცდიდა? ხომ არ აინტერესებდა ლაბორატორიის გამგეს, იყო თუ არა ჭორი-კანა მისი ახალი თანამშრომელი? სპირტამინომუავა-კარბი-დის ფაქტიც მართალს ჰგავდა და არც ის იყო ჭეშმარიტებას მოკლებული, რომ აბესაძის სამეცნიერო სახელი ძირითადად ავტორთა ჯგუფის სტატიებით გახლდათ ნასაზრდოვები, მა-გრამ რა ხელს აძლევდა ბონდო კაკალაშვილს, რომ უმცროს ლაბორანტს სცოდნოდა ყოველივე ეს და ისიც ახლა, როცა ორი წლის თავზე ძლიერძლივობით თავის ტიტულს გულისგა-მაწვრილებელი „უშტატო“ ჩამოაცილა? „არა, ჯუმბერო, ადა-მიანის ბუნების უცნაურობას საზღვარი არა აქვს, ვინ იცის, ვის რა უძევს გულში. შენ შენს საქმეს მიხედე, შენს წისქილს უდარაჯე, იოლად ნურვის განიკითხავ, რათა უნებლიერ ცოდ-ვაში არ ჩადგა ფეხი“ — ხმამაღალი ფიქრით ურჩია თავისთავს ბრეგვაძემ და წყლის გამოსახდელი აპარატი ჩართო, რათა მისი ღუღუნისთვის გული გადაეყოლებინა და უსიამოვნო ფიქრებისაგან განთავისუფლებულიყო.

ნასადილევს ლაბორატორიის კარებზე ქალალდი გააკრა — „ახლავე მოვალო“ და დერეფნის ბოლოს, აკადემიკოს ვიქტორ ბოკუჩავას ასპირანტებს შორის, ბოლო კაცი მოძებნა, რიგი დაიკავა. რა უნდოდა ლაბორანტს აკადემიკოსთან? „ჩემდა ილბლად ქალაშვია, ვინ იცის, მერე როდის ვნახავ. ჩემს მეც-ნიერულ ინტერესებზე ორიოდე სიტყვას ვეტყვი და იქნებ მო-მავალი დისერტაციის სათაურიც გამოვტყუოო“.

სამი საათის შემდეგ იგი მსოფლიოში განთქმული ქიმიკოსის პირისპირ იჯდა. „რა უბრალოა“, გაიფიქრა ჯუმბერმა, როცა ბოკუჩავას შავადშელებილ, ყურ-კისერში ჩაჩრდოთულ „ჰი-პურ“ თმას და მეცხრამეტე საუკუნის უცნობი მხატვრის მიერ დახატული „იამშჩიკის“ მსგავს სახეს ჰქიდა თვალი.

აკადემიკოსი ორიოდე დღის დაბრუნებული იყო რომელილაც ნეიტრალური სახელმწიფოს დედაქალაქიდან, სადაც ტვინის შერყევა მიეღო და უფასო მკურნალობის საავადმყოფოში თვე-ნახევარი გაეტარებინა. რას აღარ ჰყვებოდნენ ვიქტორ ბოკუჩავას კომიციოს მიზეზებზე: ზოგი ამბობდა, ბანანის კანზე ფეხი დაუცდა და ტროტუარს თავი ჩამოჰკრაო. ზოგი უფრო ჰეროიულ ამბავს ჰყვებოდა: უმწეო ქალ-ჩვილთ გამოესარჩდა და ხულიგნების ბრძომ სცემაო, ღმერთო შეგცოდე, თავად აკადემიკოსაც (გასაგები მიზეზების გამო) ბუნდოვნად ახსოვდა თავისივე ტვინის შერყევის ფაქტი და აბა, უმცროსი ლაბორანტი ჯუმბერ ბრეგვაძე საიდან შეიტყობდა?

არც ამბავი, არც ხაბარი. აკადემიკოსს დალლილი სახე ჰქონდა და ჯუმბერიც შეწუხდა; სად სცალია ამხელა პირვონებას ჩემთან სასუბროდ, აღბათ კაცობრიობის ხსნის მეცნიერულ აღმოჩენას მოვაცდინეო.

– რაზე მუშაობთ? – პირდაპირ საქმეზე გადავიდა ვიქტორ ბოკუჩავა.

– კოლოიდური თუთის ფოთლის ანემის შპრიცით მკურნალობის საშუალებებზე – სხაპასხუპით მიაყარა ჯუმბერმა.

– ჩემი შრომები წაკითხული გაქვთ?

– რამდენადაც ვიცი, თქვენ ამ პრობლემაზე არ გიმუშავნიათ, – პასუხი მზად ჰქონდა უმცროს ლაბორანტის.

– საერთოდ გეკითხები, – არ დაიბნა აკადემიკოსი.

– საერთოდ, რა თქმა უნდა.

– რა უცხო ენა იცით?

– ფრანგული. ვკითხულობ და ვთარგმნი ლექსიკონის დამარცხით.

აკადემიკოსმა დაამთქნარა და კარტოფილის მსგავს, წითურ ცხვირზე ხელი ჩამოისვა.

– ფრანგული არ გეყოფათ.

– ??

– ფრანგული არ გეყოფათ-მეთქი. თუთის ფოთლის ანემიაზე ფრანგები ნაკლებად მუშაობენ. ინგლისური უნდა ისწავლოთ.

– საერთოდ რა ლოკალური მიმართულებით მირჩევდით მუშაობის წარმართვას? – ოქროს პაუზით ისარგებლა ბრეგვაძეებ.

– ინგლისური კარგად შეისწავლე და მერე ვილაპარაკოთ, – აკადემიკოსმა ფანჯარაში გაიხედა, რაც მიმხვედრიანი მოსაუბრისთვის აუდიენციის დამთავრების ნიშანი იყო.

– შტატში ხართ? – კარებთან მისულ უმცროს ლაბორანტს დაადგევნა ბოკუჩავამ.

– დიახ, – ჯუმბერი შედგა და მოიხედა.

– ვისი რეკომენდაციით მიგიღეს?

– განანილებით. პირველი ხარისხის დიპლომი მქონდა.

– და ეს საკმარისი აღმოჩნდა აბესაძისთვის? რად მატყუებთ, ახალგაზრდავ. თქვენ, ჩვეულებრივ ადამიანებს, რატომ გეჩვენებათ სწავლულები მიამიტ და გულუბრყვილო ხალხად? შენ გგონია მაგდენს ვერ ვხვდებით ჩვეენ?

– რა მოგახსენოთ, – ბრეგვაძეს სიმწრის ოფლმა დაასხა – ნამდვილად ასე იყო.

– მე ვიცი, როგორც იქნებოდა. სამი ვარიანტიდან ერთ-ერთია: პირველი – დიდმა კაცმა დაურეკა, მეორე კორუპციამ თავისი გაიტანა და მესამე – ილაჯი გაუწყდა, თავი მოაბეზრეთ. მე კარგად ვიცი, რა უულიკიცაა ეგ თქვენი აბესაძე.

– მე... ახალი კაცი ვარ... ასე კარგად არ ვიცნობ, – სიტყვებს ყლაპავდა უმცროსი ლაბორანტი.

– ყური დამიგდეთ. თქვენი გვარი?

– ბრეგვაძე.

– ყური დამიგდეთ, ბრეგვაძე. იცით, რას სჩადის აბესაძე? საწყალ სწავლულებს მივლინებებზე უარს ეუბნება, ყალბ საბუთებს ადგენს და მივლინების თანხას თვითონ იჯიბავს. ფაქტი გნებავთ? ამ ერთი თვის წინ, ჩემს ასისტენტს, მიროტაძეს მივლინების ფიქტიური საბუთი მისცა. ვერ გაგინალდებთ, საშუალება არა გვაქვსო. მივლინების თანხა კი გაცემულია და უწყისზე ყალბი ხელმოწერაც არის. ახლახან შევიტყვე ეს ამბავი. გარდა ამისა, ხეპრე, უხეში, გაუთლელი კაცია. მე გამოვიგონე, მე ვაქციე კაცად და თავს მჭრის. რვა წელია დირექტორია და რუსული ხეირიანად ვერ ისწავლა.

– ნუთუ მართლა? – გაიოცა ბრეგვაძემ.

– როდის იყო მე ტყუილს ვამბობდი, ჩივაძე! – პათეტიკური სახე მიიღო აკადემიკოსმა.

– ბრეგვაძე, ბატონო – შეაშველა უმცროსმა ლაბორანტმა.

– როდის იყო მე ტყუილს ვამბობდი, ბრეგვაძე – გაიმეორა ბოკუჩავამ და ნათქვამი რომ უფრო დამაჯერებელი გაეხადა, სათვალე გაიკეთა.

თავისი ლაბორატორიისკენ რომ მოაბიჯებდა, ჯუმბერს უსიამოვნოდ აურუოლებდა. ვიქტორ ბოკუჩავასთან ახლოს მისვლით მის არსებაში ერთბაშად დაიმსხვრა დიდი მეცნიერის ხატი ბავშვობიდანვე რომ ოცნებით აგვირისტებდა. „მე მეგონა ცაში დაფრინავდა, მე მეგონა ისე რთული იქნებოდა აკადემიკოსთან ლაპარაკი, რომ ჩემი ჩანასახოვანი ცოდნის პატრონი სირცხვილით დავიწვებოდი, ტერმინებისა და ჰიპოთეზების ტევრში გზას ვერ გავიკვლევდი. მეცნიერებაზე სიტყვაც არ ჩამოუგდია. რა ჩემი საქმე იყო ასისტენტ მიროტაძეს მივლინება გაუნალდეს თუ არა. იქნებ მე შევცდი, თავი კარგად ვერ ვაჩვენებ და ამიტომაც დაეშვა ვიქტორ ბოკუჩავა მაღალი მეცნიერული მატერიებიდან აბესაძის წუმპემდე“.

ამ შეხვედრიდან ერთი კვირაც არ იქნებოდა გასული, რომ უმცროს ლაბორანტს აკადემიკოსთან საუბარი თითქმის დაევიწყებინა და სხვა, უფრო ნაღდ, საზრუნავს შედგომოდა. ფანჯარას გადაყუდებული თავზე თმის ძირების გასამაგრებლად წამალს ისხამდა. წამალთან მიმართებაში იქნებ „ისვამდა“ უფრო სწორი იყოს, მაგრამ ჯუმბერი დიახაც რომ თავს იბანდა წამლით, რომელსაც იგი იქვე, ლაბორატორიაში ძირხვენისა და დაფნის ნახარშისაგან ამზადებდა. ბრეგვაძეს, ამ ბოლო დროს, თმა დიდის აღმავლობით სცვივოდა და გულით სურდა, როგორმე ცოლის შერთვამდე მაინც შეენარჩუნებინა. ხოლო ცოლის შერთვას ახალგაზრდა ქიმიკოსს თუ რაიმე დააჩქარებინებდა, ისევ და ისევ თავისი, გაქცევის გზაზე დამდგარი, ქოჩორი.

კალისტა ტოროშელიძე შემოტრიალდა და, კაცმა რომ თქვას, რა საძრახის საქმეში კი შემოუსწრო ჯუმბერს, მაგრამ ეს უკანასკნელი დამნაშავესავით კედელს მიაწყდა, წამლით სავსე ფიალა ონკანს შეუშვირა და ჰირსახოცს დაწვდა.

გვიან იყო.

– შველის?

– რას? – ჯუმბერმა თმა გაიმშრალა და სარკის ნატეხს დაუპირისპირდა.

– რას და წელის ტყივილს. რა გჭირთ ამ კაცებს. სადაც კი შევედი დღეს, ყველა თმის წამალს ისვამს.

– რა ვიცი, ჯერ ვერაფერს ვატყობ, – მორცხვად ჩაიღიმა ბრეგვაძემ.

კალისტა კანცელარიაში მუშაობდა. მთლად კურიერი არ იყო, მაგრამ მდივან-მემანქანესა და შიკრიკს შორის, რაღაც საშუალო თანამდებობა ეჭირა. გაიძახოდა; სტაჟის გულისთვის ვმუშაობ, მაგრამ რა სტაჟი სჭირდებოდა ისეთი, ამ ხუთ წელინადში რომ ვერ დააგროვა? მოკლედ შეკრეჭილი, ფერფლისფერი თმები და აპრეხილი, თხელი ცხვირი ჰქონდა. ბარძაყებზე უმჭიდროვესად შემოჭერილი ჯინსი აწუხებდა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ მოხდენით, ნამდვილად უხდებოდა.

ჯუმბერს არ ახსოვს, რომ აქამდე ტოროშელიძის ლამაზი გოგო მირმანოლოგიურ ლაბორატორიაში შემოსულიყო, ამიტომაც უფრო აღიზიანებდა კანცელარიის მოხელის უბოდიში თავისუფლება. კალისტამ ოთახი ლილინით შემოიპინა, ყველაფერს ჩახედა, ყველგან ჩაყო ცხვირი. ეს რა არისო, მინის ქილაზე იკითხავდა. ბრეგვაძე სანამ აუხსნიდა, გოგონა საცობს მოხსნიდა, დაყნოსავდა „ფუჰ“-ი იტყოდა და სხვა სინჯარა-მეზზურისკენ გარბოდა.

– შენა, – კალისტა ოთახის შუაგულში გაჩერდა, მარჯვენა ფეხი წინ წამოსწინია, მერე მანეკენივით ფეხები ერთმანეთს შეანება და დაბნეულ ლაბორანტს ტანის რხევით, გვერდულად გამოხედა, – უმცროსი პრეპარატობა პროფილში გადის?

– რა ვიცი, – მანეკენის ლამაზ ფეხებს თვალი მოარიდა ჯუმბერმა, – ჩემ დროს ითვლებოდა, რას გაუგებ, ყოველ წელინადს ცვლიან წესებს.

– იცი რატომ გკითხე? აბესაძეს უმცროს პრეპარატორად გადავყავარ.

– როდის?

– როგორც კი ადგილი გამოჩნდებაო. თუ არ მატყუებს, ასე მითხრა. ისე ძალიან სკოლზე კაცია. მატყუარებს ვერ ვიტან. ჩემთან ცუდად არ არის, მაგრამ გაიძვერაა და ვერ ვიტან. იცი რამდენი მკვდარი სული ჰყავს გაფორმებული?

– რამდენი? – უგულოდ ჰკითხა ბრეგვაძემ.

— ერთი ხომ თქვენთანაა — ბარბალე გელოვანი. მეორე ვიღაც კოტე კრიჭინაშვილია — მორფო-კრიხსოლოგიურში მოიცა კიდევ, ჰო, გრიგოლ ჯაბუა მინხრო-ჩაჩოლოგიურ ლაბორატორიაში ოთხი თვის წინ გააფორმა. ესენი მე რომ ვიცი და მე რომ არ ვიცი, ისეთი რამდენია. ამათ ხელფასს თვითონ იჯიბავსო, ამბობენ.

— ვინ ამბობს?

— ყველანი, მთელი ინსტიტუტი ამას ლაპარაკობს, მაგრამ ხმამალლა თქმას ვერავინ ბედავს. მე რაში მაინტერესებს, მე სტაჟის გულისთვის ვმუშაობ, მაგრამ ვერ ვიტან ასეთებს. იცი, გარდა ამისა, მე მგონი, გოგოებიც უყვარს. ხანდახან ისე გამიშტერებს თვალს ეს ამ ხნის კაცი, რომ სიცილისგან ხუთვა მეწყება.

— აბა, გადასულხარ უმცროს პრეპარატორად.

— კარგი რა, არა გრცხვენია? საით უკაკუნებ. ერთი ხელი გაატოვოს, იქნებ გოგირდმუავა შევასხა თვალებში.

— სად იშვიო გოგირდმუავას?

— მაგის სამყოფს ვიშვიო. პაკა! — ხელი გაუსვა ჰაერს კალისტამ, რომელილაც რუმინული დუხის სურნელი დატოვა და კატასავით უხმოდ გაძვრა კარებში.

ჯუმბერმა კარები ჩაკეტა, ძირხვენისა და დაფინის ნახარშს დაწვდა, კისერში პირსახოცი ჩაიფინა, ფანჯარას გადაეყუდა და თმის ძირების გამაგრების საეჭვო გზას დაადგა.

საქმეს რომ მორჩა, თავი შეიმშრალა მაგიდაზე დახვავებულ ქალალდებს შორის „ახლავე მოვალ“ მოძებნა, კარებზე გააკრა, კიბეს ჩაუყვა და ეზოში გავიდა.

გარეთ ცხელოდა.

ატმის ნერგებზე უხვად მიშვებული წყალი ქვევით, ქუჩაზე იშლებოდა და მანქანებს ადევნებული წყლის მარაო ზემოდან სასიამოვნო სანახავი იყო.

სახლების თავზე რუხ-ყვითლად ათიმთიმებული ხვატი იწვა. მამადავითსა და შავნაბადას ამოეყო თავები მანქანა-ქარხანა-თა შხამიანი თავსაბურიდან და თითქოსდა ქალაქს მაღლა, ცისკენ ეწეოდნენ.

ქალაქი კი, თითქოს, ვერ ამჩნევდა მის თავზე გაწოლილ ჯანლს, მაღლა ძაბვაზე იყო ჩართული, ადამიანები გაფაციცებული სახეებით მიმორბოდნენ და მაღლა ასახედად არ ეცალათ.

გვერდით ერმალო აბესაძემ ჩაუარა, ჩინურ ვაზაზე გადაიხარა, წყალი მოსვა, ხელისგულები შეიმშრალა და „გაზ-24“-თან დახრილი სიგნალიზაციის ოსტატებისკენ გაემართა.

ჯუმბერ ბრეგვაძეს მოეჩვენა, რომ დირექტორმა დაინახა, მაგრამ არ მიესალმა.

„რას მამადლის. ეს ინსტიტუტი მამამისის მემკვიდრეობად ხომ არ მიაჩნია. დამნიშნა უმცროს ლაბორანტად, დიდი ამბავი. მადლობა მოვახსენე, მეტი რა მექნა. თავისი დირექტორობა არ უკვირს და ჩემი ლაბორანტობა უკვირს?“ — გაიფიქრა და თითქოს თავისივე ფიქრისა შეეშინდაო. ისევ ქალაქის თავზე ჩამომხობილ კორიანტელს დააჩერდა.

— ნამდვილი ყოფილა, კი. არაზრის არ რცხვენია მაგნებს. უგონებდნენ მეგონა. ჭორი იქნებოდეს იქნება-მეთქი. ა, შეხედე, ნამდვილი ყოფილა.

არც გაუგია, როდის ამოუდგა გვერდით მეტაბელე ზაზა წიფურია.

— რაზე ამბობ?

ზაზა სიგნალიზაციის ჯიხურისკენ მიმავალ ერმალოს თვალს არ აცილებდა.

— ახლა უყურე. ა, ჩვენს თვალწინ მოხდება ყველაფერი. დირექტორი წილშიაო, ტყვილი მეგონა. როგორ იკადრებს ამხელა კაცი სოსო ტაბუცაძეს და ბადრი მაჩიტაძეს ფული გამოართვას-მეთქი, კინალამ ვეჩხუბე ერთ კაცს! დამენიძლავეო და კიდევ კარგი, არ დავენიძლავე, ხომ წავაგებდი ნიძლავს. ა, უყურე მაგნებს.

თითქოსდა ზაზას ნათქვამის დასადასტურებლად მოქმედებენო, დირექტორმა ბადრი მაჩიტიძეს მხარზე ხელი მოუთათუნა, ბადრი წელში გაიმართა, მანქანის ქვეშ პირალმა განილობრივი ტაბუციძეს რაღაც გადაულაპარაკა, მერე დირექტორი და მაჩიტიძე ბოქსში შევიდნენ, ხუთიოდე წუთში გამოტრიალდნენ, ერმალო გამოუმშვიდობებლად წამოვიდა, ბადრი კი ისევ მანქანას დაუბრუნდა.

— ხომ ყოფილა ის კაცი მართალი. წილში რომაა ამას უნდა ახლა ბევრი ლაპარაკი? ეს რა ვნახე, დედაია, მთლად წასულა ხელიდან, კი...

თავისი „აღმოჩენით“ გახარებულ წიფურიას სიტყვა პირში შეატოვა და სახანძრო სტენდის გვერდით, კიბის ქვეშ მო-

თავსებულ ბუფეტში შევიდა. ქერათმიანი, ფუნთულამკლავება მებუფეტე ქალი დახლს გადმოყრდნობოდა და ვიღაცას გაცხარებით უმტკიცებდა: „თუ ასე გაგრძელდა, არა გენაცვალე, მე აქ გამჩერებელი არა ვარ. დროებით, დროებითო, აღარ გათავდა ეს „დროებით?“ შევედი იმ დღეს; შალვოვიჩ, სანამ ვიყო კაბინის ქვეშ. კაციშვილი აღარ შემოდის, ჩაი რომ დალიოს ადამიანმა, იმის ადგილიც არა გვაქვს, ბოლოს და ბოლოს ხალხის მრცხვენია-მეთქი: რა ვქნა მეო, როგორ თუ რა ქნა, დირექტორი მენ ხარ. თუ არ გჭირდებათ ეს ბუფეტი, დახურეთ საერთოდ, თუ არა და მუშაობის ნორმალური პირობები შემიქმნით-მეთქი. შეაყარე კედელს ცერცვი. არა, არა გენაცვალე, მე აქ გამჩერებელი არა ვარ. იმ თვის გეგმა ნახევარიც არ შემიტანია. არ შემოდის არავინ, ვინ შემოვა ამ სათავურში“.

უმცროსმა ლაბორანტმა ჩაის დალევა გადაიფიქრა და თავის სამუშაო კაბინეტს დაუბრუნდა. ასე არასოდეს ნდომებია მარტო დარჩენა. სალამომდე იმდენი წყალი გამოხადა, რომ ლაბორატორიის ჯამ-ჭურჭელი პირზმინდად დაავსო და სანამ კარებში ლოთი დამლაგებელი ქალი არ გამოჩნდა, არ გაუგია, რომ სამუშაო საათები კარგა ხნის დამთავრებული იყო.

გამოსვლისას თმის წამლით სავსე ქილას შეხედა, საექიმბაშო განრიგით წამლის მორიგი გადასხმა სწორედ ახლა უნევდა, მაგრამ რატომდაც გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და გავიდა.

მერე ვერაფრით ველარ გაიხსენა; როგორ მივიდა შინ და ივახშმა თუ არა საერთოდ. რომ გამოერკვა, წერა უკვე დამთავრებული ჰქონდა. ერმალო აბესაძის დანაშაულობათა ნუსხა ოთხ ფურცელს მოიცავდა. გადაიკითხა, კალამი დადო და კედელზე სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის სერგეი ლაზოს სურათს გამომშრალი თვალებით მიაჩერდა. „რა ჩაიდინა? ხომ აშკარა იყო, რომ ბაბუძმა ხუტუნია ამ საქციელს არ მოუწონებდა. ბოლოს და ბოლოს აბესაძისგან აშკარად გამნარებულები ჯიუტად სდუმდნენ და ჯუმბერი რა წითელი კოჭი იყო სხვის მაგივრად ებზრიალა? იმ კაცს მისთვის ხომ არაფერი დაუშავებია, რატომ უნდა აღმართოს ხელი და ისიც მან ახალგამომცხვარმა უმცროსმა ლაბორანტმა?“

ბოლოს შიშა და მორიდებას ჯუმბერის არსებაში სხვა გრძნობამ სძლია: „კი ბატონო, დავხევ ამ ოთხ ფურცელს და ცეცხლს

შევუკეთებ, ამაზე ადვილი რა არის, მაგრამ ეშველება ამით საქმეს? მთელი ინსტიტუტი შეუჭამია კაცს და პასუხს არავინ სთხოებს, სამართალია? ყველამ რომ პირში წყალი დავიგუბოთ, უარესს არ იზამს აბესაძე? გარდა საკუთარ კეთილდღებაზე ზრუნვისა, ხომ არსებობს ქვეყნად ვაჟკაცობა და თავგანწირვა. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, რა თავგანწირვაა, კაცმა რომ თქვას, მივიტან ამ ქალალდს, სადაც საჭიროა, შეამოწმებენ სიმართლეს და კუდით ქვას ასროლინებენ შენს ერმალოს“.

ასე ფიქრობდა ჩვენი ნოველის გმირი იმ საღამოს. თბზულება-საჩივარი გულმოდგინედ გადაწერა, ხელმოუწერლად ჩადო კონვერტში და ენით დააწეპა, მაგრამ ანონიმური ავტორობა შეურაცხყოფად მიიჩნია, კონვერტი გახსნა, თავისი სახელი და გვარი გარკვევით მოაწერა და ღრმად ამოისუნთქა.

ვერ გეტყვით, რომ იმ ღამეს მშვიდად ეძინა, დილით გზად სამმართველოში შეირბინა „საჩივრისა და წინადადებების“ ყუთს მიადგა და კონვერტი რომ ჩაუშვა, ირგვლივ ისე ამაყად მიმოიხედა, თითქოს, ეს-ესაა საშვილიშვილო საქმე განასრულა და ქვეყანას ჭირი მოაშორაო.

სამი დღის შემდეგ ადგილკომში უხმეს. ადგილკომის თავმჯდომარე ულვაშრება, ელამი, ახმახი ბიქტორ ტაფაძე ღვიძლი შვილივით შეხვდა; გაბედულება მოუწონა, თქვენ თუ არ იპრობლეთ სიმართლისთვის ახალგაზრდებმა, ხომ ხედავ, რა ხდება ამ ისედაც დაქანებულ დუნიაზეო. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ერმალო აბესაძე ამის ჩამდენი იყოვო. შენ, ალბათ, საბუთებიც გაქვს მოგროვილი, თორემ ისე ხომ არ დაწერდი ამასო, – საკანცელარიო სამაგრებით შეკრული ოთხი ფურცელი აუფრიალა ცხვირწინ და დიდად გაიოცა, როდესაც უმცროსმა ლაბორანტმა აუწყა, არავითარი დოკუმენტები არ გამაჩნია, უბრალოდ, რაც ეჭვმიუტანელი სიმართლეა და რასაც მთელი ინსტიტუტი ლაპარაკობს, ის დავწერო.

ბიქტორ ტაფაძემ ნიკაპი მოიქექა და კარგა ხანს თვალებში შესცეკროდა დამწყებ მომჩივან-მოხალისეს. მერე თითქოს, უთანაგრძნობსო, წამოდგა, გაიარა-გამოიარა და ბეჭებზე რამდენჯერმე დაჰკრა ხელი, თითქოსდა წინასწარ იცოდა ტაფაძემ, როგორ წარიმართებოდა ბრეგვაძის მიერ უნებლიერ დატრიალებული კარუსელი.

– ჩემო ჯუმბერ, რაკი დაიწყე, ბოლომდე უნდა მიიყვანო

საქმე. ახლა შეჩერება, შენსავე საზიანოდ მოგიბრუნდება. წაიღე ეს განცხადება და რამდენიმე კაცს მაინც მოაწერინე ხელი. ასე ა, „განცხადების ჭეშმარიტებას ვადასტურებ“ და ხელმოწერა. მე თვითონ მოგინერდი ხელს, მაგრამ ოფიციალური პირი ვარ და არ შეიძლება. ისე, ყველაფერში მხარს დაგიჭრ. ახლა მთავარია, არ დავმარცხდეთ. მათ, ვინც ეს ფაქტები გაცნობა, მე მგონი, უნდა ეყოთ ვაჟკაცობა და მოაწერონ ხელი. მთავარია, მარტო არ დარჩე. თუ ეს განცხადება მოწმებით არ გაამაგრე, ცილისმნამებელი შეგერქმევა და მერე ნულარ დამემდურები – ნარკვევი საქალალდეში ჩადო, გაოგნებულ ჯუმბერის ილლის ქვეშ შეუჩურთა, ნარმატება უსურვა და კარებამდე გამოაცილა.

აკადემიკოს ვიქტორ ბოკუჩავას უფხიზლესი მცველი, თავის მომახმარებლად ენერგიული, შეუხედავი ლაბორანტი – ვერა, რომელსაც თავისი პირდაპირი მოვალეობა დავიწყებოდა და ტექნიკური მდივნის ფუნქციებით აღჭურვილიყო, ბრეგვაძის ილბლად, ბარათით კარაქის გამოსატანად გახლდათ წასული და აკადემიკოსის კაბინეტთან, ამ სერიოზული მიზეზის გამო, არავინ იდგა.

ბოკუჩავამ კართან ატუზული ლაბორანტი კარგა ხანს ალოდინა (მაინცდამაინც მაშინ მოუნდა გაზიეთების გადათვალიერება), ბოლოს თავი ასწია, სადღაც შორს და უაზროდ გაიხედა, თითები გაატყაცუნა და ვარდისფერფარდაჩამოფარებულ სარკმელს ჰკითხა:

– რაზე მუშაობთ?

ბრეგვაძემ აუხსნა, რაზეც მუშაობდა და იქვე მიაყოლა, რომ აკადემიკოსის შრომები წაკითხული ჰქონდა და ამ ბოლო დროს ფრანგულთან ერთად, ინგლისურის შესწავლასაც მიჰყო ხელი.

– ინგლისური კარგია... გამოგადგებათ... წარმოიდგინეთ, მე პროფესორები ვიცი, ინგლისურის ინჩი-ბინჩი რომ არ გაეგებათ. აბა, თქვენ მითხარით, ინგლისურის გარეშე შეიძლება მეცნიერს მეცნიერი დავუძახოთ?

– არა, რა თქმა უნდა, – დაეთანხმა ჯუმბერი და მოწინებით დაუდო განცხადება მაგიდაზე – თუ შეიძლება, ხელი მომინერეთ.

დაიწყო ლოდინის მტანჯველი წუთები. აკადემიკოსი დიდხანს დამარცვლით კითხულობდა ერმალო აბესაძის „მოღვაწეობის“ წუსხას, ხანდახან შეჩერდებოდა და წინადადებას თავი-

დან იწყებდა, აშკარად ჩანდა, რომ უცხო ენების (და განსაკუთრებით ინგლისურის) ჩინებულად მცოდნე ბოკუჩავა ქართულს არცაუ ბრწყინვალედ ფლობდა.

– ჩინებულია – როგორც იქნა, ჩაამთავრა კითხვა დიდმა მეცნიერმა, – თქვენ თვითონ დაწერეთ?

– დახ, – თავი ასწია ჯუმბერმა.

– მიიტანეთ სადმე? – კი... მაგრამ... რამდენიმე მოწმეა საჭიროვო. თქვენ რომ მოაწერთ ხელს, გამაგრდება.

– რას იზამს? – როგორ ჰგავდა აკადემიკოსი ახლა, ამ წუთში „ბითლსების“ ფირფიტაზე დახატულ მეგიტარეს.

– მეტი ძალა ექნება, პატივცემულო.

ბოკუჩავამ თავიდან დაიწყო საჩივრის კითხვა. თითქოს ზეპირად სწავლობსო, მაღლა აიხედავდა და ფრაზას გაიმეორებდა.

– ჩინებული შედგენილია. ყველაფერი სწორია. მიროტაძის ფაქტი?

– თქვენ მითხარით, თუ გახსოვთ.

– მე? – აკადემიკოსმა ხმას დაუწია, – მე გითხარით, მახსოვს, ხომ კარგად მოვიქეცი, რომ გითხარით? ზოგიერთი, ჩემ ადგილას არც კი გეტყოდათ. აბა, თქვენ იცით. ბოლომდე მისდიეთ ამ საქმეს. არავის უთხრათ, რომ ჩემთან იყავით. კარგად ბრძანდებოდეთ. მოიცათ, ეს ნაშრომი გრჩებათ.

– ხელს ვერ მომინერთ? – სასოწარკვეთა ჩაბუდებულიყო ლაბორანტის ხმაში.

– რა თქმა უნდა, ვერა. მე ასეთ დოკუმენტებს ხელს არ ვაწერ. ჩემთვის უხერხულია. აბა კარგად, მხნედ, მედგრად, როგორც ინგლისელები იტყვიან – სანამ კარს მიიგდებდა, დერეფანს იდუმალი მზერა მოავლო და ჩურჩულით თქვა – მიროტაძის ფაქტიც მშვინივრად ზის. თუ გკითხონ, ყური მოვკარითქო. აღარ მახსოვს, ვინ მითხრა-თქო. ასე აჯობებს საქმისთვის.

თავდახრილი, განბილებული მოაბიჯებდა თავისი ლაბორატორისკენ ჯუმბერი და შავფრაკიანი აკადემიკოსი საოცრად აგონებდა აუზდამშრალი ზოობარკის პინგვინს – სიცხისაგან შეწუხებული მი და მო რომ აწყდება.

წყლის გამოსახდელი აღარ ირთვებოდა; შავი სატინის ხალათი ჩაიცვა, ბონდოს უჯრიდან ინსტრუმენტების ყუთი ამოილო და აპარატის დაშლას შეუდგა. კარგა ხანს უკირკიტა. მერე ისევ ააწყო. უკირდა, ყველაფერი რიგზე იყო. არც დამწვარი

იყო კონტაქტები, არც გაწყვეტილი, აპარატი კი მაინც არ მუშაობდა. ქანჩები ჩვრით განმინდა თავის ადგილას შეინახა და საათზე დაიხედა. ხუთი სრულდებოდა, სადაცაა ლაბორატორიის გამგეც უნდა გამოჩენილიყო. თმის წამლიან ქილას დაწვდა, ფანჯარას გადაეყუდა და პირველივე პეშვი ისხურა თუ არა თავზე, კალისტა ტოროშელიძე შემოფრთხილდა დაუკაუნებლად. ქილა იატაკზე დადგა და პირსახოცს მიწვდა.

კალისტამ ტანის ჩვეული რხევით შემოურბინა ლაბორატორიას და ისე გაუჩერდა ჯუმბერს წინ, თითქოს ეკითხებოდა, ეს თეთრი ჯინსი მიხდება თუ არაო. ხელები კეფასთან, თმებში შეეყო და იღიმებოდა. იმდღევანდელზე უფრო ლამაზი ჩანდა და თეთრი ჯინსიც ძალიან უხდებოდა.

— კალისტა, რა კარგია, რომ მოხვედი, შენთან საქმე მქონდა, — ბრეგვაძე საქალალდეს დაწვდა.

— ჩემთან საქმე? ოპო. — მარცხენა ფეხი წინ წამოსწია და ჯანმრთელი სხეული გაარწია კალისტამ.

— საჩივარი დავწერე, აბესაძეზე.

— რა საინტერესოა! — ტაში შემოჰკრა ტოროშელიძემ — რას უზამენ?

— უკეთეს შემთხვევაში, მოხსნა არ აცდება.

— შენა, — კალისტა ფანჯარასთან მიდგა და ფურცლები ისე ააშრიალა, რომ, აშკარად ჩანდა, წამკითხავი არ იყო — მკვდარი სულები რომ ჰყავს, გინერია?

— კი.

— გოგოები რომ უყვარს?

— არა.

— რატომ?

— ეგ დიდ ცოდვად არ უნდა ითვლებოდეს, ჩემი ფიქრით.

— გაგიჟდი? ჩაამატე აუცილებლად. უკვე თვალების უუუნზე გადავიდა. ჭკვიანად თუ იქნები, მე გიპატრონებო. ჩემი მფარველობის ქვეშ მეყოლებიო. მკლავზე ხელიც ჩამომისვა.

— შენ?

— რა მე.

— რა პასუხს აძლევ?

— ჯერჯერობით ვუთმენ და მერე იქნებ, ისეთი ვიფრინო; ლანჩებს კეფაზე ირტყამდეს.

— მოაწერე ხელი.

— რას?

— ამ საჩივარს.

— ხო აზრზე ხარ! — კალისტამ გადაიხარხარა — ხომ არ გაგი-
უდი? იმ დღესვე გამაგდებს — ფანჯარას მოშორდა, — წავედი,
პაკა! — კართან მივიდა, მოიხედა.

— ჯუმბერ, ჯუმბერ, უმცროსი პრეპარატორობა პროფილში
გადის!?

— არა! — შეუბლვირა ჯუმბერმა.

კალისტა და ბონდო კარში შეეფეხნენ ერთმანეთს. ბონ-
დომ გაულიმა, სად მიდიხარ ანგელოზო, გვაყურებინე შენთვის
ცოტა ხანსო, შაქრად დაუტკბა, ხელზე აკოცა და შემოაბრუნა
კიდეც, მაგრამ კალისტამ მაგიდაზე დახრილ ლაბორანტს მწყ-
რალად შეხედა, მეჩქარებაო, საქმიანად აწრიალდა და წავიდა.

კაკალაშვილმა თვალი გააყოლა და პიჯაკს რომ ჰკიდებდა,
ჯუმბერს შეხედა.

— ხომ არავინ მიკითხა? ამნაირებისაა დღეს ქვეყანა. რა
ჰქვია ამ გოგოს?

— დარეკა ვიღაცამ. კალისტა ჰქვია.

— არ უთქვამს, ვინ ვარო? კაი უბედური იქნება ეს შენი კა-
ლისტაც, ნუ გეშინია.

— კაცის ხმა იყო. ისე, არ ჩანს გლახა გოგო, რა ვიცი.

— დღედალამე კაბინეტში უზის ერმალოს. მაგის გამშვებია
აბესაძე? ისე აქეთ, ჩვენენ, ცხვირზე ბუზის არ იჯენს. გეგონე-
ბა ციდან ჩამოფრინდა და, საერთოდ, რანაირი წესით მრავლ-
დება ადამიანი, ისიც არ იცისო. იმ დღეს ბარქაია უშნოდ გაეხ-
უმრა და მთელი საათი ტიროდა. ეს რა მკაფრაო. ასე იციან
მაგნაირმა გოგოებმა. არ ჭამო ეგ ამბავი შენ. ვინც ნამეტანი
პატიოსნებაზე დებს თავს, სწორედ ისაა ქვეყნის დამქცევი.

— ყველას თავისი მულამი აქვს, — ანდაზითვე უპასუხა
ბრეგვაძემ, საქალალდე წინ დაუდო და დააყოლა: — გადახედე
ერთი ამას, თუ დრო გაქვს.

ბონდომ კითხვა რომ დაამთავრა, ხელები კისერზე შემოიწყო
და დაამთენარა, მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამოხტა,
ხალათი ჩაიცვა, კარები ჩაკეტა, ჯუმბერს ეცა და გადაეხვია.

— ეს რა გიქნია. შენ გენაცვალოს ბონდო. კაცი შენ ყო-
ფილხარ!

— არავინ ამოილო ხმა და სანამდე გვეცადა — ქება შეიფერა
ლაბორანტმა.

— ვინაა ხმის ამომღები. ამ ინსტიტუტში ნახევარი მაგის ხალხია. ასეც რომ არ იყოს, არ იცი რავარი დადედლებულია ქვეყანა? ყველა თავის ტყავს უფრთხოლდება. ჩემსავით და შენსავით კი არ ჭრიან სხვები. ოხოხოხო, ქაღალდებს დახედა,

— არ ამოგილია ოთხში? იხტუნოს ახლა. თანაც ყველაფერი რომ მართალი გინერია? დასვამენ ნიჩაბზე, წყალი არ გაუვა.

— ხელი უნდა მომიწერო, — მშვიდად უთხრა ჯუმბერმა.

— მეე? — სხვისი ხმით იკითხა კაკალაშვილმა.

— შენც და სხვებმაც.

— ვინ გითხრა?

— ბიქტორ ტაფაძემ.

— ბიქტორს აჩვენე უკვე? — ბონდოს შაბში მოხარშული თევზის ფერი დაედო. — ჩემზე ხომ არაფერი გითქვამს?

— არა.

ბონდო დამშვიდდა. ხალათი გაიხადა, პიჯაკი ჩაიცვა, ერთხანს ტელეფონი აჩხაუნა, მერე ერთბაშად აბუზლუნდა — კაცო, ვერსად ვერ დაგირეკია, საქმეა ესო? — გასვლისას მობრუნდა, თითქოს უმცროსი ლაბორანტი ახლა შეამჩნიაო, დერეფანს გახედა, კარი მოიხურა და საიდუმლოდ აუწყა.

— ჯუმბერ ჩემო. მე რომ ამ ქაღალდზე ხელი მოგიწერო, საქმეს წავახდენთ, იციან, დირექტორი ჩემთან კარგად რომ არ არის და ბონდომ შეგულიანაო, ჩემზე იტყვიან. ამით შენც დამცირდები და მეც შეთქმულების ორგანიზაციონობას მომაკერებენ. სხვებს მოაწერინე ხელი. ვინ არ მოგიწერს. მე ხომ ისედაც აგერ გყავარ. ხელმოუწერლადაც შენს მხარეზე არ ვარ?

ასისტენტ მიროგაძეს ფინური პიჯაკისთვის სახელო მოერლვია, ნემს-სათითური მოემარჯვებინა და კერვას შესდგომოდა.

ბრეგვაძეს სალამიც დაასწრო და ისიც აუწყა, რომ ფინელები, მართალია, პალტოს კარგს კერავენ, მაგრამ პიჯაკის შეკერვას ვიეტნამელები უკეთ ახერხებენო.

განცხადება-საჩივარს რომ გაეცნო, ხმა არ ამოუღია, ისევ საკერავს დაუბრუნდა და როცა ჯუმბერმა შეახსენა — რა გადაწყვიტეო, ცრემლგამშრალმა ამოღერლა:

— მოგიკვდა ჩემი თავი, ჯუმბერ. შენს გვერდით არ უნდა ვიდგე ახლა მეე? ყველაფერი სწორია. არ შეგეშინდეს არაფრის. იმ კვირიდან ექვსთვიან შვებულებას ვიღებ, დავბრუნდები

ექვს თვეში და, არათუ ხელს მოვაწერ შენს საჩივარზე, მეტ-საც ვიზამ. მე სხვა კაცი ვარ, მე არ მიცნობ შენ ჯერ კარგად. მიროგაძეს არავისი არ ეშინია, ასეა ეს!

მერე ისევ სახელოს გამოჭრის ფინურ მეთოდს დაუწყოლანდვა. რომ ჰკითხოთ, მსოფლიო სტანდარტების დონეზე ჰკერავენო. რა მოვუხერხო, არ ვიცი. გადაკეთება უფრო ძნელია, სხვათა შორის, ვიდრე ახლის შეკერვაო.

მეტაბელე წიფურიამ უკვე იცოდა, რა საქმეზეც იყო მოსული უმცროსი ლაბორანტი და ბუნებრივია, ისიც იცოდა, რომ ხელს არავინ უწერდა საჩივარზე. ზაზა „გონივრულად“ მოიქცა. წაკითხვითაც კი არ შეუწუხებია თავი. მე ყველაზე პატარა კაცი ვარ ამ ინსტიტუტში, ჩემო ჯუმბერ, ყველანი რომ მოაწერენ ხელს, მერე შემომიარე და მეც მოვაწერო. რა წაკითხვა უნდა შენს დაწერილს, საათივით გექნება აწყობილი, ვიცი მეო. მაგნებს არ შერჩებათ პარპაში. დირექტორი კაც რომ საძრახ საქმეს იკადრებს, სხვა რას იზამდეს იქნება, მითხარი ერთი შენო.

ლაბორატორიაში რომ დაბრუნდა, შეუბლი უხურდა. თმის წამალმა ცოტა გააგრილა, მაგრამ მალევე მოეძალა უგუნებობა. წინ და უკან დააბიჯებდა და მკლავებზე ხელს ისვამდა ციებიანივით. ტელეფონი აწერიალდა:

— ალო, ჯუმბერ, — ნაცნობი ხმა იყო, რბილი და ხავერდოვანი, ღმერთო, ვისა აქვს ასეთი ხმა. ვერაფრით გაიხსენა.

— გიმენთ.

— ჯუმბერ, მარტო ხარ?

— ყველა გაგებით.

— მანდ ხომ არავინ არის-მეთქი.

— არა. ვინ ბრძანდებით?

— არა აქვს მნიშვნელობა. ცუდ ხასიათზე ხარ?

— მაქვს კიდეც მიზეზი.

— მომისმინე. შენ ახადგაზრდა ხარ და გამოუცდელობამ გძლია. მაგათან სხვანაირი ბრძოლაა საჭირო. კრებაზე უნდა გამოსულიყვავი და გემშილა. მაშინვე აზრი შეიქმნებოდა, გახმაურდებოდა.

— ვინ ბრძანდებით?

— რა მნიშვნელობა აქვს. შენი კეთილისმყოფელი. ზოგი იმდენად გაიძვერა რომ დადის და ხმას ავრცელებს; ბრეგვაძეს საჩივარი შეუთხზავსო. აბა საჩივარი რა საკადრისიაო, კერს

უკრავენ სხვები. ამ ინსტიტუტში ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ საჩივრის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი ხდებიან. კრებაზე რომ გეთქვა; ვერ მოითმინაო, იტყოდნენ და სწორად შეაფასებდნენ.

— რა ეშველება ამ საქმეს? — ყოველ შემთხვევისთვის ჰკიხა ბრეგვაძემ.

— ბოლომდე უნდა იპრძოლო იცოდე, მე შენთან ვიქენები. არც ეგრეა საქმე. მარტო არ დაგტოვებთ. ამ ინსტიტუტში კარგი ადამიანებიც ბლომად არიან. კრებაზე გამოდი, კრებაზე. მე ხალხს დავრაზმავ, მხარს დაგიჭროთ. არ შეგეშინდეს.

— ვინ ბრძანდებით? გმადლობთ გამხნევებისთვის!

— ყოჩალად იყავი, — უცნობმა ყურმილი დადო.

ჯუმბერს კარგა ხანს ეჭირა ხელში ატუტუნებული ყურმილი, მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენა, ვისი ხმა იყო. იქნებ ესეც მატყუებს, იქნებ მცდისო, გაიფიქრა უმცროსმა ლაბორანტმა და გული შეეკუმშა.

ჯუმბერ ბრეგვაძე მიხვდა, რომ ერმალოსთან ბრძოლა წააგო. მარტო დარჩა. ტროლეიბუსით შინ რომ ბრუნდებოდა, ცდილობდა გაეხსენებინა, სად დაუშვა შეცდომა, მაგრამ ვერა და ვერ მოიგონა. „თითქოსდა მოვლენათა ლოგიკა სხვა ახსნას იძლეოდა“ ჯუმბერი ახლაც დარწმუნებული იყო, რომ ერმალოსთვის ჭკუის სწავლება მთელს ინსტიტუტს გულით სურდა. მაშ, რა მოხდა, რა დაემართა ამ ხალხს? ნუთუ ეს ყველაფერი თვალთმაქცობა იყო? ნუთუ პირი შეკრეს უმცროსი ლაბორანტის წინააღმდეგ და სააღდგომო ბატკანივით განირეს? რალა მაინცდამაინც მასთან საუბრისას მოუნდებოდა ყველას ერმალო აბესაძის თავგასულობაზე სიტყვის ჩამოგდება? ნუთუ აკადემიკოსიც კი ერთი რგოლი იყო ჯუმბერ ბრეგვაძის გასაპამპულებლად მოწყობილი შეთქმულებისა? კი მაგრამ, რა დააშავა ასეთი? რა ეშველება ამ საქმეს?

შინ რომ დაბრუნდა, თავისი თხზულება ცეცხლს მისცა და მტკიცედ გადაწყვიტა, არასოდეს მსგავსი რამ არ დაეწერა. „ქვეყანაზე წარლვნაც რომ დატრიალდეს, ხმის ამომლები არა ვარ, თუ ახლა, ამ შემაზრზენი ამბიდან მშვიდობით გამოვგერი, უბატონოდ ხმას აღარ გავცემ არავის, როგორ გამაბრიყვეს. ერმალოები ჩემზე მეტად რომ სჭირდება ამ ხალხს, როგორ ვერ მივხვდი, მე სულელიო“.

მეორე დღეს თორმეტ საათზე კალისტამ კარებში შემოყოთვი და ტაფაძე გიბარებსო, აუწყა.

ადგილკომის თავმჯდომარემ გულდასმით მოუსმინა და როცა საქმის ვითარება შეიტყო, აღმშოთება ვერ დამალა:

— გრცხვენოდეს, ჭაბუკო, — ნიკაპზე ხელს ისვამდა ადგილკომის თავმჯდომარე, — ასე უცებ როგორ დაყარე ფარხმალი. ესა ხართ სუულ? ესაა მგზნებარე ახალგაზრდობა? პატარა წინააღმდეგობა და ხელებს ჩამოუშვებთ და ცხვრებივით გაირინდებით. არ მოგიწერეს ხელი მხდალებმა, რა მოხდა მერე? განა ყველა, ვისაც, ისტორიული საქმეები გაუკეთებია, თავიდანვე მარტო არ იყო? ჯერ ერთი, რა უფლებით დაწვი საჩივარი, ის ხომ უკვე ჩვენი დოკუმენტი იყო. ოთხგანაა დავთორებში გატარებული.

ჯუმბერმა აუხსნა, რომ დაიღალა და არავითარი სურვილი არა აქვს ერმალო აბესაძის წინააღმდეგ მოქმედებისა. მე ამ ინსტიტუტში ჩემმა მეცნიერულმა ინტერესებმა მომიყვანა და, თუ კაცი ხარ, ნურასოდეს ნუ მომაგონებთ ამ ჩემს დაუფიქრებელ ნაბიჯს. ქვეყნის გამასწორებლად მე არ ვარ გაჩერილი, მე ერთი საწყალი, წიგნის კაცი ვარ და ჩემმა უსაგნო ატროკებამ ღრმად დამარწმუნა, რომ ჯერჯერობით ჩემნაირი არამკითხე მესია ამ ცხოვრებას არა სჭირდება. სულ ტყუილად ვიბრალებთ ჩვენს თავზე რალაც-რალაცებსო.

ბიქტორ ტეფნაძემ ფანტომასის სიცილით გაიცინა, რკინის ნიკაპზე ხელი ჩამოისვა, წამოდგა, გაიარ გამოიარა და უმცროს ლაბორანტს თავზე დაადგა.

— შენ როგორ ფიქრობ, რატომაა აბესაძე ამ ინსტიტუტის დირექტორი და რატომ მე არა ვარ?

ჯუმბერმა კითხვა ვერ გაიგო.

— მომისმინე, შვილო, გინახავს, გაგიგონია მარტო მეცნიერული და პირადი ლირსებები გამხდარიყოს საკმარისი საკვლევი ინსტიტუტის დირექტორად კაცის დასანიშნად?

ჯუმბერმა კვლავ ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ.

— მაგით რა გინდათ მითხრათ, ბატონო ბიქტორ?

— რა მინდა და ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე. რაკი აბესაძე დირექტორია, ეს იმას ნიშავს, რომ არსებობს მეორე კაცი ამ ქვეყანაზე, რომელიც მის დირექტორობას დარაჯობს და ერმალოს სკამისკენ გაწვდილ ყველა გრძელ ხელს

დამოკლებით ემუქრება. ჩვენთვის არც აბესაძის დანიშვნა უკითხავთ და არც მოხსნას გვკითხავენ. ამნაირი, პატატვრანი საჩივრებისთვის დირექტორებს რომ ყურებს ახევდნენ, ეს ქვეყანა უყურო ხალხით გაივსებოდა. არა, ჩემო ჯუმბერ, არ დაიჯერო მაგ ამბავი, ერმალო იმიტომაა დირექტორი, რომ მისი ბედი საიმედო ადგილასაა გადაწყვეტილი. არ დაიჯერო: სუსტი მუშაობისთვის დირექტორი გაანთავისუფლესო, ვინმემ რომ გითხრას. დირექტორს მაშინ ანთავისუფლებენ, როცა მის მფარველ რენის ხელს ჟანგი შეეპარება, ანდა ვიღაცას კიდევ უფრო ზევით ეს დირექტორი მოწყინდება.

— ცოტა მეც გამეგება, ციდან ჩამოფრენილი არც მე გახლავართ. ბატონო ბიქტორ, მაგრამ რამ გამაბრიყვა იცით? დიდი და პატარა ყველა, ყველა (კინალამ წამოცდა თქვენიანად) გამარჯობის მერე თუ რამეს მეტყოდა, მხოლოდ და მხოლოდ ერმალო აბესაძის ავკაცობას, მეც მართალი მეგონა და მე ვთქვი, ცოტას მაინც წავეხმარები ამ დატანჯულ ხალხს-მეთქი.

— მერე ვინ გითხრა, რომ მართალს არ ამბობდნენ? რაც შენ იმ განცხადებაში გენერა, სრული ჭეშმარიტებაა, ათ იმდენს მე თვითონ დაგიმატებდი, მაგრამ თუ იცი, რატომ დარჩი მარტო დონ-კიხოტივით? ჯერ ერთი, უფროსის ნაკლთა ძიება და ხელმძღვანელის გაქილიკება — ენაჭარტალა ხალხის თვისებაა. ესეც არ იყოს, ერმალო მართლა გაიძვერაა და უკმაყოფილო მასას ცოტა საბუთს როდი აძლევს სალანძღავად, მაგრამ დამერნმუნე; ამ ინსტიტუტში სამი კაციც არ იქნება ერმალოს მოხსნა რომ გულით სურდეს.

— პატიოსან კაცს უპატიოსნო კაცის გზიდან ჩამოშორება რომ უნდოდეს, გასაკვირია, ბიქტორ ბატონო?

— ვის ხედავ პატიოსანს, რომელი მყავს პატიოსანი? ვინ მოგცემს პატიოსნად ცხოვრების უფლებას. თეთრი ყვავები მარტო იგავებში ცხოვრობენ. სხვაგან შეიძლება ასე არ არის, მაგრამ ამ ინსტიტუტში ნამდვილად ასეა: ბიჭი ხარ და გაბედე, არაფერი დააშავო, არ იცულლუტო, შინაგანანესი არ დაარღვიო. მთელი ინსტიტუტი დაგესევა და მანამ არ მოგეშვება, სანამ დანაშაულს არ ჩაგადენინებს. გადაგახვევინებენ თუ არა გზიდან, იმ დღიდანვე შეგიყვარებენ, შენ უკვე მათი კაცი ხარ. ანგარშს გიწევენ, შენზე გული შესტკივათ. აი, ასე ხდება

წლების განმავლობაში. სწორედ რომ შერჩევა ხდება: ჯიუტები სტოვებენ ჩვენს ინსტიტუტს, დამყოლ-შემგუებლები რჩებიან.

— საშველი?

— საშველს ამ ინსტიტუტის ტერიტორიაზე ამაოდ ვეძებთ. საქმე ცოტა უფრო შორიდან უნდა დაიწყოს და ერთნაირად უნდა შეეხოს ყველას და ყველაფერს. შენ რომ მარტო დაგტოვეს დღესდღეობით, სრულიად ბუნებრივი ამბავია. წინასწარ ვიცოდი; რომ ზუსტად ასე მოხდებოდა. როცა თანადგომას ვისწავლით, ჯუმბერ ბრეგვაძეებს, ვეღარ მოერევიან და განახლების ზარი მაშინ დაიგუგუნებს.

— თანადგომაზე სპარტაკიც და ემელიანე პუგაჩივაც ლაპარაკობდნენ. ნუთუ დღესაც ეს უნდა აწუხებდეს ამდენი რამის მომსწრე კაცობრიობას?

— უთუოდ. თქვენ პატიოსნები ერთად და ცალკე უნდა დადგეთ. როგორც სჩანს, დროთა განმავლობაში ადამიანები ივიწყებენ ისტორიის ცეცხლოვან გაკვეთილებს, ანდა ავიწყებინებენ. ბევრმა თავიდან უნდა ისწავლოს, რომ პატიოსანი ცხოვრებისთვის ბრძოლაში ერთი მერცხალი ვერას გახდება. ხანდახან მაინც უნდა ასწიოს თავი ყოველდღიური ფუსფუსისაგან და თუ ბევრს ვერაფერს შეძლებს „ჰეი“ მაინც უნდა დაიყვიროს, რათა მის გვერდით გატრუნული დამნაშავე შეაკრთოს მაინც.

— თქვენ რომ ასე ლამზად ლაპარაკობთ და ყველაფერი იცით, თქვენ მაინც რატომ არ მომიწერეთ ხელი, ბატონო ბიქტორ? — ხმის კანკალით ჰეითხა ჯუმბერმა.

— მეც იმ მიზეზითვე, ჩემო კარგო, რა მიზეზითაც სხვებმა არ მოგიწერეს. მემეშინდა, რომ მაინც მარტო დაგვტოვებდნენ და იმ საჩივარს მხოლოდ ორი კაცის — ჩემი და შენი ხელმოწერა ექნებოდა. ხო ხედავ, რაც გვჭირს, როგორ გავთოშულვართ, როგორ არ ვენდობით ერთმანეთს.

— ვისაც მივმართე, ყველას რომ მოეწერა ხელი?

— მაინც ვეჭვობ, რომ ერმალო აბესაძეს დღესდღეობით მოვერეოდით. ჯერ კიდევ სქელია ის მაუდი კოლექტიურ საჩივრებს რომ ამოდებენ ხოლმე.

— როგორ არ მინდოდა თქვენი სახითაც შეშინებულ კაცთან მელაპარაკნა. კარგად ბრძანდებოდეთ, — ჯუმბერს სასონარკვეთილი ხმა ჰქონდა. წამოდგა და მთვარეულივით გააბიკა კარებისაკენ.

– მირჩევნოდა გეთქვა, – „წინდახედულ და ფრთხილ კაცთანო“, ყმაწვილო, – დაანია ადგილკომის თავმჯდომარებ. ჯუმბერს რომ ეგონა; ყველაფერი დამთავრდა, თურმე მაშინ დაიწყო ყველაფერი.

სამი დღის განმავლობაში არავის შეუწუხებია და, კაცმა რომ თქვას, თვითონაც ცდილობდა რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, თვალში არავის ეჩხირებოდა. ლაბორატორიიდან არც კი გამოსულა.

ხუთშაბათს დილით ზაზა წითურიამ გამოცხადების ურნალში ხელი არ მოაწერინა; შვიდი წუთით დაიგვიანე და უფლება არა მაქვსო. კი მაგრამ, შენ ხომ საავადმყოფოში წებოდიო, გაუღიმა ბრეგვაძემ, მეტაბელეს უნდოდა ეპასუხნა; ოპერაციაზე უარი მითხრეს, გამოკვლევაზე დავდივარო, მაგრამ საჭიროდ აღარ ჩათვალა – უმცროს ლაბორანტს ასე დაწვრილებით სცოდნოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ დაგვიანებისთვის ერთ საათში პირველი საყვედურის ბრძანებაც გამოჩნდა. ბრძანება კალისტა ტოროშელიძემ შემოუტანა და ჩაბარების დავთარში ხელი მოაწერინა. იმ საღამოსვე, როგორც დასჯილი, ქუჩაში მორიგეობის სიიდან ამოიღეს და ამ თვის პრემიალური ხელფასის (თერთმეტი მან.) უწყისშიც ველარ შეგიტანთო, გამოუცხადეს. ორშაბათს მიმანოლოგიურ ლაბორატორიაში სამნეო ნაწილის გამგე, ყოფილი ქურდი ხარაბაძე შემოვიდა. დიდხანს იბუჯურა და ბოლოს უმცროს ლაბორანტს აცნობა – იძულებული ვარ ბრძანებაში გაგატარო წყლის და ელეტროენერგიის უყაირათო ხარჯვისათვისო. ოთხშაბათს, ნასადილევს, ინსტიტუტში ხმა დაირჩა; ხუთ საათზე ქვევით, უნივერმალში ყველი გაიყიდებაო. ჯუმბერს სულმა წასძლია და ხალათჩაცმულმა კიბეები ჩაირბინა. მთელი ინსტიტუტი და ახლომახლო სხვა დაწესებულებათა თანამშრომლებიც უნივერმალის წინ ფუსტუსებდნენ. უმცროსმა ლაბორანტმა ბევრი იწრიალა, მაგრამ საიმედო ვერაფერი შეიტყო. ის-ის იყო ბადრი მაჩიტიძისათვის უნდა ეთხოვა; თუ ძმა ხარ, იქნებ ერთი კილო ჩემთვისაც შეიძინოვო, რომ გამოაცხადეს: ყველს დღეს ნულარ ელოდებით, ხვალ, საზოგადოებრივი კონტროლიორების თანდასწრებით გაიყიდებაო. უკან რომ დაბრუნდა, კარებზე გაკრული ქალალდი „ყველზე გავედი“ ადგილზე აღარ დახვდა და ელდა ეცა, მიხვდა რაშიც იყო საქმე. მეორე დღეს

„შრომის დისციპლინის“ კომისიაზე დაიბარეს და მწუხარე სახით აუწყეს: შე კაცო, რა გჭირს ამ ბოლო დროს, ახლახან დაგვიანებისათვის საყვედური გამოგიცხადეს და კიდევ გაპარულხარ. ყველას გვინდა ყველი, მაგრამ სამსახური სამსახურიაო. რა მიხვედრა უნდოდა და ჯუმბერიც მშვენივრად ხვდებოდა, რაც ხდებოდა მის თავს. თითქოს მთელი ქვეყანა დადარაჯებოდა და გასაოცარი ის იყო, რომ რაც უფრო ცდილობდა შენიშვნის საბაბი არავისთვის მიეცა, მით მეტ ხარვეზს პოულობდნენ უმცროსი ლაბორანტის მუშაობაში. თვის ბოლოს სამეცნიერო მუშაობის განყოფილების უფროსი, ინდივიდუალური და კვარტალური გეგმის შეუსრულებლობისათვის საერთო კრებაზე დამუშავებით რომ დაემუქრა, ველარ მოითმინა და ბონდონ კაკალაშვილს შესჩივლა – ხომ ხედავ, რას მიკეთებენ, ახლა ნოემბრის ბოლოს ატესტაცია იწყება და ამ ჩემი საყვედურების პატრონს, ვიცი, უეჭველად გამანათავისუფლებენო. ბონდონ გული როდი გაუკეთა; მართალს ამბობ, სამსახურიდან გაგდების საშიშროება გემუქრება. ვიცოდი, რომ ერთალი იმ საჩივარს არ გაპატიებდაო. ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ეახლო დირექტორს და დაუფიქრებელი ნაბიჯისთვის პატიება სთხოვო, იქნებ მიიღოს მოწყალება და დანაშაული გაპატიოსო. მე თვითონ გიშუამდგომლებდი, მაგრამ არ მცალია, ბიძაჩემის ქონების სამ პროცენტს მაძლევენ და ბანკს უნდა ვუჩივლო, იქნებ ხუთ პროცენტს მაინც მივაღწიო.

...ბონდონ რომ გავიდა, ჯუმბერ ბრეგვაძე დიდხანს და გულმოდგინედ კეტავდა ლაბორატორიის კარებს რომ ცოტა ხანს მაინც მარტო დარჩენილიყო თავის ავ ფიქრებთან.

წყლის სახდელი გამორთო. თმის გასამაგრებელი წამალი ხელსაბანში ჩაცალა, მინის ქილა გამორეცხა და მუყაოს ყუთში ჩადო. სველი ხელები ხალათზე შეიმშრალა და ფანჯარას გადაეყუდა.

ვერაფერს ველარ არჩევდა. ქალაქის თავზე განილილ რუხ-ყვითელ ჯანლს დაეფარა ირგვლივ ყოველი, ყრუ გუგუნი ისმოდა მხოლოდ და ატმის ნერგებზე მიშვებული წყლის ჩხრიალი.

სძულდა ყველა და ყველაფერი, როგორ არ უნდოდა რომ ეფიქრა იმაზე, რაც ლურსმანივით ჩაჭედებოდა გონებაში და გულ-მუცელს უღრღნიდა. თვალები მოისრისა, თავი გაატოვა, ხალათი გაიხადა, სახეზე ცივი წყალი შეისხა და სალამანდრის

ქუჩის მხარეს მეორე ფანჯარა გამოაღო, მაგრამ ბულდოზერის ხმამ თმები აუბურძგლა და ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა.

თვალები დახუჭა, მაგრამ მანც ირეოდნენ მის თვალ-ნინ ვერცხლისფრად განათებული მოჩვენებები მუნჯი კინოს კადრებს რომ წააგავდნენ. ყველანი აქ არიან: შავფრაკიანი აკადემიკოსი ყურებში ჩასული შეღებილი თმით და შესივებული, წითური, წყალმანკიანი სახით, რკინისნიკაპიანი ბიქტორ ტაფაძე, ამპლიტუდით მოსიარულე კალისტა ტოროშელიძე, მანქანის ქვეშ განოლილი სოსოია ტაბატაძე და გლობუსთავა ბადრი მაჩიტიძე, კურდღლისთვალება ზაზა წითურია, კარებ-ში გამძრალი სიამის კატა – ბონდო კაკალაშვილი. ირევიან, ირხევიან თითქოს უჰაერო სივრცეში დაცურავენო, ნელა და დუნედ მოძრაობენ, მათი ტუჩების ცმაცუნზე ხვდება ჯუმბერი, რომ შესამ-ქიმიკატების საკვლევი-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლები ერთმანეთს რაღაცას ეუბნებიან, მა-გრამ სიტყვები არ ესმის.

უეცრად ლანდები გაქრნენ და ჯუმბერს ყრუ ნაბიჯების ხმა მოესმა. თითქოს ზარებს თანდათან და უფრო ძლიერად რეკავენ. „დერეფანში ვიღაც მოდის. ეტყობა, ლანჩებზე რკინის ნალები აქვს. ვინდა იჯედებს ახლა ლანჩებზე ნალებს“.

ნაბიჯების ხმა ახლოვდება. დაუპტიუებელი სტუმარი სადაცაა ლაბორატორის კარებს მოადგება.

უმცროსმა ლაბორანტმა კვართის ლილები შეიკრა. თმაზე ხელი გადაისვა, ფანჯარაზე მსუბუქად შესტა, ერთი გადაიხედა, მერე თვალები დახუჭა და გადახტა.

ამ ნოველის ავტორს სიჩქარეში გამორჩა ეთქვა შენთვის, ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველო, რომ მირმანოლოგიური ლაბორატორია მეოთხე სართულზე მდებარეობდა; ხოლო მეოთხე სართულიდან გადახტომა, მოგეხსენებათ, თვითმკვლელობისთვის ასპროცენტიან გარანტიას არ იძლევა; შეიძლება შენდაუნებურად გადარჩე კიდეც.

1983



ერთი შრომითი დღე

გულსუსტებს და ნერვებმოშლილთ
ვთხოვ არ წაიკითხო.

ა ვ ტ ო რ ი

- შეიძლება?
- შემოდი, რას კითხულობ.
- მე ვთქვი; იქნებ არ სცალია-მეთქი.
- შენ ამ განცხადებას გადახედე?
- მაჩვენე, კი.
- რა უნდა?
- სათბური აუშენებინებიათ შარშანწინ და დაუნგრევინებიათ. ისევ იმის ფულს თხოულობს, ანგარიში გამისწორეთო.
- მერე, მე რა ფული მივცე?
- სულაძეს დააწერე, სულაძემ იცის მაგნაირებთან ლაპარაკი.
- კი, ბატონო.
- შემოვიყვანო?
- ვინ?
- კანაფქსელის სამინისტროდან.
- ჩამოვიდნენ უკვე? რომელზე ველოდით?
- მატარებლით წამოსულან. რომ მოვედი კარებთან დამხდნენ.
- რამდენი არიან?
- სამწი.
- სამი. საიდანო, რა მითხარი?
- კანაფქსელი.
- კი მარა, ასე ადრე? შენთან რომელია?
- ათის ნახევარი.
- თუმცა კი. მატარებელი ჩამოსულია. მატარებელს გამოჰყოლიან სად არიან ახლა?
- ჩემთან სხედან.
- სად ვასაუზმოთ?

- მეორეში.
- დარეკე?
- არ დამირეკია, ახლა დავრეკავ.
- რას უცდიდი? დარეკე. ეგ გათიშულია, ამით.
- რამდენ ხანში ვუთხრა?
- ნახევარ საათში მანდ ვიქნებით-თქო. მოიცა, თათბირი რომელზე დანიშნე?

 - ორზე. ასე არ მითხარი?
 - თათბირს ეგენი?
 - არა მგონია. საუზმიდან ჭლაკვაძეს წავუყვანთ. გაართობს ცოტა ხანს.

 - როდის მიდიან?
 - მე მგონი დღესვე.
 - დაურეკე სადგურის უფროსს, იმ დღესავით ბილეთები არ გაგვიყიდოს.

 - რა ნომერია?
 - ნახე, აგერ წერია.
 - სამი შეინახოს?
 - ყველა შეინახოს, იმ ვაგონის.
 - თუ არ დავიწყდა.
 - ეგ ცოტა ურევს, ხომ, ამ ბოლო დროს?
 - აურევს და ქე იცი, რასაც მოიმკის. შემომყავს აბა.
 - მოიცა. როგორ მივმართო, რა ხალხია?
 - მაღალს იცნობ, ორჯერ ახლდა მინისტრს, გაცხრიყული ყიყინა კაცია - ბატონო იპო, გვარი გადამავიწყდა. მეორე ჟღალპიჯაკიანი, უწარპებო ბობრი - ვალიკო მქვიაო. ახალ-გაზრდა ახლავთ, ვინცხა, ინსტრუქტორი იქნება.

 - ისიც იქედანაა, თუ შეატყვე?
 - კი, სამივე, კანაფქსელიდან, შემომყავს.
 - მოიცა. მე დავუწყო კანაფქსელზე?
 - არა, თვითონ გეტყვიან, რაც უნდათ, ახალი სამმართველოა, გეგმები აქვთ რაღაცა. მოუსმინე, მეტი არაფერი.

თერთმეტ საათზე სტუმრები ჭლაკვაძეს მიჰვარეს, სამივეს თვლება ერეოდა და უხალისოდ ისმენდნენ ჭლაკვაძის ღალა-დისს რაიონის მშრომელთა არნახულ ენთუზიაზმზე.

- თერთმეტი საათი და ათი წუთია.
- შეიძლება?
- გადაეჩვიე მაგას. შემოდი.
- ორი კაცი გრეხილტრესტიდან.
- გრეხილტრესტის ჩვენთან რა უნდა?
- ფილიალის გახსნა რომ უნდოდათ, უარი რომ უთხრეს.
- მერე, ხომ გათავდა ეგ საქმე.
- ახლა დავალებით ვართო, რეეტსამმართველომ დაგვავალოა.
- რეეტსამმართველო?
- ეგენი ხომ მაგათან შედიან ახლა.
- როდინდელი ამბავია?
- კაი ხანია.
- რამდენიაო, რა თქვი?
- ორი კაცი. შემომყავს.
- მოიცა...
- ხნიერი რომელიცაა იუზა მქვიაო. ადრე „წყალარხში“ მუშაობდა. ქალის გამო გამოუშვეს იქიდან.

 - რა ქალის?
 - ცოლ-შვილს გაშორდა და დამლაგებელი შეირთო. მეორე ჩვენებურია – ხისკევაძე.
 - ხისკევაძე?
 - ამაზმშენში რომ იყო. შარშან გადაიყვანეს.
 - არ მახსენდება. რა ქვია მაგ ხისკევაძეს?
 - თათაში. შემომყავს.
 - მოიცა. დარეკე მეორეში. აალაგონ ყველაფერი და ახალი გააწყონ, ოც წუთში მანდ ვიქნებითთქვა. იქნებ მაწონი იშოვონ კამეჩის.

 - ექნებათ, რა შოვნა უნდა.
 - ხაჭაპური არ მომენონა რაღაც.
 - ხაჭაპურს ვერ აცხობს ის რუსის ქალი და რა გინდა უქნა.
 - საიდან ჩამოიყვანა მაგი მამიამ?
 - გაიგებ?
 - შესახედად არა უშავს.
 - შემომყავს.

- მოიცა. მე რა ვუთხრა გრეხილზე?
- თვითონ გეტყვიან. ჩვენ ფილიალზე თავი შევიკავოთ მაინც, თუ ჩამოაგდეს სიტყვა. მერე ვიღაც ხელს მოითბობს და ჩვენ დაგვპრალდება. მარა მე მგონი სხვა საქმეზე არიან ჩამოსული.
- დარეკე მეორეში. არ გინდა ახლა, მეორედ საუზმობა? დალევენ ვითომ რამეს?
- ხისკევაძე არ სვამს საერთოდ და ის იუზა, რა ვიცი. წინა ჩამოსვლაზე ლვიძლს უჩიოდა.
- მაგის ილბალი ვისა აქვს. შენ თათბირი რომელზე დანიშნე?
- ორზე არ მითხარი?
- ჰო, ორზე. წადი შემოიყვანე. მოიცა, ვისაუზმეთ, მერე?
- მელხიორიძეს მივუყვანოთ.
- აქვთ მაგათ ადგილი?
- პავილიონი გააკეთეს ახალი. შეიწუხონ ცოტა თავი. მე ვიტყვი, რომ თათბირი გაქვს და ერთ საათში მოვრჩებით, მე მგონია.
- ვაი თუ...
- არა, თათბირს ეგენი რაზე დაესწრებიან. რაში აინტერესებთ.
- მეც ასე მგონია, შემოიყვანე. მოიცა. როდის მიდიან?
- ვერ გეტყვი. არ დარჩებიან დიდხანს.
- გააფრთხილე კიდევ ერთხელ, არ გაგვიყიდოს იმ შტერმა ბილეთები. არც ერთი არ გაყიდოს. მაგით არა. ამით დარეკე.
- დავრეკავ. რა მოუვიდა?
- აღვადგენთო. მავთულს მანქანა გამოდებია. შემოიყვანე. თორმეტი საათი და თხუთმეტი წუთია.
- შეიძლება?
- ჰო.
- ყურმილს არ იღებდი?
- ამ წუთას შემოვედი. რა იყო.
- მურთაზი მელაპარაკა. ჩიჩახვაძე გამოვიდა, ორის ნახევარზე მანდ იქნება.
- არ მომკლა.
- ნამდვილად.
- ზეგამდე ჩემთან იქნებაო, ხომ თქვა გუშინ?
- თვითონ მოუსურვებია. დავამთავრე თქვენთან ყველაფერიო. ამ დილას გამომიცხადაო, მურთაზმა სამ საათს დავაკავე, მეტი აღარ გაჩერდაო.
- მოდის უკვე?
- გზაშია.
- ეგ შოთრით იქნება.
- კი.
- დაურეკე სასტუმროს, ჩემს ბრონში არავინ შეუშვას.
- რად უნდა დარეკვა. ისედაც დაკეტილი იქნება, ვინ შევიდოდა.
- მიალაგონ კარგად. იმ დღეს ონკანი არ იკუტებოდა. რას მოიკითხავს, შენი ჭკუით, ჩიჩახვაძე?
- მაჩვენებლები ჩაინტერაო მურთაზმა და მშრომელთა წერილებზე რეაგირება აინტერესებსო.
- მაჩვენებლები ახალი გვაქვს?
- ვკითხავ სონიას.
- ცოტა მოუმატონ, მაშინდელვით ნუ გაბერავენ. გეგმები სრულდება, მაგრამ უამინდობამ ხელი შეგვიშალა-თქო. ასე სჯობია, ტყუილს ახლა აღარ ჭამს ჩიჩახვაძე. იმ დღეს თათბირზე ყველანი გაგვაფრთხილეს: ცულდუტობას თავი გაანებეთო. ადგილებიდან გამოგზავნილი ცნობები ცა და მინასავითაა რეალურ მაჩვენებლებთანო.
- აღარ უნდათ ტყვიოდი. არავის აღარ უნდა. ვის ვატყუებთ ჩვენს თავს, მეტს ვერავის.
- მეორე, რაიო?
- მშრომელთა წერილები.
- ეგ შენი საქმეა და ჩამოაწიკწიკე, თუ კაცი ხარ.
- როდის თვარა კი.
- დაგვიანებები არ გვქონდეს. ჩამოსაწერი რაცაა, ჩამოწერე. კონტროლზე ბევრი საქმე გვაქვს?
- პახვალას საქმეა დაუმთავრებელი.
- გაგრძელებაც არ მოგვითხოვია, ხომ?
- ჩაწვა კლიმაძე და რა ვქნათ, გარეთ არ გამოდის.
- ეგ პახვალა წაგვატეხინებს ფეხს, ერთხელ იქნება.
- დავუმალავ, თუ თვითონ არ მოიკითხა.

- ასე აჯობებს კი.
 - წავედი.
 - აქ დავხვდე?
 - აქ არ ივარგებს. სჯობია კვახაძის ბრიგადაში ადი. მე დავხვდები და ვეტყვი, დილიდან სიმინდის გამორიდებას ხელმძღვანელობს-მეთქი.
 - იქ ამოიყვან?
 - კაცს გამოვგზავნი.
 - თუ კაცს გამოვგზავნი, უთხარი, ზევით აღარ ავალ. ქვევით ვიქნები ბჟოლებთან და დამიძახოს.
 - კეთილი.
 - გავედი აბა.
 - ვილისით რომ წახვიდე, აჯობებს.
 - ვილისით წავალ, თვითონ ზის რულზეთქვა. იმ დღეს რომ უთხარი, კარგი იყო, ხომ ხედავდი იმ წუთას ჩაინიშნა კორე-სპონძენტმა.
 - წადი დროზე, თორემ მოგისწრებს.
 - სად ვასადილოთ?
 - მეორეში აღარ ივარგებს. ცაცხვებში უნდა ავიყვანოთ. დაურეკე ბიჭიიას. ზევით გააწყონ ცაცხვებში.
 - რამდენ კაცზე?
 - ოთხი ვიქებით, რა ვიცი. ექვს კაცზეათქვა უთხარი მაინც.
 - ჭიტალაძე გავაფრთხილო?
 - რა ვიცი გვინდა? გრძელი ტლიკინი რომ იცის?
 - გააცინებს ცოტას.
 - კარგი, წამოვიდეს. ორზე მზად იყოს ყველაფერი-თქო.
- წავედი. მოიცა, თათბირი რომელზე დანიშნე?
- ორზე არ ვთქვით?
 - ესე იგი დღესაც უნდა გადავდოთ.
 - რას იზამ.
 - დასვი ფოთოლა და ჩამოარეკინე.
 - როდისთვის?
 - ხვალისთვის. მეტის გადადება არ შეიძლება. ხვალ, ორზე-თქო, წავედი.
 - ექვსზე რომ საზოგადოება მოდის, ხომ იცი.
 - რა საზოგადოება.
- „კითხვის პროპაგანდა“.
 - დანიშნული გაქვს უკვე?
 - აბა, კულტურის სახლში ჩაატარებენ.
 - პარმენმა მიხედოს.
 - შენ უნდა გახსნა. ხომ გახსოვს, შარშან თათბირის მასა-ლებში მოვხვდით. ხელმძღვანელობამ თავი აგვარიდაო.
 - მე რა გავხსნა, რატომ არ მითხარი.
 - შესავალი სიტყვა დაწერილი მაქვს, მერე გადახედე.
 - წავედი ახლა, თვარა მოგვისწრო იმ კაცმა და ეგ არის.
 - ექვსამდე უნდა მოვრჩეთ სადილს ჩიჩახვაძესთან.
 - გააჩნია როგორ ხასიათზე იქნება.
 - ჭიტალაძე ვათამადოთ. მე ვუტყვი, ექვსის ნახევარზე დაამრგვალოს სუფრა.
 - წავედი. მანქანის გასაღები?
 - შენს შოთერს ექნება. ქვევით არის.
- თვრამეტი საათი (ექვსი) და ცხრა წუთია.
- ძალიან არ მოვასწარით?
 - ჭიტალაძემ იმარჯვა.
 - თვითონაც არ იყო დალევის ხასიათზე.
 - საღამოს?
 - დაისვენებს. დალლილია. ლონისძიების შემდეგ მივა-კითხოთ და ბანკეტზე წავიყვანოთ.
 - ვინ არიან მითხარი ახლა, დალაგებულად.
 - ა, შესავალი სიტყვა. გვარები მითხრა ჯანელიძემ, მაგრამ აღარ მახსოვს. დოცენტებია ძირითადად.
 - რამდენი არიან?
 - ხუთი.
 - ხუთი მოხსენება, კაცო?
 - თხეუთმეტ-თხეუთმეტ წუთს ილაპარაკებენო ჯანელიძემ.
 - ჩამოსული არიან უკვე?
 - კი, ოთხზე ჩამოვიდნენ.
 - სად ასადილა, ჯანელიძემ?
 - მეორეში, გაფრთხილებული იყვნენ. ჯანელიძეს შენ ას-წავლი? სანამ მე არ დამარეკინა, არ მომეშვა.
 - რა ქნას მაგანაც.
 - ამ საღამოს არ წავლენ?

- არა მგონია, ისე რა ვიცი. შენ უნდა ითამადო, შენზეა დამოკიდებული.
- თამადობა კი არა, თავი მისკდება. ჭიტალაძეს უნდა შევაწეროთ.
- როგორც გინდა, მარა ჩიჩახვაძეს არ ეწყინოს, ორჯერვე ჭიტალაძის თამადობა.
- რატომ ახლა კარგად მიჰყავდა სუფრა?
- ჰო, მაგრამ შენ როცა თამადობ, სხვა ფასი აქვს.
- კაი ერთი თუ ძმა ხარ. პირდაპირ კულტურის სახლში მივიდეთ ხომ?
- კი. იქ მოვიყვანო ჯანელიძემ.
- ხალხი?
- რვაჯერ გადავრეკე, აღმასკომში ჯერ ერთი მეურნეობის ხალხს მოიყვანენ, სამოფრო კურსების მეცადინეობას მოხსნიან, ბიბლიოთეკიდან გამოიყვანენ მკითხველებს.
- ეგ უშველის?
- თუ გაჭირდა დამზადების კანტორიდანაც მოვხსნით მწონავებს და მოვიყვანთ.
- არ გინდა. მწონავებს ვერ ვაკავებთ, ხომ ხედავ, იმ დღეს შეხვედრა დაიწყო თუ არა, სათითაოდ გაიკრიფნენ დარბაზიდან.
- ბოლომდე ვერც სხვებს გავაჩერებთ. ზოგი წავა, აბა რას იზამს, მთავარია დასაწყისში იყოს ხალხი.
- ახლა მომისმინე.
- ბატონო.
- მე გავხსნი და უნდა გავიპარო, თორემ სცენაზე დამეძინება და სირცხვილს ვჭამ. შენ უნდა გააგრძელო.
- ნახე, როგორ შეატყობ.
- ვიცი ჩემი თავის ამბავი. რავარც კათედრაზე დადგება კაცი, მაშინვე ძილი მერევა. ახლა კი არა დალლილიც რომ არ ვარ, მაშინაც.
- ბატონი ხარ, მე გავაგრძელებ.
- შეჯამებითაც შენ შეაჯამე. ბოდიშს მოვიხდი, თათბირს მოვიმიზეზებ და ცოტას წამოვწები კაბინეტში. ფეხები თუ არ გავმართე; ჩემი მომივა.
- როგორც კი დამთავრდება, დაგირეკავ.

- დამირეკე. ორ საათს მაინც გასტანს ხომ?
- თუ ჩხობაძემ შეკითხვებით არ გააწყალა გული.
- მაგას ვერ ვეტყვით; ცოტა მოუკლოს შეკითხვებს?
- არ ვუთხარი, არ ვაგრძნობინე? არ გაჭრა არაფერმა. მაგ შეკითხვებით ცოცხლობს კაცი.
- ქე მაინც ჭკვიანურს მაინც ეკითხებოდეს.
- რატომ, ზოგ შეკითხვას არა უშავს.
- გადაუხურავს სეხნიას სახლი, ხედავ?
- აბა, ამ დილით დაიწყო.
- დიდი კვაჭი ვინმერა.
- არ გინდა ლაპარაკი.
- იქ დავეტევით ყველა?
- თავისუფლად.
- რანაირად? ერთი რვა ჩვენ ვართ, ჩიჩახვაძე და მისი შოთერი – ათი, კანაფქსელის სამი კაცი, ცამეტი, ლექციის ხალხი ექვსი ჯანელიძიანად. ეს, ჩემო ბატონო, ცხრამეტი, გრეხილტრესტის ხალხი.
- ისინი შეიძლება არ მოიყვანოს მელხიორიძემ.
- ა?
- სათევზაოდ ეყოლება წაყვანილი. მოუვლიდა მაგათ. იცის თავისი საქმე.
- აბა, მოვედით. მომეცი აქ ეგ სიტყვა.
- ა, ბატონო.
- გადაბეჭდილი წაკითხული გაქვს? ვინ გადაბეჭდა?
- ვენერამ. შევადარე. კარგადაა გადაბეჭდილი.
- აბა, ღმერთი ჩვენენენ. შენ აქ მომიცადე. კიბესთან მიაყენე, დახიე უკან ცოტა, ხალხს შეუშლის ხელს. მე თხუთმეტ წუთში გამოვალ, არ დამიწყო სეირნობა, იმდლევანდელივით.
- ქუდი!
- რად გინდა.
- იყოს მანქანაში. წავედით.

* * *

გაზაფხულის ბოლო კვირა იდგა.
ყანიდან მობრუნებულ მართას ეზო გადაჯეგილი დახვდა.
ხბოს აეწყვიტა და კუდაპრეხილი დაკუნტრუშებდა ბოსტან-

ში. უკან ძალი დასდევდა, დრუნჩიე ქაფმომდგარ ბოჩოლას გულს უხეთქავდა.

ბატების ყიყინი, ქათმების კრიაზი და ძალის ყეფა ისე არეულიყო ერთმანეთში, კაცს ეგონებოდა, ქვეყნიერება იქცევაო.

ხბო რომ დაბა, მართამ წენელი მოუქნია ერთგულად ად-ევნებულ ბატებს. ბატები ზარმაცად გატყაპუნდნენ, მოშორე-ბით შედგნენ და კვლავ აყაყანდნენ.

მართა სამზადში შევიდა, დოქიდან წყალი მოსვა, ტილოს ნაჭერში გახვეული ცივი ჭადი წაიტეხა, დერგს ბლის კანი აა-ცალა, კარგა ხანს აფათურა წყუთეში ხელი. შეყვითლებულ-დასვრეტილი ყველის ნაჭერი ამოილო, წყალი გადაავლო და ჭამას შეუდგა.

დასაჯდომად სად ეცალა. ასე ფეხზე დამდგარი მიირთმევ-და, თან ხბოს ლანძლავდა და ქოქოლას აყრიდა.

სარდაფიდან წყლიან თიხის გობში ჩაწყობილი პამიდვრის ჩითილი გამოიტანა, ორი მტკაველის სიგრძე, ცერა თითისსიმ-სხო ჯოხი მოძებნა და რგვას შეუდგა.

ისედაც დაუგვიანდა პამიდვრის დარგვა. მოცლით მოი-ცლიდა, მაგრამ ამინდი არ იყო, მაისი ისე გაილია, წვეთი არ მოსწყვეტია ცას. დღეს წამოწვიმა და თუ ერთ ციდაზე მაინც ჩააღწია სისველემ, პამიდორს მეტიც არ უნდა.

საყვირის ხმაზე ხბო შურდულივით გავარდა, მაგრამ თოკმა თავკისერი მოულრივა და წინა ფეხებში ჩაკეცილი, ქამანდნას-როლივით ჩაიხვეტა ბუჩქებში.

მართამ ჭიშკართან ჩავლილ შავ „ვოლგას“ თვალი გააყოლა, ხბოსთან მივიდა, ფეხებში ჩახლართული ბანარი გასწი-გამო-სწია და წამოაყენა.

— რას იკლავ თავს, რავა ყველაფრის გეშინია, შე სამგლე.

ხბო ლამაზ თვალებს აბრიალებდა, თავნაშვერილი უკან-უკან იწევდა და გაჩქარებულად სუნთქავდა.

1977

ყიდვილი

„და ვიდრე ჯუარი ესე წმიდისაი გარეთ ესუენა, მას ზედა ფრინველმან ვერ იკადრის გარდაფრენად“. ტბელ აბუსერიძე — „ცხოვრება ქვითხუროვა ბასილისა“.

წყაროსთან ჩამომსხდართ არც კი გაუგიათ ჭილოფისქუდი-ანი ჩია კაცის მოახლოვება. თხმელის გამხმარ მორზე ჩამ-ნერივებულიყვნენ თექისქუდიანები, მუხლზე ხელებდაწყო-ბილნი, მზისგან დამჭკნარ-დაუწვებული მოხუცები და თვ-ლემდნენ. იქვე, მოლზე, ხუთიოდე ახალგაზრდას ნარდი გაეხ-ურებინა. ნარდის მღერასა და ტკარცალ-ლორლოცში დიდოს მთიდან მოჩუხჩუხე წაკადულის ხმაც ქვებში მიკარგულიყო. მოხუცები არას ამბობდნენ. თითქოს სიძველეთა მოყვარულ-მა ფოტოგრაფმა შეჰყარა ისინი აქ, მამა-პაპეული სკივრიდან ამოლებული ტანსაცმლით შემოსა, მორზე დასვა და თვითონ გაუჩინარდა. და მოხუცნიც მდუმარედ და მოთმინებით ელიან უცნაურ ფოტოგრაფს.

ქართულის მასწავლებელმა წენელი ჩექმას გაუტყაპუნა, ჭილოფის ქუდი წყაროს შეუშვირა, დაასველა და ისევ თავზე ჩამოიმხო.

ბებრებმა თავები მოატრიალეს. ვარდენ წულუკიძე ამ სიცხეში სკოლიდან უსაქმოდ არ ამოვიდოდა.

— რას აპირებთ ხვალისას, ბიძიებო?

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს.

მონარდეებმა თამაში შეწყვიტეს და შემოჯარდნენ.

— რაზე თქვი, ჭოვ? — განაპირას ფეხმორთხმით რომ ზის, ისმაილი ბაბაა, ოთხმოცს კარგა ხანია გადაცილდა. იცის მას-წავლებელმა, ისმაილ ბაბა სოფლის უპორტფელო თავკაცია.

— შემაშინა ილია ხიხაძის ბადიშმა, ხვალ შაბათობაზე არავინ გამოვაო.

სიჩუმე. წაკადული წელში გაიმართა, ათასი პატარა ზარი დაარხია, წკრიალა ხმით ხავსიან ლოდებს გამოცდა და მინდ-ორს შემოენთო.

– მართალი უთქვამს, – ისმაილ ბაბამ ყალიონს გრძელი ნაფაზი დაჭრა და შორს გაიხედა.

ვარდენს სახეზე აღმურმა გადაპერა. მართლდება, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა.

– ისმაილ ბაბა, შენ ჭკვიანი კაცი ხარ. შენს ხელში გავიზარდე და ჯერ არ გამიგია დაუფიქრებლად ნაბიჯი გადაგედგას.

ვარდენს თავისივე ხმისა შერცხვა. არ იყო საჭირო ამგვარი ქათინაური. ბებრები უკმაყოფილოდ იშმუშნებიან.

– არც ხვალ გეიგონებ, ჭოვ – გაულიმა ისმაილ ბაბამ.

– ხომ გითხარით, ჩვენი საქმე არაა. შენ რეიზა ეჩრები, ძამავ, სხვის საქმეში? – ხუსეინ გორგოძის ხმაა.

– აბა ვისი საქმეა.

– ქრისტიანების, – ისმაილ ბაბა ახლა მიწას ჩასცერის და თვალსაც არ ახამხამებს.

– სირცხვილს ვჭამთ, ნენეს ვფიცავ, არ გვეკადრება. – ბზარი გაუჩნდა ხმაში ვარდენს.

– რაი არ გვეკადრება? მედრესე რომ ჩაინგრა, რეიზა არ ტიროდი, ბალლო, ასე მწარედ? – ვარდენმა ვერ გაარჩია ვისი ხმა იყო.

– სხალთის ეკლესია ათასი წლისაა. – ასაკს ჩაებლაუქა ვარდენი.

– მედრესე ორასი წლის იყო, ჭოვ. ბალლს უფრო მოვლა უნდა. – ისმაილ ბაბამ გაიცინა და მერე დიდხანს ახველა ხრინ-წჩამდგარი, სულმოუთემელი ხველებით.

– როგორც ჭკუამ გაგიჭრათ, ისე მოიქეცით, მე აქ ლამაზი სიტყვების სათქმელად არ ამოვსულვარ, აჭარლებო. თუ მომისმენთ, ორ სიტყვას გეტყვით, თუ არა და ღმერთმა სიკეთე მოგცეთ. ჩემი ჭკუის დარიგება რაში გჭირდებათ. მე თვითონ თქვენ გთხოვთ დარიგებას და დამოძღვრას, როცა გამიჭირდება.

– თქვაას? – ისმაილ ბაბამ საფიხვნოს გახედა.

– რაი უნდა თქვა, ჭოვ? – ხუსეინ გორგოძეს ახალმო-სულების არა სჯერა.

– გახსოვს, ხუსეინ ბაბავ, ამ ოცი წლის წინათ ბარად უნდა ჩასახლდეთო რომ გამოვიცხადეს. სწორედ ამ ადგილას, შენ გაჰყვიროდი მთელი სოფლის გასაგონად – რომელი მორევიც

დამახრჩიბს, ჩემთვის ყველა ზღვააო. ამ ადგილიდან სამას წელს თურქმა ვერ აგვრეკა და ახლა ჩემი ძმები და ბადიშები ტკბილი სიტყვით მიპირებენ ზღვაში ჩატყუბასო. აქ უცხოვრია ჩემს ბაბა-პეპერას და მეც აქ დავლევ ჩემს წუთისოფელსო. ამბობდი თუ არა, შენს ღმერთს გაფიცებ? ამბობდი.

ვარდენმა წუთით შეისვენა, ოფლი სახელოთი შეიწმინდა, ტერასზე ერთი ნაბიჯით აიწია და განაგრძო:

– სხალთის ეკლესია ათასი წლისაა. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შენი დიდი ბაბას აშენებული თუ არ არის, ხომ ლოცულობდა შიგ?

– პაპაჩემი ქრისტეს სახლში ვერ იღლცებდა. ჩვენ მუსულმანები ვართ! – ისმაილ ბაბას ცივი, გამყინავი ხმა ჰქონდა.

– მაშ, საიდან გაჩნდა ამ შუა სოფელში ქრისტიანული საყდარი, ციდან ჩამოფრინდა? რაკი ათასი წლის წინათ სწორედ აქ ააშენეს, ესე იგი ვიღაცას ჭირდებოდა, ვიღაც ლოცულობდა ხომ? განა ჩემგან გესმით პირველად ხუსეინ ბიძავ, რომ მაჰმადის რჯულზე თქვენ არც ისე დიდი ხანია მოიყარენით. უბედური სამასი წელი ისტორიისათვის ერთი გაფრენაა. ჩვენი მამა-პაპის სალოცავი კი ეს სხალთა იყო და მათი სამღერალ-სალინებული ეს ათასწლოვანი მარანი, ზედ ტაძარზე მიშენებული თვით ქრისტესვე გასაკვირად და საკითხავად. განა ჩემგან გესმით პირველად, ხუსეინ ბიძავ, რომ საქართველო აქედან დაიწყო. ამ ადგილს, სადაც ახლა მთიანი აჭარა და მესხეთია – „საქართველოს სინა“ შეარქეს ძველებმა. აქ დაირნა ქართული გვარტომის და კულტურის აკვანი. ერთი ხელის განვდენაზეა ჩვენგან ხანძთა, ოპიზა, ფორთა, შატბერდი, წყაროსთავი, არტანუჯი, მიძნაძორი, გიორგიწმინდა, ხიხანი, ცხმორისი... განა ჩემგან გესმით პირველად რომ ერთი დიდი საქართველო ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი გულიდან მონაგლეჯი სარფსგალმა დაგვრჩა და ძილშიც არ გვასვენებს ეს ჩვენი მოურჩენელი ეროვნული იარა. ზიხართ თქვენ აქ სოფლის მამები და სხალთის დასახურავად არ გამოვალთო, სხალთის დახურვა ჩვენ არ გვეკუთვნისო. აბა ვის ეკუთვნის? ვინც ააშენა? ის ქართველები კარგა ხანია მიწაში წვანან. რას მიჰქვიან ქრისტიანი და მუსულმანი, როცა საქმე ჩვენს

ეროვნულ პასპორტს, ჩვენი ერის ფასდაუდებელ საუნჯეს შე-ეხება. სწორედ სხალთა და ოპიზა, ხანძთა და შატბერდი გვაძლევენ დღეს საპუთს ხელში რომ ყველას ხმამალლა ვუთხრათ, აგრ ქართულ მიწაზე ქართველური ძეგლები დგანანო. ათა-სი წელი აწვიმდა სხალთის ეკლესიას თავზე. ათასი წელი! ვაირესტავრატორებმა რაც ლეჩაქი შემორჩენოდა ამ წმინდა ტაძარს, ისიც მოხადეს, ხავსისაგან შექმული კედლები ცას შეატოვეს და წავიდნენ. რა ვქნათ, ჩასაქცევ-ჩასაოხრებლად გავწიროთ ჩვენი წინაპრების ნაშენ-ნაგვირისტალი ეს უკვდავი ნაშთი ჩვენი დიდებისა? მე რა უნდა გითხრათ. როგორც სინდისმა გაგიჭრათ, ისე მოიქეცით. ხვალ შაბათობა კი არ გვაქვს, ულმერთოდ განირული სხალთის პანაშვიდზე გეპატი-შებით.

ვარდენს მეტი არაფერი უთქვამს. ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა, ჩექმაზე წკნელი კიდევ ერთხელ მაგრად გაიტკაცუნა და თავდალმართი უკანმოუხედავად ჩაირბინა.

* * *

მომავლის კაცო, თუ ოდესმე ამ ამბით დაინტერესდე, იცოდე, განსაციფრებელი არაფერი მომხდარა. უცნაური ის იქნებოდა, ვარდენ წულუკიძის შიში ბოლომდე რომ გამართლებულიყო.

მეორე დღეს შაბათობაზე მთელი სოფელი მოვიდა.

მოჰქონდათ ხის კიბეები, თუნუქის ნაჭრები, ძველთაძველი წიფლის ლარძაყინები. ღვთის სახლის მწვანე ეზოში ძველთაძველი კრამიტიც ბლომად ეყარა.

სხალთის ეკლესიას რომ ხურავდნენ, ყველანი ერთ სევდიან კოლხურ მელოდიას მღეროდნენ. ეს სიმღერა მე სხვაგან არსად გამიგონია, მელოდიაც აღარ მახსოვრს.

…გვიან ღამით ეკლესიის დასავლეთის კედელთან მიმჯდარიყო შაოსანი, ჩადრიანი დიაცი და მოთქმით ტიროდა.

ვის ტიროდა? სხალთის ეკლესიის ეზოში ხომ დიდი ხანია აღარავის მარხავენ. სოფელს სხვა სასაფლაო აქვს, წაბლნარს უკან, ფერდობზე.

პარგად ცხოვრობენ გუბერნატორები?

მეათე კლასის მოსწავლე იყო ხვიჩა გულუა, როცა კუნძულოლაჭვათირეს განთავისუფლებისთვის მებრძოლი არალეგალური ჯგუფი შექმნა და ერთადერთი ხელნაწერი პროკლამაცია გააკრა მაღალი ძაბვის ელექტროჯიხურზე.

ჯგუფის წევრებს საიდუმლო პოლიციის აგენტებმა მეორე დღესვე მიაგნეს. ოლაჭვათირეს იმ დროს მარჯვე და ფხიზელი პოლიცია ჰყავდა.

შეთქმული მოსწავლეები სკოლის სხვენზე დააპატიმრეს ახალი პროკლამაციის გადაწერის დროს.

პროკლამაცია წამკითხველის ყურადღებას მოითხოვდა და კუნძულოლაჭვათირეს კანონიერ მცხოვრებთ აუწყებდა: „მძიმეა ჩვენი მდგომარეობა, მამულიშვილნო. გუბერნატორი იოველ ბიბინაშვილის ხელში კუნძული დაიღუპება. სანამ უნდა გაგრძელდეს ხალხის მოტყუება? ჩვენ თანდათანობით ვკარგავთ ენას და სარწმუნოებას. კუნძულს შიმშილი და ეროვნული გადაგვარება ემუქრება. ძირს უძრაობა და დოკუმენტია გუბერნატორი!“

იოველ ბიბინაშვილმა, ეს ამბავი რომ შეიტყო, განკარგულება გასცა, ხუთივე მოსწავლე უკანალზე ჯოხის დარტყმით გაეროზგათ. ოლონდ ისე ურტყით, რომ ტკენით ეტკინოთ ამ უჭყურ ღლაპებს, მაგრამ მათს ჯანმრთელობას, ე მანდ, რაიმე სერიოზული ზიანი არ მიაყენოთ. იოველ, სანამ მოთმინების უნარს საბოლოოდ დაკარგავდა, კეთილი კაცი იყო.

რბილადგილებდალურჯებული მოსწავლეები მეორე დღესვე გაათავისუფლეს, მაგრამ სკოლიდან გარიცხეს. ერთი კვირის შემდეგ კი კუნძულის ცენტრალურ გაზეთში – „გუბერნატორის ხმა“ წერილი დაიბეჭდა. წერილში ძირითადად გაკრიტიკებული იყვნენ შეთქმულთა მშობლები და მასწავლებლები. რაც შეეხება ჯგუფის წევრებს, ისინი კუნძულის ჯანსაღი ახალგაზრდობის ურგებ, უვიც, სალახანა, გათამამებულ, ბეც, პოლიტიკურად მოუმწიფებელ წანილად იყვნენ გამოცხადებულნი.

ექვსი თვის შემდეგ ხუთივენი აღადგინეს სკოლაში. ოლონდ

ერთი კლასით უკან დახევინეს და ქალაქის სხვადასხვა სკოლაში უკრეს თავი.

ისე ძლიერი იყო კუნძულ ოლაჭვათირებზე გამეფებული რე-ჟიმი და ისე მყარად იჯდა იოველ ბიბინაშვილი თავის საგუ-ბერნატორო ტახტზე, რომ ხუთი, მისი აზრით, მოსულელო ყმანვილის ამ უტაქტო გამოსვლისთვის სერიოზული ყურ-ადლება არ მიუქცევია. კუნძული კვლავ განაგრძობდა ყალბი ზეიმებითა და აღლუმებით ცხოვრებას.

ხვიჩა გულუამ გეოლოგიური დაამთავრა, მაგრამ სპეციალ-ობით სამსახური არ დაუწყია. რაც შეეხება გუბერნატორის წინააღმდეგ ბრძოლას, ახლავე, მომდევნო სტრიქონებშივე და-ვინახავთ, რომ ურჩ ყმანვილს იოველის ჩამოგდების სურვილი გულიდან არ ამოუღია.

ორიოდე სიტყვა კუნძულ ოლაჭვათირეს შესახებ.

ამ, სულ რაღაც ოთხი ათასი წლის წინათ, როცა ჭუნების იმპერატორმა ჭუნიოლამ მსოფლიოს დაპყრობა გადაწყვიტა (და ვერ დავუკარგავ, კინალამ სისრულეში მოიყვანა თავისი განზრახვა), ერთ-ერთი ლაშქრობის დროს იგი კუნძულ ოლაჭ-ვათირეს მოადგა. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ მრისხანე ჭუნიოლას ამ კუნძულის დაპყრობა გეგმაში არ ჰქონდა, უფრო მეტიც, არც კი იცოდა მისი არსებობა, უბრალოდ გრიგალმა მეწინავე ხომალდს მიმართულება შეაცვ-ლევინაო. რაკიდა ზღვის ღელვამ თუ ბედისწერამ ჭუნიოლას ფლოტი კუნძულზე მოაგდო, ჭუნიოლამ თავის მამაც მხედრი-ონს ოლაჭვათირეს დაპყრობა უბრძანა. იმპერატორი გზაზე ყოველ შემსვედრ ქვეყანას იპყრობდა და ეს კუნძული რა წი-თელი კვერცხი იყო, ხათრი დაედო და არ დაეპყრო.

მე ვფიქრობ, ისტორიკოსთა იმ ერთი, უმნიშვნელო ნაწილის მტკიცება სინამდვილეს არ შეეფერება. ჯერ ერთი, როგორც სხვა ისტორიკოსები ამტკიცებენ (მე არავითარი საბუთი არა მაქვს არ ვენდო სხვა ისტორიკოსებს), ჭუნიოლას ძლიერი ფლოტი ჰყავდა და ქარიშხალი მის სახელმაც არმანდას გზი-დან ასე ადვილად ვერ გადაახვევინებდა. მეორეც, თუ მართლა არ იცოდა ამ კუნძულის არსებობა, რატომ შესძახა მეწინავის მომდევნო ხომალდის კიჩოზე მდგარმა თავის მამაც მეზღვაუ-რებს: „მეომარნო! ჩვენი არმანდა ოლაჭვათირეს უახლოვდება. თუ წინააღმდეგობა გაგვიწიეს, ჩათვალეთ რომ ჩვენმა ფლოტ-

მა ჭირი მოგჭამა. აქაურთ უძლიერესი ხომალთმნგრევი, ქვამ-სროლი შურდულ-რაგატკები აქვთ. ცურვა ხომ ყველამ იცით, შეილნო ჩემნო?!”

ოლაჭვათირებს ეს ისტორიული სიტყვები არ გაუგონი-ათ, მაგრამ ახლომახლო ხომალდზე მყოფმა ისტორიკოსებმა ხომ გაიგონეს? და ისტორიკოსი ხომ იმის ისტორიკოსია რომ, რომ მოკლა ტყუილს არ დაწერს.

ოლაჭვათირეს მკვიდრნი ხელგაშლილი, პურ-მარილით შეხვდნენ ჭუნებს. ხომალდმნგრევი შურდულ-რაგატკები რო-გორ არ ჰქონდათ, მაგრამ მის გამოყენებაზე არც უფიქრიათ. მტერთა შემოსევებს ოლაჭვათირელნი საერთოდ არ იყვნენ მიჩვეულნი. ყოველ შემთხვევისათვის ბრწყინვალე შეიარაღება მოიმარქაფეს, მაგრამ ვერც წარმოედგინათ, თუ მათს კუნ-ძულს ვინმე დასაცყრობად მოადგებოდა. ისე დიდხანს ელოდ-ნენ ისინი მომხვდურთ, რომ დაიღალნენ და ბრძოლა გადაავი-წყდათ კიდეც. ღმერთო შეგცოდე, გულში ფარულად ნატვრა-საც კი ატარებდნენ იმისას, რომ ერთ დღეს მათს კუნძულსაც მოდგომოდნენ უცხოელნი, როგორც სხვა თავისუფალ კუნძუ-ლებს ადგებოდნენ ხოლმე.

სანამ კუნძულის უხუცესნი ბჭობდნენ; ჯერ ხომ არ ვიცით, არმანდა სამტროდ მოდის თუ სამოყვროდ, იქნებ ჩვენთან ძმო-ბა სურთ და ჩვენი მოუზომავი ნაბიჯით, ე მანდ, არ ვაწყენი-ნოთო. რას ეტყვის ეს პატიოსანი ხალხი, თავის ქვეყანაში რომ დაბრუნდებაო, – ამასობაში ჭუნები ოლაჭვათირეს ნაპირზე გადმოსხდნენ და კუნძული, თანამედროვე სამხედრო ტერმი-ნოლოგია რომ ვიხმაროთ, ოკუპირებულად გამოაცხადეს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ბაზარში ანაზდეული შე-ტაკებისას სამი ადგილორბრივი ვაჭრის დაკოდვას და ასოც-დასამი ქალწულის გაუპატიურებას, ჭუნები, საერთოდ, ოლაჭ-ვათირები ცუდად არ მოქცეულან. კუნძულის დამოუკიდე-ბლობის სიმბოლო – შვიდფეროვანი დროშა ცეცხლს შეუ-კეთეს, სახალხო მმართველობის ძველი ფორმა – ხმოსანთა საბჭო ერთმმართველობით შეცვალეს (ერთმმართველად, რა დიდი მიხვედრა უნდა, ჭუნი დასვეს), კუნძული დაბეგრეს, რაც წასაღები იყო, წაიღეს და სულ რაღაცა ორ კვირაში დაადგნენ მსოფლიოს დაპყრობის ძნელ, მაგრამ მათთვის არცთუ მო-საწყენ გზას.

აქ დამთავრდა ოლაჭვათირეს განვითარების ოქროს ხანა და დაიწყო სხვა ხანა, რომელსაც, რა კარგ ხასიათზეც უნდა იყო პირუთვენლი ისტორიკოსი, რომელიმე ძვირფასი ლითონის სახელს ვერა და ვერ უწოდებ.

ჭუნები მანამ ბატონობდნენ კუნძულზე, სანამ მათი იმპერია საბოლოოდ დაინგრეოდა. როცა იმპერია, როგორც მოსალოდნელი იყო, ისტორიას ჩაბარდა, ოლაჭვათირეში რატომლაც კვლავ ჭუნი მეფისნაცვალი იჯდა და ძველებურად კრეფდა ხარკს. გავიდა ხუთი წელი. ერთხელ ოლაჭვათირესთან ახალი კონტინენტის მაძიებელმა ხომალდმა გაიარა. გაჩერებით არ გაჩერებულა ხომალდი. ჩანს, თავის შორ გზაზე მიეჩარებოდა. მკითხველის ენციკლოპედიური ცოდნის შესავსებად აქვე დავსძენ, რომ არათუ გრენბლანდია და სეიშელის კუნძულები არ იყო იმ დროს აღმოჩენილი, თქვენ წარმოიდგინეთ, გეოგრაფებისთვის მხოლოდ ორი კონტინენტი იყო ცნობილი – ევროპა და აზია. ხომალდის კიჩოზე მდგარმა კაპიტანმა ჭუნების დროშას რომ თვალი ჰქიდა, ოლაჭვათირეს მკვიდრთ შესძახა: „თქვენი გამკვირვებია, პატიოსანნო! რაღა დროს ჭუნების დროშაა. იმპერიამ ხუთი წელია ჭირი მოგზამათ. გამოიღვიძეთ და გადაიგდეთ დამპურობთა ულელიო“.

ეს ხმა მეფისნაცვლის კაცებმაც გაიგონეს და სანამ ხელთოვებით შეიარაღებული კუნძულის ერი სასახლეს მოადგებოდა, თავს უშველეს. აჯანყებულთ საიმპერიო რეზიდენციის ცარიელი ტალანები და მეფისნაცვლის მაგიდაზე ბარათი დახვდათ: „გვაპატიეთ, ძვირფასო ილაჭვათირელნო, რომ გამოუშვიდობებლად გტოვებთ. არ გვსურდა წასვლის წინ თქვენი წალვლიანი სახეების დანახვა და ამიტომ მივყვებით ლამეს ჩვენი სამშობლოსკენ, რომელიც მსოფლიო დაპყრობის იდეით ატაცებულებმა ამ ორასი წლის წინ დავტოვეთ და ახლა არც კი ვიცით, მივაგნებთ თუ არა. გთხოვთ, აუგს ნუ იტყვით ჩვენზე. დამპურობლების პირობაზე არ ვიყავით ცუდი დამპურობლები. ამაში მაშინ დარწმუნდებით, როცა სხვა დამპურობლები გესტუმრებიან. თქვენს კოშკზე სხვა იმპერიის დროშა რომ აღიმართება, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. რაკი იმპერიებმა თქვენებნ გზა ისწავლეს, ანი აღარ მოგასავენებენ. მშვიდობით“.

ეს ბარათი ოლაჭვათირეს მუზეუმში ახლაც ინახება. ჭანურ ენაზე ნაჩეარევად, რომ იტყვიან, გაკრული ხელით წარია.

„ეჭვი“ და „ისწავლეს“ ცუდი გასარჩევი იყო. მაგრამ ახლახან ამოიკითხეს მეცნიერებმა, რითაც, როგორ დავუკარგავ, თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს სამამულო ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.

თითქოს ენამ უყივლათო ჭუნებს, ამ სამი ათას წვაასი წლის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა ოლაჭვათირე. ვინ არ შემოეხეტა მის ულამაზეს სანახებში, ვინ არ დაადო ბეგარა და ვინ არ დატოვა თავისი კვალი ოლაჭვათირელი კაცის თავისუფლებისმოყვარე სულზე.

ორასორმოცდაათ-სამას წელზე წაკლები ხნის განმავლობაში არც ერთ იმპერიას არ უტკეპნია ოლაჭვათირეს ჭალები, მაგრამ რაი მერე. იმპერიები სამარცხვინო ნგრევით ამთავრებდნენ არსებობას, პატარა ოლაჭვათირე კი არსებობდა. უძლებდა ისტორიის დგანდგარს და არათუ უძლებდა, გასაყეყჩებელ ეკლესია-მონასტრებს აშენებდა. ჭკუიდან შესარყევ წიგნებს წერდა და სხვა პატარა კუნძულებს იმის მაგალითს აძლევდა, თუ რა უნდა ელონა მცირერიცხოვან ხალხს, რათა ქვეყნის პირიდან არ წაშლილიყო.

ასე მოალწია ოლაჭვათირემ იმ საუკუნემდე, რომელსაც ეს წოველა ეხება. რაკიდა გუბერნატორი ვახსენე, მკითხველი ალბათ მიმიხვდებოდა, რომ არც იმ საუკუნეში იყო კუნძული თავისუფალი. იგი სხვა სამას კუნძულთან ერთად ჩვანჩურიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ჩვანჩურიის იმპერია, განსხვავებით სხვა წინა იმპერიებისაგან, არ ამხელდა, რომ იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ვითარებაში დაპყრობილი კუნძულების ხელოვნურ გაერთიანებას წარმოადგენდა. იგი თავისთავს ძმურ ბანაკს ეძახდა და დღენიადაგ კუნძულთა თანასწორობაზე გაპყვიროდა. ბეგარას იგი სახელმწიფო შესყიდვას ეძახდა, მშობლიური ენის წართმევის გაშლილ კომპანიას – ორენოვნების საჭიროებით ხსნიდა, ხოლო ურჩი კუნძულისთვის მათოახით ჭკუის სწავლების პოლიტიკას, ადვილობრივი მოსახლეობის დაცვის აქციას არქმევდა.

ჩვენ ამჯერად იმპერიის სამართლებრივი განსჯის შორს ნუ გავიწევით და ამ უპრეტენზით წოველას დაბეჭდვა-არდაბეჭდვის საშიშროებას ნუ შევუქმნით. ჩვენ მხოლოდ გუბერნატორ იოველ ბიბინაშვილის და გუბერნატორის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლის – ხვიჩა გულუას ორთაბრძოლა გვაინტერესებს.

გუბერნატორები საერთოდ კარგად ცხოვრობენ. განუზომ-ელი უფლებები ხომ აქვთ და აქვთ, მე მგონი, ეკონომიკურადაც არა უჭირთ რა. ზაფხულს საზაფხულო რეზიდენციაში ატარებენ, წელიწადის დანარჩენ დროს – ქალაქების მათვის სპე-ციალურად განკუთვნილ საგუბერნატორო ვილლაში. მათვის უკეთესი კერძების დამზადებაში მზარეულები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ხოლო პიტიახშები ყველაზე ბედნიერნი იმ დღეს გახლავან, როცა გუბერნატორის აგარაკზე ახალი ხილითა და ნუგბარით დატვირთულ მანქანას შეაგზავნიან და მანქანა იქი-დან ცარიელი მობრუნდება.

დაისმის კითხვა: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იშვიათად გუბერნატორებსაც კი სახე რომ მოელუშებათ და სევდა გა-დაჰკრავთ, რა არის იმ სევდის მიზეზი? დადგენილია, რომ გუბერნატორული სევდის მიზეზი გახლავთ მათი განუზომ-ელი ძალაუფლების ხელყოფის უმნიშვნელო ცდაც კი. გუბერ-ნატორები ისე არიან მიჩვეული უსიტყვო მორჩილებას, რომ მაშინვე სახე აელანდებათ და მრისხანე ყივილს მორთავენ, როგორც კი ურჩობის ნატამალს შეატყობენ მილიონ ქვეშევრ-დომთა ერთფეროვან ცხოვრებას.

გუბერნატორს ხვიჩა გულუა ალარც კი ახსოვდა. ვინ მოსთ-ვლის მისი ბრძანებით, რამდენი თამამი ყმანვილისთვის აუ-ნითლებიათ უკანალი, მაგრამ, როცა უანდარმერიის შეფას ნასაუზმევს აუწყა; გუშინ ხვიჩამ წითელ ხიდქვეშ მიტინგი გამართა და შენზე, ცოტა არ იყოს, მაგარ-მაგარი რაღაცები თქვაო, გუბერნატორს ბოლმისგან სული ისე შეეხუთა, რომ კინაღამ დაილრჩო. ბოლოს და ბოლოს, ვინ ოხერია ეგ გულუა, როგორ ბედავს ჩემ წინააღმდეგ ხმის ამოღებას. დააპატიმრეთ და აქ მომგვარეთო.

დააპატიმრეს ხვიჩა. მეამბოხე გულუას დაპატიმრება ძნელი საქმე არ გახლდათ; მიტინგისგან გამოთავისუფლებულ დროს იგი თავის ოროთახიან ღარიბულ (უფრო ღარიბულ, ვიდრე მკითხველს წარმოუდგენია) ბინაში ატარებდა და კი არ ის-ვენებდა, ახალი მიტინგისთვის ემზადებოდა. დააპატიმრებული ხვიჩა გულუა გუბერნატორს მიჰვარეს.

რა გიყოთ ახლაო, მრისხანებადამალვით ჰკითხა ბიბინაშ-ვილმა.

რაზე მეკითხებითო, ხვიჩამ.

მოგვცემ პირობას, რომ გაგვანებებ თავს თუ გიკრათ თავი კუტუსკაში.

ძალა თქვენს ხელშია, მაგრამ იმის პირობას ვერ მოგცემთ, რომ გავჩუმდებიო, არ შეეპუა გულუა მმართველს.

რას მერჩი, რა გინდა ჩემგანო. ყელი გაუშრა სიბრაზისგან გუბერნატორს.

უნდა დაიხურო ქუდი და გადადგები, გად-აგაყენებთ. არ ხარ შენ ის კაცი, რომელსაც გუბერნატორის კვერთხი უნდა ეპყრას ხელთო.

რის გადამყენებელი ხარ, შე დამთხვეულო, შენო. არ მინ-დოდა გამენირე მაგრამ, რაკი არ ისვენებ, დღის სინათლეს არ გაღირსებ, იხტუნე რამდენიც გინდაო, მიუგო გუბერნატორმა და სახეზე შეეტყო, რომ გულუას ციხეში ამოღპობის განზ-რახვას ვერავინ გადაათემევინებდა.

გასცა ბრძანება იოველმა და შეაბრძანეს გულუა ასოც-დამეცხრამეტე საგუბერნიო ციხეში. ეს ციხე ასოცდათვრთ-მეტი სხვა საგუბერნიო ციხისგან განსხვავებით, გაცილებით კეთილშობილი ციხე იყო.

გავიდა სამი წელი. იოველი დამშვიდდა. მრისხანებამაც გაუარა. ერთხელ დილით საკველმოქმედო გუნებაზე გაიღვიძა და ხვიჩა გაიხსენა: „მართლაც და რამ მაფიქერებინა, რომ ის მოლაყბე-მეამბოხე ჩემი ტახტისთვის სერიოზულ საშიშროე-ბას წარმოადგენდაო. საზღვარგარეთ ჰკითხათ, რომ მე დი-ახაც მეშინია ხვიჩა გულუასი და იმიტომ მყავს დამწყვდეუ-ლიო. მოინანიოს თავისი შეცდომა და გავუშვებ. მომწყინდა მაგასთან ბრძოლაო“.

გუბერნატორმა ეს გადაწყვეტილება უცხოელი უურნალი-სტების თვალის ასახვევად გააკეთა. სულერთია, ხვიჩა ისეთი კერპია, რომ დანაშაულს არ მოინანიებს და ვერც თავისუფლე-ბას ეღირსებაო, მაგრამ მწარედ მოტყუვდა.

ხვიჩამ ხელისუფლების თვალის ასახვევად დანაშაული მოი-ნანია და, ვინ იცის, იქნებ სწორადაც მოიქცა.

გამოვიდა თუ არა ციხიდან, იმ საღამოსვე გუბერნატორის წინააღმდეგ მიტინგი მოაწყო და იოველმაც იმ საღამოსვე გადაწყვიტა ხვიჩა მესამედ შეებრუნებინა ციხეში, მაგრამ ვეზირებმა არ ურჩიეს. არასერიოზულობა გამოგვივა, ასე უც-ბათ მაგ გათახსირებულის ციხეში ჩაგდებაო. გავიდეს ცოტა

დრო, დანაშაულს დანაშაული დაუმატოს და მერე გავკოჭოთ, ჩვენს ხელში არ არის? სად წაგვივაო.

ხვიჩა გულუამ ფრთხები შეისხა. გუბერნატორის წინააღმდეგ ისეთი ლაშქრობა გააჩაღა, რომ მისი გარეთ ყოფნა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა გუბერნატორის ტახტს. არალე-გალური პრესა წამდაუწუმ აქვეყნებდა ხვიჩას მამხილებელ სტატიებს გუბერნატორის წინააღმდეგ. კუნძულზე დაპეროდნენ გულუას რაზმის წევრები ტრანსპარანტებით, რომელთაც ეწერა „ძირს ხალხისთვის საძულველი იმპერატორი იოველ ბიბინაშვილი“.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა და გუბერნატორის საიდუმლო ბრძანებით ხვიჩა კვლავ დააპატიმრეს.

რა გინდა, რას მერჩიო, ჰეითხა გუბერნატორმა, ნუთუ ვერ უნდა ისწავლო ჭკუაო.

ხომ გითხარი, სანამ ტახტიდან არ ჩამოგაგდებ, არ მოგეშვები-მეთქი, მშვიდად უპასუხა მეამბოხემ და საძულველ გუბერნატორს უდრტვინველად გაუსწორა თვალები.

სხვა არა იყოს რა, იმის ხათრი მაინც იქონიე, რომ ქალაქელები ვართ ორივე, მე და შენო, გუბერნატორმა, ნუ მაიძულებ, ცუდი გაგიკეთო, საპნის ბუშტივით გაგაქრობ, თუ მოვინდომეო, იოველმა.

არ დაიჯერო ეგ ამბავიო, შენ ჩემი გამქრობი ვეღარ ხარ. გაქრობა კი არა, უკვე დაჭერაც აღარ შეგიძლია ჩემი, ერთ კვირაზე მეტს აღარ გაგაჩერებინებს ჩემს თავს ციხეში ხალხიო, ხვიჩამ.

არ მანებებ, ხომ, თავს? შენ მიერ გასულელებული ადამიანების კისერზე იყოს შენი ცოდვაო! დაიქუხა გუბერნატორმა და ბრძანა, ხვიჩა გულუა საიდუმლო ციხის ყველაზე დაბალ, მინუს მეშვიდე სართულზე (მინის ქვეშ შვიდი სართული) მერვე საკანში ჩაეგდოთ.

იმ სალამოსვე ელვისისისწრაფით მოედო ქალაქს ხვიჩას დაპატიმრების სავალალო ამბავი. შეიქმნა გულუას ხსნის საზოგადოება. კუნძულის არაფორმალურმა გაერთიანებებმა ფორმალურ გაერთიანებებს წარუდგინეს პეტიცია, რომელსაც ოცი ათას შვიდას თერთმეტი კაცი აწერდა ხელს. ხელისმომწერნი ერთხმად მოითხოვდნენ ხვიჩას დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

გუბერნატორმა ერთხანს წაუყრუა მოთხოვნას, მაგრამ დიდხანს წაყრუება ვეღარ შეძლო. კუნძულ ოლაჭვათირეს აზვირთებული მოქალაქენი ციხეს კარის შემტვრევით ემუქრებოდნენ. იოველმა თავის სიცოცხლეში პირველად დაიხია უკან; ხვიჩა გაათავისუფლა და შეუთვალა; მთლად ნუ გამწირავ, ბოლოს და ბოლოს, ქალაქელი კაცი ვარ, ასეთი რა დაგიშავე, პოლიტიკურ დიალოგში გამომყევიო.

ხალხის მხარდაჭერით განებივრებულმა ხვიჩა გულუამ გუბერნატორს დიალოგზე კატეგორიული უარი შეუთვალა; შენთან სალაპარაკო მე არაფერი მაქვს, დროზე გადადექი, მირჩევია შენთვის, მამაჩემსა აქვს ცხონება.

ამის შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა, რომ თავისი ლიმუზინის შავი ფარდის უკან მიმალულმა გუბერნატორმა საკუთარი თვალით იხილა კუნძულის მთავარ პროსპექტზე როგორ მოჰყავდა ათასობით ოლაჭვათირელ პატრიოტს ხელში აყვანილი ხვიჩა გულუა. როგორ ფრიალებდნენ ირგვლივ კუნძულის შვიდფეროვანი დროშები და მუშტმერთული ხალხი რა ერთსულოვნად გაჰყვიროდა: „ძირს იმპერატორის დამჯერე თოჯინა – ხალხისთვის საძულველი გუბერნატორი!“

იოველმა საბოლოოდ იონმუნა, რომ ხვიჩასთან ბრძოლაში დამარცხდა.

იმ დღეს რაღას მოასწრებდა და მეორე დღეს ჩააბარა ცენტრს გუბერნატორის კვერთხ-ტემლაკ-ჯინჯილები.

ოლაჭვათირეს გუბერნატორმა ტახტი თავისი ნებით დატოვა ზუსტად ერთი დღით ადრე, სანამ ხვიჩა და მისი მოლაშქრენი გადააყენებდნენ.

ხალხმა ერთსულოვნად აირჩია ხვიჩა გულუა კუნძულის ახალ გუბერნატორად.

თუ სადმე სამართალია, ნოველა აქ უნდა მთავრდებოდეს. ასეთი დასასრული ხელს აძლევს ხვიჩას მიჩერებულ მილიონებს და, ჩვენ შორის დარჩეს, ამ ნოველის ავტორსაც, მაგრამ ცხოვრების უმკაცრესი ლოგიკა უფლებას არ მაძლევს აქ დავსვა წერტილი.

შინაგანი ძალა ჩამკივის, რომ აქ შეწყვეტილი ეს ნოველა დედამინაზე არსებული სხვა დანარჩენი მილიონ-ნახევარი მწერლის ნოველას დაემსგავსება, ამიტომ ვახსენებ ღმერთს

და რამდენიმე გვერდსაც შევთხზავ. ისე შევთხზავ, როგორც მამაზური მიკარნახებს.

გაიარა გუბერნატორად კურთხევის, სახალხო აღფრთოვანების, მილოცვებისა და აღლუმების ერთმა კვირამ და ახალი გუბერნატორი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მტკიცედ გადაწყვიტა გადაგდებულ წინამორბედს ცხოვრების წესითაც არ დამსგავსებოდა; ჩემს ოროთახიან ბინაში ვიცხოვრებ და ფეხით ვივლი სამსახურში. გუბერნატორობის პირველ თვეს მართლაც ასე მოიქცა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ დარწმუნდა, რომ ვერც ფეხით ივლიდა სამსახურში და ვერც ოროთახიან ბინაში იცხოვრებდა. ჯერ ერთი, უამრავ სტუმარსა და მიმსვლელ-მომსვლელს (მათ შორის აქა-იქ უცხოელებიც გამოეროდნენ) თავის ლარიბულ აპარტამენტებში ვერ მიიღებდა, მეორეც – ქუჩაში სიარულისას იმდენი ვინმე აჩერებდა, (ზოგი ჭკუას არიგებდა, ზოგი სათხოვარს თხოვდა, ზოგი ეფერებოდა, ერის მხსნელს ეძახდა და ეხვეწებოდა, – ერთად სურათი გადავილოთ; მინდა შთამომავლობას დავუტოვოო), რომ დილის ცხრა საათზე გამოსული, ნაშუადლევს ძლივს აღნევდა თავის საგუბერნატორო სასახლემდე, რომლის კოშკზეც ამაყად ფრიალებდა ოლაჭვათირეს შვიდფეროვანი დროშა.

ერთი სიტყვით, ხვიჩა გულუამ გუბერნატორის ყოფილ რეზიდენციაში დაიდო ბინა და სამსახურშიც იოველ ბიბილეიშვილის ჩამორთმეული ლიმუზინით დადიოდა.

პირველ რიგში კუნძულის საშტატო რეფორმა განახორციელა ხვიჩამ. პორტფელიან და უპორტფელო მინისტრებად თავისი ლაშქრის წევრები დასვა, მაგრამ სულიერ კმაყოფილებას ვერც ამ გზით მიაღწია. ზოგმა მეგობარმა მის მიერ შემოთავაზებული ადგილი იპატარავა და უარი უთხრა, ზოგი დათანხმდა, მაგრამ გულში მაინც ნაწყენი დარჩა (ჩანს, ვიცე-გუბერნატორობას ელოდა). ბუნებრივია, მთელ ლაშქარს ვერ გაწვდებოდა კუნძულის ჩინოსანი კონტინგენტის განსაზღვრული სკამი და მალე წამოვიდა გუბერნატორის მისამართით უკმაყოფილო პირთა წერილების ნიაღვარი: „არ გრცხვენია ხვიჩა შენო? მე როგორი ერთგული ვიყავი შენთვის, ვინ დაატარებდა ხელმოწერებს ჩემ გარდა ციხიდან შენი გამოყვანისთვისო, ვინ შემოგიგზავნა ჩემ გარდა საკანში ქლიბიანი ბულკიო. მე არ

უნდა გაგხსენებოდი თანამდებობის განაწილების დროსო?“ უცერემონიოდ სწრდა ერთი ადრესატი და, როგორც ობიექტური მკითხველი დასკვნის, ჰქონდა კიდეც გულის მოსვლის მიზეზი.

განაწყენებულთ როგორმე შეირიგებდა, მაგრამ ხვიჩას სხვა დარდიც გაუჩნდა. პირველ ხანებში, რაკი ახალი ცოცხი იყო, დაპირებებით კვებავდა ხალხს, მაგრამ გავიდა სამი წელი, და დაპირებული სამოთხე არსად ჩანდა. რა არ იღონა, საით არ მიაწყდა, მაგრამ ქვეყნის მთავარ სატკივარს ვერ უშველა; ხალხს კუჭი ვერ გამოუძლო.

გუბერნატორობა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ქვემოდან ჩანდა, ვიდრე ხვიჩას წარმოედგინა. ადამიანები „სახვალიო დოვლათს“ უკვე აღარ ჯერდებოდნენ. ისინი მოდიოდნენ გუბერნატორთან მიღებაზე და კონკრეტულად მოითხოვდნენ გამხნევებას და სიტყვით დაპირებას კი არა, კონკრეტულ ბინას, კონკრეტულ საჭმელს, კონკრეტულ ჩასაცმელ-დასახურავს და სამსახურს. ყველაფრის მიცემა შეეძლო გულუას მთხოვნელთათვის ზემოთ ჩამოთვლილის გარდა. დრო კი ელვისისნრაფით გარბოდა და ყოველდღე აწყდებოდა ახალი გუბერნატორის ყურს თანამოაზრეთა გულისგატებვის ჩაძახილ-ჩალაპარაკებანი, ყოველდღე ხედავდა უნდობლობას და ეჭვ-ჩაბუდებულ თვალებს თავისი ლაშქრის წევრებისას.

ხვიჩა გულუამ მოიწყინა. ის დრო ჯობდაო, ხშირად გაჰკრავდა ფიქრი, პასუხს რომ არაფერზე ვაგებდი, სხვის ნაკეთებ-ნაჩალიჩეს კრიჭაში რომ ვედექი, დაჩაგრულ ხალხს რომ ვექო-მაგებოდი. მართალია, ამისთვის ხანდახან ჭიტლაყსაც ამომკრავდნენ და ციხეში მაყურყუტებდნენ, მაგრამ დაფასება და სიყვარული მეტი მქონდაო. უმშვენიერესი დრო სწორედ ის ხანა ყოფილა ჩემს ცხოვრებაში. დაგსდევენ, გისაფრდებიან, გიჭერენ, გამოგიმებენ, გროვდება ხელმოწერები, ადგენენ პეტიციებს. ატყდება რეკვა – მართლა გაგათავისუფლეს, თუ არაო გეკითხებიან, ჯანმრთელობა ხომ არ შეგირყიეს მაგდალთაპირებმაო. ინტერესიც მეტი ჰქონდა მაშინდელ ჩემს ყოფას: ერთმანეთსდაუმსგავსებელი, დრამატული დღეები ელვისისნრაფით გარბოდნენ. ეს რა ოქროს გალია გამოვუგოხე ჩემს თავს, რა ჯანდაბად მინდა მლიქვნელების არმია ჩემ ირგვლივ, ან უზრუნველი ცხოვრება, თუ ის ხვიჩა გულუა არ

ვიქენები რა ხვიჩა გულუადაც ჩემი თავი ვზიარდე მთელი ჩემი
სიცოცხლის მანძილზე.

ეს ფიქრი პირველად რომ ეწვია გუბერნატორს 19... წლის 19
ენკენისთვე იყო, ხოლო 27 გიორგობისთვეს, საღამოს, ლიმუზ-
ინით თავისი რეზიდენციისკენ რომ მიჰყავდათ, ჯაჭვის ხიდ-
თან მიტინგს მოჰკრა თვალი. ხიდზე შავტუხა, შვინდისფერ-
პერანგა ოციოდე წლის ბიჭი შემდგარიყო და მუშტშემართვით
მიმართავდა ქვევით შეკრებილ ხალხს.

რამდენი ხანია მიტინგი არ ჩატარებულა ჩვენს კუნძულზე, მონებენილად გადაულაპარაკა ხვიჩამ წინ მჯდომ თანაშემწეს, ბრ-
ძოლის კარგი ფორმაა მიტინგი, არ უნდა დაივინყოს ხალხმაო.

ეკოლოგის საკითხებზე გამოთქვამენ აზრს, დამერნმუ-
ნეთ, ეს მიტინგი თქვენს მოღვაწეობას სრულებით არ ეხებაო,
იცრუა თანაშემწებ.

მინდა იცოდეს ყველა ფუნქციონერმა, რომ თანაშემწენი,
სამწუხაროდ, ხშირად სტყუიან.

გუბერნატორ ხვიჩა გულუას მთელი ღამე შვინდისფერპერ-
ანგა ბიჭი ესიზმრებოდა.

მეორე დღეს მიტინგის მიზეზთა რკვევა არ დაუწყია. დი-
ლის თერთმეტის ნახევარზე მოვიდა სამსახურში, თერთმეტზე
სენატის სხდომა მოიწვია და ოფიციალურადაც განაცხადა გა-
დადგომის შესახებ.

დაყოლიერის ცდები უშედეგო აღმოჩნდა. გუბერნატორის
გადაწყვეტილება მტკიცე იყო.

ერთი საათის შემდეგ კუნძულ ოლაჭვათირეს საინფორმა-
ციო ორგანოებმა გუბერნატორის გადადგომის ამბავი ქვეყ-
ანას ამცნეს. მოქალაქეებს მიზეზი აინტერესებდათ, მაგრამ
საინფორმაციო ორგანოები მიზეზს, ამჯერად, არ იტყობინე-
ბოდნენ.

ადვილი შესაძლებელი იყო, თვითონაც არ სცოდნოდათ.

1988



უფასო პანსიონატი

ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის სამ თებერვალს, არა-
ფორმალური გაერთიანება „სი ქოულ ბატას“ წევრს, ოც-
დაჩვიდმეტი წლის მარტოხელა დედას – მზია სულხანიშვილს
უფასო პანსიონატის გახსნის იდეა დაებადა.

მეორე დღეს ბავშვი სკოლაში რომ გაისტუმრა, მზიამ მესა-
მეჯერ მოდამობრუნებული, ზებრისზოლებიანი პალტო ჩაიც-
ვა, კუპრივით შავი თმები მოლისფერ ბერეტში გულმოდგინედ
შეჩურთა, ხელზე დედის დანატოვარი თეთრი ხელთათმანები
გაიკეთა და აღმასკომისკენ გაეშურა.

ისეთი გაუმჯვირვალე და მძიმე იყო ნაცრისფერლრუბლიანი
ცა, ისე ქვევით დასისინებდა ცივი ნიავი, რომ სადღაც სულ
ახლოს აშკარად თოვდა.

ათას ამაო ჩამოფრენკინებისაც ვერ დაერწმუნებინა ახ-
ლომახლო ხეებზე მსხდომი ბელურები რომ ასფალტზე მათვის
სახეირო არა ეყარა რა და საკენ-საციცენი ისევ სხვაგან უნდა
ეძებნათ. დაასკუპდებოდა ფიფქებივით მსუბუქი ჩიტი ასფალტს,
ერთ-ორს ნახტებოდა თავისი შიშველი, პანაზინა ფეხებით ჟულ-
მერთობაა მიწისკენ დაშვებულ იმ ორ ფირრა ხაზს ფეხები უწო-
დო), მიიხედ-მოიხედავდა, და ისევ დაუზარებლად აფრინდებო-
და იმ ხეზე, საიდანაც ეს-ესაა ჩამოსკუპდა. აფრინდებოდა რომ
თანამომეთ თავის ბელურულ ენაზე შეულურტულებოდა და
ხელახალი ჩამოსკუპებისთვის მომზადებულიყო.

რევოლუციონერ წულუკიძის სახელობის ქუჩის ბოლოში
სვეტზე აღმართული მრგვალი საათი, როგორც ყოველთვის,
მკაფიოდ უჩვენებდა თოთხმეტ საათსა და ოცდახუთ წუთს.
მიუხედავად იმისა, რომ ათის ნახევარი ძლივს იქნებოდა.

მზიამ საათზე მეტ ხანს უცადა მეშვიდე ნომერ ავტობუსს
და იქნებ ერთი ამდენი კიდევ მოეცადა, რომ ვიღაც ღვ-
თიან-მადლიანს არ ეთქვა, ავტობუსები დილიდანვე მოხსნეს
მარშრუტიდან და დემონსტრანტებისთვის გზის ჩასახერგად
წაიყვანესო.

რა მეტი გზა ჰქონდა, ფეხით დაადგა მესამე ინტერნაციო-
ნალის სახელობის გამზირს და როცა აღმასკომის შენობის კი-

ბეზე ადიოდა, თავს კიდევ ერთხელ უსაყვედურა; თავიდანვე ფეხით წამოსულიყავი, არც ისე შორს ყოფილაო.

მდივანმა ქალმა ჯერ მოსულის მიზეზი გამოჰკითხა და მერე მშვიდად აუწყა: თავმჯდომარე მოხსენებაზე მუშაობს, დღეს თქვენი მიღება გაუჭირდებაო.

შემონმებულია, რომ ასეთი პასუხის მოცემისას მდივანი ქალები ასიდან ოთხმოცდათვრამეტ შემთხვევაში ტყუიან, მაგრამ ამჯერად თავმჯდომარე მართლაც მოხსენებაზე მუშაობდა.

როცა ლოდინით დაიღალა და მოთმინების ფიალა აევსო, მზიამ გადაწყვიტა შესულიყა; ბოლოს და ბოლოს იმას მაინც ვკითხავ, როდის მიმიღებსო.

კარი შეაღო და იქვე გაჩერდა.

თავმჯდომარე მაღალი, სპორტული აღნაგობის, სიმპათიური მამაკაცი წინ და უკან დადიოდა და მბეჭდავ-მემანქანეს გამოთქმით ჰყარნახობდა. მან ერთი გახედა შემოსულს, მაგრამ კარნახი არ შეუწყვეტია.

„არჩევნების ახალ სისტემაზე გადასვლამ საშუალება მოგვ-ცა, რეგისტრაციაში გავატაროთ ჭეშმარიტად ხალხის რჩეულ-ნი, წერტილი. ორი და მეტი კანდიდატის დასახელების კომ-პანია, მძიმე, ამომრჩეველს საშუალებას აძლევს ლირსეულთა შორის ლირსეულს მისცეს თავისი საარჩევნო ხმა, წერტილი“. რა დავწერეთ ელეონორა, აბა, მომასმენინე.

– თავიდან? – იკითხა თმახუჭუჭა, ლამის უნარბო გოგონამ.

– არა. ბოლო წინადადება წამიკითხე.

– „არჩევნების ახალ სისტემაზე გადასვლამ საშუალება მოგვცა, რეგისტრაციაში გავატაროთ ჭეშმარიტად ხალხის რჩეულ-ნი, ორი და მეტი კანდიდატის დასახელების კომპანია ამომრჩეველს საშუალებას აძლევს ლირსეულთა შორის ლირ-სეულს მისცეს თავისი საარჩევნო ხმა“.

– მოიცა. იქ „ჭეშმარიტად ხალხის რჩეულნის“ ნაცვლად აჯობებს „ხალხის ჭეშმარიტი რჩეულნი“, იყოს ახლა, ბოლოს გავასწოროთ. თქვენ ჩემთან ბრძანდებით, ქალბატონო?

– ბოდიშს ვიხდი უდროო დროს შეწუხებისთვის, სხვა დროს გეახლებით. – მზია გულწრფელად ნანობდა, რომ თავმჯდომარეს მოხსენებაზე მუშაობაში ხელი შეუშალა.

– არა უშავს, აქეთ მობრძანდით, ბრძანეთ, თუ ძალიან გრძელი ამბავი არ არის. დაბრძანდით.

მზია მაგიდას მიუახლოვდა, მაგრამ დაჯდომით არ დამჯდარა. დაჯდომა-ადგომაშიც რომ არ წაერთმია მასპინძლისთვის ძვირფასი დრო.

– პანსიონატი მინდა გავხსნა.

– კოოპერატივი? – ცოტა არ იყოს გულგრილად ჰკითხა თავმჯდომარემ. ამ ბოლო დროს ბინის აღრიცხვაზე ასვლის მსურველზე მეტი კოოპერატივის გახსნის ენთუზიასტი მოდიოდა.

– იცით რა, უფასო პანსიონატი მინდა გავხსნა.

– უფასო? – თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და ქვედა ტუჩზე ჩამოიკონიალა.

– დიახ.

– რა სახის?

– საქველმოქმედო. ხომ არიან ქალაქში ბავშვები, რომელთა მშობლებსაც საშუალება არა აქვთ რეპეტიტორს ფული უხადონ. უფასოდ ვამეცადინებთ.

– კი მაგრამ, რა ასაკის ბავშვებს ამეცადინებთ?

– სასკოლო ასაკისას.

– ალბათ, პანსიონატისთვის ბინა დაგჭირდებათ, უნდა გითხრათ, რომ არავითარი საშუალება არა გვაქვს. გუშინ კოოპერატივ „სალამურს“ ბოლო სარდაფი გამოვუყავით.

– არა, ბატონო. ჩემს ბინაში ვამეცადინებ, ოროთახიანი ბინა მაქვს მე, მარტოხელა ქალი ვარ. ერთი ბავშვი მყავს, მეშვიდეკლასელი.

– უფასო პანსიონატში რას გულისხმობთ? მასწავლებლებს ფული ხომ უნდა გადაუხადოთ?

– იცით რა, ინგლისურში და ქართულში მე თვითონ ვამეცადინებ, პედაგოგიური ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, ინგლისურ-ქართული სპეციალობით. ისტორიას და მათემატიკის მასწავლებლებს მოვძებნი ჩემი მეგობრების წრეში. კვირაში ორ დღეს თითო საათს ვინ არ შესწირავს ამ კეთილ საქმეს.

– სად მუშაობთ?

– სინქრონული თარგმნის კურსებზე. თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, თავისუფალი დრო ბევრი მაქვს.

თავმჯდომარე დაიბნა. ასეთ უცნაურ „მთხოვნელს“ პირველად ხედავდა. ვერა და ვერ დაეჯერებინა, რომ შეიძლებოდა ამ გადარეული საბაზრო ფასებისა და ხელმოჭრილი ხელფასების ათწლედში აღმოჩენილიყო ადამიანი, რომელიც ბავშვებს სრუ-

ლიად უანგაროდ, უსასყიდლოდ ამეცადინებდა. გონება დაძაბა. გაითვალსურათა მთელი თავისი მწირი ცოდნა პანსიონატებზე, მაგრამ არათუ ამ საუკუნეში, ვერც წინა საუკუნეში გაიხსენა უფასო პანსიონატი. აშკარაა ამ სათონ სახის ქალბატონის უკან მაქინატორების ჯგუფი დგას, ან, უკეთეს შემთხვევაში, პოპულარობის მაძიებელ დიასახლისთა დაღლილი გონების ნაცულლუტარიაო, გაიფიქრა, თქმით კი აი, რა თქვა:

— ქალბატონო, ჩვენ უფასო პანსიონატის გახსნის შემთხვევა ჯერ არ გვქონია და გითხრათ სიმართლე, არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. უფასო პანსიონატი, რასაკვირველია, კეთილშობილური საქმეა, მაგრამ ჩვენ რა სტატუსით უნდა დაგამტკიცოთ აღმასკომზე?

— უფასო პანსიონატის უფლებით.

— საქმე ის გახლავთ, რომ ოქმით მხოლოდ კოოპერატივის გახსნის უფლება გვაქვს. თუ კოოპერატივად გაგატარეთ, უნდა დაგდეგროთ კიდეც.

— ბეგარას რით გადავიხდით, როცა ჩვენი პანსიონატი უფასოდ იმუშავებს?

— გასაგებია. კიდევ და კიდევ გიმეორებთ, რომ ფრიად კეთილშობილური საქციელია თქვენის მხრივ, მაგრამ ჩვენ ვერაფერში დაგეხმარებით.

— ჩვენ დახმარება არ გვითხოვთ, ჩვენ მხოლოდ თქვენი დასტური გვინდა.

— კი ბატონო. ჩათვალეთ, რომ სიტყვიერი დასტური მიღებლი გაქვთ. გაფორმებით კი, არ გენყინოთ და, ვერ გაგაფორმებთ. დადგენილებაში კიდეც რომ ჩავნეროთ, არავინ დაგვიჯერებს. ამ ჩვენს ბობოქარ საუკუნეში ტყუილს ჰგავს თქვენი ჩანაფიქრი. ძალიან მიმდიმს ამის თქმა, მაგრამ ასეა.

— მადლობას მოგახსენებთ, — მზიას კიდევ სურდა რაღაც ეთქვა, დააპირა კიდეც, მაგრამ ამასობაში თავმჯდომარე მბეჭდავ გოგონას წაადგა თავზე და ტკბილად, ღულუნით ჰკითხა:

— რაზე შევჩერდით, ელეონორა?

ელეონორამ საბეჭდი მანქანიდან ფურცელი დააძრო და კითხვას შეუდგა, მზია კი უკანსვლით წავიდა კარებისაკენ.

გზად თანაკურსელს, დოცენტ ჩაფიჩაძეს გამოუარა. იღბლად, დოცენტი შინ აღმოჩნდა. მეუღლემ საწოლი ოთახისკენ წაიყვანა და თან მოუბოდიშა, შეუძლოდ არის და ვერ ავაყენებ, არ გენყინოთ, მესამეჯერ შეუბრუნდა გრიპიო.

ჩაფიჩაძეს თავზე წყალბურთელი სპორტსმენის თეთრი ქუდი ეხურა. ქუდს რატომლაც ნომრად რვიანი ესვა. ყელზე მწვანე რიდე სქლად დაეხვია და ბალიშ-საბანში მიფუთულს ცხვირიდა უჩანდა.

— ავად ხარ ჯამბული, არ გრცხვენია? რა დროს ავად გახდომაა, შენი იმედი აქვს ქვეყანას, — მოეფერ-გაამხნევა მზიამ.

— არ მითხრა, თუ ქალი ხარ, გრიპის გეშინოდეს, თურმე, ყველაზე მეტად. თვე-ნახევარია ვერ მოვიცილე. პატარას რომ შემიშვებს, ვითომ, ხელს და ავდგები, მეორე დღეს მომკუჭავს და დამაბეჭდებს. დამასუსტა და დამაბეჭავა, გელაპარაკები.

— არ იცით კაცებმა თავის მოვლა და იმიტომ. უნდა გამოშუშდე. შებრუნებული უარესია.

— ბიჭი, რას შობა?

— რა უჭირს, იზრდება და ვირდება.

— შენი ქე მაინც ბიჭია და არ გაემტყუნება, მეგონა, გოგო წყნარია-მეთქი. გაგიგონია? ვერ ვაკავებ სახლში ჩემს გოგოებს.

— უფროსი რომელშია ახლა?

— მეათეში.

— კაი გოგოა. იმ დღეს მხატვრული კითხვის კონკურსზე ლექსი წაიკითხა. ძლივს ვიცანი. ყოველდღე იცვლებიან.

— კაი მოუვა მაგის ცხვირს.

— რაზე შეგანუხე ახლა, ჩემო ჯამბულ.

— ჰო, ჭირიმე, — ჯამბულმა ბალიში კისერთან აიწია და თითქმის წამოჯდა.

— დაიფარე, დაიფარე არ გაცივდე და მე არ დამბრალდეს.

— არა უშავს, მთლად დავარდნილი კი არ ვარ, შე ქალო.

— პანსიონატი მინდა ჩემს სახლში გახსნა. დრო მაევს, იმ კურსებზე ნამეტანი დატვირთული არ ვარ.

— რაის პანსიონატი? — ჯამბულმა ზურგსუკან ერთხელ კიდევ ამოსწია ბალიში.

— ვამეცადინებ სკოლის ასაკის ბავშვებს, მერე, შეიძლება, აბიტურიენტებსაც მოვკიდო ხელი.

— რაში.

— ქართულში, ინგლისურში, ისტორიაში.

— ძლივს არ მოსულხარ ჭკუაზე? თუ გახსოვს, როდის გითხარი მე, მოწაფეები აიყვანე-მეთქი.

— ჰო, მარა, ჩემი პანსიონატი უფასო იქნება.

— უფასო?

– კი. ფულს არ გადავახდევინებთ. ხელმოკლე ოჯახიშ-ვილებისთვის ვხსნი. რამდენს არა აქვს საშუალება და წელში წყდება რეპეტიტორებთან.

ჯამბულს გაეცინა.

– ახალგაზრდობაშიც ამნაირი უქიქინე იყავი. მაინცდამაინც შენ უნდა მოიფიქრო რალაცა სასწაული? ქვეყანა კოოპერატივებზეა გადასული და შენ უფასო სასწავლებელს ხსნი, შე კაი ქალო? სტიპენდიაც რომ დაუნიშნო შენი ხელფასიდან? ა? რას იტყვი, ბარემ რაკი პატივს სცემ.

– ქართულში და ინგლისულში მე ვამეცადინებ და ისტორიაში შენ უნდა შემეშველო. დაკარგე ორი საათი კვირაში, არ დაიქცევა ქვეყანა.

ჯამბული კარგა ხანს ჭერს ასცექეროდა.

– ჩემი თავი გენაცვალოს, მზია, მაგრამ ჩემგან არ გამოვა, რატომ, თუ იცი?

– რატომ?

– რატომ და მე ისედაც ვამეცადინებ აბიტურიენტებს. ქეი იცი შენ, რა არი დოცენტის ხელფასი დღეს. მომზადების ფული რომ არ მშველოდეს, ხელფასი რას მიზამდა. რაკი ასეა ჩემი საქმე, არ დამიჯერებენ, უფასოდ ამეცადინებსო. ფინგანი აგვიკლებს. არც შენთვის იქნება კარგი.

ჯამბული გაჩუმდა. მერე, თანაკურსელის ეჭვიან მზერას რომ წააწყდა, ისევ ალაპარაკდა:

– დამიჯერე მზია. არ მეზარება. შენი გულისთვის წყალში ჩავდგები, მაგრამ, ხომ იცი, ხალხის ამბავი. თავის სახლში ფასიანად ამეცადინებს და მზიას სახლში უფასოდ, ვინ ჭამს მაგასო. ფინგანის ამბავი არ იცი შენ? ჩემს ჭიშკართან დგას ყოველ მეორე დღეს და მოწაფებს მითვლის. კიდევ არის ერთი მიზეზი...

მზია თავის ხელებს დასცექეროდა.

– ეს ამბავი გახმაურდება, მზია. უფასო პანსიონატი ჩვენს სინამდვილეში ისეთი მოულოდნელი რამ არის, რომ არ დაიმაღლება. პრესაში გაუონავს. დაწერს ვიღაც ენაჭარტალა ურნალისტი, ასე და ასეო. ჯამბული ჩაფიჩაძე და მზია სულბანიშვილი ქველმოქმედებას ეწევიანო. უფასო პანსიონატი გახსნესო. ეს მინდა მეე?

– ჯერ ერთი საგაზეთოდ არ გავიხდით საქმეს. მე ეს სახელის სამოვნელად არ მომიფიქრებია. და კიდევ რომ დაწერონ, რა სირცხვილი ეს არის, შე კაცო?

– მზია, არ იცი, რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ? იმ წუთსვე მეტიჩრებად გამოგვაცხადებენ. ასიდან ოთხმოცდაათი არ დაიჯერებს, რომ რალაცას არ ვმაიმუნობთ და არ ვიტყუებით. ამას თავი დავანებოთ. ჩემი კოლეგები ვინც, ასე ჩემსავით, აბიტურიენტების მომზადებით ცხოვრობს სამუდამოდ გადამეციდებიან. თავბზულია და ზემხსომია არ უყვარს დღეს არავის. კიდევ გეტყვი ერთს, რატომ ვერ გაამართლებს შენი პანსიონატი გითხრა?

– მითხარი. – მზიას ხმა გალეოდა.

– რა გულდაგულაც უნდა ვამეცადინოთ ბავშვები, თან რომ გადავყვეთ, არც თვითონ ბავშვები და არც მშობლები მადლიერი არ დაგვრჩებიან. რაკი ფულს არ გვახდევინებენ, ეტყობა, არაფერს ასწავლიან. ისე, სიაფანდად ამეცადინებენ, ხალხის შესახედავადო.

ჯამბულმა კიდევ თქვა რალაც, მაგრამ მზიას ალარ გაუგონია. ფიქრმა გაიტყუა: „ლმერთო ჩემო, ნუთუ მართალია ეს კაცი? ნუთუ მართლა ისეთი დრო დადგა, როგორიც ჯამბულს ჰგონია. არ შეიძლება არა, ეს ყველაფერი მართალი იყოს. თუ ეს ასეა, სიკეთეს ფასი დაუკარგავს ამ ქვეყანაზე. და ეს კი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა კაცობრიობის აღსასრული მოახლოვებულია...“

ამ ფიქრებს რომ დაუსხლეთა და თავის თავთან მობრუნდა, უკვე ქუჩაში იყო.

წვრილად, ხვავრიელად თოვდა, მაგრამ ქუთაისის აბეზარი ქარი თოვლს მიწას არ აკარებდა. ფიფქს მიწამდე ასე, დაახლოებით, მტკაცელი რომ დააკლდებოდა, ქარი ერთს მისებურად დაუბერავდა და თამაშ-ტრიალით ისევ ცისკენ შეაბრუნებდა.

აჩიკო სკოლიდან მობრუნებულიყო და სამზარეულოში საქმიანობდა. ტაფამწვარი გაემზადებინა და პურზე კარაქს, როგორც იცოდა, თხლად, დიდხანს უსვამდა.

მზიამ, აბურდულ თმაზე მოუალერსა.

– ასე, გენაცვალოს დედა, კაცი მომესწარი, ანი რაღა მიჭირს.

ბიჭმა თავი განზე გასწია. ამ ასაკის ბიჭებს არ უყვართ, როცა ბავშვივით ეფერებიან.

– რა ჰქენით ქართულში?

– ვწერეთ.

– თავგადასავალი?
– არა. თავისუფალი თემა გვანერია „ოცდამეერთე – ჩემი საუკუნე“.

– მერე? რა დაწერე აჩიკო.

– თვითონ მოგვიყვა: როგორი მინდა ვიყო მე და როგორი მინდა რომ იყოს ჩემი სამშობლოვო. მოვახლაფორთე რაღაც. ხარაბაძემ და მამაგეიშვილმა სულ ვერაფერი ვერ დაწერეს.

– დაჯეტი ახლა და იმეცადინე.

– რა ვიმეცადინო. ქართულში წერა გვქონდა. რუსულს ახალი არ აუხსნია და თურქულის წიგნი არა მაქვა.

– გამოართვი სოფიკოს.

– სოფიკო დღეს თვითონ არ ყოფილა. გაცივებულია და დედამისმა არ გამოუშვა.

– წაუსევი, ბიჭო, ბლომად. კარაქი სიმაღლეში ზრდის სანამ უნდა იპუნკო მეაფთიაქესავით. ასე გამიგონია, დედიკო?

აჩიკო თავისას განაგრძობდა. ყველა ყველა და კარაქთან მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი უმკაცრესი დამოკიდებულება.

მზია ტელეფონს მიუჯდა და გრძელი, წითელი ბლოკნოტი გადაშალა. ამ ბლოკნოტში ნინოშვილის და მარდალეიშვილის ქუჩაზე მცხოვრებთა გვარები და მისამართები ეწერა. შარშან მზია საარჩევნო უბის აგიტატორად გამოყვეს და „ალრიცხვის“ წიგნაკი ყოველ შემთხვევისთვის შეინახა. თუ რამე დაეხმარებოდა ახლა უფასო პანსიონატის მომავალი მსმენელების შესარჩევად, სწორედ ეს სია გახლდათ.

სალამოს „მოამბე“ რომ ჩამთავრდა, მზია მარდალეიშვილის ქუჩის პირველი ჩიხის შვიდ ნომერში მცხოვრებ კირვალიძეების ოჯახს ესტუმრა. ელეონორა კირვალიძის ქმარი, ავტოქარხნის ყოფილი ინჟინერი გივი კირვალიძე შრომის უსაფრთხოების დარღვევისათვის (რასაც საამქროში აეროზოლის აფეთქება მოჰყვა) დაჭერილი იყო. სამი ბავშვი ჰყავდათ. უფროსს, თუ მზია არ ცდებოდა, უკვე დამთავრებული უნდა ჰქონდა, ხოლო უმცროსი მეექვსეში უნდა ყოფილიყო.

– იყოს, ბატონო, იყოს. რავა გეკადრებათ. ანგრეული ვართ ისედაც ამგენის ხელში შენ დაიცავ სისუფთავეს? – ბოდიშ-ფერებით ეუბნებოდა ელეონორა სტუმარს, რომელიც კიბის თავზე დაგებულ ჯაგრისხალიჩაზე დიდხანს, გულმოდგინედ იწმენდდა ფეხსაცმელს.

– დედა უთხარი რამე! – დაიყვირა შუშაბანდიდან გოგომ, როცა ელეონორა და მზია ოთახში შევიდნენ.

– ვასიკო! – დაიძახა მზიამ სარეკორდო ხმით.

ამ დაძახილზე შუშაბანდიდან თავბურძგლა, აყლაყუდა ბიჭი გამოვარდა და ზურგში მოხვდა კიდეც მარჯვედ ნასროლი წიგნი. უცხო ადამიანის დანახვაზე ბიჭმა წიგნი აიღო და სამზარეულოსკენ გაფშლატუნდა.

– დაბრძანდით, ქალბატონო. ბოლოშს ვიხდი, – დაიმორცხვა ელეონორამ – გაგიგონიათ ასეთი რამ? ჭამენ და-ძმა ერთმანეთს. ოცდაოთხი საათი ჩხუბობენ.

– იციან ბავშვებმა, – სკამი გამოსწია მზიამ, მაგრამ რომ დახედა, დაჯდომა გადაიფიქრა.

ელეონორამ წინსაფარი გადაუსვა სკამს და სტუმარს ღუმელთან ახლოს დაუდგა.

– დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე რა „ბავშვებმა“, ბატონო, ბავშვები არ ვიყავით ჩვენ? ამნაირი უნაირო არაფერი გამიგონია.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

– დადებს ამაღამ. – ჩაილაპარაკა მზიამ.

– დადებს, ბატონო, ყინვიანი თოვლია. დადებს, აბა რას იზამს. ჯერ სადაა ზამთარი. შეშაც გვითავდება, ღმერთო, შენ ოურიე დავთარი, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვაგდო.

– რამდენი დარჩა მეუღლეს?

– ორნახევარი თუ ამნისტიამ არ მოუსწრო. ტყვილად ზის, მთლად ტყვილად. ხალხი ქვეყანას აქცევს და ქე არიან გარეთ.

– ბავშვები თუ სწავლობენ?

– როგორც ნახეთ ახლა, ამ წუთში, ისე სწავლობენ, ქალბატონო.

– მზია მქვია, მე, სულხანიშვილი ვარ. ნინოშვილზე ვცხოვრობ, ბაზრის ქვევით.

– ცნობით, რავა არ გიცანით, ქალბატონო, მარა სახელი ვერ მოვიგონე. არეული მაქვს-მეთქი ტვინი, ხომ გითხარით, ცალკე გივის დარდი, ცალკე ამგენის. სწავლობენ? ხომ ნახეთ, როგორ ესვრიან წიგნს ერთმანეთს. ესენი ისწავლიან რამეს? ეს უფროსია, – ღუმელთან თავდახრით მჯდომ გოგოს მიათითა – შარშან დამთავრა და ზის ფეჩთან. თუ არ უთხარი, ცოცხას არ აიღებს ხელში და ოთახს არ გამოუსობს.

– არა უშავს, ჩავარდებიან ჭკუაში.

- მე ქე მომინელებენ და რაღა დროს.
- პანსიონატს ვხსნი მე, ჩემს ბინაში, ქალბატონო ელეონორა და იაროს ერთმა ჩემთან. თუ გნებავთ, ორივემ იაროს, უმცროსებმა, და-ძმამ; ერთად.
- რაის პანსიონატს ხსნით, პატივცემულო?
- ვამეცადინებთ ბავშვებს.
- აგაშენათ ლერთმა ეგ კარგი საქმე იყოს, მარა...
- უფასო იქნება, ქალბატონო. ფულს არ გამოგართმევთ.
- უფასო? ელეონორამ სტუმარს ეჭვით გახედა. ორი თითით ტუჩის კიდეები მოიწმინდა და ხელები მაგიდაზე დააწყო.

მოსაწყენი საუბრით, სტუმარ-მასპინძელს შორის რომ გაგრძელდა, მკითხველს აღარ გადავლლი. ელეონორამ უარი თქვა უფასო პანსიონატში შვილების მიბარებაზე. ჯერ იმის გარკვევა სცადა, თუ რატომ გადაწყვიტა ქალბატონმა მზიამ მაინცდამაინც კირვალიძეებს მიდგომოდა კარზე. როცა მზიამ აუხსნა, ეს პანსიონატი ხელმოკლე ბავშვებისთვის იხსნებაო, მასპინძელმა კოპები შეიკრა, მართალია, პატიმრის ოჯახი გვქვია და სულ ტყვილად ზის ჩემი ქმარი, მაგრამ ჯერ სამოწყალოდ არ გაგვხდომია საქმეო. გასაგებია ჩემთვის თქვენი სურვილი, გეცოდებით და გინდათ დაგვეხმაროთ, დიდი მადლობა თანაგრძნობისთვის, მაგრამ სიკვდილი მირჩევნია ხალხ-ის ყბაში ჩავარდნას. წელებზე ფეხს დავიდგამ, დღე და ღამეს გავასწორებ და რავარც სხვების შმობლები იხდიან, ისე გადავიხდი მეცო. ლერთო კი მომკალი, გასათხოვარი გოგოს პატრონი იმას როგორ ვიზამ, ქვეყანა ავალაპარაკო; სამოწყალოდ და სამადლოდ უფასოდ უმეცადინებენ ბავშვებსო.

რა სიტყვებით არ ეხვენა, რა მაგალითებით არ არწმუნა მზიამ მასპინძელი: სრულებითაც არ გახლავთ ეს საქმე დამამცირებელი, ვისაც რა შეგვიძლია, პატივი უნდა ვცეთ, ადამიანებმა უნდა მივხედოთ ერთმანეთს, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ფულზე ხომ არ უნდა დავიყვანოთო, მაგრამ ვერა და ვერ დაითანხმა.

კირვალიძეებმა ხომ გააწილეს, ახობაძეებმა და შვანგირაძეებმაც ზრდილობიანი უარით გამოისტუმრეს. ახობაძეებმა უთხრეს; უკვე მიბარებული გვყავს რეპეტიტორთან ბავშვებიო, ხოლო შვანგირაძემ, საშუალოს ქე დაამთავრებს რავარცხა იქნება და მერე ხელობა და მისი ჯანიო.

ბოლოს, ძელქვიანას სასაფლაოსთან ზურაბ ხაბურძანიას

სახლს მიადგა. ზურაბს მეუღლე ამ შვიდი წლის წინ, ბრმანაწლავის გასკდომით დაელუპა და ორ ბავშვს მარტო ზრდიდა.

მასპინძელი ნასვამი გახლდათ და მზიას შვიდჯერ მაინც დასჭირდა თავიდან დაწყება, სანამ მოსვლის მიზეზს გააგებინებდა. უფასო პანსიონატის იდეას ზურაბი აღტაცებით შეხვდა, და სტუმარს ორჯერ ისე მგრძნობიარედ აკოცა, ხელზე, როგორი კოცნაც შეზარხოშებულმა მამაკაცებმა იციან. მერე გრძნობამორევით ალულლულდა: „ვიცოდი მე, თქვენი კეთილი გულის ამბავი, ქალბატონო მზიაო. ვიცოდი, მაგრამ ვერ გეუბნებოდით, ვერ გიმხელდით ამდენ ხასსო. მეგობრობა და სიყვარული ასე მესმის მეო. ვისაც მე ვუნდივარ, ჩემი ობლებიც უნდა უნდოდესო. სხვა ვარიანტიც მქონდა, მაგრამ ბავშვებს გითხრათ სიმართლე, ვერ დავჩიაგვრინებ ვერავისო, თქვენთვის ჩამიბარებია დღეიდან ჩემი ობლებიც და ჩემი თავიცო. მე თუ ვსვამ ხანდახან, ჩემს ნაშოვნს ვხარჯავ, სხვისთვის არ ხამირთმევია არაფერიო...“ ლულლულს რომ მორჩა და უფასო პანსიონატის გამგეს მკლავზე წაეპოტინა, მზია მიხვდა რომ ხაბურძანიასთან საქმიანი საუბრის გაგრძელება უაზრო იყო. გული მოიყვანა, მასპინძელს თავის შეკავებისკენ მოუწოდა და მტკიცე ნაბიჯით წავიდა ჭიშკრისაკენ.

* * *

აჩიკოს ტელევიზორთან ჩასძინებოდა.

„გარდაჯმნის პროჟექტორის“ წამყვანი ეკრანზე მეწყერის-გან დახეთქილ სახლებს აჩვენებდა.

მზიამ ტელევიზორი გამორთო. ძილღვიძილიანი ბიჭი ფერებ-ფერებით შეიყვანა საწოლ ოთახში. გახადა, საბანი ზურგთან ამოუგო, აკოცა და თავზე ხელი გადაუსვა.

მერე შუშაბანდში გამოვიდა, ხატის წინ სანთელი აანთო და დიდხანს მხურვალედ ლოცულობდა.

1987



ამრევი

როგორც საკუთარ ძვალს არ გავტკევირავ, ისე არ მინდოდა იმ კრებაზე გამოსვლა, მაგრამ ხანდახან ეშმაკი ჩაგიჯდება ჯამში და თავის ნებაზე აგატროკებს. რა ჩემი საქმე იყო სხვების დატუქსვა-დაჯანჯლარება, რომელი სოლომონ მოძღვარი და გოლა-ქადაგი მე ვიყავი. აქამდე, ვერ მოვითმინეო, სხვა რომ მტყოდა; სიცილს დავაყრიდი. ვერ მოთმენის ჭკუაზე მტერმა იარა დღეს. მთელი ცხოვრება ვითმენ და ერთხელაც მომეთმინა. რა ბზიკმა მიკბინა, თვითონ არ ვიცი, მაგრამ როგორც ჩანს, იმ ერთხელაა სწორედ კაცი საბედისწერო ჭკუაზე. გროვდება, გროვდება გულში ბოლმა-ვარამი და იმ ერთხელ ამოხეთქავს ვულკანივით.

რა კრება იყო, რაში მაინტერესებდა. ყოველდღე იყო ამნაირი კრება ჩვენს კლუბში. შემოლაგდებოდნენ კისერდასივებული, გალსტუკამობრუნებული კაცები. ჯერ პრეზიდენტი გაივსებოდა, მერე დარბაზში დაჩინდებოდნენ ახალნაყარი სკასავით ერთ ადგილას აბზუებული მსმენელები. იქაქანებდნენ ოთხ საათს და ისეთი სახეებით დაიშლებოდნენ, კაცს ეგონებოდა; ახლა კი დააწყვეს ქვეყანა, არ უნდა ლაპარაკიო. წელიწად-ნახევარი ვიმუშავე კლუბში და სამჯერ თუ მექნება, მაგათი კრება-თათბირი აქა-იქ, ყურჩაკურულად მოსმენილი. ქურდების ნახევარყბით და ბებრა-ტერმინებით ნათქვამს ვიგებ, კაცო, და ამ კრებაზე ბაიყუშივით ვიჯექი კულისებში. მე კი არა, მგონი, თვითონაც არ ესმოდათ ერთმანეთის. განგებ აგებდნენ აზრს ისე, რომ ერთმანეთი დაებნიათ. ასე იყო ნამდვილად. ისე, ჩვენ შორის დარჩეს და ორატორობა ნამეტანი წინაა წასული. რომელ საუკუნეში და რომელ ქვეყანაში მოახერხებდნენ, შენ მითხარი, ოთხ საათს ელაპარაკათ და ერთი პანაზკინტელა აზრიც არ გაპარვოდათ, საქმეს რომ წაადგებოდა, ისეთი. მე რა, მაგათი ლაყაფ-მუსაიფი ისე მაწუხებდა, როგორც კატას ქალალდის ფხრინინი. მაგიდას წითელ მაუდს რომ გადავაფარებდი, სცენის სიღრმეში ბელადის ბიუსტს დავდგამდი და მიკროფონებს

უზურში მოვიყვანდი, ვიჯექი ჩემთვის და ვთვლემდი. ხანდახან, ტაშს რომ გაახურებდნენ, ავნევდი თავს და „ნეტაი თქვენს ხასიათს-მეთქი“ ჩავილაპარაკებდი ჩემთვის.

იმ დღეს პირველად მიმტყუნა მიკროფონმა. შევამოწმე, სანამ კრება დაიწყებოდა. ორივე მუშაობდა. სამი წინადადება არ ჰქონდა წაკითხული მომხსენებელს და მაინცდამაინც ტრიბუნის ტელეფონი გამოირთო, ის დასაწვავი. იმაზე უფრო საზიზღარი წუთი არ არსებობს, მეტრიბუნე რომ მიკროფონს თითს უკაკუნებს და შენკენ იხედება, თავმჯდომარე ფეხზე რომ დგას და იმასაც შენკენ მოულრეცია კისერი, პრეზიდენტი მსხდომნი დროს რომ იშოვიან და ქირქილს ატეხავენ. შენ კი ხაფანგში გამომწყვდეულ ვირთხასავით ას კდები იქეთ-აქეთ. სწორედ ამ დღეში ჩავვარდი. მიკროფონს თავი მოვუჭირე, კონტაქტი შევამოწმე, შნურს გამოვყევი, არსადაა გაწყვეტილი, რა ქვა გავტეხო, არ ვიცი. ვტაცე ხელი მაგიდის მიკროფონს და ტრიბუნასთან მივარპენინე. დადუმებული მიკროფონი ორივე ხელით ჩავბლუჯე და დროშასავით გამოვიტანე სცენიდან. მომხსენებელმა კითხვა განაგრძო. მე მიკროფონს ვუკირკიტებ. არ გასულა ხუთი წუთი, მეორე მიკროფონმა მოზვერივით დაიზმუვლა და ისარი ნოლზე ჩამოვარდა. ისევ სიცილი დარბაზში, ისევ ჩემქენ მომართული მწყრალი სახეები. ცივმა ოფლმა დამასხა. ვჯახირობ რაც შემიძლია, მაგრამ არაფერი გამოდის. მაინცდამაინც ჩვენი დირექტორი თავმჯდომარეობდა იმ დღეს, გეცოდინება, ცახოცაძე. ერთი უუმური და უჯიგრო კაცი. შესახედავად მინას ძლივს აჩნია, ტანად მოცოცო და დაფსხრიკულია, მაგრამ რაკი უფროსი მქვია, ხომ უნდა გავამნარო ვიღაცაო და, მაშინაც კი, ჩუმად რომ ზის, ყბის ძვლები უთამაშებს. ეტყობა შიგნიდან ლაპარაკობს, უენოდ ეჩხუბება ვიღაცას, სულ უკმაყოფილო, სულ ცხვირაბზუებული ეგ რომაა, ჩემი მტერი იქნა ისე. ჩემნაირ პატართუხარა კაცს თუ მოერევა, თორებ დიდ ღლავებთან ალბათ, ფინიასავით კუთხეში წკმუტუნებს. ჩემთან, იცოცხლე, ყარამან ყანთელია. წელიწადნახევარი სტამბოლში ნაყიდი მუნჯივით ვემსახურე და მადლობა რაა, ერთი სიტყვიერი მადლობაც არ უთქვამს. არადა კლუბის საქმე, ხომ იცი, როგორია. „ღონისძიებაა“, გეტყვიან და მორჩა. რისი რვასაათიანი სამუშაო დღე. სანამ სხდომა არ

დამთავრდება, ფეხს ვერ მოიცვლი. მე შენ გეტყვი, აგინაზლაურებს ვინძე ზედმეტ საათებს. არადა „ღონისძიებებს“ მაგათ რა გამოულევს. ღმერთმა გაძლება მოგვცეს, მშვენიერ გრძელ ლაპარაკს მივეჩვიეთ. სიტყვების საძებრად ჯიბეში ხელს, სხვა კი არა, ხომ ხედავ, მეც არ ვიყოფ.

ერთი სიტყვით, წამოხტა ცახოცაძე და გამომენთო კულისებში. მე ისედაც ცეცხლი მიკიდია, შევრცხვი კაცი და ეს კიდევ ნავთს მასხამს: „რაში გაძლევ ამხელა ხელფასს, შე ყურუმსალო, შენაო. ეს მიკროფონი გაბარია, მეტი ხომ არაფერი, ასე ფეხზემკიდია როგორ უნდა იყო ცოცხალი ადამიანი. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებო, თავმოყვარეობა მაინც სად დაკარგე, შენხელა კაცმაო. როცა არ ვარგა ადამიანიშვილი, არ ვარგა არაფერში, მორჩა და გათავდაო. რომ მცოდნოდა, ამნაირი ზარალი ჰყავდი გამჩენს, როგორ გაგაკარებდი კლუბსო. შენი დუხი არ ვნახო ხვალიდან ამ ტერიტორიაზეო...“

მოკლედ, თუ რამე საგინებელი სიტყვა არსებობს, არ და-მაკლო ცახოცაძემ. დეზადორივით დამაფრქვია ლანძღვა-თათხვის კორიანტელი. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს ყელში ბურთივით რომ მომაწვა ნალველი, წამოვდექი, თავმჯდომარე მჯილით განზე გავწიე და გულდაგულ გავედი სცენაზე. ტრიბუნის სიახლოვეს გავჩერდი, დოინჯი გავიკეთე და დარბაზს მივმართე:

– „რა იყო-მეთქი, რა აუივუივდით ბეღურებივით, მიკრო-ფონი გამოირთო, დაიქცა-მეთქი ქვეყანა? ისე გაიკირვეთ და შეიცხადეთ, თითქოს სხვა ყველაფერი წესრიგში იყოს და მიკროფონის გამორთვამ მოგვჭრა თავი მთელ დუნიაზე-მეთქი. მოშლილი არაა-მეთქი ყველაფერი? მიკროფონი თორემ გუშინ და გუშინწინ თუ მუშაობდა, ხომ წაგვწიეთ მშრომელები ასი თუმნით წინ და ეგ არის-მეთქი. რად გინდათ მიკროფონი, უმიკროფონოდაც მშვენივრად ატყუებთ-მეთქი ერთმანეთს. მეთქი, რაც ნაკლები გაიგონებს თქვენს ლაყაფს უკეთესია, ნერვები მაინც შეენახება ხალხს-მეთქი. სირცხვილი დაიკარგა ამ ქვეყანაზედ, თორემ ტრიბუნაზე დასადგომი და სხვებისთვის ჭკუის დასარიგებელი პირი რომელს გაქვთ ახლა ამ დარბაზში-მეთქი. მე რომ მე ვარ, მარტო ამ კლუბს და მიკროფონს რომ ვიყო შეჩერებული, შიმშილით დამინყდებოდა ცოლ-შვილი-მეთქი.

აქედან გასული რაღაცას რომ არ ვჩალიჩობდე, რას მიზამს თქვენი მოცემული ჯამაგირი – ოთხმოცდასამი მანეთი-მეთქი. რავა ყველამ აიშვით და მე მომერიეთ, მე დამაჯექით-მეთქი კისერზე. მეთქი, რომელი ცხოვრობთ სუფთად და ხელფასზე, ადგეს აბა ფეხზე, თუ კაცია-მეთქი. მთავარი ქურდები აქ ბრძანდებით, ამ დარბაზში და, ვინ დაიჯერებს მგლის ნაქადაგებს – ბალახი რომ უკეთესია ხორცზე, როცა თვითონ მგელი ბალახს პირს არ აკარებს-მეთქი. ახლა ეს გლახა დირქეტორი რომ მომვარდა ცულლუტი მონაფესავით ყური რაღმე ამახია, თქვენით შეგულიანებული აკეთებს ამას, თორემ თქვენ რომ არ ყავდეთ, გავაძვრენდი სკამის ქვეშ, მამაჩემსა აქვს-მეთქი ცხონება. მომხსენით, თორემ ჯილა-გვირგვინი არ მომხადოთ და ციხე-დარბაზები არ დამატოვებინოთ. ჰა, ეს ატვერკა, რომელსაც გაგეხარდებათ და თქვენ მოუარეთ დღეიდან, ამ თქვენს დაჯალრეულ მიკროფონებს-მეთქი“.

ხმა არავის გაუცია. დავდევი ატვერკა ტრიბუნაზე და ციმ-ციმ მოვშორდი სცენას. პირველი კიბე ჩამოვირბინე, არაფერი, მეორე კიბეზეც არავინ შემხვედრია, გასასვლელში დამაკავეს, ჩამსვეს ვიღაცის „უიგულში“ და განყოფილებაში ამომაყოფიეს თავი. ჩვენი რაიონის მილიციაში ყველას ვიცნობ, კაი ბიჭებია, მაგრამ ქალაქის ბოლოს ისეთ ადგილას მიმიყვანეს, სადაც არასდროს ვყოფილვარ და არც ვიცოდი, თუ იმ ადგილას ორგანოს პუნქტი არსებობდა.

სამორიგეოში მქისე სუნი იდგა. ვიჯექი და ვფიქრობდი: „ახლა კი უეჭველი მელოდება ციხის ბელყაიში და ახიც იქნება ჩემზე. ვერ დავატიე ენა პირში? რაზე ჩავარდაო ხვალ რომ იკითხავენ ჩემიანები, არ გაშტერდებიან? ასეთ უბრალო საქმეზე შეიძლება თავი დაიღუპო, კაცმა?“

ერთ საათში გამომძიებელთან ვიჯექი. თავიდანვე გადავწყვიტე, პირველი ჩვენება ახლა არ მიმეცა. თავბრუსხვევას, ან გულისრევას მოვიმიზეზებდი (მთვრალი რომ ვყოფილიყავი, აჯობებდა ყველაფერს), საექიმო კონსულტაციაში იქნებ ვინმე ნაცნობი აღმოჩენილიყო, საერთოდ ექიმები თავბრუსხვევას მაინცდამაინც ზუსტად ვერ ხვდებიან, „ერთი სიტყვით, თითქმის გონებადაკარგული ვიდექი-მეთქი ტელეფონთან, რა დამემართა, ვერ გეტყვით-მეთქი, ათასი რადიაცია და შხამია

ახლა ჰერში, რა ვიცი, რამ იმოქმედა-მეთქი“, ასე ვაპირებდი თქმას ჩემი მოკლე ჭურით.

შევხედე თუ არა გამომძიებელს, იმედის წყალი გადამესხა. აშკარად ნაცნობი სახე აქვს. ღმერთო, შენ მომაგონე. სანამ ჩემს ვინაობას და მისამართს წერდა ოქმში, თავი მოტორივით მიწურდა. ეს სწორი შუბლი და შეერთებული ნარბები, ეს წაწვეტილი ცხვირი და ოთხუთხედი ულვაშები, სად მინახავს, სად მინახავს-მეთქი და რომ გავიხსენე, ჯერ სიხარულის-გან კინალამ ვიყვირე, მერე შემეშინდა და განზე გავიხედე. რომ დავფიქრდი, „უკეთესია თუ ვერ მიცნო-მეთქი“, გულში ვთქვი. რას შვრები ახლა. ამ კაცს შვიდი წლის წინ ყალბი დიპლომი მივყიდე. სანდუხაძე ცხოვრობს ერთი საფიჩხიაზე, უბედურნახევარი ჰყავს გამჩენს, მოქონდა, რაღაც საქმეები ჩემთან. ხან ვიღაცის ხელისმოწერას გადამალებინებდა, ხან ინვალიდობის მოწმობის ყალბ ასლს. სანამ მარცხენა თვალზე კატარაქტი გამიჩნდებოდა, ვხატავდი კარგად, ბეჭდის იმნაირ ასლს გავაკეთებდი, ნამდვილისაგან მარტო ექსპერტის ლუპა თუ გაარჩევდა, ერთხელ იმ სანდუხაძემ, საიდანლაც შეუვსებელი დიპლომები ჩამოიტანა, ხუთი დიპლომი გამამზადებინა; თავისი სურათ-ბეჭედით, ხელმოწერებით, ნიშნების ფურცლით, რასაკვირველია. ერთი იურიდიულის დიპლომი ამას გავუკეთეთ, კი, ხუთი თითივით მახსოვს. შეიძლება დამვიწყებოდა, მარა ფული რომ გადაგვიხადა, მეორე დღესაც მოვიდა ჩემთან, რაღაც ჩამასწორებინა. გვარი აღარ მახსოვს, ჩაფიქრე თუ ჩაფიჩაძე, რაღაცა ამნაირი გვარი ჰქონდა. მერე გაირკვა, ჩაფრაძე აღმოჩნდა. ანკეტა რომ შეავსო, განზე გასწია, თითები ერთმანეთში გაუყარა, ხელები მაგიდაზე დააწყო და შემომაჩერდა:

– ღვინის ქურდი რომ მთხლეს გადააყოლეს, თუ გაგიგონია შენ?

„გამიგონია-მეთქი“, თავი დავუქნიე.

– რა ჰქვია, თუ იცი, შენს დანაშაულს?

– რა ვიცი, ახლაც არ ვარ, რაღაცა, კარგად: შენ გვინია, მახსოვს, ვთქვი? თავბრუ მეხვევა და გული მიცირციტებს. სა-მად გიყურებ ახლა, ამ წუთას, შენც.

გაეცინა, კისერზე ხელები შემოიწყო და უკან გადაიწია.

– არ გინდა ჩემთან მაგნაირი ლაპარაკი. თუ არსად გინახივარ, გაგონილი მაინც გექნება, ჩაფრაძე ვარ მე, ჯონდო.

„მგონი არ ვახსოვარ, ალბათ ეს უკეთესია. რომ მიცნოს, ორი ვარიანტია: ან უნდა გამეხსნას და მომეხმაროს, რომ დიპლომის ამბავი არ დავამლერო, ან უნდა ამკიდოს რაღაც-რაღაცები და ჩამიროს. რაც მეტს მომისჯიან, უკეთესი იქნება ჩვენი საიდუმლოს დაფარვისთვის. მე თვითონ რომ გამოვეცნაურო, არ ივარგებს, ჯერ ერთი, იუარებს და მეორეც ნაისპუგზე, ეს ისეთი ჯელი ჩანს, ვერ აიყვან. აშკარაა, ჩემი ცნობა ხელს არ აძლევს. მაგრამ რატომ მომეჩვენა, რომ მიცნო თითქოს და რომ შემომიყვანეს გამილიმა კიდეც?“

ტელეფონმა დარეკა. საერთოდ ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში სამჯერ დარეკა ვიღაცამ. ჩაფრაძემ პირველად „კი ბატონო, ჩემთან არისო“ უპასუხა. იმან იქიდან რა ელაპარაკა არ ვიცი, ამან სულ „კი ბატონო“ უძახა. დანარჩენ ორ დარეკვაზეც გულდასმით უსმენდა და მხოლოდ „კი ბატონოს“ ჩასძახოდა ყურმილს, სხვას არაფერს.

– ბოროტი ხულიგნობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე. თუ იცი რას ითვალისწინებს კოდექსით?

– რა ვიხულიგნე, ბატონო ჯონდო, – თვალები დავიელამე, განზრახ ვიმტერებ თავს, დრო გამყავს, თორემ არ ვიცი, რა დავაშავე?

– შენ რომ შენ ხარ, ხომ კარგად იცნობ შენს თავს, და, იცი, რა მამა აბრამის ბატყანიც ხარ, ჩუმად რომ ჩაგილაპარაკოს ვინმემ, ქუჩაში „თაღლითი და მატრაბაზი ხარო“, ქვას ხეთქავ შუბლში. შენ საჯაროდ დარბაზს „ქურდები“ უძახე, რავა ფიქრობ, არ არის ეს ბოროტი ხულიგნობა?

გავჩუმდი, გადავთვალე მარჯვენაზე ხუთი თითი და ჩავიღულლულე:

– არ ვარ კარგად-მეთქი ხომ გითხარით. მაინცდამაინც უნდა წავიქცე ახლა აქანა? გამიშვით ექსპერტზე და წახავთ, რავარ დღეში ვარ ახლა, ამ წუთას.

– როდის იყო ბიჭო, ავადმყოფი და სიცხიანი რეჩის ურტყამდა სცენიდან. გიჟი რომ არ ხარ, გამოხედვაზეც გეტყობა და იქანაც მშვენიერ დალაგებულად გილანძლია ის პატიოსანი ხალხი.

- ვინ პატიოსანი ხალხი?
 - ვისაც ქურდები უძახე დღეს.
 - არ მახსოვს არაფერო-მეთქი გეუბნები და რა ვქნა ახლა, გადამეკეტა ჭკუა. რა ვიბუტურე, არ ვიცი. ეგება ქე შევქანდი ცოტა. მაინცდამაინც ქვას უნდა ვისროდე? გაარკვევენ ექიმები ყველაფერს და მერე მოგცემთ ჩვენებას.
 - რათ მინდა ჩვენება. არ მომცემ და შეინახე კარგად შენთვის. ოთხმოცდაათი კაცი იჯდა დარბაზში და ოთხმოცდაათივე დაადასტურებს შენს დანაშაულს. გამოსაძიებელი არაფერი არაა აქ.
 - დაწერე, აბა, ბატონო, და ქენი რავარც გინდა. მე სანამ ექიმები არ მნახავენ, არაფერზე არ მოვაწერ ხელს.
 - ჩაფრაძე წამოდგა. წელში გაიზნიქა. გაიარ-გამოიარა, მაგიდიდან ქალალდი და კალამი აიღო და წინ დამიდო.
 - მე არაფერს არ დავწერ. შენ დაწერ ახლა და წახვალ აქედან.
 - „წახვალო? მატყუებს რაღაცას, გუშინდელი ბავშვი ვგონივარ ამას მე“.
 - არ დავწერ-მეთქი, გასაგებად გითხარი, – გაბუტულივით ფანჯრისკენ გავიხედე.
 - კაცო, შენ ჭკუაზე მართლა აფრაკად ხომ არ ხარ? შენმა თავმა ქვა გესროლა ამ დილით? მოკიდე ხელი და დაწერე. „მეტს აღარ გავიმეორებ. მაპატიეთ, შევცდი-თქო“. ცუდს გეუბნები რამეს?
 - ვიცი მე. რას ნიშნავს – მაპატიეთ, შევცდითქვა. მეტი კი არაფერია აღიარება.
 - გაპატიეს უკვე. გესმის შენ? რაზე დამირეკა აბა უფროსმა სამჯერ, თუ იცი? დააწერინე ხელწერილი და გაუშვიო, თვარა მე, ქე იცი, რავარი გამშვები ვარ, შენ.
 - გენდო აბა? – შევყოყმანდი.
 - გეფიცები ორ შვილს.
 - არ დამღუპო ჩაფრაძე. ხომ იცი, არაფერი არ დაიკარგება ამ ქვეყანაზე და მე, ჩემი ამბავი მაქვს ამ ქვეყანაზე. სამაგიეროს მე თუ ვერა, სხვა გადაგიხდის, – ცოტა არ იყოს, დავექა-დნე კიდეც.
 - როგორ ფიქრობ ახლა, ორ ბავშვს ტყუილზე დავიფიცებ?
- დაწერე, დაწერე და მოვრჩეთ ამ საქმეს.

მაინც ჩემებურად დავწერე. „გონება ამერია, თავპრუ და-მეხვა. არ ვიცოდი, რას ვლაპარაკობდი. ახლაც ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ძალიან ცუდად ვარ. გამომძიებელი ექსპერტზე არ მგზავნის. როგორც მისი ნათქვამიდან ჩანს პატიოსანი ხალხი გამილანდავს, რაც გულით არ მინდოდა, თუ მაპატიებთ, კარგი იქნება-მეთქი“, ხელი მოვაწერე და ჩაფრაძეს გავუჩოჩე.

წაიკითხა: „კარგი მელა ხარ, ნუ გეშინია შენცო“, უჯრა გამოსწია, ჩემი ნაწერი შეინახა და მომიბრუნდა.

– წადი ახლა და დაუკურდი შენს საქმეს. კრებაზე გამოსვლობიას ქე დაანებე თავი.

– როდის იყო, კრებაზე გამოსვლისთვის რომ ვიკლავდი თავს? პირველად იყო ჩემს ცხოვრებაში და უკანასკნელად.

მაინც არ მჯერა, რომ გამიშვებენ.

– თვითონაც არ უნდათ ამ საქმის გახმაურება, არ უნდათ, ზევით წავიდეს ეს ამბავი. შენ კრინტი არავისთან დაგცდეს, თვარა მეყოლე მერე კარგად. სახლშიც არ ილაპარაკო ეს ამბავი, გაიგე? წადი ახლა.

ავდექი. შეციებულივით წავედი კარისკენ. ჩაფრაძე დამეწია. დამშვიდობებისას ხელი ჩამომართვა და ჩურჩულით მითხრა:

– ისე... რომ იცოდე... მაინც, ყოველ შემთხვევისთვის, შენი დახატული დიპლომი აღარ მაქვს... შევედი და მართლა და-ვამთავრე... წამდვილი დიპლომი მაქვს ახლა. ის მაშინ მჭირდებოდა... საქმეზე... აღარც დამჭირდა... დავწერი მერე... იცოდე ეს შენ... კარგად იყავი.

კატის შეშინებული შაშვივით გულაფართხალებული მოვეროდი შინისკენ. რას დავეძებდი, რა უყო ჩაფრაძემ ჩემს დახატულ დიპლომს.

1975



ବାନ୍ଦିରେ କାହାରେ କାହାରେ

მე, მცხოვრები ოზურგეთის რაიონის სოფელ შუაგანახლებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი მანანა კეკელიძე, მიმღებად 1989 წლის 9 აპრილს განთიადისაა.

ვთხოვ საქართველოს მწერალთა კავშირს, თუ საშუალება გააჩნია, სამ ცალად გაამრავლოს ჩემი ჩვენება. ერთი გაუგზავნოს ამიერკავკასიის ნითელდროშოვანი ჯარების სარდალს, მეორე დემონსრტანტთა დარბევის გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო მესამე თავის არქივში დაიტოვოს. დიდი იმედი არა მაქვს იმისა, რომ პირველ ორ უწყებაში ჩემს ნაწილს გულისყურით მოკიდებიან.

როგორც ამბობენ და როგორც ტელევიზიის გადმოცემები ბიდან ჩანს, უნდათ იმ საზარელ ღამეს მომხდარი ფაქტები მიაფურჩინონ.

თურმე რესპუბლიკის ხელმძღვანელს გაუფრთხილებია ჯარის სარდალი; ურტყით დემონსტრაციებს, მაგრამ მოსაკლავად ნუ გაიმეტებთო. თურმე ჩვენ, უიარალო, მშვიდობიანი მოშიმშილენი დავესხით თავს მშობლიური წითელი არმიის ნაწილებს და მუშტებით სამხედრო ტექნიკას (განსაკუთრებით ტანკებს) დიდი ზიანი მივაყენეთ. ჯარი რომ დავარბიეთ, თურმე, ერთმანეთს დავერიეთ და ჩვენს მიერვე ატეხილ ხოცვა-ჯგუფთაში შემოგვაკვდნენ უმწეო ადამიანები. თურმე ჩვენ გამოვიყენეთ მომნამლავი გაზები და ქიმიური იარაღები სახელოვანი ჯარის ნაწილების წინააღმდეგ. ასე სინდისიანად და მართლად სჯის ის სახელმწიფო მანქანა, რომელსაც სურს ერთხელ კიდევ წაშალოს მშვიდობიან მოქალაქეებზე თავისი სისხლიანი „გამარჯვების“ კვალი. ვთხოვ მწერალთა კავშირს, ეს ჩემი ნაწერი შეინახოს არქივში. ალბათ, ოდესმე დადგება დრო, როცა სიმართლის თქმა შესაძლებელი გახდება. მომავლის მწერალს იქნებ მოხვდეს ხელში ეს ქალალდი და ერთ მაგალითად მაინც გამოადგეს. რაც ვნახე და განვიცადე, იმას

ვწერ. შელამაზების თავი სადა მაქვს. მესამე დღეა გონს ვერ მოვსულვარ. ახლაც, კალამი რომ ავიღე ხელმი, მთელი სხეული მიკანკალებს.

მე, რვაში დილით, დახსლოებით თეთრმეტ საათზე, დავჯექი საშიმშილოდ. თავიდან დაჯდომას არ ვაპირებდი, ჩემი ჯგუფელები – ნიქორიძე და გალდავა ისხდნენ და მათ სანახავად წავედი. მომენტისა ვითარება, ზიხარ, მხიარულად საუბრობ, ირგვლივ ხალხი ბუზივით ირევა. თანაც გოგონებმა მითხრეს: „მოდი, მანანა, დაჯექი, ცხოვრებაში სამუდამოდ დაგამახსოვრდებაო“. მართლაც, სამუდამოდ დამამახსოვრდა. წამკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს იმდენად ქარაფშუტა გოგო ვიყო, რომ მხოლოდ დროის გატარების და უჩვეულო გარემოში გართობის მიზნით გადავწყვიტე შიმშილობა. რა გართობაა, ცივ ქვაზე ჯდომა და ღამით კანკალი, მაგრამ დამერნმუნეთ, არც ეს მომენტია გამოსარიცხავი. თანაც დარწმუნებული ვიყავი და ახლაც ვარ, რომ, ჩემი აქ ყოფნა ქვეყანას ჭირდებოდა, რაღაცაში ვეხმარებოდი საერთო საქმეს. გოგოებმა თბილი წინდები და ვიღაცის დიდი (ცოტა არ იყოს, ოფლის სუნი ასდიოდა) დაბამბული ქურქი „გამიხერხეს“, სამივემ ფეხებზე ცელოფანის საბანი შემოვიხვიეთ და ერთმანეთს მიხუტებულნი ვართ, ნახევრადნამოწოლილები, შიმშილის კიბეებზე. გვერდზე გამოხდილი წყლის ბოთლები გვიღაგია. დროგამოშვებით ვწრუპავთ და ვმასლაათობთ მხიარულად. იცით? რაღაც სასიამოვნო შეგრძნება იყო, ფიქრი იმაზე, რომ ყურადღების ცენტრში ხარ, ქვეყნისთვის მცირეოდენ მსხვერპლს იღებ, რაღაცას თუ ვიღაცას პროტესტს უკადებ.

ისე გაიარა დღემ, არც გამიგია. მოწყენის დრო სად იყო. მთელი ცხოვრების მანძილზე ცალ-ცალკე მყოფნი, ერთმანეთისგან სუბიორდინაციული თუ ეთიკურ-ზნეობრივი ბარიერებით გათიშულნი, ახლა საოცრად ახლოს ვიყავით ერთმანეთან. თითქოს ოცდაათიათას კაცს ერთმანეთის სუნთქვა ესმოდა, ჩვენი სხეულებითაც კი ვათბობდით ერთმანეთს. სიცრუეა, თითქოს ჩვენ, არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებისგან ვიყავით შეგულიანებულნი. მიკროფონი განუწყვეტლივ ხმაურობდა, მაგრამ სიტყვები ნახევარი არ გვესმოდა. რას ილ-

აპარაკებდნენ ბოლოს და ბოლოს? ლამაზად, ან შედარებით ნაკლები ორატორული ხელოვნებით ჩვენს დღევანდელ ვითარებას შექებოდნენ და ბოლოს დაამთავრებდნენ; „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო“.

რამდენ ხანს შეიძლება ისმინო ერთი და იგივე და ჩვენც, გითხრათ სიმართლე, ორატორების მიმართ დროდადრო ინტერესს ვკარგავდით. მე, პირადად, არც ის ვიცოდი, კონკრეტულად, რას მოვითხოვდით ჩვენ, მოშიმშილენი, ან რამდენ დღეს უნდა გვეშიმშილა. არ გამცეთ და გულში ვამბობდი; გავჩერდები ერთ-ორ დღეს და, თუ ძალიან გამიჭირდა, დავ-ბრუნდები სტუდენტების ჩემს თბილ ოთახში-მეთქი.

მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ლექსებს ამბობდნენ. აქა-იქ ჯგუფებში გიტარაც გაჩნდა. სწორად მინდა წარმოიდგინოთ; მთელი ეს სერობა პატარ-პატარა ჯგუფებად იყო დანანილებული და ყველა, რომ იტყვიან, თავისებურად ერთობოდა, თავის ჭიას ახარებდა. მეცინება ახლა გაზირებში რომ ვკითხულობ: „ვითარება თანდათან იძაბებოდა“, „პროცესი უმართავი ხდებოდა“, „მდგომარეობა თანდათან საშიშ იერს იღებდა“, „მტრული ელემენტები ბრბოს შეტევისაკენ მოუწოდებდნენ“. ერთად შეგროვილი ხალხის რომ ეშინია, ის მთავრობა მთავრობაა? არავითარი საშიშროება, არავითარი აგრესიული განწყობილება, ან საიერიშო მოწოდებანი იქ არ იგრძნობოდა და არ ისმოდა. ეტყობა, წლების მანძილზე გათიშულ საზოგადოებას დროდადრო სურვილი უჩნდება ერთად ყოფნის. ყველაფერი უფრო გასართობ, მშვიდობიან ეროვნულ კარნავალს ჰეგავდა, ვიდრე პოლიტიკურ აქციას. სანთლები, ცად აღვლენილი ათასი კაცის ერთდროული ლოცვა, ვაშა და ტაშის გრიალი, სამოცდაათნლოვანი მიშისგან განთავისუფლების აღტკინება, მასობრივად წელში გამართვის და თავისუფლად ლაპარაკის იღუზია, მოახლოებული, რაღაც უფრო დიდი სიხარულის მოლოდინი – ეს მართავდა აპრილის სახალხო მოძრაობას და არა რაღაც გამოგონილი ნაციონალისტური განწყობილება, ან ანტისახელმწიფოებრივი ლოზუნგები. ამგვარი ლოზუნგების არსებობას არ გამოვრიცხავ, მაგრამ დედას ვფიცავარ, არ ახდენდა ისინი ჩვენს სულზე იმ გავლენას, რისიც ასე ჰშინები-

ათ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ძალიან ცოტა იყო იმ მილეთ ხალხში ისეთი გულუბრყვილო, რომ იმედი ჰქონდა, თუ ხმამაღლა ვიყვირებთ, ეს არის, გაღმა გავედითო. ჭკვიან-მა კაცმა მშვენივრად იცის, რომ თუნდაც ყველაზე გრძელი მიტინგით და თვითმგვემი შიმშილობით სანუკვარ მიზანს ვერ მიწვდები. მე თუ მეითხავ, შვიდდღიანი ქაქანით ხალხს მიტ-ინგსაც შევაძულებთ. მიტინგი ოთხ საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. სწრაფად უნდა შევიკრიბოთ, ვთქვათ ჩვენი სათქმელი და სწრაფადვე დავიშალოთ. არ უნდა მივცეთ თოფიან კაცს გონს მოსვლის და „ზომების მიღების“ (როგორც ეძახიან) საშუალება.

რაკი ამგვარი აღტაცებულ-საზეიმო განწყობილება სუფ-ევდა, უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსის გამოსვლაც არ მივიტანეთ გულთან. ღვთის მოციქულმა გაგვაფრთხილა, ტანკები მოდიანო, მაგრამ იმდენად ვენდობოდით ახალ, საგარდაქმნო მოძრაობას, იმდენად გვჯეროდა ვიღაც-ვიღაცების, რომ ვერ წარმოვიდგინეთ, თუ მშვიდობიან, უიარაღო მოქალაქეებს თავს დაგვესხმოდა ჩვენივე არმია. არმიას რას ვერჩი, ვინ იფიქრებდა თუ დამსჯელ ექსპედიციას თითით უჩვენებდნენ ჩვენზე „ჰკა მაგასაო“, სწორედ ისინი, ვისგანაც დაცვის და თანადგომის იმედი გვქონდა.

ტანკებმა ადამიანთა სახელდახელო დერეფანში გაიარეს და დადგნენ. ტაში რომ ჩაცხრა, ფარ-მუზარადში ჩამჯდარი ჯარისკაცები ჩვენკენ შემობრუნდნენ. ვიღაცამ დაიძახა: „ჩაჯექ-ითო“. ჩვენ, მოშიმშილენი, ისედაც ვისხედით, ეს იმათ ეხებოდა, ვინც ტანკები გაატარა და ჯარისკაცებთან ახლოს იდგა. წამით ჩამოწვა სამარისებური სიჩუმე. მიკროფონი გამოირთო. პროექტორები ჩააქვრეს. მარტო სანთლები ბუტავდა აქა-იქ. წინა რიგებში ერთბაშად მუხლზე დაეშვნენ. ეგონათ, ალბათ, ჩამჯდრებს არ შეგვეხებიანო. უეცრად ჰაერი სიმღერამ გაჰკვეთა. მარჯვნივ, ტრიბუნის ქვემოთ, ტაში დასცხეს და ცეკვა-თამაში გაიმართა, ჩემი გონებიდან არ ამოვა ის, სიკვდილისწინა, ცეკვა-სიმღერა. თითქოსდა განწირულთა როკვა იყო. ერთნი, ასთალტზე მჯდარი, სანთლებით ხელში ჯარისკაცებისკენ შებრუნებულიყვნენ, მეორენი გამეტებით ცეკვავდნენ და

მღეროდნენ; ვინ იცის, იქნებ სხვათა გასამხნევებლად, ან საკუთარი შიშის დასაძლევად. საშინელმა წინათვრნობამ გული გამინვრილა. სუნთქვა შევაჩერე და თვალები წამით დავხუჭე. რომ გავახილე, პირველად ჯარისკაცებს ვესროლე მზერა. ფარები გადაეყარათ და მარტო ოდენ ხელკეტებითა და საველე ნიჩებმომარჯვებულნი იდგნენ ჩვენ წინაშე. სულო ცოდვილო, მომეჩვენა რომ ზოგი მათგანი კევსაც ღეჭავდა. პატარა, ურჩ ბიჭებს ჰგავდნენ, მოჭუტულ თვალებში მტაცებელი ფრინველის სიჯიუტე ედგათ. ომობანას თამაში წამდვილ ჩხუბში რომ გადაიზრდება და ყმანვილები ქორებივით რომ შეაჩერდებიან ერთმანეთს, სწორედ ისე იდგნენ.

„ღმერთო, ახლა რაღაც საშინელება მოხდება-მეთქი“, ისევ წამართვა შიშმა თვალსინათლე. ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ტალღურად მოკლაკნილმოკანკალე სიმღერა ღრიალ-კივილმა შეცვალა. ჩემს უკან მოშიმშილე ბიჭი წამოდგა და ყელის გახლე-ჩამდე დაიბლავლა – „არ ადგეთ!“

მოწოდებების და გონს მოსვლის დრო აღარ იყო. სიკვდილის ცელი ამოქმედდა. შიშისგან წელი ვერ ავწიე. პირთავეკვე დავემხე და თავზე ხელები დავითარე. ფეხებზე და ზურგზე საშინელ ტკივილს ვგრძნობდი. უკან მომწყდარნი მუხლებითა და ხელებით ჩემს ზურგზე გადადიოდნენ. ვიღაცამ თმებში ჩამავლო ხელი და ზევით, ერთმანეთში გადახლართულ, დარწეულ ხალხში გადამაგდო. „მარჯვნივ გაიქეცით!“ „ზემოდანაც ჩამოდიან!“ „დაჭრილები არ დატოვოთ!“ – ისმოდა ყვირილი, მაგრამ ვინ გაარკვევდა, საით იყო „მარჯვნივ ან მარცხნივ“, ან დაჭრილებს ვინ გამოარჩევდა. ყველას თავისი თავი უჭირდა. რა გრძნობა იყო იცით? რომ ყველანი ლაოკონის გველებივით ვართ გადაბმულნი ერთმანეთზე და წარლვნამ თავზე გადაგვიარა. განწირული ადამიანები ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ. ვისაც როგორ ჩაავლეს ხელი, ისე ებლაუჭებოდნენ. საშინელება ყოფილა სიკვდილის შიში. გინდა როგორმე სხვას ხელი არ აუმვა, რომ მარტო არ დარჩე და სხვამ თავს არ უშველოს. ორივით წუთში ხალხის დიდი გორგალი მარჯვნივ მიაწყდა და თითქოს ქვესკნელიდან ამოქვრნენო, ჩვენ თვალნინ ხელნიჩიანი მკვლელები აღიმართნენ. ერთმანეთში არეულ

ადამიანთა გროვას აცხრებოდნენ და გამეტებით სცემდნენ. სცემდნენ, სადაც კი მოუხდებოდათ. სცემდნენ გაქცეულს, წაქცეულს, მოხუცს, ახალგაზრდას, ქალს, კაცს. ეს არ იყო წესრიგის დამყარებისკენ მიმართული ცემა. ეს იყო რბევის, ხოცვის, ანგარიშის გასწორების აქცია.

სასწაული მოხდა; ფხოჭნა-ხრიალში ვიგრძენი, რომ ფეხიც და თმაც გავითავისუფლე. თითქოსდა მარტო დავრჩი. კატის სიმარდით შევვარდი მაღლა, გაზონებში და ის იყო ნარგავებს ჩაბლაუჭებულმა, გრილ მინაში ჩავრგე თავი, რომ ზურგზე საშინელი დარტყმა ვიგრძენი. გონება არ დამიკარგავს. ვიღაცამ ცალ ფეხში მტაცა ხელი და გრანიტის კიბეზე გამათრია. სამხედრო ჩექმას მოვკარი თვალი და ღონიერმა ხელმა პირალმა ამომატრიალა. ჩექმებს შორის ვარ მოქცეული და ჯარისკაცის უტიფარ სახეს ვხედავ. დგას და მეჩვენება, რომ იღიმება კიდეც, შემაგინა და ჯერ წიხლი ამომარტყა ფერდებში, მერე სახეზე სურდა ფეხის დაბიჯება, მაგრამ გადაბრუნება მოვასნარი და პირველი ხუთი დარტყმა მახსოვს თავში, მერე ყურსა და ღანვებზე თბილი სითხე (სისხლი!) ჩამომელვარა და თვალებზე ბლანტი, ბურუსი ჩამომანვა. თითქოსდა, მეძინებოდა და ძილს მიშლიდნენ. თითქოსდა თავქვე მიმაქანებდა მდინარე და ჩემ თვალნინ სწორედ ის ნაპირი ირლვეოდა, სადაც ფეხი უნდა შემედგა, სადაც ხელგამოწვდილნი მელოდებოდნენ.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე კიბეზე. მახსოვს, თავი წამოვწიე და მკვდრებით სავსე მოედანს მოვავლე თუ არა მზერა, თითქოს მიდარაჯებდაო, კუს ბაკანივით მწვანე უილეტმორგებული ჩექმოსანი ჯალათი მომვარდა და მტკავლის სიგრძე მენზურით ცხვირში ჯოვონეთის შხამი შემაფრქვია.

პირი გამიშრა, სუნთქვა შემიგუბდა.

ვგრძნობდი, როგორ მებერებოდა ფილტვები, ყელში ბურთივით მაწვებოდა რაღაც. სიცოცხლედ მიღირდა ერთი წვეთი წყალი, ერთი ამოსუნთქვა.

მიშველეთ-მეთქი, ეს ალბათ უკანასკნელი ყვირილი იყო.

სიონის ზარების რეკვამ გამომაღვიძა.

გარდაცვლილები იატაკზე ვესვენეთ და სულ ახლოს ანგელოზთა გალობა ისმოდა. კარს მიღმა, ქუჩაში, ფარ-მუზარადიანი მკვლელები იდგნენ.

შიშმა შემიპყრო. მომეჩვენა, რომ ამ ლვთის სახლშიც არ მოგვასვენებდნენ, სიონშიც შემოცვიდებოდა სიკვდილის ლე-გიონი და ხელმეორედ დაგვხოცავდა.

პანაშვიდზე მოსულთა გულისცემაც კი მესმოდა. ყველაფერს ვგრძნობდი, მაგრამ ტყვიასავით დამძიმებული სხეული არ მემორჩილებოდა.

მინდოდა მეყვირა, მაგრამ ყელსა და ფილტვებში დუღაბი-ვით გამაგრებულიყო რაღაც და ხმის ამოღების საშუალებას არ მაძლევდა.

როგორ მინდოდა კუბოში ლამაზი ვყოფილიყავ, მაგრამ საუკუნის სანამლავით სუნთქვაშეკრული და ფილტვდახშული ჩემს თავსაც ვერ ვცნობდი.

რუსთაველის პროსპექტზე რომ ჩამატარეს, კინალამ კუბო-ში წამოვჯექი ყვავილების ტბის სანახავად.

ზღაპრული იერი ჰერნდა ირგვლივ ყველაფერს.

ბოლმისგან სულშეძრულ ხალხს ჩვენი სისხლი ყვავილებით დაეფარა, რათა ვერასოდეს ვერავის მოერეცხა ცხრა აპრილის კვალი.

დახრილი დროშებით იდგნენ შავი ნაჭრით თავწაკრული ჩემი ძმები და ქაშუეთის ზარი მათი ვერდაჩოქების სიმღერას კვნესოდა.

ახლაც ჩემს საფლავზე დადებული თითო მიხაკი, სითბოდ მეწვეთება გულზე.

ალალი იყოს შენთვის, ჩემო ქვეყანავ, თავისუფლებისთვის დაღვრილი ჩემი სისხლის ყოველი წვეთი.



საყდარი სოფლის სასაფლაოები

პატივცემულო მოსამართლენო, პატივცემულო დამსწრე საზოგადოებავ!

მე თავს დამნაშავედ როგორ არა ვგრძნობ. დამნაშავე ვარ, მა რა ვიქწები. დღისით-მზისით კაცს სახლში მივუვარდი და ვცემე. დაზარალებული იულონ ხეჩუაშვილი დროული ადა-მიანია და მე, რასაკვირველია, მმართებდა უფროსის პატივ-ისცემა. ეგეც არ იყოი, თანამდებობის პირია. თანამდებობის პირის ცემა, თურმე, უფრო დიდ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე ჩემნაირი უბრალო კაცისა. მაგრამ მე ხომ მას კაბინეტში არ მივვარდნივარ, სახლში, საკუთარ ოჯახში ვცემე. საძრახისი საქციელია და ვგრძნობ ჩემს დანაშაულს. მაგრამა, ერთი უნდა ვთქვა და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სულერთია, მაინც არ დაი-ჯერებთ. ხოლო თუ სასწაული მოხდა და დაიჯერეთ, ჩემთვინ დიდი შეღავათი ვერ იქნება. პროკურორის მოთხოვნილ ორ წელიწადს ისეც მივიღებ და ასეცა.

გითხრათ სიმართლეი?! მაშ ყური დამიგდეთ; ტყუილია იულონ ხეჩუაშვილის განცხადება იმაზედ, თითქოს მე შავლეგ პავლიაშვილმა ვცემე იმიტომა, რომა ჩემი უკანონოდ მოხსნილი ძმის სამსახურში აღდგენაზედ უარი მითხრა. ასევე სიცრუეა ჩემი ჩვენება იმაზედ, რომა თითქოს მე მთვრალი შინ ვეახ-ელ იულონს, მან კი შეურაცხყოფა მომაყენა, გამასპინძლების ნაცვლად შემაგინა. მე კიდე ვერ მოვითმინე და ფეხქვეშ მოვ-იგდე.

ეგ ყველაფერი იყო, განა არ იყო. მოგეხსენებათ, ეგ ხეჩუაშ-ვილი ქალაქში დიდი კაცია. მექანიზატორთა კადრებიც მაგაი აბარია. ახლა ჩემი ძმაც აქა ცხოვრობს. აგე, მეორე რიგში ზის. მართლაც უბრალოდ მოუხსნიათ და მე გვიან გავიგე. მთვრალი რომ ვეახელ იულონს, ეგეც მართალია, ძმა უკან დააბრუნებინე-მეთქი რომ ვთხოვე, ეგეც მართალია. როგორ გაძედე მთვრალმა აქ მოსვლაო, თვალები რომ ჭალის გომბე-შოსავით გადმომიკარკლა, ეგეც მართალია. კარებისკე რო მიბიძგა და მგონი დედაც შამაგინა, ეგეც მახსომს, მაშ ტყუილი

რა არის? ტყუილი ის არი, რომ ამ საღამოს ჩემს დათრობასაც, ხეჩუაშვილთან მისვლასაც და მის გალახვასაც სხვა მიზეზი ჰქონდა. აი, სწორედ იმ სხვა მიზეზზედ მიხდა გიამბოთ.

მე და ხეჩუაშვილი (და რასაკვირველია ჩემი ძმაცა) ერთი სოფლიდანა ვართ. ჩვენი სოფელი ჩქერის ხეობაშია. ჩქერი, იქნებ ყველამ არც იცოდეს. ბროლის მთიდან გამოდის და სადლაც, ქვემოთ, უერთდება ალაზანსა. სოფელს შვინდიანი ჰქვიან. ადრე პატარა სოფელი იყო. ახლა, გაგიკირდებათ, კარგა მოზრდილი სოფელია, მაგრამ რად გინდა, ჩვენთვინ ალარ არი. ჩვენი მხოლოდ სახელი შერჩა და ერთი დანგრეული საყდარი – სოფლის სასაფლაოზედ ობლად მდგარი.

მე მაინც არსად მეჩეარება, ორი წელი აქ უნდა ვიყო, ამიტომაც წვრილად ვიტყვი, თუ არ გეწყინებათ, ჩემს სათქმელსა. თქვენ კიდე, პატივცემულო მოსამართლენო, გაისარჯეთ და მამისმინეთ. ახლა გაიგებთ, სადაც არი ძალის თავი დამარტული. ისედაც, კაცურად ხომ გაინტერესებთ, მართლა ეგეთი გიშია თუ არა შავლეგ პავლიაშვილი, ამ დარბაისელს კაცს უდროო დროს შინა მთვრალი სწვეოდა და არც ისე სუბჟად ეცემნა.

ხეჩუაშვილი დიდხანს ჩვენი სოფლის – შვინდიანის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე იყო. მე კარგად არც კი ვიცი; ან ახლა რა არი სოფლსაბჭოს თავმჯდომარის საქმეი. ჯეელობა ისე გავატარე, რამდენჯერაც ჩავივლიდი, კარი მოლიავებული ჰქონდა და სულ იჯდა თავის კაბინეტში ჭოტივითა.

ეს ამბავი შვიდი წლის წინათ მოხდა. სკოლა სწორედ იმ წელს დავამთავრე, მაისი იყო. ჩვენში, გლეხურად ვარდობისთვეს ეძახიან. კულტურულად კი მაისი ჰქვიან. ვარდობისთვე, მამა-პაპური სახელი, რითია ცუდი, რა მოგახსენოთ.

პაპაჩემმა, მაშინ ცოცხალი იყო, ესტატე პავლიაშვილმა მზი სხივი შამააგდო ჩვენს საწოლ ოთახში და მამაჩემს წარბშეკვრით უთხრა:

– ადე, კაცო, ადე. რამე ვისაშველოთ, სხულთები მოსულანო.

წამოვხტით და ყველანი იქით გავიქეცით, საითკენაც მეზობლები გარბოდნენ.

დიდმუხასთან ლამის მთელი სოფელი შეკრებილიყო და გაღმა, კლდის ძირში მორებისგან შეკრულ, ისლით დახურულ ქოხს შესცეკროდა.

– ნამდვილად სხულთები არიან!

– გუშინ საღამოი ამავიარე, არ იყვნენ. ნამდვილად შუაღამისას არიან ჩამოსულნი!

– ან სახლი გამართვა როდის მაასწრეს, ეგრე ჩქარა.

– მაასწრებდნენ, მარჯვე ხალხია! ისმოდა ხმები.

ამასობაში იულონიც მოვიდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კაშია თბილის, ორთვიან გადასამზადებელ კურსებზე გახლდათ წასული.

ხეჩუაშვილმა, კარგად მახსომს, იმ პირველ მისვლაზე თან არავინ გაიყოლა. მარტომ შეაგდო ცხენი მდინარეში. თქვენაო, გაცხარებული ხართ და შეიძლება ავი მუსაიფი გაუბათო. მე მარტო წავალ. მთავრობა ვარ. გავიგებ ვინ არიან, რა უნდათ. მე ვეტყვი, რაც საჭიროა.

სხულთებმა ერთი კი გამოხედეს მათკენ ცხენით მიმავალ ხეჩუაშვილს და, თითქოს აქ არაფერიო, თავიანთი საქმე განაგრძეს. სამიოდე კაცი იყო, შვიდიოდე ბავშვი და ქალებიც ტრიალებდნენ. გეგონებოდათ, ახალი ჩამოსულნი კი არა, თავი დღე-წუთისოფელი აქ გაუტარებიათო. კაცები სახლს ცულ-ჩაეუჩის უკაკუნებდნენ, ბალლები ცხენებს სამუნელითა სწმენდენ, ქალებს მოლზე მატყლი გაემალათ და თავიანთ ქალურ საქმეს შედგომოდნენ. იქვე ოთხოდე ძროხა სძოვდა და თხუთმეტამდე, მეტი არც იქნებოდა, ცხვარი შეჰვენოდა თხმელიანს.

სხულთები ჩვენს სოფელს გადაღმა, კავკასიონის იქეთა მხარეს ცხოვრობდნენ და ალბათ ამიტომ იქნებ რაიონის ცენტრშიც და ჩვენს სოფელშიც ხშირად მენახა ისინი. შეიძლება ბევრმა არც იცოდეს სხულთების არსებობა. ცხვრის ტყავებსა, კარაქის სადღვებსა, ლაგამ-უნაგირსა, ნალებსა და ამეებს ჰყიდდნენ. ცხენებით გადმოდიოდნენ ზემოდანა, მახსომს, ჩვენს სოფელს რომ ჩამაივლიდნენ, ძალლები დაესეოდნენ. ვიტყვი, რომ დიდი ნაცხობობა და ძმაფიცობა ჰქონიყოთ ჩვენს სოფელთანა. ბავშვობიდანვე ეგრე ვიცოდი, ჩვენ სხვანი ვიყავით, სხულთები სხვაი.

ცხენი, ლამის მატყლზედ რო შეაგდო, იკადრეს სტუმრებმა და შემოეხვივნენ ხეჩუაშვილს. გაღმა ნაპირიდან ეგრე ჩანდა: ყველანი ქალიც, კაციც და ბალლებიც ერთად უმტკიცებდნენ რაღაცას. ვინც რამეს ამბობდა ორივე ხელს წინ იშვერდა. ვინც

ჩუმად იყო დოინჯშემორტყმული, დარანებული ითმენდა, რათა სიტყვის თონე არ გაეცივებინა და თავისიც დროულად ჩაეკრა.

ცოტა ხანში იულონი ჩამოქვეითდა და ყველანი ქოხში შეიმალნენ. მალე ქალები და ბავშვები უკანვე გამოვიდნენ და კაცები დარჩენენ. რავი, რა იმუსაიფეს სოფლი მთავრობამა და ან ლტოლვილებმა მაშინ. ერთიც ვნახოთ ფაფახიანმა სხულ-თებმა ხეჩუაშვილი ტკბილად გამააცილეს. ერთმა უზანგიც კი დაუჭირა, სუბუქად რომ შემხტარიყო თავის ბედაურზედ, ე ჩვენი ეხლანდელი დაზარალებული.

— ვერ არი, ბიჭებო, კარგად ჩვენი საქმეი, — ჩაილაპარაკა მაშინ პაპაჩემმა გარინდებული სოფლის გასაგონად, მაგრამ არავინ გაეპასუხა.

გამოადგაფუნა ხეჩუაშვილმა ჩერში ცხენი. მკერდდასველებული და ლაშებაქაფული ამოაგდო აღმართზედ, მუხასთან ჩამოხტა, ვიღაცას სადავე მიუგდო და კუნძზე შემაღლდა.

— მაგათ თქვენი არა უნდათ რაო. გაღმა სხულთიდან არიან, ერთი ოჯახია. გუშინ დილით სახლი მეწყერს წაურთმევია. ერთი ბებერი სხულთიც ჩაუტანია. იგრე არიან საწყლები, რო დანა პირს არ უხსნით შემოდგომამდე შაგვიფარეთო. ცოტაო, იმ ელდისაგანაო, აზრზედ მოვიდეთო, შემოდგომაზედ, ეგრე გიორგობისთვის დასაწყისშია, ავიკრიფებით და წავალთ ჩვენს გზაზედათ.

ამას რომ ამბობდა, იულონს მათრახი ტყავდაჭერილად მარცხენაში ეჭირა, მარჯვენას დროდადრო ნიკაპზე ჩამოისვამდა.

— იქნებ სტყუიან?

— არა შვილოსა, ეგენი დამეწყრილებს არა ჰევანან, ნახე ცხვარ-ძროხითა და ბალდებით, მატყლ-საჩეჩლით არიან ჩამოსულნი, — ესეც პაპაჩემის ხმა იყო და სწორედ პაპაჩემი შეანა-მუსა სხვების გასაგონად სოფლის თავმა.

— შენაო, რა ბევრს ლაპარაკობ, ესტატეო. როდის აქეთაა შვინდიანმა სტუმრი ყადრი და გაჭირვებულის პატრონობა დაივინყაო. შე კაი კაცო, გადამთიელები კი არ არიან, ეგენიც ჩვენი საბჭოთა ხალხია: ბოლოს და ბოლოს თუკი ამირჩიეთ სოფლსაბჭოი თავმჯდომარედა, დამიჯეროთ უნდა კიდეც, ხომ იცით, მე რომ თქვენს საზიანად არასა ვიქმო.

— ახლა ძალიან ნუ გააბი ოროტოსავითაო, — მაგრად დახვდა პაპაჩემიც — შენ ნუ მასწავლი სხულთებსაო. ამ ჩერის

ჭალას ჩვენი მამა-პაპაც ეგრე დარაჯობდა. განა პირველია სხულთების ჩამოსხდომა აქაო.

მოგეხსენებათ, სოფელი ჭრელია. გაიმართა ყაყანი. ბევრი პაპაჩემის მხარეს იყო და, ახლავე ავყაროთო, მოითხოვდა, ცოტა იულონ ხეჩუაშვილს უბამდა მხარსა. ბოლოი, როგორც ხდება, ძალამ თავისი გაიტანა; სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ პირობა მოგვცა, შემოდგომის მიწურულს სხულთების დუხი არ იქნება ამ ბარობაზედაო.

ერთხელ რო დავთმეთ, ერთხელ რო უწყეთ პირი სიქველის ტომარასა, ბოლომდე დაგვაფერთხინეს „სტუმრებმა“. ორ თვეს არ გაუვლია, ჩერსგაღმა სხულთების ქოხმა იშვიდა. ყოველი ახალი ოჯახის ჩამოსვლაზე ჩვენ გამოღმა ვიკრიბებოდით და ოხვრა-ვიშს ვახშირებდით, ისინი კიდე ზედაც არ გვიყურებდნენ. იულონი სწორედ მაშინ მოიმიზეზებდა წელის ტკივილსა და კაბინეტიდან ცხვირს ვერ გამააყოფინებდი.

ამასობაში კაშიამ გაასრულა თავისი, ჩვენდა საჯანდაბოდ მოგონილი, კურსები და ჩამოვიდა. სოფლის შვიდი ახალმოსახლე სხულთის დანახვაზე ქოში უკულმა ჰყარა, ჩაუვარდა მიწი მომტაცებლებს, მაგრამა სულ ქვის სროლით გამააბუნდულეს. გავარდა რაიკომში. რაიკომის მდივნად მაშინ ანანია ტურაძე გახლდათ.

ერთ მშვენიერ დღეს იხმო სხულთთა თავკაცები ანანიამ. მახსომს, მოკუნტულმა ხუთმა ცხენოსანმა დილით თავ-ჩაქინდრულებმა ჩაიარეს ჩვენი სახლის წინ. თულებივით ქვეაცეცებდნენ თვალებს, ე მანდ ჭოლოკი არავინ გვესროლოსო. მახსომს, ხმა დაირჩა; ამხანაგმა ანანიამ დაიბარა, მაგათი აქ ყოფნის დღები დათვლილია. ანანია თქვენ წარამარა კაცი არ გეგონოთ, ანანია მოუვლის მაგათაო.

როგორ იმარჯვა ანანიამ, თქვენვე განსაჯეთ. იმ დღით, ნასადილევს, უკან ჩამაიარეს სხულთებმა. ახლა წელგამართულნი ისხდნენ უნაგირებზე და ერთმანეთს მათრახის ტკაცუნით, ხმამაღლა ესაუბრებოდნენ. ღობეებზე თავგადმოდებულ შვინდიანებს და გაგიუებულ ძალლებს ბუზებადაც აღარ აგდებდნენ. ამბობენ, ამხანაგმა ანანიამ ამ საქმეზედ ხელიც კარგა მოითბოო, რაც ჩემი თვალით არ მინახამს, ვერ ვიტყვი, ცოდოს ვერ დავიდებ.

ჩვენს თვალწინ, ჩვენი გულისხეთქვისა და ნერვების გლეჯის ფასად გაივსო და აშენდა სხულთების დასახლება. აქაოდა უბატრონო ეკლესიას მივაგენითო, შვინდიანში ბაირამობა გააჩაღეს და ხუთ წელიწადში გაღმა ნაპირი რომ არ ეყოთ, გამოლმა გადმოსხდნენ. სოკოები რომ ნაწიმარზე მრავლდებიან, ისე მრავლდებოდა მათი სახლები. დილით გაიღვიძებდი და აგრ, თვალწინ ნამოჭიმული სხულთური ოდა, თითქოსდა, ცხვირთან მუშტს გიღერებდა.

დავიწყეთ წერა-ჩივილი: ასე და ასე დაგვემართა, გვიშველეთ, გვიპატრონეთ. ძროხა ვერსად გვიპალახნია, ჭალა ჩვენი აღარ არი და მთაი. მუმლივით მოგვდგნენ და ლამისაა შაგვჭამონ სხულთებმაო. მაგრამ ვის დაეკარგე, ყურადღება ვინ მოგაქცია. ჩვენი ყველა კოლექტიური განცხადება იმით მთავრდებოდა, რომ ანანია, ან რაიპროპაგანდის გამგეო ამოვიდოდნენ, სასწრაფოდ სოფლის კრებას მაინევდნენ და ჩაგვჩიჩინებდნენ. „შვინდიანი ინტერნაციონალური სოფელია და მაგალითი უნდა მისცეთ მთელს რაიონსაო. არ დავინახოთ სხულთებს ეანყენინოთ და ურითერთობაი გაამზვავოთ ჩვენს ძმებთანა, თორო ხალხთა ძმობის ჩამშლები სამაგალითოდ დაისჯებიანო.

შარშანწინ იყო სწორედ, შობის წინა დღეებში სამი ღორი რომ მუცელგაფატრული გადმოგვიგდეს სანეხვეზე სხულთებმა. მოვილაპარაკეთ სოფლის ჯეელმა ბიჭებმა ასე, ორმოცამდე შევიკრიბეთ (ბევრი არ წამოვიდა), ჩავუხტით სხულთებს, ვითომ ჭკუა უნდა გვესწავლებინა.

თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ ჩვენი არ შეშინებიათ. ისე ვაჟკაცურად და მძიმედ დაგვხვდნენ, რომ შეგვეხარბა კიდეც. ხელი არ გაატოკოთ თქვენი სიცოცხლის მზემა, თორემ ინანებთო. ჩხუბი მორევაზეაო. ხომ კარგად ხედავთ, ჩვენ მეტნიცა ვართ და არც იგრე ჯაპანი ვართ, ქალების კალთას ამოვეფაროთო. ჩვენ არას გერჩით, ჩვენი გამრავლებაი ეკლად ნუ გესობათ, თქვენც იყოლიეთ შვილები, ვინ დაგიშალათო. რაც შეეხება ამ მიწაზე შენ-ჩემობანას, კეთილი ინებეთ და დაიჯერეთ; ჩვენი მამა-პაპა ადრიდანვე აქედან აყრილა და ზემოთკენ ასახლებულა. ასე რომ, კაცმა არ იცის ვის ეკუთვნის შვინდიანიო.

ჩხუბამდე საქმე არ მისულა. ვიკამათეთ, ვიყაყანეთ. მაშ ე მეთერთმეტე საუკუნის ქართული საყდარი არაფერს გეუბ-

ნებათ-მეთქი? მაშ სოფელი შვინდიანი ქართული სიტყვა არა ყოფილა-მეთქი. სინდისიც კარგი საქონელია, ხომ არ უნდა შეგვჭამოთ-მეთქი. ნუთუ არ გახსოვთყე, განა დიდი დროა, რაც პირველი დამეწყრილი სხულთი შევიფარეთ-მეთქი.

გაჩუმდნენ, განა არ გაჩუმდნენ. ზოგ-ზოგმა თავიც კი ჩაჰე-ინდრა, მაგრამ რად გინდა. ჩვენ ჩვენი ხელკეტებისა და შეკრული მუშტებისა თვითონვე შეგვრცხვა, მოვტრიალდით და ჩქერი უკანვე გამოვტოპეთ. არ შეუძლიან ქართველ კაცსა, ვერ გამართავს თავირლენვობანას, არ უწერია რჯულში და მოკალი თუ გინდა.

ახლა ჩემს სოფელ შვინდიანში ჩვენ, ძირითად მოსახლეობას რომ ეტყვიან, ოცდასამი კომლილა დავრჩით. ვერ შავენყვეთ სხულთებსაო და დაიცალა სოფელი. ზოგმა ქალაქს მიაშურა, ზოგმა კიდე სხვა სოფელში იშოვა სამოსახლოი და თავს უშველა.

სოფელს კი ძელებურად შვინდიანი ჰქვიან. სხულთების სოფელსაც ეძახიან ზოგნი. შვიდ წელიწადში დამთავრდა შვინდიანის ისტორია. განა სამართალია, რო პასუხს არავისა სთხოვენ? თუმცა ვის უნდა მოსთხოვონ; აღარც ამხანაგი ანანიაა ძველ ადგილზე, კაშიამ თქვენი ჭირი წაიღო, ხოლო ხეჩუაშვილი კიდე აქა ზის, აგე. თქვენს წინა და ვინ იცის, ამ ჩემ ლაპარაკზედ გულში ეცინება კიდეცა.

რას ვერჩიდო იულონ ხეჩუაშვილსა? რას ვემართლებოდი. ჩვენი დოყვლაპიობისთვის ამ დროული კაცის ცემა რა ანგარიში იყო. მაგრამ ბარემ გეტყვით; იმ დღეს პაპაჩემი გამახსენდა, პაპაჩემი რო გამახსენდა, მისი ნათქვამიც გამახსენდა. იმ დღეს, ბერმუხასთნ; ნუ გააბი ოროტოტოსავით, შენ ნუ მასწავლი სხულთებსაო, განა მართალი არ ყოფილა ის სულკურთხეული? პაპაჩემი რო მომაგონდა, რასაკვირველია, იულონ ხეჩუაშვილის დაჯერებული ფიცი ჩამესმა, დამეწყრილები არიან და შემოდგომამდე შავიფაროთო. ეგეი შენი შემოდგომაც.

ჰოდა, ეგ ყველაფერი რაკი გამახსენდა, იმ საღამოს რომ არ დამელია, გული გამისკდებოდა. დავლიე და მერე რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით.

1981



აპრილი

ჯეინ გრინსი, სამოცს მიტანებული მანდილოსანი, თბილისში 1989 წლის 6 აპრილს ლონდონის საკონდიტრო ფირმების ტურისტულ ჯგუფს ჩამოჰყვა.

ინტურისტის თანამშრომელმა აეროპორტშივე ბოდიში მოუხადა სტუმრებს „საქართველოს დედაქალაქში ტრადიციულ ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებული დღეებია. ამ დღესასწაულის დროს, ხანდახან, მიკროფონს ხელში იგდებენ პოლიტიკური განგსტერები, თვითმპურობელობის დამხობის შემდეგ აქა-იქ შემორჩენილი უკამაყოფილო ელემენტები, ნაციონალისტები, რომლებსაც განსაკუთრებით არ მოსდით თვალში უცხოელი ტურისტები. ამიტომ თქვენი მიღება უჩვეულო პირობებში მოგვიხდება. მეტ დროს მოვანდომებთ ქალაქების ადგილების დათვალიერებას, ხოლო როცა სასტუმროში დავბრუნდებით, უმორჩილესად გთხოვთ, მაშინვე დაისვენეთ. ქალაქში ღამით ხეტიალს ნუ მოჰყვებით, ქართველები, საერთოდ, სტუმართმოყვარე ხალხია, მაგრამ, შესაძლებელია, უცხოელ ტურისტებზე გამწყრალ ექსტრემისტებს გადაეყაროთ და შეურაცხყოფა მოგაყენონო“.

– რას ამბობენ ის ელემენტები, რა დაგვიშავაო უცხოელმა ტურისტმა? – ჰერითა ინტურისტის თანამშრომელს ჯეინმა.

თანამშრომელი არ დაბრუნდა, პასუხი ასე ჩამოაგვირისტა:

– იცით რა, ქართველებს ისტორიულ არსებობასთან რაღაც მაგიური, ძველებური, განსაკუთრებულტკივილიანი დამოკიდებულება აქვთ. ეს დამოკიდებულება ბევრი აუხსნელი საიდუმლოებით არის სავსე. რასაც ქართველები თაობიდან თაობას გადასცემენ და სხვა ერის ნარმომადგენელს თითქმის არ უმხელენ. ამიტომ არ უყვართ უცხოელი ტურისტი. ასე ჰერითათ, იგი იდუმალი მზერით ქართველის სულში იხედება. განსაკუთრებით ფოტოაპარატიანი სტუმარი სტულთ, ფოტოაპარატს ვერ იტანენ.

– მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა, თქვენ ქართველი ბრძანდებით?

– არა, – ცოტა არ იყოს, თავხედური სიამაყით განაცხადა ინტურისტის ნარმომადგენელმა და ჯეინს თავისი მიხვედრილობა გაეხსარდა. ამ შეკითხვის მიცემისას უკვე ეჭვი ჰქონდა, რომ ეს, ხაზგასმული აქცენტით მოლაპარაკე, ქერათმიანი მოხელე, შეიძლებოდა, ნებისმიერი ეროვნებისად მიგეჩინიათ, ოღონდ ქართველად არა.

ორმა დღემ თვალისდახამხამებაში გაიარა.

ინგლისელ ტურისტებს პირველ დღესვე დაათვალიერებინეს სიონი, ლისის ტბის მიდამოები, მუზეუმი ღია ცის ქეშ, ხოლო მიუხედავად სტუმართ თხოვნისა, ფუნიკულიორის დათვალიერებაზე ზრდილობიანი უარი უთხრეს. ფუნიკულიორი რემონტზე და ასვლა ვერ ხერხდებაო.

თბილისის ნახვა ამით ამოიწურა. მერე დაიწყო არანაკლებ საინტერესო ტურისტული გასვლები ქალაქებით. უძველესი ციხე-მონასტრები, სადეგუსტაციო დარბაზები, მარნები, საჩენებელი მეურნეობები. განსაცვიფრებელი ეროვნული კულინარია – ინგლისელთა აღტაცებას იწვევდა. დაღლილი, გვიან ღამით სასტუმრო „ივერიაში“ რომ ბრუნდებოდნენ და ადამიანურ მოთხოვნილებებით შეჩერებულ-შენუხებულნი ცალ ფეხზე ხტუნავდნენ. მათს ლექსიკონში ხშირად ისმოდა „რაიტ“, „ბიუტიფულ“, „ლაიკ“, „ნაის“, „ვერი გუდ“ და სხვა სიტყვები, საიდანაც ინგლისურის სუსტი მცოდნე, მაგრამ მაინც ყურგაფაციცებული, ლიფტის მორიგეც კი ასკვიდა, რომ ტურისტები კმაყოფილნი იყვნენ.

რვა აპრილს ტურისტები საგარეჯოდან გვიან ღამით დაბრუნდნენ. ნინოშმინდის ზღაპრულმა პალატებმა და მელნისფერმა ღვინომ, რასაც მასპინძელთა გრძელი, ლამაზი სადღე-გრძელოებიც ამშვენებდა, სტუმრები სასიამოვნოდ დაღალა და შეაყოვნა.

ჯეინს დიდხანს არ დაეძინა. ინგლისელი ქალბატონი საერთოდ მოგზაურობის მოყვარული გახლდათ და ბევრი ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი, მაგრამ საქართველო არც ერთ მათგანს არ ჰგავდა. აქ ყველაფერი გამორჩეული იყო: ძველთაძველი, თაგვისფერი, ლამის ერთ თარგზე გამოჭრილი, მაგრამ მაინც ერთმანეთისგან განსხვავებული ტაძრები, უხვი და ფანტაზია-მიუწვდომი სამზარეულო და ნადიმის უნიკალური წესი; სუ-

ფრის წევრთა მონუსხული ყურადღება და პოეტური სადღე-გრძელობი რომ ამშვენებდა.

სასტუმროში რომ შემოდიოდნენ, მაშინაც შეამჩნია ჯეინ გრინსმა ავტობუსებით გადახერგილი მოედანი და იქვე მორიალე მოქალაქენი, მაგრამ დაასკვნა; ალბათ სწორედ ის ეროვნული აღლუმი დამთავრდა, რაზეც ინტურისტის წარმომადგენელი გვესაუბრებოდა, ამიტომაც კითხვით აღარაფერი უკითხავს. სხვა ტურისტებიც უკანცერით შელაგდნენ „ივ-ერის“ მბრუნავ კარებში. ჩანდა, ისინი კვლავ იმ შავპნელი ინფორმაციის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, რომლის ერთ აუხ-სნელ ჭეშმარიტებას ქართველების უცხოელ ტურისტებთან დამოკიდებულება წარმოადგენდა.

ინგლისელი სტუმარი დამით აივნის კარს ყოველთვის აღებდა. ლია კარსარკმელში ძილი მისი ბავშვობის ჩვეულება იყო. სადაც ჩავიდოდა, პირველ რიგში სასტუმროს მენეჯერს ჰკითხავდა; დამით ფანჯრების გაღება თუ შეიძლებაო. ამ შეკითხვას იმიტომ სვამდა, რომ აფრიკისა და სამხრეთ აზის ზოგიერთ ქვეყანაში ყოფნის მწარე გამოცდილება ახსოვდა და ბუნებრივია, აღარ ჰქონდა სურვილი ფანჯრიდან შემოპარულ აბეზარ ხვლიკებთან ურთიერთობის რკვევისა.

შუალამეს რომ გადაცილდა და სასტუმროს ირგვლივ ტრანსპორტმა იკლო, ჰაერს ერთადერთი ყრუ გუგუნი შემორჩა. გუგუნი ხან შეწყდებოდა, ხან კი შორს დარხეული ტაშისა და ოვაციის ხმაურად აწყდებოდა ყურის ბარაბანს. ეს ხმები უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ჰაერს სწორედ მაშინ შეარხევდა ტაშის ექო, როცა ჯეინი წამით ჩათვლემდა. გუ-გუნი სტუმარს ძილბურანიდან ისევ სასტუმროს სიცხადეში დააბრუნებდა.

დაძინების იმედი საბოლოოდ რომ გადაეწურა, ჯეინი წამოდგა და ლამის კვართ-საწმერთულის ამარა აივანზე გამოვიდა. მთელი პროსპექტი სავსე იყო ხალხით. ქუჩა ლამის სუსტი ლამპიონებით გაენათებინათ, მაგრამ მაინც შეიძლებოდა გარჩევა, რომ მოედნის გადამხერგავ ავტობუსებს შორის დარჩენილი ლრიჭოებიდან გაცილებით მეტი ადამიანი გამოდიოდა, ვიდრე შედიოდა. შორის, რუსთაველის პროსპექტის ბოლოს, კოცონის მსგავსი რაღაც კიაფობდა. ის ხმაურიანი კოცონი ყვითლად

შეჰვიზნებოდა გაზაფხულის გრილ ცას და ახლომახლო სახურავებს. ადამიანები სწორედ იქით მიიჩქაროდნენ.

ჯეინმა საათს დახედა. სამს აღარაფერი აკლდა. ჩაიცვა და ლიფტისკენ რომ მიაბიჯებდა, გაიფიქრა, ვინმე ხომ არ წამომეყვანაო. ერთი შეყოყმანება შეყოყმანდა, მაგრამ ევროპულმა დელიკატურობამ უფლება არ მისცა, ასე გვიან გაეღვიძებინა კოლეგა-ტურისტი. იცოდა, რომ სასტუმროს შინაგანაზეს და უცხოელი ტურისტის მოვალეობათა სტატუსს – ორივეს ერთად არღვევდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ქართველთა ღამეული „ეროვნული მეჯლისის“ ნახვის სურვილი, რომ წესრიგისკენ მომზოდებელ შინაგან ძახილს სძლია და ლიფტის ლილაკს თითო დააჭირა.

ვესტიბიულში უამრავი ხალხი ირეოდა, ამიტომაც ქალბატონ ჯეინის ქუჩაში გასვლა კარისკაცს არც კი შეუმჩნევია, თორემ დახურულ კართან მთვლემარე, ერთი შეხედვით უწყინარი შვეიცარი, რომელსაც კარის გაღება-დახურვის გარდა სამსახურებრივად სხვაც ბევრი რამ ევალებოდა, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, სათანადო ზომებს მიიღებდა.

შუალამის სუსხმა დაჲჰერა და ჯეინმა მოსასხამის საყელო აინია. ჯინსიანმა ყმანვილმა რაღაც ჰკითხა. როცა დარწმუნდა, რომ ქალს ქართული არ ეყურებოდა, გულზე ხელის მიდებით ბოდიში მოუხადა (ყოველ შემთხვევაში ჯეინს ასე მოეჩვენა) და გაეცალა.

სანახაობა მართლაც გრანდიოზული იყო. სვეტებიანი, ლამაზი სასახლის წინ ზღვა ხალხი ირეოდა. დაბალი ხარისხის ხრიალა მიკროფონთან ორატორები ერთმანეთს სცვლიდნენ. მერე ტაშის გრიალი მიწყნარდა, მოქადაგენიც დაცხრნენ და სიმღერა წამოიწყეს. ჯეინს მრავალათასიანი დემონსტრაციის ასე აწყობილი სიმღერა ჯერ არსად უნახავს. სიმღერა რომ ჩათავდა, ისევ ახრიალდა მიკროფონი და ისევ გაისმა ტაშისცემა, რასაც ქუდების მაღლა სროლა მოჰყვა.

ჯეინს ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რას ამბობდნენ ორატორები, მაგრამ ვერავის ეკითხებოდა. ჯერ ერთი, დიდი იმედი არა ჰქონდა, რომ მაინცდამაინც ინგლისურის მცოდნეს დაადგამდა თვალს, და ჩვენ შორის დარჩეს, არც ის უნდოდა, რომ თავისი უცხოელობისათვის გაესვა ხაზი. გულის სიღრმეში

მაინც შიშობდა, ვინ იცის იქნებ ინტურისტის წარმომადგენელი მართალიც კი იყო და ემანდ რომელიმე ტურისტთმოძულე ქართველს არ გადავეყაროთ. მიხვედრით, ინგლისელი მანდილოსანი, უთარგმნელადაც მიხვდა, რომ მოქადაგენი ხალხის-თვის მოსაწონ საგანს ეხებოდნენ. საერთოდ კი დემოკრატია და ლამაზი ლაპარაკი ჯეინს თავის ქვეყანაშიც მოწყენილი ჰქონდა.

ქადაგება კვლავ სიმღერამ შეცვალა. ტემპიანი, ორკესტრული სიმღერის ხმაზე აქა-იქ ცეკვა დაიწყეს. ეს იყო თვალით უნახავი ფეიერვერკი. ერთი ცეკვავდნენ, მეორენი მღეროდნენ, ზოგს სანთელი ეჭირა და თავაპყრობილი ლოცვას ჩურჩულებდა.

უეცრად, თითქოს ნიშანი მისცესო, მანიფესტაცია გაქვავდა. ავი სიჩუმე ჩამოწვა ირგვლივ და წამის შემდეგ სიჩუმეში ტანკების გრიალი გრიგალივით შემოიწრა.

დემონსტრანტებმა გზა მისცეს. ტანკებმა ჩაიარეს და იქვე შეჩერდნენ. კვლავ წამით ჩამოწვა საზარელი სიჩუმე და ტანკების უკან ხუთმწკრივად მდგარ ჩაჩქან-მუზარადიან და ხელფარიან ჯარისკაცებს ვიღაცამ გამყინვი ხმით უბრძანა: – ბეი!

სიბნელე ჯერ ქალის კივილმა გაჰქვეთა. მერე ჯოჯოხეთურად აირია ერთმანეთში განწირულთა ხმები, ღრიალ-ჯგრიალი და ჩახაჩუხი. გაქცეულთა პირველმა ტალღამ ჯეინი კინაღამ გადათელა. მსწრაფლ მოისაზრა, კედელს აეკრა და ინსტინქტურად ყურები დაიცო, რომ საზარელი ღრიალი არ გაეგონა.

გარბოდნენ თავზეხელაფარებულნი, ნაცემ-ნაგვემნი. ახლობელდაკარგულნი წამით შეჩერდებოდნენ და ველურ ღამეში ერთმანეთს უხმობდნენ.

ხალხის ტალღამ ჯეინი მაინც მოგლიჯა კედელს და პროსპექტზე გაიყოლა, მაგრამ ოციოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული რომ კისერში რაღაც მძიმედ მოხვდა და გონება დაკარგა.

1989

გეგვიძე დღე

ზენარმოსხმულმა, ხელების ორთქვლითა და ბუტბუტით მიმომავალმა ბიჭმა ჩემს თხოვნაზე, მაღლა ამიყვანე-მეთქი, თვალი მილიციელებისკენ გააპარა, წელზე მოჭერილი თოკი შემოიხსნა და ჩამომაწოდა. თოკს მოვეჭიდე და მარმარილოს მოაჯირს თავზე მოვექეცი თუ არა, წითელსამკლაურიანი, ქურქიანი კაცი აღიმართა ჩემს წინ.

– არ შეიძლება, ბატონო, ჩაბრძანდით ძირს.

ვუთხარი ვინც ვიყავი და დავეღრიჯე, ორიოდე წუთით მივალ, იქნებ ცოტა მაინც გავამხნევო-მეთქი მოშიმშილენი.

– სულერთია, არც თქვენ დაგიჯერებენ. ესენი შიმშილს არ მოიშლიან.

მე ჭყუას არავის ვარიგებ. ჩემი საქმე მაქვს-მეთქი, პასუხს აღარ დაველოდე, მარცხნივ გავუხვიე და სვეტთან მიწყობილ ქილებსა და ბოთლებს შორის გზა გავიკვლიე.

ერთმანეთს მიყრილ საბნებსა და დაბამბულ ჯუბაჩებს შორის შიმშილისაგან განამებულ, ფერგაცრეცილ ყმაწვილთა ანგელოზური სახეები ჩანდა. თავის აწევის ძალაც აღარ ჰქონდათ. ახლა, თვითგვემის მეშვიდე დღეს; სიცივეს და უჭმელობას თავისი გაეტანა. ისინი თითქმის ერთმანეთსაც აღარ ემუსაიფებოდნენ. ერის თავისუფლებას ზვარაკად შენირული, ათასამდე უცოდველი ბატყანი ეგდო, ბრძოლის ველზე და ირგვლივ შემოჯარული უამრავი კაცის თვალწინ კვდებოდა.

ზოგი მათგანის გამოხედვაში ძლიერს შესამჩნევი, სუსტი ღიმილის ციაგი დავიჭირე, მძიმე ავადმყოფი ტუჩთა ოდნავი განევითა და თვალებითდა რომ გაგრძნობინებს, გიცანიო.

თავით-ფეხამდე ამაზრზენმა სიცივემ და ურუანტელმა დამიარა.

ასე უძნეოდ არასოდეს მიგრძნია თავი.

– გიჭირთ, ძვირფასებო?

რაც შემეძლო, ხმადაბლა ვკითხე, მაგრამ მაინც პათეტიკური, თეატრალური შეკითხვა გამომივიდა. ახლა კითხვა-პასუხის დრო არ არის. აქ უნდა ამოხვიდე და ტუჩებით მიწვდე საკოცნელად მოშიმშილეთა სუსტმაჯებიან, გაყინულ ხელებს,



ან მარმარილოს სვეტს იდაყვებით მიეყრდნო, რათა გაფიცულთ ვერ შეგამჩნიონ, შუბლი ხელებში ჩამალო და აქვითინდე.

— ბატონო ნოე, ჩვენ ასე ბედნიერები არასოდეს ვყოფილვართ.

სუსტი, გალეული ხმა, მარჯვნიდან მომესმა, მოვიხედე. სიცხით გათანგული ტუჩებდამსკდარი გოგონა ხელთათმანიან ხელს გულზე იდებს — მე ვთქვიო.

ამასობაში ზემოთ, ქანდაკების ფეხთან, ვიღაცამ იყვირა: — ექიმი, ექიმი, ჩქარა!

სამი კაფანდარა, თეთრხალათიანი ბიჭი მაღლა შემართული საკაცით იქეთ გაიქცა. მივყევი, მწოლიარეთა შორის პატარა ბილიკი ჩნდება, რომ გულწასულამდე მივაღწიოთ.

კისერგადაგდებული, შუბლშეხვეული, ჯინსიანი ბიჭი ხელხელ გადმოდის საკაცემდე. ექიმი მაჯას წვდა. მე ლოყაზე დავადე ხელი. ცივია, ტუტისფერი ადევს.

ექიმი მარჯვენას მკერდზე უბრუნებს, ავადმყოფს საბანს აფარებს და ფეხზე დგება. საკაცე სამხატვრო სალონის კარებში უჩინარდება.

იქ ღაზარეთია მოწყობილი.

მკლავებდაკაპინებული ექიმები სიკვდილს ეძრძვიან. ისევ საშიმშილო პოლიგონზე ვპრუნდები.

მსგავსი სურათი, მე არც კინოში მინახავს და არც წიგნებში წამიკითხავს.

საშუალოდ ყოველ ათ-თხუთმეტ წუთში გაისმის სასონარკვეთილი ძახილი — ექიმი აქეთ! და შიმშილისგან ცნობამისდილი კიდევ ერთი წამებული გაჰყავთ.

არავითარი პანიკა, არავითარი შიშის ზარი, ან მოახლოებული კატასტროფის გამო კვნესა-ვაება.

საოცარი წესრიგი და შეძლებისდაგვარად სიჩუმეც კია.

თითქოსდა რაღაც ჩვეულებრივი, ეროვნულ-რელიგიური რიტუალის შესასრულებლად შეყრილა ეს მილეთის ხალხი.

დააბიჯებენ თეთრხალათიანი ბიჭები და ზენარში გახვეული ის მოშიმშილენი, ვისაც ფეხზე დგომა ჯერ კიდევ შეუძლია. დააბიჯებენ და წამდაუნუმ გაჰყირიან:

— გვერდით მჯდომს, გვერდით მჯდომს მიხედეთ!

ვისაც გული წაუვა, მაშინვე უნდა გაიყვანონ, ნახევარი საათიც რომ აღმოჩნდეს შიმშილის სულხდის ქვეშ, მერე ყველაფერი გვიან იქნება.

ომში არ ვყოფილვარ, მაგრამ მე უკვე აღარაფერი გამაკვირვებს.

წარმოიდგინეთ, ყინვისგან შეკრული ველი, სადაც ეს-ესაა ბრძოლა დამთავრდა და დაიწყო უფრო მტანჯველი საათები, კვეთების, კბილთა ღრჭიალის, ხმლის ქნევის სიმხურვალისგან გაცივებისა და ნელი კვდომისა.

მთვარეულივით დავბორიალებ, ნაცნობ-უცნობს შუბლ-ცხვირზე ვეხები, აჩემებულ „ნუ გეშინია, შვილოს“ ვლულლუდებ, საბნებს ვუკეცავ, ქუდებს ვუსწორებ, მძინარეს ვაყურადებ, ხომ სუნთქავს-მეთქი.

ჯერ მხოლოდ სალამოს ექვსი საათია. სინათლე მიიპარება. მოწამეთა სახეებს მწუხრისფერი ედება.

ლმერთო, გვიშველე.

ეს უკვე აღარც დემონსტრაციაა და აღარც პოლიტიკური ბრძოლის ჩვეულებრივი ნაბიჯი.

შიმშილობა ხომ პროტესტის უკიდურესი ფორმაა და ეს შიმშილობა თავისი მასშტაბით, ალბათ, უმაგალითოა.

მეშვიდე დღეა ხუთასი ახალგაზრდა შიმშილობს მთავრობის სასახლის ცივ კიბეებზე. ორი ურჩხული ერთბაშად ესხმის მათს სიცოცხლეს — შიმშილი და სიცივე.

და განა მხოლოდ იმისთვის, რომ კონსტიტუციაში ერთი მუხლი სხვა მუხლით შეიცვალოს. აქ მსხდომთ მშვენივრად იციან, რომ მაშინ, როცა ძალა ბატონობს, კონსტიტუციურ თანასწორობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ისინი, ალბათ, ვერც იმ ტელემოძღვართა რჩევას შეისმენენ, რომლებიც ჯერ წარსულის სისხლიან გაკვეთილებს მოაგონებენ გაფიცულთ, ხოლო მერე ყოვლისმცოდნის პოზით ურჩევენ შეწყვიტონ შიმშილობა, როგორც უაზრო აქტი და დაიშალონ.

არა, ბატონებო. არც ეგრეა საქმე. საუკუნის გაფიცულნი თქვენ მოწაფე-პოლიტიკოსებად და ურა-პატრიოტ მოხალი-სეებად წუ გეჩვენებათ.

მათ მშვენივრად იციან, რომ უზარმაზარი მისია არგუნათ ბედმა: მსოფლიოს უნდა მოახსენონ, რომ საქართველომ გაიღვიძა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მძიმე აბჯარს იზომებს ტანზე.

დიდი, მითელი პურთი

ვუძღვნი მიხეილ ქვლივიძეს

რა გრძელი და საზარელიც უნდა იყოს ლამე, გათენებით აუცილებლად გათენდება.

სიბნელე რომ გაიცრიცა და აღმოსავლეთს თეთრი ციაგი შეერია, გარკვევით გამოჩნდა მოედანზე მიმოყრილი საგნები – ნეილონის ლეიბები, ხელჩანთები, ცალ-ცალი ფეხსაცმელები, ბოთლები და ადამიანისმსგავსი ცხოველების გიგანტურ ქანდაკებათა პოსტამენტებს მისხურებული სისხლიც.

თითქოსდა ჩვეულებრივზე ჩქარა თენდებოდა. თითქოსდა ბუნებას სურდა ადამიანთათვის დროზე დაემტკიცებინა, რომ, რაც წუხელის მოხდა, საშინელი სიზმარი კი არა, გულისამრევი სიცხადე იყო.

ფაროსანი ჯარისკაცები, რომლებსაც მოედანი ოთხკუთხივ შეეკრათ, ერთმანეთს მხრებით მიყრდნობილნი იდგნენ, გულგრილად იმზირებოდნენ და შიგა და შიგ ამთენარებდნენ კიდეც.

გადაცმული ოპერმუშაკები და მეეზოვენი საბარგო მანქანაზე „ჰოპ-ჰოპის“ დაძახებით, ცხედრებივით ისროდნენ ლეიბებს.

საბა სუთიძეს თვალები ეწვოდა და სუნთქვა უჭირდა, მაგრამ შინ წასვლაზე არც ფიქრობდა. სურდა, ყველაფრის გადალება მოესწრო.

ქაშვეთთან ქვის მოაჯირზე შედგა და ტანკზე პირალმა წამოწოლილ ჯარისკაცს დაუმიზნა ვიდეოაპარატი.

„ტანკები რომ არ იყვნენ, როგორ ჰგავსო მოედანი კინოგადასალებ არენას, სადაც ეს-ესაა დამთავრდა ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ფილმის მორიგი ეპიზოდის გადალება“ – გაიფიქრა საბამ და ხელფარიანი ბიჭებისკენ შებრუნდა.

– ეი, ტი! – მოესმა ზურგსუკან.

დაბალი ტანის, შავტუხა, წვრილთვალება, ბრტყელსახა ოფიცერი უხმობდა.

საბა მოაჯირიდან ჩამოხტა და მისკენ წავიდა.

ოფიცერმა აპარატს წაუპოტინა ხელი.

– ია იზ ტელევიზით, მაგუ პაკაზატ დოკუმენტი! განზე გაინია საბამ, მაგრამ ოფიცერს არაფრის გაგონება არ სურდა. მან ხელიდან გამოგლიჯა ოპერატორს ვიდეოკამერა, გრანიტის მოაჯირთან მიირბინა, ორჯერ მაგრად დაჰკრა ქვას და მერე ასფალტზე ღონივრად მოისროლა.

საბას თვალთ დაუბნელდა. ჯერ დამსხვრეული კამერისკენ გაიწია, შეუ გზაზე შეშლილი სახით შემოტრიალდა და დონიჯით მდგარ, უტიფრად მომდიმარე სამხედრო პირისკენ გამოიქცა, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია. თვალის დახამხამებაში უკნიდან წამოპარულმა ჯარისკაცებმა ხელები გადაუწრიახეს და, ქეჩიში ხელჩავლებული, უფროსს წარუდგინეს.

– ა ნუ კა უბირაისა ატსუდა, პაკა გოლოვა ცელაია! – კბილებში გამოსცრა ოფიცერმა და ზურგი უჩვენა. ჯარისკაცებმა იგი მუხლებამდე თავდაქაჩული მიიყვანეს ეგნატე ნინოშვილის ძეგლამდე და თავდაღმართზე ხელი უბიძგეს.

საბა ხეს მიეყრდნო და, პირველი რაც გააკეთა, ის იყო, რომ მუცელზე მოისვა ხელი. სიხარულმა სახე გაუნათა. კასეტა მთელი იყო. კოშმარული ლამე მან უკვე ნანილობრივ გადაიღო. მერე, ვაი თუ კამერა წამართვანო, გადალებული კასეტა ქამარში ჩაიდო და მიუხედავად იმისა, რომ ძველი ნახევრამდეც არ იყო დაცლილი, ახლით შეცვალა.

აუხდა შიში.

სიმწრისგან ტუჩზე იპინა და სანაპიროზე დაეშვა.

ახლა მთავარი იყო კასეტა გადაერჩინა.

თუ გამაჩერეს, უსათუოდ გამჩერეკენ და ჩამომართმევენო, ფიქრობდა და ეზო-ეზო იარა, ვარაზისხევში ტანკებს რომ ჰკიდა თვალი, უკან დაბრუნდა, ზომპარკის ღობეზე გადახტა და ვერეს ნაპირზე ჩავიდა. იქ ცოტა ხანს სული მოითქვა, მდინარის ნაპირს აუყვა და ათონელთა ქუჩაზე ლამის პირის შეეჩება სამ ჯარისკაცს. კიდევ კარგი, ისინი ზურგით იდგნენ და ვიღაცის „უიგულის“ საბარგულს ჩხრეკდნენ. მარცხენა ხელში ავტომატები ეჭირათ, მაღალქუსლიანი ბატინკები და დესანტის მწვანე, ფოთლოვანი ფორმა ეცვათ.

საბა უკან გაბრუნდა, ბავშვთა ქალაქის ბილიკებს დაადგა და იმ ადგილას ამოვიდა ჭავჭავაძის გამზირზე, სადაც ადრე

ვენამბულატორის ძველი ხის შენობა იდგა.

55-ე სკოლასთან ქუჩა დინჯი ნაბიჯით გადაჭრა, სამშვილობოს რომ გავიდა, სადარბაზოში ერთბაშად საშინელი თავის ტკივილი და მოთენთილობა იგრძნო.

მაჯაზე შუბლმყრდნობილი კარგა ხანს იდგა ცივ, მტვრიან კედელთან.

ლიფტის ლილაკზე თითის დაჭრის თავიც აღარ ჰქონდა.

ლიფტს მეუღლე ჩამოჰყვა. მას, ფანჯარაზე გადმომდგარს, დაენახა საბა და რაკილა ამოსვლა შეაგვიანდა, შესაგებებლად გამოსულიყო.

ცოლმა ყველაფერი იცოდა.

– კიდევ კარგი რომ ცოცხალი გადარჩი. რომ გათენდა და არ ჩანდი, დასაბმელი გავხდი. ბავშვიც ვერ მივატოვე.

– ძინავს?

ცოლმა თავი დაუქნია.

– ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამას გაბედავდნენ – პაუზის შემდეგ, გაბზარული ხმით თქვა საბამ.

– რას ვერ წარმოვიდგენდი, საბა. ხომ გეუბნებოდი, ყველაფერი იქეთ მიდის-მეთქი. მშვიდობიანი გარეკვა რომ სდომოდათ, ხუთ დღეს გვაცლიდნენ? იმიტომ მიუშვეს შიმშილობა – მიტინგი, რომ ბოლოს სისხლის კალო მოეწყოთ. რამდენია მკვდარი?

– ბევრი, ალბათ. პირველმა ჩეხვამ რომ გადაიარა, მოედან-ზე უამრავი მკვდარ-ცოცხალი ეყარა.

– მოასწარი გადაღება?

– მგონი. ხოცვის კადრები მაინც ვერ გადავიღე. შორს იყო და ბნელოდა. სანამ გავალნევდი, „ოპერაცია“ დამთავრდა კიდეც.

– ცოტა დაისვენე და მერე საავადმყოფოებიც უნდა გადაიღო. მორგმიც უნდა შეალწიო. ყველამ უნდა ნახოს ამათი სიდამპლე.

საბამ შუბლი მოისრისა. კასეტა მაგიდაზე დადო.

– გადაიღე?

– კი. ეს კასეტა ძლივს გადავარჩინე. კამერა თავზე გადამამსხვრიეს.

ცოლს არაფერი უთქვამს. ფარდები ჩამოუშვეს და ტელევიზორს მიუსხდნენ. უცქეროდნენ მდუმარედ, უკომენტაროდ.

საბას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოსდა ეს კადრები სა-დღაც, დიდი ხნის წინათ უკვე ენახა.

– საშინელებაა – ჩაილაპარაკა ცოლმა, – ამ დოკუმენტს მაინც სადღა წაუვლენ. კიდევ ილაპარაკებენ ჰუმანურ სახელმწიფოზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე, ეს... ეს... ეს ლორები?

– ის მაინც ვერ არის, რაც მინდოდა.

– ნეტა სხვამაც თუ გადაიღო?

– მე არ შემიმჩნევია, ალბათ იქნებოდა.

– ახლა ეს ფირი სასწრაფოდ მთელმა ქვეყანამ უნდა ნახოს.

სწორედ ამ დროს მოუვიდა საბას აზრად ხვალვე წაეღო ეს კასეტა და იმპერიის სიღრმეში, შორს, რომელიმე პროვინციულ ქალაქში ეჩვენებინა. ეჩვენებინა თავისი კომენტარებითურთ, ეჩვენებინა, როგორც ბრალდება, ზოგი გულუბრყვილო მოქალაქეების გულში ჯერ კიდევ მბჟუტავი რწმენისა და ილუზიების გასაბათილებლად.

ეს გადაწყვეტილება ცოლს მეორე დღეს, ბილეთი რომ აიღო და ბარგის ჩალაგებას შეუდგა, მაშინ გაანდო. ნაშუადღევს ოთხ საათზე უკვე თვითმფრინავში იჯდა და ქალაქ ტაპოროვისენ მიფრინავდა. ტაპოროვოში ადრე არასოდეს ყოფილა. ქალაქი თბილისიდან არც მეტი არც ნაკლები, ოთხსაათ-ნახევრის საფრენზე იყო.

ტაქსის მძღოლმა მოედანს წრე დაარტყა, უნდოდა კიდევ ჩაესვა ვინმე, მაგრამ ტაქსის რიგში არავინ იდგა, ხოლო ავტობუსის რიგში მდგარნი ჯიუტად და მკაცრად განზებოდნენ.

არყისხებამგზავრებულ გამზირს რომ დაადგნენ, მძღოლმა ჰკითხა:

– ბაქოს ჩამოჰყევით?

– დიახ, – მიუგო საბამ.

– თათარი ხართ?

– კი, ბატონო, – თვითონაც ვერ აგიხსნიდათ ახლა საბა, რატომ დადგა ხუმრობის გუნებაზე და რატომ დამალა თავისი ქართველობა.

– მიყვარს თათრები – სარკე შეატრიალა და თავის უწარბო სახეს შეავლო თვალი მძღოლმა – გულდია, პირდაპირი ხალხია. ჯარში ბევრი თათარი მეგობარი მყავდა.

რაკილა საბამ არ გამოხატა აღფრთოვანება იმის გამო, რომ ჯარში ტაქსის მძლოლს ბევრი თათარი მეგობარი ჰყავდა, „მძლოლმა „ფირფიტა გამოცვალა“.

— ქართველები რაღაც არ მომწონს: ვერ ვუგებ. ცოტა ამ-პარტავანი, თავნება ხალხია.

— რას ამბობთ — ეშმაკური ლიმილი რომ დაემალა, განზე გაიხედა საბამ, — ქართველები? გამორჩეული ხალხია დედამიწა-ზე. მაგათი სტუმართმოყვარეობა, სიმღერა, ცეკვა, რუსთაველი?

— ცეკვა... ჰო, — ქუდს შიგნით კეფა მოიფხანა მძლოლმა — ცეკვაზე ხომ არაფერს ვამბობ. რაც კარგია, კარგია.

— აი, მე, თათარი კაცი ვარ. ჩემი ხალხი, რასაკვირველია, მი-ყვარს, მაგრამ ერთადერთი რაზეც მთელი სიცოცხლე მწყდება გული, ეგ არის, რომ ქართველად არ დავიბადე.

მძლოლმა გაკვირვებით შეხედა.

— თქვენ, თათარი ამბობთ ამას?

საბას ერთი სული ჰქონდა, არ გაცინებოდა.

— დიახ, მე ვამბობ. გინახავს როგორ თამაშობენ ქართველი ქალები ჭადრაკს? დაფას არც კი უყურებენ. ზეპირად თამაშობენ. ამბობენ ქართველები ფეხბურთში თავიანთი შესაძლებლობების მეხუთედსაც არ ამჟღავნებენ.

— რატომ?

— რატომ და ყველაფერში რომ პირველი აღმოჩნდე, შეგიძულებენ. ეს კარგად იციან ქართველებმა. ყველაფერში რომ დაჯაბნი სამასმილიონიან უმრავლესობას შენ, სამმილიონიან უმცირესობა, ადგება ის უმრავლესობა და დაგსჯის, შეიძლება სულაც აგყაროს და გადაგასახლოს შენი მიწიდან. ან, შეიძლება მტვერივით მიგფანტ-მოგფანტოს ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე. ამბობენ, ქართველებს მხოლოდ მაშინ აქვთ გრძნეულება, როცა თავიანთ მიწაზე, ერთად ცხოვრობენ.

— ეგ ბოლო, შეიძლება, მართალი იყოს. ჩვენთან, გარაუში, ერთი ქართველი მუშაობს. სანდრო ჰქვია. ვაკვირდები ხუთი წელია. ქართველებმა რაღაც უცნაური, რამე ფანტასტიკური ხომ უნდა გააკეთოს, არაფერიც. ჩვეულებრივი კაცია. სხვაგან რომ ცხოვრობს, ალბათ, იმიტომ.

— ეგ, შეიძლება, ქართველი არც იყოს.

— როგორ, ქართველად სწერია. მთელი გარაუში ქართველს ეძახის.

— მერე რა. ქართველობას დღეს ბევრი იჩემებს.

მძლოლი გაჩუმდა. იგი ძლიერ განიცდიდა, რომ მგზავრის მომადლიერების ნაცადი ხერხი ამჯერად არ გაუვიდა. ჩვეულებრივ იგი სომებს, ქართველს და აზერბაიჯანელს თითქმის ერთსა და იმავეს ეუბნებოდა; ძალიან მიყვარს სომები (ქრთველი, აზერბაიჯანელი) — შესაბამისად, რა ეროვნების კაცი ეჯდა გვერდით, რ. მ.), ჯარში ბევრი სომები (ქართველი, აზერბაიჯანელი) მეგობარი მყავდაო.

გაოცება-გაოგნებისგან მძლოლი ხანდახან პირს აღებდა. იგი პირველად ხედავდა თათარს, რომელიც ცრემლმორევით ნატრობდა, ნეტავ ქართველად დავბადებულიყავიო.

— ისე ქართველებთან დაკავშირებით თქვენ მართალი ხართ. დიდი ნიჭიერი და მებრძოლი ხალხია. გუშინნინ თურმე ჯოხებით დაერივნენ ტანკებს. გაიგებდით ალბათ, თქვენთან საქართველო ახლოსაა.

— არ გამიგია. — სიცილი ცრემლად სდიოდა საბას, მაგრამ არ იმჩნევდა.

— ტელევიზიას გადმოუცია. მე თვითონ არ მომისმენია. ქართველებს საბჭოთა კავშირიდან გასვლა მოუნდომებიათ და ჩვენი ჯარი ხომ იქ დგას, ჯარისკაცებს მივარდნიან. ავტომატები თავზე გადაუმტკვრევიათ, თოფთამლის საწყობები აუფეთქებიათ, ტანკებისთვის ფანჯრები ჩაულენავთ.

საბამ წარმოიდგინა „ფანჯრებჩალენილი ტანკები“ და ერთხელ კიდევ სცადა წამლეკი სიცილის მოთოკვა.

— საით მიდიოდნენ, რატომ გავდივართო?

— არ გვინდა რუსეთთან ყოფნაო, — შუბლზე კეპი ჩამოიწია მძლოლმა და ისევ მაღლა ასწია, — ალბათ, თურქებს უნდა შეერთებოდნენ.

— თურქები არ მიიღებენ — გადაუნურა წყალი ქართველთა „სურვილს“ საბამ.

— რატომ?

— თურქები სხვა ხალხია... ქართველებთან საერთო არა აქვთ. ეგეც ტელევიზორს უთქვამს?

— მე თვითონ არ მომისმენია. ვერ მოგატყუებთ. ამ დილით ბიჭები ამბობდნენ გარაუში. ჭყლეტაში თექვსმეტი ქალი გაგუდულაო.

— ჩვენი?

- არა, იმათი, ქართველების.
- კი მაგრამ ჯარი რას აკეთებდა, ავტომატები რომ თავზე დააფშენეს და ტანკები დაულენეს? – ამ საუბრიდან გამომდინარე არცთუ ულოგიკო იყო საბას შეკითხვა.
- ჯარს ხომ წინააღმდეგობის განევა აკრძალული აქვს. ბრძანებაა ასეთი. საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ ჩვენი ჯარი იარაღს ვერ გამოიყენებს.
- ვერც მაშინ, თუ ხალხი გასვლას აპირებს და ჯოხით ლენავს ტანკებს?
- ვერც მაშინ. ბრძანება ბრძანებაა. თქვენ რა არ გიმსახურიათ?
- არა. არ წამიყვანეს. მე... ისა, არასამხედროვალდებული ვარ. მრცხვენია, მაგრამ კაცები ვართ და თუ გინდათ გეტყვით მიზეზს.

საბამ თავი დააწევინა მძლოლს და ყურებში ისეთი რამ უთხრა, რომ მძლოლმა ჯერ გადაიხარხარა და მერე თავიდან ფეხებამდე ისე აათვალიერ-ჩაათვალიერა სტუმარი, როგორც შეიძლება თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიეროს გვერდით მჯდომი კაცი მძლოლმა.

- ახლაც?! – აღტაცებული პათეტიკით ჰქითხა მესაჭემ.
- ახლაც – რამდენადაც მოუხერხდა იდუმალი სერიოზულობით დაუქნია თავი საბამ.

ამის შემდეგ მძლოლი გაჩუმდა. იგი თავის რთულ, ინტელექტუალურ სამყაროში გადაერთო და ხანდახან კითხვით სავსე თვალებით გადახედავდა უცნაურ მგზავრს, რომელიც მანქანის სარკმელთან ჩასრიალებულ, დაუგველ ქალაქს ათვალიერებდა.

სასტუმრო „ტაპოროვოს“ დირექტორმა კარგა ხანს უსმინა საბას დასაბუთებულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ თბილისელი სტუმარი ტელევიზიის ოპერატორი გახლდათ, ქალაქში საგანგებო მისით ჩამოსულს ლექციების ციკლი უნდა წაეკითხა ცხრა აპრილის შესახებ სათანადო ილუსტრაციული მასალის ჩვენებით და მისი ამაღამ ღია ცის ქვეშ დარჩენა, მეტი რომ არა ვთქვათ, უღმერთობა იყო.

დირექტორი ისე პირწმინდად მელოტი გახლდათ, რომ თმა საფეხულებთანაც გასცვენოდა. ერთი სათვალე თვალებზე ეკეთა, მეორე კი ყელზე ეკიდა.

როცა დირექტორი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მგზავრი თავისი პერსონის შესახებ მეტს არას იტყოდა, სათვალე შეიცვალა და მშვიდად ჰქითხა.

- მივლინების ბარათი გააქვთ?

– იცით, ვერ მოვასწარი აღება, ჩვენთან ისეთი ამბავია. ეგვი არა, ბავშვსაც ვერ გამოვემშვიდობე. ხუთი წლის ბიჭი მყავს, ხატავს – სხაპასხუპით მიაყარა საბამ.

– ეგ ცუდია – დაამთქნარა დირექტორმა და სათვალე კვლავ გამოცვალა.

- კარგად ხატავს – ნერწყვი გაუშრა საბას.

– მე ხატვაზე არ მოგახსენებთ, აი, მივლინების ბარათი რომ არ გაქვთ, ესაა ცუდი. მე კიდეც რომ მიგიღოთ, მივლინების ბარათის გარეშე ლექციებს როგორ წაიკითხავთ.

– საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი ვარ, აი, „ცოდნის“ წიგნაკი.

დირექტორმა წიგნაკი გამოართვა. კარგა ხანს ათვალიერა, მერე ტელეფონს დაწვდა, წიგნაკს მაგიდაზე აკაკუნებდა და ვიღაცას თითქმის ჩურჩულით ელაპარაკებოდა:

– საველევიჩ... თბილისიდანაა. ლექციების წასაკითხად ჩამოვედიო. რაღაც ილუსტრაციაზე ლაპარაკობს... მივლინება არა აქვს. „ცოდნის“ წიგნაკი ხელთა მაქვს, – გაეცინა, – კი, კი მაგისია. ტელევიზიაში ვმუშაობო, მოიცა, ვკითხავ, – ყურმილს ხელი დააფარა, – პირადობის მოწმობა გაქვთ?

საბამ პირადობის მოწმობა ამოიღო და გაუწოდა.

– აქვს, აქვს, ნომერი ასჩვიდმეტი, გაცემული ოთხმოცდაცხრა წლის იანვარში. კეთილი, კეთილი.

დირექტორმა ერთხელ კიდევ შეიცვალა სათვალე, სტუმარს საბუთები დაუბრუნა და სელექტორს თითო დააჭირა:

- გისმენთ, – გაისმა ქალის ნაზი ხმა.

– მიიღეთ თბილისიდან, გვარი?

– სუთიძე – შეაშველა საბამ.

– სუთიძე, სამი დღით არა?

– დიახ, თხუთმეტამდე.

– თხუთმეტამდე – ჩასძახა დირექტორმა, სათვალე შეიცვალა, სელექტორი გამორთო და კარებისკენ მადლობით შებრუნებულ საბას დაადევნა.

– მსხვერპლი რამდენია?

- სავარაუდო რიცხვი ცხრამეტი გახლავთ.
 - ცხრამეტი, საშინელებაა, ცხრამეტი ჯარისკაცი. მოქალაქეთაგან არავინ დაშავდა?
 - ცხრამეტი მშვიდობიანი მოქალაქეა მოკლული... ჯარისკაცები ღვთის შეწევნით, ყველანი გადარჩნენ. სერიოზული ტრავმაც კი არც ერთ მათგანს არ მიულია.
 - ეგ კარგია, — დაამთქნარა დირექტორმა.
 - რა არის კარგი?! — მარჯვენა ლოყაზე სამწვერა ნერვი ავად აუთამაშდა საბას.
 - ჯარისკაცები რომ არ დაიღუპნენ. ჯერ მარტო ავღანეთში რამდენი დავკარგეთ.
 - აბა, აბა, შენ ეგა თქვი — თუ სადმე სამართალია, საბას ხაზგასმულ ირონიას სასტუმროს თავი უნდა მიმხვდარიყო, მაგრამ ყველაფერზე შეეტყო, რომ ვერ მიხვდა.
- მეორე დღეს ესე იგი თორმეტი აპრილს საბა სუთიძე „ტაპოროვოს“ ცოდნის საქალაქო განყოფილებაში გამოცხადდა. ხელში პორტფელი ეჭირა. პორტფელში უნიკალური კასეტა, ორი ახალი ბაბბის წინდა და ერთი ბოთლი „ბორჯომი“ ედო. ტანთ გაცვეთისწინა მდგომარეობამდე მისული ნაცრისფერი შალის კოსტუმი ეცვა, პიჯაკის ჯიბეში პირადობის მოწმობა და სასტუმროს საშვი ედო. შარვლის ჯიბეში ორი ცხვირსახოცი და ხუთმანეთიანებისგან შემდგარი ასხუთი მანეთი. პასპორტი და უკან დასაბრუნებელი ბილეთი (ეს უკანასკნელი საბამ აეროპორტში გუშინვე აიღო) სასტუმროში დატოვა. ამ ნოველის ავტორი პასპორტთან და უკანდასაბრუნებელ ბილეთთან დაკავშირებით ამასვე ურჩევს სხვა ქალაქში ჩასულ პატივცემულ მკითხველსაც. ქურდობა საბჭოთა კავშირში კარგა ხანია გაქრა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ყოველწამის შეიძლება აღმოვჩნდეთ ჩვენს ჯიბეს ნაპოტინებული იმ კაცის გვერდით, რომელმაც არ იცის, რომ ქურდობა საბჭოთა კავშირში კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. რა ჩემი თქმა გინდათ. ვისაც გამოუცდია დამეთანხმება (ხოლო ვისაც არ გამოუცდია, ღმერთმა ნუ გამოაცდევინოს, რომ უცხო ქალაქში პასპორტის და უკან დასაბრუნებელი საავიაციო ბილეთის დაკარგვაზე უფრო მნარე რამ თითქმის არ არსებობს, თუ იმ ერთ რამეს მხვედველობაში არ მივიღებთ.

„ცოდნის“ საქალაქო განყოფილებაში მოუსმინეს და „ცოდნის“ რესპუბლიკური განყოფილებისკენ გაისტუმრეს. ცოდნის რესპუბლიკურ განყოფილებაშიც მოუსმინეს და პროპაგანდის საქალაქო განყოფილებისკენ მიუთითეს, პროპაგანდის საქალაქო განყოფილებაში უთხრეს, რაკი საგანგებო შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თქვენი საკითხი პროპაგანდის რესპუბლიკურმა განყოფილებამ უნდა გადაწყვიტოსო.

ჩვენი მიმხვედრიანი მკითხველის იმედით, როგორც ხედავთ, მოკლედ, სულ რამდენიმე სტრიქონში მოვაქციე ის, რაც საბას „ტაპოროვოში“ დილიდან სალამომდე გადახდა. თანამედროვე მკითხველის მოუცლელობას და მის სრულიად ბუნებრივ ზიზღს გრძელისიტყვაობისადმი ვუწევ ანგარიშს, თორემ, ხომ შემეძლო, ვრცლად აღმენერა საბას ვიზიტები თითოეულ ამ სიმპატიურ დაწესებულებაში. შევჩერდებოდი მდივანი ქალის თმის ფერიდან დაწყებული რეფერენტთა და პროპაგანდის განყოფილების გამგეთა ჰალსტუხებზე, მათს ნიღაბურ გაყინულ ლიმილზე და ამოოხვრით ნათქვამ სიტყვებზე — „თუ შეიძლება გვაჩვენეთ ფირი და მოკლედ ისიც გვითხარით, რას იტყვით აუდიტორის წინაშე“. დაწვრილებით შევჩერდებოდი იმაზეც, რომ ნახევარსაათიანი ღალადისის შემდეგ საბა მასპინძელს მთენარებაზე შეატყობდა, რომ ეს კაცი „საკითხის გადამწყვეტი“ არ იყო და უკეთს შემთხვევაში სხვა კაბინეტისკენ გაგზავნიდა.

ვიმეორებ, ვრცელ, დეტალურ საუბარს საბას საპროპაგანდო ბასტილიებზე, აქ თავს ვარიდებ ისევ და ისევ ძვირფასი მკითხველის პატივისცემის გამო, გამომდინარე დროის ეკონომიის ინტერესებიდან.

მესამე დღეს, ცამეტ აპრილს და მეოთხე დღეს — თოთხმეტ აპრილს საბას, როგორც იქნა, დაუნიშნეს ორი ლექცია. „ცოდნის“ საქალაქო განყოფილებაში. თბილისიდან ჩამოსული ლექტორისთვის საგანგებოდ შეარჩიეს ბამბეულის კომბინატის (13 აპრილი) და სოსის-ძეხვეულის ფაბრიკის (14 აპრილი) ჯანსაღი, ინტერნაციონალური კოლექტივები.

ლექციები ორივე ადგილას დაახლოებით კი არა, ზუსტად ასე ჩატარდა: სანარმოს ადგილკომის თავმჯდომარე, „ცოდნის“ რეფერენტი და საბა უსხდნენ საპრეზიდიუმი მაგიდას. ასეთ ღონისძიებებს დირექტორები და პარტიული კომიტეტების მდივნები ჩვეულებრივ, მოუცლელობის გამო არ ესწრებიან.

ადგილკომის თავმჯდომარე დარბაზს ამცნობდა, მზიური საქართველოდან სტუმარი გვეწვია და ლექციის წაკითხვას სურსო. საბას არ უკვირდა, რომ მას ოვაციით არ ხვდებოდნენ. აშკარად იგრძნობოდა რომ მოქალაქებს საერთოდ მოპეზრებული ჰქონდათ ლექცია თუნდაც იგი მზიური საქართველოს წარმომადგენლის მიერ ყოფილიყო წაკითხული. მერე საბა ოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში ისაუბრებდა ცხრა აპრილის ტრაგედიაზე და ამდენივე წუთიან ფირს უჩვენებდა მსემენელ-მაყურებელს. თუ ლექციის კითხვისას დარბაზი ყრუდ თანაუგრძნობდა საბას (აქა-იქ აღშეფოთების ამოოსვრანიც გაისმოდა) სამაგიეროდ, ფილმის ჩვენებისას გარინდულ დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდი. ტელევიზორის ეკრანზე ფილმის დასასრულის ნიშნად ვერცხლის დულილი რომ დაიწყებოდა, აუდიტორია კარგა ხანს იყო სიჩუმეში ჩაძირული.

— მდაა, — იტყოდა ერთ-ერთი მაყურებელი წინმჯდომთაგან და გაიმართებოდა კამათი. ისეთი ჩვეულებრივი, უმართავი, უნესრიგო, უთავბოლო კამათი, როგორიც ხშირად იმართება ხოლმე ჩვენს დემოკრატიულ აუდიტორიებში, იმის შემდეგ რაც უძრაობის ეპოქა დავგმეთ და გარდაქმნის ოქროს ხანას შევუდექით.

ბოლოს მოკამათენი იღლებოდნენ და ძალაუფლებას ხელში იგდებდა ორთოდოქსულად მოაზროვნეთა ჯიუტი ნება. ისინი მაგიდაზე მუშტის ბრაგუნით, პროვოკაციული ქარაგმებით, ისტერიული ყვირილით და შიგა და შიგ მუქარითაც ახერხებდნენ სხვაგვარად მოაზროვნეთა გაჩუმებას და ბოლო სიტყვებში ხშირად ისმოდა: „ასე დაემართება ქვეყნის დაშლის მოსურნეს“, „ეს გაკვეთილად უნდა იქცეს“, „საომარ ტექნიკას მაინც რალას ერჩოდნენ“, „აბა რა ეგონათ“, „რუსეთი მომთქინია, მაგრამ“. „თავიანთმა ქალებმა მაინც რა დაუშავეს“, „კანონის მთელი სისასტიკით უნდა დაისაჯნონ“, „წითელი არმია უფლებას ვერავის მისცემს“... ლექცია-დისპუტის დამთავრების შემდეგ მოქალაქენი ქუჩაში განაგრძობდნენ კამათს და საბა დარწმუნდა, რომ ერთ მუჭა „საღებს“ აქაც, ქუჩაშიც უმრავლესი ჯიუტი სჯაბნიდნენ.

14 აპრილს საბას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. უამური ფიქრი არ ასვენებდა.

„რა უნდოდა, რისთვის ჩამოვიდა. ჯერ ერთი, რატომ ეგონა,

რომ მოქალაქენი ჭეშმარიტების გაგებისთვის სულს ლევდნენ და გაფაციცებით ელოდნენ თვითმხილველის ჩამოსვლას. მეორეც, რატომ ეგონა, რომ მისი ჭირი ყველასთვის ერთნაირად გულსაცემი უნდა ყოფილიყო. ქვეყანას თავისი თავი უჭირს, ვის ახსოვხარ, ვის დაეკარგე შენ, რაღაცაშია საქმე. თავი ხომ არ მოვაძულეთ იმპერიას ჩვენი ჭირვეულობით და თავისუფლებაზე გაუთავებელი ჩივილით? რა მნიშვნელობა აქვთ, თურმე, ხელბარით დაგსჯიან თუ შპიცრუტენებით, ერთმა-ორმა ისიც თქვა, რაც შენს წისკვილზე ასხამს წყალს, მხოლოდ ის გადაგილიაო. ერთმა დედაბერმა ფაროსან-ჩაფხუტიანი ჯარისკაცები რომ დაინახა; „ვამიე შვილებო, დაგხოცავენ ეს ავაზაკებიო“. ერიჟაა, მკვლელები უფრო შეეცოდა, ვიდრე მათი ხელით მოკლული ქალები და ბავშვები. საერთოდ, რა მომარბენინებდა, როდემდე უნდა ვიყო გულუბრყვილო და მიამიტი. ჭკუა ვერ უნდა ვისწავლო ამხელა კაცმაო“.

გამთენისას, როგორც იქნა, „მისცეს თბილისი“. ცოლს დაუჟინა, გააღვიძე ბავშვი, დამელაპარაკოს, თორემ ისე მომენაზრა მაგისი ხმა, ლამის გავგიუდეო.

გიგილოს ნამძინარევი, ლოგინური ხმა ჰქონდა:

— მამიკო! ბურთი მიიღე? მიიღებ, მიიღებ, ამ დილით გამოვუშვი. წითელი ბურთია. მე თვითონ გავპერე. ფანჯარაში ხშირად გაიხედე. შენკენ გამოვუშვი. ვიცი, შორსა ხარ. მთელი ღამე შენკენ მოფრინავს და არ ჩამოვიდოდა? შენ ფანჯარა გააღე და გაიხედე. ახლა მალე მოვა. კარგად იყავი!

...ჯერ ერთი სტიუარდესა გაიქცა პილოტთა კაბინისკენ. წამის შემდეგ ორი სტიუარდესა უკან გამოიქცა. თვითმფრინავის სალონში დამწვრის სუნი დადგა, მერე სავენტილაციო მილაკებიდან შავი კვამლი შემოიჭრა და ყველაფერი გაავსო.

ვიღაცამ დაიკივლა, მაგრამ მუნქუსევე გააჩუმეს.

ისხდნენ ყველანი ხმაგაკმენდილნი. თითქოს რომ ეკივლათ, უფრო დააჩეარებდნენ იმ საშინელ წამს, რომელზეც წარმოდგენაც კი არავის ჰქონდა.

საბამ ფანჯარაში გაიხედა. თვითმფრინავს დიდი წითელი ბურთი ელვისსისნრაფით უახლოვდებოდა.

1989

ბაბუაჩემი მეტყოდა ხოლმე...

მაიორი მსხალაძე უფროსთან შევარდა.

– რაც ვთქვი მე, ზუსტად ისე ხდება. მიტინგი დაიწყო. ემატება და ემატება ხალხი. არ უჩანს კარგი პირი ამ საქმეს.

– რას ამბობენ?

– რას იტყვიან კარგს. სტუდენტების გარიცხვა არასამართლიანია და აღადგინეთ სასწრაფოდო. ქუთაისის დემონსტრაციაზე დაპატიმრებულები გაათავისუფლეთო. 26 მაისის უფლებებში აღდგეს საქართველოვო. ხელში დროშები და ტრანსპარანტები უჭირავთ.

– ვერ ამოვილეთ ეს დროშები, რა გახდა ასეთი.

– რას ამოვილებთ, სახლში თითო ცალი კი არა, რამდენიმე აქვთ. ერთს წართმევ, მეორეს ააფრიალებს.

– ისინი იქ არიან?

– ჯერ არა მაგრამ მოვლენ, კირტავა გამოსულია სახლიდან უკვე. რაც ყველაზე მთავარია, მავიწყდებოდა.

– ჰო.

– პავლოვის ქუჩაზე, სააკაძის მოედნის მიმართულებით, ორასამდე კაცი მოძრაობს.

– ძირითადად?

– ძირითადად სტუდენტები არიან.

– ვერ შეაჩერებთ?

– გადავკეტე გზა. გადავუდექი. ვინა ხართ, სად მიდიხართ-მეთქი? ცირკი მივდივართ ბილეთების ასაღებად, რაო, არა გვაქვს უფლება ქუჩაში სიარულისო. მე რომ ერთ ჯგუფს ველაპარაკები, მეორე შებრუნდა და ეზოდან გავიდა. წამით დაიშალნენ, ას მეტროში ისევ შეერთდნენ და სიმღერა დასცხეს.

– სად მიდიან.

– რა კითხვა უნდა, აქ მოდიან მიტინგზე.

– რა ვქნათ?

– რაც ვთქვი ამ დილით. პოლკს უნდა დავუძახოთ. ჩვენ შეგვაჩვიერ თვალი და აღარ ეშინიათ, სულ დაგვაჯდნენ თავზე.

– შენ ასე ფიქრობ?

– აუცილებელია. ერთ-ორს მუჯლუგუნი თუ არ წავკარით, არ გამოვა.

პოლკოვნიკმა ტყაბლაძემ სიგარეტს მოუკიდა. ერთი ნაფაზი დაარტყა და საფერფლეს ჩამოადო. მაგიდაზე გაშლილ ქალაქ-ის რუკას დახედა. სააკაძის მოედანი ფანქრით შემოხაზა. მერე თავი აიღო და მოსულს შეხედა.

– წადი. იქ იყავით ყველანი. რაცია ახლოს გქონდეს. შევე-კითხები, რას იტყვიან, დაგელაპარაკები.

...მიტინგი მშვიდად, ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა. იგი გაჭრილი ვაშლივით ჰეგვადა გუშინ, წინა კვირას, ერთი თვის წინ გამართულ მიტინგებს. მიკროფონთან ერთმანეთს სცვლიდნენ სტუდენტები და ხშირად აბსოლუტურად მართალ, ადვილად მოსაგვარებელ პრობლემას აყენებდნენ, იშვიათად უსაფუძვლოს და ამ ვითარებაში ლამის გადაუწყვეტელს. იფ-იქრებდით, ზოგი პრობლემის უტოპიურობა თვითონაც მშვე-ნივრად იციან, მაგრამ მაინც ამბობენ. ერთმანეთს გაბედულებაში ეჯიბრებიან, მიკროფონს ეჩვევიან, ენის ორატორულ გატეხვაში ვარჯიშობენ. ქვეყანა არ იქცეოდა. ინფორმაციის საშუალებები კვლავ ძველებურად იღებდნენ ქრთამს. აქ კი, თებერვლის ლრუბლიანი ცის ქვეშ, სააკაძის ძეგლთან შეკრებილი ახალგაზრდები საქვეყნო საქმეებზე მსჯელობდნენ, აღმზრდელთა მიერ ავადმოქრილი არტახებისგან თავისუფლდებოდნენ, ახალი საუკუნისთვის ემზადებოდნენ.

უეცრად, ქვემოთ, შეკრებილთა ლამის შუაგულში, ჩოჩქოლი ატყდა. შვიდიოდე ახალგაზრდა ტრიბუნისკენ მიინევდა, ხალხს იქეთ-აქეთ უხეშად სწევდა და იგინებოდა:

– დაიშალეთ თქვენი!

ვიღაც წინ გადაუდგა. ვიღაცამ მაჯაში მოჰკიდა ხელი. თურმე შვიდეულსაც ეს უნდოდა; ჩვენაო, სტუდენტები ვართო და თქვენ ნორმალური სწავლის საშუალებას არ გვაძლევთო. ხელს გვიშლითო. ახლავე დაიშალეთ, თქვენი ასე და ისეო.

ისე ხმამაღლა, ყალბთეატრალურად გაჰყვიროდნენ დებოშის ატერის ახალგაზრდა სპეციალისტები, რომ, აშკარად ჩანდა, სტუდენტობასთან მათ საერთო არა ჰქონდათ რა.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა დებოშის ასატეხად დადგმული სანახაობა. მიუხედავად იმისა, რომ „სტუდენტი-აქტივისტები“ მუშტებს ათამაშებდნენ და რამდენიმე მომიტინგეს კისერშიც წაუთაქეს. მათთან ჩხუბს არავინ აპირებდა. ჩანდა, რომ მიტინგის მონაწილენი ყველაფერს მიმხვდარიყვნენ და ერთმანეთს აფრთხილებდნენ, პრავაკაციაზე არ წამოეგოთო.

უეცრად მოედანზე ქარიშხალივით შემოიჭრნენ ხელკეტიანი ჯარისკაცები.

სცემდნენ ყველას განურჩევლად ქალისა და კაცისა, მოხუცისა თუ ახალგაზრდისა. კივილი, კბილთა ღრჯიალი, სისხლი და ცრემლი მოედო მშვიდობიანი მიტინგის არენას. ცემაში გაწვრთნილი მერვე პოლკის ჯარისკაცები ხელკეტებს მარჯვნივ და მარცხნივ იქნევდნენ. ვინც ხელში მოხვდებოდათ, თავ-პირს უსისხლიანებდნენ, გაქცეულებს თმებით ითრევდნენ და პანდურს ურტყამდნენ. გულშემოყრილთ გაზონებისკენ მიათრევდნენ და ტალახში პირდაღმა ჰყურიდნენ.

ნახევარ საათში ყველაფერი დამთავრდა.

სასწრაფო დახმარების მანქანები კალიებივით დააცხრნენ მოედანს.

სისხლის მოსარეცხად გამწვანების მანქანებმა ასფალტს წყლის ჭავლი დასცხეს.

ეს მოხდა ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის თვრამეტ თებერვალს.

მეორე დღეს უნივერსიტეტის წინ სტუდენტობის მიტინგი გაიმართა.

სიბრაზისგან გაოგნებული, გაფითრებული სტუდენტები აცხადებდნენ, რომ საავადმყოფოშია სამოცდარვა მძიმედ ნაცემი მიტინგის მონაწილე, შვიდი მილიციის თანამშრომელი და ოთხი ახალგაზრდა იმ „მამაცი შვიდეულიდან“ ვისაც „ამხანაგებმა“ ჩხუბის დაწყების სცენა გაათამაშებინეს.

ერთ-ერთმა მათგანმა სახალხოდ აღიარა, დებოშის ატეხვა

და ბეჯითი სტუდენტების სახელით დემონსტრანტთა დარბევა ჩვენ დაგვავალეს, მერვე პოლკის შესახებ არა ვიცოდით რაო.

მუშტით ჭკუის სწავლება სამარცხვინო კრახით დამთავრდა.

სტუდენტები სახალხო ცემა-ტყეპის ორგანიზატორთა სამართალში მიცემას მოითხოვენ.

რაც არანაკლებ სავალალოა, ჯარისკაცებს არ გაურჩევიათ მიტინგის მონაწილე და წესრიგის დამცველი. მილიციის გადაცმულ და გადაუცმელ თანამშრომლებსაც მოხვედრიათ ხელკეტები.

ეს არის თქვენი აღთქმული დემოკრატია, ბატონებო?

* * *

ბაბუაჩემი მეტყოდა ხოლმე; შვილმა როგორც უნდა გაგაბრაზოს, ბაბუა, მის გასალახად მეზობელს არ დაუძახო. მამა შვილს, თუ მამა ნამეტანი ხვადაგი არაა, გამეტებულად არ დაარტყამს. მეზობელს რა ენაღვლება სხვისი ზურგი, ერთგულად შეასრულებს შენს თხოვნას და შეიძლება შვილი სამუდამოდ დაგიინვალიდოსო.

1989



ოცდაცამეტი

ოცდაცამეტი წელი დავსდევდი ამ ქალალდს და დღეს მომცეს, როგორც იქნა. პატარა, ფარატინა ქალალდია, მაგრამ ჩემთვის დაბადების მოწმობის ფასი აქვს. მაინც მივაღწიე ჩემსას. მეშინია, დღეს სიხარულისგან გული არ გამისკდეს. ამაღამ ვალერიანის წვეთები უნდა დავლიო და დავიძინო. დიდმა სიხარულმაც ისე იცის გულის გახეთქვა, თურმე, როგორც დიდმა მწუხარებამ. წაგიკითხო? „ინასარიძე ზურაბ ფილიპეს ძე, 1956 წელს უკანონოდ იქნა დათხოვილი სამოქალაქო ავიაციიდან. ეს ცნობა გაიცა მისი მორალური და მოქალაქეობრივი სრული რეაბილიტაციის დასტურად“. ოცდაცამეტი წელი ვსდიე-მეთქი ამ საბუთს და დღეს მომცეს, 1989 წლის ოცდაერთ მარტს. ახლა მე სამოცდაცხრა წლის ბერიკაცი ვარ. სამსახურში საერთოდ და, მით უმეტეს, ავიაციაში აღდგენაზე საუბარი ზედმეტია. აბა, რად მინდოდა, კაცმა რომ თქვას ეს საბუთი. რისთვის შევალიე ამდენი წელი და ჯან-ლონე? მინდოდა დავრწმუნებულიყავი, შევძლებდი თუ არა ჩემი სიმართლისთვის მექმია ჰური, მეყოფოდა თუ არა ძალა, ბოლომდე გამეტანა. შევძლი და მადლობელი ვარ განგების, ამ დღეს რომ მომასწრო.

სიმართლე გითხრა, ანი აღარც ვიცი, რა გავაკეთო. არ მჯერა, თუ დამთავრდა ჩემთვის კიბიდან კიბეზე ხეტიალი და დიდი კაცების კარებთან ლოდინი. ბოლო წლებში ჩვევად რომ გადამექცა. ასე მგონია, ცხოვრებამ აზრი დაკარგა-მეთქი. ჩვენ შორის დარჩეს და დაკარგა, აბა რა ჰქნა. გამამართლეს სამოცდაცხრა წლის ასაკში, დამსაჯეს და პატივი ამყარეს ოცდათხუთმეტი წლისას. ახლა დაიდევი, ზურაბ ინასარიძე, ეს მოწმობა გულზე და დაელოდე სიკვდილს. ისინი, ვინც გიმტრო, ცოცხლები აღარც არიან, ნიშნის მოგებით რომ აუფრიალო ეს ქალალდი ცხვირნინ. აღარც შენი ტოლები დარჩენილან ბევრნი ამ ქვეყანაზე, ხოლო, იმათ, ვინც ჯერ კიდევ დაჯოხუზობს, კარგა ხანია აღარც ახსოვთ, რაზე დაგსაჯეს ოცდაცამეტი წლის წინ.

არაფერი არ ყოფილა ეს წუთისოფელი. სხვისთვის არ ვიცი და ჩემთვის, ისე ჩქარა გაილია, ასე მგონია, კინოში ვიყავი შესული, ვიღაც განვალებული კაცის ცხოვრება გვიჩვენეს ამ ორი საათის განმავლობაში და ახლა, გარეთ რომ გავალ, ჩემი საკუთარი გრძელი გზა მაქვს-მეთქი გასავლელი. გზის ბოლოს თუ ვარ, არ მგონია, შენ არ მომიკვდე. მოსაყოლადაც ერთი ციცქნაა კაცის ცხოვრება, მაგრამ რა ლხინმწარე და რა გულწელმწყვეტია ეს სატიალე.

სასაზღვრო სოფელ კაკლიანში დავბადებულვარ. მამაჩემი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ, თურმე, და ხუთი წლის ვყოფილვარ, თავი რომ მოუკლავს. მაშინ საზღვარს ჯარის ნაწილების გარდა უბრალო მოსახლეობაც იცავდა, სოფელში მორიგები იყვნენ გამოყოფილი და დარაჯობდნენ. ახალციხის რაიონში ვცხოვრობდით ჩვენ და მაშინ ხშირი იყო გადასვლა-გადმოსვლა. ოცდაექვს წელს მომხდარა ეს ამბავი. ოდცაერთში ვარ მე დაბადებული. შუალამისას მამაჩემთან სოფლის მორიგეს – კეხაძეს ორი საზღვრის დამრღვევი მოუყვანია. ორივე ჩამოცლეთილ-ჩამოგლეჯილები, საცოდავად იმზირებოდნენ თურმე. „ჩვენაო, უთქვამთ, მწყემსები ვართო, გზა დაგვეპნაო, არ დაგვხოცოთ, ეფენდი, საწყალი ხალხი ვართ, არაფერს ვაშავებთო“. შეცოდებია მამაჩემს, უთრო შიშველობრობა დააჯერა თურმე. წაიყვანე და გაუშვი საზღვარზე, თოფი არ მოაშორო, სანამ იქეთ არ გადავლენ, ეს ოხრებიო, უთქვამს კეხაძისთვის. ერთი კაცი მაინც გამაყოლეთ, ვინიცობაა გამექცენენ გზაზე, იფრთხილა თურმე კეხაძემ. „რა უგავთ გამქცევებს, ხომ ხედავ, შიშისაგან რა ფერგალეულები არიან, არ მინდა ამ შუალამისას სოფელი გავაღვიძო. მესამემ, როცა იცის, ჩეკამაც იცის და არ მინდა ჩეკას ჩავაბარო, გააწამებენ ამ უბრძუნ დღეზე გაჩენილებსო. მოკლედ, წაუყვანია უკან, საზღვრისკენ კეხაძეს „ორი მწყემსი“. მიდიან წინ თავდახრილები და მიჰყვება უკან კეხაძე ვინტოვკით ხელში. მისდა ჭირად, მოსწურებია. დახრილა წყაროსთან წყლის დასალევად და სწორედ მაშინ უხელთეს თურმე იმ ძალლთაპირებმა. თავგაჩეჩივილი უპოვიათ იქვე წყაროსთან, მეორე დღეს კეხაძე. კეხაძის ამბის გაგება და ჩაუდვია პირში მამაჩემს ბრაუნინგი. თავის კაბინეტშივე მოუკლავს თავი. „მე დავლუპე ის კაციო“, საბჭოს მდივნისთვის უთქვამს. მეტი სიტყვა არ დაცდენია. ვინ გაიგებდა, კაცმა

რომ თქვას, კეხაძე აღარ იყო ცოცხალი და ვინ იყო მთქმელი, რაც იმ ღამით მოხდა, მაგრამ ვაუკაცი იყო მამაჩემი და ვაუკაცებს თავისი კანონი აქვთ.

გავიზიარდე ობლად. სკოლა ახალციხეში დავამთავრე. ოცდათვრამეტში ჯარში გამიწვიეს. რაკი სკოლაშიც სამაგალითო მოწაფედ ვითვლებოდი კრასნოდარში სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში გამამწესეს. სამტურმო სასწავლებელი, გითხრათ სიმართლე, არ მიზიდავდა, რაკი ავიაციაში მოვხვდი, მფრინავ-გამანადგურებელი მაინც ვიქნები-მეთქი. მივმართე სასწავლებლის უფროსს, პოლკოვნიკი პრივალოვი იყო, კარგად მახსოვს. უარი მტკიცა. შენ ვინ გვითხავს სამხედრო სპეციალობის არჩევას, მეორეჯერ ენა არ დასძრა ამ საკითხზე, თორემ გაუძახტი არ აგდებათ; ყმაწვილის სითამამე ნახე; ავდექი და სტალინს მივწერე წერილი. თვე-ნახევარი ველიდე პასუხს. ბოლოს პრივალოვი მეძახის. სმენაზე გაჭიმული მხვდება და ალერსიანი ლიმილით მიცექრის; „თქვენაო, კურსანტო ინასარიძე გადაყვანილი ხართ ბორისოგრებსკის ჩალოვის სახელობის სასწავლებელში მფრინავი გამანადგურებლის სპეციალობაზე. დანიშნულების ადგილას ხვალვე გაემგზავრებითო“. მადლობა რომ მოვახსენე, ლოყაზე ხელი მომითათუნა და მამაშვილურად მითხრა, „რად გინდოდა, ამ საკითხზე სტალინის შეწუხება, გეთქვა და განა მე არ დაგეხმარებოდიო“.

დავამთავრე ბორისოგრებსკის სასწავლებელი და ომიც დაიწყო. ცუდად არ მიომია. ორი ორდენის და ექვსი მედლის კავალერი დავბრუნდი. მარტო ჩემს ანგარიშზე თოთხმეტი მტრის თვითმფრინავია, ჩამოგდებულს და ალრიცხულს მოგახსენებდა, ისე, დაზიანებული, ვინ იცის, ომის დროს ავიაციამ რომ საქმე გააკეთა, არ დაიკვეხნოს ჯარის სხვა სახეობამ. პირველი დამრტყმელები ჩვენ ვიყავით, პირველ ელდაფეთებას და მატერიალურ ზარალს ჩვენ ვაყენებდით დასალაშქრ ობიექტს და მერე ერთვებოდა სატანკო დანაყოფი.

ომის დამთავრების მერე სამოქალაქო ავიაციაში გადავედი. ძირითადად თბილის-მოსკოვის ხაზზე დავფრინავდი, ჯერ მეორე პილოტად, და მერე ხომალდის მეთაურად.

ორმოცდათექვსმეტი წლის ცხრა მარტს, გვიან ღამით, ჩამოვფრინდი მოსკოვიდან. აეროპორტშივე მითხრეს, დემონსტრანტები დახოცესო. რისთვის, რატომ, ამ მშვიდობიანობის დროს ხალხს ტყვია როგორ დაუშინეს, ასეთი რა ჩაიდინეს-

მეთქი! გაგიუებამდე ცოტა მაკლდა. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გამოვიდა საქართველოვო, ტელეგრაფის აღებას და საბჭოთა კავშირიდან გასვლას აპირებდნენ.

ტენტიანი პობედა მყავდა. აღარც მახსოვს, როგორ მივედი მანქანამდე. ხელი მიკანკალებდა, შუბლზე ცივი ოფლი მასხამდა. ოცდაექვსი კომისრების რაიონში სინათლე ყველგან ჩამქრალი იყო. ლესელიძის ქუჩის თავში ტანკებს გზა გადაეკეტათ. ლენინის მოედანზე და რუსთაველზე ფეხითაც არავის უშვებდნენ. დავბრუნდი უკან და სანაპიროზე ჩავედი. ბარათაშვილის ხიდთან ხალხი ირეოდა. სანაპიროზეც ტანკები იდგნენ. ოდნავ წავამუხრუჭე თუ არა, ორი ახალგაზრდა ზემოდან ჩამომიხტა მანქანაში: „სიგანლი, სიგნალი ჩქარა! სიგნალი შენი!“ – განნირული ხმით ჩამდახოდნენ.

დავაჭირე სიგნალს ხელი და ელბაქიძის დაღმართამდე არ გამიშვია. ელბაქიძის დაღმართან ჯავშნოსანი მანქანის კარი გაიღო და პისტოლეტიდან გვესროლეს. მანქანა ხიდზე შევაგდე თუ არა, საჭე მარცხნივ წაიღო და კინალამ მტკვარში გადავეშვი. ბიჭები ხიდზე ტყაპატყუპით გაიცნენ. მე გადმოვედი და ჩაფუშულ საბურავს ვეცი. ორი პატრული დამადგა თავს, საბუთები ჩამომართვეს; სასწრაფოდ მოშორდი აქაურობასო, მიბრძანეს და ისევ ჯავშნოსანში შეიყუჯნენ. მანქანის თვალი გამოვცვალე და მოვუსვი შინისაკენ.

შიშით დაზაფრული დამხვდა ოჯახი. ბავშვები პატარები მყავდა და ყოველ შვიდნოებერ-პირველმაისს მე და ჩემს ცოლს ხელში ატატებული გაგვყავდა პარადზე. იმ დღესაც თავი მოუკლავთ ბავშვებს (რთხის ბიჭი იყო და ექვსის გოგო) პარადია და, გინდა თუ არა, წაგვიყვანეო, მაგრამ უმარჯვია ჩემს ცოლს და ბინიდან არ გასულან მთელი დღე, თორემ ვინ იცის, სად ჩახოცავდნენ დედანულს.

მეორე დღეს ვისვენებდი. თერთმეტში მიწევდა გაფრენა. მთელი აეროპორტი ამ შემთხვევაზე ლაპარაკობდა. აეროპორტის უფროსი გიბარებსო მითხრეს. მივედი. უფროსი, მაშინ ჯინჯიხაძე იყო, ვიღაც სამხედროფორმიანი უცნობი ეჯდა კაბინეტში. ზურაბო, მითხრა ჯინჯიხაძემ, ამ რეისზე სხვა გაფრინდება, შენ დაისვენე და თექვსმეტში კომისიაზე გამოცხადდიო. რა მჭირს საკომისიო-მეთქი, გავიკვირვე. არაფერი, ფორმალური მხარეა, ნუ ინერვიულებთ, თექვსმეტში მობრძანდითო, სტუმარმა.

მაშინვე მივხვდი, რომ კარგი არაფერი მელოდა.

თექვსმეტ მარტს ავიაციიდან დამითხოვეს, დახასიათებაში პოლიტიკურად არასაიმედო ჩამიწერეს, ორი კვირის შემდეგ პარტიიდან გამრიცხეს და გამომიცხადეს – იმის მადლობელი იყავი, რომ არ გაპატიმრებთო.

სალ-სალამათი, უდანაშაულო კაცი შინ დამსვეს. ცოლ-შვილი რაღაცით ხომ უნდა მერჩინა და დურგლად ვმუშაობდი სარემონტო კანტორაში. იქაც ფხიზლობდა „ბედი მდევარი“. სკოლის, ან სხვა უბრალო დაწესებულების რემონტზე ხალისით მამუშავებდნენ; თუ „ბრალიანი“ დაწესებულების, ან თანამდებობიანი კაცის ბინის რემონტზე მიდგებოდა საქმე, არ მიშვებდნენ. ლურსმნის დაჭედებას არ მანდობდნენ წესიერად, თვითმფრინავს კი არა.

ამ ოცდაცამეტი წლის განმავლობაში, შემიძლია ხატზე დავითიცო, კვირა არ გამიცდენია. ვწერდი, ვჩიოდი, სამართალს ვეძებდი, სამოქალაქო უფლებებში აღდგენას მოვითხოვდი. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მივწერე პირადად ჯერ ხრუშჩიოვს და მერე ბრეჟნევს, მაგრამ შენ არ მომიკვდე. ან საერთოდ არ მპასუხობდნენ, ან „თქვენი განცხადება ამასა და ამას გადაეგზავნა. პასუხს იქედან მიიღებთო“. პასუხი კი ის იყო, რომ დამიძახებდნენ აღმასკომში ან რაიკომში და თითს მიქევდნენ; მოეშვი წერას. მოთმინებიდან ნუ გამოგვიყვანო.

ამაზე უარესს რას მიზამენ-მეთქი და არ ვეპუებოდი არავის. შეილები რომ წამომეზარდნენ, უფრო მოვუხშირე ინსტანციებში სიარულს. თუ დამიჭერენ, ბალები მაინც დავზარდე, შეიმშილით აღარ მოკვდებიან. მე კი ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს-მეთქი.

როგორც იქნა, მივაღწიე. დღეს ოცდაცამეტი წლის თავზე, აღიარეს. რომ ტყუილად დამსაჯეს და უსამართლოდ გამრიყეს.

გეკითხები ახლა შენ, ვის მოვთხოვო პასუხი ჩემი დაკარგული ცხოვრების გამო? შეიძლება პარტიაშიც აღმადგინონ, მაგრამ მინდა ანი? მაქვს ის გული და ის რწმენა, რაც იმ წლებში მქონდა?

შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ნერვებმა მიმტყუნოს, გადავახიო თავზე ეს ქალალდი, ვისაც საჭიროა და ამით დავამთავრო ანგარიში ამ უმოწყალო ქვეყანასთან.

მავზოლეუმი

სარკოფაგიდან დგება მუმია...,

გალაკტიონი

მიცვალებულმა ჯერ გვერდი იცვალა, მარჯვენა ლოყისქვეშ ხელი ამოიდო და ცოტა ხანს ასე იწვა. გვერდზე წოლის დროს ფეხების შეკეცვა უყვარდა, მაგრამ კუბომ საშუალება არ მისცა და უხერხულობისგან შეწუხებული, წამოჯდა. ხელებშებიჯგებული კარგა ხანს თავის ვეებერთელა სურათს შეჰყურებდა. მერე წამოდგა, სრული პიჯაკის ღილი შეიკრა და ჩაბნელებული გასასვლელისკენ გაემართა.

დღის სინათლე თვალებში ეცა და შუბლზე ხელი მიიჩრდილა. ნელ-ნელა აპარებდა შუქისკენ თვალებს, რათა სინათლეს შეჩვეოდა და, ბოლოს და ბოლოს, გაერკვია, სად ეძინა წუხელის, ან, საერთოდ, რა ხალხი დადიოდა წითელ მოედანზე.

ნომერ პირველ საგუშაოს ორი შაშხანიანი მხედარი მორიგი ექვსი ნაბიჯით რომ დაშორდა ერთმანეთს, ლამაზად შემოტრიალდნენ და შიშგაოცებისგან დაზაფრულებს თოფები კინალამ გაუვარდათ ხელიდან.

მავზოლეუმის კარებში ლენინი იდგა.

მარცხენა შუბლზე მიედო, მარჯვენა, როგორც უყვარდა ხოლმე, ჟილეტის ჯიბებში ჩაეყო და სასაცილოდ გაჯგიმულ, პირდალებულ ჯარისკაცებს თვალმოფეტული, ღიმილით შეჰყურებდა.

– დაუშვით, დაუშვით, გეთაყვა, არ არის საჭირო. მე... ისა, ცოტას გავიკლი. თუ სახკომისაბჭოდან მიკითხონ, მალე დაბრუნდებათქო, – მიიხედ-მოიხედა და ხმადაბლა დაუმატა – სტალინს და ძერუინსკის ჩემი წასვლის შესახებ არაფერი უთხრათ. ტყუილად ინერვიულებენ. ვეცდები მალე დავბრუნდე.

თავზე განუყრელი კეპი დაიხურა, ორივე ხელი ჯიბებში ჩაიწყო და ჯიბებში ჩანყობილი ხელებისაგან შარვალოდნავანეული გრანიტის კიბეს დაუყვა.

1989 წლის შვიდი სექტემბერი იდგა.

მოედანი გადაჭრა და გილდ ვაჭართა ვიწრო ქუჩაზე, სახელმწიფოს მთავარი უნივერსიტეტის პირველ სართულზე, გასტრონომში შევიდა.

უნივერსიტეტი, განსაკუთრებით ალკოჰოლური სასმელების განყოფილებასთან, დიდი ფუსტუსი და გასვლა-გამოსვლა იყო. ლენინს შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს აქ ყველამ – გამყიდველმაც და მომხმარებელმაც, თავისი საქმე ხუთი თითოვით იცოდა. ისე, როგორც, ერთ დროს, სმოლნში, უსიტყვოდ, უყოყმანოდ შემოდიოდნენ, თითქოს რაღაც რიტუალს ასრულებენ, ორიოდე სიტყვას გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს, მერე ზრდილობიანი გვერდის ავლით, ქვითრით ხელში, სალაროდან დახლისკენ გარბოდნენ და საქონლის მიღებისას უკვე მესამე რიგში მდგართ მოუთმენლობა-შეშტოოთება ეხატათ სახეზე. „ხომ არ თავდება?“ – წამდაუწუმ კითხულობდნენ ისინი და ხშირად ერთსა და იმავე, არცთუ ძნელად მისახვედრ, ფრაზას იმეორებდნენ: „მე რიგში ვდგავარ, ჩემი ამხანაგი ამოსაქვით-რად წავიდა“.

ბოლოს ყველაფერი კარგად მთავრდებოდა. დახლის მუშავს ბოთლის შეხვევაზე არ აწესებდნენ. ლამის ხელიდან სტაცებდნენ, პიჯაკის ჯიბეში ჩაჩურთავდნენ და გასასვლელისკენ ბეჭდიერი, გამარჯვებული კაცის იერით. ჩვეულებრივზე ორჯერ გრძელი ნაბიჯებით მიიჩქაროდნენ. ბოთლჯიბიანი შუაში იდგა. იქეთ-აქეთ მცველებივით ორი კაცი მიეტორლიალებოდა და იმ ერთს თვალებში შეჰყურებდა. ხანდახან მეოთხეც გაეკიდებოდა გალადებულ სამეულს ღარიბი ნათესავის ბუტბუტით, მაგრამ მალე გაწილებულ-გაბითურებული, თავის უმნეო მდგომარეობას ჩამხვდარი, უკან ბრუნდებოდა.

– იქნები მესამე? – ჰერთხა ლენინს მაღალმა ბერეტიანმა როხროხახმიანმა, ტუჩმშვილდა კაცმა და ცხვირთან მიუტანა სამი თითოს (შუა, საჩვენებელი, ცერა) ერთმანეთზე სვარსვალის იმგვარი, სრულიად არაუზრდელი კომბინაცია, რომელიც ამ სამიცდათი წლის წინათაც ფულის მოთხოვნას წიშნავდა.

– როგორ გითხრათ... მე მესამე ვერ ვიქნები. მე პირველი ვარ, – გაულიმა ლენინმა და შუბლთან მოხრილი ხელის მტე-

ვანი ისე მიიტანა, როგორც სამხედროსამსახურგაუვლელ მოქალაქეებს შეუძლიათ ხოლმე სამხედრო მისალმება.

– მე საქმეზე გელაპარაკები, – ყვითელ, მაგრამ რატომ-დაც არამეჩხერ კბილებში სიბრაზეგარეული სისინით გამოსცრა აყლაყუდამ და პროლეტარიატის დიდ ბელადს კეპი ცხვირამდე ჩამოამხო.

– მე თქვენ! მე თქვენ... – ილიჩმა რის ვაივაგლახით აიწია კეპი ფართო შუბლამდე და ატყავებამდე ცოტა დარჩენილი ცხვირი ხელით მოისრისა – მე თქვენ ბორი-ბრუნევიჩთან გიჩივ-ლებთ!

დაემუქრა სალაროსკენ წასულ ახმახს ლენინი, მაგრამ ქუდის ჩამომფხატავი არ დაიბნა, სარკესთან მდგარ მილიციელთან მიიჭრა და სხაპასხუპით მიაყარა:

– მოქალაქე მილიციელო, მიხედეთ ამ პარაზიტს. ფული არა აქვს და ყალთაბანდობს.

მილიციელმა ზიზღით შეხედა აპრილის თებესების ავტორს და კარებისკენ მიუთითა. ახმახმა კი, ამასობაში, დრო იხელთა და თავისი ახმახური საქმეებისკენ გაემართა.

– სტყუის, ამხანაგო მილიციელო, მე ფული როგორ არა მაქვს, მაგრამ არაყს არა ვსვამ, ხომ შეიძლება, არაყს არ ვსვამდე?

მილიციელი იმ საბჭოთა მილიციელთა მრავალმილიონიან კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელთა ტვინსაც ჩვეულებრივ მშრომელზე ათასცხრაასით ნაკლები ნაოჭი აქვს და, რომელთაც შეცდომით, მაგრამ მტკიცედ სჯერათ, რომ, ვინც მილიციელს პირველი მიმართავს, სწორედ ისაა მართალი.

წესრიგის დამცველმა ხელი მოჰკიდა ძველმოდურად, მაგრამ სუფთად ჩაცმულ, დიდქუდა მოქალაქეს და განზე გაიყვანა:

– აბა, მიჩვენე ფული!

ლენინი დაიბნა. მას წამდვილად აღარ ახსოვდა, რომ იმ დილით ახალდაბეჭდილი ხუთმანეთიანის ნიმუშები მიუტანეს, რამდენიმე მათგანი ხელმოწერილი ბანქში გადაგზავნა, სამი კი ჯიბეში ჩარჩენოდა.

ჯიბეში ხელი ჩაიყო და ტკიცინა ქაღალდის შრიალი რომ იგრძნო, გულზე მოემვა.

— ა, გეთაყვა, — ამოილო და აჩვენა, — მე, საერთოდ, ფულს არ ვატარებ, არ მჭირდება, მაგრამ შემთხვევით ჩამრჩენია. არის თუ არა ეს ფული?!?

მილიციელმა ჯერ ფულს დახედა, მერე ლენინს შეავლო თვალი, ხუთმანეთიანები ხელიდან გამოგლიჯა და უბრძანა:

— აბა ამოისუნთქე!

შეურაცხყოლმა „ისკრის“ პირველმა რედაქტორმა პირი გააღო და სახელმწიფო მოხელეს ფართო, ვეშაპივით პირში ჩაასუნთქა.

„მთვრალი არ არის, საერთოდ ინტელიგენტი ჩანს, არ ლირს წაყვანა. ვინმე, პროვინციიდან ჩამოსული ინტრიგანი იქნება“ — გაიფიქრა მილიციელმა. ლენინს ხელი მოჰკიდა, გარეთ გამოიყვანა, საზოგადოებრივი საპირფარეშოს თავზე დიდი კალენდარი დაანახვა და წყნარად, ისე რომ გამვლელ-გამომვლელთ ყურადღება არ მიექციათ, ჩაულაპარაკა:

— შეხედეთ, მე მგონი ციფრების ცნობა გეცოდინება. მაშა-სადამე რომელი წელი ყოფილა ახლა? — დაწყებითი კლასის მასწავლებლის მკაცრი მზრუნველობით ჰკითხა.

— ათას ცხრას ოთხმოცდაცხრა — დარცხვენით უპასუხა, უკვე ყველაფერს მიმხვდარმა, საბჭოთა სახელმწიფოს დამ-აარსებელმა.

— ჰოდა, შებრუნდი ახლა, უკან არ მოიხედო. ამ ერთხელ მიპატიებია — უთხრა მილიციელმა და გასტრონომში შევიდა. ხელმოსაწერი ძელი ხუთმანეთიანები, რომელიც ჯერ კიდევ 1923 წელს გამოიცვალა, რასაკვირველია, არ დაუბრუნა. მილიციელი თვით ხომ არ იყო და არ იყო, არც ახლობელთაგან ჰყავდა ვინმე ნუმიზმატი, მაგრამ ხუთმანეთიანები მაინც წაიღო, ისე, ყოველ შემთხვევისათვის.

ლენინი დიდხანს იყოყმანებდა, ჩასულიყო თუ არა მიწისქვე-შა გასასვლელში, მაგრამ დიდხანს ყოყმანი არ დასცალდა. ხალხის ტალღამ გაიყოლია და, როცა კვლავ დღის სინათლეზე ამოვიდა, პირდაპირ გორკის ქუჩაზე აღმოჩნდა.

აღმართს აუყვა. უხაროდა, რომ მისი ძელი მეგობრის, მა-გრამ რაღაც-რაღაცეცებში არცთუ იშვიათად შემცდარი გორ-კის სახელი შთამომავლებს მაინც უკვდავეყოთ.

უხაროდა, რომ ქუჩაში არავინ სცნობდა და, ამ სამოცდაა-თი წლის წინათ თავს რომ აბეზრებდა ყოველ ფეხის ნაბი-ჯზე, ყოველ მოსახვევში აღტკინებული ბრძო შეძახილებით: „გაუმარჯოს ამხანაგ ლენინს!“, „გაუმარჯოს პროლეტარიატის დიდ ბელადს!“ ახლა მსგავსი არაფერი ხდებოდა.

რა ბედნიერება იყო. ლენინს თავისუფლად შეეძლო ქალაქ-ში გავლა და თვალისთვის, რომ იტყვიან, წყლის დალევინება.

მოსკოველებს, ცოტა არ იყოს, მოწყენილი და დაბნეული სახეები ჰქონდათ.

ფოსტა-ტელეგრაფის ლამაზი შენობის თავზე, წითელ ნარ-მაზე დიდი, ყვითელი ბრონზეს ასოებით მოხატული ლოზუნგი ფართხუნობდა: „დავენიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთე-ბულ შტატებს!“

— რაღა დროს ეს ლოზუნგია. ჩემი ვარაუდით, ამერიკას ახლა კარგა ხნის გასწრებული უნდა ვიყოთ. ჩანს, ჯერ ვერ გაგვისწრია, რაკი ამ ლოზუნგის საჭიროება კიდევ არის, — გაიფიქრა ლენინმა და თავისი, ერთ დროს ნათელი, გონება დაძაბა. სცადა, გამოეცნო, რას შეიძლებოდა ხელი შეემალა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსთვის, რომ ექვს ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა მიეღწია ისეთი უბრალო მიზნისთვის, როგორიც იყო ხრნნა-დი იმპერიალიზმის მებაირახტრის — ამერიკის შეერთებული შტატების დაწევა და გასწრება.

იური დოლგორუკის ძეგლს რომ გაცდა, მარჯვნივ ჩაუხვია და გრძელ, ცალფა რიგს ჰკიდა თვალი. მოქალაქეთა დახვეული მწერივი შორს, პუშკინის ქუჩაზე ამოდიოდა და სასტუმრო მინსკის უკან, რომელიღაც ჩიხში იკარგებოდა.

— ვი ბუდეტე სტაიატ? — გამოკვეთილი აღმოსავლური აქ-ცენტით ჰკითხა წვრილთვალა, ნიჩაბსახიანმა, უქუდო, წყალ-მანკიანისახოსანმა კაცმა.

— რაზეა რიგი? — კითხვა შეუბრუნა ბელადმა.

რიგმა გადაიხარხარა.

— თქვენ რა, დგახართ და არ იცით, რაზე დგახართ? — წყრომით ჰკითხა პენსიონერისფრენჩიანმა მოხუცმა.

— ჯერ არ გადამიწყვეტია... საერთოდ... მაინც რას არიგე-ბენ? — არ დაიბნა ლენინი.

– ია ვას სპრაშივაიუ, ვი ბუდეტე სტაიატი, ილი ნეტ? უფრო გამოკვეთილი აღმოსავლური აქცენტით ჰკითხა იმ კაცმა, ვინც ამ სტრიქონების ავტორმა (შეიძლება შეცდა კიდეც) ერთ-ერთ იმ დელეგატთაგანს მიამგვანა, ამასწინანდელ საბჭოების ყრილობაზე განუკითხავად ყველაფერზე რომ მანდატს სწევდა: „თანახმა ვარ, თანახმა ვარო“ და ვინც ბლუუნა, მაგრამ ყელამდე მართალ სახაროვს სიტყვა შეაწყვეტინა და ტრიბუნა მიატოვებინა.

ეს ყოველივე ლენინმა, რასაკვირველია, არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რაკილა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან გაიღვიძა სამოცდათხუთმეტწლოვანი ძილის შემდეგ 1989 წლის 7 სექტემბერს.

– მაინც რაზეა რიგი? – აღმოსავლურაქცენტიანი დეპუტატი კვლავ უპასუხოდ დატოვა ლენინმა და გაცვეთილ თუ გახეხილჯინსიან, უზურგჩანთო ყმანვილს შეხედა.

– საპონზე ძიაკაცო, საპონზე და სარეცხ ფხვნილზე – არ დააყოვნა ყმანვილმა, პასუხი.

– რანაირ საპონზე?

– რას ჩაცივდით ბავშვს, – თავი გამოიდო იღლიაში ფუთა-ამორილმა, თავყბაშეხვეულმა დედაკაცმა – რა მნიშვნელობა აქვს, რა საპონი იქნება. თქვენ რა, ასარჩევად გაქვთ საქმე?!

ლენინმა კეპი შუბლზე ჩამოიწია, გულისჯიბესთან დაბნეული წითელი ლენტი მოიხსნა, ჯიბეში შეინახა და მძიმე ფიქრებში წასული გაშორდა რიგში მდგომ მშრომელებს, რომელთაც რიგის სიგრძისა და საპნის დარიგების დაწყების დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, საპონი ან მოუწევდათ, ან არა. ხოლო სარეცხი ფხვნილი, ინფორმაციას ჯერ რიგის ბოლომდე არ გამოეღწია, თორემ, უკვე გათავებული იყო.

ბევრი იხტიალა საღამომდე მოსკოვში ლენინმა და ბევრი ისეთი რამ გაიგო, რასაც საკუთარი თვალით რომ არ ეხილა, სხვას არ დაუჯერებდა. გაარკვია, რომ მის მიერ შექმნილ სახელმწიფოში სოციალიზმი უკვე აშენებული იყო, ხოლო აშენებული სოციალიზმის ქვეყანაში კარაქს, შაქარს და ყველს საბარათო სისტემით ისევე შეზღუდულად ურიგებდნენ მოქალაქეებს, როგორც მუშგლებინის პერიოდში საყოველთაო შიმილობის დროს. ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ ტრიკო-

ტაჟის ფაბრიკასთან ჩასვლისას; ჭიშკართან შეკრებილ მუშებს წააწყდა უშველებელი ტრანსპარანტით ხელში: „შემოუერთდით ტრიკოტაჟის ფაბრიკის ნიფხვების საამქროს გაფიცვას“. ლენინმა ვერაფრით ვერ წარმოიდგინა, რომ საბჭოთა მუშებს – სახელმწიფოს ფაქტობრივ ბატონ-პატრონებს შეეძლოთ გაფიცულიყვნენ. „ეს რა ღვთის რისხვაა, გაფიცვამდე როგორ მიიყვანეს ხალხიო“, გაიფიქრა ილიჩმა, რომელსაც ღმერთი, როგორ დაუკარგავ, არც რევოლუციამდე სწამდა და რევოლუციის შემდეგ მით უმეტეს.

სავალალო სხვა რამებიც იხილა პირველი ნომერი მანდატის მფლობელმა იმ დღეს, მაგრამ აქ აღარ აღვწერ. შემთხვევებს რაისაბჭოს აღმასკომთან შეგროვილ უბინაოებთან, მილიციის სამორიგეოში, ლუდის ჯიხურთან, კოოპერატივ „მიდი-მიდისთან“ და სხვა ადგილებში გვერდს ვუვლი, იმიტომ კი არა, თითქოს, მათი აღწერა რაიმე სიძნელეს წარმოადგენდეს. უბრალოდ „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ ავტორის ავტორიტეტს ვუფრთხილდები.

ექვსს აღარათერი აკლდა, როცა ლენინი მაიაკოვსკის ძე-გლთან არაფორმალთა უსანქციო მიტინგს დაესწრო. უსმინა, უსმინა და სიბრაზსირცხვილისგან აცახცახებული ნაძვს მიყრდნობილ, არლეკინის ჩაჩინ ბიჭს მივარდა.

ვინ ხართ, თქვენაო.

არაფორმალებიო, უპასუხა ბიჭმა.

რას მოითხოვთ კონკრეტულადო?

ბევრს არაფერს, არსებული წყობილების დამხობა გვინდაო. მერეო?

ჯერჯერობით ხელს გვიშლიანო.

დაჭერით არ გიჭერენო?

ვერ გავიგეთ, რა მკითხეთო, თავბურძგლა არაფორმალმა.

მე გეკითხებით ციხეში თუ გსვამენ-მეთქი.

არა ჯერო, დარცხვენით უპასუხა ბიჭმა, რომელსაც ჩანს, თვითონვე უკვირდა მისი და მისი თანამზრახველების წინააღმდეგ რეპრესიებს რომ არ მიმართავდნენ.

ნუ გეშინიათ, დაგიჭერენ მალე და თქვენც ნამდვილი რევოლუციონერის ცხოვრებით იცხოვრებთო, დააიმედა ბელადმა.

ლენინმა ერთ მგზნებარე გამომსვლელსაც მოუსმინა და

სიტყვა ითხოვა; უნდოდა სტრატეგიასა და ტაქტიკაში (გან-საკუთრებით ტაქტიკაში) შედავებოდა ორატორს, მაგრამ არა-ფორმალურმა სიტყვა არ მისცეს. სიტყვა არ მისცეს როგორც ლენინს კი არა (რასაკვირველია, ვერ იცნეს), სიტყვა არ მისცეს, როგორც სხვა, გარდასული თაობის წარმომადგენელს. რას იტყვის ეს ორმოცდაათს გადაცილებული, წითურ-ლაურ, გაურკვეველი რჯულ-რწმენის კაციო. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და კიდეც რომ ეცნოთ, არც იმაში ვარ ღრმად დარწმუნებული, რომ მარქსიზმის განმავითარებელ-განმადიდებელს, სწორუპოვარ კომუნისტს – ლენინს არაფორმალები თავიანთ მიტინგზე მიკროფონს დაუთმობდნენ.

მიტინგის დამთავრებას ალარ დაელოდა. ჯიბეში ხელებ-ჩაწყობილი ჩერარი ნაბიჯით დაეშვა გორკის ქუჩაზე, მაგრამ ძველი პროფესიონალის გუმანით იგრძნო, რომ მაიაკოვსკის მოედნიდან „კუდი“ გამოჰყვა, უცნობი, უქუდო, მოჭადრაკულ შარვლიანი, შავპერანგა კაცი შორიახლო, ფრთხილად მოჰყვებოდა.

ლენინი გაზეთის ჯიხურთან გაჩერდა და „პრავდის“ სალ-ამოს გამოშვება იყიდა. ესიამოვნა, რომ საყვარელ გაზეთზე მისი სახელი ენერა: „გაზეთი დაარსებულა 1912 წლის 5 მაისს ვ. ი. ლენინის მიერ“.

გაზეთი გაშალა და მარცხნივ გაიხედა, უცნობი უფრო უც-ნობი ღიმილით უახლოვდებოდა.

– ვლადიმერ ილიას ძევ, მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი თქვენთან შეხვედრაზე. თუ შეიძლება, ნახევარი საათი მაინც უნდა დამითმოთ.

ლენინმა საათზე დაიხედა. კაცმა რომ თქვას, არსად ეჩერებოდა, მაგრამ მაინც არ ესიამოვნა, რომ საათი გაჩერებულიყო.

დიდ თეატრამდე უსიტყვოდ იარეს. მარქსის ქანდაკებას-თან, პატარა სკერპში ჩამოსხდენ.

– გისმენთ, – ლენინმა უცნობს ირიბად გახედა და ორივე ხელი ძელსკამს ისე გადაადო, როგორც გორკაში უყვარდა ხოლმე დასვენებისას.

უცნობი ოცდაათიოდე წლისა იქნებოდა. შავი წვერი ნი-კაპისკენ წაწვეტებულად, ლამაზად შეეკრიფა. ლაპარაკის

დროს „ლ“-ს რბილად წარმოთქვამდა. თუმცა ძალიან ცდი-ლობდა ხმის დაბოხებას, მაინც გალახული, დაფხრენილი ხმა ამოსდიოდა. ამგვარი ხმა მთელი ლამე ყივილით დაღლილ ახ-ალგაზრდა მამლებს აქვთ (ჩვენში მამლაყინწებს ეძახიან).

– კმაყოფილი ბრძანდებით? – შორიდან, იდუმალი ჩურ-ჩულით ჰკითხა უცნობმა და ლენინს მოეჩვენა, რომ შეკითხვის ინტონაციაშივე იდო ბრალდება, რისაც ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად ეშინოდა.

– ეს სოციალიზმი არ არის. ეს რაღაც სხვაა. ხოლო რაც არის, აღმაშფოთებელია, – მიუგო ლენინმა.

– მერედა ვისი ბრალია? – თვალი გაუსწორა უცნობმა – თქვენი. ასე არ არის?

– ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ. თუ ჩემთან პროვოკა-ციულ საუბარს აპირებთ, ავდგები და წავალ.

– დამიჯერეთ, თქვენდამი ლრმა პატივისცემით ვარ გამ-სჭვალული, მაგრამ, რასაც ვფიქრობ, ხომ უნდა გითხრათ?

– ბრძანეთ, მაგრამ მეც ხომ დამიტოვებთ უფლებას, უს-აფუძვლო ბრალდებებში არ დაგეთანხმოთ?

– რასაკვირველია. მაშ ასე. თქვენი ბრალია-მეთქი ეს სა-მოცდაანლოვანი არშემდგარი ექსპერიმენტი, რომ ვამბობ, იცით, რას ვგულისხმობ?

– რას?

– მარქსიზმს იმთავითვე ჰქონდა ხარვეზები, რითაც იგი მის მიერვე განადგურებული, უტოპიური მეცნიერებებისგან ბევ-რად როდი განსხვავდებოდა. სახელდობრ, შეცდომა იყო კლას-თა შეურიგებლობის თეორიის ქადაგება, რაც თავისთავში საყ-ოველთაო სისხლისლვრის და სოციალურ ფენათა შერიგების უპერსპექტივობას ნიშნავს. სხვა ნაკლიც გითხრათ?

– დიახ, – ლენინმა თითები ერთმანეთს გაუყარა და მარ-ჯვენა მუხლს შემოაჭდო.

– მარქსიზმის მეორე დიდი შეცდომა იყო კერძო საკუთრების წინააღმდეგ გალაშქრება, ხოლო მესამე ყველაზე დიდი შეც-დომა – ლამის უსამშობლო, უეროვნებო მოქალაქის აღზრდის-კენ მოწოდება.

– ნება მომეცით, ჩემს ძველ კამათებს ალარ დავუბრუნდე. თქვენ ახალი არაფერი გითქვამთ, მარქსიზმის მსგავსი რევი-

ზიების გაბათილებას ბევრი დრო მოვანდომე თავის დროზე, მაგრამ თუნდაც მართალი იყოთ, მარქსიზმის ცოდვებს მე რატომ მანქრო?

– იმიტომ რომ, თქვენ ის ხარვეზები, თქვენის მხრივ, გააღრმავეთ და ახალი, ყველაზე მთავარი, შეცდომა დაუმატეთ – ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა. ხომ დარწმუნდით დღეს, რა დღეშია გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა?

– რატომ ფიქრობთ, რომ თეორიაა დამნაშავე და არა იმ თეორიის გამრუდებული ხორცშესხმა?

– რაკი ასეა, ჯერ იმას მოგახსენებთ, რომ თქვენმა თეორიულმა სისტემამ არ გაამართლა. პრაქტიკაში იგი ვერ განხორციელდა, ხოლო თუ არ გეწყინებათ, ახლა იმის თქმას შეგბედავთ, რომ გამრუდებასაც (თუ რამე გამრუდდა) თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი.

– სახელდობრ?

– პირველივე თქვენი დეკრეტები ხალხის მოტყუება იყო და მეტი არაფერი. დეკრეტი მინის შესახებ არ იყო დიდი აფიორა? თქვენ ხომ მაინც იცით, რომ იმ დეკრეტით არავითარი მინა გლეხებს არ მიუღიათ, პირიქით, რაც ჰქონდათ, ისიც წაართვეს. ხოლო რაც შეეხება ფაბრიკა-ქარხნების მუშებისთვის გადაცემას, ესეც ქიმერა იყო. არც ერთი დღით, ამ სამოცდაათი წლის მანძილზე, მუშისა არაფერი ყოფილა ხელისგულზე საკუთარი ბერბერების გარდა.

– მერე და მე რა შუაში ვარ? რატომ დროზე არ მიხედა ხალხმა თავის საქმეს? თუ ასე იყო, ტაშყიუინით რაღას მოგვყვებოდნენ. ხალხის, საბჭოების ძალაუფლება, ჩემ მიერ გამოგონილი, განა მათ საშუალებას არ აძლევდათ ძალაუფლებაც აეღოთ და სისტემაც შეეცვალათ?

– თქვენ საბჭოების ძალაუფლების ლოზუნგს რომ აყენებდით, მაშინვე შშვენივრად იცოდით, რომ არავითარი ხალხის ძალაუფლება, ამ სიტყვის უფართოესი გაგებით, ბუნებაში არასოდეს არ არსებულა და მუშებსა და გლეხებს არასოდეს არც ერთ ქვეყანაში არ უმართავთ სახელმწიფო. მით უმეტეს, შეუძლებელი იყო ეს ჩვენს ურთულეს, მეოცე საუკუნეში.

– ძველი საბერძნეთი? იულიუს კეისრის რომი?

– ჯერ ერთი, ლაპარაკია სრულიად სხვა ეპოქაზე და სხვა გეოგრაფიულ-ეკონომიკურ მასშტაბებზე. ხოლო როცა იულიუს კეისარს ახსენებთ, მისი ბედიც უნდა გაიხსენოთ. ისტორიიდან კეისრის მსგავსად წასვლა არც თქვენ და არც თქვენს მემკვიდრე სტალინს არ გსურდათ.

– მე არ ვიცი, რა გააკეთა სტალინმა თავისი ძალაუფლების განმტკიცებისთვის – მე კი ყოველთვის ვცდილობდი, დემოკრატი, კაცთმოვარე, დაჩაგრულთა ქომაგი ვყოფილიყავი.

– და თქვენ მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ტერორისტული, დაცემისა და გადატრიალების გზით, ძალის გამოყენებით წაართვით ძალაუფლება მათ, ვინც ჭეშმარიტი რევოლუცია მოახდინეს. მხედველობაში მაქვს თებერვლის რევოლუცია, თქვენ მიერ „ბურჟუაზიულად“ წოდებული და არა ოქტომბრის რევოლუცია, რომელიც ფაქტობრივად, არ ყოფილა. ერთ მუჭა შეთქმულთა ბუნტი იყო იგი და სხვა არაფერი.

– როგორ გეკადრებათ, ზამთრის სასახლე ამბოხებულმა, ილაჯგანყვეტილმა მუშებმა და ჯარისკაცებმა აიღეს.

– თქვენ და თქვენი თანამზრაცხელების მეთაურობით. ეგზალტირებულ, პროპაგანდა-მოწოდებებით გაბრუებულ ბრძოს მეტის გაკეთებაც შეუძლია. იცით თუ არა, რომ თქვენ მიერ დაარსებულ ინტერნაციონალურ სახელმწიფოში უკეთესი ცხოვრების ლოდინით დალლილი, მოტყუებული ერები, სისხლისლვრის მოსურნე ლიდერთა შეგულიანებით ერთმანეთს დაერივნენ? წაიკითხეთ „პრავდა“, დღევანდელი, ახლა რომ შეიძინეთ და ნახავთ.

– ეს წარმოუდგენელია. ამ ფაქტს ახსნას მარქსი და ენგელსიც ვერ უპოვიდნენ.

– წარმოუდგენელი არაფერია. ერი ყველაზე მჭიდრო სოციალურ-ეთნოგრაფიული ერთეულია. თქვენ მიერ ლიბოდადებულმა ერთა გათქვეფის პოლიტიკამ მიგვიყვანა აქამდე. ერებმა გაიღვიძეს და, ნუ გაამტყუნებთ, თუ სიკვდილი და გაქრობა არავის უნდა.

– მაგრამ ძალის გამოყენებით შევინარჩუნებთ არსებობას?

– როცა სიტყვა არ სჭრის, როცა ერის ტკივილს უყურადღებობის ცივი კედელი ხვდება, ხალხი ქუჩაში გამოდის. იარაღის

გამოყენებით პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა კი, აბა კარგად გაიხსენეთ, თქვენგანა აქვს ნასწავლი მსოფლიოს.

— იქნებ გაიხსენოთ რას სწერდნენ ჩემზე ჩემსავე სიცოცხლეში უცხოელი დიპლომატები, როგორც ახალი ტიპის ხელმძღვანელზე და ჰუმანიზმის ერთგულ გუშაგზე.

— სწერდნენ, იქნებ იმიტომ, რომ მართლაცდა კაცომოყვარეობის პრინციპები ჩაეგონებინათ თქვენთვის. ესეც არ იყოს, მსოფლიოს დიდხანს ეშინოდა პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი. აბა გულში ჩაიხედეთ, ჰუმანიზმის დიდი გამოვლენა იყო ნიკოლოზ მეორისა და მისი უდანაშაულო ოჯახის დახვრეტა?

— ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახის წევრები ცოცხლები რომ გაგვეშვა, ისინი ყოველთვის საფრთხე იქნებოდნენ ნითელი რუსეთისთვის. ჩემი ვარაუდით, ახლაც ბევრი იქნება საზღვარგარეთ მონარქიის აღდგენის მოსურნე.

— იცით, რა ბედი ენია ტროცკის?

— რა?

— თქვენს მიერ იუდუშვად წოდებული ტროცკი თქვენმა მონაფემ სტალინმა როდი დახვრიტა, საზღვარგარეთ გააძევა.

— აღბათ, მაშინ სხვა პოლიტიკური ვითარება იყო.

— არცთუ ძალიან განსხვავებული. ტროცკი ხომ გაძევებული ლიდერი გახლდათ და არა მარტო ილანძლებოდა საზღვარგარეთიდან, ახალ მთავრობასაც ჰქმნიდა. სხვათა შორის, იუდუშვამ ემიგრაციაში დიდხანს იცოცხლა, მაგრამ სტალინს მისი არ შეშინებია. თქვენ კი შეგეშინდათ ნიკოლოზ მეორის.

— პოლიტიკური ბრძოლა მოწინააღმდეგის მოსპობასაც გულისხმობს. ამის მაგალითები ისტორიაში ბევრი იცის.

— იცის წყეული შუასაუკუნეების ეპოქაში, ახლა როგორ შეიძლება განსხვავებული შეხედულებისთვის კაცის განადგურება. მით უმეტეს, თქვენ ეს როგორ იკადრეთ.

— ვთქვათ, ნიკოლოზ მეორე ჩემს სინდისზეა. სხვა?

— არც სხვა ვითარებაში დაგიხევიათ უკან რეპრესიებისგან. თქვენი ბრძანებით შეიქმნა პოლიტიკურ პატიმართა ბანაკები ციმბირში. თქვენი მრისხანე რეზოლუციები საყოველთაოდ ცნობილია.

— სხვანაირად ვერ გადავარჩენდით ახალდაბადებულ საბჭოთა სახელმწიფოს.

— სამწუხაროდ, ნახევრად მკვდრადშობილს, მისი გაცოცხლება-ფეხზე დაყენების ავმა ექსპერიმენტებმა თაობათა სიცოცხლე შეიინირა. თქვენი ბრძოლა არც თქვენი მოღვაწეობის დასაწყისში ბრწყინვადა დიალოგისა და დემოკრატიის ჯენტლმენური პატივისცემით.

— მაგით რა გინდათ თქვათ?

— ჩახედეთ თქვენს წერილებს. რა ზიზლით, ცინიზმით დამამცირებელი ეპითეტებით ელაპარაკებით გუშინდელ თქვენს მეგობრებს და დღეს განსხვავებული შეხედულების მქონე თეორეტიკოსებს. თქვენ — წიგნის კაცი დაუნდობელი ხართ მოწინააღმდეგებები ბანაკში მყოფი წიგნის კაცების მიმართ. დასკინით, ათასირებთ, ემუქრებით, აბიაბრუებთ, არასაკადრისი ილეთებით კამათობთ.

— მაგრამ იმ კამათებში პროლეტარიატმა უცილობელ ჭეშმარიტებად სწორედ ჩემი აზრები მიიჩნია.

— რომელმა პროლეტარიატმა? რომლის დიქტატურაც დაამყარეთ? ჯერ ერთი, როგორ შეიძლებოდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. დიქტატურა ხომ სათავეშივე თრგუნავს დემოკრატიას, მაგრამ რომ არც პროლეტარიატის დიქტატურა გამოგივიდათ? ეს იყო თქვენი, ერთი მუჭა შეთქმულთა დიქტატურა და სხვა არაფერი. პროლეტარიატი თქვენ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მეორე დღესვე დაიქნიეთ და მოიშორეთ.

— არ არის მართალი. ჩემი კაბინეტიც კი მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ადამიანებისგან შედგებოდა. ჩემი სიკვდილის შემდეგ, აღბათ, დემოკრატიული საწყისები ამ მიმართულებით უფრო განვითარდა.

— როგორ არა. მეტალურგიის პრობლემებს წყვეტდა სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც მეტალურგია მხოლოდ მოწოდებების დონეზე იცოდა, მე აღარას ვამბობ ვოროშილოვის, ბუდიონის, კაგანოვიჩის, ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის „ღრმა განსწავლულობასა და პროფესიონალიზმზე“.

— იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ უბრალო ადამიანთა წიაღში წიჭიერი სახელმწიფო მოღვაწენი არ მოიძებნებოდა?

– როგორ არ მოიძებნა, მაგრამ ვინ მიუშვა ისინი სახელმწიფოს საჭესთან. ბოლო დრომდე, სახელმწიფოს, ღრმა მოხუცობამდე თითქმის ერთი და იგივე ხელისუფლური წრის წევრები მართავდნენ მორიგეობით. უნდა გითხრათ, რომ ისინი თქვენი და სტალინის უერთგულესი მიმდევრები იყვნენ, მიუხედავად იმისა, გარეგნულად ამჟღავნებდნენ ამას თუ არა. პო მართლა, პიროვნების კულტზე, რა აზრისა პრძანდებით?

– უარყოფითის. პიროვნების კულტი, ვისიც არ უნდა იყოს იგი, უაზრობაა და საზოგადოების დაბალი დონის მაჩვენებელი.

– იცით თუ არა, რომ თქვენი სიკვდილის შემდეგ თქვენგან ისეთი კულტი შექმნეს, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს? ისე გაგალმერთეს, რომ უხერხულიც კი თქვენვე გელაპარაკოთ ამის შესახებ. პეტრე პირველის დაარსებულ ქალაქს თქვენი სახელი დაარქევს. ქვეყანა გაავსეს თქვენი სახელობის დაბებით, ფაბრიკა-ქარხნებით, ინსტიტუტ-უნივერსიტეტებით; პრემიებით, ძეგლებითა და ბიუსტებით, ქუჩა-სკვერებით... ესეც არ გაკმარეს, ადამიანურად დამარხვაც კი არ გაღირსეს, მავზოლეუმი აგიშენეს და ეგვიპტის ფარაონთა მაგალითისამებრ მავზოლეუმში დაასვენეს თქვენი მუმია. მოგენოვნებოდათ ეს ყველაფერი რომ გცოდნოდათ?

ლენინმა ორივე ხელი საფეთქლებზე შემოიდო და ასფალტს დააჩერდა.

შუალამემდე ისაუბრეს და მერე სხვადასხვა მხრივ გაეშურნენ.

ლენინი მავზოლეუმში აღარ დაბრუნებულა.

საბჭოთა ხელისუფლებას ძებნა არ გამოუცხადებია. იფიქრეს; ჯერ ერთი, მავზოლეუმიდან ბელადის გაქრობა ჩვენი პროპაგანდის დიდი მარცხია, რასაც უცხოეთის საინფორმაციო ორგანოები თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ, მეორეც; შესაძლებელია, ახალი სოციალისტური ერთობა – საბჭოთა ხალხი ამ ფაქტის გამო სასოწარკვეთამ შეიძყროს და...

მავზოლეუმი უვადო რემონტზე დააყენეს.

ვიცი

იცით რა, ჩვენ, „სხვაგვარად მოაზროვნებს“ რომ გვეძახან, თვითონვე შეგვემნეს, თვითონვე გამოგვიგონეს და ახლა თვითონვე გვებრძვიან. როგორც ჩანს, მოწყენილები იყვნენ უჩვენოდ. მათაც ხომ სამსახური აქვთ. მათი სამსახური ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაა და ჩვენ თუ არ ვიქნებით, მათი არსებობა აზრს დაკარგავს. ხომ ასეა. მაპატიეთ, არეულად გელაპარაკებით. უკეთესია, ჩემს თავზე ვიტყვი და ყველაფერს გაიგებთ.

ხომ მხედავთ, ერთი გალეული გოგო ვარ. სამი წლის წინ რა ვიქნებოდი. უფრო გამხდარი და გამწილკული. სკოლა დავამთავრე და იმ ნელს რაკი ვერ მოვენეყ, კურსებზე დავდიოდი. საერთო კურსები რომ არის, ოცდაჩვიდმეტ მანეთს რომ იხდი წელიწადში. რა მექნა აბა, რეპეტიტორისთვის მისაცემი ათასი მანეთი სად ჰქონდა დედაჩემს.

ორზე მეწყებოდა მეცადინეობა და ხუთზე მიმთავრდებოდა. ვჯდებოდი ავტობუსზე და გურამიშვილის ქუჩის გავლით მივეშურებოდი შინისაკენ. ეს იყო ჩემი მარშრუტი. ერთ დღეს, იპოდრომთან რომ ჩავიარე, შესასვლელთან ხალხი ირეოდა. ვიღაცამ თქვა, სანქციონებული მიტინგია. ჩამოვედი ორჯონიგიძის ძეგლთან და უკან დავბრუნდი. მაინტერესებდა, რა მოხდებოდა, რაზე იკრიბებოდა ეს ამდენი კაცი. შევალ ცოტა ხანს დავუგდებ ყურს და გამოვიცევი სახლისკენ-მეთქი. ბავშვური ცნობისმოყვარეობა, მოგეხსენებათ.

რა იყო ჩემთვის იმდღევანდელი მიტინგი? შეიძლება ბევრი ვერაფერი გავიგე, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მოხიბლული დავრჩი. მომენტია რომ გამომსვლელები იმას არ ამბობდნენ, რაც ყოველდღე მესმოდა. მომენტია ისიც კი, რომ დროშებს აფრიალებდნენ, ვიღაცას არ ეთანხმებოდნენ, ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ.

მიტინგის მონაწილეებს მიკროფონი რომ გამოურთეს და უმიკროფონოდ ორატორები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ



ამ ამბავმა გამაპრაზა. სხვა რა შემეძლო, ტუჩზე ვიკბინე და ცრემლები წამსკდა.

ჩემი კბილა ბიჭი დარბოდა და იქ მყოფთ რაღაც ქაღალდზე ხელს აწერინებდა. ვიცნობდი იმ ბიჭს. ჩემი სკოლელი გახლდათ. ერთი კლასით წინ სწავლობდა. ახლაც ისევ ისეთი იყო, როგორც სკოლიდან მახსოვს, ფართოსათვალებიანი და ჩემსა-ვით კაფანდარა.

ერთი სული მქონდა, ჩემთანაც მოსულიყო და ხელის მოწერა ეთხოვა. მართლაც ჯერ შორიდან მიყურა, ორჯერ ირგვლივ შემომიარა, მათვალიერა, მერე პირდაპირ წამოვიდა, მომესალმა და ქაღალდი გამომიწოდა. რასაკვირველია, მოვაწერე. არც წამიკითხავს, რა ეწერა. თქვენ უნდა გაიგოთ ჩემი მაშინდელი განწყობილება. ხელმოწერებს აგროვებენ. მეც დავჭირდი საზოგადოებას. თურმე ჩემს ხელმოწერასაც მნიშვნელობა ჰქონია. დამაფასეს, ხელის მოწერა მთხოვეს. არ ვისარგებლებდი ჩემი თავის დამკვიდრების ამ შემთხვევით? მოვაწერე კიდეც ხელი და ამაყადაც მიმოვიხედე იქეთ-აქეთ. შემოძებელთ, რა ყოჩალი გოგო ვარ-მეთქი.

მიტინგი რომ დამთავრდა და შინისკენ მოვაბიჯებდი, იცით? რაღაც სხვანაირი მეჩვენებოდა ჩემი თავი. ჩემი საიდუმლო მქონდა, სადღაც ჩემი ხელმოწერაც იყო. პიროვნება იღვიძებდა ჩემს არსებაში. გამვლელ-გამომვლელებსაც, ცოტა არ იყოს, მედიდურად შევცეროდი. თითქოს ქვეყნისთვის ბრძოლის ფერხულში ჩავდექი მეც და რაღაც უპირატესობა მქონდა ქუჩაში მოსიარულეთა მიმართ.

დედაჩემისითვის, რა თქმა უნდა, არ მითქვამს ხელმოწერის შესახებ, ღმერთო შეგცოდე და რომ ეკითხა, ვერც ვეტყოდი, რადგანაც, როგორც მოგახსენეთ, ქაღალდი, რომელსაც ხელი მოვაწერე, არ წამიკითხავს.

ამ ამბიდან ორი თვეც არ გასულა, დედაჩემი ერთ სალამოს გაფითრებული დაბრუნდა სამსახურიდან. ჩამიყვანა ეზოში და ისე, რომ ჩემთვის არც შემოუხედავს, ალაპარაკდა: „ეგლა მაკლდა ახლაო. ისედაც ძლივს მივასახულებ ამ წუთი-სოფელს და შენი სისულელები მაკლდა ახლაო“. „რა მოხდა დედიკო-მეთქი“. ფიქრით გავირბინე წინა დღები. თითქოსდა

სისულელე არაფერი ჩამიდენია, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ საქმე ჩემს ხელმოწერას შეეხებოდა. ან როგორ ამოიცვნეს, გაკრულად მოვაწერე. „რაო და მომაკითხეს დღეს სამსახურში და ერთსაათიანი ნატაცია მიკითხესო. ასე ზრდით, თქვენ, შვილსო? რა უნდა ღლაპს მიტინგზე და როგორ გაბედა კანონის საწინააღმდეგო ქაღალდზე ხელმოწერაო. რამ მოგაწერინა შვილო ხელი, რა შენი საქმე იყო დემონსტრაციების წინააღმდეგ ვის გამოიყვანდნენ. როდის იყო რევოლუციაში რომ ერეოდი. ეს მინდოდა ახლა სამსახურში? ისედაც შემცირებები დაიწყო. თუ გვონია, დაგვინდობს ვინმე? მამა გადგას თავზე, თუ ვისი იმედი გაქვსო?“

შემეცოდა დედაჩემი. ყოველ შემთხვევისათვის ცოტა მოშორებით ვიდექი, თმებში არ მწვდეს და მეზობლებში თავი არ მომჭრას-მეთქი. გულში გამეხარდა კიდეც, რომ ხელი დემონსტრაციების დარბევის საწინააღმდეგო ქაღალდზე მომიწერია. სააკაძის მოედანზე ცემა-ტყების ამბავი რომ გავიგე, ორი დღე შიშით სახლიდან არ გამოვსულვარ. რაკი შევატყვე, დედაჩემი ცემას არ მიპირებდა, გავთამამგულიანდი: „ნუ სცემენ უდანაშაულო ხალხს ქუჩაში და არავინ მოაწერს ხელს. აბა, რა ეგონათ, ბოლოს და ბოლოს ხალხს ადამიანური ცხოვრება მოენატრა-მეთქი“. დედაჩემმა მიყურა, მიყურა (თქმით არაფერი უთქვაშს), ამოიხორა და გატრიალდა. კიბეზე მძიმედ, თავდახრილი ადიოდა და მკლავებზე ხელებს ისვამდა.

ამის შემდეგ სამი წელი გავიდა. იმ ზაფხულს მისაღებ გამოცდებს რომ ვაბარებდი, ხმა გავარდა: ვინც დემონსტრაციებზეა შემწინეული, არ მიიღებენო. გადასარევადაც რომ ჩაბაროს, ნახევარ ნიშანს მაინც დააკლებენ და გარეთ დატოვებენო. ცოდოს ვერავისას დავიდებ, მაგრამ იმ წელს სწორედ ნახევარი ნიშანი დამაკლდა. შარშანაც ჩავაპარე, შარშან მეორე გამოცდაზე ჩამჭრეს. ქართულ ზეპირში ორი წელი ხუთებს მიწერდნენ. შარშან ჩამჭრეს. თქვენ რომ ყოფილიყავით ჩემ ადგილზე, რას იფიქრებდით?

ამათ ჩემი არაფერი აღარ უნდათ-მეთქი და, გითხრათ სიმართლე, მოვუხშირე მიტინგებზე სიარულს. ადამიანის უფლე-

ბებისათვის მებრძოლი პარტიის წევრიც გავხდი. ანი უკან
დახვევას არ ვაპირებ.

ამ სამი თვის წინათ დედაჩემს, ახლა უკვე მერამდენედ,
მიაკითხეს და როცა დედაჩემმა იფრინა, „მე თავი გამანებეთ,
უკვე ბავშვი აღარ არის, მას ელაპარაკეთო“, მეორე დღესვე
დედაჩემი დააქვეითეს, ბრიგადირად მუშაობდა და რიგით
მქსოველად გადაიყვანეს.

ასე მაქციეს იმად, რაც ვარ ახლა. ჩემი ბრძოლა, უპირველეს
ყოვლისა, ჩემი უსაბუთო დევნის პასუხია. გამოუცდელმა,
ჩვიდმეტი წლის გოგომ რაღაცას ხელი მოვაწერე, ამისთვის
ანგარიშის გასწორება უნდა დაეწყოთ ჩემთვის? რომელი სახ-
ელმწიფო დამნაშავე მე ვიყავი. ჩემი ბრძოლა უმწეო დედაჩე-
მის გამწარების გამოძახილია. როგორც გნებავთ, ისე გაიგეთ.

იმ დღეს გულუბრყვილო გოგომ სხვათა წამხედურობით
მიტინგზე რომ შევირბინე, არც საერთოდ ვიცოდი რა ხდე-
ბოდა და, მით უმეტეს, არც ის ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა.

ახლა ყველაფერი ვიცი.

1988



თოჯინების თეატრი

ფერგაცრეცილი, შემკრთალ-შეშინებული, ხმამისუსტებუ-
ლი, ილაჯგაწყვეტილი, დაღლილ-გასავათებული დგახარ ახლა
ჩემ წინაშე და ძუა-მახეზე დაკიდებული შაშვივით მი და მო
აწყდები.

დამთავრდა ყველაფერიო, ჩემი ცოდვა მიეცეს, ვინც ამ თო-
ნეში ჩამაყოფინა თავიო, არ ვიყავი გაჩენილი სამისოდ მეო,
რა ვქნა ახლა, რა წყალში ჩავვარდეო.

არ გეგადრება, პოლიტიკაში ფეხჩადგმულ კაცს, ეგ ლაპარაკი.
არ გჭირს საკართაგენო ამბავი ჯერ მენ.

რომ ჩამოეკიდე ჯარს და პოლიციას, არიქა მიშველეთო,
არც ეგაა ჭკვიანი მმართველის საქციელი.

ჯარის და პოლიციის დამყარებული წესრიგი უარყოფით
რეაქციას იწვევს ხალხში და ხვალინდელი, უფრო დიდი
არეულობისთვის განაწყობს.

ესეც არ იყოს, ისინი, ვისაც შენ მოწინააღმდეგედ თვლი,
ჯარშიც და პოლიციაშიც ადვილად შეაღწევენ. ასე რომ, ხვალ
და ზეგ შენი დამცველები აღარც სანდონი იქნებიან და ძალაც
აღარ ექნებათ წესრიგის დამყარების.

მმართველის საქმე ცუდად მაშინ არის, სასოწარკვეთილ
თვალებს დამსჯელ ექსპედიციებს რომ მიაპყრობს; გადამარ-
ჩინე, ვიღუპებიო.

გადამრჩენი ამას მშვენივრად იმახსოვერებენ. შიშს რომ
დაგიჭერენ თვალებში, ამით შენ სისუსტეს ჩაავლებენ და თუ
იმ დღეს გიხსნეს, მეორე დღეს შენკენ მოაბრუნებენ იარაღს.
გამოცდილია ეს.

ჯარს და პოლიციას ისე უნდა უყურებდე, როგორც შენი
ნების, შენი ბრძანების აღმასრულებელთ და მათთან სათათ-
ბირო მაგიდას არასოდეს უნდა მიუჯდე.

სულერთია, ისინი ჭკვიანურს ვერაფერს გირჩევენ. გუშინ-
დელი მაგალითიც მშვენივრად მეტყველებს ჯარის გენერ-
ლების ჭკუანაღრძობობაზე.

დაჯერი და მომისმინე ყურადღებით.

ცალ ფეხზე დგომა და წუნუნი ახლა არ გამოდგება. ჩაჯ-დომა და განსჯაა საჭირო.

მე იმისათვის მოვედი, რომ გიშველო. ჯერ ერთი ჩემს ხელ-ში გაზრდილი ბავშვი ხარ და, სხვა არა იყოს რა, ვალდებული ვარ, განსაცდელს გამოგარიდო. მეორეც, მეც ვურევივარ შენს აღზევებაში და შენი დამარცხება ჩემი დამარცხებაა.

ისტორია, რასაკვირველია, გამამტყუნებს ამ ნაბიჯისთვის, მაგრამ მე სხვა გზა არა მაქვს. შენთვის ერთ დროს ხალათის ბოძება მაინც მე დამბრალდება.

ამას რომ თავი გავანებოთ, წლები აღარ მყოფნის სხვა ცხოვრების დასაწყებად.

იცოცხლე, კარგი იყო მეც და შენც სხვა საუკუნეში დავ-აპადებულიყავით, მაგრამ რაკი საამეპოქოდ გაგვწირა განგე-ბამ, რა გაენყობა, უნდა გავძლოთ.

ჩემი ბედი შენსაზე ბევრად უარესია.

შენ, დამარცხებული თუ გამარჯვებული, შენს მიწაზე მაინც დგახარ, მე კი... ისეთი დრო მოდის, სამშობლოში დამარხვის ჩემი ანდერძის შესრულებაც იქნებ საეჭვო გახდეს.

მოვემვათ ახლა ამ სევდიან ფიქრებს და რაც გვჭირს, იმას მივხედოთ.

ჩვენ არაფერ შუაში ვართ. გარემოებამ მოიტანა ყველაფერი. ერთ კაცს და მე გვადანაშაულებენ; ხალხს აპეურები უდროოდ შეხსენით, ქვეყანა დაშლა-დარღვევის კარამდე მიიყვანეთო, მაგრამ არ დაიჯერო, არ არის ეგრე.

მე, მადლობა ღმერთს, მიცნობ, დიდად გულჩილი და ლიბ-ერალი რომ არ ვარ, არც ის ჩემი ამხანაგია მაინცდამაინც დემოკრატი. დააკვირდი, როცა ოდნავ მაინც გაანერვიულებენ და, ნახე, რა ელვა-კესა უდგას თვალებში. ან რა რისხვა-ზიზღით უკანკალებს ყბასითათი.

ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. მოგვიგო მსოფლიომ ეკონო-მიური ომი. ვალებში ჩაგვითრია, მოგვაღორა და შიმშილის საფრთხის წინაშე მდგართ თავისი ნება გვიკარნახა.

თუ დემოკრატიას არ დაუშვებ და ევროპას ხელს არ შეუშ-ვებ, ბლოკადას მოგიწყობთო.

ჩვენ შიმშილზეც წავიდოდით ბოლოს და ბოლოს.

ჩვენს ისტორიაში შიმშილით მიღიონების ამოხოცვის მაგ-ალითიც გვქონდა, მაგრამ ახლანდელი შიმშილი სხვაა. რწმენა-დაკარგული იმპერია პირველს ჩვენ ჩამოგვიდებდა ხეებზე და, ამიტომ მივყევით დინებას.

მივყევით დინებას, მაგრამ ასე ღრმად შეტოპვა როდი გვქონდა გადაწყვეტილი.

ჩვენ მიერ მოგონილი სატყუარა პატარა, მოსაჩვენებელი რე-ფორმების ჩატარებისა, რისხვად და ნიაღვრად დაგვიპრუნდა.

მონაცოფილმა ერთბაშად მოინდომა გაცდენილი სამოცდაა-თი წლის გარბენა და კეისრის ტახტი. ჩვენ ამ პირველი შეც-დომის, პირველი ელდის შემდეგ სწრაფად მოვეგეთ გონს და უკვე ვიცით, რაც გვინდა, რაც უნდა დაგვიჯდეს, ქვეყანა ძვე-ლი კალაპოტისკენ უნდა გავაჩორით, პარტიას და საბჭოთა უწყებებს გარეგნული იერი, ფორმახალუხი შევუცვალოთ და მართვის სისტემა იგივე დავტოვოთ.

ახლა, მალე, დოყლაპია გუბერნატორების ხელდასმით ახალ ხელშეკრულებას გავაფორმებთ და ყველაფერი რიგზე იქნება.

თუ ეკონომიურად ცოტა მაინც წამოვიდგით წელი და მთ-ლად დასავლეთზე აღარ ვიქენით დამოკიდებული, გაქცეულ ევროპასაც მოვუვლით, როგორც საჭიროა.

ჩვენ ჩვენი საქმე ვიცით, მაგრამ ოპოზიციამ წამდვილად არ იცის, რა უნდა, რა გზას ეწიოს. დენზე ჩართულივით ძიგ-ძიგებენ ნიადაგ და ხალხის ნდობა-ენერგიის ორკაპიკიან საქ-მეზე ხარჯავენ. პოლიტიკაში უთავბოლო ყვანცალი როგორ შეიძლება?

ისევ შორს გამიტყუა ფიქრმა. ქართველი კაცის ერთი ნაკლი ისიც არის, რომ ნიადაგ მსოფლიო პრობლემებზე უყვარს ბაა-სი და თავისი დარდი ჭიშკრამდეც არ მიჰყება. მით უმეტეს, თუ სახელმწიფო ფრთხები მიეცი ჩვენებურს. მაღლა და მაღ-ლა აფრინდება და მაღლიდან ეს ჩვენი პანანინა ქვეყანა, ეს დალოცვილი, ჩიტის ბუდედღა მოჩანს.

კარგად დამიგდე ყური და როგორც გირჩევ, ისე იმოქ-მედე, თუ გინდა, ცოტა ხანი მაინც მოათიო ამ ადგილზე. ახლა დროის გაყანა, გაძლებაა მთავარი. მართალია, არც ისე კარ-გადაა ჩვენი საქმე, ჩვენ რომ გვინდა, მაგრამ არც ისე ცუ-დადაა, სხვებს რომ ჰსურთ. ჯერჯერობით იქეთა მხარე ჩვენ-

კენაა. ყოველ შემთხვევაში იგი კარგა ხანს ვერ გაბედავს ჩვენს საქმეში ჩარევას.

პირველი, რაც ხვალვე უნდა გააკეთო, დაპატიმრებული ლიდერები უნდა გაუშვა. ჩემთვის რომ გეკითხა; არავითარ შემთხვევაში არ გირჩევდი მათ დაკავებას. ახლა ხალხი ისეა აქორილი, რომ ლიდერების ციხეში ჯდომის დრო არაა.

ხალხი ამ ნაბიჯს (ლიდერების გაშვებას) თავის გამარჯვებად ჩათვლის და ახალი აქციებისთვის შეგულიანდება. აი, შენი შეცდომის შედეგი. ბრძოსთვის თავისი ნების გატანის მაგალითი და პირობა არ უნდა შეგექმნა. ახლა გვიანაა ამაზე ლაპარაკი. რაც მოხდა, ველარ დაბრუნება.

ხვალიდანვე უნდა გაიკეთოთ უნიათო, შემკრთალი, მიმყოლი ხელისუფლების ნიღაბი და, რამდენადაც მოგიხერხდებათ, წაყრუების, გაჭიანურების პოლიტიკას უნდა დაადგეთ.

მოძრაობა როგორც თვითონვე მალე მონათლავენ, „ახალ ფაზაში“ შევა. ახლა მთვლემარე, ჩრდილში მყოფი ძალებიც გააქტიურდებიან, გამოჩნდებიან ახალ-ახალი ბელადები და ლიდერები.

თითქმის ყოველ სალამოს თქვენს ფანჯრებს მოაწყდება მიტინგის დაფდაფები, რუპორ-მიკროფონებს თქვენს (ჩვენზე არას ვამბობ) სალანდლავ სიტყვებსაც ბევრს ჩასძახებენ. მაგრამ არ შეშინდეთ. ეს სამიკროფონო, სამიტინგო რიარია გულის მოოხების დონეზე დარჩება და, ბოლოს და ბოლოს, მოიფხანოს ხალხმა სიტყვით მაინც გული, არ დაიქცევა ქვეყანა.

ულტიმატუმებს გაექციოთ, მიაფუჩიეთ, ხვალისთვის გადადეთ. ჯერ-თქო, ეს საკითხი მომწიფებული არ არის-თქო, კომისია გამოვყოთ, კიდევ ერთხელ შევისწავლოთ-თქო.

დიდ დისკუსიებს გაერიდეთ. პოლიტიკური გაკოტრების ფაქტები არ შექმნათ, მთავარია, კუთხეში არ მიგაყენონ. ყოველი საჯარო შეხვედრის დამთავრების ინიციატივა ხელიდან არ გაუშვათ, ახლა დავიღალეთ-თქო, სულერთია ამ ყაყანში გადაწყვეტილებას მაინც ვერ მივიღებთ-თქო. ხვალ მობრძანდით ჩემთან კაბინეტში და გულდასმით მოვითათბიროთ-თქო.

კაბინეტში, რაც შეიძლება, მოიმონაფე თავი. სულ „კი ბატონი“ და „როგორც გაეხარდებათ“ უძახე, მაგრამ როგორც კი გამოვლენ შენი დარბაზიდან, იმასვე დაივიწყე მათი აჯარეზოლუციები და მოთხოვნ-პუნქტები.

საერთოდ, ლიდერებს ხშირად შეხვდი. როგორც გითხარი. უშედეგო შეხვედრების რიცხვი გაამრავლე. ყოველი შეხვედრა, იცოდე; შენ მოთათბირე, „კამათს არ გამქცევი“ კაცის სახელს დაგიგდებს, მათს რეპუტაციას კი ეჭვიანთა თვალში (და ეს უკანასკნელი არიან ჩვენი დასაყრდენები) ჩრდილს მიაყენებს. რა უნდათ, რას დაძვრებიან სასახლეებში ასე ხშირად, მოძრაობას საკომპრომისო შეთანხმებებისკენ ხომ არ მიაქანებენო.

როგორც წვიმს, ისე არა ჰქეუს; – ეს დაიმახსოვრე ყველაზე მეტად და, როგორც უნდა გაგიჭირდეთ, ძალას არ მიმართოთ. კრიტიკულ სიტუაციაში წონასწორობა არ დაკარგოთ. საკმარისია, ოდნავ გაგექცეთ ხელი და ხალხს მათრახით ჭკუის სწავლება დაუწყოთ, რომ მეორე დღეს თქვენი ბურდღა არ იქნება აქ, ნერვებმოშლილ ხალხს გაღიზიანება არ უნდა.

ლომი გალიაში აღარ არის. გალიის კარი, შემთხვევით, ღიად დაგვრჩა და ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ლომი როგორმე მოფერება-დაყვავებით გალიაშივე შევაბრუნოთ. თანაც ეს ლომი ის ლომია, უნდობლობის რისხვა რომ უზიმზიმებს თვალებში. ჩვენ იგი, ამ ბოლო დროს, საკმაოდ დავამშიერ და გალიაშიც ხშირად ვუჩუჩხურებდით ჯოხს, ჭკუა რომ გვესწავლებინა.

ხალხის აზვირთება და თავისუფლებასთან ახლოს ყოფნის ფსიქოზი ყოველთვის მასობრივი ზეიმკონცერტის იერს როდი მიიღებს. ხანდახან ვნებები გაშიშვლდება, პოლიტიკურ მოთხოვნებს კონკრეტულ ლოზუნგებად ჩამოაყალიბებენ, თქვენ ნინ კარვებს დასეცემენ, მასობრივ შიმშილობებს და საყოველთაო გაფიცვა-დაუმორჩილებლობებსაც გამოგიცხადებენ. მაშინ გჭირდებათ განსაკუთრებული სიმშვიდე და მოთმინების უნარი. თითქოს არაფერიც არ მომხდარა. თითქოს-და, ყველაფერი ნორმალურად მიდის. ზოგ აქციას მხარიც კი დაუჭირეთ. დაპირდით, რომ მაღლა დააყენებთ საკითხებს, დაპირდით, რომ ეს პრობლემები თქვენ გაღელვებდათ, რომ ზოგი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილი გაქვთ და დანარჩენს ხვალ გადაწყვეტით. „ხვალ“, „ხვალ!“ ეს სასწაული სიტყვა, დამთმობი და დამაშომშინებელი, ეს სიტყვა ახლა ჩვენი მხსნელი.

რაც შეეხება „საკითხების მაღლა დაყენებას“. როგორც მოგიხერხდეს, იშვიათად მიმართე ამგვარ დაპირებას. ხალხს არ

აფიქრებინო, რომ შენ შენით ვერაფერს წყვეტ და წამდაუწუმ „მაღლა“ ეთათბირები. პირიქით, როგორც კი მოგთხოვენ; შეატყობინე იქ, სადაც ჯერ არს და დააყენე ამ საკითხს საშველიო, ყასიდად გაბრაზდი კიდეც. ვინ არიან ისინი-თქო (ჩვენზე), ვინ ჰკითხავს მაგათ, ჩემს რეგიონში რას გავაკეთებ, ეგლა მაკლია ტელეფონს ჩამოვეებიდო და სხვისი რჩევა-დარიგებით ვიმოქმედო-თქო. ასეა საჭირო.

არნახულად უნდა დატოტდეს და დათავთავდეს მოძრაობა. თვითონვე უნდა შეუწყოთ ხელი სხვადასხვა პარტიების და ჯგუფების შექმნას. რაც მეტად დაიყოფდა ჯგუფდებიან უკეთესია. „ჩვენი ბიჭები“, რაც შეიძლება, ბლომად უნდა შევაგზავნოთ. თუ დააკირდი, მაგათი ერთი ნაკლი ისიცაა, რომ მარტო თანამოაზრების პრინციპით გაითავისებენ კაცს. უყოყმანოდ იღებენ წევრად. არც წარსულს კითხულობენ მისას და არც იმას დაგიდევენ, მართლა პოლიტიკური შეხედულებებისთვის იბრძის, თუ სხვა რამებ გაანაწყენა.

დავჩეკოთ წვერმოშვებული ოპერბიჭები და გავრიოთ ეროვნულ მოძრაობაში. თითო პარტიაში თითო ჩვენი კაცი მაინც უნდა გვყავდეს. პირველი მათი დავალება ის უნდა იყოს, რომ ნამდვილ მებრძოლებს აჯობონ გაბედულებაში. ნდობის მანდატს რომ მოიპოვებენ, მერე „ჩვენებმა“ ასეთი დავალება უნდა მიიღონ: რაც შეიძლება ხშირად ჩაიღლაპარაკონ წყნარად, თითქოსდა თავისთვის, მაგრამ ყველას გასაგონად: „ვერ გამიგია, რატომ უნდა იყოს ყოველთვის ეს კაცი მართალი, ვერ გამიგია, სანამ უნდა ვიაროთ მაგათ ნება-სურვილზე. ჩვენ რა ჩვენი თავი არ გვაბია მხრებზე?“

ესაა სულ. სხვა არაფერია საჭირო. ყმაწვილის გონებაში, ყმაწვილისა, რომელიც ვერა და ვერ შეგუებია რიგით წევრობას, ეს სიტყვები ეჭვის დადარს გააღვივებს და კოცონად აქცევს.

ბოლოს და ბოლოს იტყვის, რატომ უნდა ვიყო ვიღაცის ამალაში, არ ჯობია მე თვითონ მყავდეს ამალაო? ვისზე რა ნაკლები ვარ მეო. ადგება და მცირე უთანხმოება-კამათის მეორე დღესვე თავის პარტიას შექმნის. თავს ლიდერად გამოაცხადებს და ინდაურივით გაიფუუყება.

ვაცალოთ ცოტა ხას და მერე ამ ახალგამომცხვარ ბელად-საც შეეცურინოთ თავისი „მახრჩობელა“. მალე ამებასავით ისიც

გაიყოფა. ახალ სახელს გამოიგონებს და ახალ პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდება.

დაყოფა-დაცალკევებისთვის, იცოდე, დიდი მუშაობა არ დაგჭირდებათ. პირველობისკენ ბრძოლის თვისება ჩვენსავე გუნებაში დევს. პირველი ბიძგი და ყველაფერი თავისთავად მოხდება.

ვიცნოთ ყველა პარტია და ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს ყველა მათგანს პატივს ვცემთ და მოძრაობაში მათს წვლილს დიდ ანგარიშს ვუწევთ. სინამდვილეში არც ერთი პარტია ოფიციალურად რეგისტრაციაში არ გაატაროთ. მრავალპარტიულობა სიტყვით ვიძახოთ, საქმით ყოველნაირად ხელი შევუშალოთ. არ ჭირდება კომუნისტურ პარტიას „უმცროსი ძმები“.

ხომ ყურადღებით მისმენ, მოძრაობის დამლა-დანაწევრება ისეთ მასშტაბს მიიღებს, რომ შენი მოწონებული. ეს იქნება ჩვენი პირველი, სერიოზული გამარჯვება.

მთავარ ბანაკში პირველი განხეთქილებაც მალე იჩენს თავს, მაგრამ ეს არ იქნება ნამდვილი განხეთქილების საწინდარი. გამიგე, რას ვამბობ? ხალხი არ იქნება მზად საამისოდ. ამიტომ პირველი განხეთქილება ჩვენვე დავაშოშმინოთ. ხელი შევუნყოთ მოქიმპე ლიდერების შერიგებას.

ვიცი, გინდა მკითხო, კი მაგრამ ამდენ დროს მომცემენო? ვაითუ, ერთ მშვენიერ დღეს დაგვიდონ ნიჩაბი და გვითხრან – შეაყოლეთ, კუტუნია, ახლა აქედან, სხვა ხელისუფლება მოვიდაო.

ამისთვისაც მზად მაქვს მულამი. ძალაუფლება მოძრაობას უნდა გაუყოთ და, რაც შეიძლება, გაბედულად. დამიჯერე ეს დროებითი, სტრატეგიული დათმობა იქნება. რასაკვირველია, მთავარი სადავები თქვენ უნდა გეპყრათ ხელთ, მაგრამ იმათი ჭირვეულობანიც უნდა შეასრულოთ. ილუზია უნდა შექმნათ ხალხში ორხელისუფლებიანობისა.

არ დამავიწყდეს, ხელი უნდა შეუწყოთ ყველა „პარტიას“ და „საზოგადოებას“, თავისი თავი რაც შეიძლება სრულად გამოაშლავნოს. ამით მოძრაობა ბაბილონის გოდოლს დაემსგავსება. ბეჭდონ და ავრცელონ თავიანთი გაზეთები და პროკლამაციები. იმქუსარონ ნამდვილ მებრძოლთა დაფიდაფებმა და იყაყან ცრუქაქუნა პოლიტიკოსებმაც. ჩვენ ისეთი სახე მივიღოთ,

თითქოს ყველა მათგანი ჩვენთვის ძვირფასია და ყველაზე ერთნაირად შეგვტკივა გული.

არავითარი რეაგირება მტყუან-მართლის კამათში. თქვენი პოზიცია დუმილი და ჩაურევლობაა. ისინი თვითონ მოუვლიან ერთმანეთს. ოფიციალურ გაზეთებსაც კი მიეცით მითითება – ყველაფერი ბეჭდონ. თქვენც რომ არ უთხრათ, ისინი ამას მაინც გააკეთებენ. რომელი რედაქცია გაუძლებს ჯგუფურ მოვარდნებს „პოზიციის დასაცავად“, „ჩვენი სიმართლის დასაბეჭდად“.

ისევ იქა ვარ, თქვენი გადარჩენა მხოლოდ მოძრაობასთან ძალაუფლების მოჩვენებითი გაყოფით შეიძლება. ლიდერებს უნდა ათქმევინოთ: „იყვნენ ესენი, ბოლოს და ბოლოს მოძრაობაში ხელს არ გვიშლიან, რასაც მოვთხოვთ, გვისრულებენ. სხვებს კიდევ ესენი სჯობიან, ასეთ ბულკ ხელისუფლებას სად ვიშოვით. ხომ შეიძლება უარესები გამოგზავნონ და იმათთან ურთიერთობის რკვევას გადავაყოლოთ ჩვენი მთავარი მიზანიო“.

გარდა თქვენი არსებობის გახანგრძლივებისა, თუ იცი, კიდევ რას მოიტანს „ორხელისუფლებიანობა“? არიქა, ამათ ძალა ჰქონიათ, აქ შეიძლება გაკეთდეს კაციო, იტყვის ხელის მოთბობის იდეით შეპყრობილი ნაძირალა და მოძრაობას მიეტმასწება.

აი, მაშინ დაიწყება, რაც დაიწყება. ერთმანეთში აირევიან წმინდა ბერები და ყაჩალები. იქნება ფულის „შეწერა“, გამოძალვა, მოტყუება, მოძრაობის სახელით ბანდიტობა დღისით, მზისით. ასე იყო ოქტომბრის რევოლუციის დროსაც. ოქტომბერი რად გვინდა, ყველა სახალხო აჯანყებას ეტმასნებოდნენ ბაცაცები და თაღლითები. ამ საქმეში ჩვენმა ბიჭებმაც უნდა იყოჩალონ. მოძრაობა, რომლის ნიაღში კორუპციამ გააღწია, ისეთი რიხით ვეღარ იღაპარაკებს თავის ზნეობრივ სიწმინდეზე. ეს იქნება ჩვენი მეორე, აშკარა გამარჯვება.

კინალამ დამავიწყდა. მესამე მხრიდანაც უნდა მივიტანოთ იერიში. ეს საშუალებაც უნდა გამოვიყენოთ. როგორც კი მოძრაობა ახალ იერიშს ნამოიწყებს ხელისუფლების ნინააღმდეგ, ავამუშავოთ ერთა შუღლის ძევლი, მაგრამ ნაცადი მანქანა. ჩვენთან ბევრი სულსწრაფი და ადვილმრნმენი უცხოტომელი ცხოვრობს. „ჩვენი ბიჭები“ აქა-იქ ჩაჰკრაპ-ჩაანვეთებენ ნა-

ციონალურ სამსალას და შედეგიც არ დააყოვნებს. ყალყზე შემდგარი ეროვნული მოძრაობა წინა ტორებს დაუშვებს და ეთნოკრიზისზე გადაირთვება.

ოლონდ გახსოვდეს, ამ საქმეში თქვენც დიდი სიფრთხილე გმართებთ. ეროვნულ ნერვებზე თამაში, შეიძლება, უმართავ ამბოხში, სამოქალაქო ომში გადაიზარდოს და შეიძლება ერთბაშად ჩაცხრეს. ომში გადაიზრდება, თუ პატრუქს ძალიან აუნევთ, ჩაცხრება, თუ სამთავრობო, დამსჯელ ზომებს მიმართავთ.

ვერ გამიგე? ახლავე გეტყვი. ზომაზე უნდა გეჭიროთ პატრუქი. სიტუაციის კონტროლი წამითაც არ უნდა დაკარგოთ. თუ ვნებებს ძალიან გააშიშვლებთ, ქართველი კაცი მომთმენი მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდეა, მერე აიწყვეტს და ვეღარ დააკავებ. თუ უსამართლო საქციელისთვის სტუმარი ერის დამნაშავე წარმომადგენლებს მკაცრად დასჯი, შეიძლება იფიქროს სტუმარმა, – ესენი აღარ ხუმრობენ, ჩანს, ძალაც აქვთ და მხნეობაც, ჩემს უპრაგონო პარპაშს არ მაპატიებენ. სჯობს წყნარად ვიჯდე ჩემს კვერცხებზე, თორემ ამიკრავენ გუდანაბადს აქედანო. ამ ფიქრიდან ერთი ნაბიჯია ეროვნული შუღლის საბოლოო ჩაქრობამდე. ამიტომაც ვამბობ, ფრთხილად უნდა იყოთ-მეთქი.

დაპირებებით კვებეთ ხალხი და ქართველის თავის გატებისათვის არავინ დასაჯოთ. მთავარია ავანტიურისტი სტუმარი არ დაშინდეს, მეორე მხრივ, პატრიოტობანას თამაშს მოუხშირეთ და ტრიბუნიდან წამდაუნუმ იძახეთ – ეს მინა ქართველების საკუთრებაა; გოჯსაც არავის დავუთმობთ, მიმდინარეობს გამოძიება და ქართველთა მკვლელებს სამაგირო მიეზღვებათ-თქ.

მთავარი დარტყმა, იცოდე, მოძრაობას სწორედ მისი დაქუცმაცებით უნდა მივაყენოთ. მცირე უთანხმოებაც კი, შეკამათების პატარა პოლიტიკური ბუზიც კი, მაშინვე სპილოდ უნდა ვაქციოთ. დავრაზმოთ „ჩვენი ბიჭებიც“ და ქარაქუცა „მჩხავანა კატებიც“ ყოველ მოსახვევში მოძრაობის დაღუპვა-გახლეჩაზე რომ მორთავენ ყვირილს.

თუ თავისუფალი არჩევნები მოითხოვეს, მივყვეთ. რასაკვირველია, თავისუფალი არჩევნები ჩვენ ხელს არ გვაძლევს,

მაგრამ აქაც მცირე რისკია საჭირო. საარჩევნო კამპანიაში ლიდერები ერთმანეთს დაასუსტებენ და ჩვენც პირველივე აზროვანებისას გამოვაცხადოთ არჩევნების გადადება.

ხელისუფლების მომავალი ორგანოს თეორიულ ჭვრეტაში არ შეიძლება, უთანხმოება არ მოუვიდეთ.

მთავარბანაკი ორად გაიყოფა. ერთი ცალკე ჩაატარებენ თავიანთ ყრილობას, მეორენი – ცალკე.

აქ კი სულ პატარა შანტაჟი იქნება საჭირო. თუნდაც ჰაერში გასროლა და მოკამათენი მოსისხლე მტრებად, შეურიგებელ მოშულლარებად იქცევიან.

მერე ჩვენი ხაფანგები და აქტიურობა აღარც იქნება საჭირო. თვითონ მოუვლიან-მეთქი ერთმანეთს, ხომ გითხარი.

რაღას არ დააბრალებენ ერთმანეთს. ვის აგენტად არ გამოაცხადებენ, ენას გამოუყოფენ, დაამცირებენ, წყალს გაატანენ წინანდელ მეგობრობას და თანამზრახველობას.

ქიშპობაში მთავარ საქმეს დაივინებენ და უფრო იმით იქნებიან გართულ-დაკავებული, რა ზიანი მიაყენონ ერთმანეთს, როგორ გააბიაბრუონ და ეროვნული მოძრაობის მოღალატედ, ან სახალხო ფულის შემჭმელად გამოაცხადონ.

იქნება ამბიციური, ზეაღტაცებული შეძახილებიც, ბრძოს გულის მოსაგებად მოწყობილი აქციებიც, ტრიუმფალური აღლუმებიც. ბრძენის და წინასწარმეტყველის მანტიის ბეჭებზე მორგების ფაქტებიც და სხვადასხვა სტადიონზე ერთდროულად გამართული ხალხის დამაბნეველი მიტინგებიც.

ეს ყველაფერი იქნება.

ხალხი დაიბნევა, მისი მერყევი ნაწილი რწმენას საბოლოოდ დაკარგავს.

ერთმანეთის ჯობნაში გართულთ, „უჩემოდ ვინ იმღერეთას“ მსხვერპლთ, მათზე მონდობილი, პატარა, მაგრამ აღალი, უმრნემესი ძმებიც კი დაავინყდებათ. ახალგაზრდების განწირულ კვეთებას მოძრაობის გამთლიანებისთვის, ზოგი მათგანი დაცინვასაც კი დაუწყებს: თქვენი შიმშილი გულუბრყვილო ყმანვილთა მცდარი შიმშილია. სწორი შიმშილი მხოლოდ ჩვენ ვიცითო.

შეიძლება, მოძრაობის რომელიმე ფრთის ზემოქმედებით საგანგებო სესიებიც ხშირად მოგანვევინონ, მაგრამ უკვე

დროა, ფუჭი, უშედეგო სესიების ჩატარებაში ერთხელ და სამუდამოდ დავვოსტატდეთ. ყველაფერზე უნდა ვიღაპარა-კოთ და ვალაპარაკოთ სხვები, მაგრამ კანონის მიღებაზე რომ მიდგება საქმე, ცალკეულ ფორმულირებებს შესწორება უნდა-თქო, ხანძარი ხომ არ არის, რა საჩქაროა მაინცდამაინც დღეს გადავწყვიტოთ; შევქმნათ კომისიები და კომისიებმა ნელა, დინჯად, დაფიქრებით მოამზადონ საკითხი-თქო.

ისე უნდა წავიყვანოთ საქმე, რომ სესიის კიბეზე ჩამავალი დეპუტატებიც ვერ მიხვდნენ, რა ამაღლ ხარჯეს დრო და ნერვები. ისინიც კი უნდა ფიქრობდნენ, რომ რაღაც გააკეთეს, როცა სინამდვილეში, არაფერი არ გაკეთებულა.

მესამედ გიმეორებ. მთავარი მაინც მოძრაობისთვის სახელის გატეხვა და დაქუცმაცებაა.

როცა უბრალო ქართველი კაცი ჯერ სახლიდან გამოსვლისას გალოკილ თითს მაღლა შემართავს, ვის გავყვე, ვის მხარეს დავდგეო, ეს მოძრაობის პირველი მარცხი იქნება. როცა იგივე ქართველი ხელს ჩაიქნევს და სინანულით შეხედავს ერთმანეთის ლანძღვაში დასუსტებულ-გაბითურებულ ორივე მხარეს, ეს იქნება მოძრაობის მეორე, დიდი მარცხი.

თუ ხანდახან შერიგების ნიავი დაუბერავს, ჩვენ მცირე კონტრზომებს მივმართავთ ხოლმე. ვთქვათ, სადმე მოსახვევთან ნაღმს ჩავდებთ ორივე მხარის დასაშინებლად და გასათათხავად, ისე მაღლა იქნება ამ დროს ამართული ურთიერთჭამის ალამი, რომ ჩანაღმებას მხოლოდ ერთმანეთს გადააბრალებენ და ეჭვსაც ვერავინ აიღებს, რომ ეს, ყველაფერი და სხვა რაიმეც, რაზეც ზემოთ გესაუბრე, ჩვენი მოწყობილი იქნება.

– მაშ კარგად დაიხსომე, რაც გითხარი; როგორც წვიმს, ისე არა ჰქეუს.

ა ვ ტ ო რ ი ს მ ი ნ ა წ ე რ ი: ჭკვიან მრჩეველს ერთი რამ გამორჩა მხედველობიდან. თუ ამ ნოველის დამწერი იმ „ერთრამეს“ ხმამაღლა არ აცხადებს, მხოლოდ იმის შიშით, ვაითუ არ დაუჯერონ. მას გულის გაგლეჯამდე სურს, ყველამ, დიდმა და პატარამ, იფიქროს და თვითვე აღმოაჩინოს ჩვენი საშველის ანი და ჰოე.

1990

სიკვდილი მაღალმომის სოფელში

ვერტმფრენი აძიგძიგდა-არახრახდა, გამცილებლებმა ქუდებზე იტაცეს ხელი. ძრავამ ლრიალს მოუმატა და ამოდენა მანქანა ბაბუანვერასავით აამჩატა. ვერტმფრენი ისე ძგანძგარდგანდგარებდა, ბენოს ეგონა, სადაცაა დაიშლებაო. მიწას მოწყდა თუ არა, მკვეთრად შეპრუნდა, ლონივრად აიწია და შხულით გადაუფრინა ბეტონის მოედანზე გამწკრივებულ, უზარმაზარ საჰაერო ხომალდებს.

ბენოს თავპრუ დაეხვა, სარკმელს ზურგით მიეყრდნო და სალონში მსხდომნი შეათვალიერა. ყველას შენუხებული მაგრამ, რაღაც მიზეზით, შიგნიდან განათებული სახე ჰქონდა. კაცი რომ მძიმე საქმეს შეეჭიდება, მაგრამ რაკი დარწმუნებულია, რომ შედეგი ძვირფასი იქნება, ხვალის მშვენიერი მოლოდინი უსიამო გრძნობას რომ უქარწყლებს – ისეთი. მგზავრთა თვალების ნალვლიანი მიმოტარებისას ბენოს ჩაესმოდა – „უარესაც ავიტანთ. სულ ასე ვიფრენთ შიშით გატრუნულები ოლონდ ქვეყანას ეშველოსო“.

ძირს გადახოტრილი სათიშები და დანგრეული ციხე-საყდრები ჩანდა. ნასოფლარებს აქა-იქ უცხო ფრინველივით აჯდა თუნუქით გადახურული თითო ფინური სახლი. თუნუქი მზეზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. უკან, დაახლოებით ოთხას მეტროში, თეთრი ვერტმფრენი კრაზანასავით მობზრიალებდა.

„ის თეთრი ვერტმფრენი და მისი მგზავრები კი ბატონო, გასაგებია, საქმეზე მიღიან, უნდა დაათვალიერონ, „საკითხები ადგილზე გადაწყვიტონ, მაგრამ ჩვენ რა მოხელე ვართ. აღარ უნდა დამთავრდეს ეს ამალობია? სტუმარს იმ გრძნობის ერთხელ კიდევ გამოცდა უნდა, რომ პროვინციებში ძალიან უყვართ და აფასებენ. თავგაბეზრებულ მასპინძლებს ერთგულების დამტკიცების საშუალება ეძლევათ და როგორ გაუშვებენ ხელიდან, მაგრამ ჩვენ რისი მაქნისი ვართ, ამ ვერტმფრენში რომ გულმუცელს ვინდლვლევთ? რა გავაკეთოთ, კაცება რომ გვეითხოს. ა, ვინც ზის ახლა აქ, ყველა რა გალალებულია, გამოცდილებაც დიდი აქვს ასეთ ამქარში ყოფნისა. მე რა შუაში ვარ. მოწყენის

და დამცირების მეტი რა გამოვცადე ამ დილიდანვე. ჯერ იყო და შვიდზე დაგვიბარეს და სამ საათს გვაცდევინეს. მე ჩემთვის ვიდექ განზე, მაგრამ აშკარად ვხედავდი ლოდინით გაბედნიერებული ჩემი კოლეგების სახეებს და ჩემკენ გამოქცეულ მათს გაოცებანარევ მზერასაც ვგრძნობდი. ეს გულს მირევდა, რაიონის ცენტრში რომ ჩამოგვსვეს, პირდაპირ რაიკომის მდივნისკენ წავედი, ერთად ვმუშაობდით კვლევითში და მე ვთქვი, ჩემს შესახვედრადაც გამოსულა-მეთქი, ცივ-დაბნეულად რომ შემხვდა, გამიკვირდა. თურმე მეორე ვერტმფრენია მთავარი, შენ ვის დაეკარგე. გამოვტრიალდი და სხვებივით ხაზზე გავიჭიმე. ახლაც, ალბათ, ასეთი ზარზეიმი განმეორდება. სად დავემალო ამ ხმაურ-ულრიალს და ამდენ ყალბ ლიმილს. რა ვქნა, არ ვიცი, უბედურო, ჩემო ხალხო; როდის უნდა გამოიღვიძო, როდის უნდა გამოიფხიკო ყურები. ორას წელზე მეტია მშვენივრად ასრულებ კოპნია, მასპინძელი, მომვლელ-მომსახურე, დამხვედრი, გამლილ სუფრა-ქვეყნის როლს, მაგრამ ვინ დაგითასა? ამ სტუმრის ძმა არ იყო გუშინ, ტელევიზორში, სხვა ერთა მოძულედ და ნაციონალისტად რომ გამოგაცხადა?“ – ასე ფიქრობდა ბენო. ნოველის ავტორი ბენოს ამ ფიქრებს, იქნებ, ზოგ პუნქტში არ ეთანხმებოდეს, მაგრამ მას არავითარი უფლება არა აქვს ცნობილ კინორეჟისორს ფიქრები შეულამაზოს. და, კაცმა რომ თქვას, რაკი ფიქრი განწყობილების შვილია, ხომ შეიძლებოდა ვერტმფრენის რახრახში სევდიან გუნებაზე მყოფ კაცს ასეთი ფიქრი დაუფლებოდა?

მაღალმომთან, ადრე მიტოვებულ და ახლა გაცოცხლებულ სოფელში ვერტმფრენები, როგორც მოსალოდნელი იყო, მშვიდობით ჩაფრინდნენ. შეხვედრის ცერემონიალი ზუსტად ისე წარიმართა, როგორც ბენომ ინინასწარმეტყველა. ბენომ და ამალის სხვა ორმა ნევრმა მშვენივრად შეატყო, რომ კმაყოფილსახიან დამხვდურებში ალორძინებული სოფლის მხოლოდ ორი, თვით სამოხუცო ასაკსაც კი კარგა ხნის წინათ გადაცილებული, ბერიკაცი ერია. დანარჩენები რაიონის ხელმძღვანელთა ოჯახის წევრები და რაიკულტსახლის სხვადასხვა წრეებში გაერთიანებული აქტივისტები იყვნენ. სტუმრებს მთის საყოფაცხოვრებო საქმიანობის ორი მაგალითი უჩვენეს – ლუდის გამოხდა და ცხვრის გაპარსვა. ბენო ასწლოვან კათხაში ჩასხმულმა უიგულის სისტემის ლუდმა და სტუმრისთვის აქვე გამოხდილად შეტყუებამ (სხვათა შორის, ბოთლები იქვე ეყ-

არა) იმდენად როდი გააღიზიანა, რამდენადაც ცხვრების პარს-ვის ტრაგიულმა სურათმა. ორ ტყაპუჭიან, ზორბა მწყემსს თითო ცხვარი ლაჯებში ამოედოთ, ზედ დასხდომოდნენ და შებლზე-ოფლგადამდინარენი ისე ენერგიულად პარსავდნენ თითქოსდა მართლაც თავიანთი საქმით იყვნენ გართუნლი და ფოტოაპარატთა ჩხაკა-ჩხუკი არც კი ჩაესმოდათ. თითქოსდა ყველაფერს ამას სტუმართა საჩვენებლად როდი აკეთებდნენ. საცოდავი, ნახევრადბენვტყავგამძვრალი ცხვრები ცივ მინაზე ეყარნენ და ნაჭრილობევთაგან სისხლი სდიოდათ. „რა ეშველებათ ამ საცოდავებს უბენვოდ, რა გადაატანინებთ ამ ცივ ზა-მთარს, რა დროს ცხვრის პარსვა იყო ახლა. ნუთუ ღირდა ეს თეატრალური შეხვედრა იმად, რომ ორ უდანაშაულო ცხვარს უბენვოდ ეძიგძიგა მთელი ზამთარი?“ გაიფიქრა ბენომ და „სი-ბერეში თურმე ნამეტანი მგრძნობიარე ხდება კაცი, თორემ ცხვრის გაპარსვა რა მოსატანია იმასთან შედარებით, რასაც ახლა ვიტყოდი, ჩემივე ფიქრისაც რომ არ მეშინოდესო“, ფიქრში დაუმატა და ყოველ შემთხვევისათვის მიიხედ-მოიხედა.

მერე სტუმრებს გზისპირად ჩამწკრივებული ვილისებისკენ უხმეს. ბენოს იმერულმა ზრდილობამ უფლება არ მისცა ახ-ლომდგომ ვილისს მივარდნოდა, ჯერ სხვებს აცალა და როცა გადაწყვიტა, ახლა კი დადგა ჩემი ჯერიო, ბოლო ვილისისკენ წასულს ხელი გაწვდილი დარჩა. მეზავრებით სავსე მანქანა სწრაფად მოწყდა ადგილს და წინ წასულ იმ ვილისებს გამოუდ-გა გზადახვეულ მთაზე რვიანებს რომ ხაზავდნენ. ბენო ფარ-ასჩამორჩენილი ცხვარივით კარგა ხანს აწყდებოდა აქეთ-იქით, მერე იძედი რომ გადაეწურა, მეურნეობის კანტორას მიაკითხა და კიბეზე ჩამოჯდა. იღბლადჩავლილმა ადგილობრივი გაზეთის რედაქტორმა იცნო. „მეო თქვენი ნასტუდენტარი ვარ (ბენო მეო-რად ფაკულტეტზე კინომცოდნეობას კითხულობდა), ბატონო ბენოვო, რატომ სტუმრებთან არ ბრძანდებით, რაშია საქმეო“. „მწყემსებს ველაპარაკებოდი და ჩამოვრჩი კოლონასო“, დამალა თავისი უგერგილობა ბენომ და გულში მტკიცედ გადაწყვიტა, ანი მანქანებისკენ რომ გვიხმობენ, პირველი ვეცემი კარებს, მეორეჯერ მომდის ეს ამბავი, ზრდილობას და თავმდაბლობას მოუკვდა პატრონიო“. რედაქტორმა, რასაკვირველია, გაულიმა „ხდება, ხდებაო“, მაგრამ რაიონული პრესის თავკაცმა თავის მხრივ გაიფიქრა: „სად ნახა მწყემსი ამ ოჯახაშენებულმა. რა უნდა ამ კონცერტზე მწყემსს. ალბათ, კულტსახელის დრამ-

წრის ფაფახიან წევრებს გამოელაპარაკა, თორემ ნამდვილ მწყე-ემსს მე თვითონ სამი თვეება დავეძებ, სურათის გადასაღებად და გაზეთის პირველ გვერდზე გამოსაჭიმადო“.

ფიქრი იქეთ იყოს და ყოფილ სტუდენტთან შეხვედრას შედეგად ის მოჰყვა, რომ რედაქტორმა აგურისფერ „ნივას“ უხმო და მძღოლმა სწორედ მაშინ მიაგდო ტყის პირას, მწვანე მოლზე გაშლილ სუფრასთან მანქანა, როცა თამადის არჩევის ცერემონიალი დამთავრებული იყო და სტუმარ-მასპინძლები მეორე (მშვიდობის, რ. მ.) სადღეგრძელოს სვამდნენ. ბენოს მისვლა, რასაკვირველია, არავის შეუმჩნევია, ყველანი თავი-ანთი, უფრო სერიოზული საქმით იყვნენ გართულნი. იქნებ ზოგიერთებმა შეამჩნიეს კიდეც, მაგრამ არაფერი უთხრეს, კაცი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენოთო.

პურობის აღწერას აქ აღარ შევუდგები. ისედაც გული გა-ვუწყალე მკითხველს სხვა ნოველებში ქართული სუფრის აღ-ნერებით. განსხვავებული ამჯერად ის მოხდა, რომ ერთმა შეზარხოშებულმა მასპინძელთაგანმა განსხვავებული სასმის-ით დალია მაღალი სტუმრის, როგორც საქართველოზე გან-საკუთრებით შევკარებული და ჩვენს სატკივარზე თავგადაკ-ლული კაცის სადღეგრძელო. სტუმარმა სიტყვა მოითხოვა და განმარტა; სადღეგრძელოს პათოსი მთლად სიმართლეს არ შეეფერებაო. მეო, საქართველოსადმი განსაკუთრებული ზრუნ-ვით არ გამოვირჩევი და არც რაიმე განსხვავებულად ძლიერ სიყვარულს ვგრძნობ ქართველების მიმართო. მეო, საერთოდ, საბჭოეთში შემავალი ყველა ნაციონალური უმცირესობა ერთ-ნაირად მიყვარსო. ძალიან მწყდება გული რომ მცირე ერები გადაშენების გზაზე დგანანო. ყველაფერს ვაკეთებ რომ მათი არსებობის კვალი ისტორიებსა და მუზეუმებს მაინც დარჩეთო. ასე, რომ, ძვირფასო მასპინძლებო, მე თქვენც ისევე მიყვარ-ართ, როგორც ქართველები – არც მეტი, არც ნაკლებიო“.

სტუმარმა გამოსვლა რომ დაამთავრა, სუფრაზე უხერხუ-ლი სიჩუმე ჩამოვარდა. იმის გამო კი არა, რომ დედაქალაქელ გვამს ყველა ხალხი ერთნაირად უყვარდა. უფრო იმის გამო, რომ ამ პატარა, დროებით მკვდრეთით აღმდგარ სოფელს და მის მკვიდრით იგი საქართველოდ არ თვლიდა. ეს, სხვათა შორის მასპინძელთა ბრალიც იყო; სპეციალურად შერჩეული გიდი-პროფესორები გუშინაც და დღესაც დაწვრილებით უხს-ნიდნენ ყასიდად, ზრდილობისთვის ყურმოპყრობილ სტუმარს:

„ეს ხევსურეთია, ეს ფშავი, ეს გუდამაყარი, ხევსურეთი ორად იყოფა პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთად. თუშები თავის მხრივ ორი ეთნოგრაფიული სახით გვევლინებიან: საკუთრივ თუშებად და წოვა-თუშებადო“. მე ვინ რას მკითხავს, მაგრამ ღირს ისედაც გადაღლილი სტუმრის გონების გადატვირთვა ამდენი „პირიქეთა-პირაქეთობით“ და არაგვის შვიდი სახელით? ხინკლის სახელი მეშვიდე შესხენებაზე ძლივს დაიმახსოვრა და „წოვა-ჩალმის“ დამმახსოვრებელია?

ტრაპეზი ამჯერად, მოსალოდნელზე უფრო ჩქარა დამთავრდა. სტუმრის შეუმჩნევლად, მასპინძლებმა იჩქარეს, კულტსახლის მიერ მომზადებული მონტაჟუ-სანახაობა დღის სინათლეზე უნდა მოესწროთ. ვილისები უკან ისევ რვიანების ხაზვით დაეშვნენ და სახელდახელოდ შეჭედილ ხის ამფითეატრს გარსშემოეწყვნენ. ბენომ ვილისში თავის ადგილზე მშვენივრად იზრუნა, მაგრამ ამფითეატრთან მაინც შეცდა. გოგონა სტუმრებს მზისგან კეთადასაცავ ქუდებს ურიგებდა, ბენომ იფიქრა, ალბათ გათვლილია, რამდენიც ვართ, იმდენი ქუდი იქნება გამოყოფილიო, მაგრამ ღრმად შეცდა. რაკი სხვებს აცადა და რიგში ბოლო ადგილი დაიკავა, ამის გამო დაისაჯა კიდეც. ქუდი სწორედ მაშინ გათავდა, როცა ბენო აღმოჩნდა უქუდობით შეწუხებული ქალიშვილის წინ. „არა უშავს არა უშავსო“, თქვა ბენომ და გრძელი კონცერტის ნახვა თავზე ცხვირსახოცდაფარებულს მოუწია. ცხვირსახოცი მზეში ქუდის ფუნქციას კარგად ასრულებს, მაგრამ მზისგან ამ გზით თავის დაცვის მსურველს, ცოტა არ იყოს, არასოლიდურ ელფერს ანიჭებს.

კონცერტის დასასრულს ხევიდან ლაბქრული სიმღერის ყრუგუნი მოისმა და მალე არენაზე ცხენოსნები შემოგრიალდნენ. მოლაშქრე-მსახიობთა მცირე რაზმს წინ ერეკლე მეფე მოუძლოდა. ერეკლე-მსახიობი ტანსრული გახლდათ, მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა, რომ ცხენზე მის ცხოვრებაში მეორედ ან დიდი-დიდი მესამედ იჯდა. ეს მარტო გაფარჩეულ ფეხებზე კი არ ეტყობოდა, არამედ ხელში სახაზავი ჯოხივით ულაზათოდ დაკავებულ ხმალზეც. როცა მხედრები შეჩერდნენ ერეკლემ მეომრებს (და შესაბამისად საქართველოსაც) მჭექარე ხმით საკმაოდ ვრცელი სიტყვა სტყორცნა. მეფის გამოსვლაში, ვერ დავუკარგავ, მონტაჟის ავტორს, ძნელი შესამჩნევი როდი იყო მადლობის გრძნობასთან ერთად მცირე სინანული და გინდა გულდანყვეტაც კი იმის გამო, რომ

გიორგიევსკის ტრაქტატის ყველა პუნქტი ყოველთვის ისე როდი სრულდებოდა, როგორც თურმე საქართველოს მხარეს ჰქონდა ჩაფიქრებული. მერე უცებ, თითქოს მეფეს რაღაც გაახსენდაო, თავისი სიტყვის დეკლარაციული მხარე ერთბაშად მოიცილა, წინ აღმართული ციხისკენ გაიშვირა ხმალი „ჰკა მაგ წუნკლებს მაგათაო!“ დაიგრგვინა და ცხენს დეზი შემოჰკრა. ვერ დავიჩემებ მეფის სიმძიმით წელში გაზნექილი ცხენი ითხით მოწყდა ადგილს-მეტქი, მაგრამ ჩირთზე უფრო ჩქარა რომ აუყვა აღმართს, სადაც გინდათ ხელს მოვაწერ, მეფის მხლებელთა ცხენები უფრო მარჯვედ და მჩატედ გამოიყურებოდნენ, მაგრამ მეფეს ხომ ვერ გაასწრებდნენ.

„ზღოროვო! ზღოროვო!“ ჰყვიროდა აღტაცებული სტუმარი, რომელსაც აშკარად ჩანდა, მთლად ისე როდი უთარგმნეს ხელმწიფის სიტყვა, როგორც ერეკლეს ბაგეთაგან ითქვა. ვინ იცის, იქნებ მთარგმნელი სწორად მოიქცა, ან იქნებ არც მოიქცა სწორად, რაკილა მონტაჟის ავტორ ადგილობრივ პოეტს ჩაილურის წყლად ჩაუტარა ის უძილო ლამეები, როცა შემოქმედმა დიდი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა მოქალაქეობრივი გაბედულების სასწაული დაეფრევია ერეკლეს სიტყვიდან და ამით თავისი მომავალი სასწორზე შეეგდო. მაღლა, ნაციხარამდე ცხენებმა ვერ ააღნიეს. ბილიკი ერთობ ვიწრო იყო და ნაწვიმარი გახლდათ. ქვებს შორის მიმაღლულმა მეციხოვნე-მსახიობებმა ცოტა ხანს უცადეს „მტრებს“ და შერე სანახაობა ჩავარდნას იმით გადაარჩინეს, რომ ქუდები ჩაიკეცეს და ჩაუხტნენ „მოძალადეებს“. ატყდა ფიცხელი ომი, მაგრამ ამ უკანასკნელს მაყურებელზე ისეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორიც ერეკლეს პირველმა გამოჩენამ მოახდინა. შორიდან არც ხმალთა ჩახაჩუხი ისმოდა, არც მებრძოლების კბილთა ღრწიალი და არც „დაჭრილთა“ კვნესა.

ღამით, კოცონთან კვლავ შეიკრიბნენ სტუმარ-მასპინძლები. ბენოს კოცონთან გამართული მეჯლის-მასკარადი, უნდა მოგახსენოთ, ხელს აძლევდა, რადგანაც თვალში არავის ეჩხირებოდა და ვერც ვერავინ ამჩნევდა. საკმარისი იყო მოყიუნე-აღტკინებულ მეკოცონე-მოზეიმეთა ზურგებს მოფარებოდი, რომ დამის ნაბადში საიმედოდ შეფარებულს ვერც ვერავინ გიცნობდა და შენს ფიქრებთან დარჩენის მეტი საშუალებაც გეძლეოდა.

კოცონთან გაჩაღებული ჰაიკუ გვიან შუალამედე გაგრძელდა. ამ შეხვედრიდან ბენოს ყველაზე მეტად ერთი მაღალი,

სიმპათიური სახის მოზეიმე დაამახსოვრდა. იგი გაუთავებლად ჩაბლაოდა მიკროფონს ამჯერად რატომლაც ყველაზე გულუბრყვილო და უხამს ხალხურ ლექსებს. ხალხური პოეზიის მარგალიტებიდან ხმაგამწყრალ სწავლულს, რატომლაც ძალზე სუსტი ლექსები შეერჩია, ალბათ იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა ხალხური ლექსი შედევრი როდია. მერე შეზარხოშებულმა მთქმელ-კონფერანსიერ, ალბათ, ადგილობრივ მოცეკვავეთა გამოსაჯავრებლად ცეკვა დაიწყო. მიკროფონით ხელში ენერგიული ბრაციბრუცით ისე ღონივრად და გამეტებით მაღაყ-ბუქხაობდა, რომ კოცონთახ გაუმჭვირვალე მტვრის ბუღი დააყენა. მაღალი სტუმარი მტვრის მომიზეზებით (ისედაც წასვლა უნდოდა, ეძინებოდა, მოსწყინდა) წამოდგა და მასპანძელთა თანხლებით იმ გაჩახჩახებული ფინური სახლისკენ წავიდა, რომელიც ჯერ კიდევ საში თვის წინათ იყო მის განსასვენებლად გათვალისწინებული. სტუმრის წასვლის შემდეგ დოლ-გარმონის ხმა შეწყდა. სახალხო მთქმელთა მფარველი კი მაინც ბუქნავდა კოცონთან და მამა-პაპას ცეკვა „ხანჯლურში“ ცუდად როდი ჰპაძავდა.

დილით რომ გაიღვიძა, ოდნავ თავი სტკიოდა. ფარლალალა ოთახში დადგმულ საწოლებს გადახედა. სამივე ლოგინი ცარიელი იყო. „გაველვიძებინეთ მეც, ამ ოჯახაშენებულებსო“, გაიფიქრა თანამეოთახეთა მისამართით. ადგა. მხარზე პირსახოცი გადაიყიდა, სახლს შემოუარა, მაგრამ პირსაბანს ვერსად მიაგნო. რაკიდა ოდაში კაცი არავინ აღმოჩნდა, თეფშების რეცხვით გართულ, წელზე შალშემოხვეულ დედაკაცს ჰკითხა: „პოდიშს ვიხდი, ხელს სად იბანენ, აქ, ახლომახლო ბატონოვო“. „ვერ გეტყვი, მეც პირველადა ვარ, პატივცემულოვო“, გაულიმა ქალმა. აშენდა მისი ოჯახი, ჩაიდანს მიწვდა და ბენოს პირი დააბანინა.

მერე კინორეჟისორმა სწრაფად ჩაიცვა და თავზე ხელის სმით (აბურდული თმა ცოტათი მაინც რომ დაეწყო თავზე) გასწია „მთავარ კოტეჯისაკენ“. ორჯონიკიძისი ძეგლთან სტუმრებს წრე შეეკრათ და ხარხარებდნენ.

მთავარი სტუმრის მოლოდინში, ჩანს, მცირეოდენი საამაღლ შესვენების წუთები დადგომოდათ და, რაკი გუშინ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, კარგ გუნებაზე გაღვიძებულთ თავისთვის ნება მიეცათ პიროვნული თავისუფლება ხუმრობა-ღლაბუცით გამოეხატათ.

წრის შუაგულში ერთი თავწამახული „ერისკაცი“ იდგა. ბენო კარგა ხანია იცნობდა იმ კაცს და მტკიცედ და საბოლოოდ ჰქონდა მასზე შეხედულება ჩამოყალიბებული. შესახედაობით და „მოღვაწეობითაც“ ეს ჩოფურა „მგალობელი“ დიახაც რომ ზედგამოჭრილი იყო სავიტრინო სატირული კედლის გაზე-თისთვის „ვინ გვარცხვენს“, მაგრამ, რატომლაც, ნლების განმა-ვლობაში ხელმძღვანელ კადრებთან დაახლოებული პირის სახ-ელი ჰქონდა დაგდებული და ბენოს არ გაკვირვებია, აქაც რომ აღმოჩნდა. უფრო ის უკვირდა, რას ამბობს ნეტა მისი მწირი გონებით ისეთს, ირგვლივ მყოფი რომ სიცილით იჭაჭებიანო.

ბენო რომ მოახლოვდა, ჩოფურამ სიტყვა მოწყვიტა, სიჩუმეში ვიღაცამ ჰკითხა:

– მიაგენით, ბატონი ბენო პირსაბანს?

ბენოს თვალთ დაუბნელდა. პირი გაუშრა, ყურებში ზარების რეკვა ჩაესმა. თითქოსდა ზარს კისერთან, უფრო ახლოს, ზედ ყურის ბარაბანთან რეკავდნენ.

„ახლა წავიქცევი. მთავარია თავი კიბეს არ ჩამოვკრა. ჯიბე-ში ვალიდოლი მაინც მქონოდა“, გაიფიქრა და მერე აღარაფერი ახსოვს.

...დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ვერტმფრენზე დას-ვენებულ ბენოს საპარო კრაზანა ქვევითეკნ მიაქროლებდა. ადგილობრივი ექიმი აფრენისას რომ ფერხთით ეჯდა, ახლა თავთით დაუჯდა და მიცვალებულს შეუბლზე დაადო ხელი, რადგანაც უმოწყალო ტრანსპორტი თავს ოროტოტოსავით იქეთ-აქეთ უქანავებდა.

ამალის წევრები მკაცრად გააფრთხილეს, რომ ეს ადგილობრივი ტრაგედია სტუმრის ყურამდე არ მისულიყო. ამა-ლა მთელი დღის განმავლობაში ერთგულად იცავდა საიდუმლოს. ოღონდ ხანდახან, შინაურულ მუსაიფში ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ: „თურმე გული ჰქონია ცუდად. ორი ინფარქტი ფარულად გადაუტანია. წნევა მაქსიმალურზე ბევ-რად მაღალი ჰქონია. როგორ შეიძლებოდა, ამ სიმაღლეზე ამოსვლა. ეს არ უნდა სცოდნოდა ამხელა კაცსო? რაა ბოლოს და ბოლოს, ვერ ვისწავლეთ თავის მოვლა, ჩვენ თვითონვე ვუღებთ ჩვენს თავს ბოლოსო“.

1987



ამერიკა, ამერიკა

რომ გითხრა, არ მომეწონა ამერიკა, ვერ ცხოვრობს ხალხი კარგად-მეთქი, დამიჯერებ? არ დამიჯერებ. კი, ყველაფერი ბევრი აქვთ – საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელ-დასახურავი. რავარი ტკბილი და მომფერებელია, იცი, ამერიკელი? საკუთარ მამიდაშვილში ვერ გამოარჩევ, მარა მე, ძმაო, ვერ ვიცხოვრებ იქანა. ვერ ვუგებთ ჩვენ ერთმანეთს. არ გვესმის ერთმანეთის მორჩა და გათავდა.

ერთი თვე ხელის გულზე მატარებდნენ, თან გადამყვნენ ჩემი მასპინძლები, მარა წესიერად არ ამომისუნთქავს, რაც იქ ვიყავი. გული ხელით მეჭირა. დაძაბულობა-ნერვიულობისაგან კინაღამ გავაფრინე.

ვერ ვაგებინებდი ჩემსას და იმათი კიდევ მე არ მესმოდა. ენაზე როდი გელაპარაკები. ჩემი მასპინძელი – ტომ სტივენსი ქართულს მშვენივრად ლაპარაკობდა, სპეციალურად, კომპიუტერით უსწავლია თვე-ნახევარში. იცოდა, ალბათ, მე, აქედან ჩასული, ინგლისურად ჭიკჭიკს რომ ვერ დავინყებდი.

პირველად ვიყავი საზღვარგარეთ საერთოდ.

ადრე სამჯერ-ოთხჯერ ტურისტად მინდოდა წასვლა, მაგრამ არ გამიშვეს. შენ გვინია, უარს მეუბნებოდნენ? რამე მიზეზს მომიძებნიდნენ და მირჩევდნენ არ წახვიდეო? არაფერი მსგავსი. წითელი ხაზი იყო ჩამოსმული, როგორც ჩანს ჩემს საბუთებზე და ტურისტად რომ ჩავერწერებოდი, პატარა, უმტკივნეულო შარს მომდებდნენ, წასვლის დრო რომ მოახლოვდებოდა. ან ანკეტა არ გაქვს სწორად შევსებულიო, ან სამედიცინო ცნობა მოძველდაო, ან ჯგუფი შეამცირესო, შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გამო ესა და ეს ქვეყანა ტურისტს აღარ ილებსო...

ბოლოს მივხვდი, რომ არ უნდოდათ იმპერიიდან ჩემი გაშვება (რა საიდუმლოება ვიცოდი ამნაირი) და მოვეშვი მეც.

ახლა ამ ბოლო დროს, გაცვლობია რომ შემოვიდა მოდაში, ჩამნერა აღმასკომში ვიღაც ღვთიან-მადლიანმა.

ბულგარეთში არ მიშვებდნენ და ამერიკაში ვინ გამიშვებს-მეთქი, არც მქონდა იმედი, გითხრათ სიმართლე.

ბიჭოს! მეძახიან ერთ დღეს – სასწრაფოდ საბუთებით. რა უნდოდა საბუთების მოგროვებას, ახლა ისე ძნელი აღარაა, დახასიათება-რეკომენდაციები აღარ გჭირდება. მოვხიკე ხელათ და ორ დღეში ჩავაბარე.

სანამ თვითმფრინავი ნიუ-იორკში, კენედის აეროპორტზე არ დაეშვა, არც კი მჯეროდა, რომ ამერიკაში მივთრინავდი.

ჩვიდმეტნი ვიყავით აქედან. ჩვიდმეტივე სხვადასხვა ამერიკელის ოჯახში ვცხოვრობდით ერთი თვის განმავლობაში. ახლა, სექტემბერში, იქიდან ჩამოვა ის ჩვენი ჩვიდმეტი მასპინძელი და ჩვენ უნდა მივიღოთ. ჩვენს სახლებში იცხოვრებენ.

აეროპორტშივე დაიწყო ჩემი გაუგებრობა ამერიკასთან და ასე გარდელდა ბოლომდე.

ამოიტანა თუ არა ჩემი ჩემოდანი კონვეიერმა, ვეცი მაშინ-ათვე. საბაჟო ხომ ყველგან საბაჟოა, რა ბიჭები იქნებიან, გახსნილი და გაჩიტული რომ არ ჰქონდეთ ჩემი ბარგი-მეთქი.

ვუტრიიალებ, ვსინჯავ, ძველი ტყავისსუროგატგადაკრული ჩემოდანი გასაღებებზე მქონდა დაკეტილი, მარა მე შენ გეტყვი, გასაღებს ვერ მოარგებდნენ. ძველი გასაღებების მეტი რა ექნება-მეთქი ამერიკას. არ შეატყოს პატრონმა არაფერიო და გატეხვით არ გატეხავდნენ, მაგდენს ქე მიხვდებოდნენ, რასაკვირველია.

ამ თვალიერება-ბუჯურში რომ ვარ, დამადგა თავზე კონვეიერის აყლაყუდა მორიგე. შენუხებულია, რაღაცას მელაპარაკება, სადაც დავადებ ხელს ჩემოდანს, იმ ადგილს მიასიკვდილდება და ათვალიერებს. რაღაცას მიხსნის, რაღაცას მეკითხება.

ჩვენი გიდი რომ ახლოს იყოს, მითარგმნიდა, მაგრამ გიდ-საც თავისი თავი უჭირს. მისმა ჩემოდანმა, ჩანს, დაიგვიანა ამოსვლა და დანა პირს არ უხსნის.

როგორც იქნა, მოვიშორე კონვეიერის მორიგე და გავიკალიე გზა საბაჟოს ჯიხურისაკენ. ჩემთვის არც შემოუხედავს, გაშალა თუ არა პასპორტი, რეკა ბეჭედი და დამიბრუნა.

ვსტაცე ჩემოდანს ხელი, გავედი განზე და იქვე, მაგიდასთან მდგომ მებაჟეს გავუშალე წინ ჩემი ავლა-დიდება.

თამამად ვარ. რა მიმაქვს ისეთი, რომ კისერში ჩამავლონ

ხელი. ნიფხავ-პერანგის და სამკერდე ნიშნების გარდა, მასობრივად გამოშვებული თამარ მეფის სამმანეთიანი თუნუქის ნაჭედობა მიღევს და ორი ბოთლი არაყი.

მესამე ბოთლი მოსკოვში, გამოსვლისას, დაიტოვეს; რომ ჩამოპრუნდები, დაგახვედრებოთ.

ჩახედა ჩემს ჩემოდანს ბობრმა, სუფთად გაპარსულმა ამერიკელმა და კონსერვის ქილისხელა აპარატს, რომელიც ხელში ეჭირა, რაღაც ჩაულაპარაკა.

მოცვივდა სამი ზუსტად ამნაირად, სუფთად და პენიანად ჩაცმული ამერიკელი.

ჩახედავენ ჩემს ჩემოდანს და ფითრის ფერი ადევს ყველას სახეზე.

„რა განერვიულებთ, თქვე კაი ხალხო“, გულში ვამბობ, „გამჩხრიკეთ და გამიშვით ჩემს გზაზე. იმის ჩიტი ვარ, რამე აკრძალული წამომელო და ამ უცხო ხალხში თავი შემერცხვინა?“ მევედრებიან, მიხსნიან რაღაცას, მარწმუნებენ, ქაღალდიც კი შემომაჩეჩეს, დაგვიწერეო.

მაგ ჭკუზე ვარ სწორედ, მე არაფერს არ დაგიწერყენ, მე ვუთხარი, მე თქვენ ვერ გენდობით, დაუძახეთ ჩვენს უფროსს და იმასთან ვილაპარაკოთ-მეთქი.

მოიყვანეს გიდი და ოთხივენი მიცვივდნენ, თან ჩემს ჩემოდანზე უთითებენ. „რა მოხდაო“, გიდი მეკითხება. „რა ვიცი; მე ვუთხარი, მაგრენი შარზე არიან, მე მგონია, აგერაა ჩემოდანი და ნახონ, ხომ არ გავრბივარ“, მე ვუთხარი.

ახლა მებაჟებს მიუბრუნდა გიდი. ყოჩალი ქალია, უნდა ვთქვა სიმართლე, საიდან აქვს ოცდაშვიდი წლის გოგოს ამხელა გამოცდილება. მამალი ქალიაო, რომ იტყვიან, ისაა სწორედ, არავის არაფერს გაატანს და ვაგლახად თავს არ დააჩაგვრინებს. „ესენი აქეთ გეკითხებიან: რა უნდა ჩვენთან, ჩემოდანი რატომ გახსნაო, ხომ არაფერი დაკარგეო.

ჩემი მხრივ ყველაფერი რიგზე-მეთქი. მე ჩემოდანი გასაჩხრეკად დავუდევი წინ. გახსნაზე არ შევანუხე, პატივი ვეცი-მეთქი.

უთარგმნა გიდმა ჩემი ნათქვამი და ოთხივე მებაჟე ისე ახარხარდა, რომ მთელი დარბაზი ჩვენ მოგვაცერდა. „თენქიუ, თენქიუს“ ძახილით და მხარზე ხელის თათუნით გამომაცილეს.

ჩემოდანიც თვითონ გამომიტანეს. რა საჭირო იყო ჩემოდანს რომ ხსნიდიო, გიდმა, რენტგენში ხედავენ ყველაფერსო, ჯიბეში რა გაქვს შენ და თავში რა ფიქრი გიტრიალებს, ისიც იციან მაგენმაო.

ჩვენ ჩვენი მასპინძელი მოსაცდელში გველოდა. „ყვაპუ, ყვაპუ ჯანჯალია!“ იძახის ვილაცა. შევხედე, ასე ჩემსიმაღლე, გამხდარი, მოკლესახელოებიანი, ცისფერპერანგა, მოლისფერ-შარვლიანი ჰალსტუხ-სათვალიან ამერიკელია. კენედის მომდევნო ძმა (რომ მოკლეს) თუ გინახავთ სურათში, იმას ჰგავს რაღაცით. ჩემს გვარს ისე ლამაზად წარმოთქვამს შენი მოწონებული.

ხელი ავუზი ძველი ნაცნობივით.

სანამ გიდი ერთმანეთს ჩაგვაბარებდა, უკვე ტკბილქართულით ვსაუბრობდით. ხელში პატარა ლექსიკონი ეჭირა და ხანდახან ჩაიხედავდა, მაგრამ ამას დავვეძებდი? ძლივს ქართულად მოლაპარაკე ერთი ამერიკელი აღმოჩნდა ამხელა ქვეყანაში და ისიც მე შემხვდა. ამაზე დიდი გამართლება არ არსებობს.

აეროპორტიდან რომ გამოვდიოდით, ჩემს მასპინძელს გავანდე; არაყი მაქვს ჩემოდანში და ვაჩუქებ საბაჟოს ბიჭებს, კარგად მომექცნენ, კარგი ხალხია-მეთქი. ჯერ ვერც თვითონ გაიგო, რაში გამოიხატა „კარგად მოქცევა“ და რატომ უნდა მიმეცა არაყი.

მერე, როგორც იქნა, რომ გავაგებინე – არ გამჩხრიკეს-მეთქი, გაეცინა, რატომ უნდა გაეჩხრიკეო. არყის მიცემა არ მირჩია. ვერ გაიგებენ, შენუხდებიანო.

ოთხის ნახევარი იყო ტომის შინდისფერ „მუსტანგში“ რომ ჩავჯექით.

მასპინძელი წამდაუწუმ საათზე იხედებოდა.

თქვენ, ალბათ, სამზე სადილობთ და ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაგვიანეთო. რა თქვენი ბრალია, მე ვუთხარი, საგზაო ფორმალობები ხომ მოგეხსენებათ. თვითმფრინავმაც შვიდი წუთი დაიგვიანა-მეთქი.

ისე შევიფერე მეც სტივენსის ნათქვამი, თითქოს მართლა ზუსტად სამზე ვიყო სადილობას მიჩვეული და ქვეყანა დაიკცა, რომ რაღაც ნახევარი საათი გადამიცდა. შინ მისვლას ვეღარ ვასწრებთ, გზაზე კარგი რესტორანი მეგულება და იქ

ვისადილოთო. არ გვინდა რესტორანი, თუ ძმა ხარ, რატომ უნდა დაიხარჯო. მე უბრალო კაცი ვარ, სახლში სადილობა მირჩევნია. რას გვაჭმევენ თქვენი მეუღლის გაკეთებულზე უკეთესს რესტორანში-მეთქი.

ვერც ეს გაიგო, რასაკვირველია ტომმა.

სამჯერ ავუხსენი უბრალო სიტყვებით, დამარცვლით, მიმიკაც ჩავრიე, მაგრამ ვერა და ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა – „რას გვაჭმევენ თქვენი მეუღლის გაკეთებულზე უკეთესს რესტორანში“.

ამის შემდეგ კიდევ უფრო დაფიქრებული მართავდა მანქანას და დროგამოშვებით ისე შემათვალიერებდა, როგორც ტურისტები ათვალიერებენ სფინქსს, ან მეზოზოური ერის ცხოველის სასწაულებრივად გადარჩენილ ჩონჩხს.

სასტუმროს წინ, ნახირივით გაშლილ მანქანებში ჩვენი „მუსტანგის“ ადგილი არ აღმოჩნდა. კარგა ხანს ვურტყით წრე რესტორანს. ჩემდათავად აღმოვაჩინე კიდევაც ორი სამი ადგილი გაზეთის კიოსკთან და შადრევნის სიახლოვეს, მაგრამ ტომმა იუარა; მანდ არ შეიძლება მანქანის გაჩერებაო.

არაყი მაქვა ჩემოდანში, მივცეთ ერთი ბოთლი დარაჯს და გაგვიშანსავს ადგილს-მეთქი.

უეფრლისფერთმიანი უქუდო მორიგე, რომელსაც ქუდის ნაცვლად მარტო კეპი ჰქონდა შუბლზე მიწეპებული, იქვე მიმოდიოდა.

არც ეს რჩევა ისულგულა სტივენსმა. ადგილი თუ არ არის, არყის მიცემის შემდეგ საიდან გამოჩერეკავს, ხოლო ადგილი რომ იყოს უარყოდაც დავდგებითო, იფიქრა ალბათ.

მანქანის სადგომის ამაო ძებნაში დრო ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად გარბოდა.

ჩემმა მასპინძელმა რესტორნის კარებთან გამიჩერა, შედი და ადგილი დაიკავე, ხუთ წუთში შემოგიერთდები, გზის იქითა მხარეს დავაყენებ მანქანასო.

რესტორნის კარში კამერდინერ-იუნკერის კოსტუმში გამოწყობილი თეთრხელთათმნიანი ზანგი იდგა. გამილიმა და ჩემკენ ორიოდე ნაბიჯი რომ გადმოდგა, ჯიბიდან პასპორტი დავაძრე და ხელში შევაჩერე. ჯერ მოსკოვში, სასტუმროში უსაბუთოდ ვინ შეგიშვებს და ამერიკაში მით უმეტეს-მეთქი.

შენობას, წელანვე შევნიშნე, თავზე „ჰოტელი“ ეწერა.

„ჰოტელ“ კი, არც მეტი, არც ნაკლები სასტუმროს ნიშნავს.

ზანგმა გადაფურცლა-გადმოფურცლა ჩემი პასპორტი, მადლობა გადამიხადა და გულის ჯიბეში მოწინებით ჩაიდო. ვდგევარ და ველოდები, როდის დამიბრუნებს ეს შოკოლადისფერი შვეიცარი პასპორტს. თავაზიანად მითითებს კიბეებისაკენ; აბრძანდი, ისიამოვნეო. ის-ის იყო ვიფიქრე, ალბათ აქ ასეთი წესია, პასპორტს გამოსვლისას დამიბრუნებენ-მეთქი, რომ ტომიც მოგვიახლოვდა.

რას უდგეხარ, რატომ არ შეხვედიო, მკითხა.

ამ ძვირფასმა კაცმა პასპორტი ჩამომართვა და აღარ მიბრუნებს-მეთქი.

რა ვიცი, რა უთხრა, შავმა კაცმა მაშინვე დამიბრუნა ჩემი ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი.

ავდივართ კიბეზე და ტომი კვდება სიცილით. ასეთი ყეყეჩი კარისკაცები გვყავს ამერიკაშიო. შენ რომ პასპორტი გაუწიოდე, ეგონა, სუვენირად აჩუქე და ჯიბეში ჩაიდოო. გული დამწყდა, რომ მე და უბრალო ამერიკელმა ვერ გავუგეთ ერთმანეთს. ჩემოდანში არაყი მაქვა, ვაჩუქოთ, რას იფიქრებს ეს დარბაისელი კაცი ჩემზე-მეთქი. რისთვის უნდა ვაჩუქოთ, რა სამსახური გაგვიწიაო. რატომ რა სამსახური, უსაბუთოდ გამოგვატარა-მეთქი. მაგის მოვალეობა სწორედ ეგ არისო, ეგ არი ალბათ, სტივენსი ტყუილს რაზე მეტყოდა.

მეორე დღეს სტივენსი, მისი მეუღლე და ოცდახუთი წლის ვაჟი – რიჩარდი, რომელსაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ნეკის სიგრძეზე დაყენებული, პერპენდიკულარული თმა ამშვენებდა, სამსახურში გაიკრიფნენ. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. ჩვენთან მოსკოვიდან თუ გყავს სტუმარი, ერთი კვირა მაინც ახლო არ ეკარები სამსახურს (სტუმარს ხომ პატრონობა უნდა). ხოლო თუ უცხოელი გენვია, ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე, თადარიგის დასაჭერად ბიულეტენზე გადიხარ. მერე იმ ერთ თვეს უფასო შვებულებას იღებ და, სანამ თვით-მფრინავის ტრაპიდან არ დაგიქნევს ხელს, გვერდიდან როგორ მოშორდები.

წავიდნენ სამსახურში და დამიბარეს, თუ შინ მოგწყინდეს, აგერ, მარცხნივ, ჩვენსავე ქუჩაზე სკვერია. გაისერნეო. თუ

არა და, წამოწექი, დაისვენე, გნებავს ტელევიზორს შეავლე ხოლმე თვალიო.

თერთმეტს გადაცილებული იყო. ჯიბეში სტივენსის სავიზიტო ბარათი, ხოლო ხელჩანთაში ერთი ბოთლი არაყი (მეორე ბოთლი, ნუხელ, მასპინძლებს გადავეცი საზეიმო ვითარებაში) რომ ჩავიდე და ქუჩაში გამოვედი.

ნიუ-იორკში გრილოდა.

დეკორატიულ ნაძვის ხეზე ჩემთვის უცხო-უნახავი, მაგრამ ნამდვილი ჩიტი იჯდა და გაბმულად უღურტულებდა ამერიკული ჩიტის ჟღურტულით.

სკვერი არც მიძებნია, ქუჩას ჩავყევი და მაღაზიებს შევათვალიერებ; როგორა აქვთ საქმე, რა იშოვება და რისი დეფიციტი აწუხებთ-მეთქი.

ნიუ-იორკში თუ ყოფილხართ, ორმოცდამეცხრე ავენიუზე, შუქნიმანთან, უკან გადაქანჯული ცათამბჯენის კუთხეში, საღეჭი რეზინის, ერთჯერადი შპრიცების და პრეზერვატივების ჯიხურს რომ გასცდებით პატარა მაღაზიაა. სწორედ იმ მაღაზის კარი შევაღე ჩემდა ჭირად.

შევედი თუ არა, ჯინსებში ძლივსჩატენილმა, ჩვეულებრივზე უფრო შავგვრემანმა, დიდტუჩება გოგომ და ბერეტიანმა, შუახანსგადაცილებულმა, ბზისფერულვაშა კაცმა დომინოს თამაში მიატოვეს და „პლიის, პლიის“-ის ძახილით ჩემკენ გამოიქცნენ.

რა გნებავთო, რით გემსახუროთო, ალბათ ამას მეკითხებიან, ლაპარაკს ერთმანეთს არ აცლიან და სახეზე ისეთი ნათელი გადაჰკრავთ, თითქოს მთელი კვირაა ჩემ შემოსვლას ელოდებოდნენ და, აჲა, ნატვრა აუსრულდათ.

ინგლისურად რომ ვერაფერი გამაგებინეს, ფრანგულ-გერმანულიც მოსინჯეს. იტალიურად არაფერი უკითხავთ და, სიმართლე გითხრათ, გული დამწყდა, გერმანულიდან პირდაპირ რუსულზე გადავიდნენ:

რა გნებავთ, რა მოგართვათ, რისი შეძენა გსურთო.

ნუ წუხდებით-მეთქი, თქვენის ნებართვით, მივიხედ-მოვიხედავ, ჯერ არა მაქვს გადანყვეტილი, რაც ძალიან მომენტება, იმას შევიძენ-მეთქი. თქვენ განაგრძეთ თამაში. მე თვითონ შევათვალიერებ-მეთქი მაღაზიას.

ვინ გამიგონა, ჩემ იქ ყოფნაში დომინოსკენ თვალიც არ

გაუპარებიათ:

გარბი-გამორბიან. ჩამოყარეს ვიტრინიდან ყველაფერი. ტანზე იზომებენ ფართლეულს, აქებენ კვართ-შარვლებს, იაპონურ ფოტოაპარატებს, ტყავის თხელძირიან და, მგონი, ზოგ სრულიად უძირო ფეხსაცმელსაც კი.

შევწუხდი ძალიან. ხომ არ დავუწყებ ამ პატიოსან ხალხს ახსნა-განმარტებას: მე, სურვილის შემთხვევაშიც, ჯერ არაფრის მყიდველი ვარ, ორი კაპიკი, რომელიც როგორც ტურისტს მერგება, ბანკიდან ჯერ კიდევ არ გამომიტანია და საერთოდ, ჩემი ჯიბის დიდი იმედი ნუ გექნებათ. მე ერთი უბრალო, საბჭოთა დამთვალიერებელი ვარ, უვალუტო გაცვლის მსხვერპლი-მეთქი.

ყველაზე უპრიანი ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად ის იქნება, – რასაც მიჩვენებენ დავუწუნო, ან ისეთი რამე მოვითხოვო, აქ კი არა, ჰონკონგის „მილიონი წვრილმანის“ მაღაზიაშიც რომ არ ექნებათ.

„ეს ფერი არ მომწონს, ასეთი ფერი მინდას“ პოზიცია წამგებიანი აღმოჩნდა. რა ფერსაც ვისურვებდი, იმ ფერის ტანსაცმელსაც დამიდებდნენ წინ. ფეხსაცმელები შევათვალიერე და რაკი „ინსპექტორს“ ვეძებ რამდენი ხანია, აფსუს არც თქვენ გქონიათ-მეთქი. კაცმა გოგონას რაღაც გადაულაპარაკა. ყავისფერი გამყიდველი ტელეფონს ეცა და თხუთმეტ წუთში „ინსპექტორი“ ჩემს ფეხებთან იყო. დავხედე ყუთს და თავში ხელი შემოვიკარი. ეს ინგლისის გამოშვებაა, მე ჰოლანდიური მინდოდა, თქვენგან არ მიკვირს, ინგლისურს ახლა ვინდა იცვამს-მეთქი. ბზისფერულვაშამ გოგონას წამუყო და ისიც ტელეფონისკენ მიტრიალდა, მაგრამ შევაჩერე. ამდენი დრო აღარა მაქვს, ნახევარ საათში ტელევიზით გამოვდივარ, „ინსპექტორს“ როგორმე, სხვაგან ვიშოვი; თუ გინახავთ, საერთოდ, კვართზე გადაბმული შარვალი, მრავალჯიბიანი, ყოველდღიურ სახმარად ძალიან მოსახერხებელია, მქონდა და დამიძველდა. სადმე რომ მაშოვნინა, ფულს არ დავზოგავ-მეთქი.

ერთმანეთს თხებივით მიაჩერდნენ. ატყდა მსჯელობა და კამათი. ხომ გამოგიჭირეთ (გული სიხარულით მევსება), ახლაც არ მომეშვებით?

სამ-ოთხ ადგილზე დარეკეს, და ის იყო, კარებისკენ უნდა

მექნა პირი, რომ შემოვიდა ლილიპუტზე ოდნავ მაღალი, ცხვირპაჭუა კაცი და ციმციმ შემოიტანა; არც მეტი არც ნაკლები სწორედ ჩემ მიერ შევკეთილი „კომპინეზონი“ და, რაც ყველაზე გულისმომკვლელი იყო, სწორედ ჩემი ზომა.

თავაზიანმა ამერიკელებმა ჩემ მიმართ საბოლოოდ ინტერესი მაშინ დაკარგეს, როცა უკანასკნელ იმედს ჩავებლაუჭე, და ჩემზე გადამკვდარ გამყიდველებს უტიფრად ვაჯახე: ეს „კომპინეზონი“ შეიძლება იყოს, მე კი ცხრაჯიბიანს ვეძებ-მეთქი.

მთლად უმადურად და უნამუსოდ ხომ არ მოვიქცეოდი. უბოდიშოდ ხომ არ ვუჩვენებდი ზურგს მასპინძლებს. მე ვთქვი, ამ ხალხმა ამდენი იწვალა, საერთოდ გაუტყდა მუშტარზე გული, თუ რითიმე მადლობა არ გადავუხადე-მეთქი, ამოვილე ჩანთიდან არყის ბოთლი და დავუდე წინ. ცივი უარი მტკიცეს საჩუქარზე. არა ვსვამთ, არ გვინდა, არაყს არ ვეტანებითო.

დავუწყე ქება ჩემს საქონელს, ეს ხორბლის არაყია, საუკეთესო რამ არის, დაიტოვეთ, თორემ მერე ინანებთ-მეთქი.

თავი მოიკლეს და არ გამომართვეს.

— არ გვესმის, არა, ერთმანეთის.

ვინ იცის, ჩემ კეთილ ჩანაფიქრს ვერ მიმიხვდნენ და, ეგონათ არაყს საყიდლად ვთავაზობდი.

რაღა გავაგრძელო, ურთიერთშეცვედრათა გრძელი ჯაჭვი გამოდგა ჩემი ამერიკული დღეები.

კაუჩუკის ფაბრიკაში ექსკურსიაზე ყოფნისას ჩემი თვალით ვნახე, როგორ ეჩეუბებოდა მუშა მენეჯერს – სამი საათია უსაქმოდ ვზივარო. ჩვენთან მუშა სწორედ მაშინ გინწყებს ჩხუბს, საქმეს რომ მისცემ.

ამიხსენით, რატომ ხდება ასე-მეთქი. ამიხსნეს მაგრამ ვერ გამაგებინეს.

ჩემმა მასპინძელმა ახალი ტელევიზორი შეიძინა. ფირმამ, რომელმაც ტელევიზორი მოუტანა, ძველი წაილო, ახლის ფასი ძველის გამობრვით (გამოქვითვას რომ ვეძახით) უანგარიშა.

დღისით, მზისით ნუ მოატანინებთ, ჩემო სტივენს, ამ ახალ ნივთს სახლში. ეშმაკს ათასი თვალი აქვს. ქვეყანაა, ხალხია, მეზობლებია, ხომ შეიძლება ვინმეს ტელეფონისკენ ხელი გაექცეს – საიდან, რა საშუალებით, რა სახსრებით იყიდეს

ახალი ტელევიზორი მეთქი, ვურჩიე ტომს, როგორც კეთილის-მყოფელმა.

ამიხსენი, თუ კაცი ხარ, ვის რაში ენალვლება, ჩემს ბინაში, რას შემოვიტანო. ავუხსენი, მაგრამ ვერ გავაგებინე.

ერთხელ, ქალაქებარეთ, ჯიმ ჰიუსის ფერმიდან რომ ვბრუნდებოდით, მანქანა გაგვიფუტდა. ძრავა ქვრებოდა და გაწევა შეუმცირდა. პროფილაქტიკას მივაკითხეთ. ტომ სტივ-ენსმა სელექტორს ჩაულაპარაკა. ორი თეთრხელთათმანიანი ყმანვილი გამოჩნდა პარმალზე. ტომმა გასაღები გადაუგდო და მანქანა პროფილაქტიკის ცისფერ ხახაში გაუჩინარდა.

რას ჩადიხარ-მეთქი, თავში სისხლი კინალამ ჩამექცა. ასე ბრმად როგორ ანდობ-მეთქი უცხო ხალხს მანქანას. ხომ დაგიხსნიან ნაწილებს და გაგიძარცვავენ ავტომობილს-მეთქი.

არ დაიჯერო ეგ ამბავიო, იცინოდა ტომი, როცა მოსაცდელ-ში სკამზე ფეხებშემონაბილნი ყავას შევექცეოდით.

რატომ არ შეიძლება, ამიხსენი-მეთქი, თუ კაცი ხარ. მთელი საათი გულმოდვინედ მიხსნიდა, მაგრამ ვერ გამაგებინა.

დაახლოებით ერთ საათში, ხოლო უფრო დაახლოებით საათ-ნახევარში, გამოიყვანეს თეთრხალათიანმა ბიჭებმა ჩვენი „მუსტანგი“ გარეცხილი, გასუფთავებული, ძრავა საათი-ვით წიკწიკებდა. დაბრძანებითო, გაიარეთ, იქნებ საპრეტენზიო გაქვთ რამეო. ტომს უჩიურჩულეს. ტომმა იუარა: თქვენს ნახელავს რაღა შემონმება უნდაო. ქვითარზე ხელი მოუწერა და წამოვედით. ეს არაყი მაინც მიგვეცა, აშენდა მაგათი ოჯახი რა მოვლილი მანქანა ჩაგვაბარეს-მეთქი, – ვეუბნები მასპინძელს. არაო, ეგ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებაო. შენ არ იცი ამერიკელი მუშის ხასიათიო. ახლა რომ არაყი მივცეთ, შემდეგ მოსვლის დროსაც მომთხოვენ. ერთი ბოთლი არყის გულისთვის მუშას ვერ გავაფუტებ, მის მუშურ ფსიქიკაზე უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოვახდენო.

არ გვესმის, არა, ერთმანეთის ჩვენ და ამერიკელებს.

ერთ დღეს შტატის სენატის სხდომაზე შემიყვანა. სენატორები ქვემოთ ისხდნენ და თათბირობდნენ. ჩვენ, დაინტერესებული საზოგადოება, ზემოთ, იარუსებზე ვიყავით მერცხლე-ბივით გამწკრივებული. თორმეტ საათზე შესვენება რომ გამოცხადდა, ტომმა ბოდიში მომიხადა; თხუთმეტი წუთით უნდა

დაგტოვო, ჩემს არჩეულ დეპუტატს უნდა შევხვდე. რჩევა უნდა მივცე, რომ თავის გამოსვლაში ეს და ეს გაითვალისწინოს. თურმე ნუ იტყვით, შესვენებისას დეპუტატები სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში ამომრჩევლებს ხვდებიან, რომ მათი წინადადებანი მოისმინონ და გაითვალისწინონ.

გავიგებდი ამას მეე? ჯერ ერთი, ჩვენთან, არაუზენაეს (საშუალო) სესიაზე ვინ დაგასწრებს. რაც შეეხება დეპუტატს, არჩევის მერე შენ მოგეკარება და შენს დარიგებას მოისმენს? იგი ხომ ერთხელ და სამუდამოდაა დარწმუნებული. რაკი ამირჩიეს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლიარი გახლავართ და ჭეშმარიტების გასაღები მხოლოდ მე ერთს მიდევს ჯიბეშიო.

სტივენსი რომ დაბრუნდა, ვკითხე, რა ჰქენი-მეთქი. ისეთი მსუყე ფაქტები მივეცი ჩემს დეპუტატს გამოსვლაში გასათვალისწინებლად, რომ მადლობის ნიშნად სულ ხელზე მკოცნაო. ხომ მართალს ამბობ, გაფიცებ შენს ბიჭს – რიჩარდს-მეთქი. ვერ გაიგო, რას ვეუბნებოდი. კაცი ეგ ყოფილა, ეგ თქვენი დეპუტატი, არაყი მაქვს აგერ ჩანთაში, ვაჩუქოთ მადლობის ნიშნად, გაეხარდება-მეთქი.

კვდება სიცილით. ხომ გაგიუდა ხალხის მსახური სენატის გახურებულ სხდომაზე არაყი რომ მივაჩეჩო ხელშიო.

გვესმის ახლა ჩვენ ერთმანეთის?

ვერ გავიგე, რისი ეშინოდა ჩვენს მთავრობას, რომ არ მიშვებდა და გზებს მიხლართავდა. ამერიკაში დამრჩენი ვარ მეე?

უკან რომ ვბრუნდებოდით, თვითმფრინავში ჩემ გვერდით პეტროგრადელი ებრაელი იჯდა. მეო, ახლა, შეიძლება თამამად ითქვას, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ვარო. რანაირად-მეთქი, ვკითხე. პირველი იმის გამო, რომ ებრაელმა კაცმა იმდენი ვიბრძოლე, ამერიკაში ტურისტად გაშვებას მივაღწიე, მეორე იმის გამო, რომ ამერიკაში არ დავრჩი და უკან ვბრუნდებიო.

ხუმრობდა, ალბათ, პეტროგრადელი, მაგრამ მე, გითხრა სიმართლე, მთლად კარგად ვერც ეს ხუმრობა გავიგე.

დრამატურგ გაბაძის ჩვენება

რეჟისორ ლასურიას თეატრიდან ხუთმა ნერვებმოშლილმა კაცმა გამოსდია.

ლასურია შესაშური სიმშვიდითა და სიჯიუტით მიიკვლევდა გზას მანქანისაკენ.

გამომყოლ-გამომდევნებელნი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. თავის სათქმელს ჩრიდნენ ყურებში რეჟისორს. ქა-ქანებდნენ, ადამის ვაშლებზე წამდაუნუმ სამ თითს ისვამდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ზოგჯერ აშკარად ხელითაც აჩერებდნენ რეჟისორს. ცმუკავდნენ და უცნაურად ხტოდნენ.

ეს იყო სულ. სხვა არავითარი საბუთი არ გააჩნდა ამ ნოველის ავტორს. ხუთი საქმიანი კაცისთვის „ნერვებმოშლილი“ ეწოდებინა.

ლასურიამ გამოსვლისთანავე შენიშნა ტელეფონის ჯიხურთან მდგარი ხელჩანთოსანი დრამატურგი გაგაძე. მისი უცნაური, ნაძალადევი ლიმილი აშკარად არ მოეწონა და თვალი აარიდა.

ლიმილიც რომ მოსწონებოდა, რეჟისორი გაგაძეს თვალს მაინც აარიდებდა. რატომ და რისთვის, ამას ქვემოთ დავინახავთ. ამჯერად კი იმით დაკვამაყოფილდეთ, რომ თვალი აარიდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რა უბრალო მიზეზის გამოც, რეჟისორები დრამატურგებს საერთოდ თვალს არიდებენ.

მანქანამდე შვიდი ნაბიჯიც არ იყო დარჩენილი, ლასურია რომ შედგა და შემოტრიალდა. ორივე ხელის ანტიკური შემართვით მდევარი ადგილზე გააშეშა და ლალადჰყო:

– კლიმენტი! ხუთშაბათს მოვილაპარაკოთ, დღეს მზად არა ვარ! ჩხართუა სამ საათზე!

– დღეს?! – იყვირა გახარებულმა ჩხართუამ.

– დღეს არა, იმ კვირაში. სანჩო, ბოდიშს ვიხდი, ვერც მოგასწარი, ზეგ ორ საათზე, თუ შეძლო. დამირეკე მაინც წინასწარ. ნაყინაძე ჰექტორთან მიდი და მოილაპარაკეთ. ამება, შენ რა გინდოდა? პარასკევს შევხვდეთ, ხომ არ გვიანდება, პარასკევს, პარასკევს, კარგი ხუთშაბათს იყოს. გაწყობს? ოლონდ სამ საათზე. სამამდე არაფერი არ შემიძლია!



გულდამდუღრული მდევნელნი უფრო ენერგიულად ახტუ-ნავდნენ. ყველა, ყველა და მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ „ის კვირა“ და „ხუთშაბათ-სამშაბათი“ უამური სატყუარა იყო, რადგანაც ხვალ დილით ლასურია მოსკოვს, ხოლო მოსკოვი-დან იმსალამოსვე სამი თვით რიო დე უანეიროში მიფრინავდა.

ლასურიამ ჯერ მანქანის უკანა კარი გამოალო და ტყავის საქალალდე შეისროლა. მერე წინა კარი გაატყაპუნა და რომ ჯდებოდა, სწორედ მაშინ მოხვდა ზურგში იმ ზომის ქვა, რა ზომის ქვითაც კაცის მოკვლა თავისუფლად შეიძლება, თუ თავში მოვარტყამთ, რასაკვირველია. ხოლო ზურგში როცა ვდრუზავთ დამნაშავეს, მხოლოდ კუნთს შეუშინ-შეულურჯებს და მეტი არაფერი; თუ შეურაცხყოფით გამოწვეულ ფიქოლო-გიურ ზემოქმედებას და რაც მთავარია, შიშს მხედველობაში არ მივიღებთ, ძვირფასო მკითხველო.

ხუთეული ელვისსისწრაფით დააცხრა დრამატურგ გაგაძეს და განაიარალა, რადგანაც ბრძოლის უინით ანთებული დრა-მატურგი ჩანთის გახსნას და მეორე ქვის ამოღებას აპირებდა. ხოლო ჩანთა, როგორადაც არ უნდა გაგიკირდეთ, ქვებით ჰქონდა სავსე.

ლასურიას სიარული მშვენივრად შეეძლო, მაგრამ სასწრაფო დახმარების საკაცეზე წოლა არჩია. ამჯერად საკაცეზე წოლა უფრო შთამბეჭდავი და თეატრალური იყო.

ტრავმირებული ხელოვანი მანქანისკენ რომ მიჰქონდათ, ლასურიამ მზეს ახედა.

მზე ჩვეულებრივაზე უფრო დაშორებოდა დედამიწას. ყო-ველ შემთხვევაში რეჟისორს ასე ეჩვენა.

* * *

გამომძიებელი და ბრალდებული ერთად შევიდნენ კაბი-ნეტში.

— დაბრძანდით, ბატონო ჯანრი.

სიმართლის დამდგენი, ახალგაზრდა, ზღვისფერთვალება ბიჭი იყო. პიჯაკზე სამფეროვანი ქართული დროშის სამკერდე ნიშანი ეკეთა. ურჩი თმა მოკლეზე ჰქონდა დაყენებული. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მარჯვენა ხელზე ცერა თითი არ აკლდა, როგორც სხვა მოთხოვობებში ჩვეულებრივ აკლიათ ხოლმე თითები გამომძიებლებს.

ბრალდებული შუახანსმიღწეული კაცი იყო, ჯინსის შარ-ვალი ეცვა, გახამებული თეთრი პერანგი, წითელი ჰალსტუხი და ირისისფერი პიჯაკი. რა ამ სატრიქონის ავტორის საქმეა სხ-ვის გემოვნებაში ჩარევა, მაგრამ იგი მაინც ჯიუტად ფიქრობს, რომ ჩაცმულობაში კოვბოური და ევროპულ-ელეგანტური სტილის აღრევა მთლად კარგი ტონი არ უნდა იყოს.

— ესა ვართ სულ, ბატონო ჯანრი?

გამომძიებელს საუბრის დაწყება უჭირდა. იგი განზე იხედებოდა, დრამატურგის შეწუხებული სახე რომ არ დაენახა.

— როგორც ჩანს, — მოჩვენებითი სიმშვიდით უბასუხა გაგა-ძემ. „ახლა ამ ლლაპმაც თუ ქუთის რიგება დამიწყო, ეგა თქვი შენო“. გაიფიქრა.

— თქვენი ჩანთაა ამოღებული ნივთმტკიცებად.

— კი ბატონო.

— ქვებით იყო სავსე.

— მერე ვინ უარყოფს.

— სად იშოვეთ იმდენი ქვა, ბატონო ჯანრი.

— რა ლაპარაკია ახლა ეგ, ჩემო, თქვენი სახელი?

— ჰამლეტი.

— რა ლაპარაკია ახლა ეგ, ჩემო ჰამლეტ. მე შენ სერიოზული კაცი მგონიხარ, ქვების მეტი რა ყრია რიყეზე.

— მერე? ვარგა ასე, ბატონო ჯანრი?

— ვერ გავიგე?

— ქართველებმა ქვები ვესროლოთ ერთმანეთს?

— თუ ძმა ხარ, ქართველები ერთმანეთს როგორ უნდა მოვექცეთ, მაგას ვასწავლი მე სხვებს ოცდაათი წელია. შენ ეს კონკრეტული ამბავი გაინტერესებს, ხომ? ამ ამბავზე ვილაპარაკოთ.

— რატომ მეჩუბებით, ბატონო ჯანრი, თქვენთვის ცუდი ხომ არაფერი მიკადრებია?

— ჩემ მდგომარეობაში მყოფი კაცი, აუღელვებლად ვერ იღ-აპარაკებს და ბოდიშს ვიხდი, ჰამლეტ ჩემო, წონასწორობის დაკარგვისთვის ხანდახან. თუ დაკითხვაა დაწყებული, დამ-კითხე, როგორც წესი და რიგია. თუ არა და ეს ლირიკული საუბარი „ქართველმა ქართველს და ესაა ჩვენი ქართველო-ბას“ თემაზე ნერვებს მიშლის და სხვა დროისთვის გადავდოთ.

— ჯერ თქვენ მიმართ საქმე არაა აღძრული. ჯერ დაზარა-

ლებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეგვიტყვია, იქნება, არ გიჩივით ის კაცი. მე მორიგე ვარ და უბრალოდ ჩემთვის მაინტერესებდა. რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ თქვენ, ცნობილ, სერიოზულ კაცს დილით ჩანთა ქვებით გაგვესოთ, მოსულიყავით რუსთაველის პროსპექტზე და ყველას თვალწინ ქვა გესროლათ ასევე ცნობილი, პატივცემული რეჟისორისთვის. რა მაგალითს გვაძლევთ ამით: ჩვენ, ახალგაზრდობას?

— კიდევ ერთხელ გთხოვ, ჩემო ჰამლეტ, ამ საქციელის სამაგალითო და მისაბაძ მხარეზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. არა ხართ თქვენ ის ხალხი ჩვენი თაობის ქმედებაში, მისაბაძ მაგალითებს რომ დაეძებდეთ. დაწვრილებით გიამბობ ამ ისტორიას და შენ თვითონ განსაჯე — როგორც კაცმაც და როგორც მართლმსაჯულების ნარმომადგენლმაც. მე, ჩემდა თავად, ახლაც, ამ წუთშიც, ღრმად მჯერა, რომ სწორად მოვიქეცი.

— გისმენთ, ყურადღებით, ბატონო ჯანრი.

გამომძიებელი, ცოტა არ იყოს სიმპათითაც კი განეწყო კაცისადმი, რომელიც თავის საქციელს აფექტურ მდგომარეობას კი არ აპრალებდა, ან საერთოდ დანაშაულს კი არ უარყოფდა, პირიქით, პირდაპირ ამბობდა; კაცს მოსაკლავად ქვა ვესროლე და მართალი ვარო.

— მე ადრე ლექსებს ვწერდი, — დაიწყო გაგაძემ — შეიძლება წაკითხულიც კი გაქვთ ჩემი ლექსები. არაფერი სასწაული ეგ არ იქნება, წაკითხული რომ გქონდეთ. არ უნდა ვიყო მთლად ურიგო და უკანასკნელი პოეტი. ამ ოთხი წლის წინ, სწორედ იმ ადგილზე, დღეს რომ ქვა ვესროლე, რეჟისორი ლასურია შემხვდა. ტოლები ვართ ჩვენ. კარგი ნაცონბებიო, რომ იტყვიან, ისე ვიყავით ერთმანეთთან. სულ მეგონა, რომ ერთმანეთის წარმატებები გვიხაროდა. ან რატომ არ უნდა გაგვხარებოდა, კაცმა რომ თქვას, მე ჩემთვის ლექსებს ვწერდი, ეგ თავისთვის პიესებს დგამდა. თეატრი ბავშვობიდანვე მიყვარდა და ხატზე შემიძლია დავითიცო, რომ ამ ჩვენს ქალაქში სპექტაკლი არ გამიშვია უნახავი. თუ ვინმე იყო ჩვენი თეატრის ტაშის დამკურელი, მეც ვიყავი. ეს იყო თეატრთან ძირითადად ჩემი დამოკიდებულება.

შენ გეძებდიო, ლასურიამ, ბინა გამოგიცვლია და შენი ტელეფონი ვერაფრით დავაზუსტეო. სალაპარაკო მაქვს შენთან, თუ გცალია. გისმენ-მეთქი ყურადღებით, ჩემო ლასურ-

ია. პიესის დაწერა თუ გიცდიაო. არასოდეს-მეთქი, წავიკითხე შენი ლექსები და დარწმუნებული ვარ, კარგ პიესას დაწერო. რაც მთავარია, ცხოვრებასთან კრიტიკული დამოკიდებულება გვაქვს, თანამედროვე აზროვნება, კალამი გიჭრის და უნდა მოხედო ქართულ თეატრსო. ეს მარტო ჩემი კი არა, მთელი დასის სათხოვარიაო. ვიმსჯელეთ, ვითათბირეთ და არჩევანი შენზე შევაჩერეთო; არ გვითხრა უარი თორემ ვიღუპებითო. კი მაგრამ რანაირად, მე, საერთოდ... სიტყვაზე... მაგალითად-მეთქი. შეძლებ, შეძლებო. მანქანიდან ჩემი ბოლო წიგნი გადმოიღო, სარჩევი ჩამიკითხა, ამ, ამ და ამ ლექსების მოტივები მინდა იყოს პიესაშიო, თანაც დინამიკაში უნდა ჩანდეს ყველაფერიო.

დრამატურგიაში მთლად უცხოდ რომ მეგრძნო თავი, რა-საკირველია, არ დავთანხმდებოდი ლასურიას. მართალია, საუბარში თავი ნამეტანი მოვიმონავე, მაგრამ არც ისე იყო საქმე. ჩვენში დარჩეს და თეატრი იმდენად მიყვარდა, რომ პიესის დაწერის სურვილს მეც ვატარებდი გულში ფარულად.

ლასურიამ ვადაც კი დამითქვა: ახლა აპრილია, ივლისში ბორჯომში ვიქენები და პიესა იქ ამომიტანეო. იცოდე შენს იმედზე ვარ, ოქტომბერში უნდა ჩავუშვა და არ დამაღალატოო.

ასეთ სიტყვას რომ გეტყვის კაცი, დააღალატებ? ქვას არ გახეთქავ და შეუძლებელს არ შეეჭიდები? გადავდე ყველაფერი განზე და სექტემბრის ბოლოსათვის პიესა უკვე მზად მქონდა. მე ვერ გეტყვი, რა გამომივიდა, მაგრამ ცდა არ დამიკლია. საერთოდ, ჩემს საქმეში პროფესიონალად მომაქვს თავი. ლიტერატურული ხალტურა და მწერლური ნახევარფაბრიკატი, ჭირივით მძულს, იოლად არასოდეს არ გავსულვარ, ფონი არ მიძებია, სანამ ჩემებურ ლარ-თარგზე არ მივიყვან საქმეს, არ მოვეშვები. რაღა ბევრი გავაგრძელო, სამი თვის მანძილზე თავი არ ამილია, გადავაკვდი პიესას და ჩემი ჭკუით, დავამარცხე. გულის კანკალით ვეახელი ლასურიას ბორჯომში. მუსიკოსების კოტეჯში ჩამომხტარიყო. ასე, ნაშუადღევის ხუთი საათი იქნებოდა, ძლივს მივაგენი. იწვა და რაღაცას კითხულობდა. მინის კედელთან იდგა საწოლი. არ ეძინა, თორემ როგორ შევაწუხებდი. შემოდიო, დამიძახა. ვერ დავუკარგავ, ლოგინიდან არ ამდგარა და არ გამომგებებია, ალბათ,

შეუძლოდაა-მეთქი და ვინანე, რომ შევაწუხე. შევედი, ხომ კარგი სურათია თავისთავად: მწერალს რეჟისორისთვის მიაქვს შეკვეთილი, დანაპირები პიესა. წამოუდგომლად გამომართვა პიესა ლასურიამ. არც გადაუფურცლავს, გვერდზე გადადო.

თვრამეტი ივლისი იყო. სექტემბრამდე ვერ წავიკითხავო, სექტემბერში მე თვითონ დაგირეკავო. არა უშავს, მე მოგაკითხავ-მეთქი. ნუ შეწუხდები, მე თვითონ დაგირეკავო. ტელეფონი შემახსენეო. პიესას დიდი ასოებით დააწერა ჩემი ტელეფონი და კითხვა განაგრძო. ალბად ძალიან საინტერესო ადგილზეა-მეთქი და ხელი აღარ შევუშალე. კარგად ყოფნა ვუსურვე და გამოვტრიალდი. გაკვირვებით კი გამიკვირდა ცივად შეხვედრა და უყურადღებობა, მაგრამ წყენით არ მწყენია. რა ვუყოთ მერე, თუ ყურადღებით ვერ შეგხვდება. ხელოვანი კაცია ათა-სი ფიქრი უტრიალებს, თანაც როგორც ჩანს, დიდ ადამიანებს თავისი უცნაურობები უნდა ჰქონდეთ-მეთქი.

მოვიდა სექტემბერი. არ შეიძლება იმის აღწერა, როგორ გაიწელა ეს თვე-ნახევარი, რა გულისფანცქალით ველი მსჯავრს ჩემს პიესაზე. ჩამოიფურცლა სექტემბერიც. ლასურია არ მირეკავს. არადა მერიდება მისვლა. იქნებ ვერ მოასწრო კაცმა წაკითხვა, ან სხვა რამ საქმეები გამოუჩნდა. რა მოხდა მერე.

ოცდაცხრა სექტემბერი იყო, მე თვითონ მივედი. ოთხი წლისწინანდელ ამბავს გიყვები.

თეატრში ერთი ხანში შესული, უაღრესად ყურადღებიანი, რომ იტყვიან, ტკბილი კაცი მუშაობს, დირექტორ-განმკარ-გულებლად – ჭილაიაა გვარად.

მობრძანდი ჩემო ჯანრიო. სასიხარულოა შენი გამოჩენა ჩვენს თეატრშიო. ლასურიამ თუ იცის დღეს რომ უნდა მოსულიყავიო. თავი რომ გავაქინე, შეწუხდა, ვაითუ დააგვიანოს და დიდხანს დაგჭირდეს ლოდინიო.

არა უშავს-მეთქი. იმ დღეს კარგა ხანს ველოდე, მაგრამ არ მოვიდა, როგორც კი გამოჩნდება, ვკითხავ, შევუთანხმებ და მე თვითონ დაგირეკავო, ჭილაიამ.

აშენდა მისი ოჯახი, იმ სალამოსვე დამირეკა. ხვალ, თუ არ შეწუხდები, თორმეტზე მოდი ლასურიასთან შესახვედრადო.

თორმეტს ათი წუთი აკლდა რომ მივედი. სამამდე ველოდე, არ ჩანს, წუხს ჭილაია. ოთხის ნახევარზე დარეკა. გაგაძე გელ-ოდებათო დირექტორმა, ზეგ ორზე მოვიდესო, დააბარა.

ბოდიშს მიხდის ჭილაია სხვის მაგივრად. არ გეწყინოს ჩემო ჯანრიო, ვერ მოძებნა ალბად დრო. დაკავებულია ძალიანო.

„ზეგ“ მივედი ორ საათზე და ოთხამდე ვიცადე.

ახალგაზრდა რეჟისორმა შემოირბინა და ჭილაიას რაღაც უჩურჩულა. კი მაგრამ, ბატონი ჯანრი დაიბარა და არ აპირებს შემოსვლას? გაწყრა ჭილაია.

ფერმკრთალი რეჟისორი საწყალი თვალებით შემომაჩერდა. არ გამცეთ ბატონო და ახლა მანქანასთან დგას. სანამ წავიდოდეს, მიუსწარით, თორემ მერე ხუთ დღეს აღარ იქნება თეატრშიო.

გავვარდი და ზუსტად იმ ადგილას, სადაც დღეს ქვა ვეს-როლე, მანქანაში მჯდომს მივუსწარი.

შემომხედა. მანქანიდან არ გადმოსულა. წავიკითხე ჯანრი შენი პიესა, ძალიან მომენტონა, ოქტომბერში მუშაობას ვიწყებ, ალბად, დეკემბრის ბოლოს, საახალწლოდ გამოვუშვებო.

ხომ არაფერია შესასწორებელი-მეთქი. არაო, როგორიც მინდოდა, ისეთი პიესაა.

დაიძრა მანქანა. დიდხანს ვიდექი სიხარულისაგან გახევებული.

„აი, კაცი-მეთქი ვფიქრობდი, აი, რეჟისორი, ყოველგვარი ჭირვეულობის გარეშე, უბრალო და საქმიანი. მოენონა პიესა და დგამს, ამაზე კარგი იქნება-მეთქი“?

ოქტომბერი მიიწურა, შუა ნოემბერია. გარს ვუვლი ჩემს საყვარელ თეატრს, გაორნილი მაქვს, რეჟისორებს არ უყვართ, როცა ავტორი რეპეტიციაზე გამოჩნდება. ვინმეს თვალში ცუდად არ შევეფეთო-მეთქი. დეკემბერმაც რომ ლევა იწყო, დავუწყე ანონსის აფიშებს თვალიერება. მგონია ახლა გახურებული იქნება მუშაობა ჩემს პიესაზე. მხატვრის ესკიზები უკვე დამტკიცებული და შეკვეთილია ალბათ. მუსიკაც უკვე მზად ექნება კომპოზიტორს... ახალი წლის წინა დღეებში გულმა არ მომითმინა და შევიარე თეატრში. როგორაა-მეთქი საქმე, პირველივე ნაცნობს ვკითხე, სანამ ჭილაიას კაბინეტამდე მივაღწევდი. ნაცნობი სალიტერატურო ნაწილის გამგე აღმოჩნდა, მშვენიერი, კდემით აღსავსე ქალბატონი. კარგადო, ღვთის წყალობით წინ მივდივართო. მე ჩემი პიესის შესახებ გეკითხები-მეთქი. რომელი პიესისო, გაიკვირვა როგორ არ იცი, ორი თვეა რეპეტიციობს დასი. თვითონ ლასურია დგამს-

მეთქი. გულმა რეჩხი მიყო. გაეცინა ქალბატონს: ჯანრი ბატონი, რისი რეპეტიცია, რა რეპეტიცია, ლასურია ხუთ ოქტომბერს რომ გაემზავრა საბერძნეთში, იმის მერე თვალითაც არ გვინახავს. მომავალი წლის რეპერტუარის პიესები დამიტოვა წასაკითხად, იქ შენი პიესის მსგავსი არაფერია, საერთოდ ქართული პიესა არც ერთი არ არისო. არ მოსწონს ამ კაცს ქართული პიესები და რა ვქნა მეო. ეტყობა სასონარკვეთილი სახე მქონდა ამის გამგონეს, რაკიღა შევეცოდე და დამიყვავა – არ ვიცი, იქნებ მართლა გადაწყვეტილი აქვს შენი პიესის დადგმა. ასე იცის ხოლმე, დასადგმელს შინ ინახავს, უეცრად გამოაჩენს და დაიწყებს მუშაობასო.

გულჩამნყდარი გამოვბრუნდი თეატრიდან.

აპრილში დაბრუნდა ლასურია საბერძნეთიდან და, რასაკვირველია, ლოდინით დაღლილი, უურნალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა. არ დაუმალავს, ტელევიზითაც გამოაცხადა და სამ გაზეთში კორესპონდენტს კითხვაზე, რას შემოგვთავაზებთ ახალსო, უპასუხა: „პირველ რიგში ჯანრი გაგაძეს პიესა უნდა დავდგა. პოეტმა ჩვენი დაკვეთით საინტერესო პიესა შექმნაო“.

თავი ქუდში მაქეს. გახარებული როგორ არ ვიქნები, კაცმა ქვეყანას მოსდო, რომ ჩემს პიესას დგამს. ლასურია ის კაცი არ არის, თქვას და არ შესარულოს, დანაპირები არ გაანალდოს-მეთქი, ვფიქრობდი.

დამთავრდა მეორე სეზონიც. თეატრმა ორ „იმპერიალისტურ“ სახელმწიფოში ტრიუმფალურად იგასატროლა და როგორც საკუთარი, ტრადიციულ-განუშორებელი, შტატიანი პოლიტიკური ხელმძღვანელი და საგასტროლო მიმომხილველი, თეატრმცოდნე წერდა – ლამის ჭკუიდან შეშალა ნოსტალგირებული ემიგრაციით ნახევრადსავსე დარბაზები.

სექტემბერში გამოჩნდა თბილისში ლასურია. ორი დღე ვაცალე აკლიმატიზაცია და ავეტუზე კაბინეტის კარებთან. ახლა იმდენად პიესის დადგმა აღარ მაინტერესებს, რამდენადაც რეჟისორის სახის დანახვა და მისი დასაბუთებული პასუხის მოსმენა. მეტყვის მიზეზს, ტყუილს ან მართალს. ბოდიშს მომიხდის, ვერ ვახერხებთ შენი პიესის დადგმასო, დავმშვიდდები და წავალ შინ. მეცოდინება რომ არ იდგმება. რა მოხდა მერე. ჩემისთანების პიესები არ დადგმულა?

ათი დღის მანძილზე ჯიუტად, მაგრამ ამაოდ ველოდე ლასურიას. აშკარად ჩანდა, მემოირბენდა თურმე თეატრში, იკითხავდა; გაგაძე ხომ არ მელოდებაო, რომ ეტყოდნენ, შენს კაბინეტთან ზისო, შეძვრებოდა სხვა სათადარიგო კაბინეტში, უსაქმობით დაღლილი, თეატრს სახელმძღვანელო მითითებებს მისცემდა და გაიპარებოდა.

მეთერთმეტე დღეს, როცა სწორედ იმ ადგილას დავუდარაჯდი, სადაც დღეს ქვა ვესროლე (იმჯერად რა თქმა უნდა ქვების გარეშე), შევიტყვე, რომ წუხელის ამნაპნა იმპერიის ცენტრმა. ორი თვით მოსკოვმა გაითხოვა დიდ ლენინზე და მის ბანდიტ თანამებრძოლებზე პიესის დასადგმელადო.

რუსული გაზეთები აღფრთოვანებით გვატყობინებდნენ ლასურიას მოსკოვურ წარმატებებს. რეჟისორი ისე დათვრა ურდოში გამარჯვების ალლუზზე, რომ თვისტომი (სამწუხაროდ მოსკოვმა იცის ასე). მიავინებდა და შეყვარებულ რუსებს სახეგამთვარულმა შეაგება: სამშობლოს სიყვარული პროვინციალიზმია, რაც შემეხება მე, ადამიანის სიყვარული პუშკინმა მასწავლაო.

შარბან, თვრამეტ აპრილს, ჭილაიამ დამირეკა; ჯანრი წუხელის ჩამოსულა, აქ არის, სასწრაფოდ ნახე, თორემ, მგონი, სადღაც აპირებს ნასვლასო.

იმ ადგილას, სადაც ქვა ვესროლე დავუდარაჯდი, და შემოვიდა თუ არა, წინ გადავუდექ. გამიღიმა, გაუხარდა ჩემი დანახვა. როგორაა ჩემი საქმე-მეთქი. მე შენთვის უნდა მეკითხაო. მე დავუტოვე ყველაფერი ბრაიძეს, დავალება მივეცი, როლები უნდა გაენანილებინა და რეპეტიციები დაეწყო, ნუ დამიმალავ, თუ კაცი ხარ, არ დაუწყია მუშაობაო?

ბრაიძის გვარი პირველად გავიგონე, იმ დღეს. ხვალ მოდი, გავარკვევ ყველაფერს და გეტყვი პასუხსო. ახლა უკვე აღარსად მივდივარ და მე თვითონ შევუდგები საქმესო.

რა თქმა უნდა, ვერც ხვალ და ვერც მომდევნო ცამეტ დღეს ლასურიას მოხელთება ვერ შევძელი. თერთმეტ მაისს თეატრალური საზოგადოების კიბეზე შემთხვევით შემეფეთა. მე თვითონ მინდოდა გვერდის აქცევა, ჯერ ერთი, არ მინდოდა მორიგი ტყუილით დავეპურებინე, და კიდევ უფრო შემძულებოდა, მეორეც, არ მსურდა უხერხულ დღეში ჩამეყენებინა. ორივე ხელით ჩამაფრინდა მხრებზე. ხომ არ მემდურიო. ხუთი

დღეა გეძებ, მთელი ქალაქი შევძარიო. შენი ტელეფონი გამებნა სადღაც და ჯავრით აღარა ვარო კაცი. დავანებოთ იმ ძველ პიესას თავი, ახლა, ხომ ხედავ, რა მოვლენები ხდება, – სასწრაფოდ უნდა დამიწერო ცხრა აპრილზე პიესა, ივნისში ვიწყებ რეპეტიციებს. ამას წყალი არ გაუვაო. არ დამაღალატო, თუ ძმა ხარ, შენს იმედზე ვარო.

ერთბაშად გამიარა ყოველივე წყენამ და ლასურიას აღტყინება გადამედო. ისედაც ვაპირებდი, ჩემთვის, ცხრა აპრილზე პიესის დაწერას და ახლა როგორი საქმეა, თეატრი მოუთმენლად გელოდება. რეჟისორი ხელებს იფშვნეტს შენი პიესის მოლოდინში.

გავასწორე დღე და ღამე და ივნისის პირველ რიცხვებში ვაახლე თეატრს პიესა. გულში ჩაიხუტა ლასურიამ მიტანისთანავე, რომ იცოდე, რამოდენა პატივი მეციო. რა კარგია. ყველას დავასწრებთ ცხრა აპრილის ტრაგედიაზე სპექტაკლის შექმნასო. წაიღო სახლში და ჰოი, საკვირველებავ! მეორე დილით დამირეკა: ყველაფერი რიგზეა, პიესა ძალიან მომენტონა, ხვალიდან ვიწყებ მუშაობასო.

ყურებს არ დავუჯერე. წუთუ თვითონ ლასურია მირეკავს-მეთქი, ისე ვიყავი განამებულ გულდასერილი ამ სამი წლის განმავლობაში მისი გასხლტომა-გაქცევებისაგან.

დაიწყო ხმაურით მუშაობა ლასურიამ. ცხრა აპრილზე პიესას ვდგამო, უკვე სცენაზე ვართო. ჩვიდმეტ ოქტომბერს პრემიერას ვითამაშებთო. რატომლაც ინტერვიუებში პიესის ავტორად არ მასახელებდა, მაგრამ გული არ დამწყვეტია. ესეც ხელოვანის უცნაურობას მივაწერე.

სპექტაკლის ჩაბარების დრო რომ მოახლოვდა, ერთი-ორჯერ დავურეკე, როგორ მიდის-მეთქი საქმე? კარგადო. რეპეტიციაზე ხომ არ მოვიდე-მეთქი. არა, რა საჭიროაო.

გაჩინდა აფიშები ქალაქში. აწერია ცხრა აპრილის ტრაგედიის ამსახველი პიესა. დამდგმელი ლასურია. პიესის სახელწოდება შეცვლილია (არა უშავს, არც ამით დაქცეულა ქვეყანა), მაგრამ მაგარი ის არის, რომ აფიშაზე ჩემი გვარი არ ჩანს.

არც გენერალურ რეპეტიციაზე მეძახიან.

ქუჩაში მხვდებიან სპექტაკლის მონაწილეები, მაგრამ სალა-პარაკოდ არ მიჩერდებიან. ხელის აწევით მესალმებიან ხოლმე და სწრაფად გამეცლებიან.

დაუპატიუებლად მივედი სპექტაკლის გასინჯვაზე.

ლასურიამ რომ დამინახა, აშკარად შევატყვე, ნირი წაუხდა, ფერი დაკარგა, შეცბა.

სანამ სპექტაკლი არ დამთავრდა, ვერ მივხვდი რაში იყო საქმე.

რეჟისორების უცნაურობის ამბავი რომ ვიცი, ალბათ ჯერ პანტომიმის შესავალი გაუკეთა სპექტაკლს და, და აგერ-აგერ ამოიღებენ ხმას ჩემი საყვარელი მსახიობები-მეთქი!

თქვენც არ მომიკვდეთ.

ჩემი პიესიდან მარტო მიზანსცენები აუღია და მუნჯური სპექტაკლი დაუდგამს. დაშლიგინებდნენ, გადი-გადმოდი-ოდნენ გიუებივით, ღამაზი მსახიობები სცენაზე, უსიტყვო სპექტაკლი ანაქრონიზმობდა ქართული სიტყვის უპირველეს თეატრში.

რეჟისორს, რასაკვირველია, ნება აქვს უსიტყვო, უმუსიკო, უდეკორაციო და უმსახიობო სპექტაკლიც დადგას მისი სურვილისა და გემოვნებისამებრ. მაგრამ მე რა შუაში ვიყავ?

ნუთუ ასე ძნელი იყო, ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთი მართალი სიტყვა გაემეტებინა; ჯანრი, არ მომენტონა შენი პიესა და ვერ დავდგამო?

როგორ ხასიათზე წამოხვიდოდი შენ ჩემ ადგილას იმ გენერალური რეპეტიციიდან?

ხვდები ახლა რატომ ვესროლე ქვა? მე მას როგორც რეჟისორს არ გავუჯავრდი, გავუჯავრდი როგორც კაცს, როგორც აბუჩად ამგდებს.

ახლა ამ ქვის სროლისათვის დახვრეტას ხომ არ მომისჯიან, ვიცი, პირობას გაძლევ, დღეს იქნება თუ გაისად, სადაც შემხვდება აუცილებლად სილას გავაწნავ.



ასარჩევი

გვანჯი.....	5
სოფლის მადონა.....	11
სიკვდილის წინა დღე.....	21
საქმე	28
ბოლო	41
ლორი ქალაქში	47
სიზმარი.....	52
დიდვაჭარი	58
წამალი	67
მასპინძელი.....	71
„მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა...“	74
სევასტი	81
ზვიადაური	85
გიყვარდეთ მტერნი თქვენი?	94
ალე	105
კომედია	110
მწერი	117
მსჯავრი	122
იქ	128
ქოფაკი	136
გული.....	138
ცრემლი სად არის	148
ნაგაზი	153
პაჭულია	161
განთუა	167
ჯორი.....	171
ნელი ნიკურაძე	176
კვირიკე	192
მეზობლები	197
61–11–25	204
ექიმბაში	214
დეპეშა.....	223

ცხედარი.....	228
საშველი.....	238
არ დაიკარგება?	246
„მაღალი სტუმარი“	254
მაჩვი	257
არ აწყენინოთ	261
ჯაჭვი	268
ცისარტყელა	278
მსმელი	293
წრე	302
ერთი შრომითი დღე	331
ყივილი	341
კარგად ცხოვრობენ გუბერნატორები?	345
უფასო პანსიონატი	357
ამრევი	368
წარლვნით ჩაქცეულ ნაპირზე	376
საყდარი სოფლის სასაფლაოზე	383
აპრილი	390
მეშვიდე დღე	395
დიდი, წითელი ბურთი	398
ბაბუაჩემი მეტყოდა ხოლმე	410
ოცდაცამეტი	414
მავზოლეუმი	419
ვიცი	433
თოჯინების თეატრი	437
სიკვდილი მაღალმთიან სოფელში	448
ამერიკა, ამერიკა	456
დრამატურგ გაგაძის ჩვენება	467

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ
ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ
в 25 томах
TOM V

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2012